

780
993

ISSN 0134-9848

საქართველო

საქართველო
საზოგადოებრივი
მედიის ცენტრი

1993/2

მარტი — აპრილი



საუნჯე

1993
ნაბი
ეროვნული
სამედიცინო

(11/82)



შინაარსი

კრეზა და კოეზია

პირჯინია ვულფი, ფლაში, ინგლისურიდან თარგმნა თამარ ერისთავმა	3
ანტონ ჩეხოვი, მოთხრობები, თარგმნა ვაგა შურღაიამ	70
ფელიქს ბახინიანი, ლექსები, სომხურიდან თარგმნა რენე კალანდიამ	91
მარინა ცვეთაძე, სახლი ბებერ კიმიანთან, თარგმნა რუსულიდან ქებულაძემ	97
ფრანსუა პესოა, თამბაქოს ფარდული, თარგმნა შოთა იათაშვილმა	130
ალეხო კარკანტიერი, განმანათლებელი საშაუნე, რომანი, თარგმნა მედეა ზუბადალაშვილმა	136

წერილები

ხოსე ორტეგა ი ბასეტი, მასივის ამგონი, გაგრძელება, ესპანურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ	279
ნარლუ ფიორე, ალან ლანდსბერგი, გზად რიჩმონდისაკენ, დასასრული, თარგმნა დურმიზან გრიგოლაშვილმა	305

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ერთიანი ფორსაჟი

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

1993 № 2

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

მთავარი რედაქტორი:

შოთა ნიშნიანიძე

ვივი ძეგლაძე

(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ნანა ღარჩია

(პასუხისმგებელი მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:

ჯემალ აჩიაშვილი

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

ბურაკი გოგიაშვილი

ნოდარ ბურკაშვილი

მამალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

რენე კალანდია

გიორგი ნიშნიანიძე

დალი ფანჯიკია

ნიკო ყიასაშვილი

დავით ფერედიაანი

შეტვარი ავტორები ვართბბბბ. ტექნიკური რედაქტორი ნანა ბარტაია.

გარეკანზე: ფიოდორ ძეგრიკო (1791-1824). პრემილა მამლუშბბბბბ.

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის 93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარ. 1. 02. 93 წ., ხელმოწ. დასაბეჭდილ 31. 05. 93 წ., ქალაქის ზომა 70x108¹/₁₆.
საღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. ტარ. 3000. შეკვ. № 129.

ფასი 25 მან.

საქართველოს მწერალ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველოს“ სტამბა,
380009, თბილისი, მ. კობახიძის ქ.



ბიოგრაფიული ნარკვევი

1. თრი მაილ კროსი

საყოველთაოდ აღიარებული გახლავთ, რომ გვარეულობა, რომლის შთამომავლადაც ამ ბიოგრაფიული ნარკვევის გმირი მიიჩნევს თავს, ერთ-ერთი უძველესთაგანია. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ამ გვარეულობის წარმოშობის საკითხიც კი ბურუსითაა მოცული. მრავალი მილიონი წლის წინათ ის მიწა, ახლა რომ ესპანეთი ჰქვია, სამყაროს ქმნადობის დუღილში იყო ჩართული და მოუსვენრად თუხთუხებდა. ხანა ენაცვლებოდა ხანას. მიწაზე მცენარეული საფარი გაჩნდა. სადაც მცენარეულობაა, იქ ბუნების კანონით კურდღელიც უნდა იყოს. და სადაც კურდღელია, იქ ღვთის განჩინებით ძაღლიც უსათუოდ იქნება. ამაში ისეთი არაფერია, კითხვას რომ აღძრავდეს, ან რაიმე განმარტებას ითხოვდეს. მაგრამ საქმე მაშინვე საჭოჭმანოდ იქცევა როგორც კი ვიკითხავთ: რატომღა დაერქვა სპანიელი კურდღელზე მონადირე ძაღლს? ზოგიერთი ისტორიკოსის ცნობით, როცა კართაგენელები ხომალდებიდან ესპანეთის მიწაზე გადმოსხდნენ, ჯარისკაცებმა ერთბაშად შესძახეს: „სპან! სპან!“, რადგან ყველა ბუჩქიდან თუ ჩირკვიდან შურდულივით გადმოცვივდნენ კურდღლები. მიწა კურდღლებით იყო აფუთფუთებული და სპან კართაგენელთა ენაზე სწორედ კურდღელს ნიშნავს. ამრიგად, ქვეყანას უწოდეს ჰისპანია ანუ კურდღლების ქვეყანა, ხოლო ძაღლებს, იმწამსვე რომ თვალი ჰკიდეს, კურდღლების დევნაში ჩაბმულებს, სპანიელები, ანუ კურდღლის მდევარი ძაღლები შეარქვეს.

ბევრი ჩვენგანი ალბათ დასჯერდებოდა ამ ცნობას და მეტს აღარ ჩაეძიებოდა. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს დავეუმატოთ, რომ არსებობს მეცნიერთა მეორე სკოლა, რომელსაც სრულიად განსხვავებული აზრი გააჩნია ხსენებულ საკითხზე. ამ სწავლულთა შეხედულებით სიტყვა ჰისპანიას არაფერი აქვს საერთო კართაგენულ სიტყვა სპანთან. — ჰისპანია წარმოდგება ბასკური სიტყვიდან *espana* რაც ნიშნავს კიდეს ან საზღვარსო, — ამბობენ ისინი. ეს თუ ასეა, მაშინ კურდღლები, ბუჩქები, ძაღლები, ჯარისკაცები და მთელი ეს რომანტიკული და სასიამოვნო სურათი თავიდან უნდა ამოვიგდოთ და უბრალოდ ვივარაუდოთ, რომ სპანიელს ჰქვია სპანიელი. რადგან ესპანეთს ჰქვია *Espana*. რაც შეეხება სიმკვლის მკვლევართა მესამე სკოლას, მისი მტკიცებით: როგორც თავის საყვარელ ქალს კაცი ალერსით ეტყვის ხოლმე მაიმუნს ან ჯოჯოს, სწორედ ასევე საალერსოდ ეძახდნენ ესპანელები თავის საყვარელ ძაღლებს ბანჯვულიანს ან დაფეხვილს (სიტყვა *espana*-ს შეიძლება ეს მნიშვნელობებიც მი-

ვალეზინოთ), რადგან ხსენებული თვისებები ზუსტად იმისი საპირისპიროა, რასაც სპანიელი განასახიერებს. ეს ვარაუდი იმდენად ფანტასტიკურია, რომ მისი სერიოზულად მიღება ჭირს.

უკვლით რა გვერდს ამ თეორიებს და კიდევ ბევრ სხვას, რომელთა გამო შეყონება საჭიროდ არ მიგვაჩნია, პირდაპირ გადავდივართ მეათე საუკუნის შუა ხანის უელსში. სპანიელი აქ უკვე რამდენიმე საუკუნის შემდეგ იქნება ესპანური კლანის ეპიკორის თუ ივორის მიერ და ამ დროისთვის ნამდვილად დიდი სახელისა და ასევე დიდი ღირებულების მქონე ძალდი გახლავთ. „მეფის სპანიელის ღირებულება შეადგენს ერთ გირვანქას“, — ვკითხულობთ ჰაუელ დჰას კანონთა წიგნში. და როცა გავიხსენებთ, თუ რისი ყიდვა შეეძლო ერთ გირვანქას ქრისტეს აქეთ 948 წელს, რამდენი ცოლის, მონის, ცხენის, ხარის, ინდაურისა და ბატისა — ცხადი ხდება, რომ სპანიელი ამ დროისათვის მართლაც ძვირად ღირებული და დიდად სახელმძოხვეჭილი ძალდი ყოფილა. მას უკვე დაუმკვიდრებია ადგილი მეფის გვერდით. მისი მოდგმა გაცილებით ადრე აღზევებულა, ვიდრე წინაპარი ბევრი სახელგანთქმული მონარქისა. იგი უკვე განცხრომას ეძლეოდა სასახლეებში მაშინ, როცა პლანტაგენეტები, ტიუდორები და სტიუარტები სხვის გუთანს ეკიდნენ და სხვის ყანაში ზელდნენ ტალახს. გაცილებით იმაზე ადრე, ვიდრე ჰოვარდები, კავენდიშები და რასსელები ამალდებოდნენ შაბიო სმითების, ჯოუნზების და ტომკინების ბრბოზე, სპანიელის გვარი უკვე სხვათაგან გამორჩეული და გამოცალკევებული იყო. და საუკუნეთა მდინარებაში მცირე შტოები გამოეყო გენეალოგიურ ხეს. თანდათანობით, ინგლისის ისტორიის მსვლელობის კვალდაკვალ, სპანიელის მოდგმაში გაჩნდა არანაკლებ შეიქმნილი სახელგანთქმული გვარისა: კლამბერი, სასექსი, ნორფოლკი, ბლექფილდი, კოკერი, აირიშ უოტერი და ინგლიშ უოტერი. ყველა მათგანი პრეისტორიული სპანიელისგანაა წარმოშობილი, მაგრამ მკვეთრი თავისებურებით გამოირჩევა და ეჭვი არ არის, სწორედ ამიტომ ასევე გამორჩეულ პრივილეგიებზე აცხადებს პრეტენზიას. ელიზაბეტ დედოფლის დროს რომ ძაღლების არისტოკრატია ნამდვილად არსებობდა, ამის საბუთს გვაძლევს სერ ფილიპ სიდნი: „...არიან მწვერვლები, სპანიელები და მეძებრები, — წერს იგი თავის „არკადიაში“, — რომელთაგან პირველნი შეგვიძლია მივიჩნიოთ ძაღლების ღორღებად, მეორენი — აზნაურებად, ხოლო უკანასკნელნი — იომენებად“.

მაგრამ თუ ამ ცნობაზე დაყრდნობით ვივარაუდებთ, რომ სპანიელები ბაძავდნენ ადამიანების მაგალითს და მწვერვლებს უყურებდნენ, როგორც მათზე აღმატებულ არსებებს, ხოლო მეძებრები თავისზე დაბლა მდგომებად მიაჩნდათ, მაშინ იძულებული ვიქნებით ვაღიაროთ, რომ ძაღლების არისტოკრატობა უკეთეს საფუძველს ემყარებოდა, ვიდრე ჩვენი. ყოველ შემთხვევაში, ასეთ დასკვნას ვერ გაექცევა ვერაუინ, ვინც კი სპანიელთა კლების წესდებას შეისწავლის. ამ უაღმატებულესი კორპორაციის მიერ მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, თუ რა წარმოადგენს სპანიელის ნაკლს და რა — მის ღირსებას. მაგალითად, ღია ფერის თვალები არასასურველადაა მიჩნეული, შეგრაგნილი ყურები — ბევრად ამაზე უკეთესად. ქონჩით ან ღია ფერის ცხვირით დაბადება, არც მეტი, არც ნაკლები, ავი ბედისწერის ნიშანია. ღირსებებიც ასევე მკაფიოდ განისაზღვრება: თავის ზედაპირი უზინჯო, ვლუვი, შუბლიდან ცხვირის წვერამდე ზედმეტი დაქანების გარეშე. თავის ქალა — შედარებით მომრგვალებული და კარგად განვითარებული — ტვინს რომ ფართო სათავსო ჰქონდეს. თვალები ბუდეებშევისებული, მაგრამ არა გადმოკარკლული, საერთო გამომეტყველება — გონიერი და სათნო. სპანიელს,

რომელიც ამ ნიშანდობლიობას წარმოაჩენს, ყოველმხრივ ხელს უწყობენ და შთამომავლობას ამრავლებინებენ, ხოლო სპანიელის ოჯახი, რომელიც ქორთოსა და ღია ფერის ცხვირს ჯიუტად გადასცემს თაობიდან თაობას, მოკვეთილი იქნება მისი ჯიშისთვის დაწესებულ პრივილეგიებისა და შემოსავლისაგან. ამრიგად, მსაჯულები ადგენენ კანონს და კანონის დადგენით აწესებენ სასჯელსაც და პრივილეგიებსაც, რომლებიც უზრუნველყოფენ კანონის წინაშე მოჩივლებას.

მაგრამ თუ ახლა ადამიანთა საზოგადოებისაკენ შემოვბრუნდებით, ქოჩი ქაოსი გვეცემა თვალში და რა დასკვნა შეგვრჩება ხელს! არც ერთ კლუბს არა აქვს ასეთი იურისდიქცია ადამიანის ჯიშის შესახებ. სპანიელთა კლუბს ყველაზე მეტად პერალდიკური კოლეგია უახლოვდება. ყოველ შემთხვევაში, იგი როგორც ცდილობს დაიცვას ადამიანის მოდგმის სიწმინდე. მაგრამ როდესაც ვსვამთ კითხვას: რა არის კეთილშობილური წარმოშობის განმსაზღვრელი ნიშნები: თვალები — ღია თუ შუქი? ყურები — სწორი თუ შეგრაგნილი? ან ქორთი თუ ავი ბედისწერის ნიშანი? ჩვენი მსაჯულები, უბრალოდ, ჩვენი ღერბებისაკენ მიგვახედებენ. იქნებ თქვენ ღერბი არ გაგაჩნიათ? მაშინ რაზეა ლაპარაკი, თქვენ საერთოდ არ არსებულხართ! მაგრამ მოდიოთ და ერთხელ საცნაურყავით, რომ თქვენსმეტდანაყოფიან ღერბზე აცხადებთ პრეტენზიას, ან დაამტკიცეთ, რომ უფლება გაქვთ პერის გვირგვინზე, მაშინ, მათი თქმით, არათუ არსებობთ, კეთილშობილი წარმოშობისაც კი ბრძანდებით. ამიტომაა, რომ მთელ მეიფეერში ერთი მეფუნთუშე არ მოიძებნება, ღერბზე გამოსახული მწოლარე ლომის და ყალყზე შემდგარი სირინოზის ნაკლებობას რომ განიცდიდეს. ჩვენს თეთრეულით მოვაჭრეებსაც კი სადარბაზოს კარს ზემოთ სამეფო ღერბები წამოუჭიმავეთ, თითქოს ეს იმისი საბუთი იყოს, რომ მათ ზეწრებზე წოლა უსაფრთხოა. ყველგან რანგს ეპოტიინებიან და მის უფლებათა შემომტკიცებას ლაპობენ. არადა, როცა თვალს ვადავაულებთ ბურბონთა, ჰაბსბურგთა, ჰოჰენცოლერნთა სამეფო სახლებს, ამდენი გვირგვინისა და ამდენ მეოთხედად დაყოფილი ღერბების პატრონთ, ამდენი მწოლარე და ყალყზე შემდგარი ლომით თუ ლეოპარდით დამშვენებულთ, და იმასაც ვნახავთ, რომ ამჟამად ხელისუფლება ჩამორთმეულნი და განდევნილები, ისინი საერთოდ პატივისცემის უღირსებად არიან მიჩნეულნი, სხვა რაღა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ თავი გადავაქნიოთ და ვთქვათ, — სპანიელთა კლუბის მსაჯულნი უკეთ სჯიდნენო. სწორედ ასეთ სურათს ვაწყდებით, როგორც კი მაღალი მატერიებიდან ფლავის მიერ მიტფორდებთან გატარებულ ფრმოზის დროინდელ ცხოვრებას მივუბრუნდებით.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსთვის სახელგანთქმული ჯიშის სპანიელთა ერთი ოჯახი ცხოვრობდა რედინგის ახლოს ვინმე ექიმ მიდფორდის თუ მიტფორდის სახლში. პერალდიკური კოლეგიის ყველა მოთხოვნის დაცვით ამ ჯენტლმენმა არჩია თავისი გვარი ასო ტ-თი დაეწერა, რითაც დაიკანონა ბერტრამის ციხე-დარბაზის მფლობელი ნორთამბერლანდელი მიტფორდების ჩამომავლობა. მისი ცოლი, მის რასელი, გახლდათ თუმც შორეული, მაგრამ უეჭველი შთამომავალი პერცოგ რედფორდებისა. ეს კი ასე იყო, მაგრამ ექიმ მიტფორდის წინაპრები თავიანთ მეორე ნახევრებთან შეწყვილებისას ისე დაუღვევრად ეკიდებოდნენ დადგენილ პრინციპებს, რომ საქმე თუ საქმეზე მიდგებოდა, არ უნდა მოძებნილიყო მსაჯულთა ისეთი კოლეგია, რომელიც მისაღებად ჩათვლიდა მის პრეტენზიას კარგ წარმომავლობაზე და დასაშვებად მიიჩნევდა, რომ მას მსგავსნი იყისნი ემრავლებინა. რამეთუ მას თვალები ღია ფერისა ჰქონდა, ყურები შეგრაგნილი და თავზე თმა საბედისწეროდ წამოქორთოდა, ანუ, სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ, ის იყო წმინდა წყლის ეგვიპტე, თვალთმაქცი, მოუზომავად მხარ-
ჯველი, მიწიერ სიტყვობას დაწაფებული და აზარტულ თამაშებს გადაყოლი-
ლი. საკუთარი ქონებაც გაფლანგა, ცოლის ქონებაც და თავისი ქალიშვილის შე-
მოსავალიც. როცა უღბინდა, მიატოვა ისინი და როცა დაუძლურდა, კისერზე
დააწვა მათ. ისე კი ორი ღირსებით ნამდვილად იყო დაჯილდოებული: დიდი
პიროვნული სილამაზით — ვიდრე ღორმუცელიობამ ედამის მსახურზე მი-
ძალეობამ აპოლონი ბახუსად არ აქცია — და მისივე ალალი
სიყვარულით უყვარდა ძაღლები. მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველია: სპანიელთა
კლუბის მაგვარი კაცთა კლუბი რომ არსებულებოდა, ვერც დ-ს მაგივრად ტ-თი
დაწერილი გვარი და ვერც ბერტრამის ციხე-დარბაზის მფლობელ მიტფორდთა
ბიძაშვილობა ვერ ააცილებდა მას სახელის გატეხასა და ზიზღს, წესიერი სა-
ზოგადოებიდან მოკვეთის სასჯელს და ვერც იმას, რომ მამაძაღლის დამდით და-
ედალათ და შთამომავლობის გაგრძელების უღირსად ეცნოთ. მაგრამ იგი კაცი
იყო და მისთვის ხელი არაფერს შეუშლია, ცოლად რომ ძაღლის წოდების ლედი
შეერთო, თავის მფლობელობაში მწევრებისა და სპანიელების რამდენიმე თაო-
ბა რომ ჰყოლოდა და ქალიშვილის მამაც გამხდარიყო.

ვერავითარი კვლევით ვერ მოხერხდა სარწმუნოდ დადგენა ფლაშის დაბა-
დების ზუსტი წელიწადისაც კი, თორემ თვესა და დღეს ვინღა დაეძებს. ისე ჩანს,
რომ იგი სადღაც 1842 წლის დასაწყისში უნდა იყოს დაბადებული. ჩნდება
ვარაუდი, რომ ფლაში შესაძლოა ტრეის (დაახლ. 1816) პირდაპირი შთამომა-
ვალი ყოფილიყო, იმ ტრეისა, რომლის ნიშანდობლობა, — სამწუხაროდ, არც-
თუ ისე სანდო წყაროში, პოეზიაში რომ შემონახულა მხოლოდ, — მას წარმო-
აჩენს ყველა ღირსებით შემკულ წითელ კოკერ-სპანიელად. ხოლო ფაქტებით თუ
ვიმსჯელებთ, სრული საფუძველი გვაქვს ფლაში მივიჩნიოთ იმ „ნამდვილ-ძვე-
ლებურ კოკერ-სპანიელის“ ვაჟად, რომლის საფასურად ექიმმა მიტფორდმა ოცი
გინეაც კი იცოტავა, „რამეთუ ნადირობაში ბადალი არა ჰყავსო“. ვაკლახ, რომ
თვით ფლაშის სიყმაწვილის დროინდელ ნიშან-თვისებათა დაწერილობითი აღ-
წერა ისევ პოეზიას უნდა მივანდოთ: ბეწვი მუქი წაბლისფერი ჰქონდა, იმ გან-
საკუთრებული ელფერისა, მზეზე რომ „ოქროსებრ ელვარებს“. თვალეზე
ნათქვამია: „გაოცებული მისი თვალეები, თაფლის ფერისა“. ყურები „მსგავსი
დიდი და ღბილი ფუნჯებისა“, და „ჩამოქნილი ფეხები, წვრილი, ბეწვის ფოჩებ-
შემოვლებული“, კუდი კი — ფართო. თუ მხედველობაში მივიღებთ რითმის გუ-
ლისთვის ერთი სიტყვის მეორეთი შენაცვლების აუცილებლობას და საერთოდ
პოეტური მეტყველების პირობითობას, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ აღწერილო-
ბაში ისეთი არაფერია, სპანიელთა კლუბის მოწონებას რომ არ იმსახურებდეს.
ჩვენ უკვე დაუეჭვებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფლაში წმინდა სისხლის კო-
კერი იყო, წითელი ნაირსახეობისა, — მისი ჯიშისთვის დამახასიათებელი ყვე-
ლა ღირსების მატარებელი.

სიცოცხლის პირველი თვეები ფლაშმა თრი მაილ კროსზე გაატარა, ღარი-
ბულ კოტეჯში, რედინგის ახლოს. მას შემდეგ, რაც მიტფორდებს საქმე ცუდად
წაუვიდათ, — ერთადერთი ინსახურის, კერენჰეპოკის ამარა დარჩნენ — სკამის
შალითებს მის მიტფორდი თავისი ხელით კერავდა და თანაც ყველაზე იაფფა-
სიანი ქსოვილისგან. როგორც ჩანს, იმხანად მათ სახლში მთავარ ავეჯად დიდი
მაგიდა ითვლებოდა, მთავარ ოთახად კი — დიდი სათბური. ასეთ პირობებში შე-
უძლებელია სპანიელი მისი ძაღლისთვის შესაფერისი ფუფუნებით ყო-
ფილიყო გარემოცული: ანუ საცხოვრებლად წყალგაუმტარი სადგომი ჰქონოდა,

სასეირნოდ — მოკირწყლული ბილიკები, და საგანგებოდ მიჩენილი პირისფარე-
შიც ჰყოლოდა. მაგრამ მაინც გაღალდა ფლაში. ახალგაზრდული ტემპერამენტის
მთელი სიცხოველით დაეწაფა იგი ყველა სიამოვნებას, რაც კი ბუნებას მისი
ასაკისა და სქესისათვის დაუწესებია, ან გამონაკლისის სახით უვარაუდია.

მართალი რომ ითქვას, მის მიტფორდი მეტისმეტად იყო მიჯაჭვული სახ-
ლთან: ჯერ იყო და მამას საათობით ხმაძალდა უკითხავდა წიგნებს და ეთამაშე-
ბოდა ბანქოს. მერე, როცა მოხუცს ბოლოს და ბოლოს ჩაეძინებოდა, იგი სათ-
ბურში მაგიდას უნდა მიჯდომოდა და თავაუღებლად ეწერა და ეწერა, რომ
როგორმე ანგარიშები გაესწორებინა და ვალები დაეფარა. მაგრამ ბოლოს მა-
ინც დგებოდა ნანატრი წუთი: მის მიტფორდი მიყრიდა გვერდზე ქაღალდებს, წა-
მოიცვამდა თავზე ქუდს, ხელს დაავლებდა ქოლგას, გაიყოლებდა ძაღლებს და
მინდვრებისკენ გაუტევედა სასეირნოდ.

სპანიელი ბუნებისგან თანაგრძნობის ნირითაა დაჯილდოებული. და ფლაშს,
როგორც მთელი მისი ცხოვრება მოწმობს, მოჭარბებულადაც ჰქონდა ადამიანის
გრძნობათა გაზიარების უნარი. და აი ახლა, როცა მის ქალბატონს ბოლოს და
ბოლოს სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა ეღირსებოდა, ნიავი თეთრ თმას აუწეწავდა
და ახალგაზრდულად გადატკეცილ ლოყებს აუწითლებდა, როცა თანდათან
უშველებელი შუბლის ღარებიც ვაეშლებოდა, მის შემყურე ფლაშს ნავარდის
დაუოკებელი სურვილი აიტანდა. და ძაღლის ამგვარი თავაწყვეტილობა, სა-
ნახევროდ მაინც, ქალბატონის სიამოვნებისადმი თანაზიარობის ნიშანი იყო. ვი-
დრე ქალბატონი მაღალ ბალახში მიაბოტებდა, სპანიელი ხან ერთ, ხან მეორე
მხარეს გაიჭრებოდა და მწვანე ფარდას შუაზე ხსნიდა. ცვარისა და წვიმის წვე-
თები ლეშხად გადმოდის და მის ცხვირწინ ცისარტყელას ფერებით ლივლი-
ვებდა. ალაგ მაგარი, ალაგ რბილი, ალაგ ცხელი, ალაგ ცივი მიწა თათის რბილ
ბალიშებს უღიზიანებდა, ტკენდა, უღიტიინებდა. და გარდა ამისა, ნუ იტყვიოთ,
სუნთა რა ნაირგვარობა — რა უნატიფესად შერწყმული და შეზავებული —
სწედებოდა მის ყნოსვას და უთრთოლებდა ნესტოებს. მიწის სიმსუყე, ყვავილების
ტკბილსურნელება, ფოთლოვანისა და მაცელოვანის სახელდაურქმეველი სურნე-
ლი, გზაზე გადასვლისას შემოფეთებული მომჟავო სუნი, პარკოსანთა ყანებში
დატრიალებული ნაირგვარ სუნთა სიმძაფრე... მაგრამ ქარის ერთი წამოქროლება
და, მოვარდებოდა სუნი უფრო მძაფრი, უფრო ძალუმი, უფრო მტანჯველი, ვიდრე
რომელიმე სხვა — სუნი, რომელიც შავ ტეინში შეეჭრებოდა და ათას ინსტინქტს
აუფორიაქებდა, მილიონ მოგონებას დასძრავდა, — სუნი კურდღლისა და სუნი
მელიის. ისიც მოწყდებოდა ადგილს, გაკკურცხლავდა წყლის ძლიერ ნაკადს გა-
დევნებული თევზის სისწრაფით და წავიდოდა, და წავიდოდა, და წავიდოდა...
ავიწყდებოდა თავისი ქალბატონი, ადამიანის გასაკისიც კი ავიწყდებოდა. მხო-
ლოდ შავკანიანი კაცების ხმა ჩაესმოდა ყურში: „სპან! სპან!“ ჩაესმოდა მათრახე-
ბის ტკაცუნა. და გარბოდა დაოთხილი, გარბოდა, მიჰქროდა. ბოლოს უეცრად
შეჩერდებოდა გაოგნებული, მოეხსნებოდა ჯადო-თილისმა. და ნელა, ძალიან ნე-
ლა, კუდის მორჩილი ქიცინით მოცუხცუხებდა უკან, მინდორ-მინდორ, იქითკენ,
სადაც მის მიტფორდი დამდგარიყო, იქნევდა ქოლგას და გასძახოდა: „ფლაში
ფლაში! ფლაში!“

და აი ერთხელ (ერთხელ ნამდვილად, თუ მეტჯერ არა) ეს ძახილი კიდევ
უფრო მბრძანებლური რიხით გაისმა. მონადირის საყვირმა ბევრად უფრო ღრმა
ინსტინქტები გამოუღვიძა, უფრო ძალუმ და უფრო ველურ გრძნობებს მოუხ-
მო, — გრძნობებს, რომლებმაც ხსოვნის მიღმიდან გამოაღწიეს და ექსტაზის ვე-

ღურბ ყიჟინით ერთბაშად წარხოცეს პირიდან მიწისა ხის და ბალახის, კურდ-
ღლის, ბოცვერისა და ძელიის სახსენებელი. ეს სიყვარულმა შეანათა მას თა-
ვისი მამხალა პირდაპირ თვალებში. ეს ვენერას სამონადირეთ საყვირის ხმა
მისწვდა მის სმენას. და ვიდრე ლეკვობის ასაკიდან გამოვიდოდა, ფლაში უკვე
მამა შეიქნა.

ასეთი რამ კაცსაც რომ ჩაედინა 1842 წელს, მის ბეჭდურ ფიქრებს რაიმე გასა-
მართლებელი საბუთის მოძიება უსათუოდ დასჭირდებოდას უკაცსაც უცქმეთქი. და
ქალს ხომ არანაირი საბუთი არ უშველიდა. მისი სახელი უნდა ამოშანთულიყო
წიგნის ფურცლიდან. მაგრამ ძაღლების მორალური კოდექსი — ავია ეს თუ კარ-
გი — ჩვენისგან ნამდვილად განსხვავდება. და ამ მხრივ ფლაშის საქციელში
ისეთი არაფერი ყოფილა, რასაც ახლა შეფარვა სჭირდებოდეს, ანდა მაშინ ხელი
შეუშალოს მისთვის, რომ ქვეყნად არსებულ ყველაზე სუფთა და უბიწო საზოგა-
დოების ღირსეულ წევრად მიეჩნიათ. სხვათა შორის, არსებობს მოწმობა, რომ
ექიმ ჰიუზის უფროს ძმას მოუწადინებია ფლაშის ყიდვა. ვმსჯელობთ რა ექიმ
ჰიუზის ყველასთვის ცნობილ ზნე-ხასიათის მიხედვით მისი ძმის სავარაუდო
ზნე-ხასიათზე, ვასკვნით, რომ ფლაშის სახით საქმე უნდა გვექონოდა რაღაც მე-
ტად სერიოზულ ფენომენტთან, რომელიც ბრწყინვალე მომავლის იმედს იძლეოდა.
მიუხედავად იმისა, რა თავქარიანიც არ უნდა ყოფილიყო იგი ლეკვობის ასაკში.
მაგრამ ფლაშის უებრო ნიჭთა მიზიდულობის ძალას კიდევ უფრო მეტად ის ფაქ-
ტი ამუღავნებს, რომ, მიუხედავად მისტერ ჰიუზის სურვილისა ეყიდა იგი, მის
მიტფორდს უარი უთქვამს მის გაყიდვაზე, მაშინ როცა მის მიტფორდი თავს
იტეხდა იმაზე ფიქრით, ფული რა გზით ეშოვა, რა ტრაგედია შეეთხზა, რომე-
ლი ფურნალის რედაქტორობა ეკისრა — და იმ დამამცირებელი ნაბიჯის გადად-
გმასაც კი არ დაერიდა, მეგობრებისთვის რომ ეთხოვა ხელის გამართვა, — მის-
თვის იოლი არ იქნებოდა ექიმ ჰიუზის უფროსი ძმის მიერ შემოთავაზებულ თან-
ხაზე უარის თქმა. ერთ დროს ფლაშის მამაში ოცი გირვანქა შეაძლიეს. ახლა
მის მიტფორდს თამამად შეეძლო ათი-თხუთმეტი გირვანქა მოეთხოვა ფლაშის
საფასურად. ათ-თხუთმეტი გირვანქას ეხუმრები? ეს ხომ მეფური თანხაა! ათ-
თხუთმეტი გირვანქად რას არ გააკეთებდა! სკამებს შალითებს შეუცვლიდა, სათ-
ბურს გადაახალისებდა. ის კი არადა, თავით ფეხამდე შეიმოსებოდა. მით უმეტეს,
რომ „ეს ოთხი წელია არ მიყიდა ბერეტი, ლაბადა, კაბა, ერთი წყვილი ხელ-
თათმანიც კი“, — ვკითხულობთ მის 1842 წ. ჩანაწერში.

მაგრამ ფლაშის გაყიდვას თავში ფიქრადაც ვერ გაივლებდა. იგი საგანთა
იმ იშვიათ რიგს განეკუთვნებოდა, ფულთან მიმართებაში რომ არ აღიქმებიან.
იქნებ სულაც იმ უიშვიათეს სახეობას წარმოადგენდა, რომელსაც — იმის გამო,
რომ სულიერი ღირებულებაა და ფასი არ შეიძლება დაედოს — უფლება აქვს
უანგარო მეგობრობის გამომხატველ საჩუქრად იქცეს და ამ დანიშნულებით მი-
ერთვას კიდევ მეგობარს, თუ ადამიანს ბედი სწყალობს და გააჩნია მეგობარი,
თანაც ისეთი, მის მიტფორდს რომ ჰყავს, — მეგობარი, რომელსაც უფრო საკუ-
თარი ქალიშვილივით უყურებს, მეგობარი, რომელიც მთელი ზაფხული წევს გა-
მოკეტილი უიმპოულ სტრიტზე აღმართულ სახლის უკანა საწილ ოთახში, მეგო-
ბარი, რომელიც სხვა არავინაა, თუ არა თვით ინგლისის უპირველესი პოეტი
ქალი, უბრწყინვალესი და ბედისგან განწირული, სათაყვანებელი ელიზაბეტ ბა-
რეტი. ასეთი აზრები სულ უფრო და უფრო ხშირად მოსდიოდა მის მიტფორდს
მაშინ, როცა ფლაშის მზის გულზე კუნტრუმსა და კოტრიალს შეჰყურებდა; და
მაშინაც, როცა ლონდონში მის ბარეტის ლოგინთან იყო მიმჯდარი მის ჩაბნე-

ლტბულ, სურთი დაჩრდილულ საწოლ ოთახში. უმტკიცდებოდა რწმენა, რომ ფლაში ნამდვილად ღირსია მის ბარეტისა და მის ბარეტი — ღირსია ფლაშის. დიდზე დიდი იყო მსხვერპლი, მაგრამ მსხვერპლის გაღება უნდა მომხდარიყო. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, — ალბათ 1842 წლის ზაფხულის დამდეგს, უთუოდ ბევრმა დაინახა, როგორ დაუყვა უიმპოულ სტრიტს ერთი მეტად საინტერესო წყვილი: ზომაზე ტანდაბალი, მსუქანი და გაცრეცილსამოსიანი ხანში შესული დეიდა, — დაუღაჟა წითელი ლოყებით და ქაიქათა თეთრი თმით რომელიმე მსხვერპლს რადღებას, და ზომაზე მეტად ცქვიტი. ზომაზე მეტად ცნობისმოყვარე, ზომაზე კარგად ნაპატიები კოკერ-სპანიელის ჯიშის ოქროსფერი ლეკვი, ძეწკვით რომ მიჰყავდა ლედის. მათ თითქმის ჩაათავეს ქუჩა და შეჩერდნენ № 50-თან. ვერ ვიტყვით, რომ თრთოლვის გარეშე მისწედა ზარს მის მიტფორდი.

ალბათ ახლაც კი თრთოლვის გარეშე კერავინ შებუდავს ზარის დასარეკად რომელიც გნებავთ სახლს, თუ ის უიმპოულ სტრიტზე დგას. ეს არის ლონდონის ქუჩათა შორის ყველაზე დიადი, ყველაზე უპიროვნო ქუჩა. ჰოდა, თუ მოგეჩვენათ, რომ ცივილიზაციას საძირკველი ერყვევა და ქვეყნიერება სადაცაა უნდა დაინგრეს, ერთადერთი, რაც უნდა იღონოთ, ესაა, რომ ადგეთ და უმაღლ უიმპოულ სტრიტს მიაშუროთ, ფეხით გაიაროთ ეს გამზირი, მიმოათვალიეროთ მისი სახლები, შეიგრძნოთ მათი ერთსახოვნება, გაოცდეთ ფანჯრებზე ფარდების მუდმივობით, აღტაცდეთ უკლებლივ ყველა კარზე თითბრის ჩაქუჩთა თანამიმდევრობით, თვალი ადევნოთ, როგორ აწვდიან ყასბები მზარეულებს დაფეშხოებული საქონლის საუკეთესო ნაჭრებს, და უყუროთ, როგორ იღებენ მათ ყასბებისგან მზარეულები, მოიანგარიშოთ იქაურ მცხოვრებთა შემოსავალი და გულისხმაკყოთ, თუ შესაბამისად რა ზომისაა მორჩილება, რასაც ისინი იჩენენ ღვთისა და ადამიანთა კანონის წინაშე. დიახ, სწორედ უიმპოულ სტრიტს უნდა ეწვიოთ და დაეწაფოთ სიმშვიდეს, რომელსაც ძალაუფლება გამოსცემს, რათა აღმოგზდეთ სამადლობელი იმისა, რომ — მაშინ როცა კორინთო დაეცა და მესინა დაიქცა, გვირგვინები გარდაქარდნენ და ძველი იმპერიები ცეცხლში დაინთქნენ, — უიმპოულ სტრიტი დარჩა ურყევი, და როცა უიმპოულ სტრიტიდან ოქსფორდ სტრიტისკენ გაუხვევ, გულიდან დაიძვრას და ბავეს მოწყდება მხურვალე ლოცვა; დე უიმპოულ სტრიტის არც ერთ აგურს არ შეცვლოდეს წახნავის ფორმა, არც ერთ ფარდას არ შეცვლოდეს რეცხვისგან ფერი, ყასბებს ხელი არ მოცარვოდეთ ცხერისა თუ საქონლის სუკის, ბარკლის, ნეკნების და მკერდის ნაჭრის მიწოდებაში და მზარეულებს — მათ ჩამორთმევაში, ნუმც მომხდარიყოს ეს ნურასოდეს! რამეთუ ვიდრე უიმპოულ სტრიტი იქნება ქვეყნად, ცივილიზაციას არ ელის საფრთხე.

უიმპოულსტრიტელი მსახურთუხუცესები დღესაც მძიმე-მძიმედ დააბიჯებენ. 1842 წლის ზაფხულში კიდევ უფრო დინჯად ირჯებოდნენ, ლივრის ტარების კანონი მაშინ უფრო მკაცრი იყო, უფრო გულმოდგინედ დაცული გახლდათ მწვანე წინსაფრის რიტუალიც ვერცხლეულის წმენდისას, ისევე როგორც ზოლიანი ფილეტის და შავი ფრაკის აუცილებლობა პოლის კარების გამღებისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიტფორდი და ფლაში, სულ ცოტა, სამი წუთი მაინც აღოდინეს ქუჩაში კარის წინა საფეხურზე. ბოლოს, რა თქმა უნდა, ნომერ ორმოცდაათის კარი ფართოდ გაიღო. ფლაში და მისი დიასახლისი შეუშვეს. ეს უკანასკნელი აქ ხშირი სტუმარი იყო. ბარეტების საგვარეულო სასახლის იერში ისეთი არაფერი შეინიშნებოდა, მის მიტფორდი რომ გაეკვირვებინა, თუმცა დამთრგუნველი კი იყო რაღაცა. მაგრამ ფლაშს რაც შეეხება,

მისი შთაბეჭდილება უეჭველად გამაოგნებელი უნდა ყოფილიყო. აქამდე ხომ მას ფეხი არც ერთ სახლში არ შეეღვა, გარდა თრი მაილ კროსზე მიტფორდების საცხოვრებელი ღარიბული კოტეჯისა, სადაც ფიცრული იატაკი შიშველი იყო, ფარდაები — კიდეებზე მოცვეთილი, სკამები — იაფფასიანი. აქ კი, რასაც ფლაშმა თვალი მოატანა არაფერი იყო არც შიშველი და გაცვეთილი და არც იაფფასიანი. აქაურობის ბატონ-პატრონი მისტერ ბარეტი მდიდარი ვაჭარე ნებადართ. მისტერ ბარეტს დიდი ჯალაბი ჰყავდა — ზრდასრული ვაჭარე ნებადართ. მისტერ ბარეტს მთელი დასი, მსახურთა შტატიც — შესაბამისად დიდი. მისი სახლი მოგვიანო ოცდაათიანი წლების ყაიდაზე იყო გაწყობილი და, თქმა არ უნდა, იქ უდავოდ შეიგრძნობოდა ის აღმოსავლური ფანტაზიის კვალი, რომლის გავლენითაც ერთ დროს შროპშირში აშენებული სახლი მავრიტანული სტილის გუმბათებითა და ნახევარმთვარეებით შეამკო. აქ, უიმპოულ სტრიტზე, ცხადია, მის ფანტაზიას ასეთი გაქანების სარბიელი ვერ მიეცემოდა, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ის მაღალი ჩაბნელებული ოთახები აღმოსავლური ტახტებითა და წითელი ხის მოჩუქურთმებული ავეჯით იყო გამოვსებული. გრეხილ მაგიდებზე ფილიგრანული ხელოვნებით ნაკეთები ნივთები ელაგა, ღვინისფერ კედლებზე ხანჯლები და ხმლები ეკიდა. ნიშებში აღმოსავლეთ ინდოეთიდან ჩამოტანილი ნატიფი საგნები იდგა, ხოლო იატაკზე სქელი, მდიდრული ნოხები იყო მოფენილი.

მაგრამ როცა ფლაში მსახურთუხუცესის უკან მიმავალ მის მიტფორდს ცუხ-ცუხით მიხდევდა, უფრო იმით იყო გაოგნებული, რასაც ყნოსვით შეიგრძნობდა, ვიდრე იმითი, რასაც თვალით ხედავდა. ქვემოთ საქონლის ხორცი იწვოდა, ფრინველი იხრაკებოდა და ზედ დასხმული ცხიმი შიშხინებდა, დაბალ ცეცხლზე წვნიანი ღუღდა. ეს სურნელი ამოჰქროდა კიბის ღიობიდან და კერენჰეპოკის მწირი სადილების და მჭლე ხორციანი ვინეგრეტების სუნს შეჩვეულ ფლაშის ნესტოებზე იერიში მიჰქონდა. საჭმლის სუნს კიდევ სხვა სუნი ერთვოდა, — სუნი კედრისა, სანდალოზის ხისა და წითელი ხისა, სუნი მამაკაცთა და ქალთა სხეულებისა, მსახურებისა და მოახლეებისა, პალტოებისა და შარვლებისა, კრინოლინებისა და მანტიებისა, დეკორატიული ქსოვილისა და პლუშის ფარდებისა, ნახშირის მტვრისა და ჰაერში მდგარი ჩვეულებრივი მტვრისა, ღვინისა და სიგარისა, ყოველი ოთახი, რომელსაც კი ფლაშმა ჩაუარა, — ბიბლიოთეკა, სასა-დილო, სასტუმრო თუ საწოლი, — საკუთარ სუნს გამოსცემდა და სუნთა საერთო შეჭამანდში თავის წილს ურთავდა... ეს ხომ სუნი ახლა, სიარული-სას, — ჯერ ერთ თათს რომ დადგამდა და მერე მეორეს, თითოეულ მათგანს გრძნობის ამშლელად ეალერსებოდა, იზიდავდა და იფლობდა გრძელხაოიანი მდიდრული ნოხების სიფაფუკე. და ბოლოს მიადგნენ სახლის უკანა მხარეს და-ხურულ კარს. ფრთხილად დააკაკუნეს. ფრთხილადვე გაიღო კარი.

მის ბარეტის საწოლი ოთახი — რადგან კარს იქით სწორედ ეს გახლდათ— თვითმხილველთა ყველა ჩვენების მიხედვით ჩაბნელებული უნდა ყოფილიყო. სინათლე, რომელსაც მწვანე ქამხის ფარდა აფერმკრთალებდა, ზაფხულში კიდევ უფრო მეტად იბინდებოდა ფანჯრისპირა ყუთში ჩარგული ხვართქლის, მეწამულ ფოთლებისა და დედოფლის ყვავილისაგან. თავდაპირველად ფლაშმა ღია მომწვანო ბინდში ვერაფერი გაარჩია, გარდა ხუთი ბურთისა, რომლებიც ჰაერში გამოკიდებულიყვნენ და იდუმალ ნათებას გამოსცემდნენ. მაგრამ იგი აქაც ისევ და ისევ ოთახის სუნმა გააოგნა. მხოლოდ შეგრძნებები იმ სწავლუ-ლისა, რომელიც მიწასქვეშა მავზოლეუმში ფრთხილი, გამოზომილი ნაბიჯით

ჩადის და იქ მოხვდება აკლდამაში — სულ ერთიანად ობსა და ლორწოს რომ დაუფარავს და სიძველისა და სიდაძქლის სუნს რომ გამოსცემს — სადაც ჰაერში გამოვიდებული სანახევროდ სახეწაშლილი მარმარილოს ბიუსტები გამოკრთიან და მის ხელში მოქანავე სახელურიანი ფარნის სინათლზე ყველაფერი ბუნდოვნად ისახება, ყველაფერი ტრიალებს და იძირება, და მერე უცრად გამოიჭიატებს ხან აქ და ხან იქ, — აი ამგვარი, მიწაში ჩაფლული ტანგრეული ქალაქის თაღებქვეშ მოხვედრილი მკვლევარის შეგრძნებები შეიძლება შეედაროს მხოლოდ გრძნობათა იმ ქარაშოტს, რომელმაც ლამის გადალექა ფლაშის ნერვები, როცა მან პირველად შეღვაფეხი უიმპოულ სტრიტზე ავადმყოფის ოთახში და ოდეკოლონის სუნი იყნოსა.

ძალიან ნელა, ძალიან ბუნდოვნად, ყნოსვა-ყნოსვითა და თათით მოსინჯვის შემდეგ, ფლაშმა თანდათან გაარჩია ზოგიერთი დგამის მოხაზულობა. ის უზარმაზარი საგანი ფანჯრის ახლოს აღბათ კარადა უნდა ყოფილიყო. მის გვერდით რომ იდგა, უთუოდ კამოდი იქნებოდა. ოთახის შუაგულში ზედაპირზე ამოცურა რალაცამ, რაც, მისი შეტყობით, მაგიდას ჰგავდა — ირგვლივ სალტეშემორტყმულ მაგიდას. შემდეგ კიდევ ამოყვინთა გაურკვეველი ფორმის მაგიდამ და სავარძელმა. მაგრამ ყველაფერი შენიღბული იყო.

ტანსაცმლის კარადის თავზე სამი თეთრი ბიუსტი იდგა, კამოდზე — წიგნის კარადა. წიგნის კარადას მეწამული ფერის მერინოსი ჰქონდა გადაკრული. პირსაბანსაც თაროები აგვირგვინებდა, და პირსაბანზე შედგმული თაროების თავზე კიდევ ორი ბიუსტი იდგა. ოთახში არც ერთი ნივთი ბოლომდე არ იყო ის ნივთი, რაც ნამდვილად იყო. ყველაფერი იყო კიდევ რალაც სხვა. ფანჯრის ფარდა არ იყო უბრალოდ მუსლინის ფარდა. ეს იყო მონატული ქსოვილი, ციხე-კოშკების, ალაყაფების და მწვანე ჭალაკების ხედებით და გზაზე მიმავალი რამდენიმე გლეხით. სარკეებს კიდევ უფრო მეტი გაურკვეველობა შეჰქონდათ ისედაც გაურკვეველი საგნების სამყაროში: ათი პოეტის ბიუსტი ჩანდა ხუთი პოეტის ბიუსტის ნაცვლად, ოთხი მაგიდა ნაცვლად ორისა. და უცბად კიდევ უფრო შემაშფოთებელი რამ მოხდა! მოულოდნელად ფლაშმა დაინახა მეორე ძალი, კედლის ღრუდან რომ მოსჩერებოდა, ენა გადმოეგდო და ელვარე თვალებს აკვესებდა. განცვიფრებული შეეოვნდა. შიშით ატანილმა წინ წადგა ნაბიჯი.

ასე ნაბიჯის წინ წადგმასა და უკან დახევაში რომ იყო, ფლაშს ადამიანების ხმა, მათი აჩქარებული თუ წყნარი ლაპარაკი ან ყურადღების მიღმა რჩებოდა, ან ისე ჩაესმოდა, როგორც ხეებში შორეული ქარის ზუზუნი. ფრთხილად, ნერვიულად განაგრძობდა გარემოს შესწავლას, ისე, ტყეში მიმავალი ბუნების მკვლევარი დაკვირვებით რომ დგამს ყოველ ნაბიჯს, იმის შიშით — ის ჩრდილი ლომი არ იყოს, ან ის ხის ფესვი — კობრაო. ბოლოს უცებ წარმოუდგა, რომ უზარმაზარი საგნები მის თავს ზემოთ ერთმანეთში აირივ-დაირივნენ. და ამ ბოლო საათში განცდილით ნერვების დაწყვეტამდე მისული ფლაში ერთბაშად კანკალმა აიტანა და შირმის უკან მიიმალა. ხმები შეწყდა. კარი მიიხურა. ერთი წამით შეეოვნდა გაოგნებული, მოშლილი. მერე თითქოს ბასრბრჭყალებიან ვეფხის ნახტომით თავს დააცხრა მოგონება, დაუბრუნა სინამდვილეს. იგრძნო: მიატოვეს! გასწირეს! მივარდა კარს. დახურული აღმოჩნდა. თათით მოსინჯა. მიაყურადა. კიბეზე ჩამავალი ფეხის ხმა მოესმა. მისი ქალბატონის ნაცნობი ფეხის ხმა იყო. აი, შეჩერდა, მაგრამ არა, ისევ ჩადის, ჩადის, ჩადის. მის მიტფორდი ნელა, მძიმედ ჩაუყვებოდა კიბეს, თითქოს ფეხები უკან რჩებო. ქალბატონის კიბეზე დაშვებას და მისი ფეხის ხმის თანდათანობით მიღევას რომ

აყურადღებდა, ფლაშს ფეთებამ წამოუარა. ეშვებოდა კიბეზე მის მიტფორდი და ფლაშის ცხვირწინ ერთი კარი, მეორე, მესამე, — ზედიზედ, ერთიმეორეზე იხურებოდა. დახურულ კართა მიღმა რჩებოდა თავისუფლება, მინდერები, კურდღლები, ბალახი, მისი სათაყვანო, საღმერთებელი ქალბატონი, — საყვარელი მოხუცი ქალი რომელიც მას ბანდა, ვარცხნიდა, სცემდა და აჭმევდა საკუთარი თეფშიდან, მაშინ როდესაც საჭმელი თავისთვისაც ბევრი არა ჰქონდა. კარს იქით რჩებოდა ყველაფერი, რაც კი რამ განეცადა ბედნიერებისა, საყვარელისა და ადამიანური სიკეთისა. აჰა, ქუჩის კარიც მოაჯახუნეს. ფლაში მარტო დარჩა. მის მიტფორდმა მიატოვა იგი.

მერე სასოწარკვეთისა და მწუხარების ისეთმა ტალღამ გადაუარა, ბედის გარდუვალობამ და დაუნდობლობამ ისე უწყალოდ მორეჯგვა, რომ თავი უმწეოდ აიღო და ხმამაღალი ყმუილი ამოუშვა. ხმამ დაიძახა: „ფლაში!“ მას არ გაუგონია. „ფლაში!“ გამეორდა დაძახილი. ფლაში შეკრთა. მას თავი მარტო ეგონა. შემოტრიალდა. ამ ოთახში მის გარდა იყო კიდევ რაიმე არსება? იქ, დივანზე, იყო რაიმე? ერთბაშად იმ გიჟური იმედით ატაცებული, რომ იქ მყოფ არსებას, ვინც და რაც არ უნდა ყოფილაყო ის, შეეძლო მისთვის კარის გაღება, და იგი ისევე შეძლებდა მის მიტფორდს გაჭკიდებოდა და დასწეოდა, — რომ ეს მხოლოდ კუკუდამალობანას მსგავსი თამაში იყო, ისეთი, სათბურში რომ თამაშობდნენ ხოლმე, — ფლაში გაქანდა დივანისაკენ.

„ო, ფლაში!“ თქვა მის ბარეტმა და პირველად შეხედა ძაღლს. ძაღლმაც პირველად შეხედა დივანზე მწოლარე ლედის.

ფლაში გაკვირდა. მის ბარეტის სახეს ორივე მხარეს სქელი კულულები დაუყვებოდა. დიდრონი გაბრწყინებული თვალებიდან სინათლე იფრქვეოდა. სქელტუჩებიანი პირი იღიმებოდა... გრძელი ყურები დაუყვებოდა ფლაშის სახის ორივე მხარეს. მასაც დიდრონი გაბრწყინებული თვალები და ფართო პირი ჰქონდა. მათ შორის იყო დიდი მსგავსება. ერთმანეთს რომ მისჩერებოდნენ, ორივე ფიქრობდა: — „ეს მე ვარ“, თანაც ორივე მათგანი გრძნობდა: — „რა განსხვავებული ვარ მისგან“. ქალს ავადმყოფის ფერმკრთალი, გაცრეცილი სახე ჰქონდა, — ჰაერს, სინათლეს და თავისუფლებას მოკლებული; ძაღლს — ახალგაზრდა ცხოველის მოწითალო-ყავისფერი სახე, ენერგიითა და ჯანმრთელობით გადაბადრული. ერთმანეთისგან ასე შორიშორი ძღვარნი და მაინც ერთ ყალიბში ჩამოსხმულები იყვნენ! ნუთუ შესაძლებელია კაცმა იფიქროს, რომ თითოეულ მათგანში სრულყოფას აღწევდა რაღაც თვისება, რაც მეორეში გამოუმჟღავნებლად მითვლემილიყო?! ნუთუ ერთს შეეძლო ყველა ეს თვისება ჰქონოდა? და მეორესაც? — მაგრამ არა! მათ შორის იყო უზარმაზარი უფსკრული, რომელიც ერთ არსებას მეორისაგან ჰყოფს. ერთი მეტყველი იყო, მეორე — უტყვი. ერთი ქალი იყო, მეორე — ძაღლი. ასე მჭიდროდ დაკავშირებულნი და ასე უსაშველოდ გათიშულნი, მისჩერებოდნენ ისინი ერთიმეორეს. მერე უცებ ფლაშმა ისკუპა და ერთი კამართლი დივანზე მოქცეულმა, იქ მოიკალათა, სადაც ამ დღიდან უნდა წოლილიყო, — ფარდაზე, მის ბარეტის ფერხით.

2. უკანა საწოლ ოთახში

1842 წლის ზაფხული, ისტორიკოსების გადმოცემით, დიდად არაფრით გამოირჩეოდა სხვა ზაფხულებისაგან, მაგრამ იგი ისე განსხვავებული იყო ფლაშისათვის, რომ მას შესაძლოა ეჭვიც კი გასჩენოდა, — თვით ქვეყნიერებამ ხომ

არ იცვალა სახეო. მისთვის ეს იყო ზაფხული საწოლ ოთახში გამოკეტვისა, განუყრელად მის ბარეტთან ცხოვრებისა, ზაფხული ლონდონში ყოფნისა, ცივილიზაციის შუაგულში ყოფნისა. თავდაპირველად ფლაში ვერაფერს ხელაედა, საწოლი ოთახისა და მისი ავეჯის გარდა, მაგრამ მის გასაოცებლად უსეც ვაზროდა, თავსატეხად კი ისიც ეყოფოდა, ის ნაირგვარი ნივთები რომ გამოეცხო, რასაც იქ ხელაედა, და ყველა მათგანისთვის საკუთარი სახელის დარქმევით ზერხებინა. და როცა ფლაში ამ დღეში იყო, როცა ჯერ კიდევ ვერ შესტყვიან მის გიდეებს, ბიუსტებს, ხელსაბანებს და ოდეკოლონის სურნელი ჯერ ისევ უღიზიანებდა ნესტოებს, — უეცრად დადგა ერთი იმ იშვიათ დღეთაგანი, რომელიც მზიანია ისე, რომ ქარიანი არ არის, თბილია იმდენად, რომ მცხუნვარე არ ეთქმის და მშრალია იმ ზომამდე, რომ მტვრიანი არ არის, — დღე, როცა ავადმყოფისთვის შეიძლება პაერზე გასელა. დიახ, მოვიდა დღე, როცა მის ბარეტს შეეძლო უსაფრთხოდ გადაედგა გმირული ნაბიჯი — საყიდლებზე წასულიყო, თავის დასთან ერთად.

ეტლის მოყვანა ბრძანეს. მის ბარეტი დივნიდან წამოდგა, პირშებურვილმა და შეფუთვნილმა ჩაიარა კიბე. რა თქმა უნდა, ფლაში თან მიჰყვებოდა, ეტლშიც მის გვერდით შეხტა. მის ბარეტის კალთაში მოკალათებულს განცვიფრებულ თეალებში უზიმზიმებდა სიმდიდრითა და ბრწყინვალეობით აბღღვრიალებული ლონდონის მთელი სიდიადე. ეტლი ოქსფორდ სტრიტს მიუყვებოდა. ფლაში ხელაედა სახლებს, რომლებიც თითქმის სულ ერთიანად მინისა იყო, ხელაედა ბრჭყვიალა ზონრებით მორთულ ფანჯრებს და ფანჯრებში პირისფერ, მეწამულ, ყვითელ, ვარდისფერ ბორცვებს, რომლებიც სინათლეს გამოსცემდნენ. ეტლი გაჩერდა. ფლაში შევიდა იდუმალ თაღოვანში, რომელიც ფერადი მარმარილოს ნისლეულით და ბადეებით იყო დაბინდული. ხან ჩინეთიდან, ხან არაბეთიდან უთვალაე ნაკადად მოქროდა საკმევლის უნაზესი სურნელი და მის შეგრძნებათა ყველაზე შორეულ ნერვამდე ატანდა. დახლებზე სწრაფად გაიელვებდა არა ერთი და ორი იარღი პრიალა აბრეშუმისა, უფრო ზანტად გაიგრაგნებოდა ბომბაზინის მძიმე ქსოვილი. სხეპავდა მაკრატელი, ბრჭყვიალებდა მონეტები, ეხვეოდა ქალღაღდი, ეჭირებოდა კანაფი... გარეთ კი პლუმაჟიანი თავეების კანტური, ზონრების ფრიალი, ცხენების ქროლვა, ყვითელი ლივრეები, უცნობი სახეები, ზემოთ-ქვემოთ ხტუნვა, რწევა... ამ ნაირგვარი შეგრძნებებით გულმოყირჭებულ ფლაშს თვლემა და ძილი წამოეპარა და აღარც გაეგებოდა, ცხადში იყო თუ სიზმარში, ისე გამოიყვანეს ეტლიდან და ისე მიიხურა მის ზურგს უკან უიმპოულ სტრიტის სახლში სადარბაზო კარი.

მომდევნო დღეს, რახან ისევ დარი იდგა, მის ბარეტმა კიდევ უფრო დიდი კმირობა ჩაიდინა: ინვალიდის ბორბლებიანი სავარძლით დამოუკიდებლად გავიდა უიმპოულ სტრიტზე. თან გაჰყვა ფლაშიც. და მას პირველად შემოესმა ლონდონის ქვაფენილზე თავისი ბრჭყალების წკაპაწკუპი, პირველად მიაწყდა მის ნესტოებს ზაფხულის სიცხეში ლონდონის ქუჩის მთელი მრავალსუნოვნება. იყნოსავდა გზისპირა თხრილებში ჩაგუბებულ გულისამრევ სუნებს, იმ მწარე სუნს, რომლებისგანაც რკინის მოაჯირებია ამოჭმული, იმ მხრჩილავ, მათრობელა სუნებს, სარდაფიდან რომ ამოქარს. ეს იყო საკუთარ თვისებადაკარგული, ურთიერთსაპირისპირო სუნთა ისეთი შერწყმა და აღრევა, მსგავსი რომ არაფერი შეუყნოსია რედინგის მინდვრებში. ეს იყო სუნები, რომელიც ადამიანის ყნოსვით არ აღიქმება. ასე რომ, ვიდრე ბორბლებიანი სავარძელი მივორავდა, ფლაში დროდადრო შედგებოდა და გაოგნებული ცდილობდა გამოეცნო, დაეჭაშნიკებინა ისი-

ნი. და იდგა, ვიდრე საყელოზე მობმული ძეწკვი არ მოქაჩაულა და არ წააფოფხებდა. გარდა ამისა, როცა უიმპოულ სტრიტზე მის ბარეტის ბორბლებიანი სავარძლის უკან მიცუხცუხებდა, ფლაშს იმისგან ესხმოდა რეტი, ადამიანთა სხეულები რომ ჩაუვლიდნენ გვერდით, — ზედ მის თავთან რომ გაიშხუქლებდნენ კაბის კალთები და ფერდებზე რომ შარვლები გაეხახუნებოდნენ. ზოგჯერ კი, როცა ქუჩაში ფურგონი გაივლიდა და ცხვირწინ ბორბალი გაუზუნებდა, ყურში ანაზღად ყოვლის დამღეწავი ქარის ღრიალი ჩაესმოდა და თათებზე ბეწვს წამოუშლიდა. შემდეგ ძრწოლა შეიპყრობდა. საბედნიეროდ, ძეწკვი ექაჩებოდა საყელოზე, მის ბარეტს მაგრად ეჭირა. ეს რომ არა, უთუოდ შეასკლებოდა რაღაცას.

ბოლოს, სათითაოდ ყოველი ნერვის თრთოლვით და გრძნობათა ასიმღერებით, რიჯენტს პარკამდე მიაღწია. და როცა ისევ შეავლო თვალი თითქოსდა წლობით უნახავ ბალახს, ხეებს და ყვავილებს, ძველი მონადირული დამახილი ჩაესმა ყურში და უმაღლ წინ გაიჭრა, რომ მინდვრებში გაენავარდა, როგორც ადრე, შინ ყოფნისას სჩვეოდა ხოლმე. მაგრამ ყელზე მძიმედ მიეხვინა რაღაცა და უკანა ფეხებზე წამოაქცია. — რა, განა ეს ხეები და ბალახი არ არის? — იკითხა მან. — განა ისინი თავისუფლების ნიშანს არ გვაძლევენ? მის მიტფორდი რომ სასეირნოდ წავიდოდა, განა ფლაში ყოველთვის წინ არ გავარდებოდა ხოლმე? მაშინ აქ რატომღა არის შებოჭილი? შეჩერდა და მიმოიხედა. მან შეამჩნია, რომ აქ ყვავილები უფრო მეტი სახშირით არიან შეჯგუფულნი, ვიდრე იქ, შინ: აქ ისინი მიწის ვიწრო ნაკვეთზე დგანან გამტრინგულები და ერთმანეთთან მიჯრილები. აქ მიწა მაგარი შავი ბილიკებით არის გადასერილ-გადმოსერილი და ბილიკებზე აღმა-დაღმა აუის მომასწავებლად დააბიჯებენ პრიალა ცილინდრიანი კაცები. მათი დანახვით დამფრთხალი ფლაში ბორბლებიანი სავარძლისკენ გახანხალდა, — სიამოვნებით მიენდო ძეწკვის დამცველ ძალას. ასე რომ, ვიდრე ამდაგვარ გასეირნებათა წყება დასრულდებოდა, ფლაშის გონებამ ახლებური შეფასება მისცა ყოველივეს. მოვლენათა შეპირისპირებამ იგი გარკვეულ დასკვნამდე მიიყვანა: — სადაც ყვავილების კვლებია, იქ მოასფალტებული ბილიკებიცაა; სადაც ყვავილების კვლები და მოასფალტებული ბილიკებია, იქ პრიალა ცილინდრიანი კაცები არიან, სადაც ყვავილების კვლები, მოასფალტებული ბილიკები და პრიალა ცილინდრინი კაცებია, იქ ძაღლები ძეწკვით უნდა ატარონ. თუმცა ფლაშს ალყაფთან გაკრული წარწერის არც ერთი სიტყვის ამოკითხვა არ შეეძლო, მაგრამ რიჯენტს პარკში რომ ძაღლები ძეწკვით უნდა ატარონ, ამას საკუთარი გამოცდილებით მიხვდა.

და ცოდნის ამ პირველ ძირითად მარაგს, რომელიც 1842 წლის ზაფხულის უცნაურმა თავგადასავლებმა შესძინა, ძაღლე შეემატა: ძაღლები არ არიან თანასწორნი, ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან, თრი მაილ კროსზე ძაღლებთან ურთიერთობისას ფლაში ესკვაიერის მწვერებს სულაც არ არჩევდა ლუდხანის ძაღლებისაგან. არც თავის თავსა და მკალავის ძაღლს შორის განსხვავებისა იცოდა რამე. ისიც ადვილი შესაძლებელია, რომ მისი შვილის დედა, რომელსაც ზრდილობის გულისთვის სპანიელად იხსენიებდნენ, სხვა არა იყო რა, თუ არა უბრალო ნაჯვარი, რადგან კუდი ერთი ჯიშისა ჰქონდა, ყურები — მეორესი. რაც შეეხება ლონდონის ძაღლებს, ფლაშმა სულ ძაღლე აღმოაჩინა, რომ ისინი მკაცრად განიყოფებიან განსხვავებულ კლასებად. ერთნი არიან ძეწკვით სატარებელი ძაღლები, მეორენი — თავის ნებაზე მიშვებულები. ერთნი ეკიპაჟებით დასეირნობენ და მეწამულ ფიალებიდან სვამენ წყალს, მეორენი უსაყელოდ

დაწანწალებენ და ლუკმას გზისპირა თხრილებში ეძებენ. ამიტომ ფლავს ეჭვი გაუჩნდა, რომ ძაღლებს წარმოშობა უნდა ჰქონოდათ განსხვავებული, — ზოგი ძაღალი წოდებისა უნდა ყოფილიყო, ზოგიც — დაბალის. ეს ეჭვი დაუდასტურდა იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბრებიდან, უიმპოულ სტრიტზე შემხვედრ ძაღლებთან რომ ჰქონია. „ხედავ იმ ბაჯაჯგუნას? უბრალო ეზოს ძაღლია... ღმერთო, ეს კი ნაღდი სპანიელია, ბრიტანული სისხლის საუკეთესო ჯიშისა!.. აფსუს, ცოტა მძინე ტად რომ ჰქონდეს ყურები შეგრაგნილი!.. აგერ, ბატონო, ქონრიან ფეხებს უნდა აძგვარი ფრაზების ყურმოკვრით და დაციხვისა თუ მოწონების კილოს მიხედვით, რომლითაც ისინი წარმოითქმოდნენ ქუჩაში მდგარ საფოსტო ყუთთან ანდა ტრაქტირის სიახლოვეს, სადაც ლივრეიანი ლაქიები დოღის სიახლეებს აცნობდნენ ერთმანეთს, — ზაფხულის დამლევამდე ფლავმა უკვე დაბეჯითებით იცოდა, რომ ძაღლებს შორის თანასწორობა არ არსებობს, — ზოგი ძაღლი ძაღალი წოდებისაა და ზოგიც — დაბალის. მაგრამ თვითონ რომელი იყო? სახლში მისვლისთანავე სარკეში გულდაგულ შეისწავლა საკუთარი თავი. დაილოცოს გამჩენი! იგი წარმოშობითაც და აღზრდითაც ძაღალ წოდებას ეკუთვნის: თავი გლუვი, თვალები წამოზიდული, მაგრამ არა გადმოკარკლული, ფეხები — შებუმბლული; უიმპოულ სტრიტის საუკეთესო ჯიშის არც ერთ კოკერ-სპანიელს არ ჩამოუვარდება. მოწონების თვალთ გადახედა მეწამულ ფიალას, რომლიდანაც სვამდა, — დიახ, ასეთი გახლავთ წოდებრივი პრივილეგიები; და თავი მორჩილად დახარა, რომ საყელოზე ძეწკვი გამოებათ, — ასეთი გახლავთ მისი საზღაური. როცა ამ დროს მის ბარეტი სარკეში ჩაშტერებულ ძაღლს აკვირდებოდა, მის შეფასებაში ძლიერ ცდებოდა. ქალბატონი ფიქრობდა, ძაღლი ფილოსოფოსია, მოჩვენებითობას და რეალობას შორის განსხვავებაზე ფიქრს მისცემიაო. ნამდვილად კი ფლავი გახლდათ არისტოკრატი, რომელიც თავისი გამორჩეული თვისებების განსჯაში იყო შესული.


მაგრამ ძაღლე მიიწურა ზაფხულის დარიანი დღეები. დაჰქროლეს შემოდგომის ქარებმა. და მის ბარეტი ისევ თავის საწოლ ოთახში გამოკეტილ განდეგილის ცხოვრებას დაუბრუნდა. ფლავის ყოფაც შეიცვალა, მისი საგარეო განათლება საწოლი ოთახის აღზრდა-განათლებით ივსებოდა. და ფლავის ტემპერამენტის ძაღლისთვის ვერაეინ მოიგონებდა უარეს გვემას, ვიდრე ეს იყო. ახლა მთელი მისი სეირნობა, ისიც ხანმოკლე და უგულისყურო, იმით ამოიწურებოდა, რომ მის ბარეტის მოახლეს — უილსონს გაჰყავდა გარეთ. დღის დანარჩენს განუხრელად დივანზე ატარებდა მის ბარეტის ფერხთით. მისი ბუნებრივი ინსტინქტის ყოველ გამოვლინებას ეწინააღმდეგებოდნენ და ხელს უშლიდნენ. როცა მარშან ბერკშირში ქარებმა დაჰქროლეს, იგი ველური ნავარდით გაიჭრა ნაწვერალზე. ახლა რამდენი სუროს ტოტი მოეხლებოდა ფანჯარას, მის ბარეტი იმდენჯერ ეტყოდა უილსონს — ფანჯარას მიხედუო. როცა ფანჯარაზე მდგარ ყუთში ხვართქლას და დედოფლის ყვავილს ფოთლები გაუყვითლდა და ჩამოცვივდა, მის ბარეტმა უფრო მჭიდროდ შემოიხვია ინდური შალი. როცა ოქტომბრის წვიმამ ფანჯარაზე ტყლამუნი გაიღო, უილსონმა ბუხარში ცეცხლი გააჩაღა და ნახშირი დაახვავა. შემოდგომამ ზამთარში შეაბიჯა და პირველი ჯანლით შეყვითლდა ჰაერი. უილსონი და ფლავი რის უაივავლახით იგნებდნენ გზას ქუჩის საფოსტო ყუთამდე და აფთიაქამდე. სახლში დაბრუნებული, ოთახში ვერაფერს დაინახავდი, გარდა ფერდაკარგული ბიუსტებისა, ტანსაცმლის კარადების თავზე მქრქალი შუქით რომ ბჟუტაუდნენ. ფარდიდან გამქრალიყვნენ გლეხებიცა და ციხე-დარბაზიც. სიყვითლე მოსდგომოდა ფანჯრის მინას. ფლავს

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ის და მის ბარეტი მარტონი ცხოვრობდნენ ბალიშებით გაწყობილ და ცეცხლით განათებულ გამოქვაბულში. გარეთ განუწყვეტლივ ზუზუნებდა ტრანსპორტი და შიგ მისი მოგუდული ხმაური ატანდა. დროდადრო ისმოდა ხრინწიანი დაძახილი: „ძველი სკამებისა და კალათების შეკეთება-ა-ა!“ და ხმა ქუჩას დაღმა დაუყვებოდა. ზოგჯერ მოდიოდა არღნის მჭახე ხმა, რომელიც ხან ახლოვდებოდა და ხმამაღლა ეღერდა ხანაც წავიდოდა შორს, შორს და თანდათან მიწყდებოდა. მაგრამ არც ერთი ეს ხმა არ მოასწავებდა თავისუფლებას, მოქმედებას და მოძრაობას. წვიმა იყო თუ ქარი, შემოდგომის დღეთა ბობოქრობა, თუ ზამთრის დღეების სუსხი, ყველა განურჩევლ სითბოდ და სიწყნარედ ქცეულიყო ფლაშისთვის, — ლამპების ანთებად, ფარდების დახურვად და ცეცხლის ჩუჩხურად. თავდაპირველად გაუსაძლისი იყო ეს შეზღუდვა. თავს რა შეაკავებინებდა, ოთახში რომ არ ეკუნტრუშა შემოდგომის ქარიან დღეს, როცა კაკბები ნაწვერალს მოედებიან ხოლმე. ამ დროს თითქოს ქარს მოყოლილი თოფის ხმა ჩაესმოდა. გარედან ძაღლის ყეფის გაგონება საკმარისი იყო, რომ ბალანაშლილი კარისკენ გაქანებულიყო. და მაინც, მოუხმობდა თუ არა მის ბარეტი უკან, ან შეახებდა თუ არა მის საყველოს ხელს, ფლაშს არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ რაღაც სხვა გრძნობა, გადაულახავი, წინააღმდეგობრივი და უსიამოვნო, რომ არ იცოდა, რა დაერქმია და ვერც აეხსნა, რატომ ემორჩილებოდა ასე, — ერთბაშად მონუსხავდა და ისიც წყნარად მის ფერხითთ წვებოდა. ძაღლური ბუნების ყველაზე ძლიერი ინსტინქტის დაოკება, მოთოკვა და დათრგუნვა, აი უპირველესი გაკვეთილი, რაც მან საწოლი ოთახის სკოლაში შეითვისა. და ეს იმდენად ძნელი გაკვეთილ იყო, ალბათ ბევრ მეცნიერს ბერძნული ენის შესწავლა ისე არ გასჭირვებია და ბევრ გენერალს ბრძოლის მოგება ამის ნახევარ წვალებად არ დასჯდომია. მაგრამ მასწავლებელი მის ბარეტი გახლდათ. და ამ ორთა შორის, — რაც დრო გადიოდა, ფლაში უფრო მეტად გრძნობდა ამას, — არსებობდა რაღაც დამაკავშირებელი ძაფები, — უსიამოვნო და მაინც ერთნაირი მომგვრელი ერთობა. იმდენად, რომ თუ ძაღლის სიამოვნება ქალბატონს ტკივილს აყენებდა, მაშინ ძაღლსაც უქარწყლებდებოდა ეს სიამოვნება და სამმაგ ტკივილად ექცეოდა იგი. ამის დასტური იყო ყოველი დღე. აი, ვიღაცამ გააღო კარი და ძაღლს სტვენით მოუხმო. რატომაც არ უნდა გავიდეს? ხომ ასე ენატრება ჰაერზე გასვლა და ფეხის გამართვა! დივანზე წოლისგან ფეხები სულ დაეხუთა. ოდეკოლონის სუნსაც ხომ ვერა და ვერ შეეჩვია. მაგრამ არა! კარი კი ღიაა, მაგრამ მის ბარეტი როგორ მიატოვოს. კარისკენ მიმავალი შუა გზაზე შეეყოვნდა და დივნისკენ გამობრუნდა. „ფლაში ჩემი მეგობარია, ჩემი კომპანიონია“, ჩაწერა მის ბარეტმა დღიურში, — „და მე უფრო ვუყვარვარ, ვინემ გარეთ, მზის სინათლეზე ყოფნა“. თვითონ მას არ შეეძლო სახლიდან გასვლა, ის კვლავ საწოლს იყო მიჯაჭვული. „ჩემი ცხოვრება გალიაში დამწყვედელი ჩიტის ყოფას არაფრით ჯობია“, — ესეც იმდროინდელი ჩაწერიდანაა... და ფლაშმა, რომელსაც ყოველი მხრით გზა ხსნილი ჰქონდა, უარი თქვა იმ სუნთა შეყნოსვით მიღებულ სიამოვნებაზე, უიმპოულ სტრიტზე რომ ელოდა, და მის ბარეტის ფერხითთ წოლა არჩია.

და ეს მათი დამაკავშირებელი ძაფი დროდადრო მაინც გაწყვეტაზე იყო. მათ გონებრივ შესაძლებლობებს უფსკრული ჰყოფდა ერთმანეთისგან. ზოგჯერ იწვნენ და მიშტერებოდნენ ხოლმე ერთიმეორეს გაოგნებულნი. მის ბარეტს ვერ გაეგო, რატომ იყო, რომ ფლაში უეცრად აკანკალდებოდა, იწყებდა წკმუტუნს, შეკრთებოდა და მიაყურადებდა რაღაცას. თვითონ არაფერი ესმოდა და ვერა-

ფერს ზედავდა, ოთახშიც მათთან არავინ იყო. საიდან უნდა მიხვედრილიყო მის ბარეტს, თუ ამ დროს დახურულ კარს უკან ფოლამ გაიარა, მისი დის პატარა ფინიამ ანდა სარდაფში ლაქიამ ცხერის ძვალი თუ მიართვა კატილაინს, კუბური ჯიშის ბეძებარს. ფლაშმა კი ეს ყველაფერი იცოდა. ესმოდა და იმითომ, იმის გადაძვივს, ხან სიხარბე მოეძალებოდა, ხან ავხორცული ჟინი წამოუღებოდა და გაცოფებამდე მიდიოდა ამ წამლუკავი ვნებების ჭიდილში. და თავისი პოეტური წარმოსახვის მიუხედავად, მის ბარეტს ვერა და ვერ გამოეცნო, ფლაშისთვის უილსონის ძველი ქოლგა და რა შორეულ მოგონებებს აუშლიდა მას ტყეებსა, თუთიყუშებსა და მოღრიალე სპილოებზე. ან მისტერ კენიონმა რომ ზარის დასარეკ ზონარს ფეხი წამოსდო, რა იცოდა მის ბარეტმა, თუ ძაღლის ყურებში იმ შორეულმა დაძახილმა დარეკა — „სპან! სპან!“ და ამას კიდევ შაკვანიახი კაცების ვინება მოჰყვა, — და მთელი ის გააფთრება, ფლაშმა რომ კენიონას კბენისას გამოიჩინა, მასში მოვლემარე მამაპაპისეული ბრაზი თუ იყო.

ასევე ფლაშსაც უჭირდა მის ბარეტის განცდებში გარკვევა. საათობით იწვა ხოლმე მისი ქალბატონი და შავ ჩხირმომარჯვებულ ხელს თეთრ ქაღალდს აყოლებდა. უცბად თვალები ცრემლით აევსებოდა. კი მაგრამ, რატომ? „ო, ჩემო ძვარფასო მისტერ პორნ!“ წერდა ის, „ჯერ ხომ ჯანმრთელობამ მიმტყუნა. მერე იყო და იძულებით ტორკიში გადამასახლეს სამკურნალოდ, რაც მთელი სიცოცხლე კოშმარად დამრჩება და რამაც უფრო მეტი დამაკარგვინა, ვიდრე ამ წერილში თქმის საშუალება მაქვს. ამის შესახებ არსად არაფერი წამოგცდეთ. საერთოდ არ ილაპარაკოთ ამაზე, ძვირფასო მისტერ პორნ!“ ოთახში კი, ფლაშის უარაუდით, არც ხმა ისმოდა აბდაგვარი, არც სუნები იყო ისეთი, მის ბარეტს რომ აუტირებინა. ცოტა ხნის შემდეგ, ისე, რომ ჩხირის ქანქარი არ შეუწყვეტია, მის ბარეტს სიცილი აუვარდა. მან დახატა „ზედმიწევნით გამომსახველი და სახასიათო პორტრეტი ფლაშისა, — ხუმრობით ჩემს თავს მეტისმეტად დავამსგავსეო“, და ქვეშ მიაწერა: „ოღონდ ჩემს სრულ შემცვლელად ვერ ჩაითვლება, რადგან ბევრად იმაზე ღირსეული პერსონა გახლავთ, ვიდრე მე შეიძლება მიმიჩნიოს ვინმემ“. რა უნდა ყოფილიყო სასაცილო იმ შავ, გადაბნულ ლაქაში, მის ბარეტმა ფლაშს რომ გაუწოდა საჩვენებლად? ძაღლს არავითარი სუნი არ მოსდიოდა. ისეთი არც არა ისმოდა რა. ოთახშიც მათ გარდა არავინ იყო. ცხადია, რომ სიტყვებით ურთიერთობა არ შეეძლოთ და უეჭველია, ამის გამო ხდებოდა მათ შორის ბევრი გაუგებრობა. თუმცა იქნებ სწორედ ეს იყო მიზეზი მათი განსაკუთრებული სიახლოვისა? „წერა!“ — წამოაძახა ერთხელ მის ბარეტმა დღის ბუშაობის შემდეგ, — „წერა და წერა!“ მაგრამ ბოლოს და ბოლოს შეუძლიათ კი სიტყვებს ყველაფრის გამოხატვა? შეუძლიათ სიტყვებს საერთოდ რისამე გამოხატვა? განა სიტყვები არ ანადგურებენ სიმბოლოებს, რომელთა წვდომის უნარსაც მოკლებულნი არიან?.. ყოველ შემთხვევაში, ერთხელ მაინც, ასეთი აზრი მოსეღია თავში მის ბარეტს. იგი იწვა და ფიქრობდა, ფლაში სულ გადავაწყებოდა. ისეთ ნაღვლიან ფიქრს მისცემოდა, რომ მისი ცრემლი ბალიშზე ღვარად ჩამოდიოდა. უეცრად ვიღაცის ბაღნიანი თავი მიეხუტა. დიდრონმა, მოკლვარე თვალებმა თვალებში ჩაანათა, შეაკრთო. ვინ იყო ეს, ფლაშა თუ პანი? იქნებ იგი უიმპოულ სტრიტზე ლოგინს მიჯაჭვული სნეული აღარ არის? იქნებ ბერძნული მითების ნიმფაა, არკადიის დაბინდულ ჭალებში ლაღად მოსიარულე? ეს თვით წვეროსანი ღმერთი ხომ არ დაეკონა მის ტუჩებს? წამით გარდაისახა. იგი ნიმფა იყო და ფლაში პანად ქცეულიყო. იდგა მცხუნვარება მზისა და აღმური სიყვარულისა. მაგრამ ფლაშს რომ ლაპარაკი შესძლებოდა, ვინ იცის, ერთბა-



შად რაიმე კეთილგონივრული საუბარი წამოეწყო ირლანდიაში კარტოფილის დაავადების თაობაზე.

ასევე ფლაშიც უცნაურ შინაგან თრთოლვას განიცდიდა. როცა კი დაინახავდა მის ბარეტის ნარნარ თითებს, რომლებიც სათუთად იღებდნენ სალტემოვლებულ მაგიდიდან ვერცხლის ზარდახშას ან მარგალიტის სამკაულს, ფლაში ბეწვით დაფარული თათები თითქოს ეკუმშებოდა და ნატვრა უჩნდებოდა — ისინიც ათ განცალკევებულ თითად ჩამოქნილიყვნენ. და ქალბატონის ხმადაბალ ლაპარაკს რომ ისმენდა, მარცვალ-მარცვალ გამოკვეთილსა და აუარება ცალკე ბგერისაგან შემდგარს, იმ დღის დადგომას ნატრობდა, როცა მისი როყიო ღავლაშიც ასევე მარტივ ბგერებად გადმოიღვრებოდა და მასავით იღუმალ მნიშვნელობას შეიძენდა. და როდესაც ქალბატონის თითები ისევ და ისევ დაატარებდნენ სწორ ჩხირს თეთრ ფურცელზე, მათი შემხედვარე ფლაში იმ დროზე ოცნებობდა, თვითონაც რომ შეიძლებდა ქალბატონზე ასეთივე შავი კვალის დამსწევას.

და მაინც შეძლებდა კია ფლაში მის ბარეტით ეწერა ოდესმე? საბედნიეროდ, ამდგვარი კითხვის დასმა არ მოგვიწევს, რადგან სიმართლე გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ 1842-43 წლებში მის ბარეტი ინვალიდი გახლდათ და არა ნიმფა, ფლაში კი წითელი კოკერ-სპანიელი იყო და არა პოეტი, უიმპოულ სტრიტიც იგივე უიმპოულ სტრიტი იყო და არა არკადია.

ამრიგად, უკანა საწოლ ოთახში საათები ტაატით მისდევდნენ ერთმანეთს და არაკითარი ნიშანდობლიობით არ გამოჩნდნენ, თუ არ ჩავთვლით კიბეზე მოსიარულეთა ფეხის ხმას, წინა კარების დახურვის შორეულ ჩქამს, ცოცხის ფლასუნს და ფოსტალიონის კაკუნს. ზოგჯერ ბუხარში ნაკვერჩხალი გაიტკაცუნებდა, ან შუქი და ჩრდილი შეენაცვლებოდა ერთმანეთს წიგნის კარადაზე შემოდგმული ხუთი ფერმკრთალი ბიუსტის თავებზე და თვით კარადის წითელ მერინოსზე. მაგრამ ხანდახან კიბეზე ამომავალთა ფეხის ხმა კარს კი არ ჩაუვლიდა, ზედ კართან შეწყდებოდა. და ფლაში ხედავდა, როგორ შემოტრიალდებოდა სახელური. კარი მართლაც იღებოდა და ოთახში ვინმე შემოდისოდა. რა უცნაურად შეეცვლებოდა მაშინვე ავეჯს იერი, ხმისა და სუნის რა მორევი დატრიალდებოდა! ო, როგორ ეტყლაშუნებოდნენ მისი ტალღები მაგიდის ფეხებს და ტანსაცმლის კარადის წახნაგოვან კიდეებს. ეს უთუოდ უილსონი იქნებოდა საჭმლის ლანგრით ან წამლიანი ჭიქით ხელში, თუ არადა, მის ბარეტის ორთაგან ერთი და — არაბელი ან ჰენრიეტა. ანდა ეს შეიძლება ერთ-ერთი ძმა ყოფილიყო — მის ბარეტის შვიდ ძმათაგანი — ჩარლზი, სემუელი, ჯორჯი, პენრი, ალფრედი, სეპტიმუსი ან ოქტავიუსი. მაგრამ კვირაში ერთხელ ან ორჯერ ფლაშს ეუფლებოდა გრძნობა, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ამბის მოლოდინი უნდა ჰქონოდა. საწოლს გულმოდგინედ შენიღბავდნენ და დივნის შეხედულებას მისცემდნენ. მასთან ახლოს მისწევდნენ სავარძელს. შესაბამისად მის ბარეტსაც ინდური შალეებით შეფუთნიდნენ. ტუალეტის საგნებს საგულდაგულოდ გადამაღავდნენ ჩოსურისა და პომეროსის ბიუსტების ქვეშ. თვით ფლაშს სავარცხლითა და ჯაგრისით დავარცხნიდნენ. და ნაშუადღევის ორი ან სამი საათისათვის კარზე გაისმოდა მკვეთრი, განსხვავებულად თავისებური კაკუნი. მის ბარეტს წამოწითლდებოდა, გაიღიმებდა და ხელებს გაშლიდა. ოთახში ან საყვარელი მის მიტფორდი შემოვიდოდა გიორგელას კონით ხელში — ერთიანად გაბრწყინებული, ვარდისფერლოყება და დაუცხრომლად მოლაპარაკე, ან არადა — მისტერ კენიონი, წიგნით ხელში, — ეს ზორბა აღნაგობის, თავით ფეხამდე გამოწ-

კვილი ჭარმაგი ჯენტლმენი, რომლის მთელი არსება კეთილგანწყობას გამოასხივებდა. ანდა ეს იქნებოდა მისის ჯეიმსონი, — ზუსტად მისტერ კენიონის საპირისპირო იერისა და შესახედაობის მქონე ქალბატონი, ერთიანად უფერული თმითა და სახით: — ფერმიხდილი, ღია ფერის თვალებით, თხელი უფერული ტუჩებით, წინ წამოწეული გაღეული ცხვირითა და ნიკაპით. თითოეული მათგანი მისთვის დამახასიათებელი ქცევით, სუნით, ინტონაციითა და კილოვით გამოიყოფოდა. მის მიტფორდი ელურტულეობდა, ქაქანებდა, ერთი ამბიდან მეორეზე გადადიოდა, მაგრამ ყოველთვის რაღაცას მნიშვნელოვანსა და არსებითს ამბობდა. მისტერ კენიონი უაღრესად კულტურულად და დახვეწილად საუბრობდა, ოღონდ ოღნავ ჩიფჩიფებდა, რადგან ორი წინა კბილი აკლდა. მისის ჯეიმსონს არც ერთი კბილი არ აკლდა და ისეთივე ზუსტი და ალესილი მოძრაობები ჰქონდა, როგორც ლაპარაკის მანერა.

მის ბარეტის ფერხთით მოკალათებული ფლაშის თავზე საათობით გადაწეხუხუხებდნენ და გადადიოდნენ ეს ხმები. მის ბარეტი ხან გაიცინებდა, ხან შეეწინაღმდეგებოდა ვისმე, ხან წამოიძახებდა რასმე, ზოგჯერ ამოიოხრებდა კიდეც და ისევ გაიცინებდა. ბოლოს და ბოლოს, ფლაშის გასახარად, პატარ-პატარა შეფონებები ჩნდებოდა, თვით მის მიტფორდის გაბმულ საუბარშიც კი: — ნუთუ უკვე შეიღია! ვაი, ის ხომ შუადღიდან ზის აქ. ახლა კი ნამდვილად უნდა ინქაროს, რომ მატარებელს მიუსწროს. მისტერ კენიონი ხურავს წიგნს — იგი ხმაშალა კითხულობდა — და ბუხართან ზურგშექცეული დგება. მისის ჯეიმსონი მძაფრი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი მოძრაობით ხელთათმანს იჭიმავს თითებზე. მერე ერთი მათგანი ფლაშს ხელს მოუთათუნებს, მეორე ყურებზე მოქაჩავს. გამოთხოვების გაწეული ცერემონია აუტანელი ხდება. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მის ჯეიმსონი და თვით მის მიტფორდიც წამოდგებიან. სამივენი წარმოთქვამენ გამოსამშვიდობებელ სიტყვებს, მერე უცბად რაღაც მოაგონდებათ, რაღაც დაეკარგებათ, რაღაცას იპოვნიან და ამასობაში კარებამდეც მიაღწევენ, გააღებენ კარს და — მადლობა ღმერთს — საბოლოოდ წავლენ.

ამის შემდეგ მის ბარეტი, ფერმიხდილი და ქანცგამოღებული, ბალიშებზე მიესვენებოდა. ღვთის წყალობით, ისევ მარტონი იყვნენ. მაგრამ სტუმრობა ისე გაჭიანურდა, რომ უკვე სადილობის დროც მოსულა. ქვედა სართულიდან ნაირნაირი სუნის ამოსვლა იწყებოდა. და აი კართან უილსონიც გამოჩნდებოდა, ლანგარზე დაწყობილი ქალბატონის სადილით ხელში. ლანგარი მის ბარეტის გვერდით იდგმებოდა, ჭურჭელს ხუფები ეხდებოდა. მაგრამ ჯერ ჩაცმისა და მერე ამდენი ლაპარაკის გადამკიდე, ოთახის დახუთულობისა თუ დამშვიდობების მღელვარების გამო, მის ბარეტი ისე გადაღლილიყო, რომ ჭამის თავიც აღარ ჰქონდა. ერთს უკმაყოფილოდ წამოაკრუსუნებდა, როგორც კი დაინახავდა ცხვრის ხორცის ფუნჩულა კატლეტს, ან კაკბისა თუ ქათმის ფრთას, მისთვის სადილად რომ ამოეგზავნათ. ვიდრე უილსონი ოთახში იყო, იგი დანა-ჩანგალს ხელში ყასადად ატრიალებდა. მაგრამ როგორც კი კარი მიიხურებოდა და ისინი მარტონი დარჩებოდნენ, ქალბატონი ოხვრას ამოუშვებდა, მერე ასწევდა ჩანგალს, რომელზეც ქათმის მთელი ფრთა იყო წამოცმული. ფლაში მისკენ დაიძრებოდა. მის ბარეტი თავს დაუქნევდა და ერთობ ნაზად, ერთობ მარჯვედ, სულ ერთი ნამცეცხვით რომ არ ჩამოვარდნოდა, წამოაძრობდა ფლაში ჩანგლიდან ფრთას და ისე გადასახსლავდა, რომ არავითარ კვალს არ დატოვებდა. სქელი კრემით გაჯერებული ბრინჯის პუდინგის მოზრდილი ნაჭერიც ამავე მულამით ქრებოდა. ძნელია წარმოიდგინოთ რაიმე უფრო დახვეწილი და უფრო ქმედითი, ვიდრე ფლაშის ეს

თანამშრომლობა იყო. ამის შემდეგ იწვა ხოლმე ფლაში ჩვეულებისამებრ მის ბარეტიც ფერხთით მოკალათებული და მიძინებული ჩანდა. იწვა მის ბარეტიც და დასვენებისა და კარგი სადილის შემდეგ ძალაადღეენილსა ჰგავდა. და ამ დროს ერთხელ კიდევ გაისმოდა ფეხის ხმა, უფრო მძიმე, მიზანსწრაფული და მტკიცე, ვიდრე რომელიმე სხვა, და შეჩერდებოდა კიბის თავზე. გაისმოდა საზეიმო კაკუნა, რომელიც ნებართვის თხოვნა კი არა, უფრო შემოძვების მოთხოვნა იყო. კარი იღებოდა და შემოდინდა ხნიერ კაცთა შორის ყველაზე შავი და ყველაზე საშიში კაცი — თვით მისტერ ბარეტი. თვალთ მაშინვე ღანგარს გადასწვდებოდა: შეჭმულია თუ არა სადილი? ემორჩილებიან თუ არა მის ბრძანებას? კი, თუფშები ცარიელია. და იმის მაუწყებლად, რომ კმაყოფილი იყო თავისი ასულის მორჩილებით, მისტერ ბარეტი მძიმედ ჩაეშვებოდა სავარძელში მისი საწოლის გვერდით. ფლაშს კი ამ შავი კაცის მოახლოებისას ზაფრისაგან ხერხემალზე ურჭოლა დაუყვებოდა. ეს ის შიშია, რომელიც ეუფლება ყვავილებში გაწოლილ ველურს, როცა უეცრად მეხი გავარდება და მის გრიალში ღმერთის ხმა ჩაესმის. შემდეგ უილსონი დაუსტვენდა და საქციელწამხდარი ფლაში ისე ქურდულად, დამნაშავესავით გადადგამდა ნაბიჯს, თითქოს მისტერ ბარეტს მისი აზრების წაკითხვა შესძლებოდა და ეს აზრები ბოროტი ყოფილიყოს. გაიძურწებოდა იგი ოთახიდან და ქვედა სართულისკენ დაეშვებოდა. საწოლ ოთახში შესული იყო ძალა, რომელიც თავზარს სცემდა, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო. ერთხელ ფლაში ოთახში მოულოდნელად შეიჭრა. მისტერ ბარეტი დაჩოქილიყო თავისი ქალიშვილის საწოლთან და ლოცულობდა.

3. კაპიზონიანი კაცი

ის აღზრდა-განათლება, რომელსაც უიმპიულ სტრიტზე მდებარე სახლის უკანა საწოლ ოთახში იღებდა ფლაში, ჩვეულებრივ ძალზეც კი იქონიებდა გავლენას და იგი ხომ ჩვეულებრივი ძალდი არ იყო. მკვირცხლი და ფიცხი ბუნების პატრონს, საზრიანობაც არ აკლდა. დიახაც, ძალღური ძალდი გახლდათ, მაგრამ ადამიანური განცდებისადმიც უაღრეს მგრძნობელობას იჩენდა. ამიტომ მოახდინა მასზე განსაკუთრებული ზეგავლენა საწოლი ოთახის გარემომ. და რა მისი ბრალია, ეს მგრძნობელობა უფრო მამაცური თვისებების ხარჯზე თუ განუვითარდა. ბუნებრივია, სასთუმლად ბერძნული ლექსიკონი რომ ედო, ყეფისა და კბენის სურვილი დაეკარგებოდა, ძალდის ხმაურიან ზნეს კატის სიჩუმეს ამჯობინებდა და ორივე მათგანზე მეტად ადამიანური თანაგრძნობა მიიზიდავდა. მის ბარეტიც ხომ ცდას არ აკლებდა, რაც შეიძლება მეტად დაეხვეწა და გაეწვრთნა მისი ნიჭი და უნარი. ერთხელ მან ფანჯრიდან არფა ჩამოიღო, ფლაშის გვერდით დაღო და ჰკითხა ძალდს: — როგორ ფიქრობ, არფა, რომელიც მუსიკას გამოსცემს, თვითონ ცოცხალია თუ არაო? ძალდი შეჰყურებდა და უსმენდა. ერთი წამით თითქოს ჩაფიქრდა კიდევ დაეჭვებული და მერე დაასკვნა: — რომ ცოცხალი არ არის. ზოგჯერ მის ბარეტი ძალდს სარკის წინ გვერდთ დაიყენებდა და ჩაჰკითხავდა ხოლმე: — რატომ ჰყეფ, ფლაშ, რატომ ცახცახებო? განა ის ყავისფერი ცუგრია, ახლა რომ შეჰყურებ, შენ თვითონ არა ხარო? — კი მაგრამ, ეს „თვითონ“ რაღას უნდა ნიშნავდეს... ნეტავ ის არის, რასაც ადამიანები ხედავენ, თუ ის, რაც მე ვარო, — ფიქრობდა ფლაში და რადგან რეალობის პრობლემას თავს ვერ ართმევდა, მის ბარეტს უფრო ახლოს მიეკვროდა და „მთელი გრძნობით“ კოცნიდა. ეს მაინც ხომ იყო რეალური.

ამგვარი პრობლემების წრიდან ახლად გამოსული, ამ გრძნობადი გაურკვევლობისგან ნერვებაღვზნებული ფლავი დაეშვებოდა ქვემო სართულისაკენ და რა გასაკვირია, რომ მისი ქცევა და იერი — მედიდურობის თუ საკუთარი უზერატესობის გამოხატველი — ისეთ ბრაზს გვრიდა ველურ კატილაინს, კუბური ჯიშის მეძებარს, რომ ქვემოთ ჩამოსულს უმაღლეს დააცხრებოდა, დაკბენდა და წკმუტუნ-წკმუტუნით ისევ ზემოთა სართულისკენ გაისტუმრებოდა. ბარეტის თანაგრძნობის საძებნელად, ფლავი „გმირი არ არის“, — დასწვსა მისი ბარეტმა. მაგრამ რატომ არ იყო იგი გმირი? განა ნაწილობრივ თვით მას არ ედო ამაში ბრალი? მის ბარეტი ზედმიწევნით სამართლიანი იყო და იმაზე თვალს როგორ დახუჭავდა, ფლავმა მას რომ შესწირა თავისი სიძამაცე და თავისი წილი მზეცა და ჰაერიც. ძალღის ამ ნერვიულ აღვზნებულებას, უეჭველია, ჰქონდა უარყოფითი მხარეები: — მის ბარეტმა აღარ იცოდა, როგორ მოებოდიშებინა, როცა ფლავი საკბენად მივარდა მისტერ კენიონს, რომელმაც ზარის დასარეკ ზონარს წამოჰკრა ფეხი. გამაღიზიანებელი იყო ისიც, ფლავი მთელი ღამე საბრალობლად რომ დავლაკებდა, როცა მის ბარეტის ღოგინზე დაწოლის უფლებას არ მისცემდნენ. საჭმელს პირს არ დააკარებდა, თუ თვითონ ქალბატონი არ აჭმევდა. მაგრამ მის ბარეტი ბრალს თავის თავზე იღებდა და ამ უზერხულობასაც იტანდა, რა სათქმელია, ფლავს ხომ უყვარდა იგი, მისი გულისთვის არ დასთმო მზე და ჰაერი?! „ის განა ღირსი არ არის სიყვარულისა?“ — ეკითხებოდა იგი მისტერ ჰორნს. და სულაც არ ჰქონდა მნიშვნელობა იმას, თუ რა პასუხს გასცემდა მისტერ ჰორნი. თავად მის ბარეტი დადებითად პასუხობდა ამ კითხვას. მას უყვარდა ფლავი და ფლავი იყო ღირსი ამ სიყვარულისა.

ფლავისა და მის ბარეტის ერთობას ისეთი პირი უჩანდა, თითქოს არაფერს შეეძლო მისი დარღვევა, თითქოს წლების დინება კიდევ უფრო კრავდა და ადუღებდა ამ ერთობას, თითქოს ეს წლები ასე გასტანდა მთელი სიცოცხლე. ათას რვაას ორმოცდაორი ათას რვაას ორმოცდასამად იქცა, ათას რვაას ორმოცდასამი ათას რვაას ორმოცდაოთხად. ფლავმა ლეკვობის ასაკი კარგა ზანია უკან მოიტოვა. ის ახლა ოთხი თუ ხუთი წლის ძალღი იყო, უკვე კარგად მოწიფული ძალღი. მის ბარეტი ისევ თავის დივანზე იწვა ბარეტების სახლში, და ფლავიც მის ფერხითი მიწოლილიყო დივანზე. მის ბარეტის ცხოვრება „გაღლიაში დამწყვდეულ ჩიტის ცხოვრებას ჰგავდა“. ზოგჯერ მთელი კვირაობით სახლიდან ფეხს არ იცვლიდა, და თუ გამოვიდოდა, ისიც მხოლოდ ერთი ან ორი საათით, — რომელიმე ძალაზიამდე ეტლით რომ მისულიყო, ან ბორბლებიანი სავარძლის გორებით რიჯენტს პარკამდე მიეყვანათ.

ბარეტის ოჯახი ლონდონიდან არასოდეს გადიოდა. მისტერ ბარეტი, შვიდი ძმა, ორი და, უფროსი მსახური, უილსონი და სხვა მოახლეები, მის ბარეტი და ფლავი, ძაღლები — კატილაინი და ფოლი — ყველანი ძველებურად ცხოვრობდნენ უიმპოულ სტრიტის № 50 სახლში, სადილობდნენ სასადილო ოთახში, ეძინათ საძილე ოთახებში, თამბაქოს ეწეოდნენ კაბინეტში, კერძებს ამზადებდნენ სამზარეულოში, ცხელ წყალს ასხამდნენ სათბურაში, ნარჩენებს ყრიდნენ ნაგავში. ასე — იანურიდან დეკემბრამდე, დეკემბრიდან იანვრამდე. სკამებზე გადაკრულ ქსოვილებს ოდნავ დაეტყო ჭუჭყი, ნოხები ოდნავ ვაცვდა, ნახშირის მტვერი, ჭვარტლი, ფოგი, სიგარის ბოლი, ღვინისა და ხორცის სუნი გროვდებოდა ხვრელებში, ნაბზარებში, ქსოვილებში, სურათების ჩარჩოების თავზე, ხის ჩუქურთმების გრეხილებში. სურო, — მის ბარეტის საწოლი ოთახის ფანჯარაზე რომ ეშვებოდა გარედან, — თანდათან გაიბუჩქა, გაიბუჩქა და სქელ მწვანე ფარდად

იქცა. ფანჯრის რაფაზე შემომდგარ ყუთში ჩარგული ბალახვარდა და ალისფერი ხვიარა ზაფხულობით ზრდას ველარ იოკებდნენ და მთლად გადაიბარდნებოდნენ ხოლმე.

მაგრამ აი, 1845 წლის იანვრის დამდეგს, ერთ საღამოს ფოსტალიონმა დააკაკუნა. როგორც ყოველთვის, საფოსტო ყუთში ახლაც ჩაეშვა წერილები. როგორც ყოველთვის, ახლაც ჩავიდა უილსონი ქვემო სართულში წერილების ამოსატანად. ყველაფერი ისე იყო, როგორც ყოველთვის: — უფროსი მასწავლებლის აკაკუნებდა ფოსტალიონი, ყოველ საღამოს უილსონს ამოჰქონდა წერილები და ყოველ საღამოს ერთი წერილი მაინც მიერთმეოდა მის ბარეტს. მაგრამ ამდამინდელი წერილი არ იყო ჩვეულებრივი. იგი სრულიად განსხვავებული წერილი იყო. ფლაშმა ეს ჯერ კიდევ მანამდე იგრძნო, ვიდრე კონვერტი გაიხსნებოდა. იმის მიხედვით იგრძნო, თუ როგორ აიღო წერილი მის ბარეტმა, როგორ შეატრიალა ხელში, როგორ დახედა ღონიერი, დაჯირღნილი ხელწერით გამოყვანილ თავის სახელს. ფლაშმა ეს იგრძნო მის ბარეტის თითების აუწერელი თრთოლვით, იმ მოუთმენელი სიჩქარით, რომლითაც მან კონვერტი გახსნა, და იმ თავდავიწყებით, რომლითაც წერილის კითხვას დაეწაფა.

ძალი თვალს ადევნებდა მის ბარეტს წერილის კითხვისას, და თვალს რომ ადევნებდა, ამ დროს ყურში შორეული ხმა ჩაესმოდა, ისე როგორც ჩვენ, ადამიანებს, ძილ-ღვიძილში, ქუჩის აურზაურის ძილმა, ჩაგვესმის ხოლმე რაღაც, ზარის რეკვასავით, და ვგრძნობთ, რომ ეს საგანგაშო და ძლივს გასაგონი ხმა ჩვენ გვეხება: — თითქოს ვიღაცა შორიდან ცდილობდეს ჩვენს ვალვიძებას და გვატყობინებდეს, რომ ხანძრის, ძარცვის თუ ჩვენი სიმშვიდის წინააღმდეგ მომართული რაღაც სხვა მოკლენის საშიშროება გვემუქრება, და ვიდრე გავიღვიძებდეთ, განგაში გვიპყრობს. აი, ასევე, სანამ მის ბარეტი პატარა დალაქავებულ ფურცლებს თვალს აყოლებდა, ძალს ყურში ჩაესმოდა გამაფხიზლებელი ზარის რეკვა, რაღაც საშიშროების მაუწყებელი, — მის სიმშვიდეს რომ ემუქრებოდა და ძილს უფრთხობდა. მის ბარეტმა წერილი სწრაფად ჩაიკითხა, მერე ნელა გადაიკითხა და მერე ფრთხილად ჩააბრუნა კონვერტში. მასაც გაუფრთხა ძილი.

რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოს, უილსონის ლანგარზე იგივე წერილი იდო. მის ბარეტმა იგი ისევ სწრაფად წაიკითხა, ისევ ნელა ჩაიკითხა, კიდევ და კიდევ გადაიკითხა. შემდეგ ფრთხილად შეინახა, ოღონდ იმ უჯრაში კი არა მის მიტფორდის უამრავი ბარათით რომ იყო გამოტენილი — არა, სულ ცალკე-ამდენ წელიწადს მის ბარეტის ფერხთით მოკალათებული მგრძნობელობას რომ ივითარებდა, მთელი ეს უნარი ახლა გამოიყენა ფლაშმა. ისეთი ნიშნების ამოცნობა შეეძლო, რასაც სხვა ვერც კი ამჩნევდა. მის ბარეტის თითების შეხებაზე ხედებოდა, რომ იგი ერთადერთი რამის მოლოდინით იყო შეპყრობილი: ფოსტალიონის დააკაკუნებას და ლანგარზე დადებულ წერილს ელოდა. აი, მის ბარეტა ეალერსება ფლაშს ხელის მსუბუქი, თანაბარი მოძრაობით. უცებ გაიხსნა კაკუნი. თითები მჭიდროდ შემოეჭდობა ძალს და მანამ ჰყავს იგი ასე მარწუხებში მოქცეული, ვიდრე უილსონი ძალდა ამოვიდოდეს. მის ბარეტი იღებს წერილს, ძალს ხელს უშვებს და ივიწყებს კიდევ მის არსებობას.

მაინც თავს იმშვიდებს ფლაში: რისი უნდა მეშინოდეს, მის ბარეტის ცხოვრება ხომ არაფრით შეცვლილა. და მართლაც არ შეცვლილა მის ბარეტის ცხოვრება. ახალი სტუმარი არ გამოჩენილა. ძველებურად ისევ მისტერ კენიონი მოდიოდა, ისევ მის მიტფორდი მოდიოდა, ისევ დები და ძმები მოდიოდნენ, და საღამოობით მოდიოდა მისტერ ბარეტი. მაგრამ ვერაფერს ამჩნევდნენ, ეჭვი ვე-

რაფერზე მიჰქონდათ. და როცა რამდენიმე საღამომ უწერილოდ ჩაიარა, ძაღლიც დამშვიდდა და შეეცადა თავი დაერწმუნებინა, რომ მტერი გაშორდა იქაურობას. წარმოიდგინა, თითქოს ლაბადამოსხმული, თავზე კაპიშონჩამოფხატული კაცი მოადგა მათ სახლს, ქურდივით მოსინჯა კარი, და რაკი დარწმუნდა, რომ ვერც მცველი ჰყავს, კუდამოძუებული გაიძურწა. ძაღლი თავს ირწმუნებდა, რომ საფრთხემ ჩაიარა, რომ ის კაცი აღარ დაბრუნდება. და ამ დროს ისევ მოვიდა წმინდი რილი.

როცა წერილებმა უფრო და უფრო მოუხშირა და უკვე თითქმის ყოველ საღამოს იწყო მოსვლა, ფლავმა თვითონ მის ბარეტის პიროვნებაში დალანდა ცვლილებები: ძაღლი თავის მახსოვრობაში პირველად ხედავდა ქალბატონს ასე გაღიზიანებულსა და მოსვენებადარგულს. მის ბარეტი ვეღარ კითხულობდა, ვეღარც წერდა, დადგებოდა ფანჯარასთან და გარეთ იყურებოდა. წამდაუნებოდა კითხვებოდა უილსონს: — როგორი ამინდია, აღმოსავლეთის ქარი ისევ ქრის თუ არაო, რიჯენტს პარკში გაზაფხულის რაიმე ნიშანი თუ იგრძნობაო. — ო, არაო, — მაუკებდა უილსონი, — რა დროს გაზაფხულიაო, ჯერ კიდევ სუსხიანი ზენა ქარი ქრისო. და სპანიელი გრძნობდა, რომ ეს პასუხი ერთდროულად შვებასაც ჰკვრიდა მის ბარეტს და აღიზიანებდა კიდევ. მის ბარეტს ახველებდა და ის წუწუნებდა, — თავს ცუდად ვგრძნობო, თუმცა არც ისე ცუდად იყო, როგორც სხვა დროს ყოფილა ასეთ ქარიან ამინდში. და მერე, როცა მარტო დარჩებოდა, ისევ გადაიკითხავდა წინა ღამის წერილს. ეს ბოლო წერილი ყველა ადრინდელ წერილზე უფრო გრძელი იყო. მრავალი ფურცელი სულ ერთმანეთზე მიჯრილი, შავად დალაქავებული, პატარ-პატარა, უცნაური დამრეცი იეროვლიფებით იყო მოფენილი. ყოველ შემთხვევაში, სულ ეს იყო, რასაც თავისი ადგილ-სამყოფლიდან ხედავდა მის ბარეტის ფეხებთან მიწოლილი ფლავი. მას არ ესმოდა იმ სიტყვების მნიშვნელობა, მის ბარეტი თავისთვის რომ ბუტბუტებდა. თღონდ ის არ გამოპარვია, როგორ აღელდა ქალბატონი, ერთ-ერთი გვერდი რომ ჩაათავა და ბოლო სიტყვები, თუმცა გაურკვეველად, მაგრამ ხმამაღლა ამოიკითხა: „არ დამრთავთ ნებას, ორი ან თუნდაც სამი თვის შემდეგ გინახულოთ?“

მერე მის ბარეტმა აიღო ხელში კალამი და სწრაფი, ნერვიული მოძრაობით გადაატარა ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე ფურცელზე. მაგრამ რას ნიშნავდა ეს პატარა სიტყვები? რას წერდა მის ბარეტი? — „აპრილი მოდის, მაისი და ივნისიც მოვა, თუ ვიცოცხლეთ და მოვესწარით მათ მოსვლას. ბოლოს და ბოლოს ჩვენ იქნებ... არა, მე უსათუოდ, უსათუოდ შევძლებ თქვენს ნახვას, როცა თბილი ამინდი გამომაცოცხლებს და აღმადგენს. მაგრამ პირველად ალბათ შემეშინდება თქვენი, თუმცა ახლა, ამას როცა ვწერ, სულაც არა მაქვს თქვენი შიში... თქვენ პარაცელსი ხართ, მე კი — განდევილი, რომელსაც ნერვები ტანჯვისაგან დააწყდა და ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმაზე, ყოველ ამოსუნთქვაზე გრძნობს ამ დაწყვეტილი ნერვების ფართხალს“.

რას წერდა მის ბარეტი ფლავის თავს ზემოთ ორი თუ სამი გოჯის სიმაღლეზე, იმისი წაკითხვა არ შეეძლო ფლავს. მაგრამ თითქოს არც ერთი სიტყვა არ დარჩენოდეს წაუკითხავი, ისე შეუმცდარად გრძნობდა იგი, თუ რა უცნაურ მღელვარებას შეეპყრო მისი ქალბატონი წერის დროს, რა ერთმანეთის საწინააღმდეგო სურვილებით იყო აწეწილი: აპრილი შეიძლება დამდგარიყო ან არ დამდგარიყო, ეს უცნობი კაცი შეიძლება ახლავე ენახა, ან შეიძლება ვერ ენახა ვერასოდეს. ფლავსაც თავისი ქალბატონივით ყოველ ნაბიჯზე, ყოველ ამოსუნთქვაზე უფართხალებდა გული. ასე ძაღლუმადურად გადიოდა დღეები. ქარმა ჩა-

მოკლე დარბაზი, მზემ გაანათა ოთახში მდგომი ბიუსტები. საჯინიბოს ეზოში ამდურდა ჩიტი. უიმპოულ სტრიტზე ყვავილების გამყიდველის ძახილი გაისმა. ყველა ეს ხმა იმის მაუწყებელი იყო, რომ მოვიდა აპრილი, რომ მაისიც და ივნისიც მოვიდოდა, რომ ამ საზარელი გაზაფხულის მოახლოებას ვერაფერი შეაჩერებდა. და რა მოჰყვებოდა გაზაფხულს?? — რაღაც საშინელება, რაღაც შემაზრზენი ამბავი, რომელიც თავზარს სცემდა მის ბარეტს ექვთუფაძეს სცემდა ფლამსაც. ეს არი, ახლა ფლაში ფეხის ხმამ შეაკრთო, მეგობარო ალბონინა, ჰენრიეტა და სხვა არავინ. დააკაკუნეს... ოჰ, ეს მისტერ კენიონი ყოფილა! ასე ვაჟიდა აპრილი და მაისის პირველი ოცი დღე და მერე, 21 მაისს, ფლაში მიხვდა, რომ ის გარდუვალი დღეც დადგა, რადგან 21 მაისს, სამშაბათს, მის ბარეტი გაფაციცებით იყურებოდა სარკეში, მოირთო, მოიკაზმა, — თავისი ლამაზი ინდური შალი მოიხურა, უილსონს სავარძელა დივანთან ახლოს მიაწვეინა, მაგრამ არც სულ ახლოს. ხან ამ ნივთს შეავლო ხელი, ხან იმას, მერე გამართულად წამოიჯდა ბალიშებში. ფლაში მის ფერხით გაიწვართა ტახტზე. ორივენი ერთად, ცალ-ცალკე ელოდნენ. ბოლოს მერილიბოუნის ეკლესიის საათმა ორი ჩამოკრა. ისევ ელოდნენ. მერე მერილიბოუნის ეკლესიის საათმა ერთხელ ჩამოკრა, ერთადერთხელ, — სამის ნახევარი. ის იყო იმ ერთადერთი ჩამოკვრის ხმაც მიიღია და წინა კარზე თამამი კაკუნი გაისმა. მის ბარეტი გაფითრდა, ოღონდ ოღნავადაც არ შერხეულა. ფლაშიც გაუნძრევლად იწვა. შიშის მომგვრელი, უღმობველი ფეხის ხმა ქვემო სართულიდან ზემოთ მოიწვედა. ფლაში იცოდა, რომ კიბეზე ამოდითა ის ღამეული, ავის მომასწავებელი მოჩვენება, — ლაბადამოსხმული, კაპიშონჩამოფხატული კაცი. აჰა, მან კარის სახელურს მოჰკიდა ხელი. სახელური შეტრიალდა და აი ისიც, — „მისტერ ბრაუნინგი“ — წარმოთქვა უილსონმა.

ფლაშიმა, მის ბარეტს რომ უთვალთვალებდა, შეამჩნია, როგორ წამოენთო ქალბატონს სახე, როგორ გაუბრწყინდა თვალები. „მისტერ ბრაუნინგი!“ — შესძახა მან.

თვალების ფახულით, ყვითელი ხელთათმანების ხელში წვალებით შემოვიდა თავით ფეხამდე სრულყოფილი, ზედმიწევნით ღამაზად ჩაცმული, ზედმიწევნით ღამაზად თმაგადავარცხნილი მისტერ ბრაუნინგი. მკვეთრი მოძრაობით, დიდი ნაბიჯებით გადაჭრა ოთახი, მის ბარეტის ხელს ხელი ჩასჭიდა და მისი დივნის გვერდით სავარძელში ჩაეშვა. და მაშინვე გაიბა საუბარი.

ფლაშისთვის საშინელი ასატანი გახდა სიმარტოვის განცდა, რომელიც მათი საუბრის დროს დაეუფლა. იყო დრო, როცა იგი თავს ისე გრძნობდა, თითქოს მის ბარეტთან ერთად ცეცხლის შუქით განათებულ გამოქვაბულში ცხოვრობდა. ახლა გამოქვაბულში ცეცხლი ჩამქრალიყო, სიბნელე და სინოტივე მეუობდა იქ. მის ბარეტი აღარ იყო მასთან, გარეთ გასულიყო. ფლაშიმა მიმოიხედა, ყველაფერი შეცვლილა. წიგნების კარადაც სხვაა, ის ზუთი ბიუსტიც. ისინი ახლა ის კეთილი ღვთაებები აღარ არიან, მეგობრულად რომ დაპყურებდნენ ზემოდან, — მათ მტრული და მკაცრი იერი მიუღიათ... ფლაშიმა გვერდი იცვალა მის ბარეტის ფერხით. არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. დაიწკმუტუნა. მათ არ გაუგონიათ. ბოლოს დაწვა გატრუნული და ჩუმი აგონიით დამაგრული. საუბარი გრძელდებოდა. მაგრამ ისე კარ მიედინებოდა და მილივლივებდა, როგორც ყოველთვის. მიდიოდა შეყვინებებისა და ნახტომების მონაცვლეობით, უეცრად წაიფორხილებდა. შეჩერდებოდა და მერე ისევ ნახტომებით წავიდოდა. ფლაშს წინათ არასოდეს სმენია მის ბა-

რეტიხს ხმა ასე მეღერი, ასე ძლიერი, ასე ძლეღვარე. არც მისი ლოყები უნახავს ოდესმე ასე წამონთებული და არც ასეთი ეღვარება შეუმჩნევია მის დიდრონ თვალბში. საათმა ოთხი დარეკა. ისინი კვლავ ლაპარაკობდნენ. დარეკა ხუთის ნახევარი. ახლა კი წამოხტა მისტერ ბრაუნინგი. რაღაც საშინელი გადმწყვტილებით და შიშის მოძგვრელი გაბედულების ნიშნით იყო აღბეჭდილი მისი ყოველი მოძრაობა. უცბად მის ბარეტის ხელს ჩასჭიდა ხელი. მერე თუჯოცქედს და ხელთათმანებს დასწვდა. გამოსამშვიდობებელი სიტყვები წარმოუტყვევებდა ხეს, როგორ ჩარბოდა კიბეზე. მაგრად გაიჯახუნა კარი და წავიდა.

მაგრამ მის ბარეტი არ მოსვენებულა ბალიშებზე, როგორც მისტერ კენიონის და მის მიტფორდის წასვლის შემდეგ მიესვენებოდა ხოლმე. ისევ წელგამართული იჯდა, თვალები ანთებოდა, ლოყები უღვიოდა, ჩანდა, ისეთი განცდა დაუფლებოდა, თითქოს მისტერ ბრაუნინგი კვლავ მის გვერდით ყოფილიყო. ფლაშმა თათი შეახო. მის ბარეტი შეაკრთო ძაღლისგან თავის შეხსენებამ. მსუბუქად, მხაარულად გადაუსეკა თავზე ხელი და გაღიძებულმა ისე უცნაურად დაუწყო ყურება, თითქოს ნატრობდა, — ნეტავ ლაპარაკი შეეძლოსო. თითქოს მოელოდა, რომ ძაღლსაც იგივე განცდა ექნებოდა, რაც თვითონ ჰქონდა. შემდეგ გაეცინა, როგორღაც სინანულით. საწყალ ფლაშს სად შეეძლო ის განეცადა, რასაც მისი ქალბატონი განიცდიდა, საიდან შეეძლო სცოდნოდა ის, რაც მისმა ქალბატონმა იცოდა. არასოდეს ყოფილან ისინი ერთმანეთისაგან გათიშულნი ასეთი უსახური სივრცით და უდაბური მანძილით, როგორც ახლა. ძაღლი იწვა იქ, მაგრამ ვინ იყო მისი დამნახავი, ვითომდა იქ არც ყოფილიყო. ქალბატონს მისი არსებობაც კი დავიწყნოდა.

და იმ ღამეს მის ბარეტმა წიწილა ისე შეჭამა, რომ ძვლების მეტი არაფერი დაუტოვებია. ერთი ციცქნა კანი და კარტოფილიც კი არ რგებია ფლაშს. როცა ჩვეულებისამებრ მისტერ ბარეტის მობრძანდა, ფლაში მისმა მიუხედავლობამ გააკვირვა: იგი ხომ იმავე სავარძელში ჩაჯდა, რომელშიც ის კაცი იჯდა. თავი იმ ბალიშს მიაყრდნო, რომელზეც იმ კაცს ჰქონდა თავი მიყრდნობილი, და არაფერი არ შეუმჩნევია. „ნუთუ არ იცი, — განცვიფრებით შეჰყურებდა მას ფლაში, — ვინ იჯდა მაგ სავარძელში? ნუთუ არ გცემს მისი სუნი?“ თვითონ ფლაშისთვის მთელი ოთახი მისტერ ბრაუნინგის იქ ყოფნით იყო აზრჩოლებული. მისი სუნი, წიგნის კარადას რომ ჩაუქროლებდა, იმ ხუთი დაბინდული ბიუსტის თავებამდე აღიოდა ბოლქვებად და იქ ტრიალებდა... ეს ტლანქი კაცი კი იჯდა თავისი ქალიშვილის გვერდით და ვითომც აქ არაფერი, — ვერც რამეს ამჩნევდა, არც რამეს ეჭვობდა. მისტერ ბარეტის სიყვეყნით გაოგნებულმა ფლაშმა გვერდი აუარა მას, გაძვრა ოთახიდან და იქაურობას გაეცალა.

მაგრამ მიუხედავად თავიანთი გასაოცარი სიბრძავისა, რამდენიმე კვირის შემდეგ ოჯახის წევრებმაც კი შეამჩნიეს ცვლილება მის ბარეტს. იგი ახლა თავისი ოთახიდან ქვევით, სასტუმრო ოთახში ჩადიოდა და იქ იჯდა ხოლმე. შემდეგ ისეთი რამ მოხდა, რასაც უკვე დიდი ხანია აღარავინ ელოდა: მის ბარეტს თავის დასთან ერთად საკუთარი ფეხით მივიდა დევონშირის მოედნამდე. მეგობრები და ოჯახის წევრები განცვიფრებულნი იყვნენ მისი ჯანმრთელობის ამგვარი გაუმჯობესებით. მაგრამ თუ საიდან იღებდა მის ბარეტი ამ ძაღლს, ეს მხოლოდ ფლაშმა იცოდა. მას ამ ძაღლს გადასცემდა სავარძელში მჯდომი შავგვრემანი კაცი. კვლავ და კვლავ, ისევ და ისევ მოდიოდა იგი. ჯერ კვირაში ერთხელ, შემდეგ კვირაში ორჯერ. მოდიოდა ყოველთვის ნაშუადღევს და დაღამებამდე მიდიოდა უკან. მის ბარეტი ყოველთვის მარტო ხვდებოდა. იმ დღეებში, როცა

ის კაცი არ მოვიდოდა, მოდიოდა მისი წერილი. და როცა თვითონ წავიდოდა, რჩებოდნენ მისი ყვაილები. დილაობით, როცა მარტო იყო, მის ბარეტი წერილებს სწერდა მას. ყველაფერს ის ავსებდა, ის შავკვრემანი, ლარივით დაჭიმული, ფიცხელი და მოქმედი კაცი. ყველგან ის იყო თავისი შავი თმით, ლაქლაქა ლოყებით და ყვითელი ხელთათმანებით. რაღა თქმა უნდა, მის ბარეტი უკეთ იგრძნობდა თავს! რაღა თქმა უნდა, საკუთარი ფეხით ივლიდა! ფეხებზე იგრძნობდა, რომ აღარც მას შეეძლო მშვიდად წოლა. თავი შეახსენეს ძველმა ჯიბეებმა და სურვილებმა. ახლებური მოუსვენრობა დაუფლდა. ახლა უსიზმროდ აღარც ეძინა. ისეთ სიზმრებს ხედავდა, თრი მაილ კროსზე ნეტარი ცხოვრების შემდეგ რომ აღარ ენახა: აქ მაღალ ბალახში კურდღლები დანავარდობდნენ, იქ ხობები აიჭრებოდნენ ჰაერში და გრძელი ბოლოების ლამაზ ნაკადებს წაიყოლებდნენ თან. ნაწვერალიდან ფრთხილ-ფრთხილად აფრინდებოდა კაკბების გუნდი. ესიზმრებოდა, ვითომ ნადირობს, ანდა ვითომ ერთ ხალებთან სპანიელს ადევნებია, ის კი გაურბის, გაურბის და ველარ ეწევა. აი, ვითომ ესპანეთში ან უელსშია, ბერკშირში გადავიდა. ანდა რიჯენტს პარკშია და ჯობხმომარჯვებულ მცველებს გაურბის... თვალს გაახელს და არც კურდღლებია და არც კაკბები. არც მათრახის ტკაცუნის ისმის და არც შავკანიანი კაცების შემახილი — „სპან! სპან!“... ზის სავარძელში მისტერ ბრაუნინგი და დივანზე მჯდომ მის ბარეტს ემუსაიფება.

ბოლოს, ვიდრე ის კაცი იქ იყო, ძილიც შეუძლებელი გახდა. იწვა ფლაში თვალდაჭყეტილი და სმენად ქცეული. თუმცა არაფერი გაეგებოდა იმ პატარა სიტყვებისა, კვირაში ზოგჯერ სამ დღეს, სამის ნახევრიდან ხუთის ნახევრამდე მის თავზემთ რომ გადაქშოდნენ, მაგრამ იმას კი საშინელი სიზუსტით შეიგრძნობდა, სიტყვების კილო თანდათანობით რომ იცვლებოდა. თავდაპირველად მის ბარეტს დაძაბული და არაბუნებრივად ხალისიანი ხმა ჰქონდა. ახლა მის ხმას სითბო ჩაუდგა და ისეთი უშუალობა დაეტყო, როგორც ფლაშის სმენას მანამდე არასოდეს შეუგრძნია. იმ კაცის ყოველ მოსვლაზე ორივეს ხმაში რაღაც ახალი ბგერა ჩნდებოდა. და ეს ახლებური ხმები ხან რაღაც ცეტურად მოჰყვებოდნენ ჭიკჭიკს, ხანაც ფლაშის თავზე ფრთოსნებით გადაჰქროდ-გადმოჰქროდნენ, ხან კი ბუდეში ჩამსხდარი ჩიტების წყვილივით ღულუნებდნენ და კუტკუტებდნენ. მერე მის ბარეტის ხმა აიწევედა, აიწევედა და მაღლა ჰაერში იწეებდა ნავარდს, უვლიდა წრეებს. ამ დროს მისტერ ბრაუნინგის ხმა თავისებური მჭახე სიცილით შეჰყეფდა და შეჰკაკანებდა. მერე ისმოდა ჩურჩული, ან მოზუზუნე წყნარი ბგერები ორი ურთიერთშერწყმული ხმისა. მაგრამ როცა ზაფხული შემოდგომისკენ შეტრიალდა, ფლაშმა რაღაც საშინელი წინათგრძნობით აღიქვა ხმებში განსხვავებული ნოტების შემოსვლა. კაცის ხმაში გაჩნდა დაჟინებული, შემტევი, ენერგიული კილო, რაც, ფლაშის შეტყობით, აფრთხობდა მის ბარეტს. ქალის ხმა თრთოდა, ყოყმანობდა, თითქოს ბორძიკობს, შიგადაშიგ წყდება, რაღაცას იხვეწება და სულს ძლივს იბრუნებსო. თითქოს დაყოვნებას, შესვენებას ითხოვსო, თითქოს ეშინიაო. ასეთ დროს კაცი ჩუმდებოდა.

ფლაშს თითქმის არ ამჩნევდნენ. მისტერ ბრაუნინგი ხომ სულ ისე გულგრილად უყურებდა, თუნდაც მის ბარეტის ფეხებთან კუნძი დებუდიყოს. თუმცა ხანდახან, როცა გვერდით ჩაუვლიდა, უეცრად დასწვდებოდა და ხელის ენერგიული მოძრაობით, ვითომ სააღერსოდ, თავზე რამდენჯერმე მოქოჩრავდა, მაგრამ ისე, ყოველგვარი გრძნობის გარეშე. ასეთი საქციელით ფლაშის გულის მოგებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. ძალღს მისტერ ბრაუნინგი ჭირის დღესავით სძულდა. მარტო ერთი დანახვა მისი, — ასე უზადოდ გამოწყობილი, ასე ერთია-

ნად დაჭიმული, ასერიგად მამაკაცური კაცისა, როზელიც იდგა და ხელში ყვი-
თელ ხელთათმანებს აწვალებდა, — ფლავს ბრაზისაგან კბილების კაწკაწს აწყე-
ბინებდა. ო, რა სიამოვნებით დაუკაწკაწებდა ამ კბილებს შარვლის ტოტს შიგ-
ნით! მაგრამ რომ ვერ ბედავდა! ამან და იმან, და ყოველივემ ერთად 1845-46
წლის ზამთარი ფლავის ცხოვრებაში ყველაზე გაუსაძლის ზამთრად აქცია.

გაიარა ზამთარმა. ისევ მობრუნდა გაზაფხული. ფლავი ჯერჯერობით ვერ
ჭკრეტდა ამ ამბის ბოლოს. და მაინც, იმის მსგავსად, როგორც მდინარე, — მშვენიერ
ხეებსა, სამოვარზე მობალახე ძროხებსა და ხის კენწეროებზე შემომსხდარ ჭილ-
ყვავებს რომ აირეკლავს, — მიედინება და სადღაც უსათუოდ ჩანჩქერად ქცეული
კლდეზე უნდა გადაიჩეხოს, — ის დღეებიც, ფლავის რწმენით, კატასტროფისკენ
მიისწრაფოდნენ. ჰაერში მოსალოდნელი ცვლილებების ჩამიჩუმი იდგა. ზოგჯერ
ძადლი ფიქრობდა, რომ რაღაც დიდი გადასახლების საფრთხე იყო მოახლოე-
ბული. მთელ სახლს იმდაგვარი ფუსფუსი შეუდგა, წინ რომ უძღვის ხოლმე —
ნუთუ შესაძლებელია? — მოგზაურობას.

ყუთებს ნამდვილად გადაწმინდეს მტკერი და რაც არ უნდა დაუჯერებლად
მოგზვენებოდათ, გახსნეს კიდევაც ისინი. მერე ისევ დახურეს. არა, ეს მთელი
ოჯახის გამგზავრებას არ მოასწავებდა. ძმები და დები უწინდებურად შემოდი-
ოდნენ და გადიოდნენ. მისტერ ბარეტიც ყოველ ღამე, იმ კაცის წასვლის შემ-
დეგ, ისევ დათქმულ დროს შემობრძანდებოდა ხოლმე. მაშ რა იყო ეს, რა უნდა
მომხდარიყო? და რომ უსათუოდ უნდა მომხდარიყო რაღაცა, ამისი რწმენა ფლავს
მით უფრო ემატებოდა, რაც უფრო მეტად იკრებდა ძალას 1846 წლის ზოზინა
ზაფხული. მოსახდენის გარდუვალობა მას ჩაესმოდა იმ მარადიული ხმების შეც-
ვლილ ჟღერაში: მის ბარეტის ხმამ ადრე რომ შიშით და ვედრებით იყო სავსე,
უკუაგდო მოყოყმანე ინტონაციები. ახლა მასში ისეთი სიმტკიცე და შეუპოვრო-
ბა რეკდა, რომლის მსგავსი ფლავს ამ ხმაში არაფერი სმენია. ოპ, მისტერ ბა-
რეტს ერთხელ მაინც ყური რომ მოეკრა იმ მთრთოლვარე ხმისთვის, რომლი-
თაც მისი ასული თავის დამპყრობელს ესალმებოდა, იმ სიცილისთვის, რომელ-
საც მას აგებებდა, იმ წამოძახილისათვის, რომლითაც ის კაცი ხელში მოიქცეოდა
ხოლმე მის ხელს! მაგრამ ვაი რომ ამ ამბის მოწმე ოთახში ფლავის გარდა არა-
ვან იყო. ო, როგორ გაამწარა ფლავი ამ ცვლილებამ! და რაც მთავარია, მარ-
ტო მისტერ ბრაუნინგის მიმართ ხომ არ შეცვლილა მის ბარეტი. იგი საერთოდ
გადასხვაფერდა, და შეიცვალა თვით ფლავის მიმართაც კი. მასთან მიახლოე-
ბის ყოველ მცდელობას უფრო და უფრო უზღუდავდა, მის ალერსს სიცილით
იკერიებდა, აგრძნობინებდა, რომ მის ძველებურ მოსიყვარულებაში იყო რაღა-
ცა კნინობითი, სულელური და ლაქუცის მსგავსი. თავმოყვარეობაშელახულა
ფლავი გაღიზიანდა, ეჭვიანობამ სულ გააცეცხლა, და ივლისი დადგა თუ არა,
მიიღო გადაწყვეტილება მედგრად გაებრძოლა მის ბარეტის კეთილგანწყობის
დასაბრუნებლად და ვინძლო ის არამკითხველ გაეძევიანა. ოღონდ ჯერ არ იცოდა
და ვერც მოისახრა, რა ვეგმით განეხორციელებინა ეს ორმაგი მიზანი. მაგრამ
აი, უეცრად, 8 ივლისს, გრძნობათა მოზღვავეებით გახლებული ეტაკა მისტერ
ბრაუნინგს და გააფთრებით უკბინა. ბილოს და ბილოს შეაღწიეს მისმა კბილებ-
მა მისტერ ბრაუნინგის უზადო შარვლის ტოტს შიგნით. მაგრამ იქ რკინასავით
კიდური დაუხვდათ. კმ, მისტერ კენიონის ფეხი კარაქი იყო იმასთან შედარე-
ბით. მისტერ ბრაუნინგმა ფლავი წკიპურტით ჩამოიფერთხა შარვიდან და ლა-
პარაკი განაგრძო. ჩანდა, რომ არც იმ კაცს და არც მის ბარეტს ყურადღების
ღირსად არ ჩაუგდიათ ეს თავდასხმა. საბოლოოდ გაწბილებული, მიწასთან გას-

წორებული ფლაში ცარიელი ქარქაშის ამარა დარჩენილი ხმალგადატეხილი მეომარივით მიწვა თავის ბალიშებზე, ისე რომ ბრაზისა და იმედგაცრუებისგან ძლივსღა სუნთქავდა. მაგრამ იმაში კი ნამდვილად უძტყუნა ალლომ, მის ბარეტის მიხვედრილობა რომ განეჭვრიტა. წავიდა თუ არა მისტერ ბრაუნინგი, ქალბატონმა მიიხმო ფლაში და ისეთი დღე დააყენა, მთელ თავის სიცოცხლეში რომ არ დასდგომია. ჯერ ყურებზე შემოსცხო სილა, ეს არაფერს, მშენსავე გასაკვირლად ფლაშს მოეწონა კიდევ იგი. სიამოვნებით იწვხვედა კინლევ ახალ სილაქებს. მაგრამ ამის შემდეგ მის ბარეტმა მკაფიო, დამაჯერებელი ხმით, და კილოთი უთხრა ფლაშს: დღეს იქით აღარ მეყვარებიო. ამ ისარმა პირდაპირ გულში გაუარა, ისინი ხომ მთელი ეს წლები ერთად ცხოვრობდნენ, ყველაფერი ზიარი ჰქონდათ. და ახლა, ამ წამიერი მარცხის გამო აღარ ეყვარება... ეს იყო და, თითქოს ფლაშთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტაო, მის ბარეტი დასწვდა მისტერ ბრაუნინგის მოტანილ ყვაეილებს და წყლიან ვაზაში მათ ჩაწყობას შეუდგა. ქალბატონის ამგვარი მოქმედება, ფლაშის აზრით, წინასწარ გათვლილი ბოროტგანზრახვა იყო, საიმისოდ გამიზნული, რომ ძალღისთვის საბოლოოდ ეგრძნობინებინა მისი სრული არარაობა. „ეს ეარდი მისი მოძღვნილია, — ამბობდა თითქოს მის ბარეტი, — და ეს მიხაკიც. წითელი ფერი ყვითლის გვერდით გამობრწყინდება და თავად წითელი გამოაბრწყინებს ყვითელს. ეს მწვანე ფოთილიც აქ მოუხდება“. და ასე, ყოველი ორი ყვავილის გვერდიგვერდ ჩაწყობის შემდეგ მის ბარეტი დაიხვედა უკან, რათა თვალი მიეპყრო მათთვის — ამ ბრდღვიალა ყვაეილებისთვის, თითქოსდა მის წინ ის მდგარიყოს, ის ყვითელხელთათმანებიანი კაცი. მაგრამ მოუხედავად იმ გატაცებისა, რომლითაც ყვაეილებს და ფოთლებს ელოღიაყებოდა, მის ბარეტს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოვებინა მისკენ მიციცინებული ფლაშის დაჟინებული მზერა. არ შეეძლო არ შეემჩნია „მისი სასოწარკვეთილი გამომეტყველება“. შეუძლებელი იყო გული არ მოღბობოდა „ბოლოს ვუთხარი: — თუ შენ კარგი ხარ, ფლაშ, მოდი და ბოდიში მომიხადე! — ამ სიტყვების გაგონებაზე ელვის სისწრაფით გადმოჭრა ოთახი და ერთიანად აცახცახებულმა ჯერ ერთ ხელზე მაკოცა, მერე მეორეზე. გამომიშვირა თათები, რომ ხელი ჩამომერთმია, და ისეთი მავედრებელი თვალებით შემომხედა, შენ რომ ჩემს ადგილზე ყოფილიყავი, ისევე აპატიებდი, როგორც მე ვაპატიე“. — ასე სწერდა მის ბარეტი მისტერ ბრაუნინგს ამ ამბის თაობაზე. და, რა თქმა უნდა, პასუხიც არ აყოვნებდა: „ოჰ, საწყალი ფლაში! შენ გგონია, მე არ მიყვარს, პატივს არ ვცემ იმ ეჭვიანი მეთვალყურეობისათვის, რომელსაც შენ გიწევს. და თუნდაც იმის გამო, სხვის გაცნობას რომ არ ჩქარობს, რაკილა ერთხელ შენი გაცნობა ეღირსა?“ მისტერ ბრაუნინგისათვის სულაც არ იყო ძნელი ასეთი დიდსულოვნების გამოჩენა. მაგრამ ეს მოწყალე დიდსულოვნება გახლდათ სწორედ ის ეკალი, ფლაშის არსებას ყველაზე მტკივნეულად რომ ესობოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ერთმა შემთხვევამ ცხადჰყო, თუ რა ძალიან დაშორებიან ერთმანეთს ისინი, ვინც აქამდე ასე განუყრელები იყვნენ, და რა ცოტა იმედი უნდა ჰქონოდა ფლაშს მის ბარეტის თანაგრძნობისა. ერთ დღეს, მისტერ ბრაუნინგის წასვლის შემდეგ, მის ბარეტმა გადაწყვიტა თავის დასთან ერთად რიჯენტს პარკისკენ გაესეირნა. როცა პარკის ალაყაფთან კარეტიდან გადმოვიდნენ, კარეტის კარის მიხურვისას ფლაშს თათი შიგ მოჰყვა და „შესაბრალისი წკმუტუნი გააბა“. თათი მის ბარეტს გაუწოდა თანაგრძნობის სათხოვნელად. სხვა დროს, უფრო უმნიშვნელო რამისთვისაც კი, თანაგრძნობა თავს უხვად გადმოედრებოდა. ახლა კი მის ბარეტის თვალებში გაუცხოებული, უნდო,

დამცინავი მზერა გამოკრთა. ის დასცინოდა ფლაშს, აქაოდა, ტკივილს იგონებსო. „საკმარისი იყო ბალახზე ფეხი დაეღვა, რომ უმაღლესი სირბილი დაეწყო და სულაც არ გახსენებოდა თათის ტკივილი“, — წერდა იგი და სარკასტულად დასძენდა: — ფლაშს სჩვევია თავისი ავბედობის გაზვიადება. ბაირონის სკოლისა. „Il se pose en victime“! მაგრამ ამჯერად საკუთარი განცდებით შენობის ქვე-ლი მის ბარეტი ფლაშის განსჯისას სრულ მიუხვედრელობას იჩენდა. თათი მოტეხილიც რომ ჰქონოდა, ფლაში მაინც გაინავარდებდა, რადგან ნაფარდის ქვეშ იყო იმ დაცინვისა. „ეჰე, მეც გავწყვიტე შენთან კავშირი!“ ეს აზრი ესროლეს მის ბარეტს სახეში გაქცეული ძაღლის თვალებმა. ყვავილების სუნი ემწარა ფლაშს. ბალახი თათებს უწვავდა. მტკვრი ნესტოებს უვსებდა იმედგაცრუებით. მაგრამ ის მაინც მიგელაუდა, მიჰქროდა. „ძაღლები ძეწკვით უნდა ატაროთ!“ — ასეთი იყო შემხვედრი პლაკატის მოწოდება. და იქვე იყვნენ ცილინდროსანი, ხელკეტიანი პარკის მცველები, ამ მოწოდების ცხოვრებაში გამტარებლები. მაგრამ „უნდა“-ს დაკარგული ჰქონდა მისთვის მნიშვნელობა. რა ძეწკვი, როცა სიყვარულის ჯაჭვი გამწყვდარიყო. ახლა საითაც მოეპრიანებოდა, იქით გაპკრავდა. კაკებს დააფრთხობდა, სპანიელებს გამოუდგებოდა, გეორგიელების კვალის შუაგულში მოაღენდა ზღართანს, მიღეწ-მოღეწავდა იმ წითლად აბრდღვიალებულ ვარდებსაც... მოცვივდნენ ბარემ და დაუშინონ პარკის მცველებმა ხელკეტება, გაასხმევინონ ტვინი! გაუშვიოთ, დაეცეს უსულოდ, ნაწლავებგადმოყრილი მის ბარეტის ფეხებთან! აღარაფერს დაგიდევთ უკვე... მაგრამ, ბუნებრივია, არაფერი ამდაგვარი არ მომხდარა. არავინ დადევნებია, არავის შეუნიშნავს. მთელ იმ არემარეზე ერთადერთი მცველი ჩანდა და ისიც ბავშვის ვადიასთან ლაპარაკით იყო გართული. ბოლოს ფლაში დაუბრუნდა მის ბარეტს, რომელმაც ანგარიშმიუცემლად გადააცვა თავზე ძეწკვი და სახლისკენ წაიყვანა.

ორჯერ ზედიზედ ასეთი დამცირება რომ გამოეველო, ჩვეულებრივი ძაღლი სულით დაეცემოდა. ძაღლი კი არადა, ჩვეულებრივი ადამიანიც. მაგრამ ფლაშს, ამჟამად ასე მინაბულსა და მიყუჩებულს, თვალებში ცეცხლი უგიზგიზებდა. მისი ვნებები მარტო ალივით ამობრიალებას როდი სჯერდებოდნენ, ისინი შიგნითაც ღუოდნენ, ღადრად ქცეულნი. მან გადაწყვიტა მტერს პირდაპირ, ერთი ერთზე შეებოდა. ამ საბოლოო შეტაკებაში მესამე პირი არ უნდა ჩარეულიყო. ბრძოლა ბოლომდე მთავარ გმირებს უნდა წარემართათ. ამ მიზნით, 21 ივლისს, სამშაბათ დღეს, ფლაში ქვემოთ, პოლში ჩავიდა. და იქ დაიწყო ღოდინი. ცდა დიდხანს არ დასჭირვებია. ქუჩიდან ნაცნობი ენერგიული ფეხის ხმა შემოესმა. კარზე კაკუნის ხმაც ეცნაურა. კარი გაუღეს მისტერ ბრაუნინგს. თითქოს გული უგრძნობდაო მოსალოდნელ თავდასხმას და შემრიგებლური განწყობილებით განუზრახავს მისი მოგერიებაო, ისე შემოვიდა სტუმარი ნამცხვრების პაკეტით ხელში. იქ, პოლში, ფლაში დაუხვდა. როგორც ჩანს, მისტერ ბრაუნინგმა სცადა კეთილმოსურნე აღერსით შეხვედროდა ძაღლს, შესაძლოა ისე შორსაც კაწავიდა, რომ ნამცხვარიც გაუწოდა მას. და ალბათ ეს ეესტი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ფლაში წარმოუდგენელი გააუკებით ეტყერა მტერს. მისმა კბილებმა ერთხელ კიდევ შეაღწიეს მისტერ ბრაუნინგის შარვლის ტოტში. მაგრამ, საუბედუროდ, ამ დიადი წამის მღელვარებით ატანილს, ერთი ყველაზე აუცილებელი პირობა დაავიწყდა, — სიჩუმის დაცვა. და ყეფა დაიწყო. დიახ, ხმამაღალი ყეფით მივარდა მტერს. ამ ხმის გაგონებაზე განგაშმა მოიცვა სახლში მყოფები. უილ-

1. მსხვერპლად მოაქვს თავი (ფრანგ.).

სონმა ჩამოირბინა კიბეზე, სწვდა ფლაშს, ერთი კარგად მიბერტყა, ერთიანად მოუსპო გასაქანი და თავლაფდასხმული გააშორა იქაურობას. თავლაფის დასხმა იყო, აბა რა, — მისტერ ბრაუნინგს შეუტია და უილსონისაგან მიტყეპილი კა დარჩა. მისტერ ბრაუნინგს თითიც არ გაუძრავს. იგი თავის ნამცხვრებიანად უვნებელი, უშფოთველი, სრულიად მშვიდად აუყვა კიბეს და მარტო გაემართა საწოლი ოთახისაკენ. ფლაში გაიყვანეს.

ეროვნული

იმის შემდეგ, რაც ორსაათნახევარს სამზარეულოში გამტყეპილი აყურ-ყუტეს, თუთიყუშებისა და ტარაკნების საზოგადოებაში, ქვაბებსა და ქოთნის მცენარეებს შორის, ფლაში მის ბარეტთან იხმეს. ქალბატონი დივანზე წამოწოლილიყო და გვერდით თავისი და, არაბელი ეჯდა. საკუთარ სიძართლეში დარწმუნებული ფლაში ჯიქურ გაემართა მისკენ. ქალბატონმა არ ისურვა მისთვის შეეხედა. ძალი არაბელს მიუბრუნდა. მან კი მხოლოდ ეს უთხრა: „შე გაუგონარო, შენა, დაიკარგე აქედან!“ იქვე იყო უილსონიც, ის საშინელი, დაუნდობელი უილსონი. და მის ბარეტი სწორედ ამ ქალს ეკითხებოდა, რა როგორ მოხდა. ამ ქალს, რომელმაც სცემა ფლაშს. უილსონმა განაცხადა, რომ სცემა ფლაშს, „რადგან ასე იყო საჭირო“, და ისიც დაუმატა, — ხელის გარდა არაფერი მიხმარიაო. სწორედ მისი ცნობების საფუძველზე სცნეს ფლაში დამნაშავედ. — შეტაკებისთვის საბაბი არავის მიუცია, — დაადგინა მის ბარეტმა. მისტერ ბრაუნინგის კეთილშობილება და უცოდველობა, ცხადია, ეჭვს გარეშე იდგა. ფლაში სცემა მსახურმა ქალმა ხელით, მათრახის გარეშე, რადგან „ასე იყო საჭირო“. მეტი რაღა უნდა თქმულიყო. მის ბარეტი აშკარად გადაუდგა მას. „ასე რომ, ის დაწვა იატაკზე ჩემს ფერხით და წარბებს ქვემოდან შემომცქეროდა“, — წერდა იგი. მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა, შესცქეროდა თუ არა ფლაში. მის ბარეტს არ სურდა თვალებით მის თვალებთან შეხვედრა. იწვა თავისთვის დივანზე. ფლაშიც იწვა თავისთვის იატაკზე.

და ვიდრე ფლაში, ასერივად გაძევებული, ფარდავზე იწვა, იგი გრძნობათა იმ ბობიქარ მორევში ტრიალებდა, რომელშიც მოხვედრილი სულაც ან კლდეებს შეენარცხება და დაიმსხვრევა ხოლმე, ან რაღაც უმნიშვნელო ხავსს ჩაჭიდებული, ნელ-ნელა, დიდი ტკივილის დაძლევიტ, ამოაყვინთინებს საკუთარ არსებას, მიაღწევს ხმელეთს და ბოლოს თავზე მოექცევა დანგრეულ სამყაროს, რათა თვალი მოავლოს სულ სხვა მოდელით ახლად შექმნილ ქვეყნიერებას. რა მოელოდა, — განადგურება თუ აღდგენა? აი რა იყო საკითხავი! აქ მხოლოდ სქემატურად შეიძლება წარმოვსახოთ ეს დილემა, რადგან შინაგანი კამათი უსიტყვო გახლდათ. ორჯერ გადადო თავი ფლაშმა მტრის მოსაკლავად. ორჯერვე დამარცხდა. — და რა იყო მარცხის მიზეზი? — ეკითხებოდა იგი თავის თავს. ის, რომ მის ბარეტი უყვარდა. და როცა წარბებქვემოდან შესცქეროდა დივანზე მწოლარე ქალბატონს, მკაცრსა და მდუმარეს, ფლაშმა იცოდა, რომ სამარადისოდ უნდა ჰყვარებოდა იგი. მარტივად არაფერი ხდება. ყველაფერი რთულია მეტად. თუ მან მისტერ ბრაუნინგს უკბინა, გამოდის, რომ მას მის ბარეტისთვისაც უკბენია. სიძულვილი მარტო სიძულვილი არაა. სიძულვილი სიყვარულიცაა. აქ დაბნეულობის აგონიაში მყოფმა ფლაშმა ყურები შეარჩია. იატაკზე უხერხულად იცვალა გვერდი. მაშ მისტერ ბრაუნინგი იგივე მის ბარეტი ყოფილა, მის ბარეტი კი — მისტერ ბრაუნინგი. სიყვარული უდრის სიძულვილს და სიძულვილი უდრის სიყვარულს. გაიჭიმა, დაიწკმუტუნა და თავი ახწია. საათმარვა დაჰკრა, უკვე სამი საათია, მეტიც, რაც აქ წევს — ორ ცეცხლს შუა მოქცეული.

მის ბარეტმაც კი, — ასე მკაცრმა, ცივმა და უღმობელმა, როგორც იმუამად იყო, — გადასდო კალამი. „რა ბოროტია ფლაში, — სწერდა ის მისტერ ბრაუნინგს. — თუ ფლაშის მაგვარი ადამიანები თავს ნებას აძლევენ ძალღვივით ველურად მოიქცნენ, მაშინ თავისი საქციელისთვის სამაგიეროდ ძალღვივით უნდა იწვნონ. და შენ კი რა კეთილად და სათუთად ეპყრობოდი. სხვას, შენს ადვილზე, „მკვახე სიტყვა“ მაინც წამოსცდებოდა“. — მართლაც ჭკუას ვიჭყქუჭებოდა რომ ვუყიდო, — გაუელვა ფიქრმა და ის იყო, ამ დროს ასწია თავი ფლაშს. როგორც ჩანს, რაღაც უჩვეულო მოძრაობა შეამჩნია მის გამოხედვაში და შეკრთა, შეყოვნდა. გადადო კალამი. ფლაში არ იყო, ერთხელ რომ კოცნით გამოავიდა, — პანად რომ წარმოუდგა მაშინ? ფლაში არ იყო, ქათმის ხორცსა და ნაღებში ჩამბალ ბრინჯის პუდინგს რომ უსაღებდა? ფლაში არ იყო, მზის სინათლეს რომ შეეღია მისი გულისთვის?.. მის ბარეტმა თავისთან მიიხმო ძალღვივ და უთხრა: — ნიპატიებია დანაშაული.

მაგრამ ვის უნდა ასეთი პატიება, — თითქოს რაღაც უბრალო ხუმტურზე იყოს ლაპარაკი, თითქოს დიკანზე წოლის უფლებას ეხებოდეს საქმე, თითქოს არაფერი ესწავლოს ამდენი სულის წეწვით, იქ, იატაკზე გდებისას. თითქოს რიგვე ძალღვივ იყოს, მაშინ როცა სულ ერთიანად სხვაა. ასეთი პატიება რაში სჭირდება! თუმცა იმ წუთას იმდენად გამოთანგული იყო, რომ მორჩილად დაჰყვა ქალბატონის ნებას. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ფლაშსა და მის ბარეტს შორის გაიმართა სცენა, რამაც ძალღვივის განცდების მთელი სიღრმე გამოავლინა. მისტერ ბრაუნინგი ახალი წასულია. ფლაში მარტოა მის ბარეტთან. სხვა დროს დავანზე ახტებოდა ქალბატონის ფეხებთან და მთაღერსებას მოითხოვდა. ახლა კი ნაცვლად ამისა იქით მიემართება, სადაც უკვე „მისტერ ბრაუნინგის სკამად“ წოდებული სავარძელი დგას. ცნობილია, რომ ფლაში თვალის დასანახად ეჯავრება ეს სავარძელი. მას ჯერ კიდევ აჩნია მტრის სხეულის ანაბეჭდი. მაგრამ ახლა, — დახეთ, როგორი ყოფილა საკუთარ თავთან ბრძოლის მოგება, როგორი ყოფილა სათნოებით აღვსება, — ფლაში არა მარტო უყურებს ამ სავარძელს, არამედ შთანთქმულია მისი ცქერით, იმდენად, რომ „უეცრად ექსტაზში შედის“. მის ბარეტი თვალმოუცილებლად შესცქერის ძალღვივსა და ამ სასწაულის მოწმე ხდება. შემდეგ ქალბატონი ხელავს, რომ ფლაში მაგიდისკენ მიაპყრობს მხერას. იქიდან ჯერ კიდევ არ აუღიათ მისტერ ბრაუნინგის მოტანილი ნამცხვრიანი პაკეტი. „ძალღვივ მომაგონა, რომ მაგიდაზე შენი მოტანილი ნამცხვარი იღო“. ეს ახლა უკვე გამხმარ-გაფშიკული ნამცხვარია და საღერდლის ამშლელი ცთუნების ნატამალიც აღარ შერჩენია. ასე რომ, ადვილი მისახვედრია, თუ რა უღევს გულში ფლაშს: მაშინ, როცა ნამცხვარი ახალთახალი იყო, პირიც არ დააკარა, რადგან მტრის ხელმა გაუწოდა იგი. ახლა კი, როცა გახმა და დაძველდა, სიამოვნებით შეჭამს, რადგან მისი მომწოდებელი მტერი უკვე მოყვარე გამხდარა. და ეს ნამცხვარი სიმბოლოა სიყვარულად ქცეული სიძულვილისა. დიახ, ფლაში მიანიშნებს, რომ ნამცხვრის შეჭმა სურს. მის ბარეტი ღვება, ნამცხვარს ხელში იღებს, აწვდის ძალღვივს და თან შთამაგონებლად მოძღვრავს. „ფლაშს ავეხსენი, რომ შენ ნამცხვარი საკუთრივ მას მოუტანე და ამიტომაც უნდა რცხვენოდეს თავისი უგვანო საქციელისა. უნდა შეგიყვაროს და აღარ უნდა გიკბინოს. და თუ ასე მოიქცევა, უფლებას მოიპოვებს შენი კეთილგანწყობით ისარგებლოს“. ფლაში გულმოდგინედ ყლაპავს გაუგებურებულ ნამცხვარს, ერთიანად დაობებული. ამყავებული, ბუზებისგან წაბილწული რომაა, და თან საზეიმოდ იმეორებს თავ-

ვის ენაზე მის ბარეტის ნათქვამ სიტყვებს, — ფიცავს, რომ ეყვარება მისტერ ბრაუნინგი და აღარასოდეს უკბენს მას.

ჰოდა, ჯილდოც არ აყოვნებს. არა, ეს ძველი ნამცხვარი არ გეგონოთ, ან და ქათმის ფრთა, ან თუნდაც ალერსი, რომელიც უკვე მოიპოვა ეს არც მის ბარეტის ფერხთით დივანზე წოლის ნებართვაა. ეს სულიერო ჯილდო და თანავე ისეთი, საოცარ ფიზიკურ განცდას რომ იწვევს. მთელი თვეების მანძილზე მის სულს აწვა და ამძიმებდა სიძულვილი იმ ბლაგვი რკინის ნაჭერზე, რომელიც ჟანგავს, აჩირქებს და სიცოცხლის ნიშანწყალს უსპობს ყოველივეს, რასაც კი ქვეშ მოაყოლებს. ახლა ბასრი დანებით და მტკივნეული ოპერაციებით ამოკვეთეს ეს რკინა. სისხლი ისევ აჩქროლდა, ნერვები ათრთოლდნენ და გაიშალნენ ხორცი აღსდგა. ბუნება ზეიმობს, როგორც გაზაფხულის ჟამს. ფლაშს კვლავ ესმის ჩიტების გალობა. ხეებზე ფოთლების ზრდასაც კი შეიგრძნობს. მის ბარეტის ფერხთით მწოლარეს ძარღვებში დიდების და ნეტარების ჟრუანტელი დაუდის. იგი უკვე მის ბარეტის და მისტერ ბრაუნინგის მხარესაა და არა მათ წინააღმდეგ. მათი იმედები, სურვილები, წადილები ამერიდან მისიცაა.

ფლაში ახლა მზად იყო თანაგრძნობის ნიშნად ყეფა აეყოლებინა მისტერ ბრაუნინგის ლაპარაკისთვის. მისი მოკლე-მოკლედ მოჭრილი ფრაზების გაგონებაზე ერთბაშად წამოიქონრებოდა ხოლმე. „სამშაბათების მთელი კვირა მინდა“, — იძახდა მისტერ ბრაუნინგი. „მთელი თვე — მთელი წელი — მთელი სიცოცხლე!“ — ფლაში ბანს აძლევდა: — მთელი თვე — მთელი წელი — მთელი სიცოცხლე! მე ყველაფერი ის მინდა, რაც თქვენ ორს გინდათ. ჩვენ სამივენი ხომ დიადი მიზნისთვის ვართ შეთქმულები. ჩვენ შეკრულება ვართ თანაგრძნობით, შეკრულები ვართ სიძულვილით, შეკრულები ვართ ჩვენს თავზე უროსავით მოღერებული ბნელი ტირანის პირისპირ დგომით. ჩვენ შეკრულები ვართ სიყვარულით!.. მოკლედ, ფლაშის მთელი იმედი ახლა ემყარებოდა ბუნდოვნად გაცნობიერებული, მაგრამ მაინც უეჭველი ტრიუმფის გარდუვალობას, სამივესთვის საერთო, ბრწყინვალე გამარჯვების რწმენას. და სწორედ ამ დროს, უეცრად, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ცივილიზაციის შუაგულში, მეგობრების გარემოცვაში, — ეს ვაერ სტრიტის მაღაზიაში მოხდა, სადაც ფლაში მის ბარეტთან და მის დასთან ერთად იმყოფებოდა სამშაბათ დილას, პირველ სექტემბერს, — ერთბაშად სიბნელემ შთანთქა. დილეგის კარი გამოიკეტა. იგი მოიპარეს.

4. უაიბრეველი

„ამ დილით მე და არაბელი ფლაშთან ერთად“, — წერდა მის ბარეტი, — „კუბით წავედიოთ ვიერ სტრიტზე, სადაც პატარა საქმე გექონდა. ფლაში ჩვეულებისამებრ შეგვეყა მაღაზიაში, იქიდანაც უკან გამოგვეყა და ფეხდაფეხ მომდევდა. ეკიპაჟში რომ ავედი, — ფლაშ-მეთქი, დავიძახე, არაბელმაც მოიხედა და... სადღაა ფლაში! ეტყობა, სწორედ იმ წამს აგვწაპნეს, ზედ ბორბლებთან, წარმოგიდგენია?““ მისტერ ბრაუნინგს მშვენივრად წარმოედგინა: მის ბარეტს მეწვეის წადება დავიწყნოდა. ჰოდა, ფლაშიც მოიპარეს, რამეთუ ასეთი ვახლდათ წელსა 1846-სა კანონი იგი, რომლითაც უიმპოულ სტრიტი და მისი სამეზობლი ცხოვრობდა.

ამკარაა, რომ ქვეყნად ვერაფერი აღემატებოდა თავად უიმპოულ სტრიტის

საჩინო საიმედოობასა და უსაფრთხოებას. მთელ იმ მანძილზე, რომლის გავლაც ავადმყოფს ქვეითად ან ბორბლებიანი სავარძლით შეეძლო, კაცს თვალში არაფერი მიხვდებოდა, ითხსართულიანი სახლების, სარკისებური მინის ფანჯრებისა და წითელი ხის სადარბაზო კართა სასიამოვნო პანორამის გარდა. ნაშუადღევს ორცხენიანი ეტლითაც რომ გაგესეირნა, თუ შეეტლეთ ფრთხილად და წინდახედული იყო, არ გადაგაკედენდათ წესრიგისა და ღირსპატივების მის საზღვარს. მაგრამ თქვენ თუ არც ავადმყოფი ბრძანდებოდით, ცხენიანი ეტლის მფლობელი, თუ იყავით უბრალოდ, — და ცოტა როდია ასეთი, — მოძრავი, ხალი აგებულების და ფეხით სიარულის მოყვარული ადამიანი, მაშინ უიმპოულ სტრიტიდან ერთი ქვის გასროლაზე ისეთ სანახავს ნახავდით, ისეთ მოსასმენს მოისმენდით, ისეთ სუნს შეიყნოსავდით, რომ თვით უიმპოულ სტრიტის საიმედოობაც კი საეჭვოდ გაგიხდებოდათ. ასე დაემართა მისტერ ტომას ბიმზს, რომელმაც იმხანად ლონდონის ფეხით შემოვლა აიკვირებდა. განცვიფრებული დარჩა ბატონი ბიმზი, ის კი არადა, თავზარდაცემული — უნდა გვეთქვა. დიდებული შენობები წამომართულიყვნენ უესტმინსტერში, მაგრამ იქვე, მათ უკან მიხგრულ-მონგრული ბოსლები იყო, რომლებშიც, ძროხების ნახარის თავზე, ხალხი ცხოვრობდა, ასევე ნახირივით ერთად შეყრილი, — „შვიდი ფუტის სივრცეში ორი ადამიანი“. და ბატონ ბიმზს მოთხოვნილება გაუჩნდა საზოგადოებისთვის ემცნო ის, რაც თავისი თვალით ნახა. მაგრამ როგორ უნდა აღეწერა სიტყვაკაზმული სტილით საწოლი ოთახი, სადაც ორი ან სამი ოჯახი ცხოვრობდა ბოსლის თავზე, მაშინ როცა ეს ბოსელი არ ნიავდებოდა, როცა ძროხებს იქვე წველიდნენ, იქვე კლავდნენ და ჭამდნენ კიდევ იქვე, — იმ საწოლ ოთახის ქვეშ. და როდესაც მისტერ ბიმზმა ხელი მიჰყო ნანახის აღწერას, მიხვდა, რომ ამ ამოცანის შესრულება ინგლისური ენის უკლებლივ ყველა სიტყვის დასაქმებას მოითხოვდა. და მაინც გულა უთქვამდა, რომ მოვალე იყო აღეწერა ყოველივე, რაც იხილა ნაშუადღევზე სეირნობის ფაშს ლონდონის ყველაზე არისტოკრატიულ სამწყვსოებში. დიდი იყო პარტახტიანი ტიფის საფრთხე. მდიდრებმა არც კი იცოდნენ, რა ცეცხლს ეთამაშებოდნენ და მისტერ ბიმზსაც რაღა გააჩუმებდა, როცა ის ნახა, რისი ნახვაც მოუწია უესტმინსტერში, პედინგტონში და მერილიბონში. მაგალითად, აქ იგი წასწყდომია ძველ სასახლეს, ერთ ღროს ვიღაც დიდი წარჩინებულის საკუთრება რომ ყოფილა. შემორჩენილა მარმარილოს ბუხრების ნაშთი, პანელით შემოსილი კედლები და კიბას ჩუქურთმიანი მოაჯირი. მაგრამ იატაკი დამპალა და კედლებიდანაც ზინთხი გადმოდიოდა თურმე. ყოფილ საბანკეტო დარბაზებში სანახევროდ ტიტველ ბოჯანო ქალებისა და კაცების ხროებს დაედო ბინა. ამის შემდეგ დამთვალეირებელი სხვა ადგილზე გადასულა. აქ გამჭრიახ მშენებელს ძველი საგვარეულო სასახლე დაუნგრევია და ბინების იჯარით გაყენის მოწადინებით მის ადგილას მრავალბინიანი სახლი აუკოკოლავებია. მისტერ ბიმზი შენიშნავს, რომ სახურავში წვიმა ატანდა და ღრიჭოებში ქარი შემოქშუოდა. მას დაუნახავს ბავშვი, მომწვანო ფერის რუში ტოლჩას რომ უშვებდა. უკითხავს — ამ წყალს თუ სვამთო? დიახ, სვამდნენ და ამ რუში სარეცხსაც რეცხავდნენ, რადგან სახლის პატრონი ონკანიდან წყლის აღების უფლებას კვირაში ორჯერ აძლევდათ მხოლოდ. ასეთი სანახაობა მით უფრო გასაკვირველი იყო, რომ მას ლონდონის ყველაზე მოწესრიგებულ და ცივილიზებულ უბნებში აწყდებოდა კაცი. „ამაში

ყველაზე არისტოკრატიულ სამწყსოებს უღევთ წილიო“, — ამბობს მისტერ ბიმზი. დიახ, ეს ასეც გახლდათ. მაგალითად, მის ბარეტის საწოლი ოთახის უკან იყო ლონდონის ერთი ყველაზე უსაშინლესი ჯურღმული. იმ ღირსპატივცემულობასთან შერწყმულიყო ეს უბადრუკობა და სილატაკე. მაგრამ, რა თქმა უნდა, შეგხედებოდათ ისეთი უბნებიც, რომლებიც იმთავითვე ღარიბებისთვის შეეცოვებინათ და სრულიად ხელუხლებლად შემორჩენილიყვნენ. უაიტჩეპელში ანუ ტოტენჰემ კორტ როუდის ბოლოში არსებულ სამკუთხა ფართობზე თავის ნებაზე იყო მიშვებული გაჭირვება, სიღარიბე და ბიწიერება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დუღდა და გადმოდიოდა, შობდა და ამრავლებდა მსგავსსა თვისსა. სენტ გაილში ხანდაზმული შენობების მთელი უღრანი „ლამის სისხლის სამართლის დამნაშავეთა დასახლებად თუ ჰაუპერთა მეტროპოლიად ქცეულიყო“. სახელიც შესაფერისი ერქვა ბოგანოთა ამ შეჯგუფების ადგილს — „ჭილყვაკების საბუდარა“. ეს იმიტომ, რომ ადამიანების ჯგროები აქ ისევე ასხდნენ თავზე ერთმანეთს, როგორც ჭილყვაკები, — ხეებს რომ შეესხვიან და კენწეროებს ერთიანად გადააშავებენ ხოლმე. მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქაური შენობები ხეებს სულაც არ ჰგავდნენ. მათ უკვე აღარც შენობებისა შერჩენოდათ რაიმე. ეს იყო აგურის საკნები, რომლებსაც სიბინძურით ამოყორილი ვიწრო ქუჩები ყოფდნენ ერთმანეთისგან. ამ ვიწრო ქუჩებში მთელი დღე ნახევრად მიშველ-ტიტველი ხალხის ზუზუნი იდგა. ღამით ამ ბინძურ მდინარეს შენაკადებად ერთვოდნენ მათხოვრები და კახპები, რომლებიც დღისით უესტ ენდში თავიანთი ხელობით იყვნენ დაკავებულნი. პოლიციას მათთან ვერაფერი გაეწყო. მათ შორის მოხვედრილ მგზავრსაც სხვა რა უნდა ელონა, თუ არა ის, რომ რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა იქაურობას. და ისიც დიდი საქმეა, თუ, მისტერ ბიმზის მსგავსად, მათ ყოფაზე ჩამოაგდებდა სიტყვას და აუარებელი ციტატის მოშველიებით, საჩოთირო სიტუაციების არაპირდაპირი მინიშნებით თუ მოიარებით ნათქვამი ფრაზით მიგვახვედრებდა, რომ იქ სულ ისე ვერ იყო საქმე, როგორც უნდა ყოფილიყო. მაგრამ ქოლერის საფრთხეზე მაინც ითქვა და ამას უკვე არაპირდაპირ მინიშნებას ვერ დაარქმევდა.

ოღონდ 1846 წლის ზაფხულში ეს ჯერ კიდევ არ იყო მინიშნებული. ამიტომ უიმპოულ სტრიტზე და მის ახლომახლო მცხოვრებთათვის ყველაზე უპრიანი იყო, ჩვეულებისამებრ თავიანთ ღირსპატივცემულ გარემოში დარჩენილიყვნენ და ძაღლები ძეწკვით გამობმული ეტარებინათ. და თუ ეს დაავიწყდებოდათ, საამისო საზღაური ისევე უნდა გაეღოთ, როგორც მის ბარეტს უწევდა ახლა მისი გლეხა. ის, თუ რა საფუძველს ემყარებოდა უიმპოულ სტრიტის და სენტ გაილის ურთიერთობა, ყველასათვის კარგად გახლდათ ცნობილი: სენტ გაილი იპარავდა, რისი მოპარვაც შეეძლო, და უიმპოულ სტრიტი იხდიდა, რისი გადახდაც ვალად ედებოდა. ამიტომ იყო, რომ „არაბელმა მაშინვე დამიწყო ნუგეშისცემაო“, წერს მის ბარეტი, — „ფლამის დაბრუნებას უეჭველად შესძლებ, დიდი-დიდი ათი გირვანქა დაგიჯდესო“. არსებობდა გამოთვლა, რომლის მიხედვითაც ათი გირვანქა დაახლოებით ის ფასი იყო, მისტერ ტეილორი რომ მოითხოვდა კოკერ-სპანიელისთვის. მისტერ ტეილორი ქურდების თავკაცი გახლდათ. როგორც კი უიმპოულსტრიტელ ლედის ძაღლი დაეკარგებოდა, იგი უმაღლეს მისტერ ტეილორს მიაშურებდა. ისიც თავის ფასს დაუთქვამდა, რასაც ულაპარაკოდ უხდიდნენ. თუ არადა, რამდენიმე დღის შემ-

დეგ უიმპოულ სტრიტზე სქელი ყავისფერი ქაღალდის პაკეტით მიიღებდნენ ძაღლის თავსა და თათებს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ბედი ეწია მის ბარეტის მეზობლად მცხოვრებ ლედის, რომელმაც გამოიჩინა მცდელობა როგორმე შორიგებოდა მისტერ ტეილორს. მის ბარეტს, რა თქმა უნდა, გაღაწვევითი ჰქონდა ულაპარაკოდ გადაეხადა. ამიტომ სახლში დაბრუნებისთანავე თავის ძმას, ჰენრის უამბო ყველაფერი და იგიც იმავე დღეს დაუყოვნებლივ დაემხრო მისტერ ტეილორისკენ. ჰენრის „მისტერ ტეილორი სიგარის წვენი“ მწვენი სურათებით მორთულ ოთახში“. ამბობდნენ, რომ მას ორი თუ სამი ათასი გირვანქა წლიური შემოსავალი ჰქონდა უიმპოულ სტრიტის ძაღლებისაგან. მისტერ ტეილორი დაჰპირდა ჰენრის, — მოველაპარაკები ჩემს „საზოგადოებას“ და ძაღლს ხვალვე დაგიბრუნებთო. რაც უნდა სავალალო და ნერვების მომშლელი ყოფილიყო ეს გამოსავალი, მეტადრე ახლა, როცა მის ბარეტს ფულის უკიდურესი მომჭირნეობა მართებდა, ასეთი გახლდათ ის ერთადერთი შედეგი, რომელიც უცილობლად მოჰყვებოდა 1846 წელს იმის დაეწეებას, ძაღლისთვის ძეწკვის გამობმა რომაა საჭირო.

მაგრამ ფლაში სულ სხვაგვარად აღიქვამდა მოვლენებს. „ფლაში არ იცის, — ფიქრობდა მის ბარეტი, — რომ ჩვენ შეგვიძლია მისი გამოხსნა“. ფლაშს ხომ არასოდეს შეუსწავლია ადამიანთა საზოგადოების კოდექსები. „ამაღამ იგი გაუთაყვებლივ იყბუვლებს და იღავლავებს, ვიცი ნამდვილად“, — სწერდა იგი მისტერ ბრაუნინგს იმავე დღეს — სამშაბათ ნაშუადღევს — სექტემბრის პირველში. და ვიდრე მის ბარეტი მისტერ ბრაუნინგს ამ წერილს სწერდა, ფლაში თავის ცხოვრების უმწარეს წუთებს განიცდიდა. მას თავგზა ჰქონდა აბნეული, ვერ მიმხვდარიყო, რა მოხდა: — ერთ წუთს რომ ვიერ სტრიტზე იყო, ბაფთებსა და მაქმანებში, მეორე წუთს ფართხალ-ფართხალით თავდაყირა ეშვებოდა რაღაცა ჩანთაში. მერე ჯანჯღარიით მიაქანებდნენ ქუჩებში. დაბოლოს ის ჩანთა აი აქ გადმოაპირქვავეს. უკუნ სიბნელეში აღმოჩნდა, ნესტსა და უამურ სიცივეში. თავბრუს ხვევამ რომ გადაუარა, დაბალჭერიან ბნელ ოთახში რაღაც საგნები გაარჩია, — დამტვრეული სკამები და აფუნგული ლეიბი ყოფილა. მერე ვიღაც წვდა და ფეხით რომელიღაც საგანზე მიაკოჭა. იატაკზე ვიღაც თუ რაღაც გაიშხლართა. ვერ იტყოდი, კაცი იყო თუ მხეცი. უშველებელი ჩექმები და ტალახში ამოთხვრილი კაბის კალთები და ფართხუნებდნენ წინ და უკან, ხან რას წამოედებოდნენ, ხან რას ბუზები დაბუზოდნენ იატაკზე მოპნეულ დაღმურძლული ხორცის ნარჩენებს. ბნელი კუთხეებიდან ბაკშეები გამობობლდნენ და ფლაშს ყურებზე ქაჩვა დაუწყეს. მან დაიწკაპუნკავა. ეს იყო და, ვიღაცის ძმიძე ხელმა თავში უთაქა. ფლაში კედელთან მიჩოჩდა და სველი აგურის ერთ ციდა ფართობზე საცოდავად მოიკუნტა. ახლა ის გარჩევით ხედავდა, რომ იატაკზე ათასი ჯურის „ცხოველი ირეოდა. ძაღლები მიძგილაობდნენ და ერთმანეთს გაღრღნილ ძვალს სტაცებდნენ პირიდან. ფერდებში ნეკნები გამოსჩროდათ, დამშეულები და დაავადებულები იყვნენ, დაუბანლები და დაუეარცხნელები, და მაინც ყველა მათგანში საუკეთესო ჯიშის ძაღლსა სცნობდა ფლაში, სწორედ ისეთს. ძეწკვით რომ ატარებენ და ლაქები ემსახურებიან, როგორც თვითონ მას.

საათობით იწვა ფლაში ისე, რომ დაწკმუტუნებასაც ვერ ბედავდა; ყველაზე მეტად წყურვილი ტანჯავდა, მაგრამ იქვე ედროში მღვარი მომწვანო მყაყე

წყლის ერთი ყლუპიც კი საზარელი ეჩვენა, მის დაღევას სიკვდილი ერჩია. არადა, ერთი დიდებული შესახედაობის მეძებარი ხარბად დასწაფებოდა ამ წყალს. კარს წიხლით აღებდნენ. კარის გაღება და ფლაშის თავის წამოწევა ერთი იყო: მის ბარეტია? მოვიდა ბოლოს და ბოლოს? მაგრამ არა, ეს ვიღაც ბალნიანი არამზადა შემოეხეტა, რომელმაც წიხლით მირეკმორეკა ძაღლები, მიბორძიკდა გატეხილ სკამთან და ზედ მოადინა ზღაპრულად შეჩრე სიბნელე უფრო ჩამუქდა. უკვე ძლივსლა არჩევდა იატაკზე, ლეგებზე და ამტკვრულ სკამებზე მიყრილ-მოყრილ არსებებს. ბუხრის ზემოთ თამასაზე სანთლის ნამწვი მიაკოსეს. გარეთ ნარვალში რაღაც სინათლე პარპალებდა, და ამ მჭახე სინათლის ყოველ ამობრიალებახე ფლაში ხელავდა გარეთ ჩაელილ საზარულ სახეებს, ფანჯრისკენ თვალეზომიზნებულეებს. მერე მათ შიგნით იწყეს შემოსვლა. შემოდიოდნენ და შემოდიოდნენ, ვიდრე უიმათოდაც გაჭედელი ოთახი ისე არ გაიჭედა, რომ ფლაში იძულებული გახდა კიდევ უფრო მოკუნტულიყო და მიკვროდა კედელს. ეს საშინელი ურჩხულეები — ზოგი ჩამოძენძილ-ჩამოკონკილი რომ იყო, ზოგი საღებავითა და ფრთა-ბუმბულით აჭრელებულ-აბღრღვიალებული, — ჩაცუცქდნენ იატაკზე, წაიკუზნენ მაგიდაზე და შეუდგნენ სმას. სვამდნენ და თან წყევლიდნენ, აგინებდნენ და ურტყამდნენ ერთმანეთს. ამასობაში იატაკზე მიყრილი ჩანთებიდან ერთიმეორეზე მობობღავდნენ ახალ-ახალი ძაღლები — ფინიები, პოინტერები, სეტერები, — ჯერ კიდევ შემორჩენილი საყელოებით. საიდანღაც გაჩნდა უზარმაზარი კაკადუ, რომელიც ფრთების ფრთხილით კედლებს აწყდებოდა და ისეთი ძდაბიო კილოთი გაჰკიოდა — „პრიტი პოლ! პრიტი პოლ!“ — ალბათ ამის გაგონებაზე გული შეუღონდებოდა მის ქალბატონს, მეიდა ვეილში მცხოვრებ ქვრივ ბანოვანს. მერე ქალის ხელჩანთები გახსნეს და მაგიდაზე ზედმიყოლებით წამოვიდა სამაჯურები, ბეჭდები, გულქანდები — ისეთები, მის ბარეტსა და მის ჰენრიეტას რომ ეკეთათ და ფლაშს რომ უნახავს. ეშმაკეულები ტორებითა და ბრჭყალებით ეპოტინებოდნენ სამკაულებს, იწყევლებოდნენ და ჩხუბობდნენ ნადავლის გაყოფისას. ძაღლები ყეფდნენ, ბავშვები წიოკობდნენ, და დიდებული კაკადუ—რომლის მსგავსი ფლაშს ხშირად დაუნახავს უიშპოულ სტრიტის ფანჯარაში გალიით გამოკიდებული — თანდათან მეტი გამალებით და გამძაფრებით გაჰკიოდა: „პრიტი პოლ! პრიტი პოლ!“ — ვიდრე ფლოსტი არ ესროლეს და მანაც, სულ ჭკუადაკარგულმა, არ აატყლაშუნა დიდრონი, ყვითელლაქებიანი მოცისფრო-მორუხო ფრთები. მერე სანთელი გადმოყირავდა და ჩამოვარდა. ოთახში ჩამობნელდა. თანდათან მაგრად ჩამოცხა. აუტანელი გახდა სუნი, სიცხე... ფლაშს ცხვირი ეწვოდა, ტანზე ტყავი უთახთახებდა. მის ბარეტი კი არა და არ ჩანდა.

მის ბარეტი სახლში იყო, უიშპოულ სტრიტზე. იწვა დივანზე აღელვებული, შეწუხებული, მაგრამ არცთუ მთლად იმედგაწყვეტილი და დამფრთხალი. რა თქმა უნდა, ფლაში გაიტანჯება, მთელ ღამეს ყეფასა და ყმუილში გაატარებს, მაგრამ ეს სულ რამდენიმე საათის ამბავია. მისტერ ტეილორი დაუთქვამს თანხას, ისიც გადაუხდის და ფლაში დაბრუნდება.

გათენდა ორი სექტემბრის ოთხშაბათ დილაღ უაიტჩიქელის „ჭილყვათა საბუღარაში“ და ჩამტვრეულ მინიან ფანჯრებში თანდათანობით გაიცრიცა დილის ნაცრისფერი ბინდი. იატაკზე გამხლართული ბანდიტების სახეებს სინათლე მიადგა, ფლაშმა თავი დააღწია გაოგნებას, გამოერკვა ბურუსიდან და ერთხელ კიდევ გაუსწორა სინამდვილეს თვალი. ახლა სინამდვილე ეს

იყო, — ეს ოთახი, ეს ბანდიტები, ეს აწკმუტუნებულ-ადრენილი, მაგრამ მიბ-
მულ-მიკოჭილი ძაღლები, ეს წკვარამი და ეს ნესტი. ნუთუ ის გუშინ მარ-
თლა დასეირნობდა ძალაზიაში ქალბატონებთან ერთად მანქანებსა და ბაფთებს
შორის? ან ნეტავ მართლა თუ არსებობდა ადგილი, რომელსაც უიმპოულ
სტრიტი ერქვა სახელად?! ან ისეთი ოთახი თუ იყო სადმე, სადაც ბეწაშულ
ფიალაში სუფთა წყალი კამკამებდა? ნუთუ ეს ფლაში იყო, შემწვარ ქათმის
ფრთით რომ უმასპინძლებოდნენ? ანდა ნეტავ ბალიშებზე მართლაც წილილია
როდესმე? ნუთუ ეს ნამდვილად თვითონ იყო, ბრაზითა და ეჭვით ატანილმა
ყვითელხელთათმანიან კაცს რომ უკბინა?!. მთელი ის ცხოვრება, მთელი ის
განცდები სადღაც შორს მიტივტივებდა, თანდათან ქრებოდა და სინამდვი-
ლესთან მსგავსებას კარგავდა.

აქ, როცა მტვერში სინათლემ შემოაღწია, დედაკაცმა მხრებიდან მძიმე
ტომარა მოიხსნა და ლუდის მოსატანად წაბანცალდა. დაიწყო ისევ სმა და
გინება. ერთი ძონძროხა ქალი ყურებში სწვდა ფლაშს, ასწია და გვერდები
მოუფლდლიმა. ვიღაცამ ძალზე ბილწად იხუძრა, ატყდა ხარხარი და ქალმა
ძაღლი ისევ იატაკისკენ მოიხროლა. კარი წიხლის კვრით გაიღო და მიჯახუნ-
და. — უილსონი ხომ არ არის? ანდა სულაც ხომ შეიძლება მისტერ ბრაუნინ-
გი იყოს ან მის ბარეტი?! მაგრამ არა, ეს კიდევ ერთი ქურდია, კიდევ ერთი
მკვლელი. მტვერში ამოგანგლული კაბის კალთების, ტლანქი, კოფრებმომჯდარი
ჩექმების დანახვაზე ფლაში უკან-უკან მიიძურწებოდა. ერთხელ სცადა დაეხრა
ძვალი, რომელიც მისკენ გასტყორცნეს, მაგრამ კბილით ვერ გააღწია ზედ
მიჭვავებულ ხორცში და მისმა მძალე სუნმა შეზარა. წყურვილი ახრჩობდა და
იძულებული გახდა იმ მწვანე წყლის რამდენიმე ყლუპი აესვლია, ვედროდან
რომ გადმოღვრილიყო. მაგრამ როცა ოთხშაბათი დღე ნელა გაიზღაზნა და
კიდევ უფრო დასიცხული და ხახვამშრალი, კიდევ უფრო მეტად დანადვლი-
ანებული ფლაში ისევ დამტვრეული ფიცრის ნაჭრებზე იყო მიგდებული, —
უცბად მის თვალწინ ერთი საგნის მოხაზულობა მეორეში აირია. უკვე ვეღარ
ამჩნევდა, რა ხდებოდა ირგვლივ. ეს კია, რომ კარის ყოველ გაღებაზე თავს
წამოსწევდა და იქითკენ იყურებოდა. არა, ეს მის ბარეტი არ იყო.

მის ბარეტს, რომელიც უიმპოულ სტრიტზე, თავის სახლში დივანზე წა-
მოწოლილიყო, თანდათან ძლელვარება იპყრობდა. მოლაპარაკებას რაღაც
აფერხებდა. მისტერ ტეილორი დაპირდათ — ოთხშაბათს ნაშუადღევს ჩავალ
უაიტჩრეპელში და „საზოგადოებას“ მოველაპარაკებო. ოთხშაბათ ნაშუადღევ-
მაც ჩაიარა, საღამოც მიიწურა, მისტერ ტეილორი კი არ გამოჩენილა. მის
ბარეტის ვარაუდით ეს დაყოვნება მხოლოდ იმის მაუწყებლად შეიძლება მიეჩ-
ნიათ, რომ მოსალოდნელი იყო ფასის მომატება, რაც იმ დროისათვის არცთუ
უმტკივნეულო რამ გახლდათ... მერე რა, მოუმატონ, ის მაინც გადაიხდის. „მე
უნდა დავიბრუნო ჩემი ფლაში, გესმის?.. რისკს ვერ გავწევ და შევაჭრებას ვერ
დავუწყებ“. ასე დივანზე წამოწოლილი სწერდა ის მისტერ ბრაუნინგს და
თან კარისკენ იყო მიყურადებული, როდის მოაკაკუნებენო. მაგრამ უილსონი
ამოვიდა და წერილი ამოიტანა. სათბურასთვის ცხელი წყალიც მოაყოლა.
უკვე დაწოლის დროა და ფლაში კიდევ არ დაბრუნებულა.

უაიტჩრეპელში გათენდა 3 სექტემბრის დილა, ხუთშაბათი. კარი იღებოდა
და იხურებოდა. წითელი სეტერი, ფლაშის გვერდით იატაკზე რომ იწვა და
მთელი ღამე ყმუოდა, თხუნელის ტყავის ფილეტიანმა ნაძირალამ თრევით

გაიყვანა. რა ბედი ელოდა? რა ჯობდა, — მათი ხელით სიკვდილი თუ აქ, მათ ხელში ყოფნა? ანუ რომელი იყო უარესი?

ეს ღრიანცელი, შამშილი, წყურვილი, მთელი ეს სიმყრალე, რომლითაც აქაურობა იყო გაჟღერებული (ჰაი, ჰაი, რა დრო იყო, ოდესღაც სუნს რომ წუნობდა!), ყოველგვარ სურვილს უკლავდა, ყველა სახეს შლიდა მის/მეხსიერებაში. მერე უფრო შორეულმა ნაწვევებ-ნაწვევებმა შეკრძობა დაწვეს მის თავში ტრიალი. ეს რა ხმა ჩაესმოდა — მოხუცი ექიმის მტკიცე ხმამ არ ემახდა მინდორში გასულს?! თუ ეს კერენპეპოვი ეჭორავებოდა კარის ზღურბლთან მომდგარ მეფუნთუშეს? რაღაც ჩხაკჩხუკი ისმოდა — მის მიტფორდი ნემსიწვერას კონას ხომ არ კრავდა? მაგრამ არა, ეს მხოლოდ ქარი იყო, ის ქარი, დღეს რომ ქროდა და სქელ ყავისფერ ქაღალდს ატკაცუნებდა მინაჩამტვრეულ ფანჯარაში. ეს ვიღაცის მთვრალი ხმა იყო, ნარვალში რომ ბობოქრობდა. ეს კუდიანი დედაბერი იყო, ქუჩის კუთხეში დანთებულ ცეცხლზე ტაფა რომ შემოდგა და ქაშაყს წვაკდა. ფლაში ადარავის ახსოვდა, ყველამ მიატოვა. ხსნა არსაით იყო. ხმის გამცემი არავინ ჩანდა, თუთიყუშის ძახილია ისმოდა: „პრიტი პოლ! პრიტი პოლ!“ და არც კანარის ჩიტები ათავებდნენ თავიანთ უაზრო წრიპინსა და ჭიკჭიკს.

სადამომ ისეუ ჩამოაბნეულა ოთახი. შანდალში სანთელი ჩაარჭეს. გარეთ მჭახედ ბრდღვიანებდა სინათლე. ზურგზე აბგამოკიდებული, ავი თვალებით მომზირალი მამაკაცები ჯგროებად შემოდითდნენ, ფეხების ფლატუნით, და ერთბაშად დამტვრეულ საწოლებსა და მაგიდებზე მიეყრებოდნენ. კიდეც ერთი ღამის სიშავე გადაეფარა უაიტჩიქელს: წვიმა შეუჩერებლივ ატანდა სახურავის ღრიჩოში და ტყაპატყუპით ჩადითდა მისთვის შედგმულ ვედროში. მის ბარეტი კი არა და არ მოდიოდა.

ხუთშაბათი დილა გათენდა უიმპოულ სტრიტზე. ფლაშის დაბრუნებას პირი არ უჩანდა. არავითარი ცნობა მისტერ ტეილორისაგან. მის ბარეტი განგაშმა მოიცვა, ამბის გამოკვლევის შეუდგა. დაიბარა თავისი ძმა ჰენრი და ჯვარედინი დაკითხვა მოუწყო. აღმოჩნდა, რომ ძმამ გააცურა: ის „ემშაკთუხუცესი“ ტეილორი დაპირებისამებრ წინა დამეს მოსულა, თავისი პირობები წამოუყენებია: ექვსი გირვანქა „სახოგადობას“ და ნახევარიც—მეო. მაგრამ ჰენრის იმის მაგიერად, რომ და გაერკვია საქმის ვითარებაში, მისტერ ბარეტისთვის მოუხსენებია ყველაფერი. და რა გასაკვირია, თუ მისტერ ბარეტმა ჰენრის უბრძანა ფულის გადახდაზე უარი ეთქვა და დისტვისაც არ გაემხილა ამ ვიზიტის ამბავი. მის ბარეტი ძალზე გააღიზიანა და აღაშფოთა ყოველივე ამან. ძმას უბრძანა დაუყოვნებლივ წასულიყო მისტერ ტეილორთან და გადაეხადა ფული. ჰენრიმ იუარა და მამაზე ჩამოაგდო სიტყვა. — მამაზე სიტყვის ჩამოგდებას აზრი არა აქვსო, — შეუტია დამ, — სანამ აქ მამაზე ვილაპარაკებთ, ფლაშს მოკლავენო. და მან გადაწყვიტა, თუ ჰენრი არ წავიდოდა, თვითონ წასულიყო. „ესენი თუ არ დაჰყვებიან ჩემს სურვილს, ხვალ დილით მე თვითონ მივალ იქ და ფლაშს წამოვიყვანო“, წერდა ის მისტერ ბრაუნინგს.

მაგრამ თქმა ამისა რომ უფრო იოლი იყო, ვიდრე ქმნა, ეს უმაღლესი ცხადი გახდა მის ბარეტისათვის. მას ისევე საძნელოდ ექცა ფლაშთან მისვლა, როგორც ფლაშს შინ დაბრუნება. მთელი უიმპოულ სტრიტი კრიჭაში ჩაუდგა. ის ცნობა, რომ ფლაში მოიპარეს და ტეილორი გამოსასყიდს ითხოვდა, ახლა სახოგადობის კუთვნილებად ქცეულიყო. და უიმპოულ სტრიტს მტკიცედ გა-

დაეწყვიტა წინ აღდგომოდა უაიტჩიქელს. ბრმა მისტერ ბოინდმა შემოთვალა, რომ, მისი აზრით, გამოსასყიდის გადახდა „საშინელი ცოდვა“ იქნებოდა. მამა და ძმაც შეთქმულნი იყვნენ მის ბარეტის წინააღმდეგ და ნებისმიერ ღალატს იკისრებდნენ თავიანთი კლასის ინტერესების დასაცავად. მაგრამ ყველაზე უარესი — ბევრად, ბევრად უარესი — ის იყო, რომ თვით მისტერ ბრაუნინგმა მთელი თავისი გავლენა, მთელი თავისი მჭევრმეტყველება, ლოგიკა და გამწვანება წაეღებოდა უიმპოულ სტრიტის მხარეს დააყენა ფლავიოს წინააღმდეგ. იგი სწერდა მის ბარეტს: — თუ ტეილორის ნებას დამორჩილდები, ეს იმას ნიშნავს, რომ ტირანიის ნებას ემორჩილები, შანტაჟისტების ნებას ემორჩილები, ბოროტებას მატებ ძალას სამართლიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ავისმზრახველს ემხრობი უდანაშაულოს წინააღმდეგო. „გარდა ამისა“, სწერდა მისტერ ბრაუნინგი, — „თუ შენ ტეილორის მოთხოვნას შეასრულებ, როგორ ფიქრობ, რა უნდა იღონონ დარიბმა ძაღლის პატრონებმა, ვისაც საკმაო ფული არ გააჩნია მოპარული ცხოველის გამოსასყიდად?“ ამის შემდეგ მისტერ ბრაუნინგი, თავის აღგზნებულ ფანტაზიას აყოლილი, წარმოიდგენდა, თუ რას ეტყოდა ტეილორს, თუნდაც ხუთი შილინგის გადახდა რომ მოეთხოვა მისგან. — ასე ვეტყვოდიო, — სწერდა იგი, — „შენი ბანდის მიერ ჩადენილ ყოველგვარ საქციელზე პასუხი შენ მოგეთხოვება. მითქვამს შენთვის და კარგად გაიგონე: — მოეშვი ჩემთან წაცლილ თავებზე და წაჭრილ თათებზე სისულელეების ჩმახვას. და როგორც ახლა თვალდათვალ მხედავ შენ წინ მდგომს და მოლაპარაკეს, ასევე დარწმუნებული ბრძანდებოდე, რომ მთელ ჩემს სიცოცხლეს შენი უხიაგობის აღმოფხვრას მოვანდომებ და ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ სიკვდილად მოგვევლინოთ შენცა და ყველა შენს თანამზრახველს, ვისაც კი წავეწევი. შენ უკვე მიგაკვლიე და ჩემს თვალს ველარსად დაემალები“. აი ასე აპირებდა მისტერ ბრაუნინგი ტეილორისთვის პასუხის გაცემას, თუ ბედის შეწყენით ამ ჯენტლმენს სადმე გადაეყრებოდა. რადგან „საშინელებააო“, — ამბობდა იგი, იმავე ხუთშაბათ ნაშუადღევს, პირველი წერილის კვალდაკვალ გაგზავნილ თავის მეორე წერილში, — „ნამდვილი საშინელებაა ყოველ ბოროტგანმზრახველს, რომელ ფენასაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, ნება რომა აქვს დართული, თუკი მოესურვება, გულის სიმებზე ჩაბლაუჭებით თავისკენ გადაქაჩოს სუსტი და ჩუმი ადამიანები, რომლების საიდუმლოც შეიტყო“. იგი არ ადანაშაულებდა მის ბარეტს, — მისი ნებისმიერი საქციელი სავსებით სწორად და მისაღებად მიაჩნდა. „მაგრამ მაინცო“, — განაგრძობდა მისტერ ბრაუნინგი, — „მე ეს სავალალო სისუსტედ მიმაჩნიაო“. რატომ მიაჩნდა ასე მისტერ ბრაუნინგს? იმიტომ რომ, თუკი მის ბარეტი გაათამამებდა ტეილორს, რომელიც ძაღლებს იპარაუდა, ამით იგი ათამამებდა ბარნარდ გრეგორისაც, რომელიც ადამიანების კეთილ სახელს ემუქრებოდა, ანუ თავისდა უნებურად იგი ხდებოდა ხელშემწყობი იმ ბოროტებისა, ბარნარდ გრეგორი და მისი ამფსონები რომ სჩადიოდნენ, როცა სამისამართო ცნობარში ამოიხრეკილ ცალკეულ პირებს შანტაჟს უწევდნენ და რეპუტაციის შებღალავით ემუქრებოდნენ, რითაც ზოგი თვითმკვლელობამდე მიჰყავდათ და ზოგსაც სამშობლოდან გაქცევას აიძულებდნენ. „მაგრამ განა საჭიროა ამ საყოველთაოდ ცნობილი აქსიომების მტკიცება და მათზე წერაო?“ — ბობოქრობდა ნიუ კროსზე მისტერ ბრაუნინგი და დღეში ორჯერ აწვდენდა მის ბარეტს თავის ომახიან შემახილებს.

კითხულობდა მის ბარეტი ამ წერილებს ჩვეულებისამებრ თავის დივანზე წამოწოლილი. რა უნდა ყოფილიყო იმაზე იოლი, რომ დაეთმო მისტერ ბრაუნინგისთვის და წამოეძახა: „შენი კეთილგანწყობა უფრო ძვირად მიღირს, ვიდრე ერთად აღებული ასი კოკერ-სპანიელი“. რა იქნებოდა იმაზე იოლი, რომ მისვენებულყო ბალიშებზე და მწარე ოხვრით აღმოეთქვა: „მე ერთი სუსტი ქალი ვარ, კანონისა და სამართლისა არაფერი ვარაუბრობ, შენთვის მომინდვია საქმის მოგვარებაო“. ბოლოს და ბოლოს სხვას ხომ არაფერს თხოვდნენ, გარდა იმისა, რომ გამოსასყიდის მიცემაზე უარი ეთქვა და ამით აბუჩად აეგდო მისტერ ტეილორი და მისი „საზოგადოება“. ფლაში კიდეც რომ მოეკლათ, ის საშინელი პაკეტიც გამოეგზავნათ და იქიდან გახსნისთანავე ფლაშის თავი და თათები გადმოცვენილიყო, მისტერ ბრაუნინგი განა მის გვერდით არ აღგებოდა და განა დამარწმუნებლად არ ეტყოდა: — სავსებით სწორად მოიქეცი და ჩემი პატივისცემა დაიმსახურეო... მაგრამ მის ბარეტი ის ქალი არ გახლდათ, ასე იოლად რომ დაეშინებიათ. მან კალამი აიღო და რობერტ ბრაუნინგს შეუტია: — „კარგია ჯონ დონის ციტირება, კარგია გრეგორის სასამართლო საქმის დამოწმება, კონებამახვილური პასუხების შეთხზვაც კარგია ტეილორის წინააღმდეგო“, — წერდა იგი. — „მეც ასე მოვიქცეოდი, ტეილორს რომ ჩემთვის დაერთყა, ან გრეგორის ჩემთვის გაეტეხა სახელიო. მაგრამ ნეტავ რას იზამდა მისტერ ბრაუნინგი, ბანდიტებს მე რომ გავეტაცებინე, ველოდი დატყვევებული და მისთვის მუქარა შეეთვალათ: ყურებს დავაჭრიო და ფოსტით ნიუ კროსზე გამოგიგზავნიო?“ მაგრამ რაც არ უნდა ექნა მისტერ ბრაუნინგს, მის ბარეტს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდა. უმწეო ფლაში შეელას ითხოვდა. მისი ვალი იყო ეშველა. „ფლაში, საწყალი ფლაში, რარიც თავდადებით ვუყვარდი! რა უფლება მაქვს გავწირო ეს უცოდველი არსება ვიღაც მისტერ ტეილორის დანაშაულისათვის!“ ასეა, რაც არ უნდა თქვას მისტერ ბრაუნინგმა, მის ბარეტი მაინც დაიხსნის ფლაშს, მის დასაბრუნებლად თუნდაც უაიტჩეპელის ხახაში ჩავარდნა მოუწიოს, თუნდაც ამისთვის თვით რობერტ ბრაუნინგმა შეიძულოს.

ამიტომაც შაბათ დღეს, ისე რომ მისტერ ბრაუნინგის წერილი ჯერ კიდევ გადამლილი ედო მაგიდაზე, მის ბარეტი საჩქაროდ შეუდგა ჩაცმას. ისევ კითხულობდა იმ ადგილს, სადაც ეწერა: — „კიდევ ერთს გეტყვი: ყველაფერ ამით მე გამოვდივარ მთელი ქვეყნიერების ქმრების, მამების, ძმების და საერთოდ, მეორე ადამიანზე ბატონობის მოსურნე ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ, ვინც ამ საზიხლარ პოლიტიკას ეწევა“. ასე რომ, თუ მის ბარეტი უაიტჩეპელში წავა, კამოდის, რომ იგი ზურგს აქცევს მისტერ ბრაუნინგს და მხარს უჭერს მამებზე, ძმებზე და საერთოდ სხვაზე გაბატონების მოსურნეებს. და იგი მაინც განაგრძობს ჩაცმას. მეეტლეთა ფუნდუკიდან ძაღლის ყმუილი ისმის. ძაღლი დამშეულია, უმწეოა, ბოროტი კაცების ხელთაა ჩავარდნილი. ძაღლის ყმუილში ძახილი ჩაესმის: „იფიქრე ფლაშზე!“ ფეხსაცმელი ჩაიცვა, მოსასხამი მოისხა, ქუდი დაიხურა, ერთხელ კიდევ ჩაჰკრა თვალი მისტერ ბრაუნინგის წერილს და ამ სიტყვებს წააწყდა: „მე ხომ სადაცაა შენზე უნდა ვიქორწინო“. ძაღლი ისევ ყმუოდა. მის ბარეტი ოთახიდან გავიდა და კიბეს ჩაუყვა. წინ ჰენრი ბარეტი შემოხვდა და უთხრა: — რასაც იქადი, იმის შესრულებას თუ მოინდობ, ადვილი შესაძლებელია გავძარცვონ და კიდევ მოგვკლანო. კები მოიყვანეო, — უთხრა მის ბარეტმა უილსონს. შიშისგან აკანკალებულმა, მაგრამ

მორჩილება უილსონმა დაეალება შეასრულა. ჩაჯექი კებშიო! — უბრძანა უილსონს. მოახლე თუმცა დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილი ელოდა, მაინც ჩაჯდა ეტლში. მის ბარეტმა შეეტლეს მისამართი მისცა: შორდინი, მენინგ სტრიტი. თვითონაც ჩაჯდა ეტლში და გაუდგნენ გზას. მალე გასცდნენ სარკასებრ მინიან ფანჯრებს, წითელი ხის კარებიან სადარბაზოებს, ამ რაიონის გაღავნებსა და მესრებს. ისეთ სამყაროში მოხვდნენ, რომელიც მის ბარეტს არასოდეს ენახა და არც არასოდეს წარმოედგინა, იმ სამყაროში სადაც საწოლი ოთახების ქვეშ ძროხების ნახირია შერეკილი, სადაც მთელ ოჯახებს სძინავთ ფანჯრებჩამტვრეულ ოთახებში. იმ სამყაროში, სადაც წყლის ასაღებად ონკანის მოშვება კვირაში მხოლოდ ორჯერ შეიძლება, სადაც ბიწი და სიღარიბე ბიწსა და სიღარიბეს ამრავლებს. მიადგნენ რაიონს, რომელიც ღირსპატივცემულ შეეტლეებისათვის სრულიად უცხოა. კები შეჩერდა. შეეტლემ სამიკიტნოში გზა იკითხა. ორი თუ სამი კაცი გამოვარდა: — მისტერ ტეილორის ნახვა გინდათ ალბათ, არაო? ამ იდუმალებით მოცულ სამყაროში ორი ლედის ეტლით მოსვლას სხვა რა მიზანი უნდა ჰქონოდა, თუ არ ყველასათვის ცბობილი საქმის მოგვარება, უკიდურესად ავბედითი საქმისა. იმ ორ კაცთაგან ერთ-ერთმა სახლში შეირბინა. მალე დაბრუნდა და ამბავი მოიტანა: — მისტერ ტეილორი შინ არ გახლავთო. — მაგრამ ხომ არ გადმობრძანდებითო? ჰკითხა. „შიშისაგან დაფეთებული უილსონი შემომევედრა — ასეთი რამ თავში არც გაივლითო“. ეტლის ირგვლივ ბიჭებისა და კაცების ჭედვა შეიქნა. მისის ტეილორს ხომ არ ნახავდითო? — იკითხა კაცმა. მის ბარეტს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მისის ტეილორის ხილვისა. მაგრამ ეს იყო და, ვეებერთელა მსუქანი დედაკაციც გამოვიდა სახლიდან, ისეთი მსუქანი, ისეთი ქონმორეული, რომ, უეჭველია, სინდისიც გაქონილი უნდა ჰქონოდა. „ჩემი ქმარი გასულია სახლიდანო“, — ამცნო მან მის ბარეტს. — „შეიძლება ორიოდ წუთში დაბრუნდეს, ან იქნებ რამდენიმე საათიც დაავიანდესო. ხომ არ გადმობრძანდებით და დაელოდებითო?“ უილსონმა კაბაზე მოქაჩა, როგორი წარმოსადგენი იყო ამ ქალის სახლში შესვლა და დალოდება! ისიც კმაროდა, ბიჭებსა და კაცებს შუა გამოძწყვდეულ ეტლში რომ იხდნენ. ჰოდა, ამ ეტლიდან გაესაუბრა მის ბარეტს იმ „ვეებერთელა ბანდიტ ქალს“. უთხრა: „ჩემი ძალი მისტერ ტეილორს ჰყავს. დამპირდა, რომ დამიბრუნებს. ახლა მინდა ვიცოდე, დღეს ხომ ნამდვილად მომიყვანს უიმპოულ სტრიტზე“. — „რა თქმა უნდაო“, — უპასუხა მსუქანმა დედაკაცმა, თავაზიანი ღიმილით გადაბადრულმა. — „ეგ კი არადა, დარწმუნებულიც ვარ, ტეილორი სახლიდან სწორედ ამ საქმის თაობაზეა წასულიო“. და ამის თქმაზე „თავი ჯერ ოდნავ მარჯვნივ გადახარა, მერე მარცხნივ. საოცრად კვკლუცური მოძრაობით“.

ასე რომ, კები შემოტრიალდა და გავიდა მენინგ სტრიტიდან. „ნამდვილად ბეწვზე გადავრჩითო“, — ფიქრობდა უილსონი. თვით მის ბარეტს ვანგაშს მოეცვა. „სრულიად ცხადია, რომ ბანდა აქ დიდ ძალას ფლობს. საზოგადოება „ფანტაზიას“ ფესვები ღრმად აქვს მიწაში გადგმულიო“, — წერდა შემდგომ მის ბარეტს. ახლა კი თავში ფიქრები ერეოდა, თვალეებში ის სურათები ედგა. აი თურმე რა ყოფილა უიმპოულ სტრიტის მიღმა — ეს სახეები, ეს სახლები... იმ ხუთ წელიწადს უიმპოულ სტრიტზე, თავის სახლში, თავის ლოგინს მიჯაჭვულს რა უნდა ენახა იმდენი, რაც სულ მოკლე ხანში აქ, ამ სამიკიტნოსთან კებით მოსულმა ნახა. „ო, იმ კაცების სახეები!“ — აღმოხდა მის ბარეტს.

ისინი მისი თვალების კაკლებზე იყვნენ ამოშანთულნი და ისეთი გაცხოველებული ძალით მოქმედებდნენ მის წარმოსახვაზე, როგორც „მარმარილოს ღვთაებრივ ხატებს“ — კარადის თავზე შემოდგმულ ბიუსტებს არასოდეს უმოქმედნიათ. აქაც მისნაირი ქალები ცხოვრობდნენ. ოღონდ მაშინ, როცა იქ, თავის ტახტზე წამოწოლილი წერდა და კითხულობდა, ესენი აქ ამ დღეში იყვნენ. მაგრამ კები ახლა ისევ ოთხსართულიან სახლებს შორის მდებარეობდა. აი ისევ ნაცნობი ფანჯრებისა და სადარბაზო კართა თვალშეწყვეტილი მდებარეობა, წაწვეტილი აგური, თითბრის ჩაქუჩები, განუყრელი ფარდები. აი უიმპოულ სტრიტიც, და სახლი № 50. უილსონი სასწრაფოდ ჩამოხტა. და ხომ წარმოსადგენია, რა შვებით ამოისუნთქა, როცა თავი სამშვიდობოს იგრძნო. მაგრამ მის ბარეტი წამით შეეყოყმანდა. ის ისევ ხედავს „იმ კაცების სახეებს“, ეს სახეები კვლავ დაუდგებიან თვალწინ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა წერით გართული იჯდება მზიან აივანზე იტალიაში, — და შთააგონებენ „ავრორალი“-ს ყველაზე მგზნებარე პასაჟებს. მაგრამ ახლა უფროსი მსახური უღებს კარს და იგიც კვლავინდებურად თავისი ოთახისკენ მიმავალ კიბეს აუყვება.

შაბათი ფლაშის ტყვეობის მეხუთე დღე იყო. თითქმის საბოლოოდ გამოთანგული და იმედგაწყვეტილი, მიგდებულიყო ფლაში თავის კუთხეში ერთიანად აფუთფუთებულ ოთახის იატაკზე და ქელავდა. კარს ჯახუნი გაუდიოდა. იდგა მჭახე ხმების ღრიანცელი, ქალების წივილ-კავილი. თუთიფუშები ისეთი გზნებით ტიქტიკებდნენ, როგორც ალბათ არასოდეს უტიქტიკიათ შეიდა ვეილში ქვრივ ბანოვანებთან, მაგრამ აქაური ღვარძლიანი დედაბრები მხოლოდ ქოქოლას აყრიდნენ პასუხად. ფლაშს ტანზე მწერები დაუდიოდა, ის კი ისე უწადინო და ილაჯგაცლილი იყო, რომ შებერტყვის თავიც არ ჰქონდა. ფლაშის მთელი წარსული ცხოვრება და ამ ცხოვრების ცალკეული სურათები, — რედინგი იქნებოდა ეს, დიდი სათბური, მის მიტფორდი და მისტერ კინიონი, თუ წიგნის კარადები, ბიუსტები და ფარდაზე გამოსახული გლეხკაცები, — ისე ერთბაშად გადნა და გაილია, როგორც მდულარე ქვაბში ჩაყრილი თოვლი. თუ კიდევ რისამე იმედს ებღაუჭებოდა, იმ რასმე აღარც ფორმა შერჩენოდა უკვე და აღარც სახელი. ვიდაცის წაშლილ სახეს იგი ახლაც „მის ბარეტს“ ეძახდა. მის ბარეტი ჯერ კიდევ არსებობდა, დანარჩენი კი ყველაფერი გამქრალიყო. დიახ, ჯერ კიდევ არსებობდა მის ბარეტი, მაგრამ იმოდენა უფსკრულით იყო გამიჯნული ფლაშისაგან, რომ აღარც ეგონა, თუ ოდესმე მასთან მიღწევას შეძლებდა. ისევ სიბნელე ჩამოწვა, ისეთი მძიმე სიბნელე, რომ სულ ადვილად შეეძლო გაესრისა მისი უკანასკნელი იმედი — მის ბარეტი.

მართლაც, უიმპოულ სტრიტის ძალები ისევ და ისევ, ამ ბოლო წუთშიაც კი, იმისათვის იბრძოდნენ, რომ ფლაშსა და მის ბარეტს ერთმანეთი აღარ ენახათ. შაბათ ნაშუადღევს მის ბარეტი იწვა და, იმ უზომოდ მსუქანი ქალის შეპირებისამებრ, ტეილორის მოსვლას ელოდა. ბოლოს ტეილორი მოვიდა — მაგრამ ძალი არ მოუყვანია. მის ბარეტთან სიტყვა აგზავნა — აქვე, ადგილზე ექვს გინეას თუ გადამიხდი, „პატიოსან სიტყვას გაძლევ“, აქედან პირდაპირ უაიტჩელში წავალ და ძალღს მოგვევრიო. ძნელად თუ ენდობოდა მის ბარეტი „ემშაკათუხუცესი“ ტეილორის პატიოსან სიტყვას, მაგრამ „სხვა გამოსავალი არ ჩანდა“, ფლაშის სიცოცხლე სასწორზე იდო. მან გადათვალა ფული და დერეფანში მდგარ ტეილორს ჩაუგზავნა, მაგრამ მუხთალი ბედის განჩინებით, — სწორედ იმ დროს, როცა ტეილორი დერეფანში ქოლგებსა, გრავიურებსა, ხა-

ოიან ნოხებსა და სხვა ძვირფას ნივთებს შორის იდგა და პასუხს ელოდა, — იქ აღფრედ ბარეტი შემოვიდა. მის საკუთარ სახლში ასე აშკარად „ემპაქო-უხუცესის“ გამოჩენამ მასპინძელი წონასწორობიდან გამოიყვანა, გააცოფა. სულ „ერუპენტელა, ქურდბაცაცა და გაიძვერა“ ეძახა, რაზეც ტეილორმა ღანძლითვე ენა შეუბრუნა და, რაც ყველაზე უარესია, დაიფიცა: — „როგორც შენ ახლა მჯერა, რომ ამ სახლიდან უვნებელი გავალ, ისევე დაწმუნებულნი ბრძანდებით, რომ თქვენს ძალს ვეღარასოდეს ნახაუთო“. ამისი თქმა და მისი უნდა ღადან გავარდნა ერთი იყო. მამ ხვალ დილას სისხლით მოსერილ ამანათს უნდა ელოდნენ უიმპოულ სტრიტზე.

მის ბარეტმა ხელად გადაიცვა ტანსაცმელი და ქვედა სართულში ჩაირბინა.

— სად არის უილსონი? დაუძახოს კებს! ახლავე უნდა წავიდნენ შორდიჩში!.. თჯახის წევრები დაფეთებულები გამოვრბიან, რათა წინ გადაუდგნენ. უკვე მხედდება. იგი ხომ ისედაც გადაქანცულია ამდაგვარ ფათერაკში გაბმა ჯანმრთელი მამაკაცისთვისაც კი სარისკოა და მისთვის ხომ სრული სიგიჟეა! — ასეთია შინაურების აზრი. ძმები, დები, ყველანი ერთიანად შემოიკრიბენ მის გარშემო, ცდილობენ მის დაშინებასა და გაღარწმუნებას. „ნამდვილი გიჟი ხარო, — შემომყვიროდნენ, ჯიუტი და თავნებაო. და მისტერ ტეილორზე ნაკლებად როდი გამთათხეს“. მაგრამ მის ბარეტი მტკიცედ დგას თავის ნათქვამზე. ბოლოს ისინი ხვდებიან, თუ რა ზომამდეა იგი ამ ჟინით ატანილი და, რაც უნდა დიდი იყოს რისკი, გადაწყვეტენ დაუთმონ. — ბა, თუ დაბრუნდები შენს ოთახში და „კარგ გუნებაზე იქნები“, მე თვითონ მივალ სახლში ტეილორთან, გადავუხდი ფულს და მოგიყვან შენს ძალსო, — პირდება სეპტიმუსი.

ამრიგად, როცა 5 სექტემბრის მწუხრი საბოლოოდ შთაინთქა უაიტჩე-ქელის ღამის სიბნელეში, ოთახის კარი კიდევ ერთხელ შემოადგეს წიხლის კრით. ვიღაც ბანჯგვლიანი კაცი ქეროში დასწვდა ფლაშს და კუთხიდან გამოათრია. მტრის საზიზღარი სახისკენ თვალეზბიპრობილი ფლაში ვერ მიმხვდარიყო — მოსაკლავად მიჰყავდათ თუ ათავისუფლებდნენ. აჩრდილივით აკვიატებული ერთი მოგონება რომ არა, სულ არაფერზე ინალვლებდა. კაცი დაიკუზა. რატომ აფათურებდა ამ ვეებერთელა თითებს მის კისერთან? ან ეს რა იყო, დანა თუ ჯაჭვი?! სახეერად დაბრმავებული ფლაში გარეთ, ჰაერზე გაიყვანეს.

უიმპოულ სტრიტზე მის ბარეტმა სადილს პირი ვერ დააკარა. — რა ამბეაა ფლაშის თავს, მკვდარია თუ ცოცხალი? — არაფერი იცის ამისა. 3 საათისთვის კარზე დაუკაკუნეს. ეს მისტერ ბრაუნინგის მორიგი წერილია. მაგრამ წერილის შემომტანმა კარი რომ გააღო, ოთახში კიდევ რაღაცამ შემოირბინა. ეს ხომ ფლაშია! იგი პირდაპირ თავის მეწამული ფიალისკენ გაქანდა. სამჯერ პირამდე აუვსეს და გული კიდევ ვერ მოიჯერა წყლის სმით. მის ბარეტი აკვირდებოდა გაცეცებულ, თავგზააბნეულ მწვირიან ძალს, რომელიც წყალს ეწაფებოდა. „როგორც ველოდი, ისეთი დიდი აღფრთოვანება არ გამოუწვევია მასში ჩემს დანახვას“, — წერდა იგი შემდგომ. არა, ახლა ფლაშს ერთადერთი რამ იზიდავდა ამ ქვეყანაზე — სუფთა წყალი.

ანდა რა გასაკვირია, — მის ბარეტმა მხოლოდ ერთხელ შეავლო თვალი იმ კაცების სახეებს და სამუდამოდ ჩარჩა ისინი ხსოვნაში. ფლაში კი მთელი ზუთი დღე იყო მათთან. მათი ხელის შემყურე. ახლაც კი, როცა იგი კვლავ ბალიშებზე წევს ძველებურად, ერთადერთ სინამდვილედ, ერთადერთ რეალობად ცივი

წყალი მიაჩნია. და სვამს და სვამს დაუსრულებრივ. ჩანს, საწოლი ოთახის ძველმა ღვთაებებმა, — წიგნის კარადამ, ბიუსტებმა — რეალობა დაკარგეს მის თვალში. ეს ოთახი მისთვის აღარ წარმოადგენს მთელ სამყაროს, ახლა იგი მარტო თავშესაფარია. ეს არის დიდ ტყეში ჩაკარგული პატარა ღარტაფი, რომელსაც თავზე ერთი მოცახცახე მჭაუნის ფოთოლი აქვს წაფარებული, მაშინ როდესაც ირგვლივ გატყეურებული მხეცები დათარწმუნებენ შტამპიანი გველები დაივრგებინან, და ყოველი ხის უკან ჩასაფრებული მკვლელი, რომელსაც ყოველ წამს შეუძლია თავს დაგაცხრეს.

მის ბარეტის ფერხით მწოლიარე ფლაშს, აზრდაფანტულსა და ღონეგამოცლილს, ყურში ისევ დაბძული ძაღლების ყმუილი და დაზაფრული ფრინველების კივილი ჩაესმოდა. კარის ყოველ გაღებაზე შეაკანკალებდა, — დანამომარჯვებული, ბანჯგვლიანი კაცის შემოსვლას ელოდა. ეს მისტერ კენიონი აღნიშნებოდა, — წიგნით ხელში, ან მისტერ ბრაუნინგი, თავისი ყვითელი ხელთათმანებით. მაგრამ ახლა მისტერ კენიონს და მისტერ ბრაუნინგსაც უფრთხილდა ფლაში. უკვე აღარც მათ ენდობოდა. ამ მოცინარე, მეგობრული სახეების მიღმა დალატს, დაუნდობლობას და სიცრუეს ჭვრეტდა. მათი აღერსი მის გულს აღარ ეკარებოდა. ის კი არადა, უილსონის გვერდით საფოსტო ყუთისკენ მიმავალსაც კი შიში იპყრობდა. სახლს გარეთ ფეხსაც არ გადაადგამდა, ძეწკვს თუ არ მოაბამდნენ. ვინმე რომ ეტყოდა: „რაო, საბრალო ფლაში, მოგიტაცეს იმ საზიზღარმა კაცებმა?“ — უმაღ თავს ააღერდა, ამოიკვნესებდა და გულის გამგმირავად შეყმუვლებდა. ქუჩის ქვედა ეზოში მათრახის გატკაცუნება და მისი ადგილიდან მოწყვეტა ერთი იყო, — წამსვე სარდაფის კიბის ქვეშ სამალავში შეძვრებოდა. სახლში მყოფი, ტახტზე ადიოდა და მის ბარეტს ეკვროდა. ერთადერთმა მან არ მიატოვა განსაცდელში. მისადმი რწმენა ჯერ კიდევ შერჩენოდა. მის ბარეტს თანდათან უბრუნდებოდა რეალობა. და ფლაში—გამოთანგული, მოცახცახე, მწვირიანი, გამწლეული ფლაში იწვა დივანზე მის ფერხით.

გადიოდა დღეები და უაიტჩეპელის მოგონებაც თანდათან ფერმკრთალდებოდა. დივანზე მის ბარეტის სიახლოვეს მწოლი ფლაში ქალბატონის გრძნობებს წინანდელზე ბევრად ძკაფიოდ კითხულობდა. ისინი დაამორეს ერთმანეთს, ახლა ისევ შეიყარნენ. და კაცმა რომ თქვას, ასე შეთვისებულნი არც არასოდეს ყოფილან. ქალბატონის ყოველი შეკრთომა, ყოველი მოძრაობა გამომახილს პოულობდა მასში. და ფლაშის შეტყობით, მის ბარეტს განუწყვეტელი კრთომისა და მოძრაობის უამი დადგომოდა. ამანათის შემოტანაზეც კი შეხტებოდა. გახსნიდა ამანათს აკანკალებული თითებით, ამოიღებდა იქიდან თბილ ფეხსაცმელს და მაშინვე განჯინის რომელიმე კუთხეში შემალავდა. მერე კი დაწვებოდა, ვითომდა არაფერი მოძხდარიყოს. მაგრამ ფლაშიმა ხომ იცოდა, რომ რაღაც უეჭველად იყო მოძხდარი. ერთხელ, როცა მარტონი იყვნენ, მის ბარეტი ადგა და უჯრიდან ბრილიანტის ყელსაბამი ამოიღო. ამას მისტერ ბრაუნინგის წერილებიანი კოლოფი ამოაყოლა. მერე ფეხსაცმული, ყელსაბამი და წერილები ერთად ჩააწყო სამგზავრო აბგაში, და ამ დროს, თითქოს კიბიდან ფეხის ხმა შემოესმაო, ეს აბგა ლოგინქვეშ შეაგდო, თვითონ ფაცაფუცით დაწვა და ისევ შალი წაიხურა. ფლაში გრძნობდა, რომ ასეთი იდუმალი და ქურდული მოქმედება რაღაც დიდ ცვლილებათა მოახლოების მაუწყებელი იყო. იქნებ ისინი ერთად უნდა გაპარულიყვნენ აქედან? იქნებ

ორივეს ერთად უნდა დაეღწია თავი ამ ძალღიპარიების და ტირანების საშინელი სამყაროსთვის?! ნუთუ ეს შესაძლებელი იყო? მღელვარებისაგან ცახცახსა და წკმუტუნს ვერ იოკებდა. მის ბარეტი თავისებურად, ხმის აუწყვლად უბრძანებდა, — დამშვიდდიო — და ისიც წამსვე მშვიდდებოდა. თვითონ მის ბარეტსაც ძალზე მშვიდად ეჭირა თავი. როცა მისი რომელიმე ძმა ან და იმყოფებოდა ოთახში, სრულიად გაყურებული იწვა ხოლმე დივანზე, ხსენებდა ზუსტად ისევე ელაპარაკებოდა მისტერ ბარეტს, როგორც მანამდე ელაპარაკებოდა მამასთან.

მაგრამ შაბათ დღეს, სექტემბრის თორმეტს, მის ბარეტმა ისეთი რამ მოიმოქმედა, რომლის მსგავსი ფლაშს არაფერი ახსოვდა. იგი ერთბაშად ჩაცმას შეუდგა, თითქოს პირდაპირ საუზმის შემდეგ სახლიდან გასვლას აპირებდა. უფრო მეტიც: როცა ფლაში ქალბატონს ჩაცმის დროს თვალს ადევნებდა, მისი გამომეტყველების მიხედვით მიხვდა, რომ თვითონ არ უნდა გაჰყოლოდა თან. მას რაღაც საკუთარი საიდუმლო საქმე ჰქონდა აღსასრულებელი. ამ საათზე უილსონი შემოვიდა, ისიც თითქოს საგარეოდ ჩაცმული. ერთად გავიდნენ. ფლაში იწვა დივანზე და მათ დაბრუნებას ელოდა. ერთი საათი თუ ცოტა მეტი ხანი გავიდა მათ მოლოდინში. მის ბარეტი მარტო დაბრუნდა. ფლაშისთვის არ შეუხედავს. თითქოს არც არაფერს უყურებდა. წაიძრო ხელთათმანები და ფლაშს წამით თვალში მოხვდა მისი მარცხენა ხელის ერთ-ერთ თითზე გაელეკებული ოქროს სალტე. მერე ფლაშმა დაინახა, როგორ მოახსნა ქალბატონმა ხელიდან ეს ბეჭედი და ჩამალა უჯრის სიბნელეში. ამის შემდეგ იგი ჩვეულებისამებრ დივანზე დაწვა. იწვა ფლაში მის გვერდით და სუნთქვასაც ვერ ბედავდა, რადგან, მისი გუმანით, რაღაც ისეთი რამ მომხდარიყო, რაც ყოველ მიზეზგარეშე საიდუმლოდ უნდა შეენახათ.

კვირას ეკლესიის ზარები რეკდნენ. „რა ზარებია ესო?“ — იკითხა ვილატამ. „მერილიბოუნის ეკლესიის ზარებიაო“, — თქვა მის ჰენრიეტამ. ფლაშმა დაინახა, რომ მის ბარეტს მკვდრისფერი დაედო, მაგრამ ფლაშის გარდა იქ ეს არავის შეუმჩნევია.

ასე გავიდა ორშაბათი. მას სამშაბათი, ოთხშაბათი და ხუთშაბათიც მიჰყვა. და ყველა ეს დღე მოცული იყო სიჩუმის ბურუსით, ჭამის, სმის, ლაპარაკისა და დივანზე მშვიდად წოლის გაურკვეველი ბურუსით. ფლაშს მოუსვენრად ეძინა, ძილში ბორგავდა, ესიზმრებოდა, — ვითომ იგი და მის ბარეტი გვიძრებისა და ფოთლოვანი მცენარეების ტოტებქვეშ იწვნენ ერთ ბნელ ადგილას უსიერ ტყეში. მერე ტოტები გადაიხსნა და ფლაშსაც გაელვიდა. ორგვლივ ბნელოდა, მაგრამ მან კარგად დაინახა, რომ ოთახში ძალუღლად შემოვიდა უილსონი, გამოიღო ლოჯანის ქვემოდან აბგა და უჩუმრად გარეთ გაიტანა. ეს მოხდა პარასკევ ღამეს, სექტემბრის 18-ში. შაბათის მთელი დღი იმის მოლოდინში გაატარა ფლაშმა — აი ახლა დააგდებენ ცხვირსახოცს, აი ახლა გაისმება წელი სტვენა და მიცემული იქნება ნიშანი ან სიკოცხლის ან სიკვდილის შესაგებებლადო... ფლაში თვალმოუშორებლივ უყურებდა მის ბარეტს, როცა ის იცვამდა. ოთხს რომ თხუთმეტი წუთი აკლდა, კარი გაიღო და უილსონი შემოვიდა. და აი ნიშანიც — მის ბარეტმა ხელში აიყვანა ფლაში. მერე იგი წამოდგა და კარისკენ გაემართა. ერთი წუთით შეყოვნდნენ და ოთახი მოათვალიერეს. აგერ მათი დივანი და მისტერ ბრაუნინგის სავარძელი. აგერ ბიუსტები, მაგიდები, წიგნის კარადები. მზის შუქი ატანდა სურითი დაბ-

ურულ ფანჯრის ღიობში და მოხეირნე ვლებებით მოხატული ფარდა ნაზი რხევით გარეთ განიზიდებოდა. ყველაფერი ძველებურად გამოიყურებოდა და უამრავი ასეთი რხევისა და მოძრაობის მომლოდინე ჩანდა. მაგრამ ფლაში და მისი ქალბატონი უკანასკნელად ხლებოდნენ ამის მოწმენი. და მის ბარეტმა ძალიან ფრთხილად მიიხურა კარი.

ასევე ფრთხილად დაემკვნენ კიბეზე, ჩაუარეს სასტუმროს ნიშნებს, ბიბლიოთეკას, სასადილოს. ყველაფერი ისე გამოიყურებოდა, როგორც ყოველთვის. ყოველივე ისე გარინდებულყო, თითქოს სექტემბრის ამ ცხელ დღეს ნაშუადღევს ძილს მისცემიაო. პოლში ჭილოფზე კატილაინი იწვა, მასაც ეძინა. მიაღწიეს სადარბაზოს კარს და ძალიან ფრთხილად მოატრიალეს სახელური. გარეთ კეზი იცდიდა.

„პოჯსონი“, — უთხრა მეეტლეს მის ბარეტმა. თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა. ფლაში გატრუნული იჯდა მის კალთაში. ისეთი რა უნდა მომხდარიყო ამ ქვეყანაზე, ფლაშს რომ მისი გულისთვის ეს დიდზე უდიდესი სიჩუმე დაერღვია.

ა. იტალია

ერთმანეთზე გადაბმული საათები, დღეები, კვირები — ჯანჯღარი და ბნელში ყოფნა, უეცარი გამონათებები, მერე ისევ წყვდიადის გრძელი გვირაბები და იმის განცდა, რომ აქეთ-იქით, აქეთ-იქით ეხლები. ერთბაშად სინათლეზე ამოიყვებნართ, ხედავ მის ბარეტის სახეს სულ ახლოს, ხედავ წვრილ ხეებს, სასაზღვრო ხაზებს, ღიანდაგებს და სინათლის ლაქებით დაფორეჯებულ სახლებს... ეს ყველაფერი რკინიგზაზე არსებული იმ ბარბაროსული წესების ბრალი იყო, — ძაღლებს ყუთში ჩასმულებს, ცალკე ვაგონით რომ ამგზავრებდნენ. მაგრამ ფლაშს სრულიად არ ეშინოდა, — ისინი ხომ თავს შველოდნენ, გაურბოდნენ ტირანებსა და ძაღლიპარიებს. — იზანზარე, იჯანჯღარე, იხრჭიალე რამდენიც გინდა, — ბურტყუნებდა ის, მატარებლის ნჯღრევისგან ხან აქეთ რომ მიაწყდებოდა და ხან იქით, — ოღონდ უიმპოულ სტრიტს და უაიტჩეპელს გავეცალოთ! ბოლოს სინათლე ჩამოდგა, ჯანჯღარი შეწყდა. ფლაშს ჩიტების გალობა და ქარს მოყოლილი ხეების ოხვრა ჩაესმა. თუ ეს წყლის შხუილი იყო? ბოლოს, როცა თვალი გამოახილა და ქურქი შეიბერტყა, ისეთი რამ დაინახა, იმაზე უფრო საკვირველს ვერც ვერაფერს წარმოიდგენდა. შხუილით მომავალ წყლის შუა ლოდზე მის ბარეტი იდგა. მის თავზე ხეები გადმოხრილიყვნენ. ირგვლივ მდინარე ბობოქრობდა. — ვაი, ქალბატონს საფრთხე რამე არ ემუქრებოდას!... და ფლაში ერთი კამარით გადაეშვა წყალში, დგაფუნით გასცურა და ნაპირზე გავიდა. „პეტრარკას სახელზე მოინათლა“, — თქვა მის ბარეტმა, როცა ფლაში ლოდზე აფოფხდა და მის გვერდით გაჩნდა... ისინი ვოკლუზში იყვნენ და მის ბარეტი დიდ ქვაზე წამოსკუპულიყო პეტრარკას წყაროს შუაგულში.

ისევ გაგრძელდა ჯანჯღარი, ზანზარი და ხრჭიალი. და მერე კიდევ ერთხელ დასვეს მყარ ნიადაგზე. განიპო სიბნელე და თავზე სინათლე გადმოედვარა. ის ცოცხალია, ცხადშია, დგას დაბნეული მოწითალო ფოლებით მოფენილ იატაკზე, მზით განახჩახებულ ცარიელ ოთახში. აქეთ ეცა, იქით ეცა, ყნოსავს, თათებით სინჯავს ყველაფერს. არც ნიბებია, არც ბუხარი, არც დივანი და სა-

ვარძლებია, არც წიგნის კარადები და ბიუსტები. მძაფრმა, უცნობმა სუნმა შეუღლიტინა ნესტოებში და დააცემინა. თვალი მოსჭრა უსაზღვროდ კამკამა, მჭახე სინათლემ. ფლაში არასოდეს ყოფილა ოთახში, თუკი ამას ოთახი ეთქმოდა, რომელიც ასე დიდი, ასე ნათელი, ასე ყოველგვარ სიღბოს მოკლებული და გამოცარიელებული ყოფილიყო. შუა ოთახში მაგიდასთან სკამზე მჯდომი მის ბარეტიც ასე პატარა არასოდეს სჩვენებია. მერე უღრსინმა მჭედი ჩაში გაიყვანა. ძალდი ჯერ მზის სინათლემ დააბრმავა, შემდეგ ჩრდილების ბინდმა. ქუჩის ერთი მხარე სიცხისგან იწვოდა, მეორე — სიცვიისაგან გაბლიგვებულებო. ქალები ბეწვეულში გახვეულები დაიარებოდნენ, თან მზის ქოლგები ეჭირათ, თავზე რომ მოეჩრდილებინათ. ქუჩა ძვალივით გამომშრალიყო. თუმცა ნოემბრის შუა რიცხვებს მოეტანებინა, არც ტალახი იდგა და არც გუბები. ასე რომ, ფლაშს თათების დასველება და მათი ფუმფულა ბეწვის დაკუმტულება არ მოელოდა. აქ არ იყო ქუჩის ქვედა ეზოები, მესრებიც არსად ჩანდა. იმ ნაირ-ნაირი სუნის აღრევის მსგავსიც არაფერი შეინიშნებოდა, უიმპოულ სტრიტსა და ოქსფორდ სტრიტზე სეირნობისას თავგზას რომ უბნედა. მეორე მხრივ, ის ახალი, უცხო სუნები, შენობათა მახვილკუთხეებიანი ქვის ცოკოლებიდან და მშრალი ყვითელი კედლებიდან რომ მოდიოდა, მეტიმეტად მძაფრი და უცნაური ჩანდა. მერე უცბად მოქანავე ფარდის იქიდან განსაცვიფრებლად ტკბილი სუნი გამოტყვრა და ბოლქვებად გამოქროლდა. თათებაწეული ფლაში ადგილზე გაირინდა, რომ მისით დამტკბარიყო. მერე ერთბაშად თავი აიღირა და იქით გაქანდა, საიდანაც ეს სუნი გამოდიოდა. წამსვე ფარდის ქვეშ შევარდა. ის იყო, თვალი ჰკიდა სინათლეებით მოოჭვილ მოგუგუნე დარბაზს, ძალზე ძალაღსა და ფართოთალოვანს, — რომ შემრწუნებულმა უილსონმაც შეჰკივლა და მარჯვედ უკანვე გამოათრია. გზას ისევ დაბლა დაუყვინ. გამაყრუებელი ხმაური იდგა ქუჩაში. თითქოს ყველა ერთად ყვიროდა გამკივან ხმაზე. ლონდონის თანაბარი და ძილის მომგვრელი ზუზუნის ნაცვლად აქ ყვირილი, ძახილი, ჩხარაჩხური, წკარაწკური, მათრახების ტკაცუნა და ზარების ფდრიალი ისმოდა. ფლაში ხან ერთ მხარეს ისკუპებდა, ხან მეორე მხარეს გახტებოდა. უილსონიც ასევე ცქვიტობდა, რადგან ოცჯერ მაინც მოუწიათ ქვაფენილზე ასვლა-ჩასვლა, გვერდი რომ აევლოთ ორთვალასთვის, ხარისთვის, სალდათების ჯგუფებისა თუ თხის ფარისათვის. ფლაში თავს უფრო მკვირცხლად და ახალგაზრდად გრძნობდა, ვიდრე მთელი ამ წლების განმავლობაში. თავრეტდასხმული და მაინც სიხარულით ატაცებული დაეშვა იგი მოწითალო ფერის ფილებზე და ისეთი მაგარი ძილით დაიძინა, როგორც არასოდეს დაუძინია ბალიშებზე მწოლარეს უიმპოულ სტრიტზე მდგარი სახლის უკანა საწოლ ოთახში.

მაგრამ ძალე ფლაში გახდა იმის მოწამე, რომ ლონდონსა და პიზას შორის, — ვინაიდან ქალაქი, სადაც ისინი დასახლდნენ, სწორედ პიზა გახლდათ, — განსხვავებას ბევრად უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა. აქ ძაღლები სრულიად სხვაგვარნი იყვნენ. ლონდონში ქუჩის საფოსტო ყუთამდე ისე ვერ მივიდოდა, რომელიმე წმინდა ჯიშის ძაღლს არ შეხვედროდა, იქნებოდა ეს მონადირე ძაღლი, მოპსი, ბულდოგი, მასტიფი, ნიუფაუნდლენდი, სენ ბერნარი, ფოქს ტერიერი თუ სპანელის მოდგმის შვიდ განთქმულ შტოთაგან ერთ-ერთის წარმომადგენელი. მან გამორჩევით იცოდა ყველა ჯიშის სახელი და ისიც, თუ ვინ რა წოდებას ეკუთვნოდა. აქ კი, პიზაში, თუმცა ურიცხვი

ძალი ირეოდა, მაგრამ წოდებრივი განსხვავება არ არსებობდა. ფლაშის წარმოდგენაში ისინი უბრალოდ რუხი, თაფლისფერი, ზოლებიანი და ხალებიანი ძაღლები იყვნენ. შეუძლებელი იყო მათ შორის თუნდაც ერთი სპანიელის, კოლის, მასტიფის ან მონადირე ძაღლის გამორჩევა. მაშ იტალიაში არ არსებობდა ძაღლთა კლუბის იურისდიქცია? არაფერი იცოდნენ სპანიელთა კლუბის შესახებ? არც ის კანონი იყო ძალაში, რომელსაც სპანიელის განაჩენს გამოუტანდა ქოჩორს, ყოველნაირად ხელს შეუწყობდა შეგროვებულ ყურებს, მფარველობას გაუწევდა შებუშბულ თათებს და გადაჭრით მოითხოვდა, რომ შუბლი მომრგვალებული ყოფილიყო და არა წინ წამოწეული?! როგორც ჩანდა, არაფერი ეს არ იყო. ფლაში განდევნილობაში მყოფი პრინცივით გრძნობდა თავს. იგი ერთადერთი არისტოკრატი იყო ამ მდაბიოთა ბრბოში, მთელ პიზაში — ერთადერთი წმინდა სისხლის კოკერ-სპანიელი.

ფლაშს მრავალი წლის განმავლობაში მთააგონებდნენ, რომ თავი არისტოკრატად მიეჩნია. მეწამული ფიალიდან სმისა და ძეწკვობიანი სიარულის აუცილებლობას მის სულში ღრმად ჰქონდა ფესვი გადგმული. ამიტომ გასაკვირი არაა, თუ ახლა სულიერი წონასწორობა დაერღვა. ეინმე პოვარდი ან კავენდიში ალიზით შელესილ ქოხში რომ მოხვდეს პირველყოფილ ტომებს შორის, განა გაემტყუნება, დროდადრო ჩეტსუორთი რომ ელანდებოდეს და სინანულით იგონებდეს წითელ ხალიჩებსა და ვრცელ გალერეებს, რომლებსაც ვიტრაჟებში მოგიზგიზე ჩამავალი მზის შუქი პერის გვირგვინებით მოჩითავს ხოლმე?! უნდა ვაღიაროთ, რომ ფლაშს იმთავითვე მოსდგამდა გარკვეული სწობური ხასიათი, რაც წლების წინ აღმოაჩინა მის მიტფორდმა. და ეს განწყობილება, რომელიც მას ჩაუხშია ლონდონში თანაბართა და მასზე აღმატებულ ძაღლთა საზოგადოებაში ტრიალმა, ისევე აღუდგა ახლა, როცა თავი გამორჩეულად იგრძნო. მბრძანებლური და კადნიერი ხასიათი გაუზდა. „ფლაში აბსოლუტურ მონარქად იქცა. თუ კარის გაღება მოესურვა, ყეფით აგვიკლებს“, — წერდა მისის ბრაუნინგი. „და რობერტის თქმით“, — განაგრძობდა ის, — „ხსენებულ ფლაშს მიაჩნია, რომ იგი (ჩემი ქმარი) საგანგებოდ მისი სამსახურისთვისაა გაჩენილი ამქვეყნად. და მართლაც ფლაშის საქციელი სწორედ ამაზე მეტყველებს!“

„რობერტი“, „ჩემი ქმარი“ — თუ ფლაში შეიცვალა, ასევე შეიცვალა მის ჰარეტიც; საქმე უბრალოდ ის კი არ იყო, რომ ახლა მისის ბრაუნინგად იხსენიებდა თავის თავს და თითზე წამოცმულ ოქროს ბეჭედს მზეზე აბრჭყვიალებდა! არა, იგი ისევე ძირფესვიანად იყო შეცვლილი, როგორც ფლაში. „რობერტი“, „ჩემი ქმარი“ დღეში ორმოცდაათჯერ მაინც ესმოდა ფლაშს და ქალბატონის ხმაში ყოველთვის ისეთი სიამაყე ეღერდა, რომ ძაღლს ბეწვი ყალფზე უდგებოდა და გული დაგადუგს უწყებდა. მაგრამ მარტო ლაპარაკის ყაიდის შეცვლა რა სათქმელია. ქალბატონი ახლა სულ სხვა პიროვნებად ქცეულიყო. წინათ რომ ერთი სათითუ პორტუგეზის მოწრუპვის შემდეგ თავის ტკივილს უჩიოდა, ახლა მთელ ჭიქა კიანტის ისე გადაყლურწავდა, თვალს არ დაახამხამებდა და მერე გულიანად ეძინა. სასადილო მაგიდაზე ახლა ყვაილივით ფორთოხალასხმული მთელი ტოტი იდო წინანდელი ერთი გაფცქვნილი მჟავე ნაყოფის ნაცვლად. წინათ რიჯენტს პარკამდე მისასვლელად ლანდო რომ სჭირდებოდა, ახლა სქელლანჩიან ფეხსაცმელს იცვამდა და კლდე-

ებზე დაფოფხაუდა. ოქსფორდ სტრიტზე ეტლით ჩაგრიანების ნაცვლად მონგრეული ორთვალათი ტბისკენ მიჯანჯლარებდა, რომ იქიდან მთებისთვის ეცქირა. და დაღლილი კებს კი არ დაუძახებდა, ქვაზე ჩამოჯდებოდა და ხელიკების თვალთვალთ ერთობოდა. მზეში ნეტარებდა, სიცოცხლეშიც ნეტარებდა. როცა ყინავდა, ჰერცოგის ტყიდან მოსულ ფიჭვის შეშას ურთავდა ცეცხლს. მერე ისხდნენ ერთად აბრიალებულ, ატკაცუნებულ ცეცხლთან და მტკიცედ სურნელთ ტკებოდნენ. და მისის ბრაუნინგს არასოდეს სწყინდებდა მტკიცეობის ქება ინგლისის ხარჯზე. „საწყალი ინგლისელები“, — წამოიძახებდა ხოლმე, — „სიხარულის განცდის უნარი აკლიათ და მისი შექმნა სჭირდებათ!“ აქ, იტალიაში იყო თავისუფლება და სიცოცხლე — მზით მონიჭებული. კაცების ჩხუბს ვერსად ნახავდი, ვერც ვინებას გაიგონებდი მათგან, ვერც მთვრალ იტალიელს შეხედებოდი სადმე. „იმ კაცთა სახეები“, შორდიჩში რომ ნახა, ისევ უღებოდა თვალწინ. ადარებდა ხოლმე ერთმანეთს პიზასა და ლონდონს და უპირატესობას ყოველთვის პიზას ანიჭებდა. პიზის ქუჩებში ლამაზ ქალებს მარტო შეეძლოთ სიარული, გამცილებლის გარეშე. მაღალი წრის ქალბატონი ჯერ თავისი ხელით გადაღვრიდა ნარეცხს და მერე სასახლის კარზე მიბრძანდებოდა „დიდებულების უცილობელი ბრწყინვალეებით გარემოსილი“. ზანზალაკებით, ნაჯვარი ძაღლებით, აქლემებით და ფიჭვის ტყეებით აჭრელებულ პიზასთან ვერ მოვიდოდა უიმპოულ სტრიტი მთელი თავისი წითელხისკარიანი სადარბაზოებითა და საქონლისა თუ ცხვრის ფეშხოებით. და ასე, ყოველდღე, როგორც კი თავის საყვარელ კიანტის გადაკრავდა, ან ტოტიდან კიდევ ერთ ფორთოხალს ჩამოგლეჯდა, მისის ბრაუნინგი ხოტბას ასხამდა იტალიას და იბრალებდა იმ საწყალ, პირქუშ, ნესტიან, უმზელ და უსიხარულო ინგლისს, რომელიც სიძვირითა და ათასი პირობითობით იყო შებოჭილი.

მართალი უნდა ითქვას, რომ უილსონი ერთხანს ინარჩუნებდა თავის ბრიტანულ წონასწორობას. მისი ხსოვნიდან სამზარეულო სარდაფებისა და მსახურთუფროსების, ფარდებისა და სადარბაზო კართა ამოშლას გარკვეული ძალისხმევა დასჭირდა. ის ჯერ კიდევ იმდენად იდგა თავის რწმენაზე, რომ სურათების გალერეიდან გამოვარდა, „ისე დაზაფრა იმ უსირცხვილო ვენერას დანახვამ.“ მოგვიანებით, როცა კეთილი მეგობარი ქალის წყალობით კარიდან დიდი ეპრცოგის სასახლეში შეჭყვტის შესაძლებლობა მიეცა, სენტ ჯეიმზის სასახლის უბადლო დიდებულების მტკიცებაზე გამოიღო თავი. „გაბრეკილია აქაურობაო“, — განაცხადა, — „რა შედარებაა ჩვენს — ინგლისურ სასახლის კართანო“. მაგრამ როცა ასე ჩაცვებით იცქირებოდა სასახლეში, უცებ დიდი ჰერცოგის ერთ-ერთი მცველის ბრგე აღნავობამ მოსტაცა თვალი. ერთბაშად ცეცხლი წაეკიდა. მისი მსჯელობის სიმტკიცე მოღვრა, მისი სანიშნო ხატი დაემხო. ლილი უილსონს თავდავიწყებამდე შეუყვარდა სინიორ რიგი, ჰერცოგის მცველი.

როგორც მისის ბრაუნინგი იკვლევდა ახლად შექმნილ თავისუფლებას და ნეტარებდა ყოველი ახალი აღმოჩენით, ზუსტად ასევე მისცემოდა ფლამიც საკუთარი თავისუფლების კვლევას. მასაც ჰქონდა თავისი აღმოჩენები. ვიდრე პიზიდან გაემგზავრებოდნენ, — 1847 წლის გაზაფხულზე ისინი ფლორენციაში გადასახლდნენ, — იგი შეეჯახა იმ საოცარ და თავდაპირველად შემაშფოთებელ ჭეშმარიტებას, რომ ძაღლთა კლუბის კანონები არ არის უნივერსალური. მერე იმ აზრთანაც მოუხდა შეგუება, რომ ქოჩრის ქონა არც-

თუ მაინცდამაინც საბედისწეროა. შესაბამისად მან მთელი თავისი მორალური კოდექსი გადასინჯა. ძალღმობა საზოგადოების შესახებ შემუშავებულ თავის ახალ კონცეფციებს თავდაპირველად ყოფიანით ახორციელებდა. დღითი დღე მეტ დემოკრატიობას ავლენდა. ჯერ კიდევ პიზაში ყოფნისას მისი ბრაუნინგი შენიშნავდა: „ფლაში გადის ქუჩაში და იტალიურად ელაპარაკება პატარა ძაღლებსო“. ახლა ფლორენციაში ძველი ხუნდების უკანასკნელმა წარჩენებელმა ჩამოიფერთხა. სრული თავისუფლების დიადი წამი კი „ერთი დღეს კასინოს ბაღში ყოფნისას დაუდგა. იგი „ხურმუხტისფერ მდელოზე მიქროდა, გაფრენილ ხობებს ადევნებულ“ უცებ რიჯენტს პარკი და მისი მოწოდება დაუდგა თვალწინ: — ძაღლები ძეწკვამობი უნდა ატარიოთ. სად იყო ახლა „უნდა?“ ვის აგონდებოდა ძეწკვი! ან პარკის მცველები და ხელკეტები ვის ჭირდებოდა! წარსულს ჩაბარდა ყველა ესენი, ისევე, როგორც ძაღლიპარიები თუ ძაღლთა კლუბები და სპანიელთა კლუბები, — გახრწნილი არისტოკრატების ბუდეები. წარსულს ჩაბარდა ის ცხოვრება თავისი ოთხთვალა თუ ორთვალა ეკიპაჟებით, უაიტჩიქელით და შორდინით. ფლაში მირბოდა, მიქროდა, თვალები უელავდა, ბეწვი უბზინავდა. ახლა თავი მთელი ქვეყნიერების მეგობრად მიაჩნდა. ყველა ძაღლი ძმა იყო მისი. ამ ახალ სამყაროში ძეწკვზე გამობმის საჭიროება არ არსებობდა, არც დაცვა და მფარველობა სჭირდებოდა ძაღლს. თუ მისტერ ბრაუნინგი სეირნობისთვის დათქმულ ვადას გადააცილებდა, — ახლა ისა და ფლაში საუკეთესო მეგობრები იყვნენ, — ძაღლი გაბედულად შეახსენებდა, წასვლის დროაო. „დაუდგება წინ და მეტი რომ არ იქნება, ისე მბრძანებლურად იწყებს ყეფას“, შენიშნავდა მისი ბრაუნინგი, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული კილოთი, ვინაიდან ფლაშისადმი მის დამოკიდებულებაში ბევრად იკლო გარდასულ დღეთა მგრძობიარობამ. მისი ბრაუნინგს უკვე აღარ ესაჭიროებოდა ფლაშის წითური ბეწვი და ელვარე თვალები, ერთ დროს რომ იმას მოაღიზიანებდნენ, რაც მის ცხოვრებას ესოდენ აკლდა. ახლა მან იპოვა თავისი პანი, რომელიც მასთან ერთად ვენახებსა და ხეთისხილის ხეთა შორის ხეტიალობდა და მის გვერდით იყო მაშინაც, როცა ბუხარში ფიჭვის შემა გუზგუზებდა.

ჰოდა, ასე: თუ მისტერ ბრაუნინგი სახლიდან გასვლაზე ფეხს აითრევდა, ფლაში დაუდგებოდა წინ და ყეფას აუტეხდა. მაგრამ თუ მისტერ ბრაუნინგი მაინც შინ დარჩენას და წერას ამჯობინებდა, დიდად არც ამას დაგიდევდათ ფლაში. ის ახლა სრულიად დამოუკიდებელი იყო. გარეთ კედლები გლიცინიას და ოქროწვიმას ყვავილებს დაეფარა, ბაღებში იუდას ხეები ბრდღვიანებდნენ, ველური ტიტებით დაკოპლილიყო მინდორი. რაო, ჩემო, ვითომ რატომ უნდა დალოდებოდა მისტერ ბრაუნინგს! ჰოდა, ისიც მიდიოდა მარტო. ის ახლა თვითონ იყო თავისი თავის პატრონი. „ის მარტო გადის სახლიდან და საათობით რჩება გარეთ“, წერდა მისი ბრაუნინგი. „ფლორენციაში ყველა ქუჩა იცის. თავის ჭკუაზე დაიარება. არც მეშინია ხოლმე, როცა იგვიანებს“. — უმატებდა იგი და თან ღიმილით იგონებდა უიმპოულ სტრიტზე აგონიაში გატარებულ საათებს და იმ ბანდიტებს, რომლებიც ვიერ სტრიტზე ზედ ცხენის ფეხებთან იყვნენ ჩასაფრებული, რომ ხელი ეტაცათ ძაღლისთვის, თუ ვინიცო-ბაა მისთვის ძეწკვის გამობმა დაავიწყდებოდათ. ფლორენციაში არ იცოდნენ, რა იყო შიში. აქ არ იყვნენ ძაღლიპარიები და ალბათ მისი ბრაუნინგს ოხვრაც აღმოხდებოდა, — აქ არც მამები იყვნენ.

მაგრამ თუ გულწრფელად ვილაპარაკებთ, ფლაში რომ Casa Guidi-ს კარს ღიას დაღანდაედა და ნავარდით გარეთ გაიჭრებოდა, ამას გაღერებში მხატვრული ტილოებით თვალის დასატკობად ან ბნელ ეკლესიაში დაბინდული ფრესკების სათვალღერებლად როდი სჩადიოდა. ეს რაღაც ნეტარ განცდის სურვილი ეზიდებოდა გარეთ, სურვილი რაღაც აქამდე აკრძალულის ძიებისა. ერთხელ ვენერას სამონადირო საყვირის ველურმა მუსიკანტურკმირის მინდვრებს რომ გადაუარა, ფლაშს შეუყვარდა მისტერ ჰარტმანის ძაღლი, რომელმაც მას შვილი შესძინა. ახლა, ამდენი წლის ღუმილის შემდეგ, იმავე საყვირის ხმამ ფლორენციის ვიწრო ქუჩებშიც ჩაიმკუხარა, უფრო მბრძანებლური, უფრო ბობოქარი გახელებით. ახლა ფლაშმა განიცადა ის, რასაც კაცი ვერასოდეს განიცდის. — სიყვარული წმინდა, სიყვარული, რომელსაც არ ახლავს სირცხვილი, არ სდევს სინდისის ქენჯნა, რომელიც ახლა რომ აქ არის, მერე სხვაგანაა, ისე, როგორც ფუტკარი — ჯერ ერთ ყვავილს რომ დააფრინდება და მერე მეორეზე გადაინაცვლებს. დღეს ეს ყვავილი ვარდია, ხვალ კი — შროშანი, ახლა ხრიოკზე ამოსული ველური თავცაცხლაა, მერე — ორანჟერეაში გაზრდილი, გაფაშფაშებული, გასაოცარი ორქიდეა. ასე დაუდევრად, ასე განურჩევლად ეხვეოდა ფლაში ქუჩის შესახვევში ხალებიან სპანიელს, ზოლებიან თუ მოყვითალო ფერის ძაღლს, სულაც არ დაგიდევდათ, რომელს. ყველა ერთი იყო მისთვის. საყვირის ხმას ადევნებოდა: — საიდანაც ქარი ამ ხმას მოიტანდა და საითაც წაიღებდა, ისიც იქითკენ მიიჩქაროდა. სიყვარული იყო ყველაფერი. თვითკმარი იყო სიყვარული. არც არავინ ჰყვედრიდა ფლაშს თავისი ცუდლუტობის გამო. მისტერ ბრაუნინგი უბრალოდ ჩაიცინებდა: „ნამდვილად სამარცხვინო საქციელია ამისთანა პატივსაცემი ძაღლისთვის“, — როდესაც ფლაში ნაშუალამევს ან სულაც მეორე დილასდა მობრუნდებოდა სახლში. მისის ბრაუნინგიც იცინოდა ხოლმე, ფლაში რომ საწოლი ოთახის იატაკზე მიეგდებოდა და მკვდარივით დაიძინებდა მარმარილოს ფილების მოზაიკით გამოყვანილ გვიდის საგვარეულო ღერბზე.

ჰო, Casa Guidi-ს ოთახებში სრული სიშიშველე იყო. ფლაშის განდევნილობის და ტყვეობისდროინდელი ოთახის შემოსილი ავეჯი ჩაბარდა წარსულს. აქ საწოლი საწოლი იყო, პირსაბანი — პირსაბანი. ყველა საგანი იყო ის, რაც იყო და სხვა არაფერი. სასტუმრო ოთახში რამდენამე ძველი, ებანოზის ხის ჩუქურთმიანი სკამი გაბნეულიყო. ბუხრის თავზე სარკე ეკიდა, რომლის ჩარჩოზე ამოზრდილ ორ კუბიდოსსაც ხელში სანთლები ეპყრა. მისის ბრაუნინგმაც თვითონვე მოიშორა თავისი ინდური შალეები. მას ახლა თავზე თხელი, მხიარული ფერის ჩაჩი ეხურა, რომელიც მის ქმარს მოსწონდა. თმის ვარცხნილობაც ახლებური ჰქონდა. საღამოს, როცა მზე ჩავიდოდა და შტორებს ასწევდნენ, იგი აივანზე დასეირნობდა მუსლინის თეთრი კაბით, უყვარდა იქ ჯდომა და ქუჩაში მოსიარულე ხალხისთვის თვალყურის დევნება, მათი სმენა და ცქერა.

ბრაუნინგები დიდი ხნის ჩასულები არ იყვნენ ფლორენციაში, როცა ერთ ღამეს ქუჩიდან ისეთი ყვირილი და ნაბიჯების ბრაგაბრუვი შემოესმათ, რომ მაშინვე აივანზე გაცივიდნენ იმის გასაგებად, რა ხდება, რა ამბავიაო. ხალხის ვეებერთელა ტალღა ბობოქრობდა ქვევით. მოჰქონდათ დროშები, ყვიროდნენ, მღეროდნენ. ყველა ფანჯარაში თავები გამოეყოთ, ყველა აივანზე გამოფენილიყვნენ. ფანჯრებიდან ყვავილებსა და დაფნის ფოთლებს აყრიდნენ თავზე ქუჩაში მიმავალს. და ქუჩაში მიმავალი — ზეიმურად განწყობილი მამაკაცი-

ბი და მხიარული ახალგაზრდა ქალები — კოცნიდნენ ერთმანეთს და ხელში ატაცებულ ბავშვებს მალლა, აივანზე გადმოძვარ ხალხისკენ სწევდნენ. მისტერ და მისის ბრაუნინგები გადაეყუდნენ მოაჯირს და მოჰყვნენ გაუთავებელ ტაშის ცემას. დროშები მოსდევდნენ დროშებს, მაშხალების შუქი დასთამაშებდათ ზედ. ერთ-ერთზე ეწერა „თაყისუფლება“, მეორეზე — „იტალიის ერთიანობა“, კიდევ სხვაზე და სხვაზე: „გახსოვდეთ წამებულნი“, „Viva Pio Nono!“ „Viva Leopoldo Secondo!“ სამსაათნახევარს მოედინებოდნენ დროშები, ისმოდა შეძახილები. და იდგნენ აივანზე ფეხმოუცვლელად მისის და მისტერ ბრაუნინგები, ენთით ირგვლივ ექვსი სანთელი და განუწყვეტლივ იქნევდნენ ხელებს. თავდაპირველად მათ შორის გაწოლილი და ღირეზე თათებშემოწყობილი ფლაშიც თავს არ ზოგავდა, რომ მასაც სხვებივით ეზეიმა. მაგრამ ბოლოს, — და ამისი დამალვა არც შეეძლო, — მას მოქნარება დააწყებინა. „ბოლოს და ბოლოს ფლაშია აღიარა, რომ, მისი აზრით, ზეიმი მეტიმეტად გაჭიანურდა“, შენიშნავდა მისის ბრაუნინგი. დაღლილობამ, ეჭვებმა და ყველაფრისადმი აგდებულმა დამოკიდებულებამ ერთად დარია ხელი. რისთვის ხდება ყველაფერი ეს? — ეკითხებოდა იგი თავის თავს. — ვინ ბრძანდება ეს დიდი ჰერცოგი და რა ასეთი დაპირება მისცა ამ ხალხს? რამ გადარია ყველა ერთიანად?... უნდა ითქვას, რომ ფლაში გაღიზიანებული იყო მისის ბრაუნინგის თავგადაკლული ხელების ქნევით იმ დროშების გაუთავებელი მსვლელობისას. გრძნობდა, რომ დიდი ჰერცოგის მიმართ ასეთი ალტაცების გამოხატვა როგორღაც გაზვიადებული იყო. მერე კი, ზუსტად მაშინ, თვით დიდმა ჰერცოგმა რომ ჩამოიარა, ფლაშია უცებ სადარბაზოსთან შეჩერებული პატარა ძაღლის არსებობა აღიქვა. და როცა მისის ბრაუნინგი წინანდელზე მომეტებულად მისცემოდა ალტაცებას, მან დრო იხელთა, აივნიდან შეუმჩნევლად დაეშვა ძირს და იქიდან მოცოცხა. დროშებისა და აღამიანების ტყეში მისდია ძუს, რომელიც სულ უფრო და უფრო შორს, — ფლორენციის გულისკენ მიისწრაფოდა. ახლა უკვე შორიდან მოდიოდა ყვირილის ხმები. ჩაცხრა და მიჩუმდა ხალხის ზარზეიმი. გაქრა მაშხალების შუქი. თითო-ორი ვარსკვლავილა ციმციმებდა არნოს ჭალებში, სანაპიროსთან, იქ, სადაც ფლაში, ტალახის გორახებზე მიგდებულ ძველი კალათის სიმყუდროვეში იწვა გატრუნული, ხალებიანი ძუ სპანიელის გვერდით. ასე, სიყვარულის განცხრომასა და თავდავიწყებას მიცემულები, იწვნენ ისინი, ვიდრე ცაზე მზე არ ამოიწვერა. ფლაში დილის ცხრა საათამდე არ დაბრუნებულა შინ. და მისის ბრაუნინგმა ერთობ ირონიული სალაში მიაგება, აქაოდა, — ისიც არ მოგავონდა, ჩემი ქორწინების წლისთავი რომაა დღესო. მაგრამ ქალბატონის შეტყობით ფლაში „მეტად ნასიამოვნები ჩანდა“. ეს მართლაც ასე იყო. ვიდრე ქალბატონს რაღაც გამოუცნობ კმაყოფილებას განაცდევინებდა ორმოცი ათასი კაცის ფეხის ხმა, დიდი ჰერცოგის დაპირებანი და დროშათა ქარში შრიალი, ფლაშია სადარბაზო კართან შეჩერებულ პატარა ძაღლთან არშიყობა არჩია.

ის ხომ ეჭვს ვარეშეა, რომ თაყიანთი ძიებისას მისის ბრაუნინგი და ფლაში სრულიად განსხვავებულ აღმოჩენამდე მიდიოდნენ. ქალმა დიდ ჰერცოგს მიაკვლია, ძაღლმა—ხალებიან სპანიელს. და მაინც ის ძაფი, რომელიც მათ შორის იყო გაბმული, ისევ და ისევ მჭიდროდ კრავდა მათ ერთობას. ის

1. გაუმარჯოს ბიუს მეცხრეს! გაუმარჯოს ლეობოლდ მეორეს! (იტალ.).

იყო ფლაშია უკუაგლო ყოველგვარი „უნდა“ და ლაღად დანაწარმოებდა კას-
ჩინის ბაღების ზურმუხტისფერ ბალახში, სადაც მეწამულად და ოქროსფრად
ფრთხილებდნენ ხოხბები, რომ უეცრად, თითქოს ძეწკვით მოქაჩესო, რაღაცამ
შეაჩერა და უკანა ფეხებზე დასვა. თავდაპირველად ეს „რაღაც“ სხვა არაფერი
იყო, თუ არა უბრალო მინიშნება: ის, რომ მისის ბრაუნინგმა ნემსი აიღო
ხელში. ამისი დანახვა როგორღაც ეხამუშა ფლაშს: — კერვა არაფერი ქაღალ-
ტონისთვის ჩვეული საქმე. მერე დაინახა, რომ უილსონმა საწოლს ადგილი
მოუნაცვლა და კამოდის უჯრა გამოსწია, შიგ თეთრეული ჩააღაგა: წამოსწევდა
ფლაში თავს იატაკის ფილებიდან და დაკვირვებით ზვერავდა და აყურადებდა
ყველაფერს. ნუთუ კიდეც რაღაც უნდა მომხდარიყო? აბა, ჩემოდნების გა-
მოტანის და ბარგის ჩალაგების რაიმე ნიშნები ხომ არ არისო, კიდეც გაქცევა
[ხომ არ მზადდებაო, — მაგრამ რას უნდა გაქცეოდნენ და სად? აქ საშიში არა-
ფერიაო, — არწმუნებდა იგი მისის ბრაუნინგს. — არც ერთ ჩვენგანს არ უნ-
და აწუხებდეს იმის მოლოდინი, რომ აგერ ახლა გამოჩნდება მისტერ ტეი-
ლორი, ანდა ყავისფერი ქალაღლის პაკეტით ძაღლის თავსა და თათებს გამო-
აგზავნისო. და მაინც ფლაში ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა. ცვლილებების
მაუწყებელი ნიშნები, მისი შეტყობით, გაქცევის მომასწავებელი სულაც არ
იყო, ისინი რაღაცის იდუმალ მოლოდინს უფრო წააგავდნენ. როდესაც ფლაში
თვალს ადევნებდა თავის დაბალ სავარძელში მჯდომ მისის ბრაუნინგს, თუ
როგორ მშვიდად, როგორ უჩუმრად და როგორი გულმოდგინებით კერავდა იგი,
გული უგრძობდა, რომ უთუოდ უნდა მოსულიყო რაღაცა, გარდუვლად მო-
სასვლელი და შიშის მომგვრელი. კვირა კვირას მისდევდა და მისის ბრაუ-
ნინგს კი სახლიდან თითქმის აღარ გაუდგამს ფეხი. ისე ჩანდა, რომ იქ მჯდომი
ქალბატონი რაღაც დიდი მოვლენის მოლოდინში იყო. ნუთუ კვლავ იმ ნაძი-
რალა ტეილორის მსგავს ვინმეს უნდა შეხვედროდა და მისი დარტყმისათვის
შეეშვირა თავი ისე, რომ მოსარჩლე არ ჰყოლოდა? ამის უბრალო გაფიქრე-
ბაზეც კი ფლაშს ტანში სცრიდა. არა, გაქცევა ნამდვილად არ ჰქონდა განზ-
რახული მის ქალბატონს. ყუთები არ შეუკრავთ. არავითარი ნიშანი იმისა, რომ
ვინმე წასვლას აპირებდეს. უფრო იმისი ნიშნებია, რომ ვიღაც უნდა მოვი-
დეს... ეჭვიანი მღელვარებით შეპყრობილი ფლაში გამომცდელი თვალით ამო-
წმებდა ყველა ახალმოსულს. მომსვლელი კი ბევრი იყო — მის ბლავდენი,
მისტერ ლენდორი, პეტი ჰოზმერი, მისტერ ლიტონი, — ბევრი ლედი და ჯენ-
ტლმენი მოდიოდა ახლა Casa Guidi-ში. მისის ბრაუნინგი კი ამ დღიდან იმ
დღემდე ჩვეულებრივ იჯდა სავარძელში და თავის საკერავს კერავდა.

მერე ერთ დღეს, მარტის დასაწყისში, მისის ბრაუნინგი სასტუმრო ოთახ-
ში სულ არ გამოჩენილა. შემოდიოდნენ და გადიოდნენ ვიღაც უცხოები, შე-
მოდიოდა და გადიოდა მისტერ ბრაუნინგი, შემოდიოდა და გადიოდა უილსო-
ნი. ყველა ისეთი დაბნეული და შეწუხებული ჩანდა, რომ ფლაში უნებლიეთ
დივანქვეშ შეიძალა. არბოდნენ და ჩამორბოდნენ კიბეზე. ჩურჩულით ეხმაუ-
რებოდნენ ერთმანეთს ვიღაცების უცნობი, მოგუდული ხმები. მაღლა სართუ-
ლის საწოლ ოთახში არ წყდებოდა ფეხის ხმა. ფლაში სულ უფრო და უფრო
ღრმად შეჩოჩდა დივნის საფარქვეშ. მთელი არსებით, ყოველი ნერვით შეიგ-
რძნობდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ცვლილება ხდებოდა, მნიშვნელოვანი
და საშიშელი. ასე აყურადებდა ის წლების წინათ კიბეზე ამომავალი კაპიშო-
ნიანი კაცის ფეხის ხმას, როცა ბოლოს და ბოლოს კარი გაიღო და მის ბა-

რეტმა შესძახა: „მისტერ ბრაუნინგი!“ ახლა ვინლა მოდიოდა, რომელი კაპიტანიანი კაცი?.. მოსაღამოვდა და ფლაში არავის გახსენებია, არავინ შემოსულა სასტუმრო ოთახში. იწვა იატაკზე უსმელ-უჭმელი. ათასი ძუ სპანიელიც რომ მომდგარიყო სახლის კარებთან და მიმოეყნოსა იქაურობა, ფლაში იმათკენ ნაბიჯის გადამდგმელი არ იყო ახლა, რადგან ყოველ საათსა და ყოველ წუთს უფრო და უფრო უძლიერდებოდა იმისა განცდა, რომ რაღაცეც ვერაფერად გარედან სახლში შემოღწევას. ფორებს ქვევიდან იჭყიტებდა მხარხმარე-ბიანი კუბიდონები, აბანოზის ხის სკამები და სკივრები მიწვეულ-მოწვეული ჩანდა. თვითონ ისიც თითქოს კედლისკენ მიეგდოთ, რომ ადგილი გაენთავისუფლებინა რაღაცისთვის, რასაც იქ ჯერჯერობით ვერ ხედავდა. ერთხელ მისტერ ბრაუნინგი დაინახა, მაგრამ ეს ძველი მისტერ ბრაუნინგი არ იყო. ერთხელაც უილსონი დალანდა. ისიც შეცვლილიყო. თვალები ორივეს მოჭიქულავით პქონდა, თითქოს მზერა მიეშტერებინათ რაღაცისთვის, რასაც იგი, მათგან განსხვავებით, მხედველობით კი არა, გრძნობით აღიქვამდა.

ბოლოს შემოირბინა უილსონმა, ერთიანად სახეალეწილმა და ტანსაცმელ-მოწყობულმა, მაგრამ სახეგაბრწყინებულმა, ხელში აიტაცა ფლაში და ძალდა სართულისკენ გააქანა. შეიყვანა საწოლ ოთახში. ოთახის ბინდბუნდში ჭყავილი ისმოდა, ბალიშზე რაღაც ფათქუნობდა. ცოცხალი არსება უნდა ყოფილიყო. ფლაშიმა იგრძნო, რომ ყველას დახმარების გარეშე, სადარბაზოს კარის გაუღებლად მისის ბრაუნინგი თვითონ, თავისთავად იქცა ორად. ის საშინელი არსება კნაოდა და ფართხალეზდა მის გვერდით. ბრაზისაგან და ეჭვისგან ატანილი, დაუფარავი ზიზღით გახელებული, ფლაში გაუსხლტა ხელიდან უილსონს და ქვედა სართულისკენ დაეშვა. უილსონმა და მისის ბრაუნინგმა უკან მოუხმეს, ალერსით ცდილობდნენ მისი გულის მოგებას, სახუსნავს სთავაზობდნენ, მაგრამ არაფერმა გასჭრა. ფლაში გაეცალა იმ აუტანელ სანახაობას, იმ საზიზღარ არსებას და იქ შეძვრა და შეიყუჟა, სადაც ბნელი კუთხე და მოფარებული ადგილი ნახა დივანქვეშ. „მთელი ორი კვირა ღრმა მელანქოლიას ეძლეოდა და გულგრილი იყო მას მიმართ გამოჩენილი ნებისმიერი ყურადღებისადმი“, — იძულებული გამხდარა შეენიშნა მისის ბრაუნინგს, რომელსაც ამდენი სხვა საღარდებელი ესია ირგვლავ. და თუ ჩვენ აღამიანთა საათით აღრიცხულ წუთებს და საათებს ძალღის გონების საზომით გავზომავთ, ვნახავთ, რომ წუთები საათის ტოლად გაფუკდებიან და საათები დღეებს გაუტოლდებიან. ამ ანგარიშით შეიძლება გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ „ფლაშის ღრმა მელანქოლიამ“ ექვს თვეს გასტანა. ბევრ კაცსა და ქალს უფრო ნაკლებ ღროშიც მოუნელებია თავისი სიძულვილი თუ სიყვარული.

მაგრამ ფლაში ის გამოუცდელი და გულუბრყვილო ძალღი აღარ იყო, უიმპოულ სტრიტიდან რომ გვახსოვს. ცხოვრებამ ჭკუა ასწავლა მას. ერთხელ ხომ უილსონისგან ცემა იწვნია. ერთხელაც იძულებული შეიქნა დაძველებული ნამცხვრის ხმელი ლუკმები ეყლაპა, მაშინ როდესაც, თუ ინებებდა, ნამცხვრის მირთმევა მანამ შეეძლო, სანამ იგი ახალთახალი იყო. ფიციც ხომ პქონდა დადებული, ჰყვარებოდა და არ ეკბინა. ახლა, ვიდრე დივანქვეშ იწვა, ყველაფერი ეს მის გონებაში იდღვიბებოდა. ბოლოს გამოვიდა განდგომილობიდან. და ამჯერადაც დაჯილდოვდა. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ თავდაპირველად ეს ჯილდო სრულიად უმნიშვნელო იყო და შესაძლებელია უსიამოვნოც კი: ფლაშს ზურგზე შეასვეს ბაია და აქეთ-იქით ტარება დააწყე-

ბინეს, ისე რომ, პატარა მხედარი განუწყვეტლივ ყურებზე ექაჩებოდა. მაგრამ ფლაში ყურების მოქაჩვაზე თავს მხოლოდ იმისთვის აბრუნებდა, იმ პაწია, პუტკუნა ფეხებისთვის რომ ეკოცნა და მთელ თავის მოვალეობას ისეთი კეთილგანწყობით ასრულებდა, რომ სამი თვეც არ გასულა და იმ სუსტმა, უმწყო, კნავილა და ჭყიპინა ღლაპმა, მისის ბრაუნინგის თქმით, ყველა სხვას ერთობლივ ფლაში ამჯობინა. და მერე, თავისდა გასაკვირად, ფლაშიმაც დადგოაინტი, რომ თვითონაც არ ჩამორჩებოდა ბაიას ამ სიყვარულში. მათ შორის ხომ წამოვიდვილად იყო რაღაც საერთო. განა ბაია ბევრი თავისი გამოვლინებით ფლაშს არ წააგავდა? განა მათ მსგავსი შეხედულებები და ერთნაირი გემოვნება არ ჰქონდათ? აი, მაგალითად, რაც პეიზაჟს შეეხებოდა: ფლაშისთვის ყველა პეიზაჟი ერთნაირად მოსაწყენი რამ იყო, — მთელი ამ წლების განმავლობაში ვერაფრით ვერ შეაჩვია თავი მთების ყურებას. როცა ვალიმბროზაში წაიყვანეს, იქაური ტყეების დიდებულებამ მხოლოდ გააბეზრა და მეტი არაფერი. და აი, როცა ბაია სულ რამდენიმე თვისა იყო, ისინი სამგზავრო ეტლით ისევ დაადგნენ შორეულ გზას. ბაია ძიძას ეწვა კალთაში. ფლაში მისის ბრაუნინგს ეჯდა მუხლებზე. ეტლი მიდიოდა და მიდიოდა, რის ვაივაგლახით სძლევდა აპენინების სიმაღლეებს. მისის ბრაუნინგს ალტაცებისაგან თავგზა აბნეოდა, ვერაფრით ვერ მოსწყვეტოდა ფანჯარას. მთელ ინგლისურ ენაში ვერ მოეძებნა საკმარისი სიტყვები იმის გამოსახატავად, რასაც განიცდიდა. „ნატიფი, თითქოს სიზმარეული პეიზაჟი აპენინებისა, საოცარი მრავალფეროვნება და მრავალსახეობა, ფორმათა უცარი გადასვლები, თითოეული მთის მკვეთრი ინდივიდუალობა, წაბლის ტყეები, — საკუთარი სიმძიმით დადრეკილები ღრანტეებში რომ ეშვებიან, კლდეები — გაპობილები და ღვარცოფებისგან დაღრღნილები, და მთები, მთები, მთები, ერთიმეორის თავზე აყუდებულები, თითქოს თვითონვე რომ ეზიდებიან თავიანთ დიდებულებას მაღლა და ამ დაძაბვისაგან ფერი და იერი რომ ეცვლებათ“. აპენინების სილამაზე მისის ბრაუნინგის თავში ერთბაშად იმდენ სიტყვას ბადებდა, რომ ისინი ამ ჭყლეტაში ერთმანეთს სიცოცხლეს ასაღმებდნენ. მაგრამ ბაია და ფლაში არც მთების სილამაზით აღმაფრენას განიცდიდნენ და არც სიტყვათა უკმარისობის გრძნობას. იყვნენ თავისთვის გაყურებულები. ფლაშიმაც საერთოდ „თავი მოარიდა ფანჯარას და მთელი ეს სანახაობა ყურადღების ღირსად არ ჩათვალა... ის ქედმაღლური ზიზღით შეჰყურებს ხეებს, მთებს და ასეთ რამეებს“, — ასკენიდა მისის ბრაუნინგი. ეტლი ისევ მირაზრახებდა. ფლაში ძილს მისცემოდა. ეძინა ბაიასაც. ბოლოს ფანჯარაში სინათლეებმა და სახლებმა გაიელვეს, გზად მიმავალი ქალები და კაცებიც გამოჩნდნენ. ეტლი სოფელში შევიდა. ფლაში უცებ ყურადღებად იქცა. „ისეთი გულმოდგინებით უმზერდა ყველაფერს, თვალები ღამის ბუდეებიდან გადმოუცვივდა. ჯერ აღმოსავლეთს გახედა, მერე დასავლეთს, თითქოს რაღაცის ჩანიშვნას აპირებს ან უკვე ინიშნავსო“. მისი აფორიაქება მხოლოდ იმ სანახაობას შეეძლო, რომელშიც ადამიანები მონაწილეობდნენ. რაც შეეხება სილამაზეს, იგი ალბათ ჯერ მწვანე ან იისფერ ფხვნილად უნდა გექციათ და მერე რაღაც ციური სასხურებლით იმ ბალნიან ხვრელებში შეგესხურებიან, ფლაშის ნესტოებს უკან რომ ჩაუყვებოდნენ, და აი მაშინ თუ იმოქმედებდა მის შეგრძნებებზე. ოღონდ იმ შემთხვევაშიც მისი განცდა სიტყვებად კი არ გადმოედინებოდა, მდუმარე ექსტაზში ჰპოვებდა გამოხატულებას. დიახ, იქ, სადაც, მისის ბრაუნინგი თვალთ

ხედავდა, ფლაში ყნოსვით აღიქვამდა. იქ, სადაც მისის ბრაუნინგი თავის ფიქრს ქაღალდს ანდობდა, ფლაში სუნის მეშვეობით ეძიებდა.

აქ კი ძალაუნებურად უნდა შეჩერდეს ბიოგრაფი. როცა ორი და სამი ათასი სიტყვა არ კმარა იმის გადმოსაცემად, რასაც თვალთ ვხედავთ, — და მისის ბრაუნინგმა ხომ დაუფარავად გვაუწყა, რომ აპენინებში აგრძნობინეს მის კალამს უმწეობა: „მე არ შემიძლია მათზე რაიმე წარმართვას შეგიქმნათ“, — აქი აღიარა მან, — ამ დროს განა საკვირველი ბრუნვა, მისი ორნახევარ სიტყვას ვკმარობთ იმის გადმოსაცემად, რასაც ყნოსვით აღვიქვამთ. ადამიანის ცხვირი თითქოს არაფრის მაქნისი იყოს. მსოფლიოს უდიდესი პოეტები არავითარ სუნს არ შეიგრძნობენ, გარდა ერთის მხრივ — ვარდისა და მეორეს მხრივ — ნეხვისა. სუნთა უსასრულო ნაირსახეობა, რომელიც მათ შორის ძევს, აღუნუსხველი რჩება. და მაინც ფლაშის საცხოვრისი უმეტესწილად მრავალნაირი სუნის სამყარო იყო. სიყვარული ძირითადად სუნისგან შედგებოდა, ასევე — ფორმა და ფერიც. სუნი იყო მუსიკა, არქიტექტურა, სამართალი, პოლიტიკა და მეცნიერება. რელიგიაც სუნი იყო მისთვის. ჩვენ კი იმის ძალაც არ შეგვწევს, ყოველდღიურ დაბეგვილ კატლეტთან და ბისკვიტთან დაკავშირებული მისი უმარტივესი შეგრძნება აღვწეროთ. თვით მისტერ სუნბერნიც ვერ გეტყოდათ, თუ რას ნიშნავდა ფლაშისთვის იენისის ცხელ დღეს უიშპიულ სტრიტის სუნს დაწაფება. ხოლო რაც შეეხება ძუ სპანიელის სუნს, შერწყმულს მაშხალების, დაფნის, საკმევლის, დროშების, თაფლის სანთლების და ნაფტალინში ნადები ატლასის ფეხსაცმლის ქუსლით გასრესილი ვარდის ფურცლის სუნთან, ამის გადმოცემას შექსპირი თუ მოახერხებდა, „ანტონიოს და კლეოპატრას“ წერისას რომ შეყოვნებულიყო და... მაგრამ შექსპირი არ შეყოვნებულა. ვალიარებთ რა ჩვენს უუნარიობას, შეგვიძლია ის აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ ფლაშისთვის იტალია მისი ცხოვრების ამ ყველაზე სისხლსავსე, ყველაზე თავისუფალ, ყველაზე ბედნიერ წლებში ძირითადად სუნთა ნაირსახეობას ერქვა. უნდა ვიფიქროთ, რომ სიყვარულით გახელება თანდათან დაცხრა, სუნთა მიმზიდველობა კი დარჩა. ახლა, როცა ოჯახი ისევ Casa Guidi-ში დაფუძნდა, ყველამ თავისი საქმე გაიჩინა. ერთ ოთახში რომ მისტერ ბრაუნინგი იჯდა და წერდა ყოველდღიური გულმოდგინებით, ასეთივე ყოველდღიური გულმოდგინებით იჯდა და წერდა მეორე ოთახში მისის ბრაუნინგი. ბაია საბავშვო ოთახში თამაშობდა. ფლაში კი ფლორენციის ქუჩებში სახეტიალოდ გადიოდა, რომ სუნით ტკბობას მისცემოდა. ყნოსვა-ყნოსვით მიიკვლევდა გზას ქალაქის მთავარსა თუ განაპირა ქუჩებში, მოედნებსა თუ ვიწრო შესახვევებში. ყნოსვით იღებდა გემს სუნიდან სუნამდე. ზოგი სუნი ხეშეში იყო, ზოგი — ტკიცინა, ზოგი — მუქი და ზოგიც ოქროსფერი. აღიოდა, ჩაიოდა, გამოდიოდა და შედიოდა, გამოდიოდა და შედიოდა ყველგან, სადაც კი სპილენძს ჭედენ და პურს აცხობენ, სადაც ქალები სხედან და თმას ივარცხნიან, სადაც მთელი ტროტუარი ერთიმეორეზე აკოვოლავებულ ჩიტის გალიებს უკავიათ, სადაც ღვინო იღვრება და მუქწითელ ლაქებად აჩნდება ქვაფენილს, სადაც მაუდს თელავენ, სადაც ცხენის აკაზმულობის, ნივრის და ტყავის სუნითაა ყველაფერი გაბჭორებული, სადაც ვაზის ფოთლები თრთიან, სადაც კაცები სხედან, სვამენ, იპურჭყებებიან და კამათელს აგორებენ. ყველგან შერბოდა და გამორბოდა მიწისკენ ცხვირწაყოფილი, საგანთა არსის შემწოვი და შემყნოსველი ანდა მალლა ცხვირაშვერილი, ჰაერში მდგარი სურნელით ნეს-

ტოებათრთოლებული მიეგდებოდა მზის გულზე და ეძინა. კო-კო-კო, რა სუნს გამოახრჩოლებს ეს მზე ქვებიდან!.. მერე ჩრდილის გვირაბს შეეფარებოდა სადმე. უკ, რა მწუთხე სუნს გამოაცემინებს ჩრდილი ამ ქვებსა!.. მწიფე ყურძნის მტევნებს ერთიანად სანსლავდა მათი იისფერი სუნის ეშხით. წაე-ტანებოდა, გაღეჭავდა და იქვე გადმოაფურთხებდა იტალიელი დიასახლისის ხელით აიენიდან მოსროლილ თხის ხორცისა და მაკარონის მწკნევს, რომელი თხის ხორცი და მაკარონიც რალაც მჭაზე და მეწამულ-სტეკნებად ესახებოდა. საკმევლის ტკბილსურნელებით დაბნედილი მისუნსულეზდა ჩაბნე-ლებული ტაძრის იისფერ ლაბირანთებში. თითქოს ყნოსვით გემოს უსინჯავ-სო, ცდილობდა აესვლია სინათლის ოქროვანება, სარკმლებიდან აკლდამებზე რომ გადმოღერილიყო. შეხების გრძნობაც არანაკლებ ფაქიზი ჰქონდა. იგი იცნობდა ფლორენციას მისი მარმარის სიგლუვითაც და ხრეშისა და რიყე-ფენილის ოღრინოღროთიც. ქვაში ნაკვეთ ხელის მტევნებსა და ფეხის ტერ-ფებს, ძველ ყაიდაზე ნაკვეცებად დაშეებულ სამოსს ან ენის ასმა ხედებოდათ მისგან, ან მოცახცახე ცხვირის შეხება. განუზომლად მგრძნობიარე ფეხისგუ-ლებით ზუსტად იღებდა ანაბეჭდებს ამპარტავანი ლათინური წარწერებისას. მოკლედ, ფლაში ისე იცნობდა ფლორენციას, როგორც კაციშვილს არასოდეს სცნობია იგი. როგორც თვით რასკინს არა სცნობია და თვით ქალბატონ ჯორჯ ელიოტსაც. ყოველივე იცოდა ისე, როგორც მუნჯებმა იციან მხოლოდ. და მის უამრავ შეგრძნებათაგან არც ერთს არასდროს უწვენევია სიტყვით გაყალ-ბება.

თუმცა ბიოგრაფისათვის სასიამოვნო იქნებოდა დაესკვნა, რომ შუა ხანს მიღწეული ფლაშის ცხოვრება ენით აუწერელ განცხრომათა მორევში ტრი-ალი იყო. ეშტკიცებინა, რომ ვიდრე ბაია ახალახალ სიტყვების აკენკვით დღითი დღე შორდებოდა შეგრძნებათა სამყაროს, ამ დროს ფლაშს ბედის განჩინებით მარადიულ სამოთხეში ელო ბინა, — იქ, სადაც არსი ყველაზე წმინდა სახით არის გამელაუნებული და მოვლენის შიშველი სული უშუალოდ ეხება და აღაგზნებს ასევე შიშველ ნერვს. მაგრამ თქმა ამისა არ იქნებოდა სი-მართლე. ფლაში ამდაგვარ სამოთხეში როდი ცხოვრობდა. ასეთნაირი არსე-ბობა წილხვედრია მხოლოდ იმ სულის, ვარსკვლავიდან ვარსკვლამდე რომ დანავარდობს, ან იმ ჩიტისა, რომელიც უუშორეს პოლარულ თოვლებს და ტროპიკულ ტყეებს ევლება თავზე და არასოდეს გაჰკარებია იმ არემარეს, სადაც ადამიანთა სახლები და მათი კლაკნილი ბოლი მოჩანს თვალსაწიერ-ზე, — რადგან მხოლოდ ასეთებს ძალუძთ ეზიარონ შეუზღუდავ თავისუფლე-ბას და განიცადონ მთელი სისავსე ნეტარებისა. მაგრამ ფლაში ხომ ადამიანთა მუხლებზე იყო ნაჯდომი, მას ხომ ადამიანთა ხმები ჰქონდა ნასმენი, ადამიან-თა ვნებებით ჰქონდა ხორცი ნაკვეში, გამოეცადა ეჭვის, ბრაზის და სასოწარკ-ვეთის ყველა ხარისხი. და ახლა, ზაფხულში რწყილებისაგან ჰქონდა სიცოც-ხლე გამწარებული. ვაგლახ, რომ ბოროტი ირონიით ყურძნის დამამწიფებელ მზეს რწყილებიც გამოჰყავდა სამხეოზე. „...არა მგონია, სავონაროლას წამე-ბა ფლორენციაში“, — წერდა მისის ბრაუნინგი, — „რითიმე იმ წამებაზე უა-რესი ყოფილიყოს, ფლაშმა რომ ამ ზაფხულს გამოიარა“. ფლორენციის სახ-ლების ყოველ კუთხე-კუნჭულიდან გამოსტოდნენ რწყილები. საფანტივით მოცვიოდნენ ძველი ქვის კედლების ყოველი ბზარიდან, შპალერის ყოველი ნა-კეციდან, ყველა ქუდიდან, მოსასხამიდან, ყველა საბნიდან, იბუდებდნენ ფლა-

მის ბეწეში და კბენა-კბენით მისი ქურქის უღრანისაკენ მიიკვლევდნენ გზას. ფლაში ტყავს იფხოჭნიდა და ბეწეს იბღვნიდა. ჯანმრთელობა შეერყა, შეიბერტყა, პირქუში და აღვზნებული გახდა. მის მიტფორდთან აფრინეს წერილი: რა წამალი არსებობს რწყილების წინააღმდეგო, — სწერდა შემფოთებული მისის ბრაუნინგი. მის მიტფორდმა, რომელიც ისევ თავის სათბურში უჯდა მაგიდას და ისევ ტრაგედიას თხზავდა, კალამი გვერდზე გადადო და ძველ რეცეპტებს ჩახედა, — აბა რას ვხმარობდი ფლაშის მამის თუ პაპისთვის რწყილების მოსაშორებლადო! მაგრამ რედიინგის რწყილებს უბრალო წამლის ერთი ფიორიც რომ მუსრს ავლებდა, იმ ფზვნილის მთელი ქვინტალიც ვერაფერს დააკლებდა ფლორენციის ოტროველა რწყილებს, — დიდი-დიდი, ცხინკვება ასტეხოდათ მისგან. სასოწარკვეთილი ბრაუნინგები დაემზვნენ მუხლებზე, წყლიანი ვედრო მოიდგეს გვერდით და ყოველი ღონე იხმარეს, რომ საპნითა და ჯაგრისით გამოედევნათ რწყილები ფლაშის ქურქიდან. მაგრამ ამაოდ. ერთ დღეს ფლაშთან ერთად სასეირნოდ გამოსულმა მისტერ ბრაუნინგმა შეამჩნია, რომ გამვლელები ძაღლისკენ თითხ იშვერდნენ. ვიდაც კაცმა თითი ცხვირთან მიიტანა და ჩაილაპარაკა: *rognia!* ეს უკვე ის ღროა, როდესაც „რობერტს ისევე უყვრს ფლაში, როგორც მე“. ამიტომ წარმოსადგენია, რა დღეში უნდა ჩავარდნილიყო თავის ოთხფეხა მეგობართან მოსეირნე მისტერ ბრაუნინგი, ასეთი დამლა რომ მიართყეს მის მეგობარს. „ჩემი ქმარი ამას უკვე ვეღარ გადაიტანსო“, — წერდა მისის ბრაუნინგი. ერთადერთი საშუალება არსებობდა ხსნისა და იგი ისეთივე უღმობელი იყო, როგორც თვით ავადმყოფობა, რამეთუ რამდენადაც არ უნდა გადემოკრატებულიყო ფლაში და რამდენად გულგრილი არ უნდა გამხდარიყო წოდებისადმი, იგი მაინც იმად რჩებოდა, რაც ფილიპ სიდნიმ უწოდა მის ჯიშს, — დაბადებით ჯენტლმენად. და თავისი ჯიშის გამორჩეულობა ქურქად ქქონდა ზურგზე მოსხმული. ეს ქურქი მისთვის იმასვე ნიშნავდა, რასაც საგვარეულო ღერბით დამშვენებული ოქროს საათი ნიშნავს გაღარიბებული ესკვაიერისთვის, რომელსაც ვრცელი მამულები და მთელი ავლადიდება ამ ერთ პატარა ოქროს რგოლზე დასდგომია. და სწორედ ამ ქურქის გაწირვას აპირებდა ახლა მისტერ ბრაუნინგი. მან თავისთან მოიხმო ფლაში, „აიღო ხელში მაკრატელი, დაუწყო კრეჭა და იმდენი კრიჭა, ვიდრე ლომს არ დაამსგავსა“.

მისტერ ბრაუნინგი რომ მაკრატელს აკრიჭინებდა, კოკერსპანიელობის დამადასტურებელი ნიშნები იატაკზე რომ ცვიოდა და სრულიად განსხვავებული ცხოველის პაროდია რომ იკვეთებოდა, ფლაში საკუთარ თვალში ჩანდა, როგორც დაკოდილი, დამცრობილი და სირცხვილნაჭამი. „რა ვარ ახლა მე?“ — ფიქრობდა იგი სარკეში თვალჩამტერებული. „არარაობა!“ პასუხობდა სარკე, სარკეთა უღმობელი პირუთვნელობით. დიახ, ის არარაობად იქცა. კოკერ-სპანიელისა უკვე აღარაფერი ეცხო. მაგრამ როცა ასე ჩაცვიებით სინჯავდა თავის თავს, აწ უკვე ტიტველი და შეუგრაგნელი ყურები როგორღაც შეუტოკდა, თითქოს ჭეშმარიტებისა და სიცილის ძღვევამოსილმა სულეებმა რაღაც ჩასჩურჩულეს მათ. არაფრად ყოფნა იქნებ სულაც ყველაზე უპრიანი იყოს ამ დედამიწის ზურგზე?! ისევ სარკეში იხედება. აგერ მისი ფაფარი... თუნდაც იმ გაბღენძილი არსებების გაშარყება რომ იცისრო, რომლებსაც თავი რ ა ღ ა ც

1. მუნი (იტალ.).

აკონიათ, განა ცხოვრება ამისთვის არ ღირს? თუმცა რა დასკვნამდეც არ უნდა მისულიყო ფლაში, მთავარი მაინც ის გახლდათ, რომ რწყილებისგან განთავისუფლდა. შეარხია ფაფარი და ჩამომხმარი და გაძვალტყავებული ფეხები ააცეკვა. განწყობილება გამოუსწორდა. ეს იმას ჰგავდა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ლოგინიდან წამომდგარმა ულამაზესმა ქალმა სამუდამოდ დამახინჯებული სახის სარკეში დანახვისას ცეცხლი რომ წაუკბინოს მისი კაბებსა და ნელსაცხებლებს და სინარულისაგან სიცილი აიტყურო, — აქაა, აქაა, აღარასოდეს აღარ დამჭირდება სარკეში გამომცდელი თვალით ცქერა და აღარც შიში შემაწუხებს საყვარლის გაგულცივებისა თუ მეტოქე ქალის სილამაზისათ. ეს იმას ჰგავდა, ვინმე მღვდელმსახურმა, რომელმაც ოცი წელი გახამებულ საყელოსა და მაუდის სამოსის ტყვეობაში გაატარა, უცებ საყელო სანავკე ყუთში რომ მოისროლოს და წიგნის თაროდან ვოლტერის ტომი დაითრიოს. ასე დაკუნტრუშებდა ფლაში, ლომის პაროდიად გაკრეჭილი და რწყილებისგან თავისუფალი. „ფლაში ბრძენია“, — სწერდა მისის ბრაუნინგი თავის დას. იგი ალბათ იმ ბერძნულ ანდაზას გულისხმობდა, რომელიც ამბობს — ბედნიერებას ტანჯვით ჰპოვებო. მართლაც ნამდვილი ფილოსოფოსი ის არის, ვინც ქურქს შეელევა, ოღონდ რწყილებისგან განთავისუფლდეს.

მაგრამ ფლაშს დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია, რომ მისი ახლად შექმნილი ფილოსოფია კვლავ გამოცდის წინაშე დამდგარიყო. Casa Guidi-ში 1852 წლის ზაფხულს ისევ თან მოჰყვა რაღაც ძირეული გარდატეხის მარჯვებელი ნიშნები, უჩუმრად გაჩენილი და დაგროვილი, — იქნებოდა ეს უბრალოდ კამოდის უჯრის ხშირ-ხშირად გამოწევა თუ უყურადღებოდ დატოვებული, ყუთიდან გამოჩრილი ზონარი, რაც ძალღს ისევე ავისმომასწავებლად მიანდა, როგორც მწყემსს — საავდრო ღრუბლების გამოჩენა ან სახელმწიფო მოღვაწეს — ომის შესახებ დარხეული ხმები. კიდევ ერთი ცვლილება იყო მოსალოდნელი, კიდევ ერთი გამგზავრება. მერედა რა მოხდა! აჰა, სამგზავრო ზანდუკებიც გამოათრიეს და ღვედებით შეკრეს. გამოვიდა გადია ხელში აყვანილი ბაიათი. ცოლ-ქმარი ბრაუნინგებიც გამოჩნდნენ, სამგზავროდ გამოწყობილები. კარებთან ეტლი იდგა. ფილოსოფიურად განწყობილი ფლაში პოლში იცდიდა. თუ ისინი მზად იყვნენ, რატომ ისიც არ უნდა ყოფილიყო მზად? და როცა ყველანი მოთავსდნენ ეტლში, ერთი მსუბუქი კამარა და ფლაშიც შიგ იყო, მათ უკან მიდევნებული. სად მიემგზავრებოდნენ ამჯერად — რომში, ვენეციაში, პარიზში? ახლა მისთვის სულ ერთი იყო ყველა ქვეყანა. ყველა კაცი ძმა იყო მისი. მას უკვე გავლილი ჰქონდა ეს გაკვეთილი. მაგრამ როცა ბოლოს და ბოლოს ეტლის სიბნელიდან გამოაღწია, ერთბაშად მთელი თავისი ფილოსოფიის მოხმობა დასჭირდა — იგი ლონდონში ჩამოსულიყო.

მარჯვნივ და მარცხნივ მკაცრი თანამიმდევრობით ჩარიგებულიყვნენ სახლები აგურის გამზირებად. ფეხქვეშ იგრძნობოდა ცივი და მაგარი ქვაფენილი. ავერ გაიღო სპილენძისჩაქუჩიანი წითელი ხის სადარბაზო კარი და გამოვლევმანდა ქალბატონი იისფერი ხავერდის ხალუათი მანტიით. ყვავილებით აციმციმებული პაწია ქუდი უმშვენებდა თმას. ძვირფასი მანტიის კალთები ხელში აიკეცა და ქედმაღლური მხურით მიმოავლო თვალი ქუჩას, ვიდრე წაკუზული ლივრეიანი ლაქია ლანდოს საფეხურს დაუშვებდა დაბლა. მთელ უელბეკ სტრიტს — რადგან ეს სწორედ უელბეკ სტრიტი გახლდათ — წითელი სინათლის ზეიმური შუქი გადაჰფენოდა. მაგრამ ამ სინათლეს არ ჰქონდა იტალი-

ური სინათლის სიმკვეთრე და თვალისმოჭრელი ელვარება. ეს იყო მქრქალი სინათლე—მილიონობით ბორბლისა და ჩლიქისაგან დაყენებული მტკრით შემღვრული. ცალკეული ხმები, ხმაური, ზუზუნი ერთმანეთში შედღვებილიყო და გაბმულ გრუხუნად გადადიოდა ქალაქის თავზე. აფერ ჩაიარა დიდებულმა შოტლანდიურმა მწვევარმა, ძეწკვით რომ მიასვირნებდა ბაჟი. გამოჩნდა პოლიციელი, — ფართო, თანაბარი ნაბიჯით მომავალს ჩაემტვროც „ხარის თვალად“ წოდებულ ფარნის შუქს ხან აქეთ აფენდა და ხან იქით. უამრავი სამხარეულო სარდაფიდან ამოქროდა ნაირ-ნაირი სუნი ჩაშუშული, მოხრაკული, შებრაწული თუ კომბოსტოსთან ერთად მოთუშული საქონლის ხორცისა. ლივრეიანი ლაქია წერილს უშვებდა ქუჩის საფოსტო ყუთში.

მეტროპოლიის დიდებულებით მონუსხული ფლაში წამით შეყოვნდა კიბის საფეხურზე. შეყოვნდა უილსონიც, რა საცოდავად გამოიყურებოდა ყოველივე ამასთან შედარებით იტალიის ცივილიზაცია, მისი სასახლეებითა და რევოლუციებით, დიდი პერცოგებითა და მათი პირადი მცველებით! ჩავლილი პოლიციელის დანახვაზე უილსონმა ღმერთს მადლობა შესწირა, სინიორ რიგის ცოლი რომ არ გახდა. მერე ქუჩის კუთხეში მდგარი ტრაქტირიდან ეილაც პირქუში კაცი გამოვიდა, როგორღაც ბოროტად იყურებოდა. მისი დანახვა და ფლაშის სახლში შევარდნა ერთი იყო.

რამდენიმე კვირა ფლაში გამოკეტილი იყო უელბეკ სტრიტზე ავეჯით გაწყობილ დაქირავებული ბინის სასტუმრო ოთახში, რადგან გამოკეტვა ისევ აუცილებელი შეიქნა. ქალაქში მართლა მოდებულყო ქოლერა. და თუმცა მისი წყალობით „ჭილყვაების საბუდარაში“ რაღაც კი გაუკეთებიათ საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, მაგრამ არც იმდენი, რომ ძირეულად შეცვლილიყო რამე. ამიტომაც ძაღლებს ისევ იპარავდნენ და უიმპოულ სტრიტზე უძეწკვოდ სიარული მათთვის ისევ სახიფათო იყო. ფლაში, რა თქმა უნდა, გავიდა საზოგადოებაში. ხვდებოდა ძაღლებს ქუჩის საფოსტო ყუთთან თუ ტრაქტირის მიდამოებში. ისინი მიესალმებოდნენ მის დაბრუნებას მათთვის ჩვეული თავაზიანობით. თუ შევიძლიათ წარმოიდგინოთ ინგლისელი პერი, რომელმაც მთელი სიცოცხლე აღმოსავლეთში გაატარა და იქაურ მკვიდრთა ზნეც გადმოიღო (ეგ კი არადა, ჭორად იმასაც ამბობდნენ, მუსულმანობა მიუღია და ჩინელი მრეცხავი ქალისგან ვაჟიც შესძენიაო)—მაგრამ სამშობლოში დაბრუნებული, სასახლის კარზე კუთვნილი ადგილის დაჭერისას ძველმა მეგობრებმა ისე რომ მიიღეს, ვითომც ცხოვრებაში გზიდან სულაც არ გადაეხვიოს, და მალე ჩესტუორთშიც დაუწყეს მიპატიჟება, — თუმცა მის ცოლზე კრინტსაც არ სძრავდნენ — და უთქმელადაც ისიც აგრძნობინეს, ლოცვას ჩვენი ოჯახის წევრებთან ერთად დაესწრებო, — აი, ასეთი გულითადობით მიიღეს ფლაში თავიანთ წრეში უიმპოულ სტრიტის პოინტერებმა და სეტერებმა და თითქოს არც შეუმჩნევიათ, რა ყოფაში იყო მისი ქურქი. მაგრამ ლონდონის ძაღლებს შორის, ფლაშის შეტყობით, რაღაც ავადმყოფური სულისკვეთება სუფევდა. ყველას მისწვდა ხმა, რომ მისის კარლაილის ძაღლი ნერონი ძაღლა სართულის ფანჯრიდან გადმოხტა თვითმკვლელობის მიზნით. — ვერ გაუძლო ამ დაძაბულ ცხოვრებას, რაც ჩვენ როუში აქეთ ძაღლებსო — ამბობდნენ. ლონდონში დაბრუნებითა და უელბეკ სტრიტზე ცხოვრებით მიღებული გამოცდილება საკმარისი იყო იმისთვის, რომ ფლაშს სარწმუნოდ მიეჩნია ეს. სულ გამოკეტილში ყოფნა, ირგვლივ პატარ-პატარა ნივთების სიმრავლე, ღამ-ღამო

ბით — ტარაკნები, ღლისით — მძორის ბუხები, ბინაში გამუდმებული ცხვრის ხორცის სუნი, განჯინის თაროზე ბანანების გამოუღვეველი მარაგი, ყოველივე ეს და ამაზე ზედ დართული მჭიდრო სიახლოვე მძიმე ტანსაცმელში გამოწვობილი რამდენიმე ქალისა და კაცისა, რომლებიც არცთუ ისე ხშირად იბანდნენ და არცთუ ისე საფუძვლიანად, როგორც წესი და რიგია, — ფლაშს ხასიათს უფუჭებდა და ნერვებს უძაბავდა. და იწვა საათობით სასტუმროს ოთახში მიფონერის ქვეშ. ქუჩაში გასვლისა და განავარდების არავითარი შესაძლებლობა არა ჰქონდა. სადარბაზო კარი მუდამ ჩაკეტილი იყო. უნდა ეცადა, ვიდრე ვინმე ძეწკვს მოაბამდა და სახლიდან გაიყვანდა.

ლონდონში გატარებული რამდენიმე კვირის ერთფეროვნება ორად ორმა შემთხვევამ დაარღვია. გვიან ზაფხულის ერთ დღეს ბრაუნინგებმა გადაწყვიტეს ფარნკემში სტუმრად სწვეოდნენ მის უწმინდესობას — ჩარლზ კინგსლის. ამ დროს იტალიაში მიწა იქნებოდა შიშველი და მაგარი. და იქნებოდა რწყილების ჯარი. სიცხისგან მოთენთილს ჩრდილიდან ჩრდილამდე უნდა მიგეტანა სული და მიგეთრია ფეხები. მაღლობელი უნდა ყოფილიყო თუნდაც ჩრდილის იმ პატარა ზოლისა, დონატელოს ქანდაკების გაწვდილი ხელიდან რომ ეცემოდა მიწაზე. აქ კი, ფარნკემში, მწვანე ბალახით დაფარული მინდორი იყო და ლურჯი წყლით სავსე პატარა ტბები. ხეთა ჩურჩული ისმოდა ტყეში და კორდი იყო ისე ფაფუკი, რომ თათები ზამბარასავით ადი-ჩადიოდა. ბრაუნინგებმა და კინგსლებმა დღე ერთად გაატარეს. და როცა ფლაში სეირნობისას მათ უკან მიცუხცუხებდა, ისევ ჩაესმა ნაცნობი საყვირის ხმა და ისევ დაუბრუნდა ძველი ექსტაზი — ნეტავ კურდღელი მოელანდა თუ მელაია? მოწყდა ადგილს და გაქანდა, რომ გაენავარდა მანანით დაფარულ სარეის ველებზე, როგორც აღარ უნავარდია თრი მაილ კროსზე ცხოვრების გარდასულ დღეთა შემდეგ. ხოხობი აუფრინდა, — მეწამულ და ოქროს ფერების ნაკადად გაუელვა თვალწინ. ის იყო ხოხობის ბოლო კბილებშუა უნდა მოექცია, რომ ვილაციის ხმამ დარუკა და მათრახმაც გაიტკაცუნა. ეს ნეტავ თვით მისი უწმინდესობა ჩარლზ კინგსლი ხომ არ იყო, მჭახედ რომ შესძახა, — სდექო?! ასე იყო თუ ისე, ფლაშს მეტი აღარ ურბენია. ფარნკემის ტყეებს მკაცრად იცავდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ფლაში უელბეკ სტრიტზე სასტუმრო ოთახში რომ იწვა, ანაზღად შემოსულმა მისის ბრაუნინგმა მიფონერის ქვემოდან გამოიხშო, საყელოზე ძეწკვი გამოაბა, სახლიდან გაიყვანა და ისინი 1846 წლის სექტემბრის შემდეგ პირველად აუყვნენ უიმპოულ სტრიტს ერთად. № 50-ის სადარბაზო კარს მიაღწიეს, წინანდებურად შერქედნენ, წინანდებურად იცადეს. უფროსი მსახური ახლაც აყოვნებდა კარის გაღებას. ბოლოს კარი გაიღო. ნუთუ ის ჭილობზე მოკალათებული არსება კატილაინი იყო? იმ ბებერმა უკბილო ძაღლმა დაამთქნარა და გაიხშორა, ისე რომ მათ იოტიისოდენა ყურადღებაც არ მიაქცია. მაღლა სართულისკენ მიმავალ კიბეზე ისევე ქურდულად, ისევე უჩუმრად ავიდნენ, როგორც ერთ დროს დაეშვნენ ქვემოთ. მისის ბრაუნინგი ისე ფროთხილად აღებდა ოთახების კარს, თითქოს იმისა ეშინია, რაც აქ დახედებაო, — და ოთახიდან ოთახში გადადიოდა. სახე თანდათან ექუფრებოდა. „ოთახები უფრო პატარა და ჩაბნელებული მომეჩვენა“, — წერს იგი, — „და ავეჯი — მოუხერხებელი და შეუსაბამო“. უკანა საწოლი ოთახის ფანჯარას ისევ ეხლებოდა სურო. მოხატულ შტორებში გახედვისას ისევ ბუნდოვნად ჩანდა მოპირდაპირე სახლები. ყველაფერი უცვლელად იყო.

ამ წლების მანძილზე აქ არაფერი მომხდარა. მისი ბრაუნინგი დადიოდა ოთახიდან ოთახში და მწუხარე მოგონებებს ეძლეოდა. მაგრამ ვიდრე ქალბატონი სახლის თვალთვლებას მორჩებოდა, ფლაშს ელეთმელეთმა წამოუარა: — ერთიც ვნახოთ და მისტერ ბარეტი შემოვიდეს და ჩვენ აღმოვაჩინოსო! ერთიც ვნახოთ და ჩვენს დანახვაზე წარბი შეიკრას, გასაღები გადაატრიალოს და ორივენი სამუდამოდ გამოგვამწყვდიოს უკანა საწყობებშიო! ბოლოს, როგორც იქნა, მისი ბრაუნინგმა დახურა ყველა კარა და უჩუმრად დაემკა ქვედა სართულისკენ. ჰოი, — თქვა თავისთვის, — ვფიქრობ, ამ სახლს არ აწყენდა ერთი კარგი დალაგება და დასუფთავებაო. ამის შემდეგ ფლაშს ერთადერთი სურვილია გააჩნდა — სამუდამოდ დაეტოვებინა ლონდონი, გასცლოდა ინგლისს. და თავი მანამდე არ უგრძნია ბუნდობლად, ვიდრე ლამანშის სრუტეში ინგლისიდან საფრანგეთში მიმავალ გემზე არ აღმოჩნდა. საშინელი ღელვა იყო. სრუტეზე გადასვლას რვა საათი დასჭირდა. ვიდრე გემი აქეთ-იქით ეხლებოდა, ფლაშის თავშიც მოგონებების რია-რია იდგა. იისფერ ხავერდში გამოწყობილი ქალბატონები, ტომარამოკიდებული ჩამოძონძილი კაცები, რიჯენტს პარკი და დედოფალ ვიქტორიას ჩაქროლება მხედართა ესკორტით, ინგლისის ხასხასა ბალახი, ლონდონის ნოტიო ქვაფენილები, — ყველაფერი ეს ირეოდა მის თავში, როცა გემბანზე მწოლმა მალა აიხედა და თვალი ჰკიდა მკაცრი სახის მალალ მამაკაცს, — მოაჯირს რომ გადაყრდნობოდა. „მისტერ კარლაილ!“ — ჩაესმა ფლაშს მისი ბრაუნინგის შეძახილი. ეს იყო და საშინელი ღებინება აუტყდა, — ძლიერი ღელვა იყო-მეთქი, აკი გითხარიოთ. მოცვივდნენ მეზღაურები ვედროებით და ჩერებით და გადაჭრით მოითხოვეს, ძალღს გემბანი დაეტოვებინა. „საწყალი ძაღლი!“ — წერს მისი ბრაუნინგი. გემბანი ხომ ინგლისური იყო და ძაღლებს გემბანზე ღებინება ეკრძალებოდათ. ასეთი იყო მშობლიურ ნაპირებთან ფლაშის უკანასკნელი გამოსაღმება.

6. დასასრული

ფლაშს სიბერე წამოეპარა. ინგლისში მოგზაურობამ და მისით აშლილმა მოგონებებმა უდავოდ დაღალეს. ახლა, იტალიაში დაბრუნების შემდეგ, ყველასათვის შესამჩნევი გახდა, რომ იგი ჩრდილს უფრო ეტანებოდა, ვიდრე მზეს, თუმცაღა ფლორენციის ჩრდილი უიმპოულ სტრიტის მზეზე მცხუნვარე იყო. რომელიმე ქანდაკების ფერხით გაშოტილი, ან შადრევნის სიახლოვეს მოგრაგნილი ვინძლი ერთი-ორი მზეფი მაინც დამესხუროს ტყავზეო, — საათობით იწვა და თვლემდა. ახალგაზრდა ძაღლები იკრიბებოდნენ მის ირგვლივ და ისიც უყვებოდა მათ უაიტჩეპელში და უიმპოულ სტრიტზე მის თავს გადახდენილ ამბებს, აუწერდა ოქსფორდ სტრიტის ნაირ-ნაირ სუნსა და სამყურას სურნელს. არ სწყინდებოდა რევოლუციების მოგონება, ხან ერთისა, ხან მეორისა, — თუ როგორ მოვიდნენ დიდი პერციოები და როგორ წავიდნენ დიდი პერციოები. — მაგრამ ის ხალებიანი ძუ სპანიელიო, — იტყოდა ხოლმე ფლაში, — წაუსვლელად მუდამ აქ არის ფლორენციის ქუჩებშიო. მერე ბობოქარი მისტერ ლენდორი ჩაუქროლებდა გვერდით და მოგონილი, ბრაზიანი ფახიფუხით სასიყვარულოდ მუშტს მოუღერებდა. კეთილი იზაბელაგდენი შეანელებდა ნაბიჯს და რედიკულიდან დაშაქრულ ბისკვიტს ამოაძვრენდა. ბაზრის მოედანზე გლეხის ქალები თავიანთი კალათების ჩრდილში

ფოთლებს დაუფენდნენ, რომ ზედ დაწოლილიყო, და დროდადრო ყურძნის მტევანს გადაუგდებდნენ. ფლაშს იცნობდნენ, ფლაში უყვარდათ ფლორენციაში წარჩინებულთაც და მდაბიოთაც, ძაღლებსაც და ადამიანებსაც.

მაგრამ ახლა, რაც უფრო ერეოდა სიბერე, მით უფრო მიეძალა წრლას, თანაც შადრევანთან კი არა, სადაც მის ბებერ ძველებს უკვე აუტანლად ეჩვენებოდა რიყის ქვის უსწორმასწორო საგებელი, — არამედ მისის ბრწყინვალე საწოლ ოთახში... სადაც იატაკს მოზაიკის სლიპინა ლაქად აჩნდნენ და ვარეულო ღერბი, ანდა სასტუმრო ოთახში, დიდი მაგიდის ჩრდილქვეშ. ერთ დღეს, ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ სულ მალე, ის იწვა აქ და მაგრად ეძინა. სიბერის ღრმა და უსიზმრო ძილი დაუფლებოდა. დღეს, სხვა დროსთან შედარებით, განსაკუთრებით ღრმა იყო ეს ძილი, რადგან ძილისას სიბნელეს თითქოს პირი შეეკრა მის ირგვლივ, და თუ რაიმეს, სიზმრის მაგვარს მაინც ხედავდა, ეს იყო ხილვა, — თითქოს მზის სინათლისგან მოწყვეტილს და ადამიანთა ხმებისაგან გამოთიშულს, პირველყოფილი ტყის უღრანში ჩასძინებოდა. მაგრამ დროდადრო მის სიზმარულ სმენას მაინც სწვდებოდა ზმანებებში წასული ჩიტის ძილმორეული ჟღერტული, ანდა ქარით შერხეულ ტოტებში მონებივრე მაიმუნის ჩამტკბარი ხიოხითი.

მერე უეცრად დაშორიშორდნენ ხეთა ტოტები და ალაგ-ალაგ სინათლის დამბრმავებელი ისრები შემოიჭრა. აატარტარეს ენები მაიმუნებმა, შეიფრთხილეს ჩიტებმა და ასტეხეს გნიასი. ფლაში ერთბაშად ძილგამფრთხალი წამოიჭრა ზეზე. გასაოცარი ორომტრიალი იდგა მის ირგვლივ: რომ დაიძინა, ჩვეულებრივი სასადილო მაგიდის ფეხებს შორის იწვა, ახლა კი აფორიაქებული მარვლის ტოტებით და ატალღებული კაბის კალთებით იყო გარშემორტყმული. კიდევ მეტიც, თვითონ მაგიდა ხან აქეთ გადაიყანთრებოდა, ხან იქით. ფლაშმა აღარ იცოდა, საით გაქცეულიყო. ეს რა ეშმაკი შეჯდომოდა სასადილო ოთახის მაგიდას! მან ხმას აუწია და თავისი შეკითხვა გაბმული ყმულით გამოხატა.

მაგრამ ფლაშის კითხვაზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა ჩვენ არ ძალგვიძს. მხოლოდ რამდენიმე ფაქტის მოყვანა შეიძლება და ისიც სრულიად შიშველი ფაქტისა. მოკლედ, საქმის ვითარება ასეთია: მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ბლესინგტონის გრაფის მეუღლეს ჯადოქრისაგან ბროლის ბურთულა უყიდა. მისი ბრწყინვალეა „ვერასოდეს მიხვედრილა, რისთვის ან როგორ გამოეყენებინა იგი“, რამდენადაც ამ ბურთულაში იგი ბროლის გარდა ვერაფერს ხედავდა თურმე. მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ოჯახის ავლადიდება გაყიდულა და ეს ბურთულაც სხვათა მფლობელობაში გადასულა. „ისინი უფრო ღრმად მხედველნი და თვალგამჭრიახნი“ ყოფილან და ბურთულაში გარდა ბროლისა სხვა რამეებიც დაუნახავთ. იყო თუ არა ლორდი სტენჰოუპი ბურთულის უშუალო მყიდველი და მასზეა თუ არა ნათქვამი — „უფრო თვალგამჭრიახი იყო“, დადგენილი არ არის. მაგრამ ის კი უდავოა, რომ 1852 წელს ბურთულა სწორედ ლორდ სტენჰოუპს ეკუთვნოდა და ბურთულაში ჩახედვისთანავე მას სხვა რამეებთან ერთად „მზიური სულები“ დაუნახავს შიგ. როგორც ჩანს, სტუმართმოყვარე დიდებულს არ შეეძლო ეს სახილველი მხოლოდ საკუთარი თვალის გასაჩარად შემოენახა, და ამიტომ წესად შემოუღია გამოეყინა იგი თავის წვეულებებზე და, ამხანაგებს რომ მოიპატივებდა, მათთვის ეს მზიური სულებიც ეჩვენებინა. ამ სანახაობაში ყველა-

სათვის იყო რაღაც საოცრად სასიამოვნო, გარდა მისტერ ჩორლისა. ბურთულები საყოველთაო გატაცების საგნად იქცა. იბღლად, ერთმა ლონდონში მცხოვრებმა ოპტიკოსმა, რომელიც, ცხადია, არც ეგვიპტელი იყო და არც ჯადოქარი, აღმოაჩინა, რომ თვითონაც შეეძლო მათი დამზადება. თუმცა, ბუნებრივია, ინგლისური ბროლი თავისთავად ერთობ ძვირი ღირდა. ამრიგად, ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში აუარებელი ხალხი გახდა ბურთულების მფლობელი, ოღონდ, ღირს სტენჰოუსის თქმით, ¹ „მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ამისი აღიარების გამბედაობაც კი არ ჰყოფნიდა“. ლონდონში სულელების მოძალეობა ისე შესაძინევი გახდა, რომ ხალხს შეშფოთება დაეუფლა. და ღირსმა სტენლიმ აზრი მიაწოდა სერ დევიდ ლიტონს, „რომ საჭირო იყო მთავრობას შეედგინა კომიტეტი, რომელიც ფაქტებში ჩაძიებას შეძლებდა“. არ ვიცი, იმ ჭორებმა დააფრთხეს სულელები, — ჰა, სადაცაა სამთავრობო კომიტეტი უნდა შეიქნასო, — თუ სულელები, მსგავსად სხუელებისა, გასამრავლებლად მყუდრო ადგილებს რჩებოვნ, ეს კაა, რომ შემფოთების საჩინო ნიშნები გამოავლინეს, მერე კი, — აბა თავს ვუშველოთო, — ერთბაშად დიდ გუნდებად დაიძრნენ და მაგიდების ფეხებში შესახლდნენ. რა მოტივითაც არ უნდა ემოქმედათ, მათი ქცევა გამართლებული იყო. ბროლის ბურთულები ძვირი ღირდა, მაგიდა კი ყველასა აქვს. ასე რომ, როდესაც 1852 წლის ზამთარში მისის ბრაუნინგი იტალიაში დაბრუნდა, მან აღმოაჩინა, რომ იქ მისთვის სულელებს ჩაესწროთ. ფლორენციის მაგიდები თითქმის უკლებლივ მათ საბუდრებად ქცეულიყო. „დიპლომატიური მისიით დაწყებული, ინგლისელი მეაფთიაქით დამთავრებული“, — წერს მისის ბრაუნინგი, — „ყველა ყველგან... მაგიდებს მართავს. ხალხი ახლა მაგიდის გარშემო ეისტის სათამაშოდ როდი გროვდებაო“. მართლაც მათი მიზანი ახლა მხოლოდ ის იყო, რომ მაგიდის მიერ მოწოდებული ცნობები გაეშიფრათ. ასე მაგალითად, მაგიდისათვის ბავშვის ასაკი რომ გეკითხათ, მისის ბრაუნინგისვე ცნობით, „იგი სრულიად გარკვევით გაგცემდათ პასუხს ანბანის რიგზე ფეხების ბაკუნით“. და თუ მაგიდისგან იმას შეიტყობდით, რომ თქვენი საკუთარი შვილი ოთხი წლისაა, მის განუსაზღვრელ შესაძლებლობებში ეჭვი ხომ აღარ შეგეპარებოდათ?! მბრუნავ მაგიდებს რეკლამას უწევდნენ მაღაზიებში, კედლები აჭრელებული იყო პლაკატებით, რომლებიც წარმოაჩენდნენ სასწაულებს, „scopete a livorno“¹ ეს მოძრაობა ისე გაფართოვდა, რომ 1851 წლისთვის „ოთხასმა ათასმა ამერიკულმა ოჯახმა სახელდებით დაადასტურა... სულელებთან ურთიერთობა ჭეშმარიტად დიდი სიამოვნების წყაროდ გვექცაო.“ ინგლისიდან კი ამბავი მოვიდა, სერ ედვარდ ბულვერ ლიტონმა ნებურთში „რამდენიმე მოკაკუნე სული შემოიყვანა ამერიკიდანო“, რაც იმ საოცარი შედეგით დაგვირგვინდა, რომ (ყოველ შემთხვევაშიც ასე ამცნეს პატარა ართურ რასელს, როდესაც მან საუზმის ჭამისას მისკენ ჩაციებით მაცქერალი გაცვეთილ-ხალათ-მოსხმული უცნაური შესახედაობის მოხუცი ჯენტლმენი დაინახა) სერ ედვარდ ბულვერ ლიტონს თავი უხილავად წარმოუდგენიაო.

როცა მისის ბრაუნინგმა ღირს სტენჰოუსთან წვეულებაზე ყოფნისას პირველად ჩაიხედა მის ბროლის ბურთულაში, შიგ ვერაფერი დაინახა გარდა იმისა, რა თქმა უნდა, რომ ეს იყო ნამდვილად ყურადსაღები ნიშანი დროებისა. მზის სულმა ამცნო მას, რომ მალე რომს გამგზავრება უწევდა. მაგრამ

1. მომხდარს ლივორნოში (იტალია).

რადგან მისის ბრაუნინგი რომში გამგზავრებას არ ფიქრობდა, თავისაზე დადგა და შეეწინააღმდეგა მზის სულთა ნებას. „თუმცა“, დასძენდა გულწრფელად, — „მე მიყვარსო საოცრებანი“. თავგადასავალთა მაძიებლის გამბედაობა არ აკლდა მისის ბრაუნინგს, — ის არ იყო, სიცოცხლის რისკით მენიჭ სტრიტზე რომ წავიდა და უიმპოულ სტრიტიდან სულ რაღაც ნახევარი საათის სავალზე ისეთი სამყარო აღმოაჩინა, სიზმრადაც რომ არასოდეს ვნახავდეთ ვერაფერს. რატომ არ შეიძლებოდა ფლორენციიდან ნახევარი წამის საფრენზე დასვლა? ყო სხვა სამყარო — ბევრად უკეთესი და უფრო მშვენიერი, სადაც ბინადრობდნენ მიცვალებულები, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ ჩვენთან გამოღწევას? ყოველ შემთხვევაში, რისკის გაწევა ღირდა. ასე რომ, თავადაც მიუჯდა მაგიდას და მასთან ერთად მისტერ ლიტონი, უხილავი მამის ბრწყინვალე შვილი, და მისტერ ფრედერიკ ტენისონი, მისტერ პაუერსი და მუსიე ვილარი — ყველანი შემოუსხდნენ მაგიდას და მერე, როცა მაგიდა ტლინკაობას მორჩა, ისინი ისევ ისხდნენ მას გარშემო, შეექცეოდნენ ჩაის და ნაღებმოსხმულ ხენდროს, „ვიდრე ფლორენცია იისფერი მთების წიაღში იძირებოდა და ვარსკვლავები დაჰყურებდნენ მალლიდან თავზე“. და ლაპარაკს მოსდევდა ლაპარაკი. „...რა ამბები არ მოყვებით და რა სასწაულების თვითმხილველობაზე არ გამოვიდეთ თავი! ო, იზა, ჩვენ აქ მორწმუნენი ვართ ყველანი, გარდა რობერტისა...“ მერე იყო და ყრუ მისტერ კირკაპი შემოიჭრა გასვლებილი თეთრი წვერის ცანცარით. მათთან მხოლოდ იმისთვის მოვიდა, რომ განეცხადებინა: „სულის სამყარო არსებობს! არსებობს საიქიო სიცოცხლე! მე ეს მწამს! ბოლოს და ბოლოს ამაში დავრწმუნდი!“ და თუკი მისტერ კირკაპი, ყოველთვის „ლაშის ათეისტად“ ცნობილი, ახალ რწმენაზე მხოლოდ იმის გამო მოიქცა, რომ „სამი დაკაკუნება გაიგონა, იმდენად ხმამაღალი, რომ შეხტა კიდეც“, — მისის ბრაუნინგი როგორღა აიღებდა ხელებს მაგიდიდან! „ხომ იცი, მე, ცოტა არ იყოს, მისტეკოსი ვარ და მიდრეკილება მაქვს თანამედროვე სამყაროს ყველა კარზე მივაკაკუნო და ვცადო მიღმა გაღწევა“, — წერს იგი. ასე რომ, მან უხმო მორწმუნეთ Casa Guidi-ში, ჰოდა, ისხდნენ ისინი სასადილო ოთახის მაგიდაზე ხელებდაწყობილები და ცდილობდნენ მიღმა გაღწევას.

უცებ ფლაში საშინელმა წინათგრძნობამ წამოავლო ხეზე. კაბის კალთები და შარვლის ტოტები ბობოქრობდნენ ირგვლივ. მაგიდა ცალ ფეხზე იდგა. ჩანდა, მაგიდასთან მსხდომი ქალბატონები და ვაჟბატონები რაღაცას ხედავდნენ და უსძენდნენ, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო ეს რაღაცა, ფლაშის თვალისა და ყურისთვის სრულიად მიუწვდომელი რამ იყო იგი. მართალია, მაგიდა ცალ ფეხზე იდგა, მაგრამ ყველა სხვა მაგიდაც ხომ ასევე ცალ ფეხზე დადგება, თუ მის მეორე მხარეს მაგრად დააწვები! ფლაშს თვითონაც გადაუყირავებია ასე მაგიდები და კარგადაც მოხვედრია ამისთვის. მაგრამ ახლა მისის ბრაუნინგს იმდენად გაფართოებოდა ისედაც დიდრონი თვალები და ისე ჩაცვივით მიეპყრო მზერა რაღაცისათვის, — თითქოს გარეთ ნამდვილ საოცრებას ხედავსო, — რომ ფლაში აივანზე გაიჭრა და ქუჩაში გაიხედა — კიდევ რომელიმე დიდი ჰერცოგი ხომ არ მობრძანდება ამხედრებული, დროშებისა და მაშხალების თანხლებითო? მაგრამ ვერაჟინ დაინახა, გარდა მოხუცი მათხოვარი ქალისა, რომელიც ქუჩის კუთხეში მიყუჟულიყო საზამთროებიანი კალათის გვერდით. მისის ბრაუნინგი კი ნამდვილად ხედავდა რაღაცას, და

თანაც რაღაცას, ნამდვილად საოცარს. ასე არ იყო, წლების წინათ უიმპოულ სტრიტზე უცებ ტირილი რომ დაიწყო ფლაშისთვის სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო? ან ის შემთხვევა, სიცილი რომ აუტყდა და დალაქავებულ, დაჯღაბნილ ქალად რომ უფრიალებდა ცხვირწინ?! მაგრამ არა, ახლა სულ სხვა რამ ხდებოდა. მისის ბრაუნინგის გამოხედვაში იყო რაღაც ისეთი, რაც ფლაშს შიშსა ჰგვრიდა. ამასთანავე ოთახში თუ მაგიდაში, კაბის კალთებში თუ შარვლის ტოტებში იმალებოდა რაღაც ისეთი, რაც ფლაშის უსახვევო ზიზღს იწვევდა.

კვირა კვირას მისდევდა და მისის ბრაუნინგი უფრო და უფრო ექცეოდა უხილავის ტყვეობაში. რა მზიანი დარიც არ უნდა მდგარიყო, იმის მაგივრად, უწინდებურად ქვებში მოსრიადლე ხელიკებისათვის ეთვალთვალებინა, ფეხმოუცვლელად მაგიდასთან იჯდა. რა წყნარი ვარსკვლავიანი ღამეც არ უნდა ყოფილიყო, იმის ნაცვლად, წიგნი ეკითხა ან ქალაღზე ხელის სმას მოჰყოლიდა, საკმარისი იყო მისტერ ბრაუნინგი სახლიდან გაეგულებინა, რომ წამსვე უილსონს ეძახოდა და უილსონიც მოქნარებით შემოდოდა. და მერე ეს ორნი იქამდე უსხდნენ მაგიდას, ვიდრე ავეჯის ეს სახეობა, — რომლის მთავარი დანიშნულება ჩრდილის მოცემა იყო, — იატაკზე ტლინკაობას არ დაიწყებდა და ვიდრე მისის ბრაუნინგი უილსონს არ შესძახებდა: — ეს იმის მანიშნებელია, რომ სულ მალე ცუდად გახდებიო. უილსონი უპასუხებდა: — არა, უბრალოდ, ძილი მერევაო. მაგრამ მალე თვით უილსონი, ეს დაუნდობელი, მოუდრეკელი, თავით ფეხამდე ბრიტანელი უილსონიც კი შეჰკივლებდა და გულწასული ძირს ვარდებოდა. მისის ბრაუნინგი აქეთ ეცემოდა, იქით ეცემოდა, რომ როგორმე „პიგიენური ძმარი“ მოეძებნა. წყნარი საღამოს ამაზე უგემურად გატარება შეუძლებელი იყო. განა არ სჯობდა მჯდარიყო და წიგნი ეკითხა.

ეს მოუხელთებელი, მაგრამ მაინც უსიამო სუნი, ეს მუდმივი გაურკვეველობა თუ მოულოდნელი შეკივლებები, ეს მაგიდის ტლინკაობაო, ეს ძმარიო, და ...ფლაშსაც ნერვებმა უმტყუნა. მას სრულიად ბუნებრივად ეჩვენებოდა პაწია პენინის ლოცვა: „ღმერთო, ფლაშს ბეწვი გაუზარდო!“ ბაიას წადილი სავსებით გასაგები იყო. მაგრამ ის რიტუალი, რომელიც მოითხოვდა ოთახში ჯანგაცვეთილი და მყრალსუნისანი, აჩაჩულ-დაჩაჩული კაცების ყოფნას და შავი ხის ავეჯის უშნო ცელქობას, საშინლად აღიზიანებდა და ასევე აღიზიანებდა იმ ჯანმეგარ, ჭკუადაძვდარ, თავით ფეხამდე გამოწკეპილ მამაკაცსაც, ფლაში რომ თავის პატრონად სცნობდა. მაგრამ ფლაშისთვის ყველა სუნზე და უშნო ცელქობაზე აუტანელი იმის ცქერა იყო, მისის ბრაუნინგი ფანჯარაში ისე რომ დაიწყებდა ცქერას, თითქოს რაღაც საოცრებას ხედავსო, მაშინ როცა იქ დასანახი არა იყო რა. ფლაში ამ დროს წინ დაუდგებოდა ხოლმე მისის ბრაუნინგს. იგი კი ისე იფურებოდა მის გამჭოლ, ვითომდა იქ სიცარიელე ყოფილიყოს. ეს იყო ყველაზე გამანადგურებელი მზერა იმ მზერათა შორის, რომელიც ქალბატონს ოდესმე მიუპყრია მისთვის. ამის უგულობასთან სად მოვიდოდა ის ცივი ბრაზი, მის ბარეტის თვალებში რომ გამოკრთა, როცა ფლაშმა მისტერ ბრაუნინგს უკბინა ფეხზე, ან ის გესლიანი სიცილი, მაშინ რომ დააყარა, როცა რიჯენტს პარკთან ეტლის კარში თათი მოიჭეჭყა. ისეთი წუთებიც კი ჰქონია ფლაშს, რომ უიმპოულ სტრიტი და მისი მაგიდები მოჰგონებია სინანულით. როდის ყოფილა № 50-ის მაგიდები ცალ მხარეს გადაყანთრულიყვნენ! განა ის პატარა, სალტემოვლებული მაგიდა, სადაც მის

ბარეტი ძვირფას სამკაულებს ინახავდა, მუდამ მშვიდად არ იდგა ერთ ადგილზე? და განა იმ შორეულ დროში საკმარისი არ იყო ფლაში ქალბატონის დიუანზე ამხტარიყო, რომ მის ბარეტს მყისვე გამოღვიძებოდა და შეეხედა მისთვის? ახლა კი, როცა ფლაში ერთხელ კიდევ ახტა ქალბატონის დიუანზე, ქალბატონმა ვერც კი შეამჩნია. იგი წერაში იყო გართული. დიახ, მისი ბრაუნინგმა, ოდნავი ყურადღებაც რომ არ მიუქცევია ძალღისთვის, რაღაცა ფრთხილად წერა: „...და გარდა ამისა, მედიუმის მოთხოვნით სულის ხელმძღვანელს ვიღწევი, რომელიც იქვე მაგიდაზე იდო, და თავზე დამადგეს იგი. ხელი, რომელმაც უშუალოდ მოიმოქმედა ეს, ზომით ადაძიანის ყველაზე დიდი ხელის ოდენა იყო და თან თოვლივით თეთრი და უსაზღვროდ ლამაზი. იგი ისევე ახლოს იყო ჩემთან, როგორც ეს ჩემი ხელია, რომლითაც ვწერ, და ისევე გარკვევით დავინახე, როგორც ჩემს ხელს ვხედავ.“ ფლაშმა მოფხოჭნა ხელზე. მისი ბრაუნინგმა ისე შეხედა, თითქოს ძალღი უჩინარი ყოფილიყოს. ფლაში ჩამოხტა დივნიდან, ჩაირბინა ქვედა სართულში და ქუჩას მისცა თავი.

ჩახჩახა, მცხუნვარე დღე იდგა. ქუჩის კუთხეში მათხოვარ ქალს მისძინებოდა თავის საზამთროებზე. მზე თითქოს ბზუოდა ცაში. ფლაში ქუჩის ჩრდილიან მხარეს დაადგა და კარგად ნაცნობი გზით ბაზრის მოედნისკენ წაუცუხცუხდა. მთელი მოედანი გადაბრდღვიანებულიყო ფარდულებით, დახლებითა და ჭრელი ქოლგებით. გამყიდველი ქალები ხილიან კალათებს მისხდომოდნენ, დაფრთხილებდნენ მტრელები, ისმოდა ზარების რეკვა და მათრახების ტკაცუნი. მრავალფერადი ნაჯვარი ძაღლები მოხდებოდნენ ფლორენციის ბაზარს, სად არ შერბოდნენ და საიდან არ გამორბოდნენ, არაფერი რჩებოდათ დაუსუნავი და თათებით მოუსინჯავი. სკასავით მოფუთფუთე და ღუმელივით ფიცხი იყო ბაზარი. ფლაშმა სივრილეს მიაკვლია, — თავის მეგობარ კატერინას დიდი კალათის ჩრდილში გაიშოტა. გვერდით წითელი და ყვითელი ყვავილებით სავსე მოყავისფრო ქოთანს ჩრდილადა მიწას. მათ თავს ადგათ მარჯვენახელგაწვდილი ქანდაკება, რომელიც ამ ჩრდილს კიდევ უფრო ამუქებდა და ლამის იისფრად აქცევდა. იწვა ფლაში სივრილეში და თვალს ადევნებდა თავის საქმიანობაში გართულ ახალგაზრდა ძაღლებს. — ერთმანეთს რომ უღრუნდნენ, კბენდნენ, მიწაზე იშხლართებოდნენ, — კოტრიანობდნენ და ახალგაზრდული სიხარულით ეძლეოდნენ თავდავიწყებას. წინ და უკან, ირგვლივ და გარშემო, ყველგან, ყველა მხარეს დასდევდნენ და დაარბენინებდნენ ერთმანეთს, როგორც თვითონ დასდევდა ერთ დროს თავის ხალებიან სპანიელს. მისი ფიქრები წუთით რედინგისკენ შეტრიალდა — მისი პარტრიჯის ძე სპანიელი მოაგონდა, თავისი პირველი სიყვარული, სიყვარმის დროინდელი აღტყინება და უმანკოება. პო, მან მოჭამა თავის დრო. ახლა მათი ჯერი დამდგარა. სულაც არ შურდა მათი. ადრეც ხომ კარგად შეირგო ეს ქვეყანა და არც ამჟამად ჰქონდა მასთან რაიმე სადავო. აი ახლაც მეგობარი ქალი ყურს უკან ფხანდა. წინათ მისი ხელი ხშირად მოხვედრია ყურძნის ქურდობისა და სხვა მსგავსი გადაცდომისათვის. მაგრამ ახლა იგი უკვე ბებერი იყო და თვითონ კატერინაც დაბერდა. ფლაში მის საზამთროს მწვემსავდა და ის კი ყურსა ფხანდა. თუ არადა, კატერინა ქსოვდა და ფლაში თვლებდა. და ბუზები დაბზუოდნენ დიდ საზამთროს, რომელიც მისი ვარდისფერი გულის გამოსაჩენად გადაეფატრათ.

მზე საამოდ კიაფობდა შროშანის ფოთლებში და თეთრ-მწვანე ხოლებიან

ფარდულში. მარმარილოს ქანდაკი მის მცხუნვარებას შამპანურის შუშუნა სიგრილედ აქცევდა. იწვა ფლაში და ცალი გვერდი მზისთვის მიეფიცებინა, რა რომ სიცხეს ბეწვის გავლით მის შიშველ ტყავამდე ჩაეღწია. და როცა ერთ მხარეზე კარგად შეიხუხებოდა, გვერდს იცვლიდა, რომ ახლა მეორე მხრიდან მიეფიცებოდა მზეს. მთელი ამ ხნის მანძილზე ბაზარში ხალხის ქოთქოთი და ვაჭრობა არ ცხრებოდა. მიდი-მოდიოდნენ მოვაჭრე ქალები, ჩერდებოდნენ აქა-იქ, ხელით სინჯავდნენ ბოსტნეულს და ხილს. იღვა გღვამიანობის გაბმული ბუბუნი და ჟრიაშული, რომლის სმენა ასე უყვარდა ფლაშს. ცოტა ხნის შემდეგ მას შროშანების ჩრდილში ჩაეძინა. ეძინა ისე, როგორც ძაღლებს მაშინ სძინავთ ხოლმე, როცა სიზმრებს ხედავენ. უცბად ფეხებმა დაუწყო ცმუკვა. ესპანეთში კურდღლებზე ნადირობა ხომ არ ეზმანა? ვინ იცის, იქნებ მზედაცხუნებულ მთის ფერდობზე მიქროდა აღმა, შავკანიანი კაცები კი მიჰკიოდნენ: „სპან! სპან!“ და კურდღლები მოცვიოდნენ ჯაგნარიდან. ერთხანს ისევ მშვიდად იწვა. მერე როგორღაც ნაზად წამოიწკმუტუნა, რამდენიმეჯერ, ზედმიყოლებით. იქნებ ის ეზმანა, ექიმი მიტფორდი რედინგში ნადირობისას თავის მწვერებს რომ უსისიანებდა ნადირს... ცოტა ხნის შემდეგ კული მორჩილად ააქიცინა. მის მიტფორდის დაძახილი ხომ არ ჩაესმა: „შე საძაგელო ძაღლო! შე საძაგელო, შენა!“ – და დარცხვენილმა იქით ხომ არ იბრუნა პირი, სადაც მისი მოხუცი ქალბატონი იღვა თაღგამებს შორის და ქოლგას იქნევდა?! მერე იწვა და მშვიდად ქსუტუნებდა ბედნიერი სიბერის ღრმა ძილში წასული. უცებ სხეულის ყოველი კუნთი აუთამაშდა. ელდანაცემივივით წამოვარდა. რა მოელანდა? უაიტჩიქელში ხომ არ იყო ბანდიტთა შორის? ისევ დანა ხომ არ ჰქონდა ყელთან მიბჯენილი?

სიზმრის ბრალი იყო თუ რისა, ეს კია, რომ თავზარდაცემულს გამოეღვიძა. და მაშინათვე ფაცხაფუცხით მოკურცხლა, თითქოს ფათერაკი დასდევნებია და არიქა, თავს უნდა უშველოსო. ბაზრის ქალებმა სიცილი დააყარეს, დამპალი ყურძნის სროლით გააცილეს და თან უკანვე დაუწყეს მოხმობა. ის ზედაც არავის უყურებდა. ქუჩებზე გადარბენისას რამდენიმეჯერ კინალამ ფორნების ბორბლებქვეშ მოჰყვა. მეფორნეები ხმამაღლა უკურთხებდნენ და მათ-რახით იგერიებდნენ. ნახევრად ტიტლიკანა ბავშვები, როცა ის გვერდით ჩაუქროლებდათ, კენჭებს ესროდნენ და მიჰკიოდნენ: *Matta! Matta!* დაფეთებული დედები კარებთან მოვარდებოდნენ, ბავშვებს ხელში აიტაცებდნენ და შინ შეჰყავდათ.

რა მოუვიდა, მართლა ხომ არ გაცოფდა? თუ მზემ ტვინი აუძღვრია? ან იქნებ ერთხელ კიდევ ჩაესმა ვენერას სამონადირეო საყვირის ხმა? თუ ამერიკიდან მოვლენილმა რომელიმე მოკაკუნე სულმა, ერთ-ერთმა იმათგანმა, მაგიდის ფეხებში რომ სახლობდნენ, ბოლოს და ბოლოს შეაღწია მის არსებაში და შეიპყრო იგი? ასე იყო თუ ისე, აღმართ ქუჩებში და თავდაღმართშიც შურდულივით მიქროდა ფლაში, ვიდრე *Casa Guidi*-ს კარებს არ მიაღწია. პირდაპირ მაღლა სართულს მიაშურა და სასტუმრო ოთახში შევარდა.

მისის ბრაუნინგი დივანზე წამოწოლილიყო და კითხულობდა. მის შესვლაზე შემკრთალმა აიხედა. არა, ეს სული არ ყოფილა, ეს მხოლოდ ფლაში მო-

1. ცოფიანი, ცოფიანი! (იტალ.).

სულა. მას გაეცინა. მერე, როცა ძალღი დივანზე ახტა და სახით სახეზე მი-
ეხალა, მისის ბრაუნინგს საკუთარი ლექსის სიტყვები მოაგონდა:

ბომ ხედავთ ამ ძალღს. არ მახსოვდა აქ ყოფნა ძალღის,
გუშინ, მწოლარეს რომ მდიოდა ცრემლი ფიჭვისა,
როდესაც გაჩნდა ჩემს ბალიშთან და ნომადლისა
ფაუნის თავივით ბანჯგელიანი თავი, და მადლიტინგლიწიქსა
ოქროსფერ თვალთა ელვარებით ჩამხედა ნაღვლის
გასაქარვებლად შიგ თვალეში, შემაჭრთო მყისად,
პარტყუნა ყური სველ ლოყაზე გულდაგულ მისვა
და მომიმშრალა ნაცრემლარი, ტირილით დაღლილს.

მე, როგორც ნიმფა არკადიის, — ქალების ბინდში
თხისფება ღმერთთან შეხვედრისას, — შევეცხუნდი წამით,
მაგრამ როგორც კი გადაყარა ცრემლები ნისლი,
ეიცანი ფლაში და დაელოცე ნამდვილი პანი,
რომელიც თვალწინ სიყვარულის მწვერვალებს გვიშლის
მდაბალ, მიწიერ არაბებთან მსგავსების ძალით.

ეს ლექსი მან ერთ დღეს, უიმპოულ სტრიტზე ცხოვრებისას დაწერა, მა-
შინ როცა თავს ძალიან უბედურად გრძნობდა. ახლა ის ბედნიერი იყო. ახლა,
ფლაშის მსგავსად, მასაც ერეოდა სიბერე. წუთით დაიხარა ძალღის თავზე.
ქალის სახე დიდი პირითა და დიდრონი თვალეებით, აქეთ-იქით ჩამოშვებული
კულულებით ისევ უცნაურად ჰგავდა ძალღისას. ერთმანეთს უსაზღვროდ და-
შორებულები, მაინც ერთ ყალიბში იყვნენ მოჭრილები. შესაძლოა თითოეულ-
ში სრულყოფას აღწევდა ის, რაც მეორეში თვლემდა. მაგრამ ის ქალი იყო,
ფლაში კი — ძალღი. მისის ბრაუნინგმა კითხვა განაგრძო. მერე ისევ დახედა
ფლაშს, მაგრამ ფლაშს აღარ ამოუხედავს მისთვის. იგი არაჩვეულებრივად
შეცვლილი ჩანდა. „ფლაში!“ შესძახა მისის ბრაუნინგმა. ძალღი არ გამოხმაუ-
რებია. ეს წუთია ცოცხალი იყო, ახლა მკვდარია. ეს არის და ეს... სასტუმრო
ოთახის მაგიდა კი, მისდა გასაოცრად, ოდნავაც არ შეტოკებულა.

თარგმნა ზაზა შურაღაძე



უღივლო ვუთისოფელი

გამოცდილი ხალხის დაკვირვებით, მოხუცებულები იოლად ვერ ელევინ სიაქო ცხოვრებას, ამასთან ისინი არც იშვიათად ავლენ მათი ასაკისათვის დამახასიათებელ თვისებებს — სიძუნწესა და სიხარბეს, აგრეთვე ექვიანობას, სულმოკლეობას, ქირვეულობას, უკმაყოფილებას და ა. შ.

პ. ნეჩაევი — „პრაქტიკული სასელმძღვანელო მღვდელთმსახურთათვის“.

პოლკოვნიკის მეუღლეს, ანა მიხაილოვნა ლებედევას, ერთადერთი, გასათხოვარი ასული მოუკვდა. ამას სხვა სიკვდილიც მოჰყვა: ღმერთის გამოცხადებით გაოგნებულმა დედაბერმა იგრძნო, რომ საბოლოოდ მოკვდა მისი წარსულიც და რომ ახლა მისთვის იწყებოდა სრულიად ახალი ცხოვრება, რომელსაც ძალზე ცოტა რამ აკავშირებდა ადრინდელთან.

ქალი რაღაცნაირად აფორიაქდა. უპირველეს ყოვლისა, ათასი მანეთი გააგზავნა ათონში და ოჯახური ვერცხლეულობის ნახევარი სასაფლაოს ეკლესიას შესწირა. ცოტა მოგვიანებით თამბაქოს მოწვევაც მიატოვა და აღთქმა დადო, რომ ხორცს პირს აღარასოდეს დააკარებდა. მაგრამ ყოველივე ამას ოდნავი შვებაც არ მოუგვრია მისთვის, პარიქით, სულ უფრო უღრმავდებოდა და უძლიერდებოდა სიბერისა და სიკვდილის მოახლოების შეგრძნება. მაშინ ანა მიხაილოვნამ ქალაქში ჩალის ფასად გაყიდა სახლი და თავის მამულს ყოველად უმიზნოდ მიაშურა.

თუკი კაცს ასე იქნება თუ ისე აეკვიატება აზრი სიკვოცხლის დანიშნულებაზე და საიქიოსკენაც მოუნდება გახედვა, მას უკვე ვეღარც მსხვერპლი, ვეღარც მარხვა და ვეღარც ერთი ადგილიდან მეორეზე წანწალი დაამშვიდებს. მაგრამ, საბედნიეროდ, ანა მიხაილოვნას ჟენინოში ჩასვლისთანავე გაუღიმა ბედმა და იგი ისეთ შემთხვევას გადაყარა, რომელმაც კარგა ხნით გადაავიწყა სიბერეცა და სიკვდილის მოახლოებაც. ისე მოხდა, რომ მისი ჩამოსვლის დღეს მზარეულმა მარტინმა ორივე ფეხი დაიფუფქა. მაშინ ანა მიხაილოვნამ, გულაზიზმა და მგრძნობიარე ქალმა, საკუთარი ხელით მოჰბანა მარტინს იარები, წაუცხო ზეთსანთელა და ორივე ფეხი შეუხვია. მთელი დამე მზარეულის სასთამაღთან თეთრად გაათია. და როცა მისი წყალობით მარტინი ცოტა დამშვიდდა და ჩაეძინა, მის სულს, როგორც მერე თვითონვე ჰყვებოდა, რაღაცამ „ნათელი“ მოჰფინა. უცებ მოუჩვენა, რომ თვალწინ, თითქოსდა ხელისგულზე, წარ-

მოესახა თავისი სიცოცხლის მიზანი... გაფითრებული და თვალბანაწიანებული, მძინარე მარტინს მოწიწებით ეამბორა შუბლზე და ლოცვად დადგა. ✎

ამ დღიდან ლებუდევამ აქიძობას მიჰყო ხელი. მისი ცოდვებით საგსუ დაუდევარი ცხოვრების ჟამს, რასაც ახლა მხოლოდ ზიზღით თუ იგონებდა, იგი უსაქმურობის გამო ხშირად დაიარებოდა ექიმებთან. ამას გარდა, მის საყვარლებს შორის იყვნენ ექიმებიც, რომელთაგანაც რაღაც-რაღაცები ეწვავლა. ერთმაც და მეორემაც ახლა სწორედ რომ სულზე მოუსწრო. გამოიწერა აფთიაქი, რამდენიმე წიგნი, გაზეთი „ექიმი“ და გაბედულად შეუდგა მკურნალობას. თავდაპირველად მასთან მხოლოდ ჟენინოს მცხოვრებნი დადიოდნენ, შემდეგ კი მეზობელი სოფლებიდანაც მოაწყდა ხალხი.

— წარმოგიდგენიათ, ჩემო საყვარელო, — ჩამოსვლიდან სამიოდე თვის მერე თავს იწონებდა იგი მღვდლის ცოლთან, — გუშინ თექვსმეტი ავადმყოფი მყავდა, დღეს კი — მთელი ორი ათეული! ისე მომქანცეს, ფეხზე ძლივს ვდგავარ. წარმოგიდგენიათ, ოპიუმი სულ გამითავდა. გურინოში დეზინტერიის ეპიდემიაა!

ყოველ დღით, როგორც კი გაიღვიძებდა, მოაგონებოდა, ავადმყოფები რომ ელოდნენ და გული საამური შეგრძნებით ევსებოდა. ჩაიცვამდა და ხელდახელ დაღევდა თუ არა ჩაის, მიღებას იწყებდა. უნებლად აუწერელ სიამოვნებას ჰკვირდა მიღების პროცედურა. ჯერ ნება-ნება, თითქოს ტკბობის წუთების გახანგრძლივება უნდაო, ავადმყოფებს რვეულში იწერდა, მერე რიგის მიხედვით სათითაოდ იძახებდა. რაც უფრო მძიმე სენი სჭირდა ავადმყოფს, რაც უფრო ბინძური და შესაზიზღი იყო მისი დაავადება, მით უფრო სასიამოვნო ეჩვენებოდა თავისი საქმიანობა. არაფერი არ ანიჭებდა ისეთ კმაყოფილებას, როგორც იმის შეგნება, ამით საკუთარ გულაზიზობას ვებრძვი და თავს არ ვიბრალებო და ყველანაირად ცდილობდა რაც შეიძლება დიდხანს ეკირკიტა ჩირქოვანი ჭრილობებისათვის. იყო წუთები, როდესაც, თითქოსდა ჭრილობათა სისამაგლითა და სიმყრალით ატაცებულს, რაღაცნაირი აღმაფროთოვანებული ცინიზმი იპყრობდა, ეუფლებოდა მოუთმენელი სურვილი — ძალა დაეტანებინა თავის ხასიათზე, ბუნებაზე. ასეთ წუთებში ისე ეგონა, რომ თავისი მოწოდების სიმალლეზე იდგა. იგი აღმერთებდა თავის პაციენტებს. ქვეშეცნულად გრძნობდა, რომ ესენი იყვნენ მისი მხსნელები. გონებით კი უნდოდა მათში ცალკული პიროვნებები, მაშვრალეები კი არა, არამედ რაღაც აბსტრაქტული — ხალხი — დაენახა! ამიტომაც ექცეოდა მათ არაჩვეულებრივი სითბოთი, მოწიწებით, წითლდებოდა მათთან თავისი შეცდომების გამო და მიღებაზე ყოველთვის დამნაშავესათვის გამოიყურებოდა.

ყოველი მიღების შემდეგ, რაც ნახევარ დღეზე მეტს ართმევდა, იგი მოქანცული, დამაბულობისაგან აჭარხლებული, დაუძლურებული, ეშურებოდა კითხვით გაერთო თავი. კითხულობდა სამედიცინო წიგნებს ანდა იმ რუს ავტორებს, ვინც ყველაზე მეტად ეხმიანებოდა მის განწყობილებას.

ამ ახალი ცხოვრების წყალობით ანა მიხაილოვნამაც გაახალგაზრდავებულად, კმაყოფილად და თითქმის ბედნიერად იგრძნო თავი. მას არც უნდოდა უფრო შინაარსიანი ცხოვრება. თან კიდევ, თითქოსდა ბედნიერების დასავიროვინებლად, საქმე ისე აეწყო, რომ იგი შეურიგდა ქმარს, რომლის წინაშეც თავს ფრიად დამნაშავედ გრძნობდა. 17 წლის წინათ, ქალიშვილის შექენიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ, უღალატა თავის ქმარს, არკადი პეტროვიჩს და იძუ-

ლებული გახდა გაჰყროდა. ამის შემდეგ აღარც უნახავს იგი. კაცი სადღაც სამხრეთში, საარტილერიო ბატარეის მეთაურად მსახურობდა და იშვიათად, წელიწადში ორჯერ სწერდა ქალიშვილს წერილებს, რომელთაც გოგონა გულმოდგინედ უმაღლავდა დედას. ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ კი ანა მიხაილოვნამ მოულოდნელად ქმრის ვრცელი წერილი მიიღო. ბებრული, უძლური ხელით იწერებოდა: ერთადერთი ქალიშვილისეკიკვივდიდით დაეკარგე უკანასკნელი, რაც ცხოვრებასთან მაკავშირებდა. მთავრად ავად ვარ და სიკვდილს ენატრობ, რომლისაც ამავე დროს მეშინია კიდევცო. ჩიოდა, ყველაფერი მომბეზრდა და შემძაგდა, ხალხთან საერთო ენას ვეღარ ვპოულობ, ერთი სული მაქვს ბატარეა ჩავაბარო და აქაურობას თავი დავაღწიოთ. დაბოლოს ცოლს სთხოვდა, ღვთის გულისათვის, ილოცე ჩემთვის, თავს გაუფრთხილდი და სასოწარკვეთილებას ხუ მიეცემით. მოხუცებს შორის გაცხოველებული მიმოწერა გაჩაღდა. როგორც შემდეგი, ისეთივე ცრემლიანი და ქუში წერილებიდან ჩანდა, პოლკოვნიკი მხოლოდ ავადმყოფობასა და ქალიშვილის დაკარგვას არ შეეძრწუნებინა. იგი ვალებში ჩაფლულიყო, წაჰკიდებოდა უფროსობასა და ოფიცრობას და ისე მიეშვა საქმეები ბატარეაში, უკვე შეუძლებელი გამხდარიყო მისი გადაბარება და ა. შ. მეუღლეებს შორის დაახლოებით ორი წელი გრძელდებოდა მიმოწერა, რაც ბოლოს იმით დასრულდა, რომ ბერიკაცი სამსახურიდან გადადგა და საცხოვრებლად ქვინოში გადმობარგდა.

იგი თებერვლის ერთ შუადღეს ჩამოვიდა, როცა ქვინოველთა სახლები მაღალ თოვლს ჩაენამქრა და გამჭირვალე, ცისფერ ჰაერში მოჭახჭახე ყინვასთან ერთად სამარისებური სიჩუმე იდგა.

ანა მიხაილოვნამ, რომელიც ფანჯრიდან შესცქეროდა, როგორ გადმოდიოდა კაცი მარხილიდან, ვერ იცნო თავისი ქმარი. ეს იყო ჩია, წელში მოხრილი ბებრუცანა, სულ მთლად დაჩანჩანაკებული და მოშვებული. ანა მიხაილოვნას, პირველ ყოვლისა, თვალში ეცა მის გრძელ კისერზე ბებრული ნაოჭები და წერილი ფეხები, მუხლებში რომ რის ვაივაგლახით მართაედა და ხელოვნურს მიუგავდა. ფულის გადახდისას მეეტლეს დიდხანს უმტკიცებდა რაღაცას, ბოლოს კი გულმოსულმა გადააფურთხა.

— თქვენთან ლაპარაკიც კი გულისამრევია! — მოესმა ანა მიხაილოვნას ბებრული ჯაჯღანი. — შეიგნე, რომ უზნეობაა ზედმეტის თხოვნა! ყველამ მხოლოდ ის უნდა მიიღოს, რაც დაიმსახურა, დიახ!

როდესაც იგი წინკარში შემოვიდა, ანა მიხაილოვნამ დაინახა მისი კიბოსავით გადმოკარკლული თვალები და ჭაღარაშერეული ჟღალი, მეჩხერწვერიანი გაყვითლებული სახე, რომელიც ყინვასაც კი ვერ შეეფაკლა. არკადი პეტროვიჩმა ცალი ხელი მოხვია ცოლს და შუბლზე აკოცა. ერთმანეთს რომ შეხედეს, თითქოსდა თავისი სიბერის შეეშინდათო, საშინლად აფორიაქდნენ და დაირცხვინეს.

— რა კარგ დროს ჩამოხვედი! — დალაპარაკებას დაეშურა ანა მიხაილოვნა, — ამ წუთას გავაწყვეთ სუფრა! გემრიელად შეექცევი ნამგზავრი.

სუფრას მიუსხდნენ. პირველი კერძი უხმოდ მიირთვეს. არკადი პეტროვიჩმა ჯიბიდან სქელი საფულე ამოიღო და რაღაც ჩანაწერებს დაუწყო კირკიტა. ცოლი კი მონდომებით კმაზავდა სალათას. ორივეს ზურგზე მოსაყოლი ამბების მთელი გუდა ეკიდა, მაგრამ არც ერთს არ მოუხსნია მისთვის პირი.

ორივენი გრძნობდნენ, რომ ქალიშვილის გახსენება მწვავე ტკივილსა და ცრემლს მოჰგვრიდათ, წარსულიდან კი, როგორც ღრმა უფსკრულიდან, სულის-შემხუთველი წყვილი ილანდებოდა.

— აჰ, სულ არ ვიჭამია ხორცი! — შენიშნა არკადი პეტროვიჩმა.

— ჰო, აღთქმა მაქვს დადებული, ხორციანი არ ვჭამო... — წყნარად უბასუხა კოლმა.

— მერე რა? ეს არ ავნებს ჯანმრთელობას... ქიმიური თვალსაზრისით, რომელიც ჩვეულებით, თევზი და საერთოდ ყველაფერი სამარხვო იმავე ელემენტებისაგან შედგება, რისგანაც ხორცი. არსებითად, სამარხვო არაფერია... („რისთვის ვამბობ ამას?“ — გაიფიქრა ბერიკაცმა). მაგალითად, ეს კიტრი ისეთივე სახსნილოა, როგორც — წიწილა.

— არა... როცა კიტრს ვჭამ, ვიცი, რომ მისთვის სიცოცხლე არ წაურთმე-ეიათ, სისხლი არ დაუღვრიათ...

— ეს, ჩემო ძვირფასო, ოპტიკური სიცრუეა. კიტრთან ერთად შენ ძალზე ბევრ ინფუზორიასაც ჭამ, და თვითონ კიტრიც განა არ ცოცხლობდა? განა მცენარეც არაა ცოცხალი არსება?! განა ასეთივე არ არის თევზი?!

„რა მაღაპარკებს ამდენ სისულელეს?“ — კიდევ ერთხელ გაიფიქრა არკადი პეტროვიჩმა და მაშინვე სიტყვა იმ წარმატებებზე ჩამოავდო, რომლებსაც ახლა ქიმია აღწევს.

— საოცარია პირდაპირ! — ამბობდა იგი და თან პურს ღეჭავდა. — მაღერძეს ქიმიის საშუალებით დაამზადებენ და, მგონი, ხორცსაც მისწვდებიან! დიახ! ათასი წლის შემდეგ ყველა ოჯახში სამზარეულოს ნაცვლად ქიმიური ლაბორატორია იქნება, სადაც არაფრად ღირებული გაზებისა და მისთანებისაგან, რასაც ვნებავთ, იმას დაამზადებენ!

ანა მიხაილოვნა მოუსვენრად დაცეცებულ კიბოს თვალეში შესცქეროდა და უსმენდა. გრძნობდა, ბერიკაცი ქიმიაზე მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობდა, რომ არაფერი ეთქვა რაიმე სხვაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სამარხვოსა და სახსნილოზე ბერიკაცის თეორიამ მაინც დააინტერესა ქალი.

— გენერლად გადადექი? — ჰკითხა მან, როცა კაცი უცრად დადუმდა და ცხვირის მოხოცვა დაიწყო.

— ჰო, გენერლად... თქვენი აღმატებულება ვარ..

გენერალი მთელი სადილი შეუსვენებლად ლაპარაკობდა და ამით გამოამჟღავნა გაუთავებელი ყბელობის უნარი, რომელიც მისთვის ანა მიხაილოვნას ახალგაზრდობაში არ შეუნიშნავს. მაღერძე ამ ყბელობამ დედაბერს თავი აატკივა.

ნასადილევს კაცმა თავის ოთახს მიაშურა დასასვენებლად, მაგრამ მოქანცულობის მიუხედავად ვერა და ვერ ჩაეძინა. როდესაც დედაბერი საღამოს ჩაის წინ მასთან შევიდა, იგი საბანქვეშ მოკუნტული იწვა, თვალი ჭერისათვის მიეშტერებინა და მალიძალ ოხრავდა.

— რა დაგემართა, არკადი? — შეშინდა ანა მიხაილოვნა, როცა მისი განაცრისფერებული და დაგრძელებული სახე დაინახა.

— არა... არაფერი... — ჩაილაპარაკა კაცმა. — რევმატიზმი.

— მერედა, რატომ არ იტყვი? იქნებ მე შემიძლია რაიმეთი გიშველო!

— შეუძლებლია დახმარება...

— თუ რევმატიზმია, იოდს შეგიზილავ... სალიცილიან ნატრის დაგალე-ვინებ...

— სისულელეა ეს ყველაფერი.. რვა წელიწადი ვმკურნალობდი... — ფეხებს
 ნუ აბრაგუნებ! — უცებ დაუყვირა გენერალმა ბებერ მოახლეს და ბრაზიანად
 კადმოებრივად თვალები. — დააბრაგუნებს აქ ცხენივით!

ანა მიხაილოვნამ და მოახლემ, რომლებიც კარგა ხანია გადაჩვეულიყვნენ
 ასეთი კილოთი ლაპარაკს, ერთმანეთს გადახედეს და გაწითლდნენ. შეამჩნია რა
 მათი შეცბუნება, გენერალი შეიჭმუნა და კედლისაკენ უკანაბრუნდა.

— უნდა გაგაფრთხილო, ანიუტა... — ამოიკვნესა მან, — ანიუტა ხასია-
 თი მაქვს. მოხუცებულობაში ბუზღუნა გავხდი...

— თავს უნდა მოვერიოთ... — ამოიოხრა ანა მიხაილოვნამ.

— იოლი სათქმელია, უნდაო! არც ტკივილი უნდა იყოს, მაგრამ არ ესმის
 ბუნებას ჩვენი „უნდა“! ოჰ! ანიუტა, მარტო დამტოვე. როცა ტკივილები მაწუხებს,
 ხალხი მაღიზიანებს. მიმძიმს ლაპარაკი.

გადიოდა დღეები, კვირები, თვეები და არკადი პეტროვიჩი ნელ-ნელა შე-
 ეთვისა გარემოს: ისიც შეეჩვია და ძასაც შეეჩვივნენ. პირველ ხანებში ფეხი არ
 გაუდგამს შინიდან, მაგრამ მის სიბერესა და აუტანელ ხასიათს მთელი ფენის
 გრძნობდა. იგი ჩვეულებრივ დილაუთენია, ასე ოთხი საათისთვის, იღვიძებდა,
 დღეს იწყებდა ხმამაღლა ბებრული ხველებით, რაც ანა მიხაილოვნას და
 მთელ მსახურებს აღვიძებდა. სისხაში დილიდან სადილობამდე გაჭიანურებუ-
 ლი დრო როგორმე რომ მოეკლა, რევმატიზმი ძალიან თუ არ დაუბორკავდა ფე-
 ხებს, ოთახში დაბორივალვდა, ერთ ამბავს დააწევდა ყოველი უწესრიგობისათ-
 ვის, ყველგან და ყველაფერში რომ ეჩვენებოდა. ყველაფერი აღიზიანებდა: მსა-
 ხურის სიზარმაცე, ფეხების ბრაგუნის, მამლების ყივილი, სამზარეულოს კვამ-
 ლი, საეკლესიო ზარების რეკვა... ჯაჯღანებდა, ილანძლებოდა, აწიოკებდა მსა-
 ხურებს, მაგრამ ყოველი სალანძლავი სიტყვის შემდეგ თავში ხელს იტაცებდა
 და წუწუნით ამბობდა:

— ღმერთო, რა ხასიათი მაქვს! რა აუტანელი ხასიათი!

სადილს მაღიანად გვახლებოდათ და გამუდმებით ლაქლაქებდა. ლაპარა-
 კობდა სოციალიზმზე, ახალ სამხედრო რეფორმებზე, პიგიენაზე. ანა მიხაი-
 ლოვნა კი უსმენდა და გრძნობდა: ეს სიტყვები მხოლოდ იმიტომ წარმოითქმე-
 ბოდა, ქალიშვილსა და წარსულზე არაფერი თქმულიყო. ერთად ყოფნისას ორი-
 ვენი უხერხულად გრძნობდნენ თავს და თითქოს რცხვენოდათ კიდევ ერთიმეო-
 რისა. საღამოობით, როცა ოთახებში მწუხრი ჩამოწვებოდა და ბუზრის უკან
 ჭრიჭინა ნალვლიანად აჭრიჭინდებოდა, მხოლოდ მაშინ ქრებოდა ეს უხერხუ-
 ლობა. ისხდნენ გვერდიგვერდ, ხმისამოუღებლად, და მათი სულები თითქოს
 ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს იმაზე, რაზედაც სიტყვის დამკრას ვერ ბედაე-
 დნენ. ამ დროს ისინი სიცოცხლისეული სითბოს ნარჩენებით ათბობდნენ ერთ-
 მანეთს და მშვენივრად გრძნობდნენ, რაზეც ფიქრობდა თითოეული მათგანი.
 მაგრამ როგორც კი მსახური ლამპას შემოიტანდა, ბერიკაცი ისევ იწყებდა ლაქ-
 ლაქს ანდა ბუზღუნს უწესრიგობის გამო. რაკი არავითარი საქმე არ ჰქონდა,
 ანა მიხაილოვნას სურდა თავის სამედიცინო საქმიანობაში ჩაერთო, მაგრამ კაც-
 მა პირველსავე მიღებაზე მთქნარება დაიწყო და მოუსვენრობამ აიტანა. ვერც
 წიგნების კითხვაზე დაადებინა გული. არ შეეძლო დიდხანს, საათობით კითხვა,
 რადგან სამსახურში ნაწყვეტ-ნაწყვეტად კითხვას შესჩვეოდა. საკმარისი იყო
 სულ რაღაც 5-ნ გვერდი წაეკითხა, რომ გადაქანცულიყო და სათვალეს იხსნი-
 და.

მაგრამ გაზაფხულდა თუ არა, გენერალმაც მკვეთრად იცვალა ცხოვრების წილი. როცა საბატონო სახლიდან მწვანე ველისა და სოფლისაკენ ახლადგაკვალული ბილიკები გამოჩნდა და ფანჯრების წინ ხეებზე ჩიტები ავივრდნენ, ანა მიხაილოვნასათვის მოულოდნელად მან ეკლესიაში სიარული დაიწყო. სამლოცველოში იგი მხოლოდ პარასკევობით კი არ დადიოდა, არამედ — საქმიან დღეებშიც. ასეთი რელიგიური თავგამოდება იმ პანაშვიდიდან დასწყის, რომელიც ბერიკაცმა ცოლისაგან ფარულად გადაუხადა თავის ქალიშვილს. პანაშვიდის დროს იგი მუხლმოყრილი ქვითინებდა და ეგონა, რომ გულმხურვალედ ლოცულობდა. მაგრამ ეს ლოცვა არ იყო. იგი ღრმა მამობრივ გრძნობას მოეცვა, გონებაში აღადგენდა თავისი საყვარელი ქალიშვილის ნაკვთებს, შეპყრებდა ხატებს და ჩურჩულებდა:

— შუროჩკა! საყვარელო შვილო ჩემო! ჩემო ანგელოზო!

ეს იყო ბებრული ნადველის შემოტევა, მოხუცს კი ეგონა, რომ მასში გარდატეხა მოხდა. მეორე დღეს გულმა კვლავ გაუწია ეკლესიისაკენ, მესამე დღესაც... ეკლესიიდან გაახალგაზრდავებული, სახემოციმციმე, ღიმილგადაფენილი ბრუნდებოდა. სადილობისას მისი გამუდმებული ლაქლაქის თემა უკვე რელიგია და საღვთისმეტყველო საკითხები იყო. მასთან შესვლისას ანა მიქაილოვნამ რამდენჯერმე მიუსწრო, სახარებას რომ ფურცლავდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს რელიგიური ვატაცება დიდხანს არ გაჰყოლია. რევმატიზმის ერთ-ერთი, განსაკუთრებით ძლიერი შემოტევის შემდეგ, რომელიც მთელი კვირა გაგრძელდა, აღარ წასულა ეკლესიაში: როგორღაც არ მოაგონდა, წირვაზე რომ იყო წასასვლელი...

უეცრად საზოგადოებაში მოუნდა ყოფნა.

— უერ გამიგია, როგორ შეიძლება საზოგადოების გარეშე იცხოვრო! — აბუხლუნდა იგი. — მეზობლებს უნდა ეესტუმრო! გინდაც ეს სურვილი უაზრო იყოს, მაგრამ სანამ ცოცხალი ვარ, ამქვეყნიურ მოთხოვნებს უნდა დავემორჩილო!

ანა მიხაილოვნამ მას ეტლი შესთავაზა. ისიც დიდის ამბით ესტუმრა მეზობლებს, მაგრამ მეორედ უკვე აღარ გასჩენია მათი მონახულების სურვილი. საზოგადოებაში ყოფნის მოთხოვნილებას იმით იკმაყოფილებდა, რომ სოფელში დაბორიანდებდა და მოსვენებას არ აძლევდა გლეხებს.

ერთ დილას იგი სასადილო ოთახში გამოღებულ ფანჯარასთან იჯდა და ჩაის მიირთმევდა. ფანჯრის წინ ბაღში, იასამნისა და ხურტკბილას ბუჩქების შორიახლოს, სკამებზე ანა მიხაილოვნასთან სამკურნალოდ მოსული გლეხები ისხდნენ. ბერიკაცი დიდხანს უყურებდა მათ თვალებშიწკურული. მერე კი აჯაჯღანდა.

— Ces moujiks!... სამოქალაქო უბედურების ობიექტები... ავადმყოფობისაგან განკურნებას ჯობდა სადმე ჯანაბაში წასულიყავით და უნამუსობისა და სისამაგლისაგან განკურნებულყავით.

ანა მიხაილოვნამ, თავის პაციენტებს რომ აღმერთებდა, შეწყვიტა ჩაის დასხმა და გაოცებული მიაჩერდა ბერიკაცს. პაციენტებიც, რომელთაც ლებედევას სახლში აღერსისა და ღრმა თანაგრძნობის მეტი არაფერი უგრძნიათ, გაოცდნენ და ფეხზე წამოდგნენ.

¹ ეს გლეხკაცები (ფრანგ.).

— დიახ, ბატონო გლეხკაცებო... ces moujiks... — განაგრძობდა გენერალი. — მე თქვენ მანცვიფრებთ, დიდად მანცვიფრებთ! განა პირუტყვები არ არიან? — მიუბრუნდა ბერიკაცი ანა მიხაილოვნას. — სამაზრო ერთბამ მათ შვრია ასესხა სათესლედ, ესენი კი აღგნენ და ეს შვრია სასმელში დაამღერეს. ერთი და ორი კი არა, ყველანი გამოტყვერნენ! მიკიტნებმა აღარ იცოდნენ, სად წაედლოთ შვრია... კარგია ეს? — მიუბრუნდა გენერალი გლეხებს: — კარგია?

— მოეშვი, არკადი! — წაიჩურჩულა ანა მიხაილოვნამ.

— თქვენ გგონიათ, ერობას ეს შვრია მუქთად მოუვიდა? როგორი მოქალაქეები ხართ ამის შერე, თუკი პატივს არ სცემთ არც თქვენს, არც სხვის და არც საზოგადოებრივ საკუთრებას? აი, შვრიას წირვა გამოუყვანეთ. ტყე გაჩებეთ და ისიც სასმელში დაამღერეთ... იპარავთ ყველაფერს... ჩემი ცოლი ვმკურნალობთ, თქვენ კი მას ღობე აწაპნეთ... კარგია ეს?

— გეყოფა! — დაიკვნესა გენერლის ცოლმა.

— დროა გონს მოვეოთ... — განაგრძობდა ჯაჯლანს ლებედევი. — კაცს შერცხვება თქვენი შეხედვა! აი, შენ, შენ, წითურო, სამკურნალოდ რომ მოსულხარ — ფეხი გტკივა? — იმაზე კი არ შეგიწუხებია თავი, ფეხი შინ დაგებანა... ერთი გოჯა ტალახი გადევს... იმედი გაქვს, უმეცარო, რომ აქ დაგბანენ! თავში ჩაიჭედეს, ces moujiks ვართო და ჰგონიათ, უფლება აქვთ, ხალხს კისერზე წამოასხდნენ და თავიანთ ნებაზე ატარონ. მღვდელმა ჯვარი დასწერა ვიდაც თეოდორეს, აქაურ დურგალს, დურგალს კი მისთვის კაპიკიც არ მიუცია. სიღარიბეს რა ვუთხარი, არ შემიძლიაო, — ამბობს!.. კი ბატონო, ასე იყოს, მაგრამ როცა მღვდელმა ამ თეოდორეს წიგნის თარო შეუკვეთა... როგორ გგონიათ? ერთი ხუთჯერ მაინც მიაკითხა მღვდელს გასამრჯელოსათვის! რას იტყვიოთ, პირუტყვი არ არის? თვითონ კი მღვდლისთვის კაპიკიც არ მიუცია, მაშ...

— მღვდელს ისედაც ბევრი ფული აქვს... — ყრუდ ჩაიბურტყუნა ერთმა პაციენტმა.

— შენ საიდან იცი? — წამოხტა გაცეცხლებული გენერალი და ფანჯარაში გადმოეყუდა — შენ რა, ჯიბეები გაუჩხრიკე მღვდელს? მილიონურიც რომ იყოს, სხვისი ნაშრომი მუქთად მაინც არ უნდა მიითვისო! თვითონ არაფერს აკეთებ მუქთად, მაშ მუქთად ნულარც სხვებისგან მოითხოვ! ვერც წარმოიდგენ, რა საზიზღრობა ხდება ამათთან! — მიუბრუნდა გენერალი ანა მიხაილოვნას. — ერთი განახა მაგათი სასამართლოები და ყრილობები! ავაზაკები არიან ყველანი!

მიღება უკვე დაიწყო, გენერალი კი მაინც არ ცხრებოდა — შარს სდებდა ყოველ ავადმყოფს, დასცინოდა, ყველანაირ ავადმყოფობას, ლოთობას და გარყვნილებას აბრალებდა.

— ერთი შეხედეთ, რა გამხდარია! — მკერდში ატაკა თითი ერთ-ერთს. — შერედა რისგან? არაფერი აქვს საჭმელი! ყველაფერი სასმელს გადააყოლა! განა შენ არ გამოუყვანე წირვა /საერობო შვრიას?

— თქმა რად უნდა, ბატონების ხელში უკეთ ვიყავით. — ამოიოხრა ავადმყოფმა.

— ცრუობ! იტყუები! — აენტო გენერალი, — ამას ხომ გულწრფელად კი არა, საპირფეროდ ამბობ!

მეორე დღეს გენერალი კვლავინდებურად ფანჯარასთან იჯდა და ავადმყოფებს აღიაში ატარებდა. ამან ისე გაიტაცა, ახლა უკვე ყოველდღე ფანჯა-

რასთან ეყუდა. ანა მიხაილოვნამ ნახა რა, მეუღლე არ ცხრებოდა, ბელელში და-
იწყო ავადმყოფების მიღება, მაგრამ გენერალი მალე ბელელსაც მისწვდა. დედა-
ბერი შორჩილად იტანდა ამ „უბედურებას“ და პროტესტს მხოლოდ იმით გა-
მოხატავდა, რომ წითლდებოდა და ფულს ურიგებდა გაღანძვულ ავადმყოფებს.
მერე კი, როცა ავადმყოფებმა, რომელთაც არაფრად ეპიტნავენოდათ გენერალი,
ნელ-ნელა უკლეს მასთან სიარულს, ქალმა ველარ მოითმინა და ერთხელ სადი-
ლობისას, როდესაც გენერალმა მწარედ იხუმრა ავადმყოფებზე, ქალს უცებ
თვალეში სისხლი მოაწვა და სახე სვერდზე მოექცა.

— ძალიან გახვავ, თავი დაანებო ჩემს ავადმყოფებს, — მკაცრად თქვა ქალ-
მა. — თუ მაინცდამაინც ვინდა ბოლშა ვინძეზე გადმოანთხიო, მე მღანძლე, მაგათ
კი თავი დაანებე. სწორედ შენი წყალობით მიატოვეს ჩემთან სიარული.

— აჰა, მიატოვეს! — ჩაიღიმა გენერალმა. — ეწყინათ! იუპიტერო, შენ
ბრაზდები, მაშასადამე, მართალი არ ხარ. ჰო-ჰო. ეს კი, ანიუტა, კარგია, სია-
რული რომ მიატოვეს... დიდად მოხარული ვარ... შენს მკურნალობას ხომ ზია-
ნის გარდა არაფერი მოაქვს! იმის მაგივრად, საერობო საავადმყოფოში ექიმ-
თან იმკურნალონ მეცნიერულად, შენთან დადიან, რათა ყველაფერს სოდითა
და სასაქმებელი ზეთით უწამლონ. დიდად საზიანოა!

ანა მიხაილოვნა დაკვირვებით შეაქქერდა ბერიკაცს, ჩაფიქრდა და უცებ
გაფითრდა.

— რა თქმა უნდა, — განაგრძობდა ყბელობას გენერალი. — მედიცინაში
პირველ დიგში ცოდნაა საჭირო და მერე — ფილანტროპია. ცოდნის გარეშე
კი იგი მხოლოდ შარლატანობაა... ისე, არც კანონით გაქვს მკურნალობის უფ-
ლება. ჩემი აზრით, ავადმყოფს უფრო არგებ, თუკი წამლობის ნაცვლად კინ-
წისკვრით გააგდებ ექიმთან.

გენერალი წამით გაჩუმდა და შემდგომ განაგრძო:

— თუ არ მოგწონს ჩემი დამოკიდებულება, კი ბატონო, ხმას აღარ ამოვი-
ღებ. სხვათა შორის, სინდისიერად რომ განვსაჯოთ, მათ მიმართ გულახდილო-
ბა გაცილებით სჯობს გაჩუმებას და მოწიწებას. ალექსანდრე მაკედონელი დიდი
ადამიანია, მაგრამ, მოდი, სკამებს ნუ დაუამტვრევთ. ასევე რუსი ხალხიც დიდი
ხალხია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, სიმართლე არ უთხრა პირში. არ შეიძლება
ხალხი ფინიად აქციო. ეს ces moujiks ისეთივე ხალხია, როგორებიც მე და შენა
ვართ, მათაც ჩვენნაირი ცოდვები მოსდევთ. ამიტომაც კი არ უნდა ილოცო
მათზე და ელოლიაუო, არამედ უნდა ასწავლო, გამოასწორო... შთააგონო...

— ჩვენ როდი გვმართებს მათი სწავლება... — ჩაიბუტბუტა გენერლის
ცოლმა. — თვითონვე უნდა ვისწავლოთ მათგან.

— მაინც რა?

— განა კვოტა რამ... აი, თუნდაც... შრომისმოყვარეობა.

— შრომისმოყვარეობა? აჰ? შენ ამბობ, შრომისმოყვარეობაო?

გენერალს სული შეეგუბა, მაგიდიდან წამოხტა და ოთახში ბოლთას მო-
ჰყვა.

— მე რა, არ ვშრომობდი? — აენტო იგი. — სხვათა შორის... მე ინტე-
ლიგენტი ვარ, მე moujik არა ვარ, სად უნდა ვიშრომო? მე... მე ინტელიგენტი
ვარ!

ბერიკაცი მართლა განაწყენდა და სახეზე მამლაყინწურ-ჟინიანი გამომეტ-
ყველება აღებუჭდა.

— ჩემს ხელში ათასობით ჯარისკაცმა გაიარა. ომმა გამხადა ხეიბარი, სამუდამოდ ავიკიდე რევმატიზმი... და ჩემზე შეიძლება ითქვას, არ უშრომია?! იქნებ მირჩევ, ამ შენი ხალხისგან ვისწავლო ტანჯვა? ან იქნებ არასოდეს მიტანჯია? დაკარგე ღვიძლი ქალიშვილი... ის, ვინც ამ დაწყევლულ სიბერეში კიდევ მაკავშირებდა სიცოცხლესთან! და მე არ მიტანჯია!

მოხუცები ატირდნენ ქალიშვილის უეტარ გახსენებებზე და ხელახლოებით დაიწყეს ცრემლების შემშრალება.

— მაშ, ჩვენ არ გვიტანჯია! — სლუკუნებდა გენერალი და ცრემლი დაბალუპით ჩამოსდიოდა. — მათ აქვთ სიკოცხლის მიზანი... რწმენა, ჩვენ კი მხოლოდ ეჭვები... ეჭვები და საშინელების განცდა! ჩვენ არ ვიტანჯებით!

ორივე მოხუცმა სიბრალული იგრძნო ერთმანეთისადმი. გვერდიგვერდ დასხდნენ, მიეკერნენ ერთმანეთს და ერთად იტირეს მთელი ორი საათი. ამის მერე უკვე თამამად უყურებდნენ ერთმანეთს თვალებში და თამამადვე ლაპარაკობდნენ ქალიშვილზე, წარსულზე და იმაზე, რასაც მომავალი უქადავდა.

სადამოს ერთ ოთახში დაწვნენ დასაძინებლად. ბერიკაცი ენაგაუჩერებლად ლაქლაქებდა და არ აძინებდა ცოლს.

— ღმერთო, რა ხასიათი მაქვს! — ამბობდა იგი, — აბა, რისთვის ვითხარი ეს ყველაფერი? ეს ხომ ილუზია იყო, ადამიანისათვის კი, განსაკუთრებით სიბერეში, ბუნებრივია ილუზიით ცხოვრება. ჩემი ყბედობით წავართვი უკანასკნელი ნუგეში. გგონებოდა და სიკვდილამდე გემკურნალა გლეხებისათვის, არ გეჭამა ხორცი. არა, მაინც რა ეშმაკი ძალაპარაკებდა! წარმოუდგენელია ილუზიის გარეშე... ისეც ხდება, მთელი სახელმწიფოები ცხოვრობენ ილუზიით... გამოჩენილი მწერლები ხომ ასეთი ჭკვიანები არიან, მაგრამ ისინივე ვერ ძლებენ უილუზიოდ. აი, შენმა მოწონებულმა შვიდი ტომი დაწერა „ხალხზე“.

ერთი საათის შემდეგ იგი ლოჯინში წრიალებდა და ამბობდა:

— რატომ მაინცდამაინც სიბერეში აკვირდება ადამიანი თავის შეგრძნებებს და აკრიტიკებს თავის ქცევას? რატომ არ შეიძლება, ახალგაზრდობაშიც ასე მოიქცეს? სიბერე ხომ უამისოდ აუტანელია... ჰო... უკვალოდ გადის ახალგაზრდობაში მთელი ცხოვრება. ოდნავ თუ შერჩება რაიმე ცნობიერებას, სიბერეში კი ყოველი უმცირესი შეგრძნებაც ღურსმანივით ჩაგვეჭედება თავში და უამრავ კითხვას აღვიძრავს...

მოხუცებმა გვიან დაიძინეს, მაგრამ ადრე აღვნიხნენ. საერთოდ, მას მერე, რაც ანა მიხაილოვნამ თავი მიანება მკურნალობას, ცოტა ეძინათ და ცუდადაც. ამის გამო ცხოვრება ერთი-ორად უფრო გრძელი ჩანდა... ღამეები ლაპარაკში გაჰყავდათ, დღისით კი უსაქმოდ დაფიქრობდნენ ოთახებში ან ბაღში და ერთმანეთს თვალებში კითხვით მისჩერებოდნენ.

ზაფხულის მიწურულს განგებამ მოხუცებს კიდევ ერთი ახალი ილუზია გამოუგზავნა. ერთხელ ანა მიხაილოვნა ქმართან შევიდა ოთახში და საოცარი საქმიანობისას წაასწრო: იგი მაგიდასთან იჯდა და ხარბად შეექცეოდა კანაფის ზეთმოსხმულ ბოლოკს. სახეზე ყველა ძარღვი უთამაშებდა და პირის კუთხეებიდან დორბლი ჩამოსდიოდა.

— ერთი გასინჯე, ანიუტა! — შესთავაზა მან. — დიდებული რამაა!

ანა მიხაილოვნამ გაუბედავად მოსინჯა ბოლოკი და ჭამა დაიწყო. მალე მასაც სახეზე სიხარბე აღებეჭდა...

— იცი, კარგი იქნებოდა... — იმავე დღეს ამბობდა გენერალი — ძილის

წინ, — კარგი იქნებოდა ურეზივით ქარიყლაპიასათვის მუცელი გაგვეფატრა, ქვირილი ამოგვეცალა და იცი, მწვანე ხახვთან ერთად... ცოცხლად...

— მერედა რა? ქარიყლაპიას დაჭერა არ უნდა!

ტანზე გახდილი გენერალი ფეხშიშველა გაემართა სამზარეულოსკენ, გააღვიდა მზარეული და ქარიყლაპიას დაჭერა უბრძანა. დილით ანა მიხაილოვნას უეცრად ზურგიელი მოუხდა და მარტინიც ზურგიელისათვის ცხენით გაამგზავრეს ქალაქს.

— აჰ, — შეკრთა დედაბერი, — დამავიწყდა დამებარებინა, ბარემ პიტნის კვერებიც ეყიდა! რატომღაც ტკბილეული მომინდა.

მოხუცები პირის გემოს მიეცნენ. სულ სამზარეულოში იხდნენ და ერთმანეთს ასწრებდნენ ახალ-ახალი საჭმელების გამოგონებას. გენერალი ტვინს იჭყლეტდა, იხსენებდა თავის ყაზარმულ მარტოხელა ცხოვრებას, როდესაც თვითონვე უწევდა მზარეულობა და კერძების გამოგონება... მათ მიერ გამოგონებულ საჭმელთაგან ორივეს განსაკუთრებით ბრინჯით, გახეხილი ყველით, კვერცხითა და შემწვარი ხორცის წვენიდან დამზადებული საჭმელი მოეწონა... უხვად შეკმაზული პილპილით და დაფნის ფოთლით.

უკანასკნელი „ილუზია“ პიკანტური კერძით დამთავრდა. სწორედ ის აღმოჩნდა ორივესათვის ცხოვრების უკანასკნელი სიამოვნება.

— ალბათ იწვიმებს, — ამბობდა სექტემბრის ერთ დამეს გენერალი, რომელსაც რევმატიზმის შეტევა ეწყებოდა — არ უნდა მეჭამა დღეს ამდენი ბრინჯი... სუნთქვა მიჭირს!

გენერლის ცოლი საბანზე გამხლართულიყო და მძიმედ სუნთქავდა, სული ეხუთებოდა. მასაც ბერიკაცივით გულის კოვზი ეწვოდა.

— ამასთან ერთად, ეშმაკმა დალახვროს, ფეხებიც მეჭავება... — ბუზღუნებდა ბერიკაცი. — ქუსლებიდან მუხლებამდე ქავილმა ამიტანა... ტკივილი და ქავილი... აუტანელია, ეშმაკმა დალახვროს! თუმცა ლაპარაკით არ გაძინებ... მაპატიე...

საათზე მეტი გავიდა ღუმელში ანა მიხაილოვნა ნელ-ნელა შეეჩვია გულის კოვზთან წვას და ღრმად ჩაეძინა. ბერიკაცი საწოლზე წამოჯდა, თავი მუხლებზე დააყრდნო და დიდხანს იჯდა ასე. მერე ფეხების ფხანა დაიწყო. რაც უფრო გულმოდგინედ იფხანდა ფრჩხილებით, მით უფრო მეტად ეჭავებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ საწოლიდან ჩამოძვრა და ბობლიალი დაიწყო ოთახში. მერე ფანჯარაში გაიხედა... იქ, ფანჯრის მიღმა, მთვარის ნათელ შუქზე შემოდგომის სუსხი თანდათან თავის არტახებში ატყვევდა სულთმობრძავ ბუნებას. ჩანდა, ნაცრისფერი ცივი ნისლი როგორ ეკონებოდა ფერგატრეცილ ბალახს და როგორ ფხიზლობდა დამზრალი ბუნება, როგორ კრთებოდა იგი ჯერ კიდევ შემორჩენილი ყვითელი ფოთლებით.

გენერალი იატაკზე დაჯდა, ხელები მუხლებს შემოხვია და თავი ზედ დააყრდნო.

— ანიუტა! — დაუძახა.

დედაბერი გადმობრუნდა და თვალეხი გაახილა.

— იცი, რას ვფიქრობ, ანიუტა, — დაიწყო ბერიკაცი. — გძინავს? ვფიქრობ, სიბერის ყველაზე ბუნებრივი შინაარსი შვილები უნდა იყვნენ... შენ რას ფიქრობ? მაგრამ რაკი შვილები არა გყავს, ადამიანმა რაღაც სხვა რამეს უნდა მოჰკიდო ხელი... კარგი იქნებოდა სიბერეში მწერალი, მხატვარი, მეცნიერი გა-

მხდარიყავი... ამბობენ, როცა საქმე არაფერი აქვს, გლადსტონი ძველ კლასიკოსებს სწავლობს და ამით იქცევს თავსო. თუ სამსახურიდანაც გამოაგდებენ, მაშინაც შეძლებს ამით თავი შეიქციოს. კარგია ასევე მისტიციზმით გატაცება ან....

ბერიკაცმა ფეხები მოიფხანა და განაგრძო:

— ხანდახან ისეც ხდება, რომ მოხუცები ბავშვობის უბრაულობებიან. იცი, მაშინ გინდება ხეები დარგო, ორდენები ატარო... სპირიტუალური მიმართულებები....

დედაბრის ხელი ფშვინვა მოისმა. გენერალი წამოდგა და ისევ ფანჯარაში გაიხედა. ყინვა ქუშად ითხოვდა ოთახში შემოსვლას, ნისლი კი უკვე ტყისაკენ მიცოცავდა და გარს ეხვეოდა ხეებს.

„რამდენი თვეაა გაზაფხულამდე? — ფიქრობდა ბერიკაცი და შუბლი ცივი მინისთვის მიეყრდნო. — ოქტომბერი... ნოემბერი... დეკემბერი... ექვსი თვე!“

და ეს ექვსი თვე რატომღაც უსასრულოდ გრძელი, მისი სიბერესავით გრძელი ეჩვენა. ოთახში კოჭლობით გაიარ-გამოიარა, და საწოლზე ჩამოჯდა.

— ანიუტა! — დაუძახა.

— რა იყო?

— აფთიაქი ჩაკეტილი გაქვს?

— მერედა რა?

— არაფერი... იოდით მინდა ფეხები დავიზილო.

ისევ ღუმილი ჩამოწვა.

— ანიუტა! — გააღვიძა ცოლი ბერიკაცმა.

— რა?

— წამლის შუშებს ხომ აწერია?

— კი, კი.

გენერალმა ძლივძლივობით აანთო სანთელი და გავიდა.

მთვლემარე ანა მიხაილოვნას დიდხანს ესმოდა შიშველი ფეხების ტყაპუნი და წამლის შუშების წკარუნი. ბოლოს კაცი დაბრუნდა, წამოიყიყინა და დაწვა.

ღილით არ გაუღვიძია. ანა მიხაილოვნამ ვერც გაიგო, თავისით მოკვდა, თუ იმიტომ, რომ აფთიაქს მიაკითხა. თუმცა ქალს არც ეცხელა სიკვდილის მიზეზის საძიებლად...

იგი ისევ რალაცნაირად აფორიაქდა და აჩქარდა. და დაიწყო ისევ შეწირულობანი, მარხვები, სადილები, სალოცავად წასვლის სამზადისი...

— მონასტერში! — ჩურჩულებდა ქალი და შეშინებული ბებერ მოახლეს ეკვროდა. — მონასტერში!

უბედურება

ნოტარიუს ლუბიანცევის ცოლი სოფია პეტროვნა, ოცდახუთიოდე წლის ახალგაზრდა ლამაზი ქალი, აგარაკზე თავის მეზობელთან, ნაფიც ვეჟილ ილინთან ერთად ხელა მიაბიჯებდა ტყის ნაკაფში. საღამოს მეხუთე საათი იქნებოდა. ნაკაფის თავზე თეთრი, ფუმფულა ღრუბლები შეჯგუფულიყვნენ; ქვემოთ აქა-იქ ცის კაშკაშა, ცისფერი ნაფლეთები მოჩანდნენ. ღრუბლები ისე უძრა-

ვად იყვნენ, თითქოს ძალადი ბებერი ფიჭვების კენწეროებს წამოსდებიანო. სიჩუმე და დახუთული ჰაერი ჩამოწოლილიყო.

მოშორებით ნაკაფს არცთუ ძალადი სარკინიგზო მიწაყრილი კვეთდა, სადაც ახლა რატომღაც თოფიანი გუმაგი მიმოდიოდა. იქვე, — მიწაყრილს გადაღმა, თეთრად ელვარებდა დიდი, ექვსგუბბათიანი ეკლესია, რომელსაც სახურავი ჩაქანგოდა.

— არ მოველოდი თქვენთან აქ შეხვედრას, — ამბობდა სოფია პეტროვნა, რომელიც მიწას ჩასწვრივობდა და ქოლგის წვერით შარშანდელ ფოთლებს ქექავდა, — და ახლა მიხარია, რომ შეგხვდით. სერიოზულად და საბოლოოდ უნდა მოგელაპარაკოთ. თუკი ნამდვილად გიყვარვართ და მაფასებთ, ივან მიხაილოვიჩ, გთხოვთ, ნულა დამსდევთ ჩრდილივით, რაღაც სხვანაირი თვალთ მიმხერთ, სიყვარულს მიხსნით, უცნაურ წერილებს მწერთ და... და არ ვიცო, როდის მოვლება ყოველივე ამას ბოლო. ღმერთო ჩემო, რით უნდა დამთავრდეს ეს?

ილინი ღუძღა. სოფია პეტროვნამ რამდენიმე ნაბიჯი გაიარა და განაგრძო: — ხუთი წელია გიცნობთ, რაღაც ორ-სამ კვირაში კი ასე მკვეთრად შეიცვალეთ. ვეღარ გცნობთ, ივან მიხაილოვიჩ.

სოფია პეტროვნამ ცერად გახედა თავის თანამგზავს. ის კი, თვალმოწკურული, ყურადღებით უცქეროდა ფუმფუშა ღრუბლებს. სახე გაგულისებული, ჟინიანი და დაბნეული ჰქონდა, ისეთი, როგორიც აქვს ადამიანს, რომელიც იტანჯება სისულელეების მოსმენით, მაგრამ იძულებულია მაინც ისმინოს.

— საოცარია, თვითონვე როგორ ვერ ხვდებით, — განაგრძნობდა ლუბიანცევა და მხრებს იჩეჩდა. — გაიგეთ, რომ ეს არცთუ ლამაზია თქვენი მხრიდან. მე ქმარი მყავს, მიყვარს და პატივს ვცემ ჩემს ქმარს... მყავს ქალიშვილი... ნუთუ არაფრად ავდებთ ამას? ესეც არ იყოს, თქვენ, როგორც ჩემმა ძველმა მეგობარმა, იცით, როგორ ვუყურებ მე ოჯახს... საერთოდ, ოჯახურ ყოფას...

ილინმა წყენით ჩაახველა და ამოიოხრა.

— ოჯახური ყოფა.. — ჩაიბურტყუნა, — ო. ღმერთო ჩემო!

— დიახ, დიახ... მე მიყვარს ქმარი, პატივს ვცემ და, ყოველ შემთხვევაში, ვუფრთხილდები ოჯახურ სიმშვიდეს. უწინ საკუთარ სიცოცხლეს გავწირავ, ვიდრე ანდრეისა და მისი გოგონას უბედურების მიზეზი გავხდებოდე... და გთხოვთ, ივან მიხაილოვიჩ, ღვთის გულისათვის, თავი დამანებოთ. ვიყოს ძველებურად კეთილი და კარგი მეგობრები და ნუ გამაგონებთ ამ აქსა და ოჰს, რაც სულაც არ გიხდებათ. მორჩა და გათავდა! აწი სიტყვაც აღარ გავიგონო ამაზე. მოდით, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

სოფია პეტროვნამ კვლავ გააპარა თვალი ილინისაკენ. ილინი ზემოთ იყურებოდა, გაფითრებული და გაჯავრებული იკვნეტდა ათრთოლებულ ტუჩებს. ლუბიანცევა ვერ მიმხვდარიყო, რაზე მოხდიოდა გაცს გული და რა აშფოთებდა, მაგრამ მისმა სიფითრემ გული მოუღებო.

— მოდით, ნუ ჯავრობთ, ვიყოს მეგობრები... — დაუყვავა ქალმა. — თანახმა ხართ? აი, ჩემი ხელი.

ილინმა მისი პატარა, ფუნჩულა ხელი ორივე ხელში მოიქცია, მოეალერსა და ნულა მიიტანა ტუჩებთან.

— გიძნაზიელი როდი ვარ, — ჩაიბუტბუტა — სრულებითაც არ მიზიდავს საყვარელ ქალთან შეგობრობა.

— კმარა! კმარა! ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია! აგერ მერხთან მივსულვართ. მოდით, ჩამოვსხდეთ...

სოფია პეტროვნას სულს მოსვენების სასიამოვნო გრძნობა ეუფლებოდა. უკვე ითქვა ყველაზე ძნელი და საჩოთირო სათქმელი. გონიერად დასაბუთებულად გადაწყდა საკითხი, რომელიც აწვალებდა. ახლა უკვე შეეძლო თავისუფლად ამოესუნთქა და თვალი გაესწორებინა ილინისათვის. იგი შესცქეროდა მას და სასიამოვნოდ ელაციცებოდა მასზე შეყვარებულ მამაკაცზე უპირატესობის ეგოისტური გრძნობა. მოსწონდა, როგორ მორჩილად მიუჯდა გვერდით და თავი ჩაქინდრა ამ ძლიერმა, გოლიათური აღნაგობის გონიერმა, განათლებულმა და, როგორც ამბობენ, ნიჭიერმა კაცმა, რომელსაც ვაჟკაცურ, გაჯავრებულ სახეს დიდი შავი წვერი უმშვენებდა. ორი-სამი წუთი ჩუმად ისხდნენ.

— ჯერ არც არაფერი გადაწყვეტილა და არც მორჩენილა... — დაიწყო ილინმა. — თითქოსდა ანაბანას მიკითხავთ: „მიყვარს და პატივს ვცემ ქმარს... ოჯახურ ყოფას“. ყველაფერი ეს უთქვენოდაც ვიცი და უფრო მეტიც შემიძლია გითხრათ. გულწრფელად და პატიოსნად გეუბნებით, რომ ჩემს ქცევას ბოროტებად და უზნეობად მივიჩნევ. რაღა უნდა იყოს ამაზე უარესი. მაგრამ რა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რაც საქვეყნოდ ცნობილია? ცარიელი სიტყვებით გამასპინძლებას, ჯობდა, გესწავლებინათ, რა გზას დავდგომოდი!

— უკვე გითხარით: გაემგზავრეთ—მეთქი!

— მშვენივრად იცით, რომ უკვე ხუთჯერ გავემგზავრე და ხუთჯერვე შუა გზიდან მოვბრუნდი. შემიძლია პირდაპირი დანიშნულების ბილეთებიც გიჩვენოთ — ყველანი შენახული მაქვს. არ შემიძლია თქვენგან გაქცევა. ვებრძვი, საშინლად ვებრძვი ჩემს თავს, მაგრამ რა ოხრად ვაგლივარ, თუკი გრძნობას ვერ მოვერიე, თუკი სუსტი, სულმოკლე ვარ! ბუნებასთან ვერაფერი გავაწყვე. გესმით? ვერ შევძელი! მე გაერბივარ, ის კი კაბის კალთაზე მამამს. უხამსი, სამაგელი უძღურება!

ილინი წამოწითლდა, ადგა და მერხის წინ დაიწყო აქეთ-იქეთ სიარული.

— ქოფაკი ძალღვივით გავხდი! — იმეორებდა და მუშტებს კუმშავდა — ვერ ვიტან და მძულს საკუთარი თავი! ღმერთო ჩემო, გარყვნილ ბიჭივით დავედევ კულში სხვის ცოლს, ვწერ იდიოტურ წერილებს, თავს ვიმცირებ... ეეჰ!

ილინმა თავში იტაცა ხელი, რაღაც წაიბურტყუნა და დაჯდა:

— ამას კიდევ თქვენი არაგულწრფელობა ემატება! — განაგრძო მან მწარედ: — თუ თქვენ წინააღმდეგი ხართ ჩემი უღამაზო თამაშისა, მაშინ რატომღა მოხვედით აქ? რატომღა მოგიწევდათ აქეთ გული? წერილებში გახივით მხოლოდ გადაჭრილ, პირდაპირ პასუხს — ჰო თუ არა, თქვენ კი პირდაპირი პასუხის ნაცვლად ყოველდღე ჩემთან „უცაბელი“ შეხვედრებისას ბანზე მიგდებთ სიტყვას და საღეთო მცნებებით მიმასპინძლდებით!

ლუბიანცევა შეშინდა და წამოენთო. უეცრად ისეთი უხერხულობა იგრძნო, როგორიც ეუფლებათ წესიერ ქალებს, როცა ჩაუცმელებს შემთხვევით შეუსწრებენ.

— თქვენ, მგონი, ეჭვობთ, თითქოს ჩემი მხრიდან თამაშს ვეწეოდე... —

წაიღულღულა მან, — მე ყოველთვის გაძლეკდით პირდაპირ პასუხს... და დღესაც გთხოვთ!

— აჰ, განა ასეთ რამეებზე თხოვენ? თავიდანვე რომ გეტყვათ, „მომწყვდიტ თავიდან!“ — კარგა ხნის წინათ აღარ ვიქნებოდი აქ, მაგრამ ეს არ გითქვამთ ჩემთვის. ერთხელაც არ გიპასუხნიათ ჩემთვის პირდაპირ. უცნაური ორჭოფობაა! ღმერთმანი, თქვენ ან მეთამაშებით, ანდა...

ილინმა არ დაამთავრა და თავი მუშტებში ჩარგო. სოფია პეტროვნამ საკუთარ საქციელს თავიდან ბოლომდე თვალი გადაავლო. მოიგონა, მთელი დღეების განმავლობაში არათუ საქმით, არამედ თავის ფარულ ფიქრებშიც კი როგორი წინააღმდეგი იყო ილინის არშეყოებისა, მაგრამ ამავე დროს იგრძნო, რომ ვექილის სიტყვებში ერთგვარი სიმართლეც ერია. პოდა, რაკი არ იცოდა, როგორი იყო ეს სიმართლე, აღარ იცოდა, რა ეთქვა ილინისთვის მისი საყვედურის პასუხად. არადა, გაჩუქება უხერხული იყო და ქალმა მზრების აჩენვით თქვა:

— თურმე დამნაშავეც ვყოფილვარ.

— დანაშაულად არ გითვლით თქვენს არაგულწრფელობას, — ამოიოხრა ილინმა. — ეს ისე, სიტყვამ მოიტანა... თქვენი არაგულწრფელობა ბუნებრივობაა და ჩვეულებრივი ამბავიც. ყველამ რომ მოილაპარაკოს და უცებ ყველა გულწრფელი გახდეს, მაშინ ყველაფერი უკუღმა წაუვიდოდათ...

სოფია პეტროვნას ფილოსოფიისათვის არ ეცხელა, მაგრამ გაუხარდა, საუბრის სხვა თემაზე გადატანის საშუალება რომ მიეცა, და იკითხა:

— ეს რატომ?

— რატომ და გულწრფელები მხოლოდ ეელურები ანდა პირუტყვები არიან. რაკი ცივილიზაციამ ცხოვრებაში იმისთანა კომფორტის მოთხოვნილება გააჩინა, როგორც, მაგალითად, ქალის კდემამოსილებაა, აქ გულახდილობას უკვე აღარაფერი ესაქმება...

ილინმა ხელჯობით გულმოსულად მოჩინქნა სილა, ლუბიანცევა უსმენდა. ბევრი არაფერი ესმოდა, მაგრამ მისი საუბარი მაინც მოსწონდა. ყველაზე მეტად ის იზიდავდა, რომ მასთან, ჩვეულებრივ ქალთან, ეს ნიჭიერი კაცი „ჭკვიანურ საკითხებზე“ მსჯელობდა. დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა იმის ყურებაც, როგორ ეცვლებოდა კაცს ვაფითრებული, ცოცხალი და ჯერ კიდევ განაწყენებული ახალგაზრდული სახე. ბევრი რამ არ ესმოდა, მაგრამ მისთვის ნათელი იყო თანამედროვე ადამიანის ეს ღამაზა სითამამე, როცა იგი დაუფიქრებლად და წარბშეუხრელად წვევტდა დიდ პრობლემებს და აყალიბებდა საბოლოო დასკვნებს. ქალი უეცრად მიხვდა, რომ მოწონებით შესცქეროდა კაცს, და შეეშინდა.

— მომიტევეთ, მაგრამ არ მესმის, — დაეშურა ქალი აზრის გაცხადებას, — რატომ ჩამოაგდეთ სიტყვა არაგულწრფელობაზე? კიდევ ერთხელ გიმეორებთ ჩემს თხოვნას: მომასვენეთ, იყავით ჩემი კარგი, კეთილი მეგობარი! გულწრფელად გთხოვთ!

— კარგი, ისევ შევებრძოლები თავს! — ამოიოხრა ილინმა. — ძალას არ დავიშურებ. ოღონდ საეჭვოა, რაიმე გამომივიდეს ამ ჩემი ბრძოლიდან. ან ტყვეას ვიკრავ შუბლში, ანდა... ღოთობას დავიწყებ ყველაზე სულელურად. სასიკეთო არაფერი მელის. ყველაფერს აქვს თავისი ზღვარი, მათ შორის ბუნებასთან ბრძოლასაც. მითხარით, რანაირად შეიძლება სიგიჟეს ებრძოლო?

თუ ღვინოს დაღვევ, როგორღა მოთოკავ აღგზნებას? რა ვქნა, თუკი თქვენი ხატება შეეზარდა ჩემს სულს და განუყრელად დღე და ღამე თვალწინ მიდგას ამ ფიჭვივით? აბა მასწავლეთ, როგორი გპირობა უნდა ჩავიდინო, თავი რომ დავაღწიო ამ საძაგლობასა და უბედურებას, როცა ყველა ჩემი ფიქრი, სურვილი, სიზმარი მე კი არა, ვიღაც დემონს ეკუთვნის, ჩემში რომ ჩაბუდებულა? მიყვარხართ, ისე მიყვარხართ, რომ კალაპოტიდან ამოვკარგდი სწავლას და ახლობლები მივატოვე, საკუთარი ღმერთი დავივიწყე! ასე არასოდეს არავინ მყვარებია ცხოვრებაში!

სოფია პეტროვნა, რომელიც არ მოელოდა საუბრის ასეთ შემობრუნებას, უკან გადაიხარა და შიშით შეხედა კაცს სახეში. ილინს თვალებში ცრემლები ჩადგომოდა, ტუჩები უკანკალებდა და მთელ სახეს რალაცნაირი მშვიერი, მავედრებელი იერა მიეღო.

— მიყვარხართ! — ლულულულებდა იგი და თავის თვალებს ქალის დიდ, შეშინებულ თვალებს უახლოვებდა. — თქვენ ისეთი მშვენიერი ხართ! ახლა ვიტანჯები, მაგრამ, ვფიცავ, მირჩევნია, მთელი სიცოცხლე ასე ტანჯული და თქვენს თვალებში მაცქერალი ვიყო. მაგრამ... იყურეთ, გვედრებით!

სოფია პეტროვნამ, თითქოს უცაბედად თავს წაადგნენო, ისეთ სიტყვებს დაუწყო ჩქარ-ჩქარა ძებნა, რომლებიც შეძლებდნენ ილინის შეჩერებას. „წავალ“, — გადაწყვიტა მან, მაგრამ განძრევაც კი ვერ მოასწრო წამოსადგომად, რომ ილინი უკვე მის ფეხებთან იყო ჩაჩოქილი... კაცი ეხვეოდა მუხლებზე, პირდაპირ სახეში შეცქეროდა და ვნებიანად, გულით, ღამაზად ღაპარაკობდა. შიშსა და ბურანში, ქალს არ ესმოდა მისი სიტყვები. რატომღაც ახლა, ამ სახიფათო წუთებში, როცა მის მუხლებს სასიამოვნოდ, როგორც თბილ აბაჯანაში, ისე ვალერსებოდნენ, ქალი რალაცნაირი ბოროტი ღვარძლით ცდილობდა თავისი შეგრძნებების აზრი ეპოვა. გული მოსდიოდა, მთელი მისი არსება, აღშფოთებული კდემამოსილების ნაცვლად, უძლურებას, სიზარმაცეს და სიცარიელეს რომ აეცხო, იმ მთვრალივით, ვისაც აღარაფერი ენაღვლება. გულის სიღრმეში, საღდაც შორეულ კუნჭულში, ვიღაც ბოროტად დასცინოდა: „რატომღა არ მიდიხარ? მაშასადამე, ასეც უნდა მოხდეს? ხომ?“

თავისი საქციელის აზრის ძებნისას, ქალი ვერ მიმხვდარიყო, რატომ არ წაართვა ხელი ილინს, რომელსაც იგი წურბელასავით ჩაკვროდა, და რისი გულისათვის გაიხედა სასწრაფოდ მასთან ერთად მარჯვნივ და მარცხნივ, ვინმე ხომ არ გვითვალთვალებსო. ფიჭვები და ღრუბლები გაუნძრევლად იდგნენ და მკაცრად იმზირებოდნენ იმ ბებერი ღაღებივით, რომლებიც ამჩნევენ ცუდლუტობას, მაგრამ ფულის გამო კისრულობენ, ეს ამბავი უფროსებს არ შეატყობინონ. გუშაგი სარგადაყლაპულივით იდგა ნაყარზე და ისე ჩანდა, თითქოს მერხისკენ იყურებოდა.

„ გვიყუროს მერე!“ — გაიფიქრა სოფია პეტროვნამ.

— მაგრამ... მაგრამ მომისმინეთ! — სასოწარკვეთილი ხმით წარმოთქვა ბოლოს ქალმა. — სადამდე მიგვიყვანს ეს? რა იქნება მერე?

— არ ვიცი, არ ვიცი... — წაიჩურჩულა კაცმა, რომელიც თითქოსდა ხელის აქნევით იშორებდა უსიამოვნო შეკითხვებს.

ლოკომოტივის ხრინწიანი, გაბზარული წივილი მოისმა... ყოფითი პროზის ამ უცხო ცივმა ხმამ იძულებული გახადა ღუბიანცევა გონს მოგებულყო.

-- არ მცალია.. უნდა წავიდე! — თქვა მან და სწრაფად წამოდგა. — მატარებელი მოდის.. ანდრეი მოჰყვება! უნდა ვასადილო.

სოფია პეტროვნამ სახეზე აღმოდებულმა გაიხედა ნაყარისაკენ. ჯერ ნელა გაიხორხიალა ლოკომოტივმა, მის უკან ვაგონები გამოჩნდნენ. ეს სააგარაკო მატარებელი კი არ იყო, როგორც ლუბიანცევას ეგონა, არამედ საბარგო. ექვლეის თეთრ ფონზე ადამიანის ცხოვრების დღეებივით ერთმეორეს ეძიებდნენ. გრძელ ჯაჭვად გაიწეღნენ ვაგონები და იფიქრებდით, დამსწრეებს (არა აქეთო!

მაგრამ აი, ბოლოს მატარებელმა ჩაიარა და სიმწვანეს მიეფარა უკანასკნელი ვაგონიც ფარნებითა და კონდუქტორით. სწრაფად შემობრუნდა სოფია პეტროვნა და ისე, ილინისათვის არც შეუხედავს, აჩქარებით დაადგა ნაკაფის ტზას. ახლა უკვე ფლობდა საკუთარ თავს. სირცხვილისაგან აწითლებული, არა, ილინის გამო კი არა, არამედ საკუთარი სულმოკლეობით და უსირცხვილობით შეურაცხყოფილი, რომ მან, პატიოსანმა და წესიერმა ქალმა, უცხო კაცს დართო ნება მუხლებზე მოხვეოდა, ახლა მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე მალე მისულიყო თავის აგარაკზე. ვექილი ძლივძლივობით ეწეოდა. ნაკაფიდან ვიწრო ბილიკზე რომ გავიდა, მან ისე სწრაფად მოხედა კაცს, რომ მხოლოდ სილა შეამჩნია მუხლებზე, და ხელით ანიშნა, თავი დამანებეთო.

შინ რომ მიიბრინა, სოფია პეტროვნა ერთი ხუთი წუთი გაუნძრევლად ადგა თავის ოთახში და ხან ფანჯარას, ხან თავის საწერ მაგიდას მისჩერებოდა...

— უნამუსო! — ლანძღავდა თავის საკუთარ თავს. — უნამუსო!

თავი რომ გაემათრახებინა, იგი დაუფარავად და დაწერილებით იხსენებდა, რომ მთელი ამ დღეების მანძილზე თვითონ ყოველთვის წინააღმდეგი იყო ილინის არშეყოფისა, მაგრამ რაღაც ძალა ეწეოდა მისკენ ურთიერთობის გაჩარკვევად; უფრო მეტიც, არაჩვეულებრივ ტკბობას განაცდევინებდა, კაცი რომ მის ფეხებთან გართხმულიყო; ყველაფერს იხსენებდა, არ ზოგავდა საკუთავ თავს და ახლა, სირცხვილისაგან სუნთქვაშეკრული, მოხარული იქნებოდა თავისივე თავისათვის სილა გაეწნა.

„საბრალო ანდრეი, — ფიქრობდა ქალი და ცდილობდა ქმრის გახსენებისას სახისათვის რაც შეიძლება ნაზი გამოძეტყველება მიეცა. — არც ვარიამ, ჩემმა საბრალო გოგონამ, იცის, როგორი დედა ჰყავს! მაპატიეთ, ჩემო საყვარლებო! ძალიან მიყვარხართ... ძალიან!“

და საკუთარი თავისთვის რომ დაემტკიცებინა, ჯერ კიდევ კარგი ცოლი და დედა ვართ, ურყევად ვიცავო იმ პრინციპებს, რომლებზედაც ილინს ელაპარაკებოდა, სოფია პეტროვნა სამზარეულოში გააქცა და მზარეულ ქალს ერთი ამბავი დააწია — აქამდე როგორ არ შედგომიხარ ანდრეისათვის სუფრის გაწყობასო. შეეცადა წარმოედგინა ქმრის გადაქანცული და მშვიერი სახე, ხმაძალლა შეიცხადა ეს და საკუთარი ხელით გაუწყო სუფრა, რაც წინათ არასდროს გაუკეთებია. შემდეგ თავისი გოგონა ვარია მოძებნა, ხელში აიყვანა და მზურვალედ ჩაიკრა გულში; გოგონა მძიმე და ცივი მოეჩვენა, მაგრამ არ უნდოდა ამაში საკუთარ თავს გამოტყობოდა, და ბავშვს იმის ახსნა დაუწყო, რა კარგი, პატიოსანი და კეთილია მისი მამა.

სამაგიეროდ, როცა მალე ანდრეი ილიჩი ჩამოვიდა, იგი ძლივძლივობით მიესალმა მას. უკვე გადაუარა ნაძალადევი გრძნობების ტალღამ, რომელმაც არათუ ვერაფერში დაარწმუნა, პირიქით, თავისი სიცრუით მხოლოდ გააღიზია-

ნა და გააბროტა. ქალი ფანჯარასთან იჯდა, იტანჯებოდა და ჯავრობდა. მხოლოდ უბედურებისას შეუძლიათ ადამიანებს გაიგონ, თუ რა ძნელია, ფლობდე საკუთარ გრძნობებსა და ფიქრებს. შემდგომში სოფია პეტროვნა ჰყვებოდა, რომ თავში ყველაფერი „დომხალივით“ ერეოდა, რომელშიც ისევე ძნელი იყო გარკვევა, როგორც „გაფრენილი ბელურების დათვლა“. იმ ამბავში, რომ მაგალითად, ქმრის მოსვლამ არ გაახარა, რომ არ მოეწონა, რეჟისორმა ქმარს თავი სადილობისას, უეცრად აფიქრებინა, ქმრის სიძულვილი შეწყვიტა.

შიშშილისა და დაღლილობისაგან სიქაგაცლილი ანდრეი ილიჩი წვნიანის მოლოდინში ძეხვს დააცხრა და ხარბად დაუწყო ჭამა. პირს ხმამაღლა აწკლავუნებდა, საფეთქლებს ამოძრავებდა.

„ღმერთო ჩემო, — ფიქრობდა სოფია პეტროვნა, — მიყვარს და ვაფასებ, მაგრამ... რატომ აწკლავუნებს პირს ასე საზიზღრად?“

მისი ფიქრება ისევე არეული იყო, როგორც გრძნობები. უსიამოვნო ფიქრებთან ბრძოლაში გამოუცდელი ადამიანივით ყველანაირად ცდილობდა არ ეფიქრა თავის უბედურებაზე, და რაც უფრო ატანდა თავს ძალას, მით უფრო მკვეთრად ეხატებოდა თვალწინ ილიჩი, მისი სილით გასვრილი მუხლები, ფუშფუშა ღრუბლები, მატარებელი...

„რატომ წავედა მე სულელი დღეს? — ბორგავდა ქალი. — ნუთუ საკუთარი თავის ნდობა არ შემიძლია?“

შიშს დიდი თვალები აქვს. ანდრეი ილიჩი ბოლო კერძს რომ გეახლებოდათ, ქალს უკვე გადაწვევტალა ჰქონდა ყველაფერი ეამბნა ქმრისათვის და საფრთხეს ვაქცეოდა!

— ანდრეი, სერიოზულად უნდა მოგელაპარაკო, — წამოიწყო მან ნასადილევს, როცა ქმარი სერთუკსა და ჩექმებს იხდიდა, რათა მოსასვენებლად წამოწოლილიყო.

- აბა, ვისმენ!
- მოვშორდეთ აქაურობას!
- ჰმ... სად წავიდეთ! ადრეა ქალაქში.
- არა, სამოგზაუროდ წავიდეთ ანდა რაღაც ამის მაგვარი მოვიფიქროთ...
- სამოგზაუროდ... — ჩაიბურტყუნა ნოტარიუსმა და გაიზმორა. — ამაზე თავადაც ვოცნებობ, მაგრამ სად ვიშოვო ფული ანდა კანტორაც ვის დაუტოვო? და ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ დაუმატა.

— შენ მართლაც მოგეწონა. თვითონ გაემგზავრა, თუ ვინდა!

სოფია პეტროვნა დაეთანხმა, მაგრამ მაშინვე მოისაზრა, ილიჩი გაიხარებს ასეთი შემთხვევით და მასთან ერთად ერთი მატარებლით, ერთი ვაგონით იმგზავრებს... ფიქრებში წასული ქალი შეჰყურებდა ქმარს, დანაყრებულს, მაგრამ ჯერ კიდევ მოქანცულს. რატომღაც მზერა შეუჩერდა მის მინიატურულ, თითქმის ქალურ ფეხებზე, რომლებზეც ზოლებიანი წინდები ეცვა; ორივე წინდის წვერებზე ძაფები ეკიდა...

ჩამოშვებულ დარაბის მიღმა კელა მინას ეხეთქებოდა და ბზუოდა.

სოფია პეტროვნა შესცქეროდა ძაფებს, უსმენდა კელას და თვალწინ ედგა, როგორ იმგზავრებს... დღედაღამ vis-à-vis¹ უზის ილიჩი, თვალს არ აცი-

¹ წინ (ფრანგ.)

ლებს, გაბოროტებული საკუთარი უძლურებით, გაფითრებულა სულიერი ტკივილისაგან. საკუთარ თავს გარყვნილ ლაწირაკს ეძახის, ლანძღავს ქალს, თმას იგლეჯს, მაგრამ სიბნელე რომ ჩამოწვება და იპოვის შესაფერის დროს, როცა მგზავრები იძინებენ ანდა სადგურებში ჩადიან, მის წინ იჩოქება და ფეხებზე ეხვევა, როგორც მაშინ, მერხის წინ.....

ქალი შეატყუნა თავისმა ოცნებებმა..

— მომისმინე, მარტო არ წავეალ! — თქვა მან. — შენც უნდა წამოხვიდე ჩემთან ერთად.

— ეს ფანტაზიაა, სოფოჩკა! — ამოიხრა ლუბიანცევა. — სერიოზული უნდა იყო და მხოლოდ შესაძლებელი ისურვო.

„როცა გაიგებ, წამოხვალ!“ — გაიფიქრა სოფია პეტროვნამ.

როგორც კი გადაწყვიტა, რაღაც დაჯდომოდა, უნდა გამგზავრებულიყო, ქალმა უსაფრთხოდ იგრძნო თავი. აზრები თანდათანობით დაულაგდა, გამზიარულდა და ყველაფერზე ფიქრის ნებაც კი დართო თავს; რაც არ უნდა იფიქრო, არ იოცნებო, მაინც უნდა გაემგზავრო! სანამ ქმარს ეძინა, თანდათან ჩამოწვა ბინდი.. ქალი სასტუმრო ოთახში იჯდა და პიანინოზე უკრავდა. ფანჯრებს იქით საღამოსეულმა გამოცოცხლებამ, მუსიკის ხმებმა და, რაც მთავარია, იმის გაფიქრებამ, რომ ჭკვიანია, რომ ფათერაკს თავი დააღწია, საბოლოოდ გაახალისა იგი. მის მდგომარეობაში სხვა ქალები, — არწმუნებდა დამშვიდებული სინდისი, — ალბათ ვერ გაუძლებდნენ ცდუნებას და თავბრუ დაეხვეოდათ. თვითონ კი კინალამ სირცხვილით დაიწვა, იტანჯებოდა და ახლა საფრთხეს გაურბის, რომელიც შესაძლოა არც არსებობს! საკუთარმა კდემპოსილებამ, სიმტკიცემ ისე აუჩუყა გული, რომ ქალმა სამჯერაც კი ჩაიხედა სარკეში.

შემწუნებისას სტუმრები მოვადნენ. კაცები სასადილო ოთახში დასხდნენ კარტის სათამაშოდ. ქალებმა სასტუმრო ოთახი და ტერასა დაიკავეს. ყველაზე გვიან ილინი გამოჩნდა. იგი ნალვლიანი, კუშტი და თითქოსდა უქეიფოდ ჩანდა. დივნის კუთხეში ჩამოჯდა და მთელი საღამო არც წამომდგარა. ჩვეულებრივ მზიარული და ენაწყლიანი, ამჯერად მთელი საღამო ღუმდა, მოღუშული იყო და თვალის უბეებს იფხანდა, როცა იძულებული იყო ვინმესთვის ეპასუხა, ნაძალადევად ილიმებოდა მხოლოდ ზედა ტუჩით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად. გაჯავრებით უპასუხებდა. ერთი ხუთჯერ წაიოხუნჯა. მაგრამ ეს ოხუნჯობანი მკაცრი და კადნიერი გამოუვიდა. სოფია პეტროვნას ეჩვენებოდა, რომ კაცს არაფერი უკლდა ისტერიკამდე. ქალმა მხოლოდ ახლა, პიანინოსთან ჯდომისას, პირველად იგრძნო კბადად, რომ ამ უბედურ კაცს სახუმაროდ არ ეცხელა, რომ ის სულიერადაა ავად და ადგილს ვერ პოულობს. მისი გულისათვის წირავს საკუთარი კარიერისა და ახალგაზრდობის საუკეთესო დღეებს, აგარაკისათვის ფლანგავს უკანასკნელ ფულს, ღვთის ანაბარად დააგდო დედა და დები და, რაც მთავარია, ქანცი ეცლება საკუთარ თავთან გაწამებულ ბრძოლაში. უბრალო, ჩვეულებრივ კატომოყვარეობის გამო მაინც უნდა მოეპყრო მას სერიოზულად...

ყოველივე ეს ქალმა ნათლად, გულის ტკვილივით შეიგნო. ამ დროს იგი ილინთან რომ მისულიყო და ეთქვა „არა!“ მის ხმას ისეთი ძალა ექნებოდა, რომლისთვისაც არ შეიძლება ყური არ გეთხოვებინა. მაგრამ ქალი არ მისულა ილინთან და არც არაფერი უთქვამს მისთვის, ის კი არადა, ფიქრადაც

არ მოსვლია ეს... როგორც ეტყობა, ახალგაზრდული ბუნების მეწვრილმანეობა და ეგოიზმი არასდროს არ გამოვლენილა მასში ისე ძლიერ, როგორც ამ საღამოს. ქალს ესმოდა, რომ ილინი უბედური იყო და, როგორც ნაკვეთხლებზე, ისე იჯდა ახლა დივანზე. გული სტკიოდა მის შემყურეს, მაგრამ ამავე დროს იმ ადამიანის გვერდით ყოფნა, ვისაც ასე გაწამებით უყვარდა, იგივე სახეიმო განწყობილებით, საკუთარი ძალის შეგრძნებით აღავსებდა მის სულს. ქალი გრძნობდა თავის სიახალგაზრდავეს, სილამაზეს, მიუკარებლობას და — რაკი გამგზავრება გადაეწყვიტა! — საკუთარ თავს თავისუფლება მისცა ამ საღამოს. იგი კეკლუცობდა, განუწყვეტლივ კისკისებდა, განსაკუთრებული გრძნობითა და შთაგონებით მღეროდა. ყველაფერი ახალისებდა და ყველაფერზე ეცინებოდა. სიცილს ჰგვრიდა მერხთან შემთხვევისას შორიდან მაცქერალი გუშავის გახსენება. სასაცილოდ ეჩვენებოდა სტუმრები, ილინის კადნიერი ოხუნჯობანი, მისი ჰალსტუხის ქინძისთავი, რომელიც ადრე არასდროს შეუნიშნავს. ქინძისთავი პატარა წითელ აღმასისთველებიან გველს გამოსახავდა; ეს გველი ისე სასაცილოდ ეჩვენებოდა, რომ მზად იყო დაეკოცნა იგი.

ნერვიულად, რაღაცნაირი ბანგმორეული სილალით მღეროდა სოფია პეტროვნა და, თითქოს სხვის დარდსა და ჯავრს დასცანისო, ნალვლიან, მელანქოლიურ რომანსებს არჩევდა, გაცრუებულ იმედებზე, წარსულზე, სიბერეზე რომ მოთქვამდნენ. „სიბერე კი სულ უფრო და უფრო გვიახლოვდება“... — მღეროდა იგი, — თუმცა მას სიბერესთან რა ესაქმებოდა?

„როგორც ჩანს, კარგი რამ არ უნდა მჭირდეს“... — ხანდახან სიცილსა და სიმღერას შორის გაუელვებდა ქალს.

სტუმრები თორმეტ საათზე დაიშალნენ. სულ ბოლოს ილინი წავიდა. სოფია პეტროვნას კიდევ ეყო კადნიერება, ტერასის უკანასკნელ საფეხურებამდე მიეცილებინა იგი. ქალს მოუნდა განეცხადებინა მისთვის, ქმართან ერთად მივემგზავრებიო, და ენახა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ამ ამბის გაგება მასზე.

მთვარე ღრუბლებს ეფარებოდა, მაგრამ მაინც ისეთი სინათლე იყო, რომ სოფია პეტროვნა ხედავდა, როგორ ათამაშებდა ქარი ილინის პალტოს კალთებს და ტერასის ფარდებს. ჩანდა ისიც, როგორ გაფითრებულიყო და ნაძალადევი დიმილი როგორ უღრეცდა ზედა ტუჩს...

— სონია, სონეჩკა, ჩემო ძვირფასო ქალი! საყვარელო, ჩემო კარგო... — ლულულულებდა იგი და ქალს ლაპარაკს არ აცლიდა.

კაცი ერთიანად აეტანა სინაზის გრძნობას. იგი ცრემლიანი ხმით ზედიზედ აყრიდა ქალს სააღერსო სიტყვებს, ერთიმეორეზე ნაზს და როგორც ცოლს, ანდა საყვარელს, შენობით მიმართავდა. ქალისათვის მოულოდნელად უცებ ერთი ხელი წელზე მოხვია, მეორეთი კი იდაყვი დაუჭირა.

— ძვირფასო, ჩემო ტურფავ... — დაიჩურჩულა მან და თან ყელზე კოცნიდა კეფასთან ახლოს, — იყავი გულწრფელი, წამოდი ახლა ჩემთან!

ქალი გაუსხლტა ხელიდან და თავი ასწია, რათა გულისწყრომით აღვსებულიყო და აღშფოთებულიყო, მაგრამ გულისწყრომა არ გამოუვიდა და მთელი თავისი ნაქები კდემამოსილება და სისპეტაკე მხოლოდ იმაზე ეყო, რომ ის ეთქვა, რასაც ასეთ ვითარებაში ყველა ჩვეულებრივი ქალი იტყვოდა:

— თქვენ შეიშალეთ!

— მართლა წავიდეთ! — განაკრძობდა ილინი. — როგორც ახლა, ისე მაშინ იქ, მერხთან, დავრწმუნდი, რომ თქვენ, სონია, ისეთივე უძლეური ხართ,

როგორც მე... არც თქვენ დაგადგებათ კარგი დღე! თქვენ გიყვარვართ მე და ახლა ტყუილად ევაჭრებით საკუთარ სინდისს...

რომ დაინახა, მშორდებო, ხელი უტაცა მაქმანიან სახელოზე და სწრაფად ჩაილაპარკა:

— დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოგიწევთ დათმობა! რა საჭიროა დროის გაჭიანურება? ჩემო ძვირფასო, საყვარელო სონია, განაჩენი უკვე გამოტყნული რატომ უნდა გადაუდოთ აღსრულება? რატომ მოეიტყუოთ თქვენ?

სოფია პეტროვნა გაუსხლტა ხელიდან და სწრაფად შევარდა კარებში. სასტუმრო ოთახში მობრუნებულმა ანგარიშშიუცემლად დახურა პიანინო, დიდხანს უყურა სანოტო ვინიეტს და დაჯდა. მას არც დგომა შეეძლო და არც ფიქრი. აგზნებისა და შემართებისაგან მხოლოდ საზარმაცე და მოწყენილობანარევი საშინელი სისუსტე შემორჩენოდა. სანდისი ეჩურჩულებოდა, რომ ამ საღამოს ცუდად, სულელურად, ამჩატებულ გოგოსავით იქცეოდა, აი, ახლა ტერასაზე ეხვეოდა სხვა კაცს და თემოებისა და იდაყვის სიახლოვეს ამ წუთშიაც რაღაცნაირი უხერხულობის შეგრძნება ჰქონდა. სასტუმრო ოთახში სულიერი არ გააჭანებდა, მხოლოდ სანთელი ენთო. იგი გაუნძრევლად იჯდა პიანინოს წინ მრგვალ ტაბურეტზე და რაღაცას ელოდა. და თითქოს მისი უკიდურესი სისუსტითა და სიბნელით ისარგებლათ, ნელ-ნელა მძიმე, დაუძლეველი სურვილი მოეძალა. იგი მახრჩობელა გველივით უბოჭავდა სხეულსა და სულს. ყოველ წამს იზრდებოდა და უკვე აღრინდელივით კი არ ემუქრებოდა, არამედ მის წინ ნათლად, ერთიანად გამიშვლებული იდგა.

ნახევარი საათი გაუნძრევლად იჯდა ქალი და თავს არ უშლიდა ილინზე ეფიქრა. მერე ზანტად წამოდგა და საწოლი ოთახისაკენ წალასლასდა. ანდრეი ილიჩი უკვე იწვა. ქალი ღია ფანჯარასთან დაჯდა და სურვილს მიეცა. უკვე აღარ ჰქონდა თავში „დომხალი“! ყველა გრძნობა და ფიქრი შეხმატკბილებულად ლაგდებოდა ერთი ნათელი მიზნის გარშემო. ერთხანს სცადა მასთან შებრძოლება, მაგრამ მაშინვე ხელი ჩაიქნია... უკვე იცოდა, რა ძლიერი და უღმობელი იყო მტერი. მასთან საბრძოლველად საჭირო იყო ძალა და სიმტკიცე, დაბადებამ, აღზრდამ და ცხოვრებამ კი არაფერი მისცა ისეთი, რაც დასაყრდენად გამოადგებოდა.

„უზნეო! უნამუსო! — უძლურებისთვის კილაუდა იგი საკუთარ თავს. — აი, როგორი ყოფილხარ!“

ისე აღაშფოთა ამ უძლურებამ მისი შეურაცხყოფილი წესიერება, რომ, რაც კი იცოდა, ყველანაირი საღანძღავი სიტყვა უწოდა საკუთარ თავს, მრავალი საწყენი, დამამცირებელი სიმართლე მიახალა პირში. ასე, საკუთარ თავს უთხრა მან, არასდროს არ ყოფილხარ პატიოსანი, წინათ მხოლოდ იმიტომ არ შეცდენილხარ, რომ საამისო მაზეზი არ გქონია, მთელი დღის ბრძოლა მხოლოდ თავის გართობა და კომედია იყო...

„დაუშვით, ვიბრძოდი კიდევ, — ფიქრობდა ქალი, — მაგრამ ეს რა ბრძოლაა! როსკიპებიც იბრძვიან, სანამ ვინმეს მიეყიდებიან, მაგრამ ბოლოს მაინც მიეყიდებიან. დიდებული ბრძოლაა: რძესავით ერთ დღეში აიჭრა! ერთ დღეში!“

საკუთარი თავი ამხილა, რომ შინიდან გრძნობა, ილინის პიროვნება კი არ ეწევა, არამედ ის შეგრძნებები, რომლებიც მოეღის... რომ იგი მსუბუქი ყოფაქცევის მოაგარაკე ქალბატონია, როგორებიც უამრავია!

„როგორ მოუკლეს ბა-რ-ტყს მისი დე-და“, — წაიმღერა ვიღაცამ ფან-რას მიღმა ხრინწიანი ტენორით.

„თუ მივდივარ, უკვე დროა“, — გაიფიქრა სოფია პეტროვნამ და გული უეცრად საშინლად აუტკერდა.

— ანდრეი! — თითქმის დაიყვირა ქალმა. — მომისმინე, ჩვენ... ჩვენ გა-ვემგზავრებით? ხომ?

— ჰოო... მე უკვე გითხარი: შენ თვითონ გაემგზავრე!

— მომისმინე... — ძლივს წარმოთქვა ქალმა, — თუ ჩემთან ერთად არ გაემგზავრები, იცოდე, რომ დამკარგავ! მგონი უკვე... შეყვარებული ვარ!

— ვინაა? — იკითხა ანდრეი ილიჩმა.

— შენთვის სულერთი არ არის, ვინაა! — შეჰყვირა სოფია პეტროვნამ.

ანდრეი ილიჩი წამოდგა, ფეხები ჩამოუშვა ლოგინიდან და სიბნელეში მჯდარ ცოლს გაოცებით გახედა.

— ფანტაზიორობ! — ამოამთქნარა მან.

კაცს არ სჯეროდა, მაგრამ მაინც შეშინდა. ჩაფიქრდა და ცოლს რამდენიმე უმნიშვნელო შეკითხვა მისცა. მერე კი საკუთარი აზრი გამოთქვა ოჯახზე, ლალატზე... ათიოდე წუთი დუნედ ლაპარაკობდა და დაწვა. მის სენტენციებს წარმატება არ მოჰყოლია. ამ ქვეყანაზე უამრავი შეხედულებაა და მათგან ნახევარზე მეტი იმ ადამიანებს ეკუთვნით, რომელნიც არასდროს აღმოჩენილან განსაცდელში!

მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვიანი იყო, ფანჯრებს მიღმა კიდევ მიმო-დიოდნენ მოაგარაკენი. სოფია პეტროვნამ წამოიხურა თხელი ტალმა, ერთხანს იდგა ჩაფიქრებული... გამბედაობაც კი ეყო ძილში წასული ქმრისათვის ეკითხა:

— გძინავს? მე გავისხიერნებ... წამოხვალ ჩემთან ერთად?

ეს მისი უკანასკნელი იმედი იყო. პასუხი არ მიუღია, ისე გავიდა. ქარი ქროდა და ციოდა. ის კი ვერ გრძნობდა ვერც ქარს, ვერც სიბნელეს. მიდიოდა... დაუძლეველი ძალა ეწეოდა წინ და ახე ეგონა, რომ შეჩერებულიყო, ზურგიდან უბიძგებდა ვიღაც.

— უზნეო! — ლულულუღებდა იგი. — უნამუსო!

სული ეხუთებოდა, სირცხვილისაგან იწყოდა, ფეხებს ვერც გრძნობდა, მაგრამ ის, რაც წინ უბიძგებდა, მის სირცხვილზეც, გონებაზეც და შიშზეც უფრო ძლიერი იყო...



სომხურიდან

თარგმნა რენე კალანდიაშ



სად იწყება საქართველო?!

„როცა აღვესრულები, ჩემს სულიერ ცხოვრებას
გააგრძელებენ ჩემი ნამუშევრები“.

მერაბ ბერძენიშვილი

სადაც მთავრდება ჩემი სომხეთის
ერთი მტკაველი ტანჯული მიწა,
ღებულზე* ციციქნა ხიდს გავივლით და
ვტოვებთ სამშობლოს —
ხელისგულივით
და ფეხს ვდგამთ
ჩვენი ძმების მიწაზე...

და მაინც,
ღმერთო, შენ დამიფარე,
დე, მაპატიონ
ჩემმა ქართველმა მეგობრებმა და
და-ძმებმა
(თუმცა რუკაც კარგად ვიცი და
მისწავლია გეოგრაფიაც...),
მაგრამ მერაბ ბერძენიშვილის უკვდავ
ძეგლამდე
მე არ მცოდნია ქართული სული...

მანამდე ჩემთვის ეხეტება სიცარიელე,
ქართული სული ჩამკვდარია
და სივრცეს ავსებს,
ჰაერს ამძიმებს
რადაც უცნობი იდუმალება...

გზა.
მეუფლება უძირო სევდა:
აქ — 30 კილომეტრის მანძილზე არსად
არ იგრძნობა ქართული სული,

* ღებელი — მდინარე (თარგმნ. შენიშვნა).

ვერა, ვერ ვწვდები ქართველის სულს...
აი, მივდივარ საქართველოს ნაყოფიერი
ხოდაბუნებით,

მაგრამ, ღმერთო,
თუნდ შემრისხე და
ჩემს სულში ჩაღვრილ საქართველოს
კამკამა ზეცას

ვერა და ვერ ვჭვრეტ...
ასე ნაღდსა და
ამალღებულს —
ქართულ სულს ვერ ვგრძნობ...

ვხედავ: ძაძებში გახვეულ ქალებს,
შესუდრულია ყორნისფერად მათი
სულებიც —

შორეულ შუა საუკუნეთა
უკუნს მოუცავს მათი ცხოვრება,
მიიწვევიან მათი ლანდები
უდასასრულო მღუმარებაში...

სანამდე მერაბ ბერძენიშვილის
ძეგლს მივალწევდე,
მიჭერს წყვილიადი
და ათასობით მაჭლაჭუნა
მახრჩობს,
მილობავს
გზას — დიდ ძეგლამდე..

ძეგლი,
რა ძეგლი!
ქართველის დედამ თავის ორ ბოკვერს
გადააფარა იმედის კალთა,

ხოლო ვაჟებს — ალგეთის ლეკვებს —
სააკაძის მეხი — მახვილი
ჩაუბლუჯიათ —
დედისა და მშობელი მიწის
ურჯულო მტრისგან დასაცავად
და განსაწმენდად...

მარადუამს,
როცა ქართულ მიწაზე
ფებს დავდგამ,
წუთით,
თუნდ ერთი წუთით,
უნდა შევჩერდე დიდებულ ძეგლთან,
რათა მივაპყრო ამაყი მზერა:
ძეგლისკენ მავალ საუკუნეებს
და ძეგლს — გარინდულს
უკვდავებაში...

ჰა. გადმოვდივარ მანქანიდან,
ისევ ვემთხვევი ამ დიდებულ ძეგლს,

როგორც მაღალ და წმინდა სალოცავს,
სადაც ჩემი ძმის —
ქართველის სული
ნათელ ემბაზში განბანულია...
პირჯვარს ვისახავ, ვით წინაპარი,
მაღალო ღმერთთა მკურნალი
დიდება შენდა, მკურნალი
ჰა, როგორც იქნა,
უფლის სამკვიდრო
საქართველოში ვიგრძენი თავი...

ამ ქვებში,
ამ დიდ ქანდაკებაში
დულს რაინდული სული ქართველთა
და მომავალი — უბრწყინვალესი
კვლავ მესახება საქართველოსი...
და ჩემში —
ძმის და მოკეთის გულში
თითქოს ქართული სისხლი ხმაურობს,
ქართული სული ბორგავს...

ქართველი ჰვის მთლელის სიმღერა

ელგუჯა ამაოუკელს

მიყვარს სათუთად თლილი ნაზი ქვა,
დასაბამიდან მიყვარდა იგი...
რაც თავი მახსოვს, ქვას ვკვეთდი,
ვთლიდი,
თითქოს ამქვეყნად მეც ქვისგან ვიშვი —
ზღაპრული ქვისგან გაეჩნდი...
სალუქი ტანის, ლამაზი სახის
ქვიდან მოვედი და ქვაში წავალ...

ასე ქართული, ნატიფი ქვისგან,
ასე მაღალი და სალი ქვისგან
მსურს ისტორია მშობელი ხალხის
ქვის წიგნად ვწერო და ვაქანდაკო...

ვძერწავ, ვაცოცხლებ ძვირფას
სახეებს —
წინაპრებს: მამულს შესწირეს თავი
და ბრძოლის ველზე გმირულად
დარჩნენ —
დაეცნენ, მაგრამ პირქუში ლამის

წყვდიადიდანაც გზას გვინათებენ...
მათ სახეს ქვაში რომ ვაქანდაკებ,
გულს ბზარავს სევდა, ცას აკრობს
სხივი —

იღუმალემა, წინაპართ ხსოვნას
იცავს სანთელი — მარადიული...

ოღითგან თლიდა, ეფერებოდა
ქვის საოცრებას მშობელი ხალხი
და შრომის ოფლი აწვიმდა ქვასაც...
ნატიფ ანგელოსს აქანდაკებდა —
ქვაში, ნათელი მომავლის ნიშანს
ცაზე ეძებდა ქვის მძიმე ფრთებით...

ბედითი ფამის მსახვრალმა ხელმა
ველარ წაშალა სიცოცხლის ხატი,
რადგან უხსოვარ დროიდან დღემდე
ერი ქვას თლიდა, აპირკეთებდა
და ქვაში ჯადო-ჩუქურთმას კვეთდა...
ცის ტაძრებს, სახლებს თუ ეკლესიებს

ქვისგან ქმნიდა და ცად აშენებდა
მტრისგან დაღეწილ და იავარქმნილ
ნასაყდრალზე თუ ნასახლარებზე...

მეც იმთავითვე ქვასთან მაქვს
ბრძოლა,
ფრჩხილებით ვკორტნი, ვფხოჭნი და
ვკაწრავე:

თვით ქვაში ვსახავ ჩემს გზას და
იღბალს,
ცისფერ მომავალს მშობელი ხალხის...
დასაბამიდან და დღენიაღვრე
ქვას ვთლი, რამეთუ გაჩენის დღიდან
მარგუნა ბედმა — ქვასთან ქმნილს,
მარადიული, როგორც სამყარო...

დავით აღმაშენებლის გამზირზე

სასტიკი ბედი გერგო წილად,
უმძიმესი გზა აირჩიე ამ ქვეყანაზე;
შავტუხა ბიჭმა
იმ დაძაბულ და
ძნელბედობის ხანაში მხარო
შეუშვირე და მარტო ზიდე
საქვეყნო ტვირთი, —
მრავალტანჯული,
ათას ჭირ-ვარამ გამოვლილი,
განაწამები,
ყამით ბედკრული შენი ერის
საკეთილდღეოდ —
ერთიანი საქართველოს
მომავლისთვის...

ვინძლო ლექსები გეწერა, ან
მოცალეობის ყამს — მიგელო
„სიამენი ამა სოფლისა“,
ფუნჯის ერთი მოსმით გეხატა —
ულამაზესი საქართველოს
პეიზაჟები,

ცის ლაყვარდი და
ზურმუხტის მთები,
მაგრამ, მგოსანო დიდებულო,
შენი ბედი სულ სხვანაირად
წარიმართა და
საქვეყნო საქმის მძიმე, მაგრამ
ძვირფას უღელში

გაპყავი თავი...
მეფეთ მეფეო,
მშობელი ხალხის ბედ-იღბალი
გაფიქრებდა და
ფიცხელ ამხედრდი ბედაურზე —
ქედფიცხელ რაშზე,

და გააგელვე უმოწყალო საუკუნეში
შენი ქურანი,
პუნე,
მერანი,
ვით ქეშმარიტმა სპასპეტმა,
ბაქია მტერს არ დაუტოვე
არავითარი
იმედი — ქართველთ დამარცხება-
დამონებისა...

მეფემ და გულლომმა რაინდმა,
თავდადებულად გაილაშქრე
მშობელი ერის უდიდესი მზის —
თავისუფლების მოსაპოვებლად,
მძიმე მახვილით და წმინდა სიტყვით
შენ დაუმკვიდრე დასაბამი ახალსა
და გმირულ ერას
სამშობლოსას,
რომელიც შემდგომ ერთიანი
საქართველოს
ბედის დიად ქვაკუთხედად
და ნიშანსვეტად იქცა...

მეფე-ბატონო,
ნაოხრალი და ნახანძრალი წმინდა
ტაძრების,
ციხე-კოშკების აღსადგენად
და ზეცაში ასატყორცნად,
დაბა-სოფლების ასაშენებლად,
ბალ-ვენახების გასაშენებლად,
როგორც ვაჟკაცმა ჩაანთხიე ოფლი
და სისხლი,
არ მოაკელი ძალისხმევა,
ზეგარდმო ნიჭი

ივერთ ქვეყანას —
საუკუნოდ განსადიდებლად...
ხოლო როდესაც
ერის ბურჯად,
იმედად იქვეც,
ალაგმე მტერი — ქვეგამხედვარი,
დაქსაქსულსა და პაწაწინა

სამთავროებად
დაქუცმაცებულ ხატს — საქართველოს
ახალი სული შთაბერე,
ვით უზუნაესმა,
ერთ მუწტად შეჭკარი
და გააერთიანე,
შინაური თუ შორიასლო ჩასაფრებული
მტრების ჭინაზე,
დიდ საქართველოდ აქციე იგი —
სამშობლო შენი — მზე —
საქართველო —
ნაკოფსიიდან დარუბანდამდე!..

მეფეთ მეფეო,
შენი მძლე კალთის ქვეშ შეყუყულო —
ათასი ჭურის დავრდომილსა და
სნეულ, უმწეო ხალხს უშურველად
მძლავრი ფრთები გადააფარე,
როგორც ფრინველმა — პირუთვნელი
სამართალის დიადი ძალა
და მფარველად მოევლინე
ცისქვეშეთში ღარიბ-ლატაკებს,
მეფური გულუხვობის კალთა
გადააბერტყე —
სიკეთითა და მადლით აღსავსე.

მეფეო,
დიდო კაცთმოყვარეც
და ბრძენთა ბრძენო,
საუკუნეთა მდინარის ზემოთ
ზარივით რეკს სახელი შენი,
რამეთუ უძლეველი ლაშქრის
დევეგმირ ვაჟკაცებთან ერთად
იბრძოდი მხნედ და
არაერთგზის ანანე მტარვალს —
თურქ-სელჩუკებს თუ სხვა უცხო
თესლს
მხეცობა —

ჩვილთა და დედათა უმოწყალო
მოკვდინება,
უხუცესთა და უმწეოთა ტყვეებად
წასხმა,
ტაძრის წაბილწვა და ყარალობა...
უხვად დაღვარული სისხლი,
ხელში აღიღებ მძლავრი ჭკობი,
როგორც მხედარმა და ქრისტიანმა,
იბრძოდი უფლის ლოცვა-კურთხევით, —
არა ხალხთა დასამონებლად
და დამპყრობლური ომების ხათრით,
სხვათა სიმდიდრის —
თვალ-მარგალიტის
და ოქრო-ვერცხლის მოსახვეჭად,
მოსაგროვებლად
არ აგიღია ხელში მახვილი,
იარამედ აღსდექ, ვით წინაპრის
ნაჭედი ფარი,
მშობელი მიწის დასაცავად —
საქართველოს გადასარჩენად...
მრისხანე მტრის უთვალავ ლაშქარს
მოულოდნელად მოევლინე, ვით შიშის
ზარი,

ეკვეთე, როგორც არაგვის ტალღა,
თავს დაატყდი რისხვად და მენად,
გმირო ლომგულო,
აქ მოთრეული —
შენი ქვეყნის ასაკლებად და
დასამონებლად,
აღიტაცე მიწიდან და ძირს დაახეთქე,
როგორც დავითმა გოლიათი
და ჩაუნგრიე გულისფიცარი,
გადაუღეწე ხერხემალი —
საქართველოს ჩასაყლაპავად
მოსულ ყიამყრალ ქვეწარმავალს:
„არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა“...

რამეთუ იყავ მართალი და
ჭეშმარიტი, დიდო მეფეო,
იქმოდი საქმეს —
მართალს და დიადს,
იმ უსამართლო და არეულ-დარეულ
დროში,
თანაც მეფეს და უბადლო რაინდს

ხელთ გეპყრა ერის დიდების დროშა,
საქვეყნო ჭაბანს ეწეოდი ნიშა
ხარივით

და ქედზე გედგა მძიმე უღელი —
ერთიანი საქართველოს
ძლიერების და უკვდავებისა...

აი, ახლა — შუა ზამთარში,
ამ კუშტ ქარბუქში,
ყიამეთში,
ჭინჭყლიან ღამით,
მივაბიჯებ შენს ფართო გამზირზე
და გულში მწვდება
შენი მზერის ნათელი სხივი,
სხივი, რომელიც სულს
მიცისკროვნებს,

სხეულს მივაყვებს
და მახალისებს...
მივდივარ გალომგულელებული,
გამეხებულნი,
მებრძოლი — გასალყდევებული,
ამ მძაფრსა და სასტიკ ყინვაში
ვერც ვგრძნობ სიცვივს,
უძლურია სუსხის მარწუხი...
მეფეო,
შენგნით გამონაშუქი
სულის ნათელი სხივი სწვდება
ზამთრისგან დამზრალ ბუნებას და
ამოდ იღვრება —
ამ სამყაროში...

მეფეთ მეფეო,
თუმცა შენი დიადი მიწის —
ერთიანი საქართველოს ზოგ-ზოგ
კუთხეში
კვლავ იბურება მრუმე ნისლით
შენი ცისკარი და განთიადი,
და შენთა შვილთა ღამაზ ოცნებებს
ჯერ არ შესხმია ძლიერი ფრთები,
და ზოგან ჯერაც ვერ მოიშუშეს
ზეცამ და მიწამ კრილობები —

ავკაცური და მუხანათური,
როცა დედებს უღვთოდ კლავენ,
როგორც შესაწირავ ცხვრებს და
წამლავენ კიდეც,
ხოლო შვილებს — ზედ აყოლებენ,
კელაპტრებიან ჭაბუკებს, ~~ფიქრულნი~~
ღვთისნიერსა და უბიწურნი ~~წმინდნი~~
ასალმებენ სიცოცხლეს გულქვად.
ქლექენ, როგორც ბარბაროსები,
და მზეს უქრობენ —
ცხრათვალა მზეს სამშობლოსას...

მეფევ ბატონო,
ჰა, ლომგმირო — სწორუპოვარო,
საქართველოს ზურმუხტ მიწაზე
და ფირუზ ცაზე —
შენთა შვილთა ბაგეებზე
კვლავ ჟღერს ხელთქმნილი
შენგნით წიგნი:
„მარტივო, სრულო, სამ მზეო, ერთ
ციცკროვნებაო,
განმინათლე მხედველობითი სულისაი,
რაითა

გიხილო ნათელი
ნათელითა უფლასაითა,
სულითა ღმრთისაითა ძეი
გამოგვიბრწყინვო მაშინ
დაუსულებელთა საუკუნეთა“.

მეფეთ მეფეო,
ამ დაძაბულს და
აწ არეულ-დარეულ თუ გადარეულ
საუკუნეში,
მაინც მწამს, რომ საოცრად მალე
ამოაშუქებს მზე ღრუბლებიდან —
მზე ერთიანი საქართველოსი, —
გაფანტავს წყვდიადს
და შენს მშობელ ერს
მოუტანს ნანატრ თავისუფლებას,
ვით უსაზღვრო ბედნიერებას...

ეული

ლადო გუდიაშვილის სთვენას

ზენამ აღმავსო, როგორც თასი —
უშრეტო ცეცხლით,

ხოლო ბუნებამ მომანიჭა სიცოცხლის
სხივი —

სიკეთის წყარო;
 ამ ცხრათვალა მზეს,
 ფირუზისფერ ცას
 და სილამაზეს მაზიარა,
 როგორც ფრინველი — მგალობელი —
 სადღეისოდ,
 სამარადისოდ...

თუ გულში რამე ზინჯი მქონდა, —
 გადავივიწყე,
 ამოვირეცხე ღვარძლის შავი
 ნაფერთალები,

დავგმე ბორბოტი
 და ავლაგმე შურის სამეფო,
 ცხოვრების მიზნად დავისახე:
 ქმნა კეთილისა...
 აღვანთე გული —
 მარადიულ ტრფიალის ცეცხლით,
 იმედის თვალით გადავხედე
 მომავლის გზებსაც...
 გამოხდა ჟამი.
 ჟამის ჟამი.

და მაინც, მაინც
 ყველგან დამყვება სიკეთე ჩემი —
 შუბლნათელი ტყუპისცალივით;
 სიკეთე ჩემი —

ერთადერთი თეთრი ჩრდილია
 და თან დამყვება ამ სამყაროში,
 ვით უდაბნოში მიმავალ მწირს —
 მღალაღებლის ხმის ჩრდილი...

ვატარებ ყველგან,
 თანაც თამამად, —

ჩემს მხრებს კუზივით შეზრდილ
 სიკეთეს

და სიხარულის ცრემლივით სუფთა,
 პაწია,

მაგრამ ბედნიერი ვარ...

განა აზრი აქვს
 ასე ძვირფასი,

ნათელი კუზის მოცილებას,
 ანდა იღბალს სად გააქცევი,
 თუ დაემალე —
 ჩირად არ ღირს შენი ცხოვრება?!

რადგანაც კაცთა მოდგმის კეთილი
 და უშურველნი მხრეებზე მჭრავუნა
 ბედმა;

ვარ მაღალი,
 თანაც წმინდა,
 ვით სიყვარულის ქურუმი;
 მწამს —
 მარტოოდენ სიკეთე იყო —
 ოღითგანვე,
 არის,
 იქნება აწ და მარადის —
 ჩემი ცხოვრების თანაზიარი...

საწუთროს ბნელ და უცხო გზებზე
 დავალ ობოლი,
 უპოვარი და მარადისი მიუსაფარი —
 სიკეთის სხივის —

თეთრი ჩრდილის —
 მხრებს შეზრდილ კუზის იმედით...
 ოდეს ჩამოჰკრავს მწუხრის ზარი —
 საბედისწერო,

ლამის წყვდიადში გაჭრილ ბილიკს
 გამინათებს ვარსკვლავთა ხომლი,
 და ვიცი,

მჯერა:
 მსასოებელი უფლის ბაგენი
 აღავლენენ ლოცვა-ვედრებას
 მტრედისფერ ცაში —

ჩემთვის...

მაშინ მაინც, ვიცი, წავალ —

ჭეშმარიტად დალოცვილი

აღსასრულისკენ —

საოცრად მშვიდი...



თარგმნა რუსულად ქაბულაძემ



ვერა მურომცევას,² რამეთუ ერთი ფესვისანი ვართ

I

ბაბუა ილოვაისკი

ის არ იყო ბაბუა არც ზოგადი და არც კრებითი, მსგავსად „ბაბუა კრილოვისა“ თუ „ბაბუა ანდერსენისა“, ის იყო ნამდვილი ბაბუა, ოღონდაც არა ღვიძლი.

„დედა, რატომ ჰყავს ანდრიუშას² ორი ბაბუა, ჩვენ კი ერთი?“ პასუხი არ მახსოვს და ალბათ არც იყო, ვინაიდან მართლა ხომ ვერ გვეტყოდა დედა: „იმიტომ, რომ ჩემს მამასა და თქვენს ბაბუა ალექსანდრ მეინს, კაცს დიდხულოვანს და სამართლიანს, არ შეუძლია არ უყვარდეს, ყოველ შემთხვევაში, საჩუქრები არ მოუტანოს და არ მოეფეროს სხვის შვილიშვილს, როგორც თავის საკუთარს. ანდრიუშას ბაბუას კი, კაცს უგულოსა და ძალზე ბებერს, თავისი ერთადერთი შვილიშვილი ბიჭის სიყვარულიც კი უჭირს“. ამიტომაც აღმოაჩნდა ანდრიუშას „ორი ბაბუა“, ჩვენ კი — ერთი.

ჩვენი ბაბუა უკეთესია, ჩვენსას ბანანები ყველასთვის მოაქვს, ბაბუა ილოვაისკი³ კი მხოლოდ ოქროსმანეთიანებს ჩუქნის მხოლოდ ანდრიუშას და პირდაპირ ხელში აჩრის — ასე განსაჯეთ, თითქოს ხელის მიღმაც აჩეჩებს — უსიტყვოდ და არც უყურებს, ისე, თანაც მარტოოდენ ანდრიუშას დღეობაზე ანდა შობა დღეს. დედა ამ ფულს მაშინვე ართმევს ანდრიუშას. „ავგუსტა ივანოვნა, ანდრიუშას ხელები დაბანეთ!“ „კი მაგრამ, ფული ხომ ახალი მოჩრილია!“ „სუფთა ფული არ არსებობს“. (ასედაც ჩაგვრჩა გულში ბავშვებს: ფული — ჭუჭყია). ისე რომ, ბაბუას საჩუქარი ანდრიუშასათვის ღვინო კი არა, ჭირია. ზედმეტად უნდა დააბანინონ ხელები გერმანელი ქალისგან ხელების ბანვით ისედაც გულგაწყალებულს. ოქროსმანეთიანს კი ცალკე განკუთვნილი „ილოვაისკისეული“ ყულაბა ყლაპავს და კაციშვილს აღარ ახსენდება მისი არსებობა მორიგი ოქროს ფულის მიღებამდე. ერთ მშვენიერ დღეს ყულაბა, მთელი ათი წელი ნაგროვი ილოვაისკისეული ოქროსმანეთიანებით, უკვალოდ გაქრა, და თუ ვისმე დაწყდა გული — არა ანდრიუშას (სიყრმიდანვე ოქრო ჩვენთვის არამცთუ ჭუჭყი, არაფრის მთქმელი სიტყვაც იყო).

¹ ი. ბუნინის მეუღლე.

² მ. ცვეტაევის ნახევარი ძმა მამის მხრიდან.

³ ცნობილი რუსი ისტორიკოსი, მ. ცვეტაევის მამის, ი. ვ. ცვეტაევის პირველი ცოლის მამა.

ჩვენს ბაბუას თავისი ეტლით პეტროვსკოე-რაზუმოვსკოეში დაყვაროთ ხოლმე, ანდრიუშას ბაბუას კი არაეინ არსად დაჰყავს, ვინაიდან იგი ეტლით არ დადის, მხოლოდ და მხოლოდ ფეხით დაიარება. ამიტომაც მოაღწია ამ ასაკამდე, ამბობენ უფროსები. ჩვენს ბაბუას ჩვენთვის საზღვარგარეთიდან დასაქოქი სათამაშოები ჩამოაქვს, მაგალითად, სულ ახლახან ანდრიუშას კარლსბადიდან სათამაშო ბიჭი ჩამოუტანა, კედელზე რომ ადის. ბაბუა ილოვასკისთან კი ცოცხალი ანდრიუშაც ვერ განძრეულა, თითქოსდა ზამბარდღერობაში გაუწყდაო. ყოველი მისი სტუმრობის შემდეგ ტრიოხპრუდნიზე მღგარი ჩვენი ძველი სახლის ყველა გასასვლელსა თუ გადასასვლელზე სისინ-ჩურჩული ისმის: „მილიონერი“ (ძიძა), „Millionär“ (ბალტიელი ბონა), ერთად კი: „შუ-შუ-შუ — Androuscha — ანდრიუშეჩკა — მდიდარი შემკვიდრე...“ ეს სიტყვები, ჩვენთვის, შვიდი წლის ბიჭისთვის და ოთხი და ორი წლის გოგონებისთვის ლიტონი სიტყვებია და წმინდა მაგიად რჩება, როგორც თვითონ ბაბუა ილოვასკი, შუა დარბაზში ვენურ სკანზე რომ ზის, ხშირად თავის იატაკამდე ჩამოფოფიალებული ქურქითაც—ვინაიდან კარგად იცის, რარიგ ყინავს ქვემოთ. იცის იმიტომ, რომ ეს მისი სახლია, თავის ასულს, ვარვარა დმიტრიევნას მზითევში რომ მისცა, როცა იგი მამაჩემს გაჰყვა ცოლად. ამ დარბაზს ბაბუა ილოვასკი არც არასდროს გასცილებია, როგორც არც არასდროს დამჯდარა დარბაზის მწვანე დივანზე, მუდამ შიშველ სკამზე იჯდა ხოლმე, როგორც კუნძულზე, შიშველი პარკეტის შუაგულ. „შენ რომელი ხარ?“ — თითს მოგვაშვერდა მასთან რევერანსით მისულთ, — „მარინა თუ ასია?“ „ასია“ — „ჰოო“. არც მოწონებას, არც გაკვირვებას, არც შეცნობას ეს არ გამოხატავდა. მსგავს არაფერს. სამაგიეროდ ჩვენც მისადმი არაფერს ვგრძნობდით — შიშსაც კი არა. ვიცოდით, რომ ჩვენ იგი ვერ გვხვდავდა. ორი და ოთხი წლის გოგონებმა და შვიდი წლის ბიჭმა უკვე ვიცოდით, რომ ჩვენ მისთვის არ ვარსებობდით, და ისევე თავისუფლად და მშვიდად ვუცქერდით, როგორც პუშკინის ძეგლს ტვერის ბულვარზე. ერთადერთი გავლენა, რასაც იგი ჩვენზე ახდენდა—როგორც საერთოდ ყველა ძეგლი — ის იყო, რომ ნელ-ნელა და თანდათან ვშემდებოდით და მანამ ვიდექით გაშეშებულნი, ვინემ სადარბაზო კარის ჭრიალი არ მოგვესმებოდა. ბაბუა ილოვასკი რომ მთელი ცხოვრება იქ მჯდარიყო, ჩვენც გაუნძრეველად ვიდგებოდით.

გაზაფხულობით ჩვენი ჩინარებიანი მწვანე ეზო ტრიოხპრუდნიზე ანდრიუშას გარდაცვლილი დედის, ტურფა ვარვარა დმიტრიევნას — მამაჩემის პირველი, მარადიული სიყვარულის და მარადიული კაეშნის საგნის — მზითევით, ილოვასკისეული რკინით ნაჭედი სკივრებით იჩითებოდა.

წითელი ტუფლიკო (როგორც პატარაობაში ვეძახდით), ტერფის სიგრძის სიმაღლე ქუსლით („რა პაწაწუნა ფეხი ჰქონია!“ — იძახის მოახლე მამა), შავ მაქმანთა გრძელი ჩანჩქერი, გრძელი ფოჩებით იატაკის მომხვეტი თეთრი შალი, მარჯნის წითელი სავარცხელი. ასეთი რამეები ჩვენს დედაზე, მარია ალექსანდროვნა მეინზე თავის დღეში არ გვინახავს. კიდევ მარჯნის შვიდფა მძივი (დედა—ორი წლის ასიას: „აბა თქვი, ასია, მარჯნის მძივი-თქო!“). როგორ გვინდოდა ხელის შევლება. მაგრამ შეხება არ შეიძლება. ეს წითელი მსხლები კი — ყურებში გასაკეთებელია. ხოლო ეს, წითლად რომ ელვარებს

³ ვ. ი. ცვეტაევის პირველი ცოლი, ვარვარა ილოვასკია. იგი კლექით გარდაიცვალა.

და შივ თითქოს ღვინო ასხია — ძოწია თურმე. („აბა თქვი, ასია, ძოწის სამაჯური-თქო“.—„სამაჯური“). ეს გულსაბამი მარჯნის ვარდია. მარჯნები — ნეაპოლია, ძოწი — ბოქემია. ესენი კი — რა უცნაური სიტყვაა — ბლონდებია, რომელიღაც დიდი დედის, რუმინელი მამაკის ნაქონი. აზრს ვერ გაიგებ, მაგიაა და ესაა („ამბობენ, მსახიობი იყო, თეატრში მღეროდაო, — ჩახურჩულებს მამა ჩვენს ბალტიელ ბონას. — ამბობენ, ჩვენმა ბატონმა მქტისმუტად იდარდა უმისობათ“. „დუმპეიტენ“,¹ — ბოხი ხმით პასუხობს ბალტიელი ბონა ოჯახის ღირსების დასაცავად, — უბრალოდ, მდიდარი მამის მდიდარი ქალი. მღეროდა კია, როგორც ჩიტო, თავის გულის გასახარელად“. ცეცხლივით მწველი ხავერდი, ბიჭის კოსტუმი. ბიჭს, ვისაც ასე აცმევენ, პაჟს ეძახიან. გველთავა შავ ზონარსაც, ქვედა კაბის ასაწევს, პაჟი ჰქვია.). ეს დანაც დაშნად იწოდება. ფაიები, ფერმუარები, ზარდახშები, კოლოფები... სუნი, რასაც ისინი გამოსცემენ, პაჩულის სუნია. ანდრიუშა, აქაოდა, მეორე დანა აღარ იქნებო, თავისი „შტეკენფერდით“² დაქრის ირგვლივ. მე დედას — გაუბედავად: „დედა, რა... სილამაზეა!“ — „არა მგონია, მაგრამ გაფრთხილება კი უნდა, ვინაიდან ლიორას³ მზითუვია!“ — „რა ვერცხლის თოელია!“ — „ეს ნაფტალინია. ჩრჩილმა რომ არ დაჭამოს“. ნაფტალინი, მზითუვი, პაჩული — მიდი და გაიგე, მაგიაა და ესაა.

მოგვიანებით ჩვენს ჩინარებიან მწვანე ეზოში ველოსიპედის ჩონჩხი გაჩნდა. ჩონჩხი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ, როცა წამოვიზარდე, უმაღლესი იგი იმ პირველივე ცხოველში, უსაშველოდ მალეები რომ არიან, უსაშველოდ მაღალი კისრები რომ აქვთ, მიწაზე მაღალი ფეხებით რომ დგანან, მხოლოდ და მხოლოდ ჩონჩხის სახით რომ გვინახავს და ისიც მხოლოდ სურათებზე (ამ ველოსიპედის მსგავსად.) „ისტორიკოსის წინაისტორიული ველოსიპედი!“ — ხორხოცებს ჩვენი თავისუფლად მოაზროვნე სტუდენტი გულიაევი, ანდრიუშას რომ ამზადებს მეშვიდე გიმნაზიის მოსამზადებელი კლასისთვის, მის დას ლიორას კი ხუმრობით თავის საცოლეს ეძახის. ეს იყო ველოსიპედის პირველი მოდელი, რომელიც აჩუქა, უფრო სწორად, დაუტოვა (უბრალოდ კი — მიუტოვა!), არაგულუხვმა ბაბუამ მეცნიერების საზიარებლად უკვე წამოზრდილ თავის შვილიშვილს. ხოლო თავისთვის ახალი იყიდა. ყველაზე ძნელი და თითქმის შეუძლებელი ცხრა წლის ბიჭისთვის ამ ველოსიპედზე ჯერ დაჯდომა იყო, მერე მისი დამკრა: პედლებამდე ფეხებს ორ არშინამდე ვერ აწვდენდა. ხოლო თუკი დაჯდებოდა — ჩონჩხი სამბორბალა გახლდათ, ამასთან ქვასავით მაგარი და მკვიდრი — ველოსიპედს და ზედ მჯდომ ანდრიუშას ეზოში მეეზოვე მატყვი დაათრევდა. მე და ასიას კი ველოსიპედზე დაჯდომის ნებაც არ გვქონდა. თუმცა ეს ჩვენ ოცნებაშიც არ გაგვივლია. ჩვენს ოჯახში ყოველივე ილოვაისკისეულს, ინსტიტუტულ ვალერიას ჯინჯილებიდან მოყოლებული ანდრიუშას იხტიოზაურამდე, ჩვენთვის — ცვეტაევიებისთვის ტაბუ ედო. ეს იყო უსიტყვო აკრძალვათა და ანდერძთა სახლი. მოგვიანებით ჩვენს სახლში ასეთივე თოფიც გაჩნდა. და ასეთივე ჭოგრიტიც. ისე რომ, შეიძლება ითქვას, ბაბუა თავის ნიეთებიდან ისევე იზრდებოდა, როგორც ბავშვი ფეხსაცმლიდან, ოღონდაც უკუპროპორციულად: დიდს პატარათი ცვლიდა.

1. სისულელეა (გერმ.).

2. ჯობის ცხენი (გერმ.).

3. მარინა ცვეტაევის ნახევარი და (ვალერია) მამის მზრადან.

თუმცა ველოსიპედი, თოფი, ჭოგრიტი მისი ერთადერთი მემკვიდრეობა აღმოჩნდა შვილიშვილისთვის.

ილოვაისკი მალაია დმიტრიევკაზე ცხოვრობდა, ბებერი პიმენის შესახვევში. ილოვაისკების სახლში მე და ასიას ფეხი არასდროს არ დაგვიდგამს, მხოლოდ გვსმენოდა, როგორ ეუბნებოდა მამა დედას: „შენ უკვე მთელი თვე არ მისულხარ, მეხუთე პარასკევია უკვე, იცოდე, ეწეინებათ! ჩვენს ძალა დაატანე, გეთაყვა, ასეა საჭირო...“ „მაშასადამე, ისევ კუთხის ოთახში უნდა ვიჯდე და მთელი საღამო ვინტი ვითამაშო!“ ვინტის თამაში კი ასეა: შუა ოთახში ვინტიანი მაგიდა დგას, ირგვლივ სტუმრები უსხედან და ამ მაგიდას ატრიალებენ. ვინც უფრო დიდხანს დაატრიალებს, ის იგებს. ამას კიდეც „მაგიდების ტრიალიც“ ჰქვია. ინსტიტუტელი ლიორა და ახალგაზრდა ილოვაისკები, გასაღებით ჩაკეტილები, ამით ერთობიან. ძალზე მოსაწყენი თამაშია და თანაც საშიში, ვინაიდან, დედის თქმით, შუალამემდე მაგიდიდან ფეხს ვერ მოიცივლი: კუთხის ოთახის კარში ბაბუა ილოვაისკი დგას და არ გიშვებს. მოგვიანებით, როცა მივხვდი, ვინტი კარტის თამაში იყო, დედის ეს სიტყვებიც ჩამებეჭდა გონებაში: „როდესაც ადამიანებს ერთმანეთისთვის სათქმელი არაფერი აქვთ, კარტს თამაშობენ“. შემდეგ კი ეს სიტყვები შოპენჰაუერთან შევიცან. „რას იზამ, გეთაყვა, ადამიანებს ვერ გამოცვლი, ესაა, არ უნდა აწყენინო...“ — ამოიოხრებდა მამა, ვინც თავად ყოვლად გულგრილი იყო საწერი მაგიდის გარდა ყველა სხვა მაგიდისადმი.

ანდრიუშას ილოვაისკებთან წასვლა არ უყვარს. ვინაიდან იქ მისი ტოლი არაეინაა, მყისვე ბაბუა ილოვაისკის მეორე ცოლის, ალექსანდრა ალექსანდროვნას კლანჭებში ხვდება, რომელსაც ასევე, სახელითა და მამის სახელით მიმართავს. ა. ა.-ა (დაბადებით კოვრაისკაია) ბაბუაზე ოცდაათი წლით უმცროსია. უფროსების აზრით დღემდე უღამაზესი ქალია, ჩვენთვის კი პირიქითაა, ვინაიდან ძალზე კაპასი სახე აქვს, თითქოს მიჭყლეტილი ნესტოები, და ამ ნესტოებიდან გამოსული ხმაც ასევე ანჩხლი და კაპასური. ხალები კი — ხალები, უბრალოდ, ლაქებია, თითქოს შოკოლადი უჭამია და ტუნის ზემოთ არ მოუწმენდია. მუდამ „ჭრელი დედალივით“ აცვია, ანუ შავ-თეთრი, ყავისფერ-თეთრი, ნაცარა-თეთრი წვრილუჯრედებიანი სამოსი და თუ დიდხანს უცქირე, თვალები ავიჭრელდება, არადა, დიდხანს უნდა უცქირო, შიგადაშიგ კი მზერა მისი კაბის ჭრელ ქობაზე გადაიტანო, თუკი ვერ გაუძლებ ამ ყოვლისმხედველ შავ თვალებს, ასე რომ განსხვავდებიან ქმრის ცისფერი არაფრისმხედველი თვალებისგან. კაბა ისე შემოტკეცია და შემოკვართია ტანზე, უფროსების თქმით, თითქოსდა „tiree à quatre épingles“ — აო, თან გაუთავებლივ „იკბინება და იჩხვლიტება“, რაიც ჩვენს თვალში მას ქინძისთავების ბალიშად აქცევს.

თუმცა შვილები კი, შვილები კი ა. ა.-ას — საოცრება ჰყავს. ისინი სამნი არიან: თაფლისფერთვალა ნადია, შავთვალა სერიოჟა და ძალზე სანდომიანი პუტკუნა ოლია, რომლის თვალებს ჩვენს ოჯახში „კესანეს“-ს ეძახიან.

დმიტრი ივანოვიჩ ილოვაისკის ორი ცოლი ჰყავდა. პირველი ცოლი და მისგან სამი შვილი დაეღუპნენ. საოჯახო ალბომიდან მახსოვს ბიჭების საოცრად ლამაზი სახეები (ამ ოჯახში სილამაზე მეფობდა!). პირველი ოჯახიდან

1. ოთხ ქინძისთავზე გადაქიმული (ფრანგ.).

ყველაზე ბოლოს ვ. დ.-ა გარდაიცვალა, რომელზეც უკვე მოგახსენეთ. მაგრამ სიკვდილს სვლა არ შეუჩერებია. 1904 წელს ტურფა ნადია და სერიოჟა (ოცდაორი და ოცი წლისანი) ერთიმეორის მიყოლებით დაესვენენ მაგიდაზე ბებერი პიპინის ახლოს. ყველაზე პატარა ოლია ებრაული წარმოშობის კაცს გაჰყვა ციმბირში და იქ დაიწერა მასზე ჯვარი, რაიც ილოვაისკისთვის სიკვდილზე უარესი იყო.

1906 წელს მე და ასია, საზღვარგარეთ ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ დედით დაობლებულნი, უკვე გაუცხოებულნი და წამოჩიტულნი, ჩვენს ტრიოხპრუდნისეულ სახლში დავბრუნდით. დიდ დარბაზში, რომელსაც ჩვენი არყოფნის ხანს ანდრიუშას დედის წელამდე სურათი მიმატებოდა (სურათი — ჩვენს ცხოვრებაში საბედისწერო), დარბაზში, შიშველ ვენურ სკამზე, თავის ფარფარა ქურქის ტალღებში, მოშიშვლებულ იატაკის შუა, როგორც მოშიშვლებულ მინდორზე — ბაბუა ილოვაისკი იჯდა. გამოშვერილი თითი, გაყინული, უჩინო მზერა. „შენ რომელი ხარ: „ასია თუ?...“ — „მარინა“. „ჰოო...“ და თუ არ გვცნობდა, განა იძიტომ, რომ ამდენი ხანი არ ვუნახივართ, იძიტომ, რომ არც არასდროს დაუნახივართ, ანუ სახელი სახესთან არ გადაუბამს და არ გადაუბამს იძიტომ, რომ მისთვის სულერთი იყო. სახელის კითხვა კი (თუ ვინ-ვინაა) ისტორიკოსის წმინდა ვალი გახლდათ: საგნებს თავისი სახელი დაარქვას, რაიც მაშინვე ავიწყდებოდა — არაისტორიული მიზეზის გამო. ხოლო „ისტორიულ თარიღებამდე“ — ანუ მე და ასიას წლოვანებამდე ილოვაისკი არ მისულა. ხუთი წლისა თუ თხუთმეტისაა მის წინ მდგარი მარინა — მნიშვნელობა მისთვის არ ჰქონდა — ის ხომ მნიშევი არ გახლდათ გვარად. თავად კი ოთხმოცზე მეტ ზამთარს უკაკუნებდა!

— რა უცნაური სახლი აქვს ბაბუაჩემს, — გვიყვება ანდრიუშა, მთელი ეს წლები ილოვაისკებთან რომ გაატარა. — ქვემოდან ახურებენ და ისიც ღამით-ფეხს ვერ დაადგამ, იატაკზე ცეკვას დაიწყებ, თავი ჯოჯოხეთში გეგონება! თვითონ ბაბუას სხვენზე სძინავს, ტეხურ ყინვაშიაც სარკმელს ალებს. ნადიასა და სერიოჟასაც ამასვე აიძულებდა, ალბათ იძიტომაც გარდაიცვალნენ. არც არაფერს ჭამს მთელი დღე, საბი შავი ქლიავისა და ორი ჯამი დაღერდილი შვრიის გარდა. და არც ღამით სძინავს — არც ა. ა.-ას აძინებს — ან წერს, ან დადის, სწორედ ჩემს თავზე — წინ და უკან, წინ და უკან. თუ არ დადის — მაშასადამე, წერს. მე რომ გიმნაზიაში წავალ, მაშინ იძინებს, მოვალ სასაუზმოდ — უკვე წერს. ნეტა ამდენს რას წერს? სულ ბოლო დღემდე უნდა მივიყვანო. ნეტა რომელ დღემდე, როცა დღეს, მაგალითად, მგონი, ბოლო დღეა? ხვალაც ხომ ბოლო იქნება!.. ასე ხომ ვერასოდეს ვერ დაამთავრებ... არადა, რა ჯანმრთელია!! დღემდე ცხენს დააჭენებს, ხმაც ისეთი აქვს, გეგონება, ბუკს ჩაჰბერაო — ყურის ბარაბნებს გაგიხეთქავს! თვითონ არ სძინავს, სხვებს კი ლოგინში ჩურთავს. ეიდრე ნადია და სერიოჟა ცოცხლები იყვნენ, ახალგაზრდები მოვიდოდნენ, ან მარჩიელობენ, ან რაღაცას თამაშობენ — ზუსტად ათზე კი, შუა თამაშისას, ზღურბლზე ბაბუა გადმოდგება ხალათში. ძივა და ჯერ ერთ სათელს ჩააქრობს, მერე მეორეს, ასე ჩამოჰყვება ყველას, ვინემ ერთი არ დარჩება. ერთს სტოუებს ხოლმე. და ისე წავა, კრინტსაც არ დაძრავს, მაშასადამე, სტუმრების წასვლის დრო არისო. სტუმრები კი დერეფანში კალაშებს ააბრაგუნებენ, აქაოდა, ეგონოს, რომ წავედითო, და როგორც კი ის

თავის სხვენზე ავა—ისევ მობრუნდებიან და არის ერთი ამბავი და დროსტარება, ოღონდაც ჩუმად...

მე და ასიას მან კიდევ ერთი კითხვა დაგვიმატა, არა, ორი: „გიმნაზიაში სწავლობ?“ — „დიახ!“ — „ვისი სახელმძღვანელოთი?“ — „კონოვნიკოვის“ (ვარიანტი: ვიპერი.). უკმაყოფილო ხმით: „ჰმ...“ თუმცა გამოცდაზე მაინც ილოვასკი დამეხმარა და არა ერთგზის.

ერთხელ მისი სახელმძღვანელო რომ გადაეშალე, მხოლოდ მისი კონძისთვისოდენა შრიფტით მიბეჭდილ შენიშვნას ჩაკვარი თვალი: „მითრიდატმა პონჯოს ჭაობში შვიდი სპილო და ცალი თვალი დაკარგა: თვალის ამბავი მომეწონა, დაკარგა და მაინც — დარჩა! ვამტკიცებ, რომ ეს თვალი — მხატვრულია! რამეთუ სხვა რა არის მხატვრულობა, თუ არ დაკარგულ საგანთა პოვნა, თუ არ დანაკარგთა უკვდავყოფა?...“ (...)

მეოთხე კითხვა ილოვასკისა მე და ასიას მიმართ იყო: „ჩემი კრემლი წაიკითხეთ?“ „დიახ“. „აბა რას ვწერ იქ?“ „ებრაელების ამბავს“. „მერედა რას ვწერ ებრაელებზე?“ „რომ ისინი არ გიყვართ!“ მსუბუქი ღიმილთ და ენით უთქმელი კილოთი: „არ გიყვართ!“ თუმცა საკუთარ შვილიშვილს უფრო დაწვრილებით და ვერაგულად ეკითხებოდა. „აბა ეს უთხარი, აბა ის, წმინდაწყლის დაკითხვას მიწყობს! ბოლოს და ბოლოს მე კი არ დამიწერია? მართლა ხომ არ უნდა გავუხებინო? — ჩიოდა ანდრიუშა. — მე ვეუბნები: გერმანელები-მეთქი, ის კი — ლივონელებიო. მე თუ მკითხავ, თუნდაც ჩუხონელები ყოფილან! გუშინ მთელი საათი არა და არ გამიშვა!“

„კრემლი“ ყოველთვის გაზეთი იყო, რომლის ერთადერთი რედაქტორი, თანამშრომელი, ხელმძღვანელი და დამტარებელი გახლდათ თვითონ ილოვასკი (ნათესავებთან და ნაცნობებთან თავად მიჰქონდა.). თუმცა ცენზორის ძალა მაინც გამოსცადა, ვინაიდან სამი გაფრთხილების შემდეგ 1905 წელს „კრემლი“ დახურეს (...) მახსოვს დედაჩემის ახალგაზრდულ დღიურში (დაახლ. 1895 წ.) ასეთი ჩანაწერი: „დ. ი.-ის მოხსენებაზე ვიყავი. მიხაილ რომანოვის სამეფო ტახტზე ასვლის თაობაზე ჰქონდა მოხსენება სამეფო პირთა თანდასწრებით. ილოვასკის თქმით გამოდიოდა, რომ მიხაილ რომანოვი მისი არარაობის გამო გაამეფეს. გაბედული განცხადებაა, მაგრამ ნათესავების თანდასწრებით — უხერხული“. თავის სიმამაცე და ის, რომ არად აგდებდა, რასაც სიმართლედ და მოვალეობად არ მიიჩნევდა, მან 1905 წელზე უფრო მეტად პასუხსაგებ ხანაში დაამტკიცა. „და მე სიმართლეს მეფეებს პირში ღიმილით ვეუბნებოდი“.1 თუმცა ილოვასკის სახეზე მე ღიმილი არასოდეს დამინახავს და არა მგონია, მეფეებს ენახათ იგი. ოღონდ სიმართლე კი-გაუგონიათ. „კრემლი“, რა თქმა უნდა, შემდეგ ისევ გამოდიოდა და დ. ი.-იც ამ ჟურნალით კვლავაც სახლებს უვსებდა მისგან დაბეგრილთ. ერთადერთი, რაც ხსოვნაში ჩამრჩა ილოვასკებთან ჩემი ერთადერთი სტუმრობისას — გახლდათ ფანჯრის ღრმა წალოებში „კრემლის“ დასტები, ლამის ფანჯრის თავს რომ აღწევდა და ალევგორიულად კი არა, ფიზიკურად უფარავდა იქ მჯდომებლებს თუ სტუმრებს ღვთისგან ნაბომებ სინათლეს და სამყაროს. გოდუნოვისეული თაღებიანი ეს ოთახი, ნახევრად სარდაფში მდებარე, გთხოვთ, კარგად დაიმახსოვროთ.

1. გ. დერჟავინის ლექსიდან „ბეგლი“.

ეს იყო ულამაზესი მოხუცი. ტანადი, მხარბეჭიანი, ოთხმოცდაათი წლის მოუხედავად მაინც შტრინგივით გამართული, ჰქონდა სწორი ცხვირი, გვერდზე გაყოფილი თმა, ტურგენევივით ხვეული კულულები და მასავით დიდებული შუბლი, რომლის ქვემოდან ყინულივით ცივი დიდრონი, გამჭრიახი თვალები ყოველ სულიერს ყოვლად გულგრილად გამოსცქეროდნენ.

თვალებს ვხუჭავ—და ვხედავ: ჩვენს პატარა დერეფანს ტრირხპრუდნიზე, სადარბაზო კარებში ვეებერთელა ქურქში გახვეულ მოხუცს, მის წინ მღვარ ჩვენს დამფრთხალ მოახლეს, ამ ათი წლის მანძილზე ვერამც და ვერამც რომ ვერ შეჩვეულიყო. „შენ მაშა გქვია? პოდა, გადაეცი შენს ბატონს, ბებერ პიმენიდან ბატონი გეახლათ, „კრემლი“ მოგართვათ-თქო“.

II

სახლი ბებარ კიბენთან

ეს იყო სიკვდილის სახლი. ამ სახლში დასასრული სიკვდილის გარდა — ყველაფერს ჰქონდა. სილამაზეს, სიყმაწვილეს, სიტურფეს, სიცოცხლეს — სიბერის გარდა — ყოველივეს ბოლო ეწერა. ამ რკინის კაცს გადაეწყვიტა მარად ეცოცხლა. „სხვის წუთისოფელსა ჭამს... შვილები ყველა დამარხა, თავად კი... ოცი წლის ბიჭი მიწაში უწევს, სამოცდაათი წლის ხრონცი ზევით დაიარება...“ იყო დრტვინვა და ჩურჩული მის ირგვლივ, ის კი მაინც ცოცხლობდა.

კარგა ხნის შემდეგ ფერარის¹ „ცოცხალი კაცი“ რომ წაუკითხე (ღმერთო, შემინდე ეს ცოდვა), მომაგონდა კი არა, თვალწინ ეცოცხლად დამიდგა დ. ი.-ი. ასი წლის ბებრები რომელიღაც ქვალორდიან უდაბნოში უსაფრდებიან და მიტყუებულ ყრმა მგზავრებს სისხლისგან ცლიან, რათა იმათ იცოცხლონ. არავის სისხლი დ. ი.-ს არ დაუღვევია, მისებურად შვილები კიდევ უყვარდა, მაგრამ შეფარდება მაინც რჩებოდა: მისი ამდენი ხნის სიცოცხლე, რაიც მისდათავად იშვიათია, და პირდაპირ ყველაზე საშიხელი — სიკვდილი ყრმა შვილებისა. პირველი ცოლი, ორი ვაჟი და ერთი ასული, მეორე ცოლისგან გაჩენილი ერთი ვაჟი და ერთი ასული... ეს იყო რაღაც ჟღერა და მუსრი ახალგაზრდების, მხოლოდ და მხოლოდ მას რომ ინდობდა.

ილოვაისკის როგორც ჩვენთან, ისე მასთან გულქვაობასა და სისასტიკეს საყვედურობდნენ. არა, სასტიკი იგი არ იყო, იყო სწორედ რკინისაგან ნაჭყედი კაცი, ვინაც კისერს არ იდრეკდა არაფრის წინ და არაფრის ხათრით, გარდა მორიგი (დაუსრულებელი) სამუშაოსი. არადა, რამდენი გაფრთხილება მიეცა თითქოს! თუ არ მოუკლებ მედიდურებას, თუ ისევ იძალაუფლებ, ანუ, პირველ ყოვლისა, ესოდენ აშკარად გაცხადებულ განგების ძალას ქედს არ მოუხრი — სიკვდილი მათაც წაიყვანს. ყველას წაიყვანს. მაგრამ მისი თვალები სხვას ხედავდნენ. ვერ ხედავდნენ მხოლოდ იმას, რა აზრი ჰქონდა მაგიდაზე ცხედრების მონაცვლეობას. ისტორია თვისი სახლისა და სიცოცხლისა მან ვერ შეიგრძნო (ან იქნებ ბედისწერა და არა ისტორია, ხილული მხოლოდ

1. ფრანგი მწერალი კლოდ ფერარი (1876—1957).

პოეტისათვის?). მისი თვალები ცხადად ჭვრეტდნენ მხოლოდ ერთ რასმე: მისი, როგორც მამის ძალაუფლებას და ამ ძალაუფლების დეკრეტთა შეუმცდარობას. სიკვდილი კი, სიკვდილი არის მხოლოდ ღვთისგან მოვლენილი უბედურება. თავისი დანაშაული მას წამითაც არ შეუგრძნია. თუმცა იყო კი — დამნაშავე?

ამ ყმაწვილებს განგებისაგან უდროო სიკვდილი დაბედებოდათ, არ გაგეცინოთ, ბედისწერა მართლა არსებობს, და ილოვაისკიც, როგორც მითებში, იყო მხოლოდ იარაღი ბედისწერისა. (ქრონოსმა თავისი შვილები უნდა ჭამოს.). ბრალი მაშინ გაქვს, როცა ამ ბრალს შეიგრძნობ. თუ არ შეიგრძნობ, ბრალი აღარაა, თუმც შეიძლება მან სიკვდილი თესოს. ილოვაისკი კი ცოცხლობდა — ილოვაისკში თვისი რწმენის გამოუსწორებელი რწმენა ცოცხლობდა. შეიძლება კი უცოდველობა დაისაჯოს?

ან იქნებ ის, რაიც ყველას სიცოცხლის ნება-სურვილად ეჩვენებოდათ — გახლდათ ტყვეობა ბედისწერისა, ის რომ დიდხანს უნდა იცოცხლოს, ხოლო ყმაწვილები — სიცოცხლეს ადრე გამოეთხოვონ. წყველად ქცეული დღევრძელობა? (სიბილა, სიკვდილი რომ არ უწერია).

და რაკი ყოველივე და ყველაფერი არის—მითი, რაკი არამითი არ არსებობს, რაკი მითმიღმა არაფერი არ არსებობს, რაკი მითმა განჭვრიტა და ჩამოაქანდაკა ყველაფერი, ილოვაისკი ახლა წარმომიდგება, როგორც ქარონი, ნავით რომ გადაჰყავს ლეთას წყალზე ერთიმეორის მიყოლებით — სიკვდილის-თვის განწირული თვისი შვილები.

აი ის პირველი ბიჭები, საოჯახო ალბომის სარკმლებიდან რომ მიმზერენ— ისინი ახლა ჩემზე ორმოცი წლით უფროსები იქნებოდნენ — და შუაში მღვარი მათი ყმაწვილი დედა. ორივე მამასა ჰგვანან, მამასავით დიდშუბლანი, ცისფერთვალეა, სწორი ნაკვთებით, უკანასკნელ წუთამდე რომ დედის მუხლებიდან ერთმანეთს ლეთას უძრავ წყალს ასხურებდნენ...

აი ვ. დ.-ა, საყვარელი ცოლი არასაყვარელი ქმრისა—ვისაც სხვა უყვარდა, ვინაც თავის უბედობას ნეაპოლის ცის ქვეშ სიმღერით იქარვებდა, ვინაც პირველი ვაჟის დაბადების შემდეგ შუა სიტყვაზე დალია სული, ხელში თაიგულით, მორთულმა და მოკაზმულმა — სისხლის ლეკერტმა იარა, იარა და გულს მიაღწია — მარჯნებით ლამის წალეკილმა. ვ. დ.-ამ, ვისაც სამხრეთისა და სიხარულის სივარდისფერე ჯერაც არ გადასვლოდა. აი ის, მარჯნის მძივს რომ უქნევს აქ დარჩენილ ვაჟს...

აი — თანდათან იცრიცება ნისლი ლეთას წყალზე — არა ალბომი! არა პორტრეტი! — ნადია ცოცხალი, თმაწაბლისფერი და ვარდისფერი, რალაცნაირად მწველად ხავერდოვანი მზით შეფერილი ატამივით, თავის ძოწის მოსასხამს (პროზერპინა!)¹ ორივე ხელით ხან რომ გადიხსნის, ხან შემოიხვევს—ო, არა სუდარას! მითმა სუდარის არა იცის რა, ყველა ცოცხალი სიკვდილის კარში ცოცხალი შედის, ვინ—რტოთი, ვინ—წიგნით, ვინ—სათამაშოთი...

(მენავის გარდა ამ ნავში ყველა იცვლება.)

აი სერიოჟა, გარდასულ თაობათა ცოცხალი ანარეკლი! (ჰოი, როგორ ვერაფერს მიხვდი, ისტორიკოსო!) მოხდენილი, წერწეტა, სულმთლად ბავშ-

1. მითის მიხედვით პროზერპინა მოიტაცა მიწისქვეშეთის მეუფემ და ქორწინების დაურღვეველობის სიმბოლო — ძოწის კაკლები გადააყლაპა, მას წელიწადში მხოლოდ გარკვეული დროით შეეძლო ეცხოვრა მიწაზე, დანარჩენი მიწისქვეშ უნდა გაეტარებინა.

ვურ სახეზე პატარა ქილვაშებით, ღია-შაუთვალა, ვარდისფერი კი არა, ხას-ხასა ფერმკრთალი — პირწმინდა გრაიურა 1812 წლისა! საოჯახო ქრონიკიდან შემორჩენილი, თითქოს შეზრდილი თავის (ვაი რომ სტუდენტურ!) მუნდირს. და აი ჩემი პატარობის სიღრმეებიდან მოტივტივეებს იღუმალებით მოცული სიტყვა: სერიოჟა ბორ-რამენსკი!... სერიოჟა ბორ-რამენსკი, რაულ დომბრი ქალიშვილთათვის დაწერილ ზინაიდა ფლერნოს² რომანს¹... ქი ყრმის მარადიული ზმანება, ზევსის მიერ ზეატაცებული პანიშუდი, ჰერაკლეს პილი, ნიმფას მიერ გატაცებული... მაგრამ ის მდინარე ლეთას მდინარე გახლავთ, მდინარე, სადაც ნიმფები არ არიან, სადაც ხმა არ ისმის, ლეთა, ვისაც არაფერი არ უნდა და არ ჭირდება, მისი მშვენიერი თვალებიც კი...

ჩემო ძვირფასო სერიოჟა და ნადია, მე თქვენ 1905 წლის გაზაფხულზე დვთისგან კურთხეულ ნერვიში გხედავთ. სერიოჟას — ოთახისა და დედის ჩრდილში, ნადიას — სინათლეზე, დედის ჩრდილი რომ ჰკვეთავს. დედა სერიოჟას იცავს, ნადიას — დარაჯობს, აგერ ორივენი ლანდოში სხედან ყვაილების ბრძოლაზე, ყველა ყვაილი ნადიასკენ მიქრის, ქალაღდის ყველა სორსალი, ქვიშით (იქნებ საფანტითაც) დატენილი — დედისაკენ. გაიქნევს ხელს იტალიელი და ლამაზ გოგოსკენ ვარდს გასტყორცნის, ურჩხულისაკენ — საძაგლობას (ნეტა როგორ ახერხებდა ა. ა.-ა, თავად ლამაზი, ურჩხულად ქცევას?). ნადია კისკისებს, დედა არაფერს იმჩნევს, ოღონდაც მეეტლეს ბრძანებას აძლევს უკან გაბრუნდეს, ყვაილების ბრძოლიდან იმ ერთ ოთახში მიჰყავს, სადაც შედარებით ჯანმრთელი და უკვე მართლაც დასნეულებულ ძმასთან ერთად ცხოვრობს და ერთმანეთს ხველებით არ აძინებენ. ნადიას სტუდენტი ფან დერ ფლასი ეტრფის, ოღონდაც კიეველი და არა პოლანდიელი, ისიც ასევე სნეული, ასევე ლამაზი, ვისაც მე და ასია „მონასტრის კატას“ ვეძახით, რადგან მსუქანია, თანაც მეტიმეტად კოპწია და ცალკე მდგარ, სენაკის მსგავს პატარა სახლში ცხოვრობს. მე და ასიას მისი წერილები დაგვაქვს ნადიასთან, ხანდახან ნადიასი — მასთან. მაშინ ნადია მიყოლებით გვიკრავს მხურვალე მკერდზე და მხურვალედ გვკოცნის თავზე. შეყვარებულებს დედაჩემი მფარველობს, ასევე ახალგაზრდა, ასევე სნეული. იგი საათობით იქცევს მისთვის აუტანელ ა. ა.-ას თავისთვის აუტანელ საოჯახო საქმეებზე საუბრით: დაკვირვებებით, მოსაზრებებით, ზოგჯერ გამონაგონით: მაგალითად, თაღგამი როგორ ჩაამწნილოს... (მერე ჩვენ გვეუბნება: „ადგეს და ჩაამწნილოს! თვითონ შეჭამს!“) და ისე ართობს ყურფხიზელ დარაჯს, დროსაც ავიწყებს. მაგრამ ერთ ბედნიერ დღეს ბედნიერებას ბოლო ეღება. ა. ა.-ამ არ დაუცადა მკურნალობის დამთავრებას და იმ მიზეზით, ცხოვრება აქ ძვირიაო, პანსიონი ხუთ-ხუთი ფრანკი ღირსო, მილიონები ჯდებაო (სინამდვილეში კი ნადიას წარმატებების გამო, ამ „წარმატებათა“ არასაიმედო შემადგენლობის გამო), ზღვისპირი ნერვიდან შვილები ილოვაისკისეულ „სპასკოეში“ მიჰყავს. ტირის ნადია, ტირის ფან დერ ფლასი და არა მართო ფან დერ ფლასი (განსაკუთრებით ერთი წითურწვერა, ჩვენს პანსიონში რომ არ ცხოვრობს და მისთვის ნადიას ერთხელაც არ შეუხედავს), ტირის ჩვენი დედა, ეტირივართ მე და ასია, არ ტირის მხოლოდ

1. ე. ტურის ამავე სახელწოდების რომანის გმირი.

2. ფრანგი მწერალი ქალი (1829—1890), ავტორი რომანის „რაულ დომბრი, ოჯახის თავი“ გმირი.

ყოველად წესიერი სერიოზა დედის ხათრით, თუმცა ეკიპაჟიდან სულ უკან-უკან იხედება, ჩვენ გვეგონა — ნერვისაკენ, თურმე — სიცოცხლისაკენ.

დედა მათი იყო დედა მხოლოდ ვაჟისთვის, არა ასულებისთვის. მამაკაცის და შემინდოს მისმა აჩრდილმა, დაე ნახოს, რომ წინარე თუ შემდგომ ყოველისა მის განჯას — მე არ ვაპირებ. უკრაინელებს აქვთ ურთიერი ზღაპარი, ზღაპარი ღვიძლ დედასა და ნათლიაზე. ერთმა გოგომ ლამაზი ზღაპარი ჩაუარა, დაინახა სინათლე და შევიდა. წირვა იყო, ჩუმად წირავდნენ. მღვდელი ვერ იცნო, მლოცველებმაც გააკვირა: ზოგისთვის დიდი ხანია თვალი აღარ მოუკრავს, ზოგი — საერთოდ არც უნახავს. უცებ ვიღაცამ მხარზე შეახო ხელი. მიიხედა: მისი გარდაცვლილი ნათლია იყო. „გააქეც, გოგო, თორემ აქ შენი ღვიძლი დედაა, რომ დაგინახოს — შუაზე გაგგლიჯავს“. მაგრამ უკვე გვიანი იყო. დედამ თვალი მოჰკრა და აგერ ხალხში გზას მოიკვლევს. გოგომ მოჰკურცხლა, დედამ უკან მისდია, მიქრის ორივე უკაცურ მინდვრებზე (გოგო მიწაზე, დედა მის უკან—ოღონდ მიწაზე არა, მიწის ზემოთ). მაგრამ ნათლია გვერდით მიჰყვება, გოგოს არ აჩაგვრინებს, გზადაგზა ღვიძლი დედისაკენ პირჯვარს სახავს, პირჯვრით იშორებს. როგორც იყო, სოფელს მიატანეს, აგერ პირველი ქოხიც. მამლები უკვე ყივიან. ნათლია დაემშვიდობა: „საყდარში ღამით თუ სინათლე დაინახე, ნუ შეხვალ, გოგო, იქ მაშინ უცხოვნებელი სულელები ლოცულობენ უცხოვნებელ მღვდელთან ერთად. მე რომ არა, შეგჭამდა ღვიძლი დედაშენი. დღიდან სიკვდილისა შენზე კბილებს ილესავს“.

როცა ეს ზღაპარი, როგორც ხდება ხოლმე, ჩემთვისვე გასარკვევად, ვიღაც-ვიღაცებს ვუამბე და მერე ვკითხე — რატომ? რა მიზეზით-მეთქი? — მხოლოდ ერთმა, ისიც ქალმა, გადაჭრით მითხრა: „საკვირველი არაფერია. ქალიშვილი ხომ მეტოქეა. ეს ეჭვიანობის გრძნობა გახლავთ“. გარდაცვლილის ეჭვიანობა — ახალგაზრდისადმი, უბედურის — ბედნიერისადმი, მკვდრის—ცოცხალისადმი. ჰოდა, ისევ ა. ა.-ას ამბავს რომ დაუბრუნდე, ვიტყვი ამას: განსვენებულის განუსვენებელი ვნებანი-მეთქი, ვისაც არასდროს არ უცხოვრია. რამეთუ არც ა. ა.-ას უცხოვრია. როცა ასე ტურფა და ნორჩი ბებერ ილოუაისკის გაჰყვა ცოლად, გაჰყვა ფულსა და სახელს. მიიღო კი დიასახლისის გასაღებები ქამარზე დასაკიდებლად, ხოლო ზურგზე სათრევად დიდი ჯვარი. შინაურების გადმოცემით ილოუაისკი ცოლზე სასტიკად ეჭვიანობდა. ამ რკინის კაცს სილამაზე უყვარდა თურმე. მის გარეშე ცოლი ფეხს ვერსად გაადგამდა, მხოლოდ ერთხელ გაუშვა ვიღაცასთან ერთად მეჯლისზე და მერე მთელი სიცოცხლე აყვედრიდა. ტყუილუბრალოდ კი. ა. ა.-ა ამაყი და ერთგული იყო. (როგორც საკუთარ სილამაზეს, არც ღალატს უცქერდა იგი წყალობის თვალთ. ახლაც ვხედავ, ისე რომ დგას, თითქოს საკუთარ სილამაზეს ფეხით თელავსო). შემდეგ ერთიმეორეს მიჰყვანენ შვილები. შვილები, რომლებიც მყისვე ძიძების, გადიების, ბონების, გუვერნანტების, მასწავლებლების ტრადიციულმა კედელმა ჩამოაშორა. რომ არაფერი ვთქვათ იმ წყალგამყოფზე, მშობლების ზედა და შვილების ქვედა ფენას რომ ანცალკევებდა. შვილებს ზემოდან მართლა ლოდივით აწვით მშობლების ფენა. ის, რაზედაც მშობლები მთელი თავის სიმწელებით და სიმძიმით დააბიჯებდნენ, მათი ჭერი იყო, მათ თავზე იმყოფებოდა. ისინი ატლანტებს ჰგავდნენ, ცის თალი რომ უჭირავთ ცის ბინადრებით (ტყუ-

იოლად კი არ იყო თაღებიანი შვილების ქვედა სამყოფი!) ამან გაწყვიტათ კიდევ წელში. და ისევ აღზრდას რომ დაეუბრუნდე: ასეთ ვითარებაში როგორ გინდა საკუთარ შვილამდე გააღწიო? ეს რომ შეიძლო — ძალიან უნდა გიყვარდეს. მაგრამ შეიძლება კი — მე მხოლოდ გეკითხებით — აუცილებელი ან ასე გარდუვალია გიყვარდეს შვილი, არასაყვარელ ან სულაც აუტანელი ქმრისგან ნაშობი? ანა კარენინამ შეიძლო, მაგრამ მას ვაჟი ჰყავდა, ვაჟი ქრისტიანული, ვაჟი — მისი ცოცხალი ხატი, მისი მსგავსი, ვაჟი — მისი სული. აქცია ა. ა.-თვის სერიოზო, უმრწემესი შვილი, შვილი მისი სულის და ხორცის, იგი — ცოცხალი, თავშივე რომ არ მოეკლათ.

არ არსებობს ფიზიკური მსგავსება, თუ სულიერი თან არ ერთვის. და თუ სერიოზო, სათნოების, რიდის და სინაზის განსახიერება, ერთი შეხედვით სრულიად საპირისპირო ჩანდა დედისა, მხოლოდ იმიტომ, რომ მას ადარებდნენ ახლანდელ ა. ა.-ას და არა მაშინდელს, როცა მისი ასაკის იყო. და განა ა. ა.-ამ ყველაზე დიდი მორჩილება არ გამოხატა, როცა არასაყვარელს გაჰყვა ცოლად, როცა ერთხელ და სამუდამოდ ბედს მინებდა და ისევე მოთრგუნა თავი, როგორც მისი ვაჟი უდრტივიხველად თავის ბედს იმას დაუკავშირებდა, ვისზეც დედა წარბის ერთის შერხევით მიანიშნებდა. ოღონდაც სერიოზოში, ვისაც ჯერ კიდევ ცხოვრების ხელი არ შეხებოდა — ჩვენ მორჩილების განსვენებულ სიმშვიდეს ვხედავთ, ა. ა.-ში ეს გახლდათ გასასტიკებული მორჩილება.

ამასობაში კი ცხოვრებამ თანდასობით გამოჭედა და გამოკვერა ეს ტურფა ქალი. როცა იცი, არსად, არსაით, აღარსად წაგესვლება, იქ იწყობ ცხოვრებას, სადაც იმყოფები. ასეა ხოლმე. საკანმა შეჩვევა იცის. ის, რაც შესვლისას უგუნურებად და უკანონობად გეჩვენება, კანონზომიერი ხდება თანდათან. ციხის ზედამხედველი შეამჩნევს რა შენს მორჩილებას, ცოტ-ცოტაობით ღებება და ტყდება და იწყება შემზარავი, მაგრამ ნამდვილი კავშირი პატიმრისა ციხის ზედამხედველთან, ქალისა არასაყვარელ ქმართან, მისი ძერწვა ქმრის ხატად და მსგავსად. მაგრამ რა „ხატად და მსგავსად“-ზე შეიძლება აქ ლაპარაკი ბებერ მეცნიერსა და იმ ქალს შორის, ვისაც ქმარი არ უყვარდა? ან რა შეიძლო „გადმოელო“ ა. ა.-ას დ. ი.-დან? ისტორია, დ. ი.-ის სიცოცხლისა და ცხოვრების საქმე? არა, ისტორიას დ. ი.-ი თვითონ წერდა. იდეები? მისთვის, როგორც ნამდვილ ქალისთვის, ისინი არარა იყო (არ იქნებოდა ასე, თუ რომ, მაგრამ რაკი „თუ რომ“ არ იყო...). ჰოდა, უქმი კითხვები რომ არ გამომივიდეს — ქალს შეეძლო ქმრისგან მხოლოდ მეთოდები გადმოელო. ქმრის მეთოდები იყო სიძუნწე, მეოჯახეობა, შვილიანობა, ერთაზროვნება, და ასე შემდეგ. მეთოდები, ქალს რომ მაშინვე ჩვევად და ლამის მანად ექცა, ვინაიდან ერთია ეს — სახელმწიფოსთვის, და მეორე-ოჯახისათვის, ერთია — წიგნში, მეორე — ცხოვრებაში. ილოვაისკის მთელი შეუწყნარებლობა სხვა ტომელისადმი ქალის მიერ მიმართულ იქნა მხოლოდ გერმანელ ეკონომ ქალისადმი. მთელი თეორია სახელმწიფო დაგროვებისა — დავიდა საკუთარ საკუჭნაოზე, მთელი იდეური დომოსტროი-ცოცხალ შვილებზე. თქმა რად უნდა, რომ ილოვაისკი ოჯახში ტირანი იყო, მაგრამ ტირანი იდეური, ანუ არაწვრილმანი. ერთხელ და სამუდამოდ, მთლიანად, მთელი არსებით. და უფრო ოლიმპიელი ვინემ ტირანი: შვილებამდე არ მდაბლდებოდა. ა. ა.-ამ კი, სახლიდან გამოუსვლელად, ყველა მათი ბიჯი და ჟესტი იცოდა, და მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერი იცო-

და და იცოდა მხოლოდ გარედან, შვილების სულის არა იცოდა — მთელი სხვაობა მითითებათა გამცემ მამასა და იესოს საძმოს მეზობლ წევრს შორის. მოკლედ, ა. ა.-ა ოჯახში ქმრის მარჯვენა ხელი იყო, მარჯვენა ხელი კი თავზე უფროსი სასტიკი გახლავთ. „ყმაწვილქალებმა მეჯლისებზე უნდა იარონ“, — იტყოდა ილოვაისკი. „ოღონდ როცა დაბრუნდებიან, კაბები საკიდრებზე უნდა დაჰკიდონ“, — ასკვნიდა ა. ა.-ა. (შეიძლება მეტისმეტია, მაგრამ ჭკა მათი სიყმაწვილისა, ცხადზე ცხადია, მან ჩაამწარა.) „ყმაწვილქალებმა იმათთან უნდა იცეკვონ, ვინც მშობლებს მოსწონთ“, — იტყოდა ილოვაისკი. „ანუ იმათ არ ეცეკვონ, „ვინც თვითონ მოსწონთ“, — ასკვნიდა ა. ა.-ა. მახვილი „უნდა“-დან „არ უნდა“-ზე გადადიოდა. ფიზიკური აღკვეთა სულიერ აღკვეთად იქცეოდა.

რად და რისი გულისთვის იყო ეს აღკვეთები? იმიტომ, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ თვით მას ცხოვრება აღუკვეთეს, იმიტომ, რომ თავის ცხოვრებას ნაჩქარევად (გინდაც ცივი გონებით, მაგრამ ფიცხელი წარმოსახვით!), ყადაღა თავად დაადო, იმიტომ, რომ თავად დაისამარა თავი ბებერ პიმენტან მდებარე სახლში. ასულები, მეტადრე ერთი, კალმით ნახატი ვინმე იზრდება. „მეც კალმით ნახატი ვიყავ“. „გოგონები მხიარულები იზრდებიან“. „მეც ვკისკისებდი“.

და აი მისდა შეუცნობლად (რასაც სამგზის გავუსვამ ხაზს) თავისი დაღუპული ცხოვრების ჯავრს იგი იყრიდა ქალიშვილებზე. თუ ნათესავეების და შინაურების გაუბრალოებული მითის მიხედვით დ. ი.-ი. ყმაწვილთა წუთისოფელს „ახშობდა“, ა. ა.-ა ამ წუთისოფელს „ჭამდა“. არა, არ ჭამდა იგი. არ საზრდოობდა მათი სიცოცხლის წვენით, რადგან მაშინ ეს წვენი მისთვის შესარგო იქნებოდა, რისი ნიშანწყალი არ ეტყობოდა — იგი მათ უმოწყალოდ ავიწროებდა, გასაქანს არ აძლევდა, რა რომ არც მისი ნაშიერებისთვის გაელიმა ბედს. ზოგი სიბერე ქალიშვილის სიყმაწვილით ცოცხლობს ამქვეყნად, ეს — საფლავის ლოდად აწვა შვილებს. ცხოვრებამ მე დამახრჩო — მამ შენც დაიხრჩვი.

შემზარავია? განა ასეთი ქორწინება არაა — შემზარავი? კი, მისი ბრალია! მაგრამ განა თვითონ — იცოდა? განა იცოდა, რას წარმოადგენს ქორწინება? ეს ახლანდელებმა იციან. ისინი კი, ამ ორმოცდაათი წლის წინათ, მთელი მკერდით მიისწრაფოდნენ ჯოჯოხეთის ამ საკირეში და, როგორც თხრილში, ისე ცვიოდნენ შიგ. და ვინ იცის? იქნებ იყო დედ-მამას ძალდატანებაც, მისი დედის მუქარა და შეგონებანი? უბედურებისგან გამწარებული გული — აი რა იყო. მაგრამ განა ჯავრი უცოდველებზე უნდა ეყარა? ოღონდ ვითომ იცოდა, რომ ჯავრს იყრიდა? ეს მისმა ბუნებამ იცოდა და ის იძიებდა შურს გაქელვისათვის. თავად კი ყოვლად გულუბრყვილოდ ზრდიდა მხოლოდ (საყურადღებო და დასტურქმნილია, რომ სწება, რომელმაც სამი შვილიდან ორი წაართვა, მისი სწება იყო, მისი ძღვენი, მისი მეძვედრეობა. თუმცა დ. ი.-საც სიყმაწვილეში ჭლეტი სჭირდა, ოღონდ — როდის იყო ეს სიყმაწვილე? ან იყო კია? და ჩნდება უკვე ახალი მითი იმ მშობლებზე, სიკვდილს რომ თავის გამოსასყიდად შვილებს სწირავდნენ...).

გოგონებს არ აწამებდნენ. ო, მათ ბევრის რამის უფლება ჰქონდათ. იყვნენ მორთულ-მოკმზმულეები, ჰყავდათ დაქალები, დაქალთა ძმები, ჰქონდათ ბილეთები აღლუმებზე, ბილეთები ბალეტზე, რაც მთავარია — ღვამდნენ „ცოც-

ხალ სურათებს... ამას რომ ვამბობ, ამით ეპოქას ვხატავ. ეს იყო ჯერ კიდევ ცხრაასიანი წლების გარიჟრაჟი, ათას ცხრაას ხუთი წლის წინა ხანა. სტუდენტური არეულობა ჯერაც პატარა წყაროდ მოწანწყარებდა. სიტყვა პედელი¹ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ჩემს პატარაობაში რომ აღვიქვი „პედელთან“ თანხმობებით. პოდა, შეკრებების, კითხვების, მიმართვების, საზარელ ადაშიანების, იდეების ფარად გაჩნდა ცოცხალი სურათები. ფარად მძიმე, მძიმე, მძიმე ძველებური შტოფის მთელი კედელი. მის მიღმა კი...

ცოცხალ ადამიანთა უძრავი ჯგუფი მომწვანო და აღისფერი ბენგალური შუქით განათებული. ჯგუფი არ სუნთქავს, სახეზე ღიმი შეჰყინვია, ალი თრთის, საცაა უნდა ჩაქრეს... ფარდა ეშვება! ტაში. ტურფა ნადია, გაზაფხული ყველა შემხვედრის, გაზაფხულის გაქვავებული ალეგორია, ატამივით ხავერდოვან დაწვებზე ბენგალური ყირმიზით. ცოცხალი მზეთუნახავი, მძინარე მზეთუნახავით გაშეშებული. სიტურფე, ბერიკაცების სათვალთან, ბეც, შორსმხედველ აცრემლებულ, მოწიპრულ, თუ კაცმა არ იცის, როგორი მზერის ქვეშ მიძინებული, ელენესა და სუსანას² ბერიკაცების, მისი სამოცდაათი წლის მამის ტოლების.. (შემძლო გვარებიც შეთქვა—ზოგი ისტორიულიც — მაგრამ საჭირო კია? ყველა უკვე მითად ქცეულა...).

მაგრამ რა უნდათ აქ სტუდენტებსა და დოცენტებს? (მთელი ჯგუფიდან უწვერულვამო მარტო სერიოჟა იყო, ნიადაგ ნადიას მეწყვილე მისი ყოველი გარდაქმნისას: მაისი ყოველი მისი გაზაფხულისა, მეფისწული — ყოველი მზეთუნახავის) პენსნე შეიძლება მოიხსნას კაცმა, მაგრამ წვერს რა გინდა უქნა? არადა, ისინიც მონაწილეობდნენ „გაზაფხულებსა“ და „პომპადურებში“. წვეროსანი მარკიზები? და ეს უაზრობა ისტორიკოსის სახლში? რაზომ სამწუხაროც არ უნდა იყოს, არ შემძლია არ გავიღიმო. და ათობით წლების შემდეგაც არ შემძლია ძრწოლა არ ვიგრძნო ამ შესაზარ ამბავთა შეყრით: „ცოცხალი სურათები“ მკვდარ სახლში და მკვდარი სურათები — ცოცხლებისაგან.

ღიახ, ცოცხალი სურათები, წვეულებებზე სიარული — ცეკვა დედის მეთვალყურეობის ქვეშ, პირველ ასამბლეათა მსგავსად მჭმუნვარე. მაგრამ გოგონებს თავისი მაინც გაჰქონდათ, ცხოვრებას მუდამ თავისი გააქვს. ყმაწვილთა ჩაის სუფრა თანდათანობით ყმაწვილ თავისუფალ მოაზროვნეებით ივსებოდა (მოგვიანებით მხოლოდ და მხოლოდ — კადეტებით!) ძველი სახლის სანთლებს საიმედო საფარქვეშაც კი „იდეათა“ პირველი სიო აზანზარებდა. რა იდეათა? ებრაელიც ადამიანია. და ყველაზე უფრო მამაცები: „ქრისტეც ხომ იყო ებრაელი...“ უკვე ისმოდა ჯერ გაუბედავი, თუმც ამ გაუბედაობაშიაც კი რისხვით სავსე, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ფლერადობით აღვისილი სიტყვა „თავისუფლება“. რისი თავისუფლება? ყველაფრისა. რისგან თავისუფლება? ყველაფრისაგან. და, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, სახლისაგან. ოღონდ არა მშობლებისგან, მშობლები ჯერაც ხელშეუხებლად, არაგანსაჯად ითვლებოდნენ. თუმცა დამთრგუნველები განა ისინი იყვნენ? დ. ი.-ი თავისი ადრე

1. სტუდენტთა ზედამხედველი მეფის რუსეთში.

2. იგულისხმება მშვენიერი ელენე და სუსანა, ბიბლიური გადმოცემით იოაკიმის მეუღლე. რომელსაც ორმა ბებერმა მოსამართლემ ქმრის ღალატი შესწამა, სასამართლოზე მოსამართლეებმა ქალს მოსთხოვეს თავისი მშვენიერი სახე ერევნებინა.

დაწოლისა და ასევე ადრე ადგომის დეკრეტებით, ა. ა.-ა თავისი ნოტაციებით და ინტონაციებით? არა, მშობლები თავად იყვნენ დათრგუნულები — თრგუნავდა სახლი, მთელი თავისი ადრე მაცხოვრებლებით და ისე რიგად მაცხოვრებლებით, როგორც ამჟამად არ შეიძლება (თუმცა როდესმე კი შეიძლებოდა?), თრგუნავდა სახლი ბასტიონივით სქელი კედლებით, ფანჯრების ღრმა წალოებით, თითქოს მოჩვენებათა ზომაზე რომ იყვნენ გამოჭრილები, — თრგუნავდა ყველა კარი, არც დახურული, არც დაკეტილი — ნახევრად შეღებული, თრგუნავდა ყველა ჭერი, ღამლამობით რომ ვიღაცა წინ და უკან დააბიჯებდა, თრგუნავდა ბაღიც, თითქოს რომ ვითვალთვალებდა და ირგვლივ მჭიდროდ შემოგვხვეოდა. ო, ბაღი ყველაზე მეტად თრგუნავდათ, მისი ყასილი თავისუფლება, სინამდვილეში კი თითქოს მზვერაკად მდგარი მისი ხე-ტყის მასალა, ასე აშკარად ხელი რომ ჩაეკლო წარსულისათვის, ბაღი თავის ნესტით, სიბერით, ჭიშკრით, რომელიც არსად არ გადიოდა. ყველაზე მეტად თრგუნავდა სიტყვა პიმენი. ვინ იყო ეს პიმენი? რა ასეთი წმინდანი ვინმე? რად არ უშველა და დაიფარა? სამიდან სასაფლაოზე მხოლოდ ერთი რად არ გაუშვა, ისიც გოგო? ილოვაისკის გოგოებისთვის „თავისუფლება“ იყო მხოლოდ ამ წმინდანისგან თავისუფლება, თითქოსდა კეტით სამარეში რომ ერეკებოდათ. თავისუფლება დარაჯისაგან, სახლის დარაჯად, მათ დარაჯად რომ ქცეულიყო. (ო, პიმენს მხოლოდ სახლი ედარდებოდა, შიგ არსებული ყოველივეს შენარჩუნება, გინდ კამოდის, გინდ კუბოსი, გინდა ვაჟისა). „დავუსხლტეთ ბებერ პიმენს!“ თუმცა თავადაც არ იცოდნენ, რას ამბობდნენ. (ერთხელ ნადიას კიდევ წამოსცდა: „მე და სერიოჟა ამ სახლში დიდხანს აღარ ვიქნებით. სახლი ოლიას დარჩება“. ოლიამ კი, ასეთი განაწილებით (საჩუქრით) ფრიად ნაწყენმა უმაღვე ცხარედ მიაგება: „მაშინ მე ამ სახლს ავაფეთქებ!“ თუმცა რუსეთი ყველა თავისი ბებერ პიმენით უფრო ადრე აფეთქდა.

მშობლებისაგან თრგუნვა — დიახაც იყო, ოღონდ თრგუნვა აღმსრულებითი, იძულებითი (უნდა გვახსოვდეს, რომ ბედისწერა ზევსზეც ზეობდა.). თრგუნავდა არა მათი იქ ყოფნა, არამედ ყველგან ყოფნა, თვით სახლის ჰაერშიაც და ირგვლივ ოცდაათ ვერსზე (ოცდაათი წლის შემდეგაც!). „და მოიწიოს ჩემ ზედა მარჯვენე შენი“. ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ა. ა.-ა. თავის ასულებს ერთ ნაბიჯზე არ იშორებდა და გულს უწვრილებდა (ისინი მისთვის მხოლოდ საოჯახო მეურნეობის ნაწილი იყვნენ — სკივრებივით), რომ დ. ი.-ი უდროოდ დროს თავზე დაადგებოდათ გამოსაჭერად. თრგუნვა ის იყო, რომ უდროოდ დრო იქ არ არსებობდა და არც შეიძლება არსებულიყო, რომ თვით სახლი იყო გაჯანჯლებული „გაკვეთილი ისტორიისა“, რომ ფიზიკურად სულ ადვილად შეიძლებოდა დათრგუნვისგან თავის დაღწევა — მოტყუების გზით. ეს იყო, თუ საგანს მის ჭეშმარიტ ზომებს მივცემთ — ნდობით ცთუნება. არა, ეს სიტყვა აქ არ ივარგებს: მშობლებს ფიქრადაც არ მოსდიოდათ, მათი მოტყუება თუ შეიძლებოდა. მათი ბრმა რწმენა (თავიანთი სიმართლისა და ძალაუფლების უთუობაზე) ქმნიდა კიდევ ამ ცხრაკლიტულს. არა, კარებს კლიტე არ ედო. თუმცა კარგა ხანია ცნობილია, რომ რწმენა — ყველა ჯაჭვზე საიმედო საბმელი გახლავთ. თუ არ შეიძლება ის მოატყუო, ვინც შენ გენდობა, განა შეძლებ იმის მოტყუებას, ეჭვადაც რომ არ მოსვლია, რომ მოატყუებ? გოგოები დედასავით პატიოსნები და ამაყნი იყვნენ. სახლი ბებერ პიმენზე, მთელი თვისი გაუსაძლისობის მიუხედავად, კეთილშობილებით იყო აღსავ-

სე, მეწერილმანობა იქ არ სუფევდა („ჩვენსა გაძლება ძალიან ჭირდა, ოღონდ გულნამცეცობას ვერ დასწამებდი“, — თქვა ოლიამ იმ ოჯახზე, სადაც ბებერ პიმენტანს გადააბიჯა.). ეს არ იყო ყოფითი ტრაგიკომედია ბრძანებათა და მოტყუებათა, შარის მოღების და ხრიკებისა, როცა ყველაფერი სვეკეთილად მთავრდება ხოლმე. ბებერ პიმენტანს მდებარე სახლის ამბავს არ შეიძლება სვეკეთილი ბოლო ჰქონოდა. იმიტომაც აქვს მას ჩემზე ესოდენი ძალზე „რწმუნება“ თვისი ტრაგიკულობით პრიამოსის სახლს არ ჩამორჩებოდა. იმიტომ „რწმუნება“ ჩემზე ზეობდა — ბედისწერა. ბედისწერა, რაც ცხადდებოდა მშობლების არაფიზიკური დამორგუნველობით, მათი ფიზიკური ოლიმპიურობით: ზემოთ, ნათელში რომ იყვნენ და იქიდან ნახევარსარდაფის ბადისეულ ნისლში გზავნიდნენ დენებ-დეკრეტებს (ერთადერთი სახლი რუსეთში, როგორც მე მახსოვს, სადაც მშობლები ზემოთ ცხოვრობდნენ. შვილები — ქვემოთ.) ტრიონპრუდნიზე თუ მსგავს ოჯახებში — ბავშვთა სამყოფი ზედა სართული იყო, ვიწრო, ჭერდაბალი, მაგრამ ძალზე თბილი და სინათლით სავსე. მშობლებისა — ქვედა სართული, ცარიელი და ცივი, ფართო და საპარადო. შვილები მშობლებისაგან თავის სახსნელად ზემოთ გარბოდნენ. აქ კი მშობლებს შვილები ჯოჯოხეთში ჰყავდათ ჩაყრილი, მართლაც რომ... აიღის თაღებში. ცხადია, რომ სიძველე ბებერ პიმენტანსა აზნაურულზე მეტ წლებს ითვლიდა (ურანი, ტიტანები...¹)

მაგრამ ხანდახან, კიდევ უფრო რომ აღრმავებს ამ სახეს, დ. ი.-ი მე უკვე ზევსად კი არა, არამედ ჰადესად, ქვესკნელის სამეფოს მბრძანებლად წარმომიდგება.

საწყალი, საბრალო ნადია, ძალით ნაყლაპ ძოწის კაკლების რაოდენობის მიხედვით მთელი სიცოცხლე რომ მშობლიურ აიდში გაატარა, ერთი იტალიური გაზაფხულის გარდა.

საწყალი, საბრალო მისი დედაც, ცთუნების ძოწის ვაშლიდან ერთი კაკალიც რომ არ დარჩა და აიღის სამეფოში სამუდამოდ ჩარჩა.

საწყალი, საბრალო ვ. დ.-ა, მამის საუფლოს ზღურბლის მიღმაც რომ ძოწის მძივებით იყო დაბორკილი...

და საწყალი, საბრალო, თავის სისაწყლით ბედნიერი ოლია, პლუტონის მთელი განძეულობა ერთ მიწიურ პურის თავთავზე, სიყვარულზე რომ გადაცვალა....

საწყლებო თქვენ და საწყალო შენც...

თავისი საუკუნის, ადგილ-სამყოფის და ყოფის ზედაპირზე ამოტივტივებისას — ილოვაისკის ყველაზე ნაკლებ ეთქმოდა თავნება და თვითრჯულა კაცი. არასოდეს — „რასაც ჩემი მარცხენა ფეხი ინდომებს“ (რა ფეხზეც დღეს ავდექი!), არამედ მუდამ და მარად — რასაც თავი ბრძანებს. მასა და ბავროველ ბაბუას? საერთო არაფერი ჰქონდათ, გარდა მძიმე ხასიათისა და ამ ორის ცხოვრებაში ერთადერთი შემთხვევისა, როცა სინაზით აღიესენ მათ ჭერქვეშ შეხიზნულ მარტოსულ და უშიშარ ქალთა სქესის ერთადერთ არსებისადმი. დ. ი.-ი ჩემს დედას დიახაც ეთაყვანებოდა. და ჩემს დედასაც, ეგზომ გრძნობე-

¹ ურანი — ქვესკნელის მეუფე, რომელმაც თავისი შვილები, ტიტანები მაწისქვეშ გამოაწყვდია.

² ს. აქსაკოვის „საოჯახო ქრონიკის გმირი“.

ბით სავსეს და განსჯისას მუდამ უთუმცაოს, დ. ი.-ი მთელი ჩემი პატარაობის ხანს არასოდეს არ გაუკიცხავს. უცნაური იყო არა მარტო მათი ეს ურთიერთგანწყობა, უცნაური იყო მათი ურთიერთნათესაობაც: პირველი ცოლის მამა, კეთილად განწყობილი სიძის მეორე ცოლისადმი. მეორე ცოლი, ასე გატანჯული პირველი (მისი აჩრდილით!) — ასევე კეთილგანწყობილი იმ პირველის მამის მიმართ სინამდვილეში ისინი რალაციით, საღღაც ერთმანეთს გავლენ (როგორც სრულიად განსხვავებული სოფია ნიკოლაევა¹ და ბავროველი ბაბუა). უფრო მეტს ვიტყვი: თუ არ კანონი, რომლის მიხედვით თავის საქმეში მთლიანად ჩაფლულ ბებერ მეცნიერს უთუოდ კალმით ნახატი ასული უნდა ჰყავდეს და თანაც მომღერალი (ან მოცეკვავე), თუ არ ეს კანონი შებრუნებული მეტკვიდრეობის, ჩემი დედა უფრო შეჭყეროდა მას ასულად, ვინემ მისი საკუთარი ქალიშვილი თუ ქალიშვილები. ჰოდა, დ. ი.-ი, ვისაც არც ცოლი და არც ქალიშვილები თანაშემწედ არ გამოადგა (თავადაც არ მოითმენდა!), ალტაცებით შეჭყურებდა სხვის თანაშემწეს, მისა საყვარელი ასულის ადგილი რომ დაიკავა მისი ერთადერთი მეგობრის გულში. ჩემს დედას კი, საღღაც შორეულ, მაგრამ ჭეშმარიტ გერმანელს, ყველაზე მეტად სიძნელეები რომ უყვარდა და შრომას ყველაზე მეტად აფასებდა, ძრახვას სიტყვა არ შეეძლო გამოეძებნა იმ კაცისათვის, რომელიც მთელი ცხოვრება ნებსით თუ უნებლიეთ საქმეში იყო, ამ საქმის მეტი სხვა არ იცოდა და არც სურდა ცოდნა. ურთიერთალიარება ძალებისა.

ჩემი ფიქრით, დედას სიტყვებით რომ გამოეხატა თავისი დამოკიდებულება დ. ი.-სადმი, ეს სიტყვები იქნებოდა: „ეს განსჯას არ განეკუთვნება“, რა „ეს“? ის არაადამიანური სიმარტოვე, სისხლს ძარღვებში რომ უყინავდა მის საკუთარ შვილებს. ზეადამიანური სიმარტოვე.

მაგრამ დ. ი.-ც ჩემს დედას ბერს პატიობდა, არამარტო მთელ მის არსს, მისთვის სინამდვილეში მიუღებელს, არამედ მისთვის დედაში არსებითს: იუდეველებისადმი ჩემი დედის ერთგულებას, რუსეთსა თუ საზღვარგარეთ მათ გარემოცვაში ყოფნას, რასაც ვერ ახსნიდი ვერც წარმოშობით (ნახევრად პოლონური), ვერც მისი წრით (ფრიად მეძარჯვენეთი) — ახსნიდი მხოლოდ ჰაინრიხ ჰაინეთი, მხოლოდ რუბინშტეინით, მხოლოდ მისი ქალური შთაგონებით, მხოლოდ მისი გონებით, მხოლოდ მისი სინდისით, — მინდოდა მეთქვა მხოლოდ მისი ქრისტიანობით, მაგრამ რა გამახსენდა სიტყვა „ადარ არს იუდეველი, ადარც ელინელი“, ვეღარ ვთქვი, რამეთუ იუდეველები არსებობდნენ და იყვნენ „ელინელებზე“ საამურნი და წარმოადგენდნენ ობერტონს ყველა ამ „მხოლოდ“-ისა (ყველას ხომ ვერ ჩამოთვლი!), ლეიტმოტივს მისი და ჩემი ცხოვრებისა — ტოლსტოვისეულ „დინების წინააღმდეგ“-ს! — თუნდაც საკუთარი სისხლის წინააღმდეგ — ყველანაირი დამდგრობის, გაჩერების, დამდგარი წყლების წინააღმდეგ.

ჰოდა, სწორედ ეს ერთგულება, მისთვის დიახაც გაუგებარი და მიუღებელი, ილოვაისკიმ დედას მაშინვე ერთხელ და სამუდამოდ აპატია, როგორც მისთვის ძვირფასი ადამიანის ორგანული ნაკლი.

ჩემი დედის სიკვდილი მოხუცმა ილოვაისკიმ ღრმად განიცადა. მახსოვს ტარუსაში გამოგზავნილი მისი წერილი, სადაც სიმტკიცე მხოლოდ ხელწე-

1. ს. აქსაკოვის „საოჯახო ქრონიკის“ გმირი ქალი.

რას ეტყობოდა. „თქვენ დაკარგეთ არამარტო ახლობელი, არამედ დიდი ადამიანიც“, — წერდა იგი თავის ერთადერთ მეგობარს, ჩემს მამას. „მეგობრები ბევრია, მეგობარი — ერთი“-აი კიდევ მისი ერთი მორცხვი ჩივილით გამონათქვამი (ისევ მამაჩემისადმი!). ეს მეგობრობა, ჩემი ფიქრით, იდეათა ერთობას არ ემყარებოდა. თუ მამაჩემი ერთგული ქვეშევრდომის, ისევე როგორც მართლმადიდებლის პირობაზე, იყო პასიური და ტრადიციული, ეს წარმოსდგებოდა თანდაყოლილი მორჩილების, გაუკიცხაობისა და გულგრილობისგან ერთობაშია ბით მთელი არსებით გატაცების და შეპყრობის გამო. ან შეიძლება კი ერთგული „ქვეშევრდომი“ უწოდო იმას, ვინც თავის ორდენებს მხოლოდ იმიტომ იკეთებდა, რომ შეკრებაზე დაჭერილი სტუდენტის გამოშვება ეთხოვა, გინდაც თვალთ არასოდეს ენახა იგი. ან მორწმუნე უწოდო იმას, ვინც ახლობლები არ შეაწუხა და უზიარებლად დალია სული (არადა, ვაჟი, შვილიშვილი და შვილთაშვილი იყო მღვდლისა!), თუმცა იცოდა, რომ კვდებოდა. ასეთი „მონარქისტი“ და „მართლმადიდებელი“, პირველ ყოვლისა, გახლავთ — ადამიანი. და მხოლოდ — ადამიანი. „ამ ცისქვეშეთში ადგილი ყველასთვის არის“ — აი მისი ერთსტროფიანი ცნება, ყველანაირ შემთხვევაში რომ გვეუბნებოდა. ილოვაისკიმ კი, გარდა რუსეთის სიყვარულისა, რასაც სხვა მცირე ერების სიძულვილით გამოხატავდა, გარდა მონარქისადმი სიყვარულისა თვით მონარქის გასამართლებამდე, სხვა არაფერი იცოდა და არც სურდა ცოდნა. ეს მეგობრობა ემყარებოდა ძვირფას სხეულებს, ჩრდილად ქცეულებს.

მე ვხედავ მათ, დაბალჭერიან დიდ ოთახში, რომელსაც ბაღში გამავალი უამრავზე უამრავი, ერთნაირად ცალმაგი ფანჯარა ჰქონდა. კარის გარედან ზედა წირთხლზე ილოვაისკის სანადირო ბუკი ეკიდა (თუმც თავის დღეში არ უნადირია!) რომლითაც იგი სტუმრებს და შვილებს სატრაპეზოდ უხმობდა ხოლმე და ყმაწვილებს სახტად ტოვებდა მისი ხმის — თვისი ფალტვეების სიძლიერით. ისტორიკოსის როლანდისეული ბუკი, ახლა სამუდამოდ დაღუმებული,

მე და ასია სპასკოეში ვართ, კრიუკოვოც რომ ერქვა იმავე სახელის მქონე ნიკოლოზის რკინიგზის გამო. პატარაობაში ეს უცნობი კრიუკოვო კაუჭად გვესახებოდა, მეწვრილმანის რკინის კაუჭად, ანდა ბაბა იავას კაუჭა ჯოხად, ანუ ისევ სიძველედ და სიბერედ. ხადგურიდან ლინეიკით ვიმგზავრეთ, არც მომავალი და არც წარსული რომ არ გააჩნდა: ვიმგზავრეთ შავი ნაძვების გასწვრივ, სახეს რომ სასხურებელივით სველი თათებით ღბილად გვიჩხვლევდნენ. ჭაობიან ვაკისზე, როგორც ხელისგულზე, ისე მოგვერთვა გატყაპნილი შენობა. სახლში ყვავილნარით: შვედივართ: ისეთით, როგორიც იყო და როგორიც მეტად აღარ იქნება. შიგ საჩუმეა. სიძველე. ვგრძნობ, რომ ოთახები აქ მარტონი არსებობენ, არსებობას განაგრძობენ, ვერ ამჩნევენ, ნახევარი ოჯახი რომ აღარაა. და ვერც დარჩენილ ნახევარს ამჩნევენ. ისე რომ, როცა ა. ა. ა. რომელიღაც კუთხიდან ნაცრისფერი წინსაფრით გამოგვეგება თეთრეულის დასტებით ხელში, ხოლო მას დ. ი. -ი გამოჰყვა, ისიც ნაცრისფერში და ისიც თეთრით (გაზეთის დასტით ხელში!) ეს უფრო საკვირველებად მივიჩნიეთ ვინემ წესის დარღვევად. ჩვენ ვერასოდეს შევიტყობთ, თუ ძველი სახლის ოთახები, რომლებსაც ყურადღებასაც არ ვაქცევთ, ისე ვიტოვებთ უკან, რაო-

1. მ. ლერმონტოვის ლექსიდან „ვალერიკი“.

დენ უყურადღებოდ გვტოვებენ ჩვენც წინ გასწრაფებულ ზღვის ტალღების დარად. ძველი ზღვისა და მოდგმის ტალღები მხოლოდ ხანდახან, ვერგათვლილ უინით, ასობით წლების გამოხდის შემდეგ რიყავს ნაპირზე, უკან უბრუნებს — ჩვენს ბეჭედს, ჩვენს სახეს და იერს — შვილთაშვილს ჩვენსას.

მე და ასია ჯერ თითქოს ლურსმნებზე ვსხედვართ, მერე კი — როგორც მაღურსმულები შტოფის პატარა დივნის კიდეზე, რომელზეც მამ დაგვესვა, თავად კი მოუხერხებლად, თუმც მბრძანებლურად ჩვენ ბიზნესის მაგარ სკამზე, წელში ისეა გამართული, გეგონება, ფეხზე დგასო ხელსაქმით ხელში, რომელთაც (ხელებსაც და ხელსაქმესაც) თითქოს ყურადღების ღირსად არცა თვლის. მოხუცებს შორის მაღალი შანდალი დგას, ზედ ორი სანთელია ორი მწვანე თვალსაფრით, შუბლს ქვემოთ რომ ანათებს სახეს. „თქვენ როგორ ფიქრობთ, ივან ვლადიმეროვიჩ...“ — „თქვენ როგორ ფიქრობთ, დიმიტრი ივანოვიჩ...“ მაგრამ რას ფიქრობენ „ი. ვ.-ი“ თუ „დ. ი.-ი“, ჩვენ აღარ გვესმის. ვსხედვართ ბებრული ინტონაციებით და მოსაწყენი სიუჟეტებით ლამის მიძინებულნი და ცოტა არ იყოს ჩიტებივით მონუსხულები ა. ა.-ას ჩაციებული მზერით (იგონებს? ადარებს? თუ ვერაფერს ხედავს?). მისი თვალები მე მაგონებს სერიოზას მშვენიერ თვალებს. იგი ხომ დედის ცოცხალი ასლი იყო, ახლა კი, მისი სიკვდილის შემდეგ, დედა იქცა მის ცოცხალ ასლად. იგივე ირონიული ბაგენი, თვალებში იგივე შეფარული სიცილი — სიცილი, ვერც დედამ და ვერც შვილმა რომ ვერ გადმოღვარეს. სულთან გაყრისას შვილმა თითქოს უანდერძად დედას თავისი სიყრმე, ოდნავ, ოდნავ რომ დასთამაშებდა პირის კილოებში — კუკუმაღულობანას თამაშის მსგავსად. იმ საღამოს მე ა. ა.-ა მართლა მიყვარდა. თითქოს იგრძნოთ ან იქნებ თავისების დაკარგვამ გული მოუღბო, თავად მომხიბლავად და ტოლებივით გველაპარაკა ჩვენ, გაველურებულ და ობოლ ბავშვებს, გველაპარაკა უშვილებოდ დარჩენილი დედა უდედოდ დარჩენილ შვილებს, გვიქებდა გამძლე ფეხსაცმელს, სუფთა ფრანგულ გამოთქმას. საღამოს დასასრულ ისე განაზდა, საჩუქრებიც კი შეგვპირდა: ასიას — „სოლნცევების შვილები“, მე — „კატია და ვარია სოლნცევების სიყრმე“, მის რომელიღაც ნათესავს რომ დაეწერა. და, პოი საოცრებაჲ, ჩვენ ეს წიგნები მართლა მივიღეთ, თვითოეულმა ახალი და თან წარწერით: „სულით და გულით მოყვარულ ა. ა.-გან“.

ასე გარდაიქმნა, გარდახოცდა მე თავის დედად.

...თუმცა ილოვანისკების ახალგაზრდა სუფრას თავისი კუთხე — მშვიდი და წყნარი კუთხე ჰქონდა. ეს იყო სასუფეველი ცათა „ანგელოზ“ სერიოზასი, გედივით რომ ირჩეოდა კოწია და თეთრსარჩულა დედიკოების შვილებს შორის — სასუფეველი დედის ძისა და ვაჟის. აქ არც კამათი, არც შეკითხვები არ ვაისმოდა. აქ თავიდანვე ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი და წინასწარ გადაწყვეტილიც იყო. სხვა შვილებიდან თავიდანვე მხოლოდ სერიოზა მიენდო პიმენს. და არც სიკვდილის წინ უკითხავს რამე. კაბაში გამოწყობილი სამაგალითო ბაია, სამაგალითო გიმნაზისტი, სამაგალითო სტუდენტი — ხომ გულის ამრევი არის თითქოს? თუ რომ არა თვალების, ღიმილის, ქცევის წარმტაცი ხიბლი, ოდნავ რომ გადაიკრავდა თითქოს რაღაც დანაშაულის, თითქოს დაცინვის ელფერს იქნებ თავის თავზე, იქნებ თქვენზე, იმის გამო, რომ მისი ასეთი ზნეკეთილობა ესდენ იწამეთ... ოდნავ მოჭუტული ღია შავი თვალები,

ოდანვე მოდიმარი, თითქოსდა ასევე მოჭუტული, ბაგის კილოების შესატყვისად—
თვალები, ვითომდა მხნედ რომ გეთხოვებოდნენ, თვალები სტუმრისა (ტყუილად
კი არ დალია სული სასტუმროში!), თვალები, მზირალ პატრონზე ბევრად უხ-
ნესი, თვალები გვარის და მოდგმის, თვალები — გვარში უკანასკნელის (..)

საოცარია და, ეს ლამაზი ბიჭი რაღაცით პავლეს¹ ჩამოგავდა, მისი სიმამხინ-
ჯის და თავისი სილამაზის მიუხედავად. პავლე იყო იმ ტიპის უმეტესად
სიმამხინჯე, რომლის უმშვენიერეს პალუსს სერიოზო წარმოადგენდა. ტყუილად
ერთი იყო, ტიპი სიკვდილზე განწირულისა. თითქოს მაკრატლით გადაჭრილი
ცხვირი და ზედ შესამჩნევად გამოკვეთილი ნესტოები, შესამჩნევი კბილები,
თვალების ღრმა ფოსოები, ამოწეული ყვრიმალეები, თითქოს სიკვდილს არა-
თუ ცოტა უნდა ჩამოეთალა (სიგამხდრე აქ არაფერ შუაში იყო), არამედ მუ-
შაობაც ცოტა დასჭირდებოდა (modeler, ფორმის მიცემა), რა რომ საკუ-
თარი თავისთვის ემსგავსებინა. ასეთი სახე ხშირად აქვთ ბავშვებს, უკეთ,
ზევრი ბავშვია ასეთი სახის (ბავშვი ბევრი, სახე—ერთი.) და აქვთ ბიჭებს, და
უთუოდ შავთვალებიანთ. ვუხმობ მკითხველის თანამგრძნობ (ევოკატურ) წარმო-
სახვას.

რაც უფრო ღრმად და ღრმად ვიჭრები იმის დასადგენად და მოსახელ-
თებლად, პირველად, სულ პირველად მე ვინ მიყვარდა, მიყვარდა ჩემს პირველ
სიყრმეში თუ სიყრმემდეც კი, სასოწარკვეთა მიტანს ხოლმე, რადგან ყველა-
ზე პირველის წინ (მწვანე მსახიობი ქალი „ვინძორელ ცელქებიდან“) კი-
დეუ მასზე პირველია (მწვანე თოჯინა პასაჟში), იმის წინ კიდეუ უფრო პირვე-
ლი (უცხო ქალბატონი საპატრიარქო გუბურებიდან) და ა. შ., ა. შ. (ოღონ-
დაც სხვა შორეთში!) — როცა, პოეტის თქმისა არ იყოს:

მე ხომ იმდენ თვალს ჩავხედე მართლა,
რომ სამუდამოდ გადამაუიწყდა,
თუ ვინ მიყვარდა მე პირველად,
ან იყო კია, რომ არ მიყვარდა!²

ხოლო მე თავად — დაბადებიდან თუ დაბადებამდე — შეყვარებულის აღუნუსხ-
ველ ყოფაში მყოფი, ერთბაშად შეიორედან თუ შესამედან დამწყები... ვარ საწ-
ყისის ვარეშე განმგრძობის, დაბადებითვე განმგრძობის დღეში. თუმცა ამ
სიტყვიერ პერიოდს, მისი შინაგანი უსასრულობის გამო, სასრული არც შე-
იძლება ჰქონდეს.

მართალია, არსებობს დედაჩემის მოწმობა ჩემი, ორი წლის ბავშვის მძაფრ
სიყვარულზე შავთვალა და შავტუხა სტუდენტ იანალოვისადმი, მაგრამ მე
ეს სიყვარული არ მახსოვს. ან კი საიდან უნდა სკოდნოდა დედას, რომ ეს
პირველი იყო, ან შეეძლო კი თავდებად დამდგარიყო, ძიძის მკლავებიდან სხვი-
სა და არა მის მკლავებისაკენ რომ ვიწეოდი? (რაკი არსებობენ საგნები, არასო-
დეს რომ არ დასრულდებიან და მუდამაც იქნებიან — ეს საგნები კი არსებობენ
და მათი შესახებ ყველამ იცის — ასევე კანონიერია, რომ იყვნენ საგნები, არა-
სოდეს რომ არ დაწყებულან—და მაინც მუდამ იქნებიან) მაგრამ ახლა, რო-

1. რუსეთის მეფე პავლე პირველი (1754—1801).

2. გ. ბალმონტის ლექსიდან „ვისკვლავთ ცვენა“.

ღესაც ასე შევესისხლბორცე სერიოჟას, იმ მღელვარების მიხედვით, იგი, ჩემ მიერ მოხმობილი, ჩემში რომ იწვევს, ასე მგონია — ლამის დარწმუნებულიც ვარ—პირველი ცოცხალი არსება მამრობითი სქესისა, ვინც მე მიყვარდა, იყო იგი.

ვხედავ ჩემს თავს ოთხი წლის მსუქან გოგოდ, საათობით რომ ვდგავარ უხმოდ სერიოჟას გვერდით და ვუცქერი, ბარით როგორ ფხრფხ ნუბნის ოკიდან ჩვენს აგარაკამდე მთის ციცაბო ფერდში. და როცა ერთხელ—~~აქედან~~ სტანოვ-ნამ, ჩემი ასეთი მედეგობით და მედგრობით გაჯავრებულმა — რაკი ვერა და ვერ მომაშორა სერიოჟას მორიგ საფეხურს, მითხრა: „ნეტა რას უყურებ ამ Treppe²-ს? რითი არის ასე საინტერესო!“ — მე, მთელი მუცლით ამოსუნთქულმა: „მის ცისფერ შარვალს ვუყურებ...“ ცისფერს? არ ვიცი. ის მაშინ გიმნაზისტია იყო, გიმნაზისტებს კი რუხი ეცვათ. ან ზაფხულში ხამი ტილოსი. იქნებ ეს ოკის სიცისფრე იყო? ან სიყვარულის? თუმც ეს სიტყვა და გრძნობა „ცისფერი“ კარგად მახსოვს.

მაგრამ ჩემ წინ კიდევ რაღაც ლაციცებს, ადრინდელი თუ გვიანდელი? „სერიოჟა და ნადია“—ოღონდ არა ილოვიასკები, არა ძმა სერიოჟა და და ნადია, არამედ სხვები და სხვანაირები. ჰო, ეს ხომ „ნივას“ დამატებაა. წაკითხული თუ მოსმენილი? ჩვენთან, ტარუსაში, როგორც რუსეთის ყველა მსგავს ოჯახში — ბნელ ღამეთაგან თავის სახსნელად — ყველა ღამპის თეთრი წრის ირგვლივ იკრიბებოდა (ღამპის ფეხი დათვის ტორის ხელაა: დათვი სკაში მიიპარება!) და ვიღაც რაღაცას კითხულობდა. ზოგჯერ ბავშვების იქ ყოფნაც კი „ავიწყდებოდათ“. მახსოვს, იქ, სადაც ნეკნები შორიშორდება, გულში ცეცხლივით გამკრა რაღაცამ, საიდუმლოს მთელმა საშინელებამ. სერიოჟას და ნადიას ამბავი არავის ვუთხრა, სერიოჟასი და ნადიას ამბავი... სერიოჟა და ნადია. „ნივას“ დამატება. ცხრაასიანი წლების გარიჟრაჟი.

საოცარია და, ფუქსავატობის პირველი გაკვეთილი მე ბებერმა პიმენმა მომცა—თუმც მას ჩემში არ უყლორტია. აი ისიც, ნადიას ჟოლოსფერ ალბომში შავით თეთრზე ნაწერი. ნადია მაშინ ჩემი და ვალერიას სტუმარი იყო.

მოცლილობის უამს ათი სტრიქონი
მსურს ჰაიპარად რომ ჩაგიწერო.
გირჩევ ვით და დავით მეგობარი —
სჯობს მამაკაცებს არ დაუჯერო!

სულ მხიარულობ და სულ კისკისებ,
ფუქსავატობ და თავქარიანობ,
მაგრამ თუ ცრემლი არ გინდა ღვარო —
სჯობს მამაკაცებს არ დაუჯერო!

გინდაც ფიცით და მტკიცით აგავსონ,
ან შეგაშინონ, თავს მოვიკლავო,
თუნდა შუაზედაც რომ გაიფხრიწონ —
სჯობს მამაკაცებს არ დაუჯერო!

1. კიბე (გერმ.)

მე ვთქვი, ფუქსავატობის გაკვეთილი-მეთქი, მაგრამ შინაარსის მიხედვით უფრო გონივრულობისა მმართებდა მეთქვა. მაგრამ რაკი არც ერთი და არც მეორე მე არ მომდგამდა — ამიტომ გაკვეთილიც ვერ ავითვისე. ისე რომ, მე ოლიამ თუ ნადიამ ანუ ჩვენ ყველამ, ყოფილებმა, ახლანდელეებმა თუ მომავლებმა — უკუნისიდან უკუნისამდე, ამინ — „არ დაუჯეროს“ არ დაუჯერეთ, მე ყოველი შემხვედრისა მუდამ — მჯეროდა.

მაგრამ თავიდათავი მე არ გახლავართ, თავიდათავი ეპოქის ელფერი და ტონი იყო, ნიჭიერ და კეთილშობილ ყმაწვილ ქალს რომ უკარნახებდა ასეთი ლექსი ჩაეწერა საოცრად ნიჭიერ და ზეშთაგონებულ დის ალბომში.

თუმცა მე არ ვსჯი. ეს ყველაფერი უეშმაკო და უშანკო იყო. იგივე, რაც „ნათლილების ერთ საღამოს“.¹ რაც მთავარია, ყმაწვილქალები იგივე დარჩნენ! („თქვენი სახელი? აგაფონიო — იყო პასუხი, როცა შეხვდა“²) მარადიული გამაფრთხილებელი შეძახილი ერთი დისგან — მეორესადმი (ერთიმეორეზე მიაშიტების!) „არ დაუჯერო, მოგატყუებს!“ არა ქულწულობის (უკვდავისა) გადაგვარება, არამედ გადაგვარება მთელი კულტურის, ჯერ პუშკინისთვის რომ გახდა ცხადი და კეთილშობილი ოჯახის ასულთა ალბომის უკანასკნელ ფურცლამდე რომ მოაღწია, რომელზეც, არ ვიცი, ვისი ხელით, ასე ეწერა:

როს მოვამთავრებ ამ ჩემს ვოიაჟებს,
Madames, მაშინდა თქვენი ვიქნები!

(სობინოვის გამოთხოვება მოსკოველ ბანოვანებთან, ცხრაასიანი წლების გარიჟრაჟი.)

ერთხელ, მაშინ შვიდი წლის ვიყავ — სერიოჟამ მითხრა: „შენს ლექსებს ხომ გადმომიწერ?“ — „აბა არა, ეშმაკმა წაიღოს!“ — „კი მაგრამ, ეშმაკი აქ რა შუაშია?“ — მკითხა ისეთი გაკვირვებით და შეწუხებითაც, მიუხედავად ოდნავ გამკრთალი ღიმილისა, რომ მყისვე ნიკაპი ჩემს (რატომ მისას არა?) მკერდზე დავირტყი და ოთხივე „თოხა“ კბილი ქვედა ტუჩში ჩავირტყე. ამ უცნაურ გრძნობას სულაც არ ვაწერ იმ არსებას, მაშინ რომ ვიყავ: სერიოჟას წინაშე (ჩვიდმეტი წელი და შვიდი წელი) მე მუდამ სირცხვილს ვგრძნობდი, ასეთი რატომ ვიყავი. მაინც როგორი? ასეთი ჯანმრთელი (მაშინ ჯერ ავად არ იყო), ასეთი უკმეხი, კადნიერი, მუდამ ჭუჭყისგან ფრჩხილებ-ჩაშავებული. როგორც ზანგს, ისე მრცხვენოდა ჩემი გამოუსწორებელი სიჭაღვის. მახსოვს, რა სატანჯველი იყო ჩემთვის დარბაზში შესვლა, სადაც მწვანე ფილოდენდრონებს შორის მწვანე დივანზე იჯდა იგი თავის ცისფერ ტუჩურკაში, სხვა სტუდენტებთან ერთად, მას რომ არ ჰგავდნენ და არც მათი ტუჩურკები ჰგავდა მისას. კრიჭაშეკრულს უნდა გამეველო პარკეტის ეს უდაბნო და მისთვის ხელი ჩამომერთმია. „წერ და წერ ლექსებს? წერე, წერე!“ ამ ხმის გაგონებაზე მყის ტირილი მინდოდა ხოლმე და კიდევ იმის აღიარება, რომ მე ბოროტი, ტლანქი გოგო ვარ, რომ ისევ კბილებში ვხეთქე კბილის ფხვნილის რკინის კოლოფი გუვერნანტ ქალს, რატომ მახელეებ-მეთქი, ის კი ასეთი კეთილი და ნაზი იყო ჩემდამი... და რაც უფრო მეტი სინაზით შეკითხებოდა —

1. საწყისი სტრიქონები ვ. ჟუკოვსკის პოემიდან „სვეტლანა“.

2. სტროფები ა. პუშკინის რომანიდან „ევგენი ონეგინი“.

ალბათ რაღაცას გრძნობდა და ცდილობდა ჩემს გაცინებას: „ჰო, გაიღიმე. გაიღიმე ბოლოს და ბოლოს, გაუღიმარო!“ – მით უფრო დაბლა და დაბლა ვხრიდი თავს, თვალებზე უკვე ცრემლმომდგარი, და სულმთლად ჩამწყდარი ხმით: „მირჩევნია რვეული მოგცეთ და თვით წაიკითხოთ...“ ის იყო, მგონი, ჩემს სიყრმეში ერთადერთი, ვინც ჩემს ლექსებს არ დასცინოდა (დედა—ბრაზობდა), ვინც, ვით ხარს წითელი ნაჭრით, ამ ლექსებით არ მახსენებდა... თქვენ ლექსებს თვითონაც წერდა? პროზას რომ წერდა, ეს ვიცოდი. თორმეტი წლისამ მშობლების დაყინებით რომელიღაც მათ „პარასკევზე“ (დედაჩემის მონაყოლით, ის მოწმე იყო) თავისი პიესის „დედა და ვაჟი“ კითხვა დაიწყო. მოქმედი პირობი: „დედა – ოცი წლის, ვაჟი – 16-ის“. ატყდა ერთი ხარხარი. მიზეზს ბიჭი ვერ მიხვდა, თუმცა კი იაზრა, რომ თავი მოიჭრა, და მყისვე გაიქცა თავის ოთახში, საიდანაც დედამისმაც ვერ გამოიყვანა.

არადა, დედას მასთან ყველაფერი – გაუღიოდა. მეტსაც ვიტყვი: რაც დედას არ უნდოდა, არც მას უნდოდა. რაც დედას არ შეეძლო, არც მას შეეძლო. ვფიქრობ, ერთმანეთს არც ბევრს ეუბნებოდნენ, უფრო თვალებით ლაპარაკობდნენ. სიტყვით მას უნდა ეთქვა: „დედა, ნადიას რატომ აწვალე? რად გვიმწარებ ახლაგაზრდობას? ჩვენ მალე მოვკვდებით, დედა“. თვალებით კი ამას ეუბნებოდა: „მიყვარხარ. შენი ვარ“.

ეს სიყვარული ლიბერალურ ახალგაზრდებში „კონსერვატიზმად“ ინათლებოდა, როგორც საკუთარი თავდაცვის ინსტიქტი—„პოლიტიკურ ოპოზიციად“. უცნაური სიტყვებია ხოლმე მოგჯერ (მეტადრე – უცხოური!) სულ უბრალო საგნებისათვის. მაგრამ ვიდრე უბრალოებადღე მიხვალ გონებით...

ჩემო კარგო სერიოზა, საუკუნის შეთხედზე უფრო მეტი ხნის შემდეგ მინდა მადლობა შემოგწიროთ იმ თმაგაკრეჭილ, დიდთავა და ულამაზო გოგოს მაგოვრად, ვინაც არავის არ მოსწონდა და ვისაც ასეთი სინაზით ართმევდით ხოლმე რვეულს ხელიდან. ამ შესტით თქვენ მე მას – მჩუქნიდით...

მადლობა დედის გამოც.

ნერვის შემდეგ და-ძმას დიდხანს სიცოცხლე აღარ ეწერა.

ოღონდ არც ისე მალე, საზღვარგარეთ ხმები ჩამოგვდიოდა, მამა ისინი სპასკოეში წაიყვანათ. იქ შვრიას აჭმევს და აიძულებს ღია ფანჯრებში დაიძინონო, კი (დედა წერილის კითხვისას), შვრიაც და ღია ფანჯარაც სასარგებლოა, მაგრამ სინესტე... სპასკოე ხომ ჭაობიანი ადგილია.. განა ყირიმი არ აჯობებდა? მაგრამ ყირიმში (ბებერ პიმენტთან ალბათ ასე ასაბუთებდნენ) მათ მარტო ვერ გაუშვებ: ვაითუ ნადია ყველას ტრფიალის საგანი გახდეს მაშინათვე, ხოლო სერიოზა, სამაგალითო სერიოზა კი ვიღაც ტუტუტმა ხელში ჩაიგდოს? არადა, დედა ვერ გაჰყვება – ეს ნიშნავს, ყველაფერი ღვთის ანაბარა მიატოვოს. ეს ნიშნავს – ოჯახი მიატოვოს. ანუ სკივრები და ზანღუკები. მერედა ვის ანაბარა მიატოვოს? ერთი ციციქნა გერმანელი ეკონომი ქალის ამარა? მაგრამ ამ ქათმისტვინას რა შეუძლია? მარტო ის, რომ შეშინებული ცისფერი თვალებით მიაჩერდეს ყველას, მეტადრე სერიოზას, ვისაც ბუზიც არ გაუჭყლევტია... როგორ მოუვლის ხელმრუდ მოახლეს, ცბიერ შეუზოვეს, ღოთ მზარეულ ქალს და ყველა მათ სოფლელ ახლობელს და ნათლისდედას – მთელ ამ მგლეჯიებს? გარდა ამისა, ყირიმში წასვლა თრ ოჯახად ცხოვრებას ნიშნავს. ვინღა დაასხამს

ჩაის დ. ი-ის მეცნიერულ საღამოებზე? ოლია? თვითონ ოლიას იქით ჭირდებოდა გუვერნანტი ქალის თვალი და ყური, რადგან ამ სამიდან ყველაზე საფრთხილო, ყველაზე ქვეშევსა და ჯიუტია. ისევ ვუნახე ბორიანი ვაზელინი წარბების და წამწამების ამოსაყვანად — და არა მარტო ჯიუტი, მფლანგველიცაა, რადგან ის ვაზელინი მე ჩაკეტილი მაქვს, მაშასადამე, ახალი უშოვია. და ეს ვაზელინები და წარბები რისთვის უნდა? იმისათვის, რომ იმას — ღმერთებზე უქნას — თავი მოაწონოს — ნეტა ეინ შემოუშვა სახლში? ის რ.-ის მძაფრად, სხვა რა ეციმირება?

საღამოს კი, ამ საბუთების პასუხად, დ. ი-მა მოკლედ მოსჭრა:

— სპასკოეში წავიყვან. სუფთა ჰაერი და შვრია — ყველაზე მთავარია.

პირველმა სერიოზულად დალია სული. იცოდა კიდევ, სულს რომ ლევდა. ამ უმანკო, ამ მიწიური საქმეების არმცოდნე ანგელოზმა ამ თავის უკანასკნელ მიწიურ და პირველ არამიწიურ საქმეში მართლაც ანგელოზად აჩინა თავი: ყველაფრის მცოდნე ანგელოზად. რამდენი მინახავს მე ისინი,¹ ჩემი დედის ავადმყოფობის ხანს, ბორივაყებსა² და კვისისანებში³ (თითქმის უკვე სამლოცველოებში!), რივიერაზე, შვარცვალდსა თუ იალტაში — მინახავს ექიმები, ფილტვის უკანასკნელ ნაგლეჯს რომ აღებინებდნენ სახეგაბრწყინებულნი იმ რწმენით, რომ ეს „პატარა ბრონქიტი“ იყო, ოჯახის მამები, ვერა და ვერ რომ ვერ მიმხვდარიყვნენ შვილებისთვის უკანასკნელი მშვიდობა ეთქვათ, ყმაწვილები, სიას რომ ადგენდნენ, ოცი წლის შემდეგაც ვისთან ეცეკვათ, მგლებად ქცეული ბერიკაცები, თვით შესაძლებლობის შესაძლებლობას რომ ცდილობდნენ უმი ხორკის ჭამით გადარჩენოდნენ (ქალებმა, ყველაზე ნორჩებმაც — მუდამ იცოდნენ), მძიმე ავადმყოფები, სხვების სნებაში გამოცდილები, სხვების ყოველდღიური, იგივე ნიშნებით სიკვდილის მოწმენი, ნომერიც რომ იცოდნენ, მომაკვდავები სად გადაჰყავდათ, ან, როგორც ნერვიში, რკინის ხვეული კობით მოპირდაპირე სახლში აჰყავდათ, სადაც კუბოს თავებივით ედგათ ირგვლივ მონაზონთა⁴ გახამებული ჩაჩები. ის კი, სიკვდილის გამოცდილების არმქონე, რამეთუ ამ სენით იგი პირველი კვდებოდა ოჯახში, და არც სანატორიუმებში ყოფილა როდესმე, ვინაც ვერ მოატყუა ვერც ყირიმის დაპირებებმა, ვერც საკუთარმა სიყირმიზემ, ვერც სხეულის სიმჩატემ, ვითომც სხეულის სიძლიერედ რომ ჩანდა, ვის ძარღვებშიაც სიკვდილი ჩქეფდა, თუმც სიცოცხლისად ეჩვენებოდათ — ის მყისვე მიხვდა და — დამორჩილდა. მთელი მისი მიწიური ფიქრები და ზრახვები მხოლოდ ნადიას დასტრიალებდა (ვისი ამბავიც უკვე იცოდა) — ჩქარა წაეყვანათ, გადაერჩინათ ნადია... სხვა დანარჩენი ფიქრები — ღმერთზე იყო.

ღედა სად იყო? ღედა მასში იყო, მის შიგნით იყო, მის საკუთარ გულთან ერთად კვდებოდა.

ნადია უკვე ვეღარ ღებოდა, ძმის გამოსვენებას დარბაზის მაღალ ფანჯრიდან დასცქეროდა, სადაც ახლა იწვა. გუშინ ძმის ამხანაგს უცქეროდა, რომელიც მოსწონდა და რომელიც ხვალ ისევ მოვა, დღეს — ძმას, რომელიც

1. იგულისხმება ჭლეკით დაავადებულნი.

2. Beaux ravages (ფრანგ.) — ლამაზი სანაპირო, ასე ერქვა ერთ-ერთ აგარაკს ნერვიში.

3. ოტელი იალტაში.

4. მომაკვდავებს თავზე ადგნენ კათოლიკე მონაზვნები.

უყვარდა და რომელიც აღარ მოვა, რომელსაც თავად გაჰყვება. გაჰყვება — იმავე თოვლში, ისეთივე ნაძვის ტოტებით მორთული, იმავე მხრებზე... აგერ უკანასკნელად დასცქერის ზემოდან, ასე ზემოდან, ასე გულადმა, როგორც ჯერ არასოდეს, ასე ახლებურად — ცხადად, მალლებურად, ასე შორს, ასე ცხადლივ, ასე ამაოდ, ასე ახლოს და ასე შორს — ვით ერთ ვერხზე გაწვდილ ხელისგულზე! ვით ჭის ფსკერზე საკუთარ სახეს — უკანასკნელად დასცქერის სერიოჟას, მაღალ ცისფერ საყელოდან თითქოსდა ყოჩადღეობს და რჩება მხირება...
გამკრთალი ღიმი... წამწამები...

თაფლისფერთვალა, თეთრყინობა სასიკვდილოდ განწირულის გვერდით ქერა ვერა მურომცევაა, აღორძინების ქალების თავი რომ აქვს, თვალები თითქოს თვისი ფერითვე მოტირალი, მხარზე ნადიას მკლავით შემოხვევია, რომ დაიკავოს და დაიჭიროს, სიტყვებს რომ ეძებს და ვერა სიტყვა ვერ უპოვია ცრემლების გარდა. ქვემოთ, თოვლზე! ვილაც შაოსანი ჩანს — ის პატარა გერმანელი ეკონომი ქალი, ასე რომ ეშინოდა სერიოჟას შეხედვის და, თუ შეხედავდა, შიშზე ძლიერი გრძნობა იტანდა. წესის აგებას ბოლომდე არც კი დაასწრეს, არც სასაფლაოზე წაიყვანეს — სახლის მილაგება იყო საჭირო — როცა იქიდან მობრუნდებოდნენ. და ისიც საჩქაროდ ასუფთავებს, ოღონდ არა სახლს, არამედ ეზოს, იმ ტოტებისგან (მეუზოვემ არ დაინახოს!), ხელში შავი, გაბანჯგლული ტოტების თაიგული აქვს, ასე რომ ჰგავს სპასკოეს ტოტებს. ამ ტოტებს სიკვდილის კარამდე შეინახავს, თავისი კუბოს ძირისთვის თავისი ჩემოდნის ძირში. როცა წიწვები დაცვივდება, პარკში ჩაყრის და თავს მოუკრავს იმ შოკოლადის კოლოფის ლენტით, ილოუაისკელმა ყმაწვილებმა (მაშასადამე, იმანაც) რომ მიართვეს წინა ნათლილებზე... ნათლილებზე... ნაძვი... ნაძვნარი...

ნადია საოცარი ტანჯვა-წამებით ერთი თვის თავზე გარდაიცვალა. არაა საჭირო მეცნიერული სიტყვები ისეთ მარადიულ რამეზე, როგორც ნორჩი მზეთუნახავის სიკვდილია. რაც უნდა ერქვას მისი სნების თანმხლებ მოვლენებს — იგი სასტიკად ეწამებოდა და ვერა ექიმმა ვერ ააცდინა იგი ამ ტანჯვას. ძმაზე უფრო მეტად კიდევ იმიტომ ვაიტანჯა, რომ სიცოცხლეს ესწრაფვოდა. არა უწამებელ, შეურცხვენელ სიკვდილს ემუდარებოდა იგი უფალს. იგი სიცოცხლეს გამოსთხოვდა — რანაირიც არ იქნებოდა ეს სიცოცხლე!

რა უნდა ყოფილიყო უფრო სასტიკი ისეთ ნადიას ხილვაზე, ცხელ საწოლიდან სიცხით გაცხელებული ხელით მონახონს ჩუმად ფულს რომ ამლევდა, რათა ელოცა მოსკოვის ყველა მონასტერში მისი სიცოცხლის გასაგრძელებლად.

მან თებერვალში დალია სული და ისეთივე თოვლში გამოასვენეს. რკინის მოხუცი — იმ დღეს პირველად ჩანდა მოხუცად, არადა, უკვე სამოცდაათს გადააბიჯა — დაკრძალვაზე ცრემლით ტიროდა. ნადია მზეთუნახავს ჰგავდა კუბოში, ახლა მართლა მძინარეს, ისეთივე ოდნავ ცბიერული — ამჟამ უკვე მცოდნე ღიმილით, თუ იმ რაღაცით, მძინარეთა ცქერისას ღიმილად რომ გვეჩვენება. „ამაზე ლამაზი არაფერი მინახავს“, — გვიყვებოდა მამა, მე და ასიას გვერდით რომ მოაბიჯებდა ისეთივე შავი, ოღონდაც სველი კი არა, სიცხისგან მოჭახჭახე შვარცვალდისეულ და არა სპასკოელ ნაძვების გასწვრივ

(თვალს ვხუჭავ, სუნი მცემს და წიწვების ტკაცანი მესმის... ისინი ყველანი, ყველანი მოკვდნენ...) — წაბლისფერი გაშლილი კულულებით (სულს ტანჯვით ლევდა და თმა ვეღარ დავარცხნეს), სახე ვარდისფერი, მოლიმარე... — და ისეთი კილოთი, აღშფოთებული რომ გეგონებოდა, თუ რომ თავად ასე მორჩილი, თვინიერი არ ყოფილიყო: — ასეთი ლამაზი, ასეთი ტურფა... — და უეცრივ შეწყვიტა სიტყვაც და სეირნობაც: „შინ წასვლის დროა. დედა აღბნენს ცდილობს დაიღალა“. (ჩემი დედა ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა იმავე სენით).

აქ უნდა მოვყვე ერთი მეტად უცნაური რამ ამბავი. ამას მე პირველად ვყვები (1905 წ. თებერვალი), ვყვები იმიტომ, რომ მთელ იმ სამყაროს — ალოვაისკებისას ბებერ პიმენტან და ცვეტაელებისას ტრიონპრუდნიზე, სამყაროს ნადიასთანა მზეთუხავეებისა და ჩემისთანა მარტოსულ გოგოებისას — ჯვარი დაესვა. ჯვარი დაესვა არა მარტო ჩემს იმ საუკუნეს, არამედ მთელ იმ საუკუნეს. და ვყვები იმიტომ, რომ მოვალეობის გადაუხდელი გრძნობა და გული მთხოვს ამას.

როცა ფრეიბურგის დახურულ სასწავლებელში მამაჩემის წერილმა გამცნო ნადიას სიკვდილი, ჩემი პირველი გრძნობა იყო, რომ გაწყდა თოკი და ხელში უეცრად შემრჩა — მისი ერთი ბოლო, მეორე — რომ უნდა დავეწიო. ჯერ კიდევ ცხელ კვალზე მივსდიო და დავაბრუნო, იქ ჩავაბრუნო (როგორც ცრემლები), საიდანაც იგი შეწვია. ისე გავაკეთო, რომ ვითომ ეს ჯერ არ მომხდარიყოს. დავასწრო უკან დაბრუნება. აღვადგინო იგი მის ძველ (ჩემებურ, ცოცხალ) ადგილზე, წინ დავუდგე და არ მიუძვე წასვლის ნება. პირველი პასუხი ამ ლაზვარზე იყო: ადგილს უნდა მოეწყდე და გავიქცე. მაგრამ სად? ნოვოდევიჩის სასაფლაო ხომ შორსაა, თან იგი იქ არცაა. სად ვეძებო? რა თქმა უნდა, ნერვიში, სადაც უკანასკნელად ვნახე ლიგურიის ყურის ფონზე, თეთრი შლაპის ქვეშ, მოსახვევში საცაა მიფარებულ ეტლიდან. და თითქოს მიბრძანესო, — ნერვიში გაეჩნდი. გულის ფანცქალით შემოვირბინე ჩვენი ბაღის თაღართ დახურული ბილიკები, ზემოდან გადმოვიდებული ლიმონებისა და მანდარინების რტოებით, ჩაეირბინე ჩემს სეხნია „მარინამდე“ („ხედავ, რა სახელგანთქმული ვინმე გახდი! ყველგან შენი სახელი აწერია“, — სიცილით მეუბნება ნადია...). იქიდან — სახლში, ჯერ მათ ოთახში, სადაც სერიოჟა და ის ერთმანეთს ხველებამში ეჯიბრებოდნენ, მერე სასაღილოში, სადაც ახალი წლის წინ ყველანი ნატურის პატარა ნავებს ვუშვებდით ერთნაირი სურვილებით — განსხვავებული მარტო მან ჩაიფიქრა, თუმცა არავის არაფერი არ აგვისრულდა. მერე მონასტრის სახლში, მაგრამ ვერსად რომ ვერ აღმოვაჩინე, უფრო სწორად, როცა აღმოვაჩინე, რომ იგი არსად არაა, ჩიხში მოვექცე. მაშ სად ვეძებო, რომ ვუთხრა... რა ვუთხრა? რადა სწორედ ეს. მკითხაობისგან დაღლილმა გადავდე ეს ყველაფერი ძილის წინისთვის და ისევ მამაჩემის წერილი გადავიკითხე: „ცუდი ამბავი უნდა გამცნოთ. გუშინ, თებერვლის ამა და ამ რიცხვში საწყალი ნადია დიდი ტანჯვით გარდაიცვალა...“

გარ-და-იც-ვა-ლა. მაშასადამე, არსად არაა?

და დავიწყე მისი ჯიუტი ძებნა — ყველგან, ყველა კუთხე-კუნჭულში.

„სად მიდიხარ?“ — „ცხვირსახოცი დამრჩა დორტუარში“. ჩავყლაპე კიბე და მივქრივარ ცარიელ დერეფანში, მოსახვევებში ლამის ვწყდები საკუთარ სხეულს, წინ გასწრაფებულ და მაინც უკან დარჩენილ ფეხებით შევრბივარ

...იქნებ—აქ არის? რაკი იცის, რომ ყველანი ქვემოთ არიან. მაგრამ იქ—არაფერია, ცივად ბრწყინავს მხოლოდ ჩემივე გახეხილი პირსაბანი, ცივად ბზინავს მხოლოდ ჩემივე გასწორებული საწოლი სხვა ისეთსავე თეთრსა და უიმედოდ ცარიელ საწოლებს შორის. რატომ ვერ მოვისაზრე, რომ აქ მეტიმეტი სინათლეა? რომ აქ შეიძლება მხოლოდ ყოფნა არყოფნა, ახლა სად არ იქნება ნეტა სინათლე? არის მუდამ ბნელი ოთახი, სამუსიკო ოთახი, მთელ სართულზე ერთადერთი, სადაც არავინ ცხოვრობს. მაგრამ იქ Klavierübung¹ არ შემიშვებენ. კი მაგრამ, როგორ გავძლო ექვსამდე მთელი სამი საათი?

— Klavierübun, Marina, — განზრახ ნული ნაბიჯით გამოვდივარ, აღარ მივრბივარ. აღარ მივრბივარ მაშინაც კი, როცა მარტოკა აღმოვჩნდი ცარიელ სართულზე. ყოვლად დინჯად, ყველა წესის დაცვით მოვერიე ძნელად გასაღებ კარს (შესვლა რომ ვაცალო...), ფრთხილად, რათა არ დავაფრთხო, შევყავი თავი, მერე, როგორც არასაიმედო უცხო ვინმე, შევუშვი ტანიც (ყველაზე მეტად ის მიკვირს ახლა, რომ არათუ მისი მეშინოდა, მის შეშინებას უფრო ვუფრთხობდი). ვჯდები, თავს არ ვაბრუნებ, ისე ვხსნი როიალს. ვიწყებ განონს.² პატიოსნად ვუკრავ ყველა მოცემულ საეარჯიშოს, ამბავთ მსვლელობას არ ვაჩქარებ, თვითონვე მოვლენ (ის თვითონ მოვა?)... მაგრამ როცა „ვალსზე გაწვევა“-ზე გადავდივარ, გული არ მიძლებს და, თუმცა დაკვრას არ ვწყვეტ, პედალის თანხმიერად „ნადია! ნადია! ნადია!“ — ვამბობ ჯერ გულში, მერე ჩურჩულით, მერე ხმადაბლა... (მთელი ხმით თავის დღეში არ მომიხმია).

— Das Mägdlein schläft ihr, Eltern jammert nicht³... ნეტა რომელმა ღმერთმა ჩააგონა ხისთავა Frl. Risky-ის მოეცა ჩემი კლასისთვის სწორედ ეს ლექსი? ან იქნებ იმავე ღმერთმა ჩააგონა საცოდავ Frl. Annie-ს ჩემთვის მოეცა ბეთჰოვენის „Lied für Elise“⁴...

მაგრამ მე იგი არ მეცხადებოდა. რამდენსაც არ ვუხმობდი და ვეხვეწებოდი, რამდენჯერაც არ ვუსაფრდებოდი დერეფნის ყველა მოსახვევში — ჟირაფივით თავმობრუნებული ყველა ჩქამსა და ხმაურზე, ან მწვევარივით ნაბულზე მდგარი ჩვენი ყოველდღიური გასეირნებისას ერთსა და იმავე მინდორზე, ვიდრე სხვები ბურთს თამაშობდნენ, ან ქურდულად შეკუჭული ტანსაცმლის კარადებს შუა, რომლის წინ ახლა უნდა ჩაევლო, ან თვალით მისი მძებნელი საკმევლის ფარდის უკან შეიდასწლიან გონიერ თუ უგუნურ ხის ქალწულთა რიგში, ლამის საკუთარ თვალებიდან გამოძხტარი, ვეძებდი სასტუმრო ოთახის მრავლისაღმქმელ პორტიერებში... ვეძებდი იმავე ოთახის ზღურბლიდან, ავადმყოფთა სამყოფის საწოლიდან, ვეძებდი ყველგან, სადაც რაღაცა მოძრაობდა — სადაც ღუმილი იყო — სადაც ჩქამი ისმოდა — მიპარვით — მიხტომით — საკუთარი თავის დაჯერებით—საკუთარი თავის გარდასახვით...

თვალით ნადია არახლოდეს დამინახავს.

ძილში, სიზმარში — კი. სულ ერთსა და იმავე სიზმარში: აი, ეს წუთია აქ იყო, აი, მე უკან მივსდევ — აი, მიდის, აი, ვეძახი — ის ღიმილით აბრუნებს, თავს ჩემკენ, მაგრამ არ ჩერდება, მინდა დავეწიო — ვერ ვეწევი.

1. მუსიკალური საეარჯიშოები (გერმ.).

2. შარლ-ლუი ვანონი (1819—1900 წ.), — ფრანგი პიანისტი, ორგანისტი და პედაგოგი. ავტორი ეტიუდებისა ფორტეპიანოსათვის.

3. სპინავს გოგონას, 5-ე დაღონდებით. დედავ და მამავ (გერმ.).

4. „სიმღერა ელიზასათვის“ (გერმ.).

ოლონდ ნიშნები კი მქონდა. სეირნობისას, როცა ყვავილების მაღაზიიდან სურნელი მომეფრქვეოდა. მყის ყვავილების ბრძოლა და იგი, ყვავილებით ხელში მაგონდებოდა, როცა ღრუბელს დაეინახავდი, მისი დაწვებით აყირ-მიზებულს, ღრუბელს, მასი ლოყის მოხაზულობის. წყალ-წყალა ქერის ყავაც, ვინემ რძეს ჩაურეედნენ, მისი თვალების ოქროს ფერს ჰგავდა. ნიშნები ვახლდათ. სიყვარული მუდამ პოულობს იმათ. ყველაფერი — ნიშნები ყველაფერში.

თუ ამ ჩემს თხრობაში მთავარი — ჩემი ნაღველი მასზე ფაქტობრივად მისი — ვერ დაინახონ, მაშინ ვიტყვი, რომ ეს სიყვარული — მასზე ნაღველი იყო. ნაღველი გაუსაძლისი. ნატვრა სიკვდილის — მასთან შეხვედრის გამო. ბავშვის „ახლავე, ამ წუთს!“ მაგრამ თუკი აქ არ გამოვა, მაშინ აქ ნუ იქნება. თუკი ცოცხლებისთვის ასე — არ შეიძლება. „მოკვდე, ოლონდაც ნადია ვნახო“ — ასე ერქვა ამას უფრო მტკიცედ, ვინემ ორჯერ ორია, ისე მტკიცედ, როგორც „მამაო ჩვენო“, ასე ვუპასუხებდი ახალ გაღვიძებულზეც, თუკი მკითხავდნენ, ყველაზე მეტად რას ინატრებო. მერე რა იქნებოდა? მერე—არაფერი. შეეხედო, ვუცქირო. სულ ვუცქირო. და საოცარია: მე, ვინც ესდენ დაუნდობელი ვიყავ ჩემი გარეგნობის შეფასებისას, ვისაც ესოდენ მრცხვენოდა ჩემი ულამაზობის მისი (სერიოზუსი თუ სხვათა) სილამაზესთან შედარებით, წამით ეჭვი არ შემპარვია: „რა იქნება ნადიამ, ასე ლამაზმა, მე, ასე უშნო, თანაც პატარა, არ მიმიკაროს?“ თითქოსდა მაშინ უკვე ვიცოდი გოეთეს სტროფი:

O, lasst mich scheinen, bis ich werde.¹

ეჭვი არ შემსვლია, რომ werde ანუ, ვიქცევი იქ ჩემი სულის დარად და მსგავსად, ანუ ისეთად, როგორიც ნადიაა, ხოლო თუ არა, თუ მაინც ჩემი ძველი გარსი შემპორჩა... — Und diese himmlischem Gestalten.

Sie fragen nicht nach Mann und Weib,² —

მამასადაძმე, იქ არც სილამაზეს, არც ულამაზობას არ უყურებენ. თითქოს მე მაშინ უკვე ვიცოდი ის ამბავი, რაიც ასე ძლიერად, ასე მტკიცედ ვიცი ახლა: რომ მე იქ ყველაფერს ამოვიგებ. და უკანასკნელი წინასწარჭკვრეტა აღამიანთა მათი მიაშიტური ანდაზებით ძაღლსა და ლომზე, წივწივასა და წეროზე, ჯორების გამრეკზე და მეფეზე — მე ვიცოდი, რომ მეტოქე ამ სიყვარულში მე არ მეყოლებოდა.

მთავარი რაა სიყვარულში? იცოდე და არ გაამხილო, იცოდე ყველაფერი იმაზე, ვინც გიყვარს, და არ გაამელავნო, რომ გიყვარს. ზოგჯერ მალვა, არგამელავნება (სირცხვილი) ძლევს ცოდნას (ვნებას). ვნება იღუმალების — სიცხადის ვნებაა. ასე მომივიდა მეც. ვერ ამეტანა ნადიაზე ლაპარაკი და ვერც ის, არაფერი მცოდნოდა მასზე. მაგრამ კიდევ უფრო აუტანელი იყო მისი სახელის ხსენება, ვინემ მისი ამბების უცოდნელობა. მე ვსულდგმულებდი, როგორც მშიშარა მათხოვარი, შემთხვევითი გასაკითხებით, ისე როგორც რევოლუციის ხანს, უკვე წამოჩიტული, ქუჩაში, ღამით, სხვისი ფანჯრების ქვეშ მოსმენილი მუსიკით. (ერთხელ ასედაც „გამიკითხა“ არბატზე ღამის ფანჯრიდან რახმანინოვით — თვითონ რახმანინოვმა.). მე ვსულდგმულებდი ნადიაზე ნათქვამი შემთხვევითი სიტყვებით, თუმცა მე პირველს არასოდეს მიხ-

1. როგორსაც მხედავ, იმად ვიქცევი (გერმ.).

2. ცაში, ღრუბლებში ვერ დაინახავ ვერც კაცისა და ვერც ქალის სახეს (გერმ.).

სენებია. მეტსაც ვიტყვი: როგორც კი მამა ნაძვნარში ჩვენი კარგა შორი სე-
ირნობისას (დედა კი იწვა და იწვა, ეს მისი უკანასკნელი ზაფხული იყო, უკ-
ვე მწოლიარე ზაფხული, უკვე ნაძვნარში), როგორც კი მამა წამოიწყებდა
მასზე ლაპარაკს, მე რომელიმე არაპირდაპირი, სნეულების წერილმანების თუ
ჩემი სიყვარულის საგნისგან ასაცილებელ და ასაშორებელ კითხვით, რალაცნა-
ირი საეჭვო, ჩემთვის არაბუნებრივი სიეშმაკითა და სიჭმარჯვით ვიცდენდი
(ბედნიერების ელდას). ასე ვიქცეოდი სულ პატარაც, ~~ბროცა~~ შინა დი-
ლას ღმერთს ვეხვეწებოდი, საღამოს ნაძვის ხე ჯერ კიდევ ნუ იქნება-მეთქი,
თუმცა ესოდენ გაგიჟებული ველოდი და მითი ვცოცხლობდი. ხოლო როცა წა-
მოვიზარდე, ხან გამასხრებით, ხან სიტყვის ბანზე აგდებით პირველივე სიტ-
ყებიდან ვაწყვეტინებდი ხოლმე სიყვარულის ახსნას, რომლის ბოლო შემ-
დეგში ზოგჯერ აღარც არასდროს მომისმენია.

ნეტა რა ძალა იზიდავდა ნორჩ მიცვალებულს ნოვოდევიჩიდან (ამ სიშო-
რიდან!) შვარცვალდში ჩემკენ, მისთვის ასე ნაკლებად ნაცნობ პატარა ვო-
გოსაკენ? რამეთუ ახლა ვხედავ, რომ ჩემი სიყვარული მისი ნებისგან მოდიო-
და, იგი მსდევდა მე, დამყვებოდა შავტყვიანეთის გაბანჯგულულ გორაკებზე, იგი
ჩუმ-ჩუმად და დაჟინებით მიტყუებდა იქაური ნიაგარის პატარა, ცივ, ღრმა
და ბობოქარ ღელის ქაფში, სიცოცხლესავით რომ უცბად წყდებოდა. იგი
მაიძულებდა კრინტი არ დამეძრა მასზე არავისთან, მით უფრო დედასთან. იგი
მიმზერდა სიცხით ალექსილ ყველა ლამაზ სახიდან, სანატორიუმის საუარძლი-
დან. ისარგებლა რა ჩემი ბეცობით, მან შემაყვარა ერთი ასეთი ნორჩი სნეუ-
ლი, ვისაც ხან ჰგავდა და ხან არ ჰგავდა, ვინც ხან მხიბლავდა და ხან იმედს
მიცრუებდა, უხეშად რომ ვთქვათ: გარდაუვალი კონტრასტით თავისდა სასარ-
გებლოდ თავისადმი კიდევ უფრო გამაერთოგულა. ეს ჩემი სხვისადმი ტრფია-
ლი, ჩემი მაშინდელი და მუდამჟამინდელი პატიოსნებით, რამეთუ არ მეშინო-
და ამის აღიარების და სახელის დარქმევისა, ერთი წამითაც ღალატად არ
ჩამითვლია. ეს იყო მხოლოდ თავის მოტყუება — თანაც რაოდენ მტკივნეული!

მეტსაც ვიტყვი: ნორჩმა მიცვალებულმა თითქოსდა მე გადმომცა მთელი
თავისი დაუხარჯავი სიყირმიზე და სივარდისფერე, ვინაიდან როგორც კი ვინ-
მე წარმოთქვამდა: „საწყალი ნადია!“ — ან დედა, თავის თანაამხანაგის შემ-
ყურე (სწორედ იმ ყმაწვილი ქალის!) იტყოდა ხოლმე: „ვაითუ ესეც ნადია-
სავით წამებით მოკვდეს“, — მე გამართული ზამბარასავით არათუ წამომხტა-
რი, ჩემი არსებიდან გამომხტარი, უკვე მივქროდი „წიგნისა“ თუ „ჯოხის“ მო-
სატანად, რადგან ვიცოდი, კიდევ ერთი წუთი და ვერა ძალა და ვერა ნების-
ყოფა ვერ მიხსნიდა ლოყებზე ცეცხლის წაკიდებისგან! მაშ ბრმაა სიყვარუ-
ლი? მაგრამ კაცნიც ხომ ბრმანი ვართ ხოლმე მის წინაშე! ისე რომ, ჩემი საი-
ღუმლო დედამაც კი ვერ გამოიცნო, თუმცა იგი შუბლზე მეწერა! და უკან მობ-
რუნებულს შეწუხებული მეუბნებოდა: „რა მკვახედ იცი ხოლმე შუა სიტყვაზე
გაწყვეტინება... ასე ხომ კაცს შეაწინებ. წიგნიო... ჯოხიო... ცეცხლი ხომ არ
ეკიდებოდათ!“ სწორედაც რომ ეკიდებოდათ.

რატომ სერიოჟასადმი არ ვიყავ ასე? ჩემი ადრეული სიყრმის სინანულად
დარჩენილ გრძნობისადმი? მის სიკვდილს რად შევურიგდი, რად შევხვდი ისე-
როგორც ყველა?

იმიტომ, რომ სერიოჟა თვით დანებდა, შეურიგდა მას, ნადია — არა.

იმიტომ, რომ სერიოზუს სიცოცხლე აღარ უნდოდა, ნადია სიცოცხლეს —
ესწრაფვოდა.

იმიტომ, რომ სერიოზუა სულ, მთლიანად მოკვდა, ნადია, — არა. სერიო-
ზუა მთლიანად წაუვიდა იქ, ყველაფრიანად, რაც მას გააჩნდა, ნადია კი ყველა-
ფერს, რაც მასში იყო, მასში ჩქეფდა, არ განეშორა, იმ ყველაფრიანად მთლი-
ანად დარჩა.

და კიდევ იმიტომ, რომ სერიოზუაზე ასე იკლავდა მისი დედა თავს, ხო-
ლო ნადიაზე ჩემსავით (ამას ახლაც ვამტკიცებ) არც არავინ — და არც არა-
სდროს.

ჩემო კარგო ნადია, ნეტავი ჩემგან რა გინდოდა? ლექსები? მაგრამ მე
მაშინ ბავშვური ლექსები მქონდა, თანაც გერმანული ლექსები....

მაინცდამაინც მე რად მსდევდი, თვალწინ მე რად დამიდგებოდი — ყველა
იმათგან გამორჩევით, ამ ცოტა ხნის წინ რომ კუდში დაგდეკდნენ და დაგტ-
რიალებდნენ?

იქნებ იმიტომ, ჩემო კარგო ნადია, რომ იქიდან შენ უძალე დაინახე მო-
მავალი და პატარა გოგოს რომ დასდევდი — საკუთარ პოეტს დასდევდი, იმას,
ვინც ახლა, სულ ცოტა ოცდაათი წლის შემდეგ, შენი მკედრეთით აღდგომას
ცდილობს?

დ. ი.-ი ილოვაისკი უკანასკნელად მე ვნახე, უფრო სწორად კი მოვუსმინე
ალექსანდრე III-ის მუზეუმის გახსნის წინა დღეს, 1912 წლის მაისში, ვნახე
ჩვენს სახლში, უდროო და გვიან ხანობას. სერიოზუა ეფრონმა, ვისაც სულ
ახლახან გავეყვი ცოლად, არ დაუცადა ეზოს ბოლოში მცხოვრებ მოახლეს,
ვისაც ალბათ უკვე ეძინა, და კარი გააღო. სადარბაზო კარმა გაიჭრიალა, გაი-
სმა რაღაც ბურღლუნი და თანდათან გამოიკვეთა სიტყვები: „მამ შინ არ გახლ-
ავთ?“ მერე, დარბაზში შემოსვლის შემდეგ: „გარდერობი ხომ იქნება?“ დუმი-
ლი და შემდეგ იმის ჩახველება, ვისაც ეს ჰკითხეს. შემკითხველი კი კვლავ
დაჟანგებით: „გარდერობი იქნება-მეთქი? ხელწერილით რომ ჩაიბარონ?“ სა-
სადილოდან რომ გამოვიხედე, დავინახე, როგორ უკან-უკან იხევს კვლავ
თავაზიანად მომღიმარი სერიოზუა, მისკენ კი ბედისწერის უგრძობლობით და
გულგრილობით მოიწევს ქურქი, რომელშიც (არადა, მაისი იყო!) დ. ი.-ი
ილოვაისკი შევიცანი. „თორემ (ხელს ირტყამს ანაფორასავით ფარფარა სახე-
ლობზე) ჩემი ქურქი თახვისა გახლავთ, ვაითუ (ღვარძლნარევი ღიმილით) ზე-
იმის ღროს ამაცალონ! ახლა ხომ მოდა წამოვიდა, გადაიკიდებს მკლავზე და,
„არხეინად ბრძანდებოდეთ“, ღიმილითა და ხელწერის გარეშე გეტყვის...
არადა, ვინ გაიგებს, იქაური მსახურია თუ გადაცმული მძარცველი? შუბლზე
ხომ არავის აწერია, ხოლო თუ აწერია — მტკნარი სიცრუეა. არა, ნომერი სა-
ჭიროა! ნომერი!“ სამოვარს ამოფარებული ვიცდი, შემდეგ რა იქნება. პაუზა
და ოვალემოწკურვით: „თქვენ რაღაც არ მახსენდებით... შემოსასვლეში ანდ-
რიუშად მომეჩვენეთ — ახლა ვხედავ, ის არ ბრძანდებით. უფრო მაღალი და
გამხდარი ხართ (და გამკიცხავად), ხნითაც უფრო პატარა...“ „მე სიძის ქმარი
გახლავართ... ანუ ქალიშვილის სიმე-მარინასი... მინდოდა მეთქვა, ივან ვლა-
დიმიროჩისა-მეთქი, ქმარი“. ილოვაისკი დაეჭვებით: „ქმარი?“ — და უკვე გულ-
გრილად: „ჰოო... გადაეცით ივან ვლადიმროვიჩს, ყმაწვილო, რომ თქვენი სი-
მამრი გეახლათ-თქო ბებერ პიბენიდან, გარდერობის ამბის გამოსარკვევად“.

და აურიო რა თავისი შვილიშვილი სხვის სიძეში — უკვე თქმულებამ! უკვე მოჩვენებამ! გაიარა, ჩაბნელებული და რამდენიმე წამში სავსებით დაბნელებული დარბაზის ფიცრები, თავის ქურქით რომ, ვით დათოვლილ მინდორს, ისე მიხვეტდა, როგორც თავისი მგლური ბედის თოვლიან მინდორს, გააჭრიდა სადარბაზოს კარი და ხის წანწალები, ააყეფა ჭიშკარი, ჩაუარა პირველ ფარებს — უკანასკნელ დაფიონს, და გასწია თავის სახლისკენ, თავის მფარველ პიმენისაკენ, ბებერ პიმენისაკენ, მოკლული დამიტრისაკენ — თავის უშვილო უსიკვდილის სახლად ქცეულ მკვდარ სახლისაკენ...

რომელი ზამთარი იყო? ყველა ისინი ერთურთს ერწყმოდა ერთ გაუთავებელ ზამთრად. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო „ხტუნების“ ზამთარი, ზამთარი თეთრ სუდარებში გახვეულ უსაზომოდ მაღალი არსებებისა, თეთრი ნამქერებიდან რომ თავს ესხმოდნენ მართოდ მიძავალ ქურქებს, ზოგჯერ ქურქების შიგნით პიჯაკ-შარვლებს, რის შემდეგაც — დაგვიანებული მგზავრი უკვე თეთრებში გახლდათ გამოწყობილი, ხოლო უსაზომოდ მაღალი არსება, უეცრად დაპატარავებული — ქურქში. ჰოდა, ამ ხტუნების ზამთარში ამჟამად განსვენებულ ტ. ფ. სკრაბინასთან ერთად მის მუსიკალურ მეგობრებს რომ ვესტუმრე, შესვლისთანავე მომესმა: „ეს რა საოცარი მოხუცია! ქვა და რკინა! ჯერ ერთი, როგორც კი დაჯდა, ერთმა ჩვენმა გამოძიებულმა ქალმა სასამართლოს დებულებათა ხუთი ტომი კარადიდან კინალამ თავზე ჩამოაყარა. როცა იმ ქალს ვუთხარი: „იდა გრიგორევნა, ცოტა ფრთხილად, ასე შეიძლება მოკლათ კაცი!“ კაცმა მითხრა: „ნუ ღელავთ, ქალბატონო, სიკვდილისა არ მეშინია — მეტადრე წიგნებისგან! ჩემს სიცოცხლეში ამათზე ბევრად მეტი დამიწერია“. მყისვე დაიწყო გამოკითხვა. ამხანაგმა N-მა მაშინვე მთავრიდან დაიწყო: „რა პოლიტიკური შეხედულებანი გაქვთ?“ ბრალდებულმა: „ჩემი პო-ლი-ტი-კუ-რი შე-ხე-დუ-ლე-ბა-ნი?“ (...) — „ეშმაკმა დალაზვროს, ვინ ბრძანდებით ბოლოს და ბოლოს, მონარქისტი, კადუტი თუ ოქტომბრელი?“ კაცმა კი დარიგების კილოზე: „ჩემი შრომები თუ წაგიკითხავთ? ვიყავი მონარქისტი, ვარ მონარქისტი, თქვენ რამდენი წლის ბრძანდებით, მოწყალეო ხელმწიფევ? ალბათ ოცდაათერთმეტის? ჰოდა, მე კი ოთხმოცდაათერთმეტისა ვარ, მეათე ათეულზე კი, ბატონო ჩემო, არ იცვლებიან“. აქ ყველას გაგვეცინა. ვაჟკაცი ვინმე ყოფილა! ღირსებიანი!“

— ისტორიკოსი ილოვაისკი ხომ არ იყო?

— დიახ, ის გახლდათ. როგორ გამოიცანით?(...)

დამრჩა ა. ა.-ს დასასრული, საშინელი და საზარელი. მან თავის ირგვლივ ყველა დაკარგა (ახლა უკვე ერთადერთი მისი ასული საზღვარგარეთ იმყოფებოდა), და დარჩა მარტოდმარტო იმ ერთ, თაღებიან, ნახევრად სარდაფ ოთახში მთელი თავისი ავეჯით და ზანდუკებით, ერთ ღროს ნადიასი რომ იყო და ფანჯრებით ბაღში გადიოდა. ირგვლივ კი სულ ახალი სამყარო ერტყა, შესახლებული მდგმურების ვიწრო წრიდან მოყოლებული — ახალი იდეების თვალსაწიერამდე — რევოლუციის აბრიალებულ უზარმაზარ თვალსატიკვამდე. როგორ შეეწყო ამას? ჯერ ერთი, მან ამ სამყაროს ბრძოლა გამოუცხადა. რისთვის ებრძოდა? თავისი დოვლათის დასაცავად და იცავდა კიდევ რევოლუციის ბობოქრობის უამს ასეთი გვარის პატრონმა ასეთ სასამართლოში ერთი კი არა, მთელი ორი პროცესი მოუგო ასეთ „მოიჯარეს“ (როგორც თავად

ზრდილობიანად უწოდებდა). საამისოდ მართლაც მისთანა უნდა ყოფილიყავი, მისივე ახლობლების თქმით, ანუ საკუთრების ესდენი ფანატიკოსი.

მე შევეცდები იმ დღის აღდგენას, ისეთივესი, როგორც ამ თერთმეტი რე-ვოლუციური ზამრთის ყველა დღე იყო.

დიღ-დიღობით გაყინულ ოთახში წამოდგომა (არა უშავს, სარგოც კია, მთელი სიცოცხლე ღია სარკმლის ქვეშ ეძინა). უშაქრო ჩაი (ქანქანდნა... ჭამ-ძიმდა), შავი პური (ეს მართლა აძძიმებდა). საპნის რიგში დგომა. (როგორმე ავიტან, ჩემსას კი მაინც გავიტან, ჩემსას — არვის გავატან!) ჰოდა, მთელი რი-ვის ქილიკურსა თუ მოწონების შეძახილებზე: „აბა უყურე, რა მაგარი ვიღაც ყოფილა! მაგას ვინ გაუძვრება წინ!“ ზარზემით გააგლო „თავხედი“ და თავის წილ უქაფო საპნით ხელში შინისკენ გამოეშურა. რომ ეჭამა, ჭამდა კი ცო-ტას.—ასე მიაჩვიეს. (ესაა, შვრია არა აქვს! თითქოს და დ. ი.-ის მხოლოდ იმი-ტომ შეეუღლა, შვრია რომ ერთად ეჭამათ. და ეს რატომღაც ცხენების ასო-ციაციას იწვევს გულის ამაჩუყებლად...) ჭამის შემდეგ — სკივრების ქექვა იწ-ყება. თითქოს თვალწინ მიდგას მუხლებზე ჩაჩოქილი, ჯერ კიდევ ამაყად აწეული მარკიზას თავით სკივრის სახურავს რომ აკავებს, თავი კი ტკივა, მაგ-რამ არაფერია, საკუთარ ტვირთს არავინ მოუკლავს! ავერ მაუდის, ტილოს, შვეიოტის, სახიანი მუარის, ატლასის თოფების წყება... აქედან რომელს შეე-ლიოს? რომელი დათმოს? არადა, ეს ყველაფერი იმ ხეპრეებმა, ქალმა თუ კაც-მა უნდა ჩაიცვან. იმ ხეპრეების გამოა ახლა ჩაჩოქილი...

სმოლენსკის ბაზარზე დგას ხანში შესული ქალი, ბუფებიანი ქურქი აც-ვია, მაღალი ჭვინტწერილი ფეხსაცმელი. თეთრი კაკასიური (ჯერ კიდევ სე-რიოქას ნაქონი) ყაბალახიდან — შავი თვალები უმოწყალოდ იმზირებიან. არ თავაზობს, არ იწვდის მკლავზე გადაკიდებულ საქონელს — დგას უტყვად და უხმოდ. მაგრამ საქონელი თავად დაღაღებს თავის თავზე. „რამდენად?“ „ამ-დენად“. „რას ამბობ, დეიდაჩემო (თვალების გამჭოლი მზერა), რას ამბობთ, მოქალაქე... (და მზერას რომ ვერ გაუძლო), რას ბრძანებთ, ქალბატონო... მოქალაქე ხომ სულმთლად არ უნდა გაატყავოთ... ამდენად არა?“ (ციფრს ასახელებს.) „არა“, თითქოს ყინულმა გაიჭახუნა. ოო, თითო არშინზე კაპიკი მათ გამო დათმოს, როცა არც თავისი ყმაწვილური ვნებებისა და არც თავისი შვილებისთვის არ დაუთმია! თავის დღეში — არავისთვის — არაფერი არ დაუთმია. ჰოდა, გაუსაძლისი მზერისა და გამძლე ნაჭრის ზემოქმედებით მო-ქალაქე ა. ა.-ს ხელში ქალღმის ფულებს აჩეჩებს, თავის იღლიაში კი არში-ნებს იჩრის. მერე დგანან და ცალ-ცალკე თავ-თავისას ითვლიან და ამით და-ურიდებლად სრული ტოლობის სურათსაც ქმნიან.

და აი ბრუნდება ა. ა.-ა თავის სახლში, თავის სოროში, ქალღმში შეხვე-ული ერთი მუჭა რაფინადით და თეთრი პურით, ოღონდ იღლიაში არა, ისინი ღო-რის ტყავის პატარა ინგლისური ჩემოდნის ფსკერზე უდევს.

ქალიშვილისგან წერილი წერილზე მოსდის, საზღვარგარეთ დაუინებით ეპატიჟება. მაგრამ ქონება ვის დაუტოვოს? თან წაიღოს? ყველაფერს ხომ ვერ წაიღებს? გაყიდოს? ამის გაფიქრებაზეც კი ტანში აზრზინებს. როგორ დარჩეს ყოველივე ამის გარეშე, სკივრების, კალათების, ფუთების არიერგარდის გარეშე? შიგადაშიგ გაჭირვებაში მყოფ ქალიშვილს ამანათებს უგზავნის, ხან რამდენიმე ინგლისურ ფუნტს, თუკი სმოლენსკის ბაზარზე სარფიანად რამე

გაყიდა, ხან gris-perle-ს¹ აბრეშუმის კაბას, რომლის მარტო შლეიფიდან სერ-ბიაში მყოფმა მისმა ასულმა მთელი კაბა შეიკერა.

1927 წელს ვიღაცა წერს მის ქალიშვილს:

„დედაშენი საშინელ დღეშია — ერთი ოთახი აქვს და ისიც ბარგით გამო-ჭედილი. სინათლე დღისით და ღამით უნთია...“

დღისით იმიტომ, რომ გარედან ხან დათოვლილი, ხან უკაფეთდელი ბურ-ქი უბნელებს.

ღამე—ფიქრები.

ასე იყო 1929 წლამდე.

იანვრის ღამე. ა. ა.-ა ძილისთვის ემზადება. სინათლე ანთია, რომელ-საც არც დღისით აქრობს. ზემოდან თეთრ თანაბარ შუქად იღვრება. ფანჯრის მიღმა გაყინული ბაღია, ზედ ფანჯარასთან — მუხის დარაბის სიგანეზე — იასამნის ყინულად ქცეული ბურქი საგუშაგო კოშკივით აყუდებულა.

იხდის ჯერ ზედა სამოსს, მერე კუბოკრულ ქვედაკაბას, დუგმაზე შეკ-რულს, თორმეტლილიან ლიფს (მეოთხე დიდი ძაფზე ჰკიდია — დამაგრება არ დააეიწყდეს!), მიძვრება სკივრების შუა და აკუზულ სახურავს ხდის მარმარი-ლოს დაფას, წყალში ასველებს ღრუბელს. იცვამს ღამის პერანგს, ნემსში აგებს ძაფს. თმის სარჭებს იძრობს და ჯაგრისით ივარცხნის თმას, ვინემ პრიალს არ დააწყებინებს. შემდეგ ზონართან ერთად იწნის, მერე ჭილოფზე იჩოქებს, ღამპრის ქვეშ, და ლოცულობს: „პური ჩვენი არსობისა“, -ს და განს-ვენებულთა სულის მოსახსენებელს.

კაკუნია. დარაბაზე გაყინულ რტოს გაყინული თათივით არტყამს ბურქი. ისე კი მართლაც თითით კაკუნსა ჰგავს: მისი მეორე მოხრილი სახსრით. ერთხელ და კიდევ მეორედ. ვაითუ? — და აი მესამედაც. მერე ფეხაკრეფით მი-იპარება უკან. ა. ა.-ა გულგრილად ამბობს: ნერვების ბრაღია. და მაინც დასა-რწმუნებლად სკივრების წვეტიან კუთხეებს აუვლის, მუხლით დგება ისევე აულაგებლად დარჩენილ „კრემლის“ დასტებზე და ჩარჩოს შუბლით ეკვრის. არაფერი ჩანს, გარდა დარაბის ყრუ კედლისა. შორდება გაყინულ შუშას.

ან რისი შიში უნდა ჰქონდეს ასეთ სახლში? ამდენ ბინადარში? სადაღ რამდენიც ბინადარია — იმდენი რევოლვერია. ისიც ასეთი დარაბების პატ-რონს? ასეთი მეეზოვის მყოფს? ან ვინ უნდა შეაშინოს, რის გამო? (იმ წუთს ა. ა.-ას არ ახსენდება, რომ დაკაკუნება შეიძლება არამარტო შესაშინებლად, გასაფრთხილებლადაც. ისე რომ, როცა თავში წამით უნდოდ გაჰკრა, მოდი გარეთ გავალო, და გამოსულიყო, ვინ იცის, იქნებ დაენახა არა საზარელი, არამედ ღვიძლი სახე — ამ შავ ღამეში ღია-შაუთვალება! დაბლა მიწაზე კი არა, მაღლა-მაღლა რომ შორდება სარკმელს. და თუნდაც არავინ და არაფერი არ დაენახა, გარდა ფანჯარას ჩახუტებულ იასამნის ბურქისა — გამფრთხილე-ბელს შეეძლო, თუ სხვა რამ საშუალებით არა, რტოთიც მიეკაკუნებინა ფან-ჯრისათვის...)

ძალა მოიკრიბა და გაყინულ საწოლში ჩაწვა.

თვალები დახუჭა, სინათლე კი ისევ ანთია, როგორც დღისით, თანაბრად და უსიცოცხლოდ. დახუჭულ ქუთუთოებს ქვეშ იმ სალდათის სახე დაუდგა,

¹ მომარგალიტო—მონაცრისფრო (ფრანგ.).

გუშინ ბაზარში ფარჩა რომ მიჰყიდა (რომლისგანაც ნადიას ბოიარის ქალის სამოსი უნდა შეეკერა და შეეკერვა აღარ დასცალდა.). მისი უწვერო სახე მუბლზე გადაყრილი „ბოლშევიკური“ ქენჩერი. აფსუს, რომ მხოლოდ ამდენად მიჰყიდა არსინი, თუმცა ისეთი ფარჩა იყო, მეტიც უნდა მიეღო.

ვაჟი, ვაჟი კი — აღარ ახსოვს? (დღეს ბაღში თოვლი რომ გადაყარა, წინაბი ბუნქს მოხვდა და გვირგვინით გააწკარუნა. წლისთავზე არ დააქიწყდეს ფაიფურის გვირგვინის ალება: ყვავილები სულ მოწყდა, მარტო მავთული დარჩა...) მაგრამ იქ, ძირში, სადაც ის იწვა და იწვა მარტო, არასოდეს არ ჩასულა. თორემ სიცოცხლეს ვეღარ შეძლებდა. არადა—უნდა ეცოცხლა. რისთვის? აბა სკივრებს რა უყოს? ვის უნდა დარჩეს: ახალი, ხელუხლები, გამოუჭრელი, ათობით წელი ამ დღემდე შემონახული. ქალიშვილი — შორსაა. ამათ?! არა, უნდა იცოცხლოს, ყველაფერი მოიხმაროს, სხვას რომ არ დარჩეს, სხვას არ შეხვდეს. არავის არაფერი არ შეხვდეს.

სძინავს უკვე.

უბედურება ფანჯრიდან არ მოსულა. უბედურებამ კარიდან შემოაბიჯა. კაკუჩია ა. ა.-ას სძინავს. მეორედაც დააკაკუნეს, ჰაიჰარად. „ვინ არის?“ — „ივანი გახლავართ, მეუზოვე. ალექსანდრა ალექსანდროვნა, საქმე მაქვს თქვენთან“. — „რა საქმე! ხვალ მოდი!“ — „გადაუღებელი საქმეა, თქვენთან უკაცრავად ვარ, რომ გაწუხებთ, მაგრამ დიდხანს არ დაგაყოვნებთ“. — „დაიცა, არ შემოხვიდე, გავაღებ და მყისვე ჩავწვები“.

...შემოდის. გაჩერდა — უხმოდ, უსიტყვოდ. თვალები სხვანაირი აქვს. ა. ა.-ა მბრძანებლურად და აღელვებით: „აბა თქვი? — და მერე ხმაჩაწყვეტით: — თქვი, რას უდგახარ?“ იმან კი კარს უკან გასძახა — „შემოდით, ბიჭებო“.

ძველი სახლი თითქოს ამასღა ელოდებოდა.

მოვიდნენ ხროვად. მოვიდნენ მილიონების წასაღებად, იპოვეს კი მხოლოდ სამოცდაორი მანეთი და რაღაც კაპიკები. „დოვლათს“ ხელი არ ახლეს — ჭინჭებიანო. მერე კავკასიაში გაიქცნენ, იქ მიაკვლიეს, დაიჭირეს, გაასამართლეს, ზოგი — დახვრიტეს.

ბებერ პიმენთან მღებარე სახლის ამბავი ორგზისი სისხლით გასრულდა.

დაბოლოს ვერა მურომცევას სიტყვებს მოვიტან იგივე სათაურის მქონე მოგონებებიდან, ვისი სახელითაც დავიწყე:

— ბებერ პიმენის სამრევლო საფდარში კომკავშირელთა კლუბია ახლა.



ფერნანდო პესოა

თამბაქოს ფარდული

თარგმნა შოთა იათაშვილმა



ფერნანდო პესოა (1888—1935) უდიდესი პორტუგალიელი პოეტი. მისი მნიშვნელოვანება სცდება პორტუგალიის საზღვრებს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი XX საუკუნის მსოფლიოს საუკეთესო პოეტთა რიცხვში შედის.

პესოა ითვლება თანამედროვე პორტუგალიური ლიტერატურული ენის შემქმნელად. მის პიერ პოეზიაში შეტანილი ფორმისეული სიახლეებით კი დღესაც იკვებება თანამედროვე პორტუგალიური პოეზია.

პესოა იყო მეტად არაორდინალური პოეტი და პიროვნება. მისთვის დამახასიათებელი იყო საკუთარი თავის მისტიფიცირება. იგი სხვადასხვა პეტერონიმებით აქვეყნებდა ნაწარმოებებს, თავის „ორველებს“ კი „ბიოგრაფიებსაც“ უქმნიდა ხოლმე. ასე, მაგალითად, მისი „მასწავლებელი“ ალბერტო კაეიროს დაიბადა 1889 წელს ლისაბონში, ისე, როგორც პესოა, ადრე დაობლდა, მაგრამ მისგან განსხვავებით დაამთავრა დაწყებითი სკოლა და ცხოვრების დიდი ნაწილი სოფელში გაატარა. ლექსების ციკლი „მწუკმსი“ და „უთაებოლო ლექსები“, რომლებიც პესომ ალბერტო კაეიროს პეტერონიმით გამოაქვეყნა, ამართლებს კაეიროს „ბიოგრაფიას“ და პასტორალურ-ნატურალისტური ხასიათისაა.

სამაგიეროდ მისი მეორე პეტერონიმი — რიკარდო რეისი, პორციუსისა და ანაკრეონის თაყვანისმცემელი, წერს „ოდებს“ რომაელი პოეტების უდაო გავლენით, ალვარო დე კამპოსი კი — საზღვაო ინჟინერი, ინგლისში მიღებული განათლებით, ფეტურისტი და „სენსაციონისტი“, ვერლიბრის ოსტატია, ხოლო კოელიო პაშეკო უკვე „გარდაცვლილ“ ალბერტო კაეიროს უძღვნის სიურრეალისტურ პოემას „სხვა ოკეანეთა მიღმა“.

ხველაფერი ეს არ იყო შემთხვევითი. თითოეული ამ პეტერონიმის ქვეშ პესოა გამოდიოდა, როგორც გარკვეული ფილოსოფიური კონცეფციის მატარებელი. წერდა თავისი საბუღალთაო და მიუბედავად საკუთარი შემოქმედების გარეგნული „დანაწევრებისა“, იგი სხვადასხვა სიტყვიერი ფორმით, მაგრამ მაინც მუდამ ერთსა და იმავე საკითხებს უტრიალებდა და ყოველთვის ისევ და ისევ საკუთარ თავს უბრუნდებოდა და უღრმავდებოდა.

რაც შეეხება ლექსს „თამბაქოს ფარდული“, რომლის თარგმანაც ქვემოთ გთავაზობთ, იგი დაწერილია ალვარო დე კამპოსის პეტერონიმით და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს პესოას შემოქმედებაში.

მთარგმნელისაბან

თამბაქოს ფარდული

მე ვარ არავინ
და ვიქნები მუდამ არავინ.
და მოვიწოდო მო ვიქცე ვინმედ, არ შემოძლია.
მთელი სამყაროს ოცნებები თუმც კი ჩემში ჩასახლებულა.

ფანჯრები ჩემი ოთახისა,
იმ ერთ-ერთისა მილიონთაგან, ქვეყანაზე რომ დაეხეტება
და არ უწყის, რას წარმოადგენს
(და რომც იცოდეს, განა ამით რას გაიგებდა?),

გამოდეს ქუჩაში, იდუმალში, რომელშიაც განუწყვეტლივ ფუთფუთებს ხალხი, ქუჩაში, რომელსაც რაც არ უნდა ბევრი ეცადო,

უცაბედად ვერაფრით ვერ გაითავსებ, ქუჩაში, შეუძლებლობამდე რეალურში და განსაზღვრულში შეუცნობლობამდე, სადაც კაცთა და ქვითა გარსის ქვეშ ამოცანებს დაუბუდიათ, სადაც სიკვდილი ქალარით ფარავს საფეთქლებს და კედლებს სადაც ბედისწერა ურმით, რომელსაც „ყველაფერი“ ჰქვია სახელად,

ოღროჩოღრო გზით მიხრიგინებს არაფრისაკენ, მე დღეს ისე ვარ გაოგნებული, თითქოსდა თვალწინ წარმომიდგა ჭეშმარიტება. უცოდველი ვარ და ნათელი, თითქოსდა უკვე ვემზადები სიკვდილისათვის, და გარემოსთან სისხლხორცეული გველა ძარღვი გაწყვეტილია, და თითქოსდა განშორების უამს მატარებლები, ეს სახლი და თვით მთელი ქუჩა ჩემს მზერაში ფიქრით გაკრთა, და გამგზავრების საყვირებმა დაიწყვილეს ჩემს გონებაში, და ნერვები აცახცახდნენ და ლაწანი გაიღეს ძვლებმა.

გაყოფილი ვარ დღეს ერთის მხრივ თამბაქოს ფარდულის გარდაუვლობით — ის გარედან არსებობს და შეგრძნებით, რომ ყველაფერი წარმოსახვაა — ეს შეგრძნება ჩემს შიგნითა ზის. მხოლოდ მარცხი სუყველაფერში.

ვერაფერი ვერ გადავწყვიტე, და ყველაფერი კვლავ არაფრად შემიბრუნდება. ასე მასწავლეს,

მეც გამოვძვერი იმ ფანჯრიდან, სახლის უკანა და ჭუჭყიან ფასადზე რომ გამოუჭრიათ

და დიადი განზრახვებით დავადექი ტრიალ ველ-მინდვრებს. ველ-მინდვრებზე კი ბალახია, ყვავილები და შორს — ხეები, ადამიანიც შემოგხვდება — ისეთივე, როგორიც ყველგან. ვბრუნდები. ვჯდები. ვფიქრობ: ახლა რაზე ვიფიქრო? როგორ გავიგო, ვინ ვიქნები, როცა არ ვიცი, რა რა არის და რაზე ვფიქრობ? თუმცა მე ვფიქრობდი გავმხდარიყავი ხან ეს და ხან ის, დედამიწაზე კი იმდენი კაცია, ზუსტად ასე რომ ფიქრობს და დაჯერება მიჭირს, რომ ასე ბევრი კაცია დედამიწაზე.

გენიოსი? ო, აი ამ წამს ასი ათასის ოცნებაში გენიოსი დაიბადება, ისტორიაში კი არც ერთი ალბათ არ შევა!

მომავალი ტრიუმფებიდან მხოლოდ ფუნის გროვა დარჩება. არა, არ მჯერა მე ჩემი თავის.

ნებისმიერ საგიჟეთში არიან გიჟნი, საკუთარ თავში დაჯერებულნი, ხოლო მე კი, არაფერში რომ არა ვარ დარწმუნებული, ვითომ მათზე ჭეშმარიტი ვარ?

რამდენ მანსარდში და კიდევ სხვაგან ამ წამს სხედან თვითმარქვია გენიოსები? და რამდენი მისწრაფება, ნათელი და წმინდა და დიდი, და შესაძლოა მიღწევადიც ძალზედ იოლად, ვერ იხილავს ვერასოდეს დღის სინათლეს და

ვერ მიადწევს სულიერთა ყურთასმენამდე?

სამყარო ხომ იმისია, ვინც იწვა მის დასაუფლებლად,
და არა მისი, ვინც ოცნებობს, თუნდაც ამის სრული უფლებით.
მე ვიოცნებე უფრო მეტი, ვიდრე დაიბურო ნაპოლეონმა.



ადამიანთა მოდგმა გულში ჩავიკარი უფრო თბილად, ვიდრე იესომ.
შევიმუშავე დოქტრინები, კანტსაც რომ არ დასიზმრებდი,
თუმც ვიყავი და დავრჩები ეტყობა მუდამ მანსარდის კაცად,
მიუხედავად იმისა, რომ იქ არც კი ვცხოვრობ.

მე დავრჩები საუკუნოდ „ამისათვის ჭერარშობილად“;
მე დავრჩები საუკუნოდ „იმად, ვისაც საფუძვლები ჰქონდა ამისთვის“;
მე დავრჩები საუკუნოდ იმად, ვინც ელის,

რომ კედელში გაიღება მისთვის ჭიშკარი,
თუმც ჭიშკარი არასოდეს ჰქონია კედელს,

დავრჩები იმად, ვინც საქათმეში უსაზღვროებას ჰიმნებს უმღერდა,
იმად, ვინც ღვთის ხმა გაიგონა ღრმაზე, ღრმა ჭაში.

საკუთარი თავისა გწამდეს? არა. და არც სხვა რაიმესი.

და ადულებულ გონებაზე ბუნება გვატებს
მზეს, წვიმას და ქარს, თმას რომ გვიწეწს და
გვატებს კიდევ ბევრ სხვა რამეს, რაც მოვა ან
მოვიდეს უნდა, თუმც შეიძლება არც კი მოვიდეს.
გულმანკიანნი და მონები შორეული ვარსკვლავებისა,
საწოლიდან აუდგომლად ჩვენ დავიბურობთ მთელ ამ სამყაროს,
ხოლო შემდეგ გავიღვიძებთ — რა მქრქალი და ბნელია იგი,
ხოლო შემდეგ წამოვდგებით — და უცხოა უკვე სამყარო,
და სახლიდან გავალთ ბოლოს — და სამყარო აღმოჩნდება მხოლოდღა მიწა,
და მასთან ერთად

ირმის ნახტომი, და ხომლი, და უსაზღვროება.

(ჭამე შოკოლადი, გოგონა,

ჭამე შოკოლადი!

მასშია მთელი სამყაროს სიბრძნე,
და საკონდიტრო უკეთ გვარიგებს, ვიდრე ყველა რელიგია, ერთად შეკრული.

ჭამე, პატარა, ტურტლიანო გოგონავ, ჭამე!

ო, ნეტა შემეძლოს ისე მთელი თავდავიწყებით
ვღეჭო კანფეტი, როგორც ამას შენ შერები ახლა,
მაგრამ ოქროსფერ, ბრწყვიალა ქალაქს რომ ვაცლი, ვფიქრობ,
და შოკოლადი მივარდება ხელიდან ისე,

როგორც ოდესღაც ცხოვრება ჩემი გამივარდა იმავე ხელიდან)

და რა დარჩება ნეტა იმ მწარე აზრისაგან, რომ არავინ აღარ ვიქნები?
გახელებული ბლაჯნა ლექსების,

და საზეიმო შესასვლელი, რომ შევყავართ უსაზღვროებაში.

მაგრამ მე მაინც ვუძღვნი უცრემლო ზიზღს საკუთარ თავს,

მაგრამ მე მაინც მადლობელი ვარ იმ მოძრაობის,

რომლითაც ობს და მოვლენათა უვნებო სევდას დავიფერთხავ საკუთარი
თავიდან და

უპერანგოდ ჩემს სახლში ვრჩები.

ხოლო შენ, ჩემო ნუგეშისმცემელო!

შენ არა ხარ და ამიტომ შენ მანუგეშებ; შენ, გაცოცხლებულ ქანდაკებად ჩაფიქრებული ძველბერძნული ღვთაება —

თუ ვინ იცის, რომაელი პატრიციელი, აუტანლად მწუხარე და კეთილშობილი, ^{ქალი,}
 თუ ვინ იცის, ქალბატონი ტრუბადურების, გაწკეპილი და დახვეწილი
 თუ ვინ იცის, მეთვრამეტე საუკუნის კოხტა მარკიზა, ტანშიშვტობაში მსხვერპლად,
 თუ ვინ იცის, ჩვენი მამების ეპოქაში ასე ცნობილი, კოპწია და კეკლუცი ქალი,
 თუ ვინ იცის, იდუმალი ჩემთვის ვინმე თანამედროვე — თვითონ არ ვიცი,
 შენ ვინა ხარ, —

მაგრამ ვინაც არ უნდა იყო, ვის სამოსელშიც არ უნდა წარსდგე,

შთამაგონე, თუ მისთვის ხარ გაჩენილი, რომ შთამაგონო!

ჩემი გული ხომ ფსკერამდია ამოხაპული.

და დარად სულის შემლოცველთა, საკუთარ თავს ვულოცავ და
 სულ ვერაფერს ვერა ვპოულობ.

ფანჯარასთან მივდივარ და გარდუვალი სიცხადით ვხედავ

ქუჩას, ფარდულებს, ტროტუარებს და ირგვლივ მქროლავ ავტომობილებს,

ვხედავ ტანსაცმლით ტანდაფარულ ცოცხალ არსებებს, რომ დარბიან

და ერთმანეთს ეჯახებიან,

ვხედავ ძაღლებს — უეჭველია, რომ ისინიც არსებობენ სხვათა დარად და

ეს ყველაფერი მთრგუნავს, თითქოს მოშისაჯეს გადასახლება,

და ყველაფერი ეს — ისე ვით, ყველაფერი საერთოდ ქვეყნად — უცხოა

ჩემთვის.

მე ვიცხოვრე, მე ვისწავლე, მე შევიყვარე, წარმოიდგინეთ, ვირწმუნე კიდევ,

მაგრამ არ დადის ქვეყანაზე დღეს მაწანწალა, რომ იმისი მე არა მშურდეს,

მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის ის, ვინც მე არ ვარ.

ვუყურებ ძონძებს, წყლულებს და მათ ფარისევლობას,

და ვფიქრობ: ალბათ შენ არასდროს არ გიცხოვრია, არ გისწავლია,

არ გყვარებია და არაფერი არ გიწამია

(იმიტომ, რომ სულ ადვილია, არაფერი ეს არ აკეთო, და მაინც შექმნა

ყველაფერ ამის შთაბეჭდილება),

და შესაძლოა, მხოლოდ და მხოლოდ ისე ცხოვრობდი, როგორც ის ხვლიკი,

მოაწყვითეს რომელსაც კუდი,

და კუდი რაა იმისათვის, ვინც ამ ხვლიკზე უფრო დაბლა დგას?

მე საკუთარი თავისაგან შევექმენი ის, რაც თავადაც კი არ ვიცოდი,

ხოლო რისი შექმნაც შემეძლო, ის არ შევექმენი.

ჩემთვის ისეთი რამ ავირჩიე,

მასში მიმიღეს სულ სხვა კაცად, ხოლო მე კი უარი ვერ ვთქვი

და საკუთარი თავი დავკარგე.

რაცა ნიღაბის ჩამოხსნა ვცაადე,

იგი სახეს ისე მტკიცედ მისწებებოდა, რომ დიდი ხანი არაფერი გამომდიოდა.

მაგრამ მაინც მოვიგლიჯე იგი და სარკეს რომ შევხედე,

დაბერებული სახე ვიხილე.

მთვრალი ვიყავი და არ შემეძლო იმ კონსტიტუტის ჩაცმა, რომელიც
არ მქონდა აღრე გამონაცვალი.
მე ნიღაბი მოვიგლიჯე და ჩავთვლიმე შვეიცარიის მომცრო ოთახში,
ვით გოშიამ, კუდქიციინამ, ძილის ნებას გულკეთილი დარაჯი რომ რთავს.
და მაინც, რათა დაგიმტკიცოთ, ამალღებული რომ ვარ ამ ჩემს
ისტორიას ბოლომდე ჩავწერ.

გინგლიჩიძე

ო, მუსიკავ — უსარგებლო საფუძველო ჩემი ლექსების,
რა იქნება, რომ დაგეუფლო
და თამბაქოს ფარდულის წინ არ ვიდგე მე გამტერებული,
და იმის განცდა, რომ ვარსებობ, ხალიჩასავით არ მეგდოს ფეხქვეშ,
ხალიჩასავით, რომელზედაც ლოთი ანდა ბოშას მიერ ნაპარავი ხბო
წაიბოროძიებს,
ბაზარზე რომ ჩაღის ფასი ღირს.

მაგრამ აი, მეპატრონე კართან მივიდა და დადგა კართან.
გავყურებ ცერად და კისერი მიშეშდება, მტკივა და იქნებ
უფრო მეტად მტკივა სული ვერგაგებისგან.
ის მოკვდება და მეც მოკვდება.
დახლზე გაშლილი საქონლისგან ის შორს წავა და მე კი წავალ შორს
ლექსებისგან.

ღღე დადგება, საქონელი მისი დაღება, და ოდესმე მოკვდებიან ჩემი
ლექსებიც,

შემდეგ მოკვდება ქუჩა, რომელზეც თამბაქოს ეს ფარდული იყო,
მოკვდება ენა, რომელზედაც ეს ლექსები დაწერილია,
და ბზრიას შეწყვეტს, და მოკვდება ის პლანეტაც კი, ეს ყველაფერი
ხდებოდა სადაც,

ხოლო სადაც, სხვა, შორეულ გალაქტიკებში, ადამიანის მსგავსი არსება
ძველებურად გააგრძელებს რაღაც ლექსების მსგავსის შექმნას
და იდგება ისევ რაღაც ვიტრინის მსგავსთან,

და ერთი მუდამ მეორესთან არის პირისპირ,
ერთი ისე არარაა, ვითარც მეორე,
შეუძლებელიც უაზროა არსებულებით,
და საიდუმლო სიღრმისეული ისევ ისე გარდუვალაია, ვით საიდუმლო
ზედაპირული,

და მუდამ ერთი, ან მეორე, ანდა სულაც არც ერთი და აღარც მეორე.


მაგრამ ფარდულში შემოდის მყიდველი (სიგარეტისთვის?)
და თავს მატყდება სინამდვილე სიკეთის სხივად
და მე კვლავ კაცად ქცეული და საკუთარ თავში დარწმუნებული,
ვიკრებ ძალას და ფეხზე ვდგები,
და ვცდილობ ლექსი დავწერო და თანაც ისეთი, სადაც ვამბობ
სუყველაფერს საპირისპიროს.

სიგარეტს ვუკიდებ, სუფთა ფურცელთან ჩაფიქრებული,

და თამბაქოს არომატთან ერთად ვნეტარებ იმითი, რომ მე ახლა ვარ
ფიქროვანდარცული.

კვამლის ნაკადს, ვითარც გზას ერთგულს, ვაყოლებ მზერას
და ამ წამ, როგორც გურმანი-მცოდნე,

გემოს ვატან მთელი ამ ტვინის ცხლეტისაგან თავის დახსნის ბედნიერებას,
და ვთანხმდები იმაზე, რომ ნიშანია მხოლოდ ცუდი განწყობილებების
როცა კაცი ფილოსოფოსობს.



ამის შემდეგ ვეწევი ისევ,

სავარძლის ზურგს გადაწოლილი.

და მოვწევ კიდევ, სანამ ღმერთი ამას ინებებს.

ჩემი მრეცხავის ქალიშვილზე რომ მექორწინა,

ბედნიერი ვიქნებოდი, უეჭველია.

სავარძლიდან ვდგები ზღაზვნით და ფანჯარას ვუახლოვდები.

ფარდულიდან კაცი გამოდის. (საფულეში იყრის ხურდა ფულს)

ოი, ეს ხომ ესტევესია, ჩემი ნაცნობი, და იგი და მეტაფიზიკა

ერთმანეთთან მწყრაღად არიან.

(მეპატრონე ფარდულისა კვლავ კარებთან დგას)

და აქ, თითქოს ღვთიურ ძალით შთაგონებული, ესტევესი ბრუნდება,

მხედავს,

ხელს მიქნევს და მემშვიდობება. მეც ვუყვირი: „კარგად, ესტევეს!“

და იმედის და იდეალის გარეშე ვხედავ სამყაროს უკვე,

მეპატრონე ფარდულისა კი საბოლოოდ მიგზავნის ღიმილს.



ალეხო კარკენზიერი

განმანათლებელი საუკუნე

რომანი

თარგმნა მადია ზუბადალაშვილმა



ვთქვინდეთქუნს ქვეყნს ლილიას
ზიგლირთქუა

ლათინურამერიკული „ახალი რომანის“ აღიარებული ოსტატის, კუბელი მწერლის ალეხო კარკენტიერის (1904-1980) შემოქმედება მთელ მსოფლიოშია ცნობილი. მისი რომანები და მოთხრობები მრავალ ენაზეა თარგმნილი.

მწერლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომანია „განმანათლებელი საუკუნე“ პირველად 1962 წელს მექსიკაში გამოქვეყნდა, მინიჭებული აქვს სერვანტესის პრემია.

„განმანათლებელი საუკუნე“ ისტორიული რომანია, ეხება საფრანგეთის 1793 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეების, რთული საგანმანათლებლო ფილოსოფიისა და პოლიტიკურ ვნებათა გავრცელებას ლათინურ ამერიკაში.

რომანის მთავარი გმირების ბედით ალეგორიულადაა გამოხატული ჰვეყნების — ევროპისა და ლათინური ამერიკის ბედი. ვიქტორ იუგი (ევროპა) XVIII-XIX საუკუნეების პოლიტიკური მოღვაწე, კონვენტის კომისარი სამხრეთ ამერიკაში საფრანგეთის კოლონიების შენარჩუნებასა და იქ რევოლუციის გავრცელებას ცდილობს ჭარბით, სტამბითა და... გილოტინით, რაც ყოველდღიური ყოფის ნაწილად აქცია; სოფია (ლათინური ამერია) ეძებს თავის ისტორიულ გზას და ევროპული კულტურის ტრაგიდიებთან ზიარებასა და საგანმანათლებლო იდეების აღიარებამდე მიდის.

„შეიძლება მკითხვით, რატომ მიემართე ასეთ შორეულ წარსულს, — წერს ავტორი, — მიემართე იმიტომ, რომ დაწერილებით შევისწავლე XVIII საუკუნის დასასრულის ზნე-ჩვეულება, იდეური მიმდინარეობანი, დრო, რომელმაც მოამზადა რომანტიზმი, მე მგონი, დიდი მსგავსება არსებობს იმ ეპოქის პრობლემებსა და ყოველივე იმას შორის, რაც ანტერესებს ჩვენი დროის ადამიანებს“.

მკითხველი ალბათ მართლაც ბევრ საერთოს დაინახავს ჩვენს თანამედროვეობასა და წიგნში აღწერილი XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულის მოვლენებს შორის, რაც სიმბოლური განზოგადების მნიშვნელობას იძენს.

„სიტყვები ამოდ არა ქრებიან“

„ზოჰარი“

მ ლამეს კვლავ დავინახე საზარელი მანქანა. ხომალდის ცხვირზე წამომართული იგი ზესკნელის პირდაღებული კარით ჩანდა. ქარს უკვე ჩვენამდე მოჰქონდა მიწის სურნელი, და ეს სურნელი მოჰყვებოდა უშფოთველ ოკეანეს, რომელიც ისე თანაბრად არწევდა ტალღებს, იტყოდით, საჭეს დამორჩილებული ხომალდი გარინდებულათ თავის მოძრაობაში, გაქვავებულათ ჩვენთან ერთად თითქოს სადღაც ადგილგადასაცვლებულ „გუშინსა“ და „ხვალეს“ შორის. დრო შეჩერებულიყო პოლარულ ვარსკვლავს, დიდ დათვსა და სამხრეთის ჯვარს შორის — თუმცაღა ასტრონომიისა ბევრი არაფერი გამეგება და ნამდვილად არც ვიცი, ასე ჰქვია თუ არა ჩვენ ზემოთ არსებულ იდუმალად მოკიაფე ვარსკვლავებს, ხან რომ ქრებოდნენ, ხან კი არმის ნახტომის ნათელით გაფერმკრთალებული სავსე მთვარის შუქზე კვლავ ციმციმს იწყე-

ბდნენ... უსაგდულო კარი კი ხომალდის ცხვირზე აღმართულიყო. კარს ჰქმნიდა მარტო საყრდენი და დგამი, რომელთა შორის მოჩანდა სანახევროდ ჩამოჭრილი და შეტრიალებული ფრონტონი — ცივი ფოლადისდანიანი შავი სამკუთხედი. იდგა საზარელი ჩონჩხი გაშიშვლებული, შეუბურავი და ადამიანის ძილს ვაფრთხილებასავით დასწოლოდა, რაც თანაბრად გვეხებოდა ყველას. ჩვენ ეს საზარელი მანქანა კიჩოზე დავტოვეთ, დავტოვეთ შორს, შორს ჩრდილფეფისე გპრდქლის ქარების დროს, და აი, ახლა კვლავ აღმართულიყო ჩვენ წინ, გამჭვრად ხმამალდის ცხვირზე. აღმართულიყო, როგორც მეგზური — და თავისი პარალელების წუნდაუდებელი სიზუსტის, თავისი გეომეტრიული ხაზების უღმობელი ერთგულების წყალობით იგი გივანტურ სანავიგაციო მოწყობილობას ჰგავდა. ახლა მის გარშემო უკვე აღარ ფრიალებდა დროშები, აღარ ისმოდა დაფდაფების ბრახუნი და ბრბოს ყვირილი, აღარად უჩნდა იმ ადამიანთა არც მღელვარება არც მრისხანება, არც ცრემლები და არც თაუდავიწყება, ვინც მას ანტიკური ქოროსავით გარემოსავდნენ იქ, როცა ერთ ადგილზე მოქანავე საზიდის ბორბლებს ჭრიალი გაუდიოდა, როცა რიტმულად სცემდნენ დაფდაფებს. ახლა მანქანა, ღამეში გაღებულ კარივით, მარტოდმარტო აღმართულიყო ხომალდის მოჩუქურთმებულ ცხვირზე და მას შუქსა ჰფენდა ფართო, ალმაცერი დანის ათინათი, ხის კარკასს კი თითქოს ჩარჩოში ჩაესვა ეარსკვლავებიანი პანორამა. ტალღები უეცრად ქუნდებოდნენ და იშლებოდნენ, ლოკავდნენ ხომალდის კორპუსს, მერე კიჩოს იქით ერთმანეთს ისეთი ხანგრძლივი და თანაბარი გრგვინვით ეხეთქებოდნენ, რომ ეს გრგვინვა თანდათან დუმილს ემსგავსებოდა, უფრო სწორედ ემსგავსებოდა იმას, რასაც ადამიანი უწოდებს დუმილს, როცა არსაიდან აღარ ესმის საკუთარი მეტყველების დარი ხმები. ეს იყო ცოცხალი, მთრთოლვარე და უშფოთველი დუმილი, რომელიც ჯერ კიდევ არ ქცეულიყო განწირული და შიშისაგან გაოგნებული ადამიანების დუმილად... როცა ალმაცერი დანა უეცრად ზრიალით დაეცა ძირს, და პორიზონტალური ხარიხა გვერდითა დგამზე ზუსტად კარის ზედა წირთხლივით აშკარად გამოიკვეთა, ხელისუფლებით აღჭურვილმა კაცმა, ვისმა ხელმაც აამოქმედა მექანიზმი, კბილებს შორის გამოსცრა: „უნდა გაუფრთხილდეთ, ზღვის მარილმა არ დააზიანოს“, და ავისმომასწავებელ კარს იქვე, მანქანაზე მიგდებული ვეება გასანთლული ტილო გადააფარა. ქარს მიწის სუნი მოჰქონდა — მოჰქონდა სიდაძლის, თავთავისა და ხის ფისის სუნი, მოჰქონდა იმ კუნძულიდან, რომელიც რამდენიმე საუკუნის წინათ მინდობოდა უწმინდეს ქალწულ გვადელუპას მფარველობას: კასერესში (ესტრემადურაში) და ტეპეიაკში (ამერიკაში) თავისი სილუეტის მას მთავარანგელოზის მიერ ზეაპყრობილ ნახევარმთვარეზე აღემაღლებინა.

უკან დარჩენილიყო ახალგაზრდობა თავისი საამური სურათებით, და ისინი ახლა, — სამი წლის შემდეგ — ისევე შორეულად მეჩვენებოდნენ, როგორც ის სუსტი და უსუსური არსება, როგორიც ვიყავი მანამდე, სანამ ერთ საღამოს კარის ჩაქუნის ბრახუნით ჩვენს სახლში უცნობი კაცი შემოვიდოდა. ახლა ასევე შორეულად მეჩვენებოდა დიდი მოვლენების ეს მოწმეც, ოდესღაც მეგზური და გზის მანათობელი რომ მეგონა, სინამდვილეში კი ხელისუფლებით აღჭურვილ პირქუშ ადამიანად ქცეულიყო. იგი ბორტსგადაყრდნობილი მისცემოდა ფიქრებს შალთაგადაფარებული, ტალღათა ტაქტსაყოლილი, ავისმომასწავებელი სასწორის ისარივით მოქანავე შავი სამკუთხედის ახლოს... წყალი დროდადრო ნათდებოდა თევზების ქერცლისა თუ ირგვლივ მცურავ სარგასუმის წყალმცენარეების გვირგვინთა შუქით.

ნაწილი პირველი

I

ანდერძის აღმსრულებელი მის ზურგს უკან შეუსვენებლივ დაპარაკობდა; მწუხარე კილოთი აღწერდა სულისმოსახსენიებელ წირვას, ჰყვებოდა, ვის მიჰქონდა ჯვარი სამგლოვიარო პროცესიაზე, რამდენი შეგვრდილიყო შესაწირავი, იხსენიებდა ტანსაცმელსა და ვეება სანთლებს, ყვავილებს, სუდარას, პანაშვიდსა და რეკვიემს — ერთი დაკრძალვაზე საპარადე მუნდირით მოვიდაო, მეორე ტიროდა, ვილაცამ კი თქვა — მიწა ვართ და მიწად ვიქცევითო, მაგრამ სიკვდილზე ფიქრი, ჩვეულებრივ, მწუხარებას აღარ იწვევდა აქ, ამ ხომალდზე, რომელიც სიცხე-პაპანაქებაში მიაპობდა ტალღებს ყურეში: მზის სხივები ტალღათა ქეჩოზე ბზინაუდნენ, ქაფი და წყლის შხეფები თვალსა გჭრიდნენ, მზე გემის ღია ერდოზეც აცხუნებდა და ტილოს საჩრდილობელშიც ატანდა; თვალეში გაჭყეტდა, სხეულის ფორებში ვიძვრებოდა და აუტანლად ვიწვავდა ფალშბორტზე სიმშვიდის მაძიებელ ხელებს. სახელდახელოდ შეკერილ, ახლადშეღებილ სამგლოვიარო ლაბადიანმა ახალგაზრდა კაცმა თვალი მოავლო ქალაქს; ახლა, როცა მზეზე საგანთა ჩრდილები ძალზე დაგრძელებულიყვნენ, ქალაქი საოცრად დამსგავსებოდა ბაროკოს სტილის ვიგანტურ კანდელაბრს, რომლის მწვანე, წითელი და წარინჯისფერი საკიდრები ნაირფერ ათინათს აფენდნენ უცნაურად აჩხორილ აივნებს, თაღედებს, გუმბათებს, ბელვედერებს და ჟალუზნამოშვებულ ვალერეებს; ეს ქალაქი მას შემდეგ, რაც ევროპის უკანასკნელ ომში გამდიდრებულ მის მოსახლეობას მშენებლობის ციებ-ცხელება შესდგომოდა, ერთიანად აჩხორილიყო ხარაჩოებით და დამშვენებულიყო საზეიმო ანძებითა თუ ლატანებით, რომელთაც კალატოზები მშენებლობის დამთავრების ნიშნად აღმართავდნენ. ქალაქში მუდამ თავისუფლად დანავარდობდა ქარი, ზღვიდან იქნებოდა თუ ხმელეთიდან — ნიავის დაქროლებისთანავე უმაღ იღებოდა ყველა დარაბა, ჟალუზი, ფანჯრებისა თუ კარების საკეტები და ფრამუგები, ამ დროს მელოდიურად იწყებდა წკრიალს ჭაღებისა და კანდელაბრების ბროლის საკიდრები, ფერად-ფერადი მინით მოქარგული აბაჟურები, მძივებად ასხმული ფარდები, ხმაურით ტრიალებდნენ მხსნელი ქარის მაუწყებელი ფლიუგერები. უსარგებლონი ხდებოდნენ მსხვილი ფოთლების, ჩინური აბრეშუმისა და ფერადი ქალაღდის მარაოები. ხალხი როგორც კი ცოტა სულს მოითქვამდა, კვლავ უბრუნდებოდა თავის ჩვეულ საქმიანობას — ანიავებდა უზომოდ დაგუბებულ ჰაერს. აქ სინათლე ლამის რიჟრაჟიდანვე იქცეოდა ხოლმე პაპანაქებად, როცა მზის სხივები ატანდა კრეტსაბმელებსა თუ მოსკიტებისაგან დასაცავ ფარდებში და ყველაზე შეულწევად საწოლ ოთახებშიც კი იჭრებოდა; ბოლო ხანებში გადაუღებლად წვიმდა, იმ დღეს კი, შუადღისას მოვარდნილი თავსხმის შემდეგ ელვითა და ჭექა-ქუხილით კოკისპირული წვიმა რომ წამოვიდა, ღრუბლებიდან ტენი ერთბაშად ჩამოიღვარა და ნაწვიმარ ქუჩებს ხელახალი ხვატისაგან ოხშივარი ავარდა, ჰაერი განსაკუთრებით იყო დახუთული. როგორც არ უნდა ეამაყათ სასახლეებს თავიანთი მედიდური კოლონებით და ქვებზე ამოტვიფრული გერბებით, ისინი წვიმიან ამინდში შიგ შუა ტლაპოში იდგნენ და ტალახი მათ კედლებს განუკურნებელი სენივით გასჯდომოდა. საკმარისი იყო კარეტას გაეელო, რომ გუბეებიდან შხეფებად ატყორცნილ წუმპეს ერთიანად ამოესუარა სახლთა გაღავნები და პორტალები; მთელი

ასფალტი და ტროტუარი ორმოებად ქცეულიყო, გუბის წყალს იქაურობა სიმყრალით აეესო. თუმცა შენობები ძვირფასი მარმარილოთი მოეპირკეთებინათ, მოერთოთ ნატიფი ნაძერწებითა და მოზაიკური ორნამენტებით, თუმცა სახლის ფანჯრებზე ისეთი ლამაზი გისოსები იყო აჭედელი, რომ მისი ხვეულები რკინას კი არა, მინაზე ასულ ფერმკრთალ მცენარეს უფრო ჰგავდა, სახლების ირგვლივ მაინც გაუვალი ტალახი იდგა, რაც იუწყებოდა, რომ ოდესღაც აქ ჰქონებოდა წამოვიდოდა თუ არა სახურავიდან წყალი, ჭაობიც უმაღლესი იწყებდნენ დადიან... სამძიმარზე მომსვლელები ალბათ თხრილებზე გადებული ფიცრებით ანდა ქვებიდან ქვებზე ხტუნვით გადმოდიოდნენ, თორემ სხვაგვარად ფეხსაცმელი ტალახში ჩარჩებოდათო, გაიფიქრა კარლოსმა. ქალაქში რამდენიმე დღით მოხვედრილი უცხოელები, რომლებიც მარტო მეჯლისებს, ტავერნებსა და გასართობ ადგილებს ეტანებოდნენ, სადაც ორკესტრები მქუხარე ბგერებს აგებებდნენ გულუბნე მეზღვაურებს, ქალები კი შმაგი მუსიკის ტაქტზე არხევდნენ თეძოებს, ქებით იხსენიებდნენ აქაურობის სილამაზესა და გადამდებ მზიარულებას, ისინი კი, ვისაც აქ ერთი წელი მაინც ეცხოვრათ, უკვე კარგად იცნობდნენ მტკრიანსა და ტალახიან ქუჩებს, იცნობდნენ აქაურ გვარჯილასაც, მწვანედ რომ ფარავდა კარის ჩაქუჩებს, აჟანგებდა რკინას, ბურავდა ვერცხლეულობას, სოკოს უჩენდა ძველ გრავიურებს, გამუდმებით ორთქლავდა ნახატებისა და ოფორტების მინას და სინესტისაგან დააფრაკებულ გამოსახულებებს რიდუჩამოფარებულებს ამგვანებდა. წმინდა ფრანცისკის სანაპიროს მახლობლად ის-ის იყო ნაპირს მოადგა ჩრდილოეთ ამერიკის ხომალდი და კარლოსმა ანგარიშშიუცემლად დამარცვლით წაიკითხა მისი სახელწოდება: „ეროუ“*. ანდერძის აღმსრულებელი კი კვლავ აღწერდა დაკრძალვის ცერემონიას, რასაკვირველია, უჩვეულოდ მდიდრულს, — ასედაც უნდა იყოს, როცა უკანასკნელ გზაზე აცილებენ ეგოდენ ღირსპატივისცემ ადამიანს; აღწერდა რამდენნი იყვნენ ჯერ მარტო სამოსსაცავისა და მონასტრის მსახურები, რა მდიდრულად იყვნენ შემოსილი მღვდლები, რა დიდებულად ჩაეველო ყველაფერს! მთელი ფირმის მოსამსახურეები მამაკაცურ ძუნწ ცრემლებს ყლაპავდნენ, შესანდობარი ფსალმუნებიდან მოკიდებული მიცვალებულთა მოხსენიებამდე სულ ტიროდნენო... ახალგაზრდა კაცს თითქოს არ ესმოდა ეს სიტყვები, ერთობ გულდაწყვეტილი და დაქანცული ჩანდა, რადგან რიჟრაჟიდან მოკიდებული ცხენით ევლო. მიდიოდა ხან შარა გზაზე, ხან ლამის უსასრულო, ოკრობოკრო ბილიკებით, მაგრამ მამულამდე ჯერ არც ჩაეღწია, სადაც მარტოობა დამოუკიდებლობის რაღაც ილუზიას უქმნიდა — იქ მოცახცახე სანთლის შუქზე, ვინმეს შეუწუხებლად, მთელი ღამე შეეძლო დაეკრა სონეტები — რომ გზაშივე დააწიეს სამწუხარო ამბავი და უკან, შინამდე სულ ჭენებ-ჭენებით დაბრუნდა. როგორღა არ იჩქარა, მაგრამ დაკრძალვას მაინც ვერ ჩამოუსწრო.

— არ მინდოდა ჩემი მოსაყოლი გამხდარიყო ეს სამწუხარო ამბავი, მაგრამ მეტს ვეღარ მოვიცდიდით, — თქვა ანდერძის აღმსრულებელმა, — უკანასკნელ ღამეს მარტო მე და სოფია, ეს წმინდა ქმნილება დავრჩით კუბოსთან.

კარლოსი გლოვაზე ფიქრმა წაიღო: ამ გლოვის გამო საუკეთესო ინსტრუმენტების ქვეყნიდან საგანგებოდ ჩამოტანილ მის ახალთახალ ფლეიტას მთელ წელიწადს შავი მუშამბის ფუტლიარში დება ელოდა, რადგან ანგარიში უნდა გაეწია საზოგადოებაში დამკვიდრებული ადათისათვის, სულელური ჩვეულები-

* „ისარი“ (ინგლ).

სთვის — თითქოსდა სახლში, სადაც მწუხარებაა დასადგურებული, არ შეიძლება ეღერდეს მუსიკა. მამის სიკვდილმა აუკრძალა ყველაფერი, რაც უყვარდა. დაურღვია გვეგები, აიძულა გამოსთხოვებოდა სანუკვარ ოცნებებს. დღეის ამას იქით მხოლოდ სავაჭრო ფირმის საქმეებს უნდა გადაჰყვებოდა, მას კი ციფრებისა არაფერი გაეგება! შავ კოსტუმში გამოწყობილი დილიდან საღამომდე კანტორას უნდა მიეჯაჭვოს, მიეჯაჭვოს მელნით მოთხუპნული მუხარგანებისა და ნოქრების საზოგადოებას, ამ უსიცოცხლო ადამიანებს, რომლებსაც ციფრების სიბრტყის არაფერი აქვთ სათქმელი, ვინაიდან მეზობელზე ისედაც ყველამ მშვენიერად იცის ყველაფერი... ახალგაზრდა კაცი ჩუმად დასტიროდა ბედს და თავის თავს აღუთქვა, პირველსავე მარჯვე შემთხვევაში რომელიმე ხელსაყრელი ხომალდით გაქცეულიყო აქედან ისე, რომ არც არავინ გაეფრთხილებინა და არც არავის დამშვიდობებოდა, მაგრამ ხომალდი ამჯერად ნაპირს მიაღგა, სადაც მათ რემიზით უცდიდა. ის ნაღვლიანად გამოიფურებოდა, შლაპაზე სამგლოვიარო კოკარდა ეკეთა. ეკიპაჟი მარჯვნივ თუ მარცხნივ გუნდ-გუნდი ტალახის სროლით მიუყვებოდა ქალაქის ქუჩებს და უკან იტოვებდა ზღვის სუნს — რასაც ენაცვლებოდა სულ სხვა სუნი; ეს სუნი მოდიოდა ტყავით, შაშხით, სანთლის კვერეულებით, ბადაგით სავსე პატარა კასრებითა და ბნელ კუთხეში მიყრილი, გაღვივებული ხახვის გალებით გატენილი ვეება საწყობებიდან, ეს იყო აგრეთვე სასწორზე დახვავებული კაკაოსა და ყავის სუნი. ირგვლივ ზანზალაკების წკარუნი იდგა, რაც მოწველილი ძროხების ქალაქგარეთა სამოურებზე გარეკვას იუწყებოდა. ახლა, მზის ჩასვენების წინ, როდესაც ზეცა თითქოსდა მზად იყო, რამდენიმე წუთით კვლავ აბრიალებულიყო, მერე კი მიხებებოდა სწრაფად ჩამომდგარი ბინდის ტყვეობას, ყველაფერს უჩვეულოდ მძაფრი სუნი ჰქონდა: მბუჭტავ შეშას, ძროხებისაგან აზელილ ნეხვს, საჩრდილობელთა ნესტიან ტილოს, სარაჯების ტყავს და ფანჯრებზე გადმოკიდებულ გალიებში გამომწყვდეულ იადონთა თესლს. წვიმიან სახურავებს თიხის სუნი ასდიოდა, სველ კედლებს — ძველი ხავსისა; ქუჩის მეწვრილმანეთა ფარდულებიდან გზაჯვარედინამდე აღწევდა საჭმელი ზეთის სუნი, რომელშიც ხორცი და ბოსტნეული დუღდა. ყავის მოსახალი ღუმელებიდან თუ მაყლებიდან კუნძულზე ბოლქ-ბოლქვად ამოსული შავი კვამლი უმაღლეს ეცემოდა მკაცრ ლავგარდანებს, მიძვრებოდა სახურავებზე, თბილი ღრუბლით გარემოსავდა სამრეკლოებზე რომელიმე წმინდანის ქანდაკებას და მერე ნელ-ნელა იფანტებოდა. მაგრამ, უეჭველია, ყველაზე მკვეთრი სუნი შაშხს ჰქონდა. ყველა სარდაფსა და საწყობში მისი მძაფრი სუნი იდგა. იგი სჯაბნიდა ყველა დანარჩენ ქალაქურ არომატს, მისით გავსებულიყო სასახლეები, გაფლენილიყო ფარდები, შეეღწია იმ დარბაზშიც კი, სადაც იმართებოდა საოპერო წარმოდგენები. და ეცილებოდა ეკლესიათა საკმევლის სუნს. შაშხი, ტალახი, და ბუზი ნამდვილი უბედურება იყო ამ ქალაქისა, სადაც დედამიწის ყველა ქვეყნიდან შემოდინდნენ ხომალდები, მაგრამ სადაც, კარლოსის ვარაუდით, თავს კარგად მხოლოდ წითელი თიხის გათხუპნულ კვარცხლბეკებზე მდგარი ქანდაკებები გრძნობდნენ. ანაზღუელად, ყველგანშემღწევი შაშხის სუნის დამორგუნველად სადღაც ჩიხიდან გამოაღწევდა ფარდულებში დასტა-დასტად დალაგებული, პალმის ბოჭკოს თოკებით შეკრული თამბაქოს კეთილშობილური სურნელება. სქელსა და ჯერ კიდევ ცოცხალ ფოთლებს ნაჭდევებივით აჩნდა ღია ოქროსფერი ლაქები, თამბაქოს დასტათა გარშემო და ლამის მათ შუაშიც კი ისევ შაშხი ელაგა ზვინებად. კარლოსმა, როგორც იქნა, ნეტარებით შეისუნთქა თამბაქოს სასიამოვნო სურნელება. მაგრამ ახლა უკვე მაყალზე მოხალული ყავის კვამლი

გამოიზღაზნა სამლოცველოდან, და იგი კვლავ სასოწარკვეთილი მოჰყვა ფიქრს იმ უსიხარულო ცხოვრებაზე, რომელიც დღეის ამას იქით ელოდა, ფიქრობდა იმაზე, რომ ფლეიტა ღუმლისათვის იქნებოდა განწირული, თვითონ მას უნდა გეზოვრა ზღვებს შორის მიკარგულ ამ ქალაქში, კუნძულებს შორის მოქცეულ კუნძულზე, რომლის ირგვლივ გადაულახავ ბარიერად შემორტყმული ოკეანის ტალღები არსად წასვლის გასაქანს არ მისცემდა; კარლოსს ეჩვენებოდა, რომ ხუნიცოცხლად დაემარხათ და სამუდამოდ ჰქონდა მისჯილი ესუნთქა შაშხინს, ხახვისა და წათხის გულისამრევი სუნი; მას მსხვერპლად შეწირული ეჩვენებოდა თავი და ასაყვედურებდა მამას — რა მკრეხელობაა! — რომ ასე მოულოდნელად და უდროოდ მოკვდა. ამ წუთში ახალგაზრდა კაცმა მანამდე მისთვის უჩვეულო ტკივილით შეიგრძნო, რომ კუნძული შეიძლება ციხედ ჰქცეოდა: აგი ისეთ ქვეყანაში იმყოფებოდა, საიდანაც სხვა ქვეყნებში არ მიდის გზები, გზები, რომლებზეც, მხოლოდ საკუთარ გუნება-განწყობას დამორჩილებული, შეძლებდა ეტლით სეირნობას თუ ცხენით ჭენებას, ფეხით ხეტიალს, საზღვრების გადალახვას, ხან ერთსა და ხან მეორე სასტუმროში ღამის გათევას, გამუდმებით წინ სიარულს, გზაზე აყუდებული მთებით დატკობას, ხვალ კი, სხვა მთების ცქერაში, ძველის უგულისყუროდ გახსენებას, შეძლებდა ჯერ კიდევ გუშინ უცხო ქალაქში გაცნობილი მსახიობი ქალის კვალზე გაკიდებას და რამდენიმე თვე მის კუდში დევნას, მისი მონაწილეობით ყველა წარმოდგენაზე დასწრებას, მსახიობთა დაუდგრომლობით სავსე ცხოვრების გაზიარებას... კუთხეში მოტრიალებულმა ეტლმა იქვე, ნიშში მდგარ, ზღვის მარილისაგან შეჭმულ ჯვარს ჩაუარა და ღურსმნით მოჭედულ სადარბაზო კართან გაჩერდა, კართან შავლენტიანი ჩაქუჩი ეკიდა, შესასვლელის, პატიოსა და დახურული დერეფნის ფილაქანი გვირგვინებსა და თავიგულებიდან ჩამოცვივნილი ჟასმინებით, ტუბეროზებით, თეთრი მიხაკებითა და უკვდავათი იყო მოფენილი. დიდ სასტუმრო ოთახში სოფია ელოდა. ის გამხდარიყო, თვალის უპეები ჩაშაკებოდა; ეცვა ძალზე განიერი და გრძელი სამგლოვიარო კაბა, — ისე გამოიყურებოდა, თითქოს ფუტლარი შემოეცვათ; ირგვლივ წმინდა კლარას ორდენის მონაზვნები დაფუსფუსებდნენ, ჭურჭელში წყალგარეულ ბადაგს, თურიხჯის ესენციას და ლაბს ასხამდნენ, შიგ სასუნებელ მარილს ჰყრიდნენ და თავიანთი დაუღალავი საქმიანობით ახლადმოსულთა ყურადღების მიქცევას ღამობდნენ. ყველა ერთად ლაპარაკობდა, სააქაოში დარჩენილებს გამძლეობისკენ, მორჩილებისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდებდნენ, მაშინ, როცა სხვები უკვე ზიარებოდნენ სამოთხის ცხოვრებას, — გაუმტყუნარსა და მარადიულს.

— დღეის შემდეგ მამობას მე გაგიწევთ, — ტირილნარევი კილოთი თქვა კუთხეში, საგვარეულო სურათების ქვეშ მდგარმა ანდერძის აღმსრულებელმა.

სული წმინდის მონასტრის სამრეკლოზე ზარს შვიდჯერ ჩამოჰკრეს. სოფიამ დამშვიდობების ნიშნად ხელი ასწია, გარეშენი მიუხვდნენ და მწუხარე სახით მიაშურეს გასასვლელს.

— თუ რაიმე დაგჭირდეთ... — თქვა დონ კოსმემ.
 — თუ რაიმე დაგჭირდეთ... — ერთხმად გაიმეორეს მონაზვნებმა.

შემოსასვლელი კარის ყველა ურდული დაიკეტა. კარლოსმა და სოფიამ გაიარეს პატიო, სადაც მალანგის გარემოცვაში პალმის ორი ძრო ყოველგვარი არქიტექტურული ანსამბლისათვის უცხო სვეტებით აღმართულიყო, — მათი გვირგვინები ჩამოწოლილ ბინდბუნდს შენივთოდა, — და საჯინიბოს გვერდით

მდებარე მთელ სახლში ლამის ყველაზე ნესტიანსა და ბნელ ოთახს მიაშურეს; ესტებანს ზოგჯერ, როცა ავადმყოფობის შემოტევა არ აწუხებდა, მთელი დამე სწორედ ამ ოთახში ეძინა.

ახლა კი იგი რკინის გისოს ჩამოჰკიდებოდა, სახე ფანჯრისთვის მიებჯინა — არაადამიანური დაძაბულობისაგან დაძაგრული ჯვარცმულსა ჰგავდა; ლამის შიშველს, შალი მარტო თეძოებზე ჰქონდა შემოკრული, რომლის ზემოთ აშკარად გამოსჩროდა ნეკნები. მისი მკერდიდან აღმომხდარი ხრიხიანი, გაორებული სტვენა ლამის კენესაში გადადიოდა. მოცახცახე ხელებს გისოსებზე აფათურებდა, — ეტყობა, უფრო ძალდა ეძებდა ხელჩასაჭიდებელ რკინას, იისფერი ვენებით დასერილი ავადმყოფი სხეული თითქოს უარესად დაჭიმვას, კიდევ უფრო მეტად გაწელვას ცდილობდა. სოფიამ, ავადმყოფობას ვერც მიქსტურებით რომ შველოდა და ვერც მდოგვის საფენებით, ტკივილისაგან გატანჯულს შუბლსა და ლოყებზე სველი ტილო მოუსვა, იმავე წამს თითები რკინას შეეშვნენ, გისოსებზე ჩამოცურდნენ და ძმისა და დისაგან ხელშეშველებული ესტებანი — ეს გარდამოხსნის სცენას ჰგავდა — დაწულ სავარძელზე დაეცა. ფართოდ გაღებულ, დანისლული თვალებით პირდაპირ იყურებოდა; და თუმცა დაშტერებული ჩანდა მისი მხერა, ყმაწვილი კაცი ვერაფერს ხედავდა. ფრჩხილები თანდათან გაულურჯდა, თავი მხრებში ჩაუვარდა, მუხლები აქეთ-იქით გადაეფარჩხა, იდაყვები წინ წამოეშვირა, სახესა და სხეულზე ცვილის სანთლის ფერი დაეღო და ძველი პრიმიტივისტების ხორცის მოკვდინებით საზარლად სახეშეშლილ ასკეტს დაემსგავსა.

— ყველაფერი წყეული საკმევლის ბრალია, — აღმოხდა სოფიას, როცა ესტებანის სკამზე მიყრილ სამგლოვიარო ტანსაცმელს დაყნოსა, — ეკლესიაშივე შევაძინე, როგორ ეხუთებოდა სული.

ის უცებ გაჩუმდა, გაახსენდა, რომ საკმეველი, რომლის სუნსაც ევნო ავადმყოფისთვის, იწვოდა იმ ადამიანის დასაფლავებაზე, ვინც ტაძრის მღვდელმა დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში მოსიყვარულე მამად, სიკეთის ნიმუშად და სამაგალითო მეოჯახედ მოიხსენია. ესტებანი ამასობაში ორივე ხელით კედელზე მიჭედელ თონის მსხვილ რგოლზე გამობმულ, თოკივით დაგრებილ ზეწარს ჩაებლაუჯა. ჭაბუკი განსაკუთრებით სუსტი და საცოდავი ჩანდა იმ საგნების გარემოცვაში, რითაც სოფია ავადმყოფობის შემოტევისას, ჯერ კიდევ ბავშვობიდან ცდილობდა ძმის ვართობას. აქ იყო: მუსიკალური ყუთი, ზედ მწყემსი რომ წამოსკუპებულყო, მოსამართგატეხილი მაიმუნების ორკესტრი, ჭერზე ჩამოკიდებული ჰაერნაოსნებიანი ბურთი — თოკის დაჭიმვით იგი შეიძლებოდა ძალდაც აგეწიათ და ძირსაც დაგეშვათ; აქ იყო საათი, საიდანაც დროდადრო გადმოხტებოდა ხოლმე ბაყაყი და ცეკვაავდა ბრინჯაოს ქვესადგამზე; თოჯინების თეატრი, რომლის დეკორაცია წარმოსახავდა ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურს, თეატრის სცენაზე მონაცვლეობით გორაობდნენ თურქები, ჟანდარმები, მოსამსახურეები და წვერიანი მოხუცები — ერთ მათგანს თავი გვერდზე მოღრეცოდა, მეორეს ტარაკანებისაგან პარიკი აბურძგნოდა, შარიან ჯამბაზს კი ნესტოებიდან და თვალებიდან ნახერხი სცვიოდა.

— მონასტერში აღარ დავბრუნდები, ჩემი ადგილი აქაა, — განაცხადა სოფიამ, ქვედა კაბა გაისწორა და მუხლებზე ესტებანის თავი დაისვენა, რომელიც ნელ-ნელა იატაკისკენ მიიწევდა, რათა გახურებული შუბლი ცივი ფილაქნით გაეგრილებინა.

II

მამის სიკვდილმა, რასაკვირველია, შვილები ძალიან დაამწუხრა, მაგრამ, როდესაც მარტონი დარჩნენ მზით გაჩახჩახებულ გრძელ სასადილოში, სადაც კელლებზე ეკიდა ლაქით დაფარული ნატურმორტები — ყურძენშემოწობილი ხობები, კურდღლები, სალამურა, ღვინის ბოთლები და მადის აღმშენებელი რაწული ღვეზელი — მათ რაღაცნაირი შინაგანი ძრწოლვით შეიგრძნეს თავისუფლების თითქმის სასიამოვნო განცდა და მეზობელი სასტუმროდან მოტანილ სადილს შეექცნენ, რადგან არც ერთს ფიქრადაც არ მოსვლია მოახლის ბაზარში გაგზავნა. რემიხიომ ხელსახოცგადაფარებული ლანგრები შემოიტანა, რომლებზეც ელაგა შამფურზე შემწვარი მტრედები, მარციპანი,¹ ტრიუფელიანი ნუგბარი საჭმელები და დაშაქრული ხილი. ეს სულაც არ ჰგავდა არც სამარხვო სუპს და არც ღორის ქონით დატენილ ხორცს, რაც ჩვეულებისამებრ ყოველდღიურად მოჰქონდათ ხოლმე მაგიდაზე... თავისი ოთახიდან ხალათით ჩამოსულმა და ჩვეულ საფიქრალს მოშორებულმა სოფიამ სათითაოდ ყველაფერს გაუსინჯა გემო, სააქაოსკენ მობრუნებული ესტებანი კი კარლოსის მიერ თავგამოდებით ნაქებ წითელ ღვინოს აჭაშნიკებდა. ადრე ახალგაზრდები ისე უყურებდნენ სახლს, როგორც რაიმე ჩვეულებრივს — ერთდროულად ნაცნობსაც და უცხოსაც — ახლა კი, როცა პასუხისმგებლობას გრძნობდნენ მისი დაცვისა და თადარიგანობის გამო, სახლს მათ თვალში უდიდესი მნიშვნელობა შეეძინა, თითქოს უამრავ რაღაცას მოითხოვდა. აშკარა იყო, საქმეებით ყელამდე სავსე მამა, კვირაობით, მესას წინაც კი პორტში რომ მიიჩქაროდა სავაჭრო გარიგებების დასადებად, რათა დაესწრო სხვა ვაჭრებისთვის, რომლებიც მხოლოდ ორშაბათს ინებებდნენ მობრძანებას ხომალდით ჩამოტანილი საქონლის მისაღებად, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა დედის მიერ ადრევე მიტოვებულ სახლს. დედა ქალაქში თავდატეხილი ინფლუენციის საზარელ ეპიდემიას ემსხვერპლნა. პატიოში ქვის ფილები ამოცვივნილიყო; ქანდაკებებს მტკერი დასდებოდა; ქუჩიდან ტალახი ლამის წინკარშიც აღწევდა. სულ სხვადასხვა ფერის ნივთებისაგან აჭრელებული სასტუმრო და საძინებელი ოთახების მოწყობილობა საჯაროდ გაყიდულ ავეჯს უფრო ჰგავდა, ვიდრე დარბაისლური საცხოვრებელი ბინის მორთულობას. მუნჯი დელფინების აუზი კარგა ხანია უმოქმედოდ იყო, შიგნითა კარებს მინები აკლდა. მართალია, სინესტისაგან ჩამუქებულ იაქთალებში რამდენიმე სურათი ეკიდა, მაგრამ სავსებით არეული იყო სიუჟეტები და სტილი, რადგან სურათები აქ შემთხვევით, აუქციონზე გაყიდული კოლექციებიდან მოხვედრილიყო. თუმცა, შესაძლოა, ამ სურათებსაც ჰქონდა გარკვეული ღირებულება, იქნებ ისინი შეასლევებს კი არა, ოსტატთა ყალამსაც ეკუთვნოდა; მაგრამ ყოველივე ამის აქ, ამ სავაჭრო ქალაქში დადგენა შეუძლებელი გახლდათ, ვინაიდან არავინ იყო ისეთი მცოდნე, რომელიც დაუდევარი მოპყრობისაგან ჩამუქებული და დაბზარული ტილოების ნახვისას შეძლებდა ახალი ფერმწერის ღირსების შეფასებას ანდა წარსულის დიდ მხატვართა ხელწერის შეცნობას. „ყრმათა გაჟლეტისა“ და „წმინდა დიონისესათვის თავის წარკვეთის“ გვერდით, რომლებიდანაც ერთი შეიძლება ბერუგეტეს² რომელიმე მოწაფეს ეკუთვნოდა, მეორე კი რიბერას³ მიმდევარს, ეკიდა მზით გაჩახჩახებული ბაღი ნიღბიანი ონავარი არღეკინებით. ამ ტილოს აღტაცებაში მოჰყავდა სოფია, მიუხედავად იმისა, რომ, კარლოსის თქმით, საუკუნის დასაწყისის მხატვრები არღეკინის ფიგურას ბოროტად იყენებდნენ საკუთარი სიამოვნებისთვის, რასაც მათ ფერთა თამაში ანიჭებდა. თვითონ

კარლოსი უპირატესობას ცხოვრებიდან აღებულ სიუჟეტებს ანიჭებდა — მკა იქნებოდა თუ რთველი, თუმცა აღიარებდა, რომ წინკარში დაკიდებულ ბევრ ნატურმორტს — რომლებზედაც შეიძლება გეხილათ თენჯერი, ყალიონი, ხილით სავსე ლარნაკი, ნოტების გვერდით დადებული კლარნეტი — არ აკლდა თავისებური მშვენიერება, რაც, უპირველესად, მათი ფაქტურის წყალობა იყო. ესტებანს კი ფერწერაში მხოლოდ მხატვრული წარმოსახვით, ფანტაზიით შექმნილი მოსწონდა; ის მოჯადოებულებით იდგა არარეალური არსებებითა და ხლანძრული რამეებით გატაცებულ თანამედროვე მხატვართა ტილოების წინ, სადაც დარღვეული იყო ბუნების ყოველგვარი კანონი: ხანდახან ეს იყო ადამიანი-ხე, თითები ყლორტებად რომ ჰქცეოდა, ზოგჯერ კი მუცლიდან ცარიელ ყუთებგამოჩრილი ადამიანი-კარადა... მაგრამ მისი ყველაზე საყვარელი სურათი იყო დიდი ნეაპოლური ტილო — უცნობი მხატვრის ნამუშევარი, რომელიც, პლასტიკის ყველა კანონის უარყოფით, წარმოსახავდა კატასტროფის აპოკალიფსურ ხილვებს, და ერქვა „აფეთქება კათედრალურ ტაძარში“. მხატვარს ჰაერში აეტყორცნა კოლონადა, მაგრამ იგი ნამსხვრევებად როდი იყო მიმოფანტული, კოლონადას ძველებური მოხაზულობა შეენარჩუნებინა და გვეგონებოდათ, ჰაერში იმიტომ დაცურავდა, რომ წუთის შემდეგ მიწას დანარცხებოდა და მძიმე ქვის ლოდები შიშისაგან დაფეთებულ ადამიანებს დასტყდომოდათ თავს („ვერ გამიგია, როგორ უნდა უყურებდე ამისთანა საშინელებას“, ხშირად ეუბნებოდა ხოლმე სოფია ესტებანს. თუმცა სინამდვილეში მასაც ხიბლავდა ეს თითქოსდა, უმოქმედო მიწისძვრა, დამუნჯებული საშინელებანი, ქვეყნიერების აღსასრულის სიმბოლო, დამოკლეს მახვილივით თავზემით აღმართული. „ეს მშველის, რათა შევემზადო“, — პასუხობდა ესტებანი, იმ უნებური ახირებული სიჯიუტით, რაც ადამიანს უბიძგებს, ერთსა და იმავე გარემოებაში ნიადაგ იმეორებდეს არცთუ მოსწრებულ ენამახვილობას, რაც სასაცილო სულაც არ არის, და არც არავის აცინებს. კიდევ კარგი, რომ იქვე ეკიდა რომელიღაც ფრანგი მხატვრის ტილო, მხატვარს უკაცრიელი მოედნის შუა აღმართა თაღედებით, ობელისკებითა და მოხატული კამარებით დამშვენებული, აზიურ-რომაული ტაძრის მსგავსი რაღაც მონუმენტი და ამ თავისი ფანტაზიის ნაყოფით შედარებით სიმშვიდე შემოჰქონდა, სულში გაუტეხელობის გრძნობას ასადგურებდა, რაც ასე აუცილებელია ტრაგიკულ უბედურებათა ჭვრეტის შემდეგ. გვერდით სასადილო ოთახი იყო. ოთახის კედლებზე ნატურმორტები ეკიდა; ავეჯი ცოტა იდგა: ტერმიტებს გადარჩენილი ჭურჭლის ორი ვეება ბუფეტი, რვა რბილი სკამი და დიდი გრეხილფეხებიანი სასადილო მაგიდა. რაც შეეხება დანარჩენ მოწყობილობას, სოფიამ შეუვალად განაცხადა: „ძველმანებია, ბაზარზეა მაგათი ადგილი!“, ამასთან, ქალიშვილი თავის ვიწრო, წითელი ხის საწოლზეც ფიქრობდა, მის ნაცვლად მუდამ ოცნებობდა ფართო სარეცელზე, რათა მშვიდად ენებიერა, თავისუფლად გაშხვართულიყო, ან მოკუნტულიყო, ისე, როგორც მოეგუნებებოდა. სოფლელ წინაპართა ადათების ჯიუტად დამცველ მამას ყოველთვის მეორე სართულზე ჯვარცმის ქვეშ ეძინა სალაშქრო საწოლზე; საწოლს ერთ მხარეს კაკლის ხის ზანდუკი ედგა, მეორე მხარეს — ვერცხლის მექსიკური ღამის ქოთანი, რომელსაც სახლის პატრონი დილ-დილობით საკუთარი ხელით, მთესველის მედიდური ყესტით საჯინბოში ცხენების შარდის სადინარ ორმოში ღვრიდა ხოლმე.

— ჩემი წინაპრები ესტრემადურელთა¹ შთამომავალნი არიან, — წარმოთქვამდა ისეთი რიხით, თითქოს ამით ყველაფერს ამბობდა, თანაც შემთხვევას არ გაუშვებდა არ წაეტრაბახა თავისი ცხოვრების მკაცრი წესის გამო, იმის გამო,

რომ არასოდეს არ ევლო მეჯლისებზე და ხელები არ ეკოცნა მანდილოსნებისთვის.

ცოლის სიკვდილის შემდეგ სულ დათაღხული დადიოდა, შავები ეცვა იმ დღესაც, როცა კანტორაში აპოპლექსური დამბლა დაეცა. მოხუცი რაღაც ქარადღებს აწერდა ხელს და უცებ კალმის სველ ნაკვალევს დაემხო სახით. დონ კობაქაძისი უსიცოცხლო სხეული საძინებელ ოთახში გადაიტანა. მიცვალებულს შეენარჩუნებინა იმ ადამიანის მკაცრი და გულგრილი გამომეტყველებები, რომლებსაც არასოდეს არავისთვის არ მოუმართავს ხელი, მაგრამ არც თვითონ უთხოვნი ვინმესთვის დახმარება. უკანასკნელ წლებში სოფია მამას იშვიათად, მხოლოდ კვირაობით, სადილობისას ნახულობდა, როცა ნებას როავდნენ, რამდენიმე საათით დაეტოვებინა წმინდა კლარას მონასტერი. რაც შეეხება კარლოსს, სკოლის დამთავრების შემდეგ მამა მას მუდამ აგზავნიდა თავის მამულში, სადაც შეიღს თესვის დაწყების, მარგულისა თუ მოსავლის აღების განკარგულებანი უნდა ჩაეტანა — თუმცა განკარგულებები ფოსტითაც მშვენივრად შეეძლო გაეგზავნა, მით უფრო, მიწა ცოტა ჰქონდათ, სადაც უმთავრესად შაქრის ლერწამი მოჰყავდათ.

— ცხენით ორმოცი ლიგა მარტო იმისთვის გავიარე, რომ შინ ათიოდე კომბოსტოს თავი მომეტანა, — იტყოდა ხოლმე სოფელში მორიგი მოგზაურობიდან დაბრუნებული ახალგაზრდა კაცი.

— სწორედ ამგვარად იწრთობა სპარტანული ხასიათი, — პასუხობდა მამა, რომელიც ისევე იოლად ამყარებდა კავშირს სპარტასა და კომბოსტოს თავს შორის, რა სიადვილითაც ხსნიდა სიმონ მოგვის ზეცად ამადლების სასწაულმოქმედ ძალას: მოხუცი აყენებდა თამამ ჰიპოთეზას, მისანს ალბათ ელექტრობისა რაღაც-რაღაცები გაეგებოდაო.

მამა ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა კარლოსის სურვილს, შეესწავლა სამართალი და ამას სჩადიოდა იმ ახალი იდეებისა და სახიფათო პოლიტიკური გატაცებების წინაშე ანგარიშმიუცემელი შიშის გამო, რომლის კერაც, მისი აზრით, უნივერსიტეტის კედლები იყო. ესტებანის ბედი კი ნაკლებად ანაღვლებდა; ბავშვობიდანვე დაობლებული ეს ავადმყოფი ძმისწული სოფიასა და კარლოსთან ძმასავით იზრდებოდა, მათთან ერთად ასმევდნენ და აჭმევდნენ, მაგრამ პატივცემულ კომერსანტს მუდამ აღიზიანებდა სნეული ხალხი, მით უმეტეს თუ ისინი ახლობლები იყვნენ, — ალბათ იმიტომ, რომ თვითონ ჯერ არ იცოდა რა იყო ავადმყოფობა, თუმცა წლების მანძილზე დღე და ღამეს მუშაობაში ასწორებდა. ათასში ერთხელ თუ შეიხედავდა ახალგაზრდა წამებულის ოთახში. შემთხვევით ავადმყოფობის შემოტევას რომ შეესწრებოდა, უკმაყოფილოდ შეჰყრიდა წარბებს და იჭმუხნებოდა. რაღაცას ჩაიბურტყუნებდა სინესტეზე, იმაზე, რომ ზოგიერთებს ახირებული სურვილები აქვთ, ძველი კელტი ბერებზე ურჩევნიათ ბუნაგში ეძინოთო და, ტარპეის კლდეზე⁵ სევდიან ფიქრში გართული, ძმისწულს ჩრდილოეთიდან ახლად ჩამოტანილი ყურძნის გამოგზავნას შეპირდებოდა, მოივონებდა ხეიბრებს, შემდეგში ცნობილ პიროვნებებს, ბოლოს მხრებს აიწურავდა და მიდიოდა, წასვლისას სწრაფად ჩაილაპარაკებდა თანაგრძნობისა თუ გამამხნეველ სიტყვებს, შეპირდებოდა ახალი წამლის შოვნას და ბოდიშს იხდიდა, რომ მეტ მზრუნველობას ვერ იჩენდა იმით მიმართ, ვისაც ავადმყოფობის გამო არ შეეძლოთ სასარგებლო და შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. ახალგაზრდები კარგა ხანს იხდნენ სასადილო ოთახში და ახირე-

ბული თანმიმდევრობით უსინჯავდნენ გემოს ნაირ-ნაირ საჭმელებს; ჯერ ლედ-
 ვით ჩაიტკბანურეს პირი, მერე სარდინით, მარცაპანთან ერთად ზეთის ხილსა და
 პილპილიან ღორის ძეხვს იტენიდნენ პირში; ბოლოს „ბავშვებმა“, როგორც მათ
 ანდერძის აღმასრულებელი ეძახდა, მეზობელ შენობაში გასასვლელი კარი გა-
 ალეს, სადაც მალაზიები და საწყობები იყო: ახლა ისინი გლოვის გამო სამი
 დღით დაეკეტათ. კანტორის მაგიდებისა და ცეცხლგამძლე ყუთების გრძელი
 მწკრივი რომ ჩაათავეს, სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი ჩივილები დალაგე-
 ბული ტომრების, კასრებისა და ბარდანების რიგს მიადგნენ. ფქვილის მწკრივს
 იქით, რომელსაც უცხოური პურის სუნი დაეყენებინა, იწყებოდა ღვინის რივი,
 აქ ინახებოდა ფუნქარალური, ვალდექენიასური და პუენტ-დე-ლა-რეინის ღვი-
 ნოები, თითოეული კასრის ონკანიდან წითელი სითხე წვეთავდა და ირგვლივ
 მარნის სურნელებას აყენებდა. ბადეებისა და ტაკელაჟის მწკრივი ჩაბნელებულ
 კუთხეში მთავრდებოდა, სადაც გამოყვანილი თევზის მკვეთრი სუნი დამდგარიყო
 — თევზებს კუდებიდან წკრიალით ჩამოსდიოდათ პარილწყალი. ახალგაზრდები
 უკან ტყავის რიგით გამობრუნდნენ, საიდანაც სანელებლების მოედანზე აღმოჩნ-
 დნენ, — აქ აუარებელი ყუთები ელაგა და ოდნავ ღრმად რომ ჩაგესუნთქათ, უმაღ-
 იგრძნობდით კოჭას, დაფნის, ზაფრანისა და ვერაკრუსული პილპილის კეთილ
 სურნელებას. ერთმანეთის მომდევნო თაროებზე დალაგებული ლამაზი ყვე-
 ლის კვერეულების მერე იყო ძმრის და მცენარეული ზეთის მარანი, მოშორებით,
 სიღრმეში, თაქებქვეშ ინახებოდა აქაურობისათვის შეუფერებელი საქონელი:
 ერთად დახვავებული ბანქოს დასტები, ფუტლარში ჩაწყობილი საპარსავი მიწ-
 კობილობა, კედელზე დაკიდებული კლიტეების აცმა, მწვანე და წითელი ქოლგე-
 ბი, კაკაოს პატარა საფქვავეები, იქვე გროვად ეწყო მარაკაიბოდან ჩამოტანილი
 პლედეები, რომლებსაც ანდებში ხმარობდნენ, და ჩხირებად დაწნეხილი საღება-
 ვები, მექსიკიდან გამოგზავნილი ოქროსა და ვერცხლის თხელი ფირფიტების
 შეკვრები. ცოტა მოშორებით, ამალღებულ ადგილზე ელაგა ბუმბულის ფუმფუ-
 ლა, ფაფუკი ღოშაკები, რომელსაც კარლოსი მოცურავესავით ზედ პირქვე გა-
 დაემხო. დაბნეულ ესტებანს ძველი არმილარული სფეროს რგოლზე მოუხვდა
 ხელი, სფერო ამოძრავდა და ზღვაოსნობის სიმბოლოსავით ამალღდა. შორეული
 თუ ახლობელი ზღვისპირა ქვეყნებიდან ჩამოტანილ ყველა ამ საგანზე მაინც შა-
 შხის გულისამრევი სუნი მბრძანებლობდა. მას აქაც შემოედგნა,
 თუმცა აქ უფრო შეიძლებოდა მისი ატანა, რადგან ხორცი ყველაზე შორეულ
 სარდაფში ინახებოდა. ბოლოს დასრულდა თაფლის მწკრივი და ახალგაზრდები
 კანტორის შენობისაკენ გაემართნენ.

— რა საძაგლობაა, — ჩაიბუტბუტა პირზე ცხვირსახოცაფარებულმა სოფიამ,
 — რა საძაგლობაა!

ლამის ჭერამდე დაწყობილ ქერით სავსე ტომრებზე აჩოჩხილმა კარლოსმა
 თვალი მოაქლო საწყობს და შიშით გაიფიქრა იმ დღეებზე, როდესაც დაიწყებ-
 და ყოველივე ამის გაყიდვას, დაიწყებდა სავაჭრო გარიგებების დადებას, მაშინ
 როცა არც ფასებისა გაეგებოდა რამე და მარცვლულსაც ხეირიანად ვერ არჩე-
 ვდა ერთმანეთისგან; მოუხდებოდა საქმეების არსში ჩაწვდომა, კანტორის მაგი-
 დის უჯრებში ჩალაგებული ათასობით წერილის, ქვითრის, სავაჭრო დაკვეთი-
 სა თუ ხელწერილის გადაფურცვლა. ესტებანს გოგირდის სუნისაგან სული შე-
 ეხუთა, თვალეში სისხლი მოაწვა და ცემინება დაიწყებინა. სოფიას ლამის გუ-
 ლი არეოდა ერთმანეთში არეული ღვინისა და ქაშაყის სუნისგან. ქალიშვილმა

ხელი გაუყარა ბიძაშვილს, რომელსაც ხელახლა ემუქრებოდა შეტევა და აჩქარებული ნაბიჯით გაემართა შინისაკენ, სადაც უკვე უცდიდა წმინდა კლარას მონასტრის წინამძღოლი ქალი სულის საცხონებელი წიგნებით. კარლოსი სულ ბოლოს დაბრუნდა, თან არმილარული სფერო მოიტანა, გადაეწვიტა, თანაც ოთახში დაედგა. სასადილო ოთახის ფანჯრები დაკეტილი იყო, იქაურობა ბინდს მოეცვა, მონაზონი ხმადაბლა ლაპარაკობდა ამ ქვეყნის ცდუნებებზე, უფრო უფრო ეხებოდა და ნეტარ სამონასტრო ცხოვრებაზე, ყმაწვილები კი ამასტრუქავდნენ გლობუსის გარშემო ტროპიკებისა და ეკლიპტიკების ერთმანეთში არეკ-დარეკვით ერთობოდნენ. მზემ უარესად დააცხუნა და სადამოსწინა დახუთულობა აშშ-რებული გუბეებიდან ავარდნილი ერთქლისაგან კიდევ უფრო აუტანელი გახდა. ამ მძიმე ატმოსფეროში დაიწყო ახალგაზრდებისათვის ახალი ცხოვრება. ნავახშმევეს ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ხილისა და ნანადირევ ფრინველთა ნატურმორტების ჩეროში და მოჰყვნენ სამომავლო გეგმების დაწყობას. ანდერძის აღმსრულებელი მათ ურჩევდა გლოვის დღეები მამულში გაეტარებინათ, თან ჰპირდებოდათ, ამასობაში მამათქვენის აბურდულ-დაბურდულ საქმეებსაც ნათელს მოვფენო — რადგანო, ირწმუნებოდა, განსვენებულს წესად ჰქონია სიტყვიერი სავაჭრო გარიგებები, არ უფორმებია არავითარი კონტრაქტები და ყველაფერი სრულ წესრიგში დაგხვდება და თუკი მოისურვებ, შეგეძლება თვითონვე მოჰკიდო ხელი სავაჭრო ფირმის მმართველობასო. მაგრამ სოფიას გაახსენდა, რომ ყოველი ცდა — წაუყვანათ ესტებანი სოფელში, სადაც შეეძლოთ „სუფთა ჰაერი ესუნთქათ“, — მუდამ ავადმყოფობის გართულებით მთავრდებოდა. საბოლოო ჯამში სულის შეხუთვის შემოტევისას ესტებანი ყველაზე ნაკლებად საჯინიბოს გვერდით მდებარე თავის დაბალჭერიან ოთახში ეწამებოდა... შემდეგ მათ მოგზაურობაზე დაიწყეს საუბარი. მეხიკოს ათასობით გუმბათი მაცდუნებლად ანათებდა ყურეს მოპირდაპირე ნაპირიდან. კარლოსს ყველაზე მეტად მაინც შეერთებული შტატები ხიბლავდა თავისი გადასარევი პროგრესით, მას გულით სურდა საკუთარი თვალთ ეხილა ნიუ-იორკის ლექსინგტონის⁵ ბრძოლის ველი და ნიაგარის ჩანჩქერი. ესტებანი პარიზზე ოცნებობდა, ოცნებობდა მისი სურათების გალერეებზე, ყავახანებზე, სადაც ღულდა კამათი, ოცნებობდა საფრანგეთის დედაქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებაზე; იგი სიამოვნებით მოისმენდა „კოლეჯ დე ფრანსის“ კურსს, სადაც ასწავლიდნენ აღმოსავლურ ენებს — მათი ცოდნა ფულის საშოვნელად კი არა, უფრო იმისთვის მიაჩნდა სასარგებლო, რომ შეეძლებდა მისთვის ესოდენ საინტერესო, იმხანად აღმოჩენილი აზიის სხვადასხვა ენაზე დაწერილ ხელნაწერთა ტექსტების წაკითხვას. სოფიას ამასობაში შეეძლო დასწრებოდა ოპერებისა და თეატრ „კომედი ფრანსეზის“ წარმოდგენებს, თეატრის ფოიეებში დამტკბარიყო ისეთი სახელგანთქმული და მშვენიერი ქმნილებით, როგორიცაა ჰუდონის „ვოლტერი“. ისინი ოცნებით მოგოგმანე მტრედებით სავსე წმინდა მარკის მოედნიდან დოღებით სახელგანთქმულ ქალაქ ეპსომში გადადიოდნენ; „სედლერს უელსის“ თეატრიდან — ლუვრის დარბაზებში, სახელგანთქმული წიგნის დუქნებიდან — ცირკში, ნახულობდნენ პალმირასა და პომპეის ნანგრევებს, მზერას იტკბობდნენ მომცროტანიანი ეტრუსკული ცხენებით, აღფრთოვანებულები იყვნენ გრიკ-სტრიტის დარბაზში გამოფენილი ამარტის ლარნაკებით, — მათ ყველაფრის ნახვა სურდათ, მაგრამ საბოლოო არჩევანი ვერაფერზე შეეჩერებინათ. გაღვიძებული ავხორცობის გამო ესტებანი და კარლოსი იდუმალად ფუქსავატური გართობისკენაც ისწრაფვოდნენ, იმედო-

ვნებდნენ, სანამ სოფია საყიდლებს მოითავებს და სიძველის ძეგლებს დაათვალიერებს, სასიყვარულო თავშექცევასაც მოვასწრებთო. საბოლოოდ მაინც არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. და ერთხანს ლოცვის შემდეგ თვალცრემლიანები ეზვეოდნენ ერთიმეორეს, ებრალებოდათ ერთმანეთი, ასე მარტოდმარტო რომ გრძნობდნენ თავს ამქვეყნად, და რომ სიობლეს უარესად განიცდიდნენ ყველაფრის მიმართ განურჩეველსა და უსულგულო, ვაჭრობასა და სისაძაგლეში დანთქმულ ამ ქალაქში, რომლისთვისაც უცხოდ ქცეულიყო, ხელფეხებზე და პოეზია... სიცხისაგან ქანცვაწყვეტილები, ქუჩიდან შემოდნეული შაშხის, ხახვისა და ყავის სუნისგან აფორიაქებულები, ხალათებში გამოწყობილები სახლის ბრტყლად გადახურულ სახურავზე ავიდნენ, თან საბნები და ბალიშები აიტანეს. გულაღმა მწოლიარენი დიდხანს უცქეროდნენ ზეცას და ჩუმად საუბრობდნენ სხვა პლანეტებზე, სადაც, შესაძლოა, — რაღა თქმა უნდა! — იყო სიცოცხლე, ამასთან, ეგებ გაცილებით უკეთესიც, ვიდრე დედამიწაზე, რადგან აქ ყველაფერზე საკვდილი მეუფებს; ბოლოს ვერც მიხვდნენ, ისე შეუმჩნევლად ჩასთვლიმა სამივეს.

III

სოფია გრძნობდა, მონაზვნებს განზრახული ჰქონდათ მისგან უსათუოდ ღვთის მსახური გამოეყვანათ, — ისინი მტკიცედ, მაგრამ აუჩქარებლად, შეუპოვრად, მაგრამ სათნოდ მოქმედებდნენ; ქალიშვილს ბრძოლა მარტო მათთან კი არა, საკუთარ ეჭვებთანაც უხდებოდა, ამიტომაც ისეთი გულმხურვალებით დაიწყო ესტებაზე ზრუნვა და ისე შევიდა დედის როლში, რომ როცა ესტებანს თვითონ არ შეეძლო, დაუფიქრებლად ხდიდა ტანსაცმელს და სველი ტილოთი უზელდა სხეულს. ესტებანს სოფია მუდამ ღვიძლ ძმასავით უყურებდა და მისმა ავადმყოფობამ განუმტკიცა გადაწყვეტილება, უარი არ ეთქვა ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, — მართლაცდა, ძმას ღვთის ანაბარა ხომ არ დატოვებდა! უფრო მეტიც, ისე იქცეოდა, თითქოს ეჭვის თვალთ უყურებდა კარლოსის რკინისებურ ჯანმრთელობასაც და ერთი რომ წამოეხველებინა, მაშინვე ლოგინში აწვენდა და ზედიზედ ასმევდა მაგარ პუნშს, რასაც უმაღლ მოჰყავდა გუნებაზე ყმაწვილი კაცი. ერთ მშვენიერ დღეს კალამმომარჯვებულმა სოფიამ ყველა ოთახი დაიარა — ფეხდაფეხ აღევჩებულ მულატ მოსამსახურეს სამელნე ისე მოჰქონდა, თითქოს წმინდა ზიარება ყოფილიყოს — და უკვე მოძველებული, უსარგებლო ავეჯი აღწერა. მერე გულმოდგინედ შეადგინა სახლის ხეირიანი მოწყობისათვის აუცილებელი საგნების სია და გადასცა ანდერძის აღმსრულებელს, რომელიც ერთგულად თამაშობდა მამობილის როლს და ცდილობდა ობლების უმნიშვნელო სურვილებიც კი აესრულებინა... და აი, შობის წინა დღეებში დაიწყეს ყუთებისა თუ ფუთების მოზიდვა და პირველი სართულის ოთახებში წაღმა-უკულმა დალაგება. ყველაფერი, დიდი სასადილო ოთახიდან მოკიდებული კარეტის ფარდულით დამთავრებული, ავეჯით გაივსო, ნამჯასა და ბურბუშელაში გახვეული, ფიცრებშია მომზირალი გაუხსნელი ავეჯი ელოდა იმ დღეს, როცა ყველაფერს თავ-თავის ადგილს მიუჩენდნენ. მძიმე ბუფეტმა, რომელიც ექვსმა მეზარგულე ზანგმა ძლივს შეათრია, შესასვლელი ჩახერგა, კედელს აკრული ყუთიც, შიგლაქით დაფარული თეჯირი რომ იდო, ისევე ისე იდგა დაღურსმული. არც ნახერხში ჩაწყობილი ჩინური ფინჯნები ამოელაგებინათ შორეული მოგზაურობის შემდეგ. სავარძლებსა თუ პატარა მაგიდებზე კი, რომლებსაც ჯერ კიდევ ასდი-

ოდა საღებავის სუნი, დასტა-დასტა ელაგა წიგნები ახალი იდეებისა და ახალი პოეზიის მოძავალი ბიბლიოთეკისათვის. ბილიარდის მწვანე მაუდი მღელღოსავით გაჭიმულიყო როკოკოს სტილის სარკიდან ინგლისიდან გამოგზავნილ საწერ მაგიდამდე. ერთხელ, ღამით რომელიღაც ყუთიდან გასროლის მსვავსი ხმა გაისმა: ეს სინესტისაგან სიმებდაწვევითი არფის ხმა იყო, რომელიც სოფიას ნეაპოლიტანელი ვაჭრობის აგენტის მეშვეობით დაეკვეთა. მუხობელი მუხობიდან სახლში თაგვები გაჩნდნენ, საჭირო შეიქნა და მოიყვანეს კიდევ კატები; ისინიც შეუბრალებლად კაწრავდნენ წითელი ხის ავეჯის ჩუქურთმებს ძენძავდნენ მარტორქებით, თუთიყუშებითა და ძწევრებით დამშვენებულ გადასაკრავებს. უწესრიგობამ აპოგეას მაშინ მიაღწია, როდესაც ფიზიკის კაბინეტისთვის ხელსაწყოების მოზიდვა დაიწყო. ხელსაწყოები ესტებანმა შეუკვეთა, მას სურდა უსარგებლო სათამაშოები ისეთი საგნებით შეეცვალა, რომლებიც მარტო გასართობად კი არა, გონების გასავარჯიშებლადაც გამოადგებოდა. რაღა არ იყო აქ — ტელესკოპი, ჰიდროსტატური სასწორი, ქარვის ნატეხები, ბუსოლები, მაგნიტები, არქიმედეს ხრახნები, ჯალამბარის მოდელები, შემაერთებული ჭურჭელი, ლეიდენის ქილები, სასწორის ქანქარები და უღლები, მინიატურული ურნალები, რისთვისაც ფაბრიკის პატრონს, სამარაგე ნაწილების უქონლობის გამო, მათემატიკური მეცნიერების უახლესი მიღწევების მიხედვით დამზადებული რამდენიმე საზომი იარაღიც გამოეყოლებინა. და ახალგაზრდები ახლა შუაღამემდე სულ იმას ცდილობდნენ, როგორმე აეწყოთ ყველაზე რთული ხელსაწყოები, საათობით კითხულობდნენ აღწერილობას, თავგზას კარგავდნენ სხვადასხვა თეორიებში, მოუთმენლად ელოდნენ განთიადს, რათა პირადად დარწმუნებულიყვნენ პრიზმის უჩვეულო თვისებებში და ვერ დაემალათ აღფრთოვანება, როცა ხედავდნენ კედელზე ცისარტყელად როგორ აღიბეჭდებოდა პრიზმაში გაღწეული მზის სხივები.

თანდათანობით შეეჩვივნენ ღამ-ღამობით სიფხიზლეს და ეს ესტებანის წყალობა იყო — დღისით მას უკეთ ეძინა და ერჩინა გარიჟრაჟამდე ფეხზე ყოფილიყო, რადგან ადრე თუ დაიძინებდა, ზუსტად მზის ამოსვლის წინ ეწყებოდა სულის ხუთვის ხანგრძლივი და მტანჯველი შემოტევა. მულატი მზარეული როსაურა საღამოს ექვსი საათისათვის უმზადებდა მათ საუზმეს, თან ცივ სადილსაც უტოვებდა, რასაც ახალგაზრდები დილის ექვს საათზე შეექცეოდნენ. სახლში თანდათანობით გამოიკვეთა ყუთებისა და ფუთების რაღაც ლაბირინთი, სადაც, იატაკიდან სხვადასხვა სიმაღლეზე, ყველასა ჰქონდა თავისი კუთხე და თავშესაფარი. შექმლით აქ განმარტოებულიყვნენ, ანდა, პირიქით, თავი მოეყარათ და ემსჯელათ რომელიმე წიგნზე, გაკვირვება გამოეთქვათ უცაბედად, სრულიად მოულოდნელად ამოქმედებულ ფიზიკის ხელსაწყოს მუშაობაზე. სასტუმრო ოთახში რაღაც ციცაბო მთის ბილიკის დარი გზა წარმოიქმნა, იგი იწყებოდა კარადიდან, გადიოდა მეორე, იატაკზე დაწოლილ კარადაზე და ბოლოს სამ, ერთმანეთზე დადგმული ჭურჭლის ყუთამდე აღწევდა. აქედან ქვემოთ ყველაფერი მოჩანდა. შემდეგ უნდა გეფოფხათ „სახიფათო კლდიან ბილიკებზე“, ნარშავის ეკლებიანსა და ლურსმებამოჩრილ ლარტყებზე; ბოლოს მგზავრი ერთიმეორეზე მიდგმულ, გაუხსნელი ავეჯის ცხრა ყუთისაგან გამართულ სწორ მოედანს მიაღწევდა, მაგრამ თავი, კოჭებისთვის რომ არ მიერთყა, ძირს უნდა დაეღუნა.

— რა მშვენიერი ხეღია! — შესძახა სოფიამ, როცა სიცილ-სიცილით ქვედა კაბის კალთა მუხლებთან მოიკრიფა და ძლივძლიობით აბობლდა მაღლა.

კარლოსი ირწმუნებოდა, აქ სხვა, უფრო სახიფათო გზითაც შეიძლება ამ-
ოღწევად, — ამისთვის საჭიროა მოპირდაპირე მხარეს ახორხლილი ყუთების
გროვაზე ასვლა, მათზე მთამსვლელის სიმარჯვით ბლოტება, ბოლოზე კი ქშინვი-
თა და ვაინაჩრობით, კეთილშობილი სენბერნარის დარად, მუცელზე ხოხვაო.

ბილიკებსა და მოედნებზე, მყუდრო კუთხეში თუ ყუთიდან ყუთზე გადებულ
ხიდებზე თითოეული კითხულობდა იმას, რაც მოეპირიანებდას: „ქველ“ გაზეთებს,
ჟურნალებს, ალმანახებს, გზის გამკვლევეებს, ბუნებისმეტყველების ისტორიას
ან რომელიმე კლასიკურ ტრაგედიას, ხანდახან კი ახალ რომანს, რომელსაც
ერთიმეორეს ხელიდან სტაცებდნენ. რომანში მოქმედება 2240 წელს ხდებოდა;
ზოგჯერ ესტებანი ყველაზე მაღლა აძვრებოდა და ოსტატურად ბაძავდა ცნობი-
ლი მოქადაგის მანერას, ორაზროვნად განმარტავდა „ქებათა ქებას“ მგზნებარე
ლექსებს; მას ძალზე ართობდა სოფიას გაბრაზება, ყურში თითებდაცობილი მთე-
ლი ხმით რომ გაჰკიოდა, მამაკაცები ყველანი ღორები ხართო. პატიოში მზის
საათები ახლა მთვარის საათებად ქცეულიყვნენ, შუადღის ნაცვლად შუალამეს
აჩვენებდნენ. ჰიდროსტატურ სასწორზე კატებს წონიდნენ; პატარა ტელესკო-
პით, რომლის მილი გატეხილ სარკმელში იყო გაშვერილი, მეზობელ სახლში
ისეთი რამეების თვალთვალი შეიძლებოდა, რომ კარლოსს, კარადის თავზე გა-
ნმარტოებულ ამ ასტრონომს, ეშმაკურად ელიძებოდა. ახალი ფლეიტაც ამოიღეს
ბუდიდან. შედიოდა კარლოსი საგიყეთის პალატების დარად კედლებზე ლეიბებ-
შემოწყობილ ოთახში და უკრავდა, აღარა ჰქონდა იმისი შიში, რომ მეზობლე-
ბი გაიგონებდნენ. ნოხზე მიმოფანტულ პარტიტურებს შორის პიუპიტერის გვე-
რდით მდგარი ახალგაზრდა კაცი ხანგრძლივ ღამეულ კონცერტებს მართავდა,
სრულყოფდა თავის ოსტატობას და აღწევდა კიდევ ინსტრუმენტის საუკეთესო
ფერადობას; ხანდახან ანაზღეულად ჟინსაყოლილი ხალხურ საცეკვაოებსაც
უკრავდა ახლად ნაყიდ სალამურზე. ხშირად ერთმანეთის მიმართ სინაზით აღვ-
სილი ახალგაზრდები ფიცსა სდებდნენ, სიკვდილამდე ერთად ვიყვნეთო. სოფია,
რომელსაც მონაზვნებმა სიყრმიდანვე ჩაუნერგეს მამაკაცების მიმართ ზიზღი,
ლამის ცოფდებოდა, როცა ესტებანი ხუმრობით, ანდა ისე, გამოსაჯაურებლად,
მოძავალ ქორწინებაზე და ფოლივით მოძრავლებულ ბავშვებზე დაუწყებდა ლა-
პარაკს. „ქმრის“ გამოჩენის მარტო ფიქრიც კი ძრწოლას ჰგვრიდა ახალგაზრ-
დებს, ისინი მასში ხედავდნენ ადამიანს, რომელიც ხელყოფდა ყველას კუთვნილ
სხეულს — ამიტომაც ხელშეუხებელ წმინდა საკუთრებას. და-ძმებს ერთად სუ-
რდათ მოგზაურობა და უზარმაზარი სამყაროს გაცნობა. ანდერძის აღმსრულე-
ბელი მშვენივრად უძღვებოდა მთელ იმ „სამაგლობას“, კედლის მიღმა რომ ინ-
ახებოდა და ირგვლივ ყველაფერს აქოთებდა. უნდა ითქვას, რომ დონ კოსმე შე-
მწყნარებლურად ეკიდებოდა ახალგაზრდების შორეულ მოგზაურობაში წასვლის
სურვილს და თავის გაზრდილებს ჰპირდებოდა, ყველგან დაგახვედრებთ კრედი-
ტით უზრუნველყოფის წერილებსო.

— აუცილებლივ უნდა წახვიდეთ მადრიდში, ნახოთ იქაური ფოსტამტი და
წმინდა ფრანცისკის ტაძრის გუმბათი, წარმოდგენაც არა აქვს ჩვენში ხუროთ-
მოძღვრების მსგავს სასწაულზე, — ამბობდა იგი.

იმხანად უკვე გაჩნდა გადაადგილების ისეთი სწრაფი საშუალებანი, რომ
სიშორე დაბრკოლებას აღარა ჰქმნიდა. ახალგაზრდებს მარტო გადაწყვეტილება
უნდა მიეღოთ და მიეტოვებინათ დაუსრულებელი შესების მოსმენა, რასაც გან-
სვენებული მამის სულის მოსახსენიებლად უკვეთდნენ, — ყოველ კვირა დღეს,
უძილო ღამის შემდეგ სოფია და კარლოსი ჯერ ისევ ცარიელი ქუჩით მიდიოდ-

ნენ სულიწმინდის ტაძარში და ესწრებოდნენ ღვთისმსახურებას. მაგრამ და-ძმებს ჯერჯერობით ვერა და ვერ გაეხდათ ყუთებისა და ფუთების დახსნა და ავეჯის თავ-თავის ადგილზე დალაგება; იმაზე ფიქრი, რომ ჯერ კიდევ ათასი დავიდარა-ბა ელოდათ, იმთავითვე თრგუნავდა მათ, ყველაზე მეტად ესტებანს — ავადმყოფობის გამო მას უმნიშვნელო ფიზიკური შრომაც კი უმძიმდა. თანაც, დილაუთენია თუ მოადგებოდნენ ავეჯის გადამკვრელები, ლაქის წამსმელი ხედიანობა და ათასი სხვა უცხო ხალხი, ეს დაურღვევდათ ყოველდღიური ცხოვრების მსახურებას, რაც ასე ნაკლებად ჰგავდა ქალაქის დანარჩენ მკვიდრთა ყოფას. ახალგაზრდები ვარაუდობდნენ, რომ უთენებლივ დგებოდნენ, თუკი თავიანთ მომდევნო დღეს საღამოს ხუთი საათიდან დაიწყებდნენ, რათა მიეღოთ დონ კოსმე, რომელმაც სულ უფრო და უფრო ძალუძად გამოხატავდა თავის მაძობრივ გრძნობასა და თავაზიანობას, თუკი ახალგაზრდები ზღვის გაღმიდან კიდევ რაღაცის გამოწერას მოისურვებდნენ, ან თუ საჭირო გახდებოდა მისი რაიმე სხვა სამსახური და მომდევნო ანგარიშის განაღდება. მისი თქმით, ფირმის საქმე ჩინებულად მიდიოდა, იგი ნიადაგ იმაზე ზრუნავდა, სოფიას უფულობა არ ეგრძნო და სახლში ხელგაშლილად ეცხოვრათ. დონ კოსმე დაუღალავად აქებდა ქალიშვილს, ძმებს მოსიყვარულე დედასავეით მზრუნველობო; ამასთან, შემთხვევას არ გაუშვებდა, ვითომდა სხვათა შორის, გესლიანი სიტყვა არ გადაეკრა მონაზვნებისთვის, კეთილშობილი ოჯახის ქალიშვილებს მონასტერში წასვლას ურჩევთ, რათა ხელთ იგდოთ მათი ქონებაო. „თუმცა შეიძლება ასეთი რამ გულში გაივლო და მაინც კეთილ ქრისტიანად დარჩე“, — დააყოლებდა ბოლოს. შემდეგ დონ კოსმე თავაზიანად დაუკრავდა მათ თავს და მიდიოდა, თან ირწმუნებოდა, ჯერჯერობით მაღაზიაში და საწყობში კარლოსის ყოფნა აუცილებელი სულაც არ არისო. ახალგაზრდებიც უბრუნდებოდნენ თავიანთ სამფლობელოს და ლაბირინთებს, სადაც ყოველ ადგილს მათ პირობით ენაზე თავისი სახელი ერქვა, და ეს მხოლოდ მათთვის, მიმრქმელებისთვის იყო გასაგები. მაგალითად, ერთმანეთზე გადმოსაცვენად ახორხლილ ყუთებს „მორღვეულ ციხე-სიმაგრეს“ ეძახდნენ, კარადიდან კარადაზე გადებულ სკივრს „დრუიდების“ ბილიკი ერქვა. რომელიმე მათგანი სიტყვას ირლანდიაზე თუ ჩამოაგდებდა, მხედველობაში ის კუთხე ჰქონდა, სადაც არფა იდგა, კამელის მთას თუ ახსენებდნენ, იცოდნენ, სანახევროდ გახსნილი თეჯირებით მოწყობილ თავშესაფარს გულისხმობდნენ, სადაც სოფიას ჩვეულებად ჰქონდა, განმარტოებულყო და ეკითხა იდუმალებით მოცული, შიშისმომგვრელი რომანები. ესტებანი თავის ხელსაწყოებს აამუშავებდა თუ არა, სოფია და კარლოსი იტყოდნენ, ალბერტ დიდი² მუშაობას შეუდგაო, ისინი ერთი წუთითაც არ წყვეტდნენ თამაშს, რამაც სახლში ყველაფერს სახე უცვალა და გარე სამყაროსაგან თანდათან უფრო გამოიჯნა; ახლა იქ ცხოვრება საკუთარ კანონებს ემორჩილებოდა და სამ სხვადასხვა სიბრტყეზე მიედინებოდა; იატაკზე შეუვალად მბრძანებლობდა ესტებანი — ავადმყოფობის გამო არ უყვარდა მალაბლოტება, თუმცა კარლოსისა მუდამ შურდა, რომელსაც შეეძლო ყუთიდან ყუთზე ხტუნვა-ხტუნვით ლამის ჭერამდე ასულიყო, დაჰკიდებოდა ხის კაღონის ჭრილებს ანდა ექანავა კოჭებზე გაბმული მექსიკური ჰამაკით; სოფიას ეკავა, ასე ვთქვათ, შუა სიბრტყე, იატაკიდან ათიოდე ციდიით დაშორებული: მისი ფეხსაცმლის ქუსლები ლამის ბიძაშვილის კეფასთან ქანაობდნენ. საყვარელ წიგნებს იგი ათასგვარ სამალავში კუჭავდა, რომელთაც „თავის პალატებს“ ეძახდა, — აუტანელი სიცხის დროს შეეძლო იქ განმარტოებულყო, მოეშვა კორსეტი, გაეხადა წინდები და ქვედაკაბის კალთები ბარძაყებამდე აეკრიფა... სადი-

ლობდნენ, როგორც უკვე ვთქვით, განთიადისას, სანთლების შუქზე, კატებით სავსე სასადილო ოთახში. თითქოსდა მათ ოჯახში დამკვიდრებული მედიდური ტრაპეზის საპროტესტოდ, ახალგაზრდები ახლა ველურებით ექცეოდნენ, — უწყალოდ გლეჯდნენ ხორცს, ერთმანეთს ხელიდან სტაცებდნენ გემრიელ ლუკმას, ქათმის აუქაშის გადატეხისას გულში რაღაც სურვილებს იკლებდნენ, მაგიდის ქვეშ ფეხებს ირტყმევიანებოდნენ, ანაზღეულად აქრებდნენ ხანთლებს და ერთმანეთის ნამცხვრებს იტაცებდნენ. სასადილო ოთახში დაუტყვევანად ნაცმულეები მოდიოდნენ, მაგიდასთან გადაშხლართულები ან სუფრაზე იდაყვდაყრდნობილები იხდნენ, რომელიმე უმადობას თუ უჩიოდა, იქვე, სასადილო მაგიდაზე შლიდა პასიანსს ანდა ბანქოს ქალაღდისგან ქოხის აშენებით ირთობდა თავს; სუფრაზე უგუნებოდ მოსული ჭამის დროს რამე რომანს კითხულობდა. როცა სოფია შეთქმული ძმების მსხვერპლი ხდებოდა, რომელთაც უყვარდათ დის ყასიდად გაგულისება, იგი მოულოდნელი, უხეში ლანძღვა-გინებით იკლებდა მათ, თუმცა ყველაზე საშინელი გინებაც კი მისი ბაგიდან უბიწოდ ისმოდა, სიტყვები უეცრად კარგავდნენ თავდაპირველ მნიშვნელობას და იქცეოდნენ რაღაც გამომწვევად — გეგონებოდათ, ქალიშვილი ესწრაფვოდა იმ გარდასული სამონასტრო ტრაპეზების ანაზღაურებას, რომლის დროსაც აუცილებელი იყო მადლობის შესაწირი ლოცვების კითხვა და თეფშიდან თვალმოუშორებლივ ჭამა.

— სად ისწავლე მაგისტრანა სიტყვა-პასუხი? — სიცილით ეკითხებოდნენ ძმები.

— საროსკიპოში, — ისე უშფოთველად პასუხობდა სოფია, თითქოსდა როდისმე იქ მართლაც ეცხოვრა.

ბოლოს დაუსრულებელი ოინბაზობისაგან დაქანცულები, მაგიდაზე კაკლების გორაობითა და წაქცეული ჭიქებიდან სუფრაზე ღვინის დაქცევით დაღლილები გარიჟრაჟზე ერთმანეთს დამე მშვიდობისას უსურვებდნენ და თავ-თავიანთ ოთახებში მიდიოდნენ, თან რაიმე ხილი, მუჭა-მუჭა ნუში ანდა თითო ჭიქა ღვინო მიჰქონდათ; ფანჯრებში უკვე განთიადი იხედებოდა, ისმოდა ცისკრის ლოცვის ხარების რეკვა, ქუჩას ვაჭრების გამაყრუებელი ყვირილი იკლებდა.

IV

ყოველთვის ისე ხდება.

ბოცა

გლოვის პირველი წელიწადი დასრულდა, დადგა ნახევრად გლოვის წელი, ახალგაზრდები უფრო და უფრო მიეჩვივნენ თავიანთი ცხოვრების ახალ წესს, ბევრ რამეზე თვალის ამხელი წიგნების სულმოუთქმელ კითხვაში გართულებს აღარაფრის შეცვლა აღარ სურდათ თავიანთ მოუწესრიგებელ ყოფაში. ოთხ კედელშუა გამომწვევლებმა ქალაქი დაივიწყეს, არავის მიმართ ინტერესს არ იჩენდნენ; ქვეყნის ამბებს შემთხვევით თუ გებულობდნენ, როდესაც ხელში რამდენიმე თვის დაგვიანებით უცხოური გაზეთი ან ჟურნალი მოხვდებოდათ. იმათგან, ვისთვისაც ცნობილი იყო, რომ ამ ნიადაგგამოკეტილ სახლში ცხოვრობდნენ გასათხოვარი ქალი და ორი სასურველი სასიძო, ზოგ-ზოგი წესიერი ოჯახი ცდილობდა როგორმე დაახლოებოდა მათ, ერთმანეთს ეცილებოდნენ „საბრალო ობლების“ დაპატიჟებას, ვისი მარტოობაც, ეტყობა, ყველას თანაგრძნო-

ბასა და სიბრალულს იწვევდა; უმაღური ახალგაზრდები კი მეგობრობის ასეთ გამოვლენას თავაზიანი, მაგრამ ცივი უარით პასუხობდნენ, თავიანთ გლოვას ხელსაყრელ საბაბად იყენებდნენ, რათა აერიდებინათ ყოველგვარი დარბარსლური ნაცნობობა და მოვალეობა, არა სურდათ კაეშირის დამყარება საზოგადოებასთან, რომელიც პროვინციულ ცრურწმენებს ქცევის უცვლელ ნორმებად აღიარებდა: ყველა ზნეკეთილი ადამიანი გარკვეულ დროს, ერთსა და იმავე ადგილებში დგმს- ირნობდა, ნუგბარებით ერთ მოღურ საკონდიტროში იტკბარუნებნენ, სა- შობაო დღესასწაულს თავიანთ შაქრის სახარშავში ანდა არტემისის მახლობელ სამულობელოებში — მდიდართა კუთვნილ მამულებში ატარებდნენ, ერთმანეთის დაჩრდილვის მოწადინენი თამბაქოს პლანტაციების განაპირას დგამდნენ ანტი- კური ღმერთების ქანდაკებებს... წვიმების სეზონი, ქუჩებში კვლავ გაუვალი ტა- ლახი რომ დაეყენებინა, დასასრულს უახლოვდებოდა; და აი, ერთხელ კარლოსს ჩაეძინა თუ არა, ანაზდეულად სადარბაზო შესასვლელიდან კარის ჩაქურის გამა- ლებული ბრახუნი მოესმა. ყმაწვილი კაცი ამას ყურადღებას არც მიაქცევდა, მა- გრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ახლა ჭიშკრის ჯახუნი გაისმა, მერე სახლის ყველა კარს აუტეხეს ბრახაბრუნი: ვილაცის მოთმინებადაკარგული ხელი თითქ- მის შეუსვენებლივ ხან აქ აბრახუნებდა, ხან — იქ. ეტყობა, კაცი ჯიუტად ცდი- ლობდა სახლში შემოსვლას, გარშემო უვლიდა, შიგნით შემოსაღწევ გზას ეძებ- და — ეს შთაბეჭდილება იმითაც ძლიერდებოდა, რომ დარტყმის ხმა ლამის იქი- დანაც ისმოდა, სადაც კარი არც იყო დატანებული და დარტყმის ექო შორეულ კუთხეებამდე ვრცელდებოდა. ეს ამბავი დიდ შაბათს ხდებოდა, დღესასწაულის გამო მალაზია, სადაც მომსვლელები ახალგაზრდების ამბავს გებულობდნენ, და- კეტილი იყო. რემიხიო და როსაურა სააღდგომო ცისკრის ლოცვაზე ანდა სულაც ბაზარში სანოვაგის საყიდლად იქნებოდნენ წასულები, ამიტომ ბრახუნზე არა- ვინ პასუხობდა.

— არა უშავს, აბრახუნებს და გაჩერდება, — ჩაიბურტყუნა კარლოსმა და სა- ხე ბალიშში ჩარგო.

მაგრამ როცა დარწმუნდა, ბრახუნი არ შეწყდებოდა, ხალათი მოისხა და გაცოფებული წინკარში ჩავიდა. ქუჩაში რომ გაიხედა, თვალი მოჰკრა ვეებაქო- ლგიან უცხო კაცს — უცნობი ის-ის იყო მიეფარა კუთხეს. იატაკზე სავიზიტო ბარათი ეგდო — ეტყობა კარქვეშ შემოაცურეს:

**ვიქტორ იუბი
ნაპოციანტი
პორტ-ო-პრენსში**

კარლოსმა გუნებაში შეუკუროთხა დაუპატიჟებელ სტუმარს, ისევე დაწვა და უცნობიც მაშინვე გადაავიწყდა. გაღვიძებისთანავე თვალში ბარათი მოხვდა, ბა- რათი მწვანე ჩანდა, რადგან სამერცხულის მწვანე მინიდან შემოჭრილი მზის უკანასკნელი სხივი ეცემოდა. საღამოთი ახალგაზრდობამ, როგორც ყოველთვის, ყუთებითა და ფუთებით მოხორხლილ სასადილო ოთახში მოიყარა თავი. ალბერტ დიდი უკვე შეუდგა თავის ფიზიკურ ცდებს, მაგრამ ამ დროს კარს წინანდელი- ვით გააფთრებით აუტეხეს ბრახუნი. ათმა საათმა დარეკა, — მათთვის ეს დრო დი- ლაუთენია იყო, მაგრამ ქალაქის მკვიდრთა წარმოდგენით, უკვე ღამე იყო. სო- ფია ანაზდად შიშმა აიტანა.

— აქ უცხო კაცს ვერ მივიღებთ, — თქვა და პირველად დაფიქრდა, რა უცნაურ შთაბეჭდილებას მოახდენდა ყველაზე, ვინც არ უნდა ყოფილიყო, მათთვის უკვე ჩვეულებად ქცეული მოწყობილობა.

უფრო მეტიც, სხვისთვის მათი ოჯახური ლაბირინთის წიაღის ჩვენება იმას ნიშნავდა, რომ გაეცათ საიდუმლო, უცხო ადამიანისათვის გაუნდოთ გულის პასუხი, გაეფანტათ მომხიბვლელიობა.

ერქენული

— ღვთის გულისათვის, არ გაულო! — შესძახა ქალბატონმა ქალბატონმა ვედრებელი თვალები მიაპყრო ადგილიდან წამომდგარ, გაღიზიანებულ კარლოსს. მაგრამ ვვიანდა იყო, კარის ჩაქუჩის ბრახუნს რემიხიო ღრმა ძილისაგან გამოეფხიზლებინა და კანდელაბრით ხელში სასტუმრო ოთახისკენ მოუძლოდა ვიღაც უცხოს. სტუმრის წლოვანებას ვერ განსაზღვრავდით — იგი შეიძლება ორმოცისაგ ყოფილიყო და ოცდაათისაგ, შეიძლება უფრო ნაკლებისაგ. წლების მატება, ეტყობა, იერს არ უცვლიდა. ასეა, როცა არაჩვეულებრივად მოძრავი ფიზიონომიის ადამიანებს შუბლსა და ლოყებზე ნაადრევი ღარები უჩნდებათ. ასეთი ადამიანები წამიერად გადადიან (ეს გასაგები გახდა ახლად მოსულის პირველივე სიტყვებიდან) უკიდურესი ადგინებულობიდან მშვიდ ირონიაზე, თავშეკავებული სიცილიდან მკაცრსა და გაკერპებულ ღუმელზე — რაც მეტყველებს დაუცხრომელ ნებისყოფას ადამიანისას, რომელსაც უნარი შესწევს სხვებსაც მოახვიოს თავზე საკუთარი შეხედულება და რწმენა. მზით გარუჯული კანი და უკან დაუდევრად, უკანასკნელ მოდაზე გადავარცხნილი თმა ასრულებდა ამ ჯან-ღონით სავსე კაცის იერს. ჩასხმულ სხეულზე შემოტმასნილი ტანისამოსიდან ეკვეთებოდა კუნთებადქცეული მკლავები და ძლიერი ფეხები, რომელთაც, ეტყობა, არ იცოდნენ, რა იყო დაღლა. ჰქონდა უხეში და მგრძობიარე ბაგე, მუქზე მუქი თვალები კი ისე უგიზგიზებდა, ძნელად თუ ვინმე გაუძლებდა მათ მბრძანებლურსა და ზვიად გამოხედვას. ყველაფრიდან ჩანდა განსაკუთრებული რომ იყო ეს კაცი, ამასთან, პირველი გაცნობისთანავე შეეძლო ერთდროულად სიმპათიაც გამოეწვია და ზიზღიც. „ამისთანა ოტროველებს შეუძლიათ მთელი სახლი აურდაურიონ თუ იქ შეღწევას მოინდომებენ“, — გაიფიქრა თავისთვის სოფიამ. სტუმარი დამხვდურთ ცერემონიული თავაზიანობით მიესალმა, თუმცა ეს თავაზიანობა ვერ ჯალდავდა იმ მოურიდელობას, რისი მეოხებითაც შეეღწია სახლში, და ისე სულმოუთქმელად მოჰყვა ლაპარაკს, სიტყვა არავის ამოაღებინა. წერილი მაქვს გამოტანებული მამათქვენის სახელზე, რომლის ჭკუასა და არაჩვეულებრივ უნარზე სასწაულებს მიყვებიანო, განაცხადა მან; ამჟამად, დასძინა იქვე, აუცილებელია ახალი კავშირების დამყარება, ახალი სავაჭრო გარიგებების დადება, და აქაურმა ნეგოციანტებმა, რომელთა უფლებებს არავინ არ ზღუდავს, ურთიერთობა უნდა დამყარონ კარიბის ზღვის დანარჩენ კუნძულებთან. ჩემს თავს ნება მივეცი, მომეტანა მცირეოდენი საჩუქარი, აქაურობისათვის ჯერ კიდევ უცნობი რამდენიმე ბოთლი ღვინო, და... როცა ახალგაზრდებმა ერთხმად შესძახეს, მამა კარგა ხანია გარდაიცვალაო, გადამთიელი, ესპანური და ფრანგული სიტყვებით შედგენილი, თან რამდენადმე ინგლისური გამოთქმით განზავებული სასაცილო ჟარგონით რომ მეტყველებდა, შეჩერდა უცებ და განცვიფრებულს ესლა აღმოხდა: „ოხ!“ ამ შეძახილში ერთდროულად თანაგრძობაც გახშიანდა და გულგატეხილობაც, თანაც ეს იმდენად შეუსაბამო იყო ახლად მოსულის ადრინდელ საუბართან, რომ და-ძმებმა, არც დაფიქრებულან, რა უადგილო იყო მსგავს ვითარებაში სიცილი, ერთხმად გადაიხარხარეს. ყოველივე ისე ანაზღეულად და მოულოდნელად მოხდა, რომ პორტ-ო-პრენსელი ნეგოცი-

ანტი თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, დაიბნა, მაგრამ უცებ თვითონაც ახარხარდა.

— ღმერთო ჩემო, რა ამბავია, — გონს პირველი მოეგო სოფია.

ამ სიტყვებზე ყველას სახე შეეცვალა, მაგრამ ყინული უკვე გამხვალნი იყვნენ, სტუმარმა დაუპატიჟებლად განაგრძო გზა, ყველაფრიდან ჩანდა, მას სულაც არ აკვირვებდა არც სასტუმრო ოთახის არეულობა და არც სოფიას მორბენაობა, მუხლებამდე ჩაფართხუნებული კარლოსის ძველი პერანგი რომ უცებ უცხოობა მცოდნე კაცის იერით მიუკაკუნა ფაიფურის ვაზას, ხელით მოსინჯა ლეიდენის ქილა, შეაქო ბუსოლის ხარისხი, დაატრიალა არქიმედეს ხრახნი, რაღაც ჩაიბურტყუნა ბერკეტის თაობაზეც, — ქვეყნის გადატრიალება შეუძლიათ, და მერე თავის მოგზაურობაზე მოჰყვა თხრობას: პირველად გემზე იუნგად მოვეწყვე, მივატოვე მარსელი, სადაც მამა ხაბაზად მუშაობდა, თანაც პირველხარისხოვანი ხაბაზი იყო, რითაც ძალზე ვამაყობდიო.

— მეპურის შრომა ერთობ სასარგებლოა საზოგადოებისათვის, — თქვა იმით გახარებულმა ესტებანმა, რომ ძლივს იხილა უცხოელი, რომელმაც მის მშობლიურ კუნძულზე დაადგა ფეხი და წინაპრებით არ ყოყოჩობდა.

— „ფაიფურის სამშვენიესების კეთებას გზების მოკირწყვლა სჯობია“, — მოიშველია კლასიკური გამონათქვამი სტუმარმა.

შემდეგ იგი თავის მარტინიკელ ძიძაზე ალაპარაკდა, რომელიც, მისი თქმით, ვაქსივით შავი იყო, — იგი ლამის წინასწარმეტყველი გახდა ჩემი მომავალი მოგზაურობისა, რადგან ბავშვობიდანვე მე აზიაში მოგზაურობაზე ვოცნებობდი, მაგრამ ყველა გემი, რომელზედაც კი მოვახერხე მოწყობა, ან ანტილის კუნძულებზე მიემგზავრებოდა ან მექსიკის ყურეშიო. უცნობი გატაცებით ჰყვებოდა ბერმუდის კუნძულების მარჯნის ჭალაზე, ბალტიმორის არაჩვეულებრივ სიმდიდრეზე; ახალი ორლეანის კარნავალზე, რომელსაც შეეძლო პარიზული კარნავალისთვისაც გაეწია მეტოქეობა; ჰყვებოდა მინდვრის წიწმატსა და პიტნაზე დაყენებულ ვერაკრუსულ არაყზე; თანდათანობით მან პარიის ყურემდე მოაღწია, გზად მოინახულა მარგარიტის კუნძული და შორეული ტრინიდადი. ლოცმანი რომ გავხდი, შორეულ პარამარიბოში ჩავედი, რომლის მიმართ თავისი სილამაზით გაამპარტავნებულ ბევრ ქალაქს შეიძლება შური აღედრასო; ამ სიტყვებზე სტუმარმა თითი იატაკს მიაშვირა და დაუმატა, რომ პარამარიბოში მან იხილა ფორთოხალ და ლიმონჩარიგებული ქუჩები, — ეფექტისათვის ხის ძროები ზღვის ნიჟარებით იყო შემკული. ზელანდიის ფორტში ღუზაზე მღვარ უცხოელთა ხომალდებზე მდიდრულ მეჯლისებს მართავდნენ, პოლანდიელი ქალები კი, დაუმატა მან და თვალი ჩაუკრა ჭაბუკებს, გულკეთილად ეკიდებიან მეზღვაურთა ყურადღებასო. ამ არაჩვეულებრივად ლამაზ ზღვისპირა ქალაქში ყველა ქვეყნის ღვინოსა და სასმელს შეიძლება გაუსინჯოთ გემო, ნადიმებს კი სამაჯურებითა და გულქანდებით მორთული ზანგის ქალები ემსახურებიან, რომელთაც ჩოთის ქვედა კაბები და თხელი, თითქმის გამჭვირვალე, მაღალსა და მკვრივ მკერდზე შემოტმასნილი ბლუზები აცვიათო; ამ სიტყვებზე წარბშეჭმუნული სოფიას დასამოშმინებლად სტუმარმა დახატული სურათი ძალზე მოხერხებულად გააკეთილშობილა ფრანგული ლექსით, რომელშიც ლაპარაკი იყო მსგავსი ტანსაცმლით შემოსილ სარდანაპაალის სასახლის სპარსელ მონა ქალებზე.

— გმადლობთ, — კბილებშუა გამოსცრა ქალიშვილმა, მაგრამ არ შეეძლო გუნებაში მაინც არ ეღიარებინა სტუმრის მოხერხებული აზრთა მსვლელობა.

ამასთან, განაგრძო უცნობმა და გეოგრაფიული განედი შეცვალა, ანტილის

კუნძულები ჭეშმარიტად შესანიშნავი არქიპელაგია, სადაც შეიძლება გადააწყდე უჩვეულო რამეებს; უკაცრიელ სანაპიროზე ჩამვებულ უზარმაზარ ღუზას; კლდეებზე მიჯაჭვულ სახლებს, რათა ციკლონებმა ზღვაში არ გაიტაცონ; კიურასაოს კუნძულებზე სეფარდების¹ ვეება სასაფლაოს; მთელ რიგ კუნძულებზე თვეობით და ლამის წლობით მარტოდმარტო მცხოვრებ ქალებს, როცა მათი ქმრები კონტინენტზე სამუშაოდ არიან გაფანტულნი; შეიძლება ნახოთ ჩამირული გალიონები, გაქვავებული ხეები, საკვირველი თევზები; ~~ზარბაღისა~~ კუნძულზე დღემდე შემონახულა ბიზანტიის უკანასკნელი იმპერატორის – კონსტანტინე XI-ის შთამომავლის აკლდამა – და მისი აჩრდილი ერთადერთი მგზავრია ქარიან ღამეში... ტროპიკულ ზღვებში სირინოზი თუ შეგხვედრიათო, ანაზდად, სრულიად სერიოზული კილოთი ჰკითხა სოფიამ სტუმარს. და სანამ უცნობი პასუხს გასცემდა, ქალიშვილმა აჩვენა ძველი წიგნი – „ჰოლანდიის საკვირველებანი“, სადაც მოთხრობილი იყო, როგორ დაენგრია ერთხელ ქარიშხალს დასავლეთ-ფრიზის კუნძულების კაშხალი და ქარიშხლის შემდეგ როგორ ეპოვნათ ნანგრევებში სანახევროდ შლამით დაფარული ალი. ალი ქალაქ პარლემში ჩაუყვანიათ, უსწავლებიათ დართვა. იქ აღს რამდენიმე წელი უცხოვრია, მაგრამ ადამიანური მეტყველება მაინც ვერ აუთვისებია და სამუდამოდ შემორჩენია ინსტინქტი, რომელიც ძალუმაღ ეწეოდა წყლისკენ. მისი ტირილი მომაკვდავის კვნესას ჰგავდა თურმე... სტუმარმა აუღელვებლივ მოისმინა ეს ამბავი და თავის მხრივ მოჰყვა: რამდენიმე წლის წინათ მდინარე მარონის ტალღებშიც ნახეს სირინოზი და პარიზის მეცნიერებათა აკადემიისათვის გაგზავნილ მოხსენებაში ცნობილმა სამხედრო პირმა, მაიორმა არჩიკომბიმ ძალზე დაწვრილებით აღწერაო.

– ინგლისის არმიის მაიორი კი არ შეიძლება შეცდეს! – დაუმატა უცხოელმა შეუვალი კილოთი.

კარლოსმა შეატყო, რომ უცხოელმოსული სოფიას თვალში აშკარად ამაღლდა, ამიტომ საუბარი კვლავ მოგზაურობაზე გადაიტანა. მაგრამ სტუმარი ამჯერად მხოლოდ გვადელუპას ქალაქ პას-ტერზე ლაპარაკობდა, იგი იხსენებდა იქაურ მტკნარ წყლებს და სახლებს, რომლებიც, მისი აზრით, ჰგავდნენ, ვთქვათ, როშფორის ანდა ლა-როშელის სახლებს.

– ჩემი ახალგაზრდა თანამოსაუბრეებისათვის ნაცნობია ეს ქალაქები?

– წარმომიდგენია, რა მოწყენილობა იქნება ორივეგან, – თქვა სოფიამ – სამწუხაროდ, პარიზში ჩასვლისას იქ მხოლოდ რამდენიმე საათით გაჩერდებით. ჯობია პარიზზე მოგვიყვით, იქაურობას ალბათ ხუთი თითივით იცნობთ.

სტუმარმა ცერად შეხედა ქალიშვილს, არაფერი უპასუხა, და ახლა იმაზე მოჰყვა თხრობას, როგორ გაემგზავრა პუენტ-ა-პიტრიდან სენ-დომენგში², სადაც რაიმე საქმის წამოწყებას აპირებდა; საბოლოოდ მაინც პორტ-ო-პრენსში დაემკვიდრე და შესანიშნავი მაღაზიაც გაავსენი, მაღაზიაში მაქვს სხვადასხვა საქონელი, ტყავეულობა და ნაირ-ნაირი მწნილი...

– რა საძაგლობაა, – გააწყვეტინა სოფიამ.

– ...დიდ-პატარა კასრებით, სანელებლებით, – უშფოთველად განავრძო სტუმარმა, – ერთი სიტყვით, ისეთივე მაღაზია, Comme* le vôtre, – დაასრულა ფრანგმა და დიდი თითი მოურიდებლად ატაკა კედელს.

სტუმრის ეს საქციელი ძალზე მოურიდებლად ეჩვენა სოფიას.

* როგორც თქვენი (ფრანგ.).

— ჩვენ მაგ საქმეებში არ ვერევიოთ, — მიახალა მან.

— დიახ, ეს ძნელი და თავსატეხი საქმეა, — ჩაიბუტბუტა სტუმარმა.

მერე იგი შეუჩერებლივ ჰყვებოდა, რომ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდა ბოსტონიდან, ამ დიდი სავაჭრო ქალაქიდან, სადაც პურის ფქვილი შეიძლება უფრო იაფად იყიდო, ვიდრე ევროპაშიო. ახლა ზუსტად ფქვილით დატვირთულ გემს ველოდები, გადაწყვეტილი მაქვს, ნაწილი აქვე გავყიდო, დანარჩენი კი პორტუგალიკურენსში გავაგზავნო. კარლოსი მზად იყო თავაზიანად მიებრძანებინა მისი ყველა პატივებელი სტუმარი, თავდაპირველად ძალზე საინტერესოდ რომ ჰყვებოდა თავის ამბავს, ახლა კი მათთვის საძულველ საკითხზე ალაპარაკდა — ალაპარაკდა ყიდვა-გაყიდვაზე, მაგრამ ამასობაში უცხოელმოსული სავარძლიდან ისეთი იერით წამოდგა, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყოს და სასადილო ოთახის კუთხეში დაქუჩებულ წიგნებთან მივიდა. ტომების გადაწყობისას მზურვალედ გამოხატა სიხარულს, თუკი ავტორის სახელი დაკავშირებული იყო რომელიმე მოწინავე დოქტრინასთან — პოლიტიკური იქნებოდა თუ რელიგიური.

— როგორც ეტყობა, თქვენ au courant*, — განაცხადა მან და ამით ახალგაზრდების კეთილგანწყობილება მოიპოვა.

მაღე ახალგაზრდები თვითონვე უჩვენებდნენ თავიანთი საყვარელი ავტორების წიგნებს, უცხოელი კი დაცინვით სინჯავდა ამ გამოცემებს, რატომღაც ყნოსავდა კიდევ ქალაქისა თუ ხბოს ტყავის ყდებს, მერე ფიზიკის ხელსაწყოებს მიუბრუნდა და შეუდგა რომელიღაც მანქანის აწყობას, რომლის დაშლილი ნაწილები უწესრიგოდ მიმოხეულიყო პატარა მაგიდაზე.

— ამ ხელსაწყოს ხომალდებზეც იყენებენ, — ჩაილაპარაკა მან.

ოთახში ძალზე ცხელოდა, სტუმარმა ნებართვა ითხოვა, სერთუკი გაეხადა; ახალგაზრდები ძალზე გაკვირვებულები და საქციელწამხდრები ჩანდნენ ამ თხოვნის გამო, ხედავდნენ, რა უბოდიშოდ იჭრებოდა გადამთიელი მათ იდუმალ სამყაროში, რომელიც კიდევ უფრო უცნაური ჩანდა იმ საღამოს, რადგან „დრუიდების ბილიკისა“ თუ „მორღვეული ციხე-სიმაგრის“ მახლობლად იღანდებოდა უცხო ადამიანის ფიგურა. სოფია მიხვდა, — სტუმარი მაგიდასთან უნდა მიეწვიათ, მაგრამ აშინებდა გადამთიელის მათთან სატრაპეზოდ დაჯდომა; ისინი ხომ შუაღამისას ჭამდნენ იმას, რითაც, ჩვეულებრივ შუაღამისას სადილობენ, სტუმარმა კი ამასობაში, უკვე რომ მოესწრო კვადრატის აწყობა, რომლის დანიშნულება ყმაწვილებისთვის გამოცანად ქცეულიყო, გამომწვევად შეავლო თვალი სასადილო ოთახში მის მოსვლამდე გაწყობილ სუფრას და თქვა:

— მე ჩემს საკუთარ ღვინოს მოვიტან.

ის ბოთლების შემოსატანად გავიდა, რომლებიც სახლში შემოსვლისას პატიოში სკამზე დაეწყო; უკან შემობრუნებულმა ბოთლები ზარზემით დადგა სუფრაზე და ახალგაზრდები ყესტით მიიწვია დაეკავებინათ თავთავიანთი ადგილი. სოფია ხელახლა გააღიზიანა ამ გარმიანელის გაუგონარმა მოურიდებლობამ, მათ სახლში პირველად რომ იყო და მაინც ისე იქცეოდა, თითქოს pater familias** ყოფილიყოს. ძმები კი საოცარი სიამოვნებით უსინჯავდნენ გემოს ელზასურ მაჭარს; ესტებანი, რომელსაც ის-ის იყო გადაეტანა ავადმყოფობის მტანჯველი შეტევა, ახლა დაუფარავი ინტერესით შეჰყურებდა სტუმარს; საბრალო ესტებანის შემხედვარე ქალიშვილმაც გადაწყვიტა ეთამაშა მოამპარტავნო, მაგრამ თავ-

* კურსში იმყოფებით. (ფრანგ.).

** ოჯახის მამა. (ლათ.).

ვაზიანი დიასახლისის როლი; უცხოელს საკუთარი ხელით სთავაზობდა კერძებს, ეძახდა „ბატონ ხიუგს“ და მის გვარს ოდნავი წამლერებით წარმოთქვამდა.

— იუ-იუ-იუ — იუგი, — უსწორებდა სტუმარი და მთელი მონდომებით წელავდა „იუ“-ს, მერე კი ბგერა „გ“-ს წარმოთქმის წინ მკვეთრად წვეტდა მას.

სოფია მის გვარს მაინც ძველებურად აცოდვილებდა; მან მშვენივრად იცოდა როგორც უნდა წარმოეთქვა, მაგრამ რაღაც ნიშნისმღებებით, სულ სხვადასხვანაირად უმახინჯებდა გვარს: „იოგი“, „ხიუკი“, „იუგუ“^{ფრანგული იგონებდა ბგერათა უცნაურ შეთანხმებებს, ძმები კი გულიანად ხარხარებდნენ, თან როსაურას მოტანილ სადღესასწაულო ღვებელსა და მარციპანს შეექცეოდნენ. გემრიელმა საჭმელებმა ესტებანს უცებ გაახსენა, რომ დიდი შაბათი დამდგარიყო.}

— Les cloches, Les cloches!* — ხმამაღლა შესძახა სტუმარმა და გაგულისებით ასწია საჩვენებელი თითი, ამით თითქოს იმის თქმა სურდა, რომ მთელი დღე ქალაქში დიდ-პატარა ზარები ნამეტანს რეკენო.

მაღე მეორე ბოთლის ჯერიც დაღვა — ის უკვე არბუული ღვინო გახლდათ. ცოტა არ იყოს, შემოვრალმა ახალგაზრდებმა მის დანახვაზე ხმამაღლა გამოხატეს სიხარული და ხელები ისე აღმართეს, თითქოს ლოცავდნენ. ღვინის ჭიქები რომ დაცალეს, ყველა პატიოში გავიდა.

— იქ, მაღლა რაღა გაქვთ? — იკითხა ბატონმა იუგმა და ფართო კიბეს შეუყვია.

საფეხურებგამოტოვებით, სულ ხტუნვა-ხტუნვით ავარდა მეორე სართულზე და სახურავქვედა გალერეაში ამოყო თავი; გალერეა სვეტებით იყო გადაღობილი, სვეტებს შორის ხის მოაჯირი მიუყვებოდა.

— გაბედოს ერთი ჩემს ოთახში შესვლა, უმაღ უკან გამოვაბრძანებ, — ჩაიბუტბუტა სოფიამ.

მაგრამ დაურიდებელი სტუმარი მიუახლოვდა ბოლო კარს და ნელა ჰკრა ხელი სანახევროდ ჩარახულ საგდულს.

— აქ რაღაც საკუჭნაოსავით გვაქვს, — აუხსნა ესტებანმა.

ყმაწვილმა კაცმა თავზემით ასწია სანთელი და პირველი შევიდა მივიწყებულ ოთახში, სადაც უკვე რამდენიმე წელი ფეხი არ დაედგათ. კედლების გაყოლებით ჩამწკრივებული ყუთები, ბაულები, სამგზაური სკივრები და იქ გამეფებული წესრიგი სასაცილო კონტრასტს ქმნიდა ქვედა სართულის ოთახების ქაოსთან. სიღრმეში მოჩანდა კარადა, რომელშიც საეკლესიო ჭურჭელი ინახებოდა: კარადამ ბატონი იუგის ყურადღება დიდებული ჩუქურთმებით მიიპყრო.

— გამძლეა!.. თანაც ლამაზი! — ხმადაბლა თქვა სტუმარმა.

კარადის გამძლეობაში უცხოელის დასარწმუნებლად სოფიამ კარი იმგვარად გამოაღო, რომ მისი სისქე გამოჩენილიყო. მაგრამ ამჯერად ფრანგის ყურადღება ლითონის ხარიხაზე ჩამოკიდებულმა ძველმა ტანსაცმელმა მიიქცია: ტანისამოსი ეკუთვნოდა დედის ნათესაებს, ოდესღაც ამ სახლის ამშენებლებს. აქ აღმოჩნდა აკადემიკოსის სადღესასწაულო კოსტუმი, პრელატის შესამოსელი, საზღვაო ოფიცრის მუნდირი, მოსამართლის მანტია; აქვე იყო პაპებისა და ბებიების ტანსაცმელი — სადა სერთუკები, მაქმანით გაწყობილი გახუნებული ატლასის სამეჯლისო კაბები, გვარჯილისაგან გამწვანებული მუსლინის კაბა, ჩი-

* ზარები, ზარები. (ფრანგ.).

თის და მიტკლის კაბები; მწყემსების, მკითხავეების, ინკების პრინცის, გარდასულ დროის ქალების სამასკარადო ტანისამოსი.

— ეს ხომ ნამდვილი განძია ცოცხალი სურათების სათამაშოდ, — შესძახა ესტებანმა.

ყველამ უსიტყვოდ აიტაცა მისი აზრი, კარადიდან მოჰყვნენ დამტკვრილი ტანისამოსის გადმოლაგებას, რის გამოც ღრუბელივით აიშალა ჩრჩილფეშქვით მთელი ეს ტანსაცმელი კიბის სანთელწასმული წითელი ხის მონაწილეობის ნაასრიალეს. მალე დიდი სასტუმრო ოთახი თეატრალურ დარბაზს დაემსგავსა, და ოთხივემ ჯერჯერით დაიწყო სხვადასხვა პერსონაჟების წარმოდგენა, მონაცვლეობით ხან მსახიობად იქცეოდნენ, ხან — მაყურებლად: საკმარისი იყო ტანისამოსი, ვთქვათ, ღამის პერანგი, სადმე ქინძისთავით დაემაგრებინათ, რომ ეს პერანგი უცებ რომაულ მანტიად ან ბერძნულ ტუნიკად ქცეულიყო, და წარმოესახათ ვინმე ისტორიული პირი თუ რომანის გმირი, ამასთან, სალათის კონა დაფნის გვირგვინის მაგივრობას უწევდათ, ნიბუხი პისტოლეტს სცვლიდა, ქამარში გარჭობილი ხელჯოხი კი დაშნას. ბატონმა იუგმა, აშკარად ანტიკურობისკენ რომ ისწრაფვოდა, მორიგეობით წარმოადგინა მუციუს სცევოლა, გაიუს გრაკჩუსი და დემოსთენე, — ბერძენი ორატორი მაყურებელმა უმაღლესი შეიცნო, როგორც კი იუგი პატიოში კენჭების³ საქმებზელად გავიდა. კარლოსმა აიღო თუ არა ფლეიტა და თავზე მუყაოს სამკუთხედი დაიხურა, უყოყმანოდ შეიცნეს ფრიდრიხ პრუსიელი⁴ თუმცა თვითონ ჯიუტად ირწმუნებოდა, ფლეიტისტი კვანტცის წარმოსახვა მეწადაო. ესტებანმა თავის ოთახიდან სათამაშოდ ბაყაყი მოიტანა და ვითომცდა გალვანის ცდების ჩატარებას შეუდგა, ჭაბუკი ძალაუნებურად დაკმაყოფილდა ამით, რადგან ძველისძველი ტანსაცმლიდან ავარდნილმა მტვერმა ცემინება დააწყებინა, რაც ახალი შეტევით ემუქრებოდა. სოფიას ვარაუდით, ბატონი იუგი ნაკლებად იქნებოდა ესპანეთის ისტორიაში და კულტურაში ჩახედული და არცთუ უორაზროვნოდ წარმოადგინა ჯერ ინეს დე-კასტრო, მერე ხუანა შეშლილი, შემდეგ ცნობილი „ჭურჭლის მრეცხავი“, ბოლოს, როცა ქალიშვილმა სახეზე საშინელი გრიმასა აღიბეჭდა, რამაც იერი შეუშალა და გამოეყენებულს დაამსგავსა, ვერავინ მიუხვდა, ვის წარმოსახავდა, სოფიამ კი მაყურებლის საპროტესტო შემახილებს შუა განაცხადა, რომ მხედველობაში ჰყავდა „ბურბონთა სამეფო კარის რომელიღაც ინფანტა“. თითქმის განთიადის წინ კარლოსმა წინადადება წარმოაყენა მოეწყოთ „grand massacre“* პალმებს შორის გაბმულ მავთულზე კოსტუმები ჩამოჰკიდეს, თითოეულს ზემოდან ქაღალდისაგან გამოჭრილი, მყვირალა ფერებით გათხუპნული მასხარის სახეები მოარგეს და ბურთებით დაიწყეს კოსტუმების ჩამოყრა.

— იერიშზე! — ყვიროდა ესტებანი და შეტევაზე გადასვლის ნიშანს იძლეოდა.

მიწაზე ეცემოდნენ პრელატები, ოფიცრები, სამეფო კარის ქალები, მწყემსები და პატიოს ვიწრო ჭიდან ცისკენ აჭრილი მჭექარე ხარხარი, უეჭველია, მთელ ქუჩას ესმოდა... მზე ამოვიდა, ისინი კი კვლავ განაგრძობდნენ თამაშს, მავთულზე მოქანავე კოსტუმებს, რომელთა ჩამოყრა ბურთებით ვერ მოეხერხებინათ, ახლა პრეს-პაპიეს, ქვებს, ყვავილის ქოთნებს, ენციკლოპედიების ტომებს ესროდნენ და არნახულ, შმაგ სიხარულს ეძლეოდნენ.

— იერიშზე! — ისევ ისე გაჰკიოდა ესტებანი, — იერიშზე!..

* დიდი ხოცვა-ძლევა (ფრანგ.).

ბოლოს რემიხიოს დაუძახეს და სტუმრის უახლოეს სასტუმროში მისაყვანად ეტლის შებმა უბრძანეს. ვიქტორი დაემშვიდობა სახლის პატრონებს, დიდის ამბით გადაუხადა მადლობა და შეპირდა სალამოსათვის კვლავ გამოვივლითო.

— წუნს ვერ დასდებ, კაცური კაცია, — განაცხადა ესტებანმა.

უკვე დრო იყო, ახალგაზრდებს სამგლოვიარო ტანსაცმელი შეეცაო და სულიწმინდის ტაძარში წახულიყვნენ მამის საუკუნო ნეტარებისთვის მკორიგი სულის მოსახსენიებელი მესას მოსასმენად.

— რა იქნება ვითომ, რომ არ წავიდეთ? — იკითხა კარლოსმა მოქნარებით, — სულ ერთია უჩვენოდაც წირავენ.

— მე მარტო წავალ, — ცივად თქვა სოფიამ.

მაგრამ მცირეოდენი ფიქრის შემდეგ გაახსენდა უქეიფოდ რომ იყო, საძინებელ ოთახში ფანჯრებზე ფარდები ჩამოუშვა და დაწვა.

V

ვიქტორი, როგორც უკვე ახალგაზრდები ეძახდნენ, ყოველ სალამოს მოდიოდა, თანდათან გამოირკვა, რომ მას თითქმის ყველაფერი ეხერხებოდა: ხან ცომში ურევდა ხელებს და სუფრაზე ჭეშმარიტი მზარეულის საკადრისი, შესანიშნავი ნამცხვრები ჩნდებოდა, ხან არაჩვეულებრივ საწებელს აკეთებდა, ამასთან, ისეთი სანელებლებით კმაზავდა, რომელთა ერთად ხმარება, ერთი შეხედვით, შეიძლება წარმოუდგენლად მოგჩვენებოდათ. ცივად მოხარშულ ხორცს საუცხოო რუსულ კერძად აქცევდა ხოლმე, საამისოდ მხოლოდ კამასა და პილპილს იყენებდა. ყოველ კერძს აუცილებლივ უმატებდა ნაირ-ნაირ სანელებელსა და შემთბარ ღვინოს, ამასთან მთელ თავის კულინარულ გამოცდილებას განთქმულ მზარეულთა სახელებთან დაკავშირებული მზვაობრული სახელწოდებებით იხსენიებდა: მადრიდიდან გამოგზავნილ იშვიათ წივნთა შორის ვიქტორმა მოძებნა მარკიზ დე ვილიენის თხზულება „ნანადირევის დამზადების ხელოვნება“, რის შემდეგაც მთელი კვირის მანძილზე ისეთ საჭმელებს მიირთმევდნენ, შუა საუკუნეებში რომ მიჰქონდათ სუფრაზე: სრულიად ჩვეულებრივი ღორის სუკი უცბად საუცხოო ნანადირევის იერს იძენდა. თავისუფალ დროს ურთულეს ფიზიკის ხელსაწყოებს ჩაპკირკიტებდა — უკვე თითქმის ყველა ხელსაწყო აამუშავა — და მათი მეშვეობით ასაბუთებდა ნაირგვარ თეორიებს, სწავლობდა სპექტრის ფერებს და ღებულობდა უჩვეულო კაშკაშა ნაპერწკლებს; ყოველივე ამაზე კი მსჯელობდა მექსიკის ყურეში და კარიბის ზღვის კუნძულებზე მოგზაურობისას ნასწავლი ხატოვანი ესპანური ენით, რომელსაც დღითი დღე იმდიდრებდა ახალი სიტყვებითა თუ გამოთქმებით. ახალგაზრდებს კი ვიქტორი აიძულებდა, ევარჯიშათ ფრანგულ ენაში. ამა თუ იმ რომანიდან ხმამაღლა კითხულობდნენ მთელ გვერდებს ანდა, როგორც თეატრში, დანაწილებული როლების მიხედვით კითხულობდნენ კომედიას. სოფია სიცილისაგან იგუდებოდა, როცა ესტებანი შებინდებისას, მათთვის კი გარიჟრაჟზე, თავის მასწავლებლის ნაწყალობევი აშკარა სამხრეთული გამოთქმით წამოიწყებდა ლექსს „მოთამაშიდან“:

Il est, parbleu, grand jour, Deja de leur ramage,
Les coqs ont évelle tout nôtre voisihage*.

* თენდება, ჭანდაბას, მამლებმა ყვილით ირგვლივ მეზობლებს დაუფრთხეს ძილი (ფრანგ.).

ერთ ავღრიან ღამეს ახალგაზრდებმა ვიქტორის სთხოვეს, დილამდე ჩვენთან დარჩიო. ალიონზე წამომდგარ მასპინძლებს — მეზობლის მამლებმა ამ დროს თავები ფრთებქვეშ ამოიწყეს და დასაძინებლად მოემზადნენ, — თეაღწინ უცნაური სურათი დაუდგათ: თავით-ფეხამდე ჩამოხეულ-ჩამოფესკილი, პორტის მუბარგული ზანგივით ოფელში გაღვარული ფრანგი, რემიზიოს დახმარებით, ხსნიდა უკვე მერამდენე თვეა გაუხსნელ ყუთებსა თუ ბარდანებს, თავის გემოვნებზე დაწყობდა ავეჯს, ნოხებს იატაკზე აფენდა, თავთავის ადგილს მიუჩენდა ყუთების ვაზებს: ამან ჯერ ყველაზე სევდისმომგვრელი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა: თითქოს გამქრალიყო მომაჯადოებელი დეკორაციები. მაგრამ მერე და მერე ახალგაზრდებს ესიამოვნათ კიდევ თავიანთი ბინის ანაზღეული ცვალებადობა: ახლა ოთახები გაცილებით ფართო ჩანდა, ფერები — ნათელი, სასიამოვნო იყო ფუმფულა ღრმა სავარძელში ჯდომა, ბუფეტის დახვეწილი ინკრუსტაციის ცქერა და კორომანდელის სანაპიროდან ჩამოტანილი საამო ფერის ქსოვილით მზერის დატკობა. დადიოდა სოფია ოთახიდან ოთახში და ველარა სცნობდა იქაურობას. იყურებოდა ახალ სარკეებში, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ იმგვარად დაედგათ, რომ ადამიანს გარს ეხვეოდა უამრავი საკუთარი გამოსახულება — ყველაზე მკაფიოდან მოკიდებული ნისლშემოხვეულივით ბუნდოვანამდე. ოთახის ზოგიერთ კუთხეს სინესტის ლაქები აჩნდა და კიბეზე აფოფხებული ვიქტორი იმგვარი თავგამოდებით უსევამდა მღებავის ფუნჯს, რომ წარბები და ლოყები კირით ერთიანად მოთხვროდა. უცებ ახალგაზრდებსაც ძალიან მოუნდათ, წესრიგში მოეყვანათ სახლი და მოჰყვინდნენ დარჩენილი ავეჯის გახსნას, ნოხების დაფენას, ფარდების გაშლას, ნახერხიდან ფაიფურის ამოლაგებას; დამტკრეულ ჭურჭელს პატიოში ისროდნენ და თითქოს სინანულიც კი იპყრობდათ, უსარგებლო რამ ასე ცოტა რომ იყო, — თეფშებს აქამდე ხომ სიამოვნებით ამსხვრევდნენ ქვიტკირის კედელზე! განთიადისას სასადილო ოთახში ნადიმი გამართეს, თანაც ყოველივე ეს ვითომც ვენაში ხდებოდა, ვინაიდან სოფიას სწორედ ახლახან დაეწყოს სტატიების კითხვა, რომლებშიც ათასნაირად განადიდებდნენ მსოფლიოში ამ ყველაზე მუსიკალური ქალაქის მარმარილოს, ბროლსა და კედლის მხატვრობას, ამასთან, ქალაქს წმინდა სტეფანე უწევდა მფარველობას, ვის პატივსაცემადაც დაერქვათ სახელი ოცდაექვს დეკემბერს დაბადებული ესტებანისთვის... შემდეგ წახნაგოვანი სარკეებით დამშვენებულ სასტუმრო ოთახში „დესპანთა მეჯლისი“ გამართეს. გაისმა ფლეიტის ხმა, — უკრავდა კარლოსი, — ამ უჩვეულო ზეიმის გამო გადაეწყვიტა, სულაც არ მიექცია ყურადღება, რას იტყოდნენ მეზობლები. ლანგრებზე ელაგა პუნშიანი ჭიქები, ქაფს დარიჩინის ფხვნილი ეფრქვია; პუნში „სამეფო კარის მრჩეველს“ მოემზადებინა; ესტებანმა, რომელიც იმ დღით მკერდზე ვარსკვლავმიბნეულ მჭმუნვარე დოფინს განასახიერებდა, შეამჩნია, რომ მეჯლისის მონაწილენი ერთმანეთზე უარესად ცეკვავდნენ: ვიქტორი ისე ქანაობდა, როგორც გემბანზე მეზღვაური, სოფიას მონაზვნობის გამო სულ არ ეხერხებოდა ცეკვა, თავისავე მუსიკის ჰანგებს აყოლილი კარლოსი კი საკუთარი ღერძის გარშემო მბრუნავი მოსამართი თოჯინასავით ტრიალებდა.

— იერიშზე! — ღრიალებდა ესტებანი და ახალგაზრდებს კაკლებსა და კარამელებს ესროდა.

მაგრამ ეს თავშექცევა დოფინს, ეტყობა, არ მოუხდა, რადგან ყელიდან უცაბედად ავადმყოფობის შემოტევის მაუწყებელი სტვენაგარეული ხავილი აღმოხ-

და. რამდენიმე წუთში ჭაბუკს სახე დაუნაოჭდა, დაუბერდა და წამებულის ნიღბად გადაექცა. კისერზე ძარღვებდაბერილმა მუხლები, რაც შეეძლო, გან-განზე გასწია, იდაყვები წინ გამოიშვირა, გაშეშებული მხრები აიწურა და მთელი ძალით ჩაისუნთქა ჰაერი, რომელიც ამ ხალვათ ოთახშიც არ ჰყოფნიდა.

— სადმე გარეთ, სიგრილეში უნდა გავიყვანოთ, — თქვა ვიქტორმა.

სოფიას ეს არასოდეს მოსულია აზრად. მკაცრი ზნე-ჩვეულებების მიმდევარი მამის სიცოცხლეში საღამოს ლოცვის შემდეგ შინაუბრებიდან კერძო გაბედავდა ქუჩაში გასვლას. ვიქტორმა ასთმიანი ესტებანი ეტლამდე ხელში ატატებული მიიყვანა, ამასობაში, კარლოსმა ცხენის აღკაზმულობა და ცალული მოიტანა და თავის სიცოცხლეში სოფია ასე გვიან პირველად გავიდა ქუჩაში; სახლები ღამით გაცილებით დიდები ჩანდნენ, რადგან სიბნელეს შენობათა ჩრდილები გაეზარდა, სკეტები დაეგრძელებინა, სახურავები თითქოს განზე გაეწია, ლავგარდანები კი მძიმედ ჩამოსწოლოდა ღირებით, სირინოზებითა და თხის თავებით მორთულ გისოსებს; ისინი რელიეფურად მოჩანდნენ გისოსების ფონზე, გასაღებიან, ლომებიანსა და წმინდა იაკობის ნიჟარის გამოსახულებიანი რომელიმე გერბის მეზობლად. ახალგაზრდები ფართო ქუჩაზე გავიდნენ, სადაც ჯერ კიდევ ერთი რამდენიმე ფარანი, ცუდად განათებული ქუჩა უკაცრიელი ჩანდა, ყველა დუქანი დაეკეტათ, თაღელები სიბნელეს მოეცვა, შადრევნები უმოქმედოდ იყო, მარტოოდენ მოშორებით, ჯებირს იქით, ხომალდების ტყედაღმართულ ანძათა წვერებზე კაშკაშებდა სინათლე. ნავმისადგომთან წყნარად მოდგაფუნე ტალღებს მოჰყვებოდა თევზის, ზეითუნის ზეთისა და დამპალი წყალმცენარეების სუნი. ერთ, უკვე ძილაღმივარდნილ სახლში გუგულმა საათზე გუგუ დასძახა, ღამის დარაჯმა სიმღერით გამოაცხადა დრო, მისი ძახილი იუწყებოდა, რომ ცა უღრუბლო და ნათელი იყო. ეტლი სიფრთხილით წინ და უკან სამჯერ აატარ-ჩაატარეს, ესტებანმა ხელით ანიშნა, სეირნობის წინააღმდეგი არა ვარო. ეკიპაჟმა გემის ნავსაშენისკენ გასწია: წყლის ზედაპირზე დაუმთავრებელ გემთა კარკასები ვეებერთელა სამარხებივით მოჩანდა.

— შორს ნულა წავალთ, — თქვა სოფიამ, რაკი დაინახა, ჯებირი და ხომალდთა კარკასები უკან მოიტოვეს, ამასთან გზაზე დროდადრო უსიამოვნო გარეგნობის ადამიანებიც ხელებოდნენ.

ვიქტორმა ქალიშვილის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია და ცხენს მსუბუქად გადაჰკრა შოლტი. სულ ახლოს ვაკრთა სინათლე, რომელიდაც სახლის კუთხეში მოხვევისას კი ჯგრო-ჯგროდ მოხეტიალე ხმაურიანი მეზღვაურებით სავსე ქუჩაში აღმოჩნდნენ. ღამის ტავერნის ღია ფანჯრებიდან მუსიკისა და სიცოცხლის ხმა გამოდიოდა. დოღების ბრაგაბრუგზე, ფლეიტებისა და ვიოლინოთა პანგებზე წყვილები ისეთ უხამს მოძრაობებს აკეთებდნენ, რომ სოფიას სახე აელეწა; აღშფოთებისაგან დამუნჯებულ ქალიშვილს მაინც ვერ მოეწყვიტა თვალი ოთხკედელშუა გამომწყვდეული და კლარნეტების გამკვირვან ხმებს დამორჩილებული ბრბოსათვის. დაუდევარი მულატი ქალები გამომწყვევად აქნევდნენ თემოებს, მამაკაცებს აღიზიანებდნენ უკანალების გამოჩენით, და როცა მამაკაცებიც არცთუ ორაზროვანი გადაწყვეტილებით გაექანებოდნენ მათკენ, ქალები უმაღლეს ხალხობრივად აგზნებულ პარტნიორებს. კაბაწამოხდილ ზანგის გოგოს პატარა ესტრადაზე ქუსლების ბაკუნით ძველი ცეკვის „გუარაჩას“ რიტმი გამოჰყავდა, თან ერთთავად მარტო მისამღერს იმეორებდა: „როდისღა, ჩემო სიცოცხლე, როდის?“ ერთმა ქალმა ერთი ჭიქა ღვინისთვის მკერდი მოიღელა, მეორემ, მაგიდაზე დამხობილმა, ფეხსაცმელი ჭერში ისროლა, კაბა წამოიხადა

და ბარძაყები გამოიჩინა. ტავერნაში მობორიალე სხვადასხვა პროფესიისა და ჯილაგის შამაკაცები შემთხვევას ეძებდნენ, რომ გავლისას ქალებისათვის დუნდულებზე ეჩქმიტათ. ვიქტორი, მოვრალეებს ჭეშმარიტი მეეტლის სიმბოლოებით რომ უქცევდა გვერდს, ეტყობა, ერთობოდა ამ თავაწყვეტილი მხარულებით; ჩრდილოეთამერიკელებს იგი რწევით სიარულზე სცნობდა, ინგლისელებს — თავიანთი სიმღერებით, ესპანელებს კი იმით, რომ თან ტიკებსა და ღვინის ღოჭებს დაათრევდნენ. რომელიღაც ფიცრული სახლის ზღურბლთან კახპები ძალისძაღად გამოჭერილ გამკლევებს თავს აჩქმენტინებდნენ და ხელებს სადღა არ აფათურებინებდნენ: ერთი ვიღაც შავწვეროსანი გიგანტი ისე სულსწრაფად დაეცა ლოგინზე, ქალმა კარის მოხურვაც ვერ მოასწრო. მეორე ქალი თვითონ ხდიდა გამხდარ, სიმთვრალისაგან საძრაობაწართმეულ იუნგას. მრისხანებისა და ზიზღისაგან სოფიას ყვირილი მოუნდა, უფრო მეტად ისა სტანჯავდა, რომ ყოველივე ეს კარლოსისა და ესტებანის თვალწინ ხდებოდა. თავად მისთვის ეს სამყარო საოცრად უცხო იყო; იმას, რაც გარშემო ხდებოდა, ისე უცქერდა, როგორც ჯოჯოხეთის ჩვენებას, როგორც დასახლებული სამყაროს მიღმა არსებულს. მას არ შეიძლება ჰქონოდა რაიმე საერთო უსირცხვილო და უნამუსო ადამიანებით გაჭედული პორტის ამ კლოაკასთან. მაგრამ ძმების სახეზე შეამჩნია რაღაც ბუნდოვანი, უჩვეულო, მომლოდინე, ღამის დაინტერესებული გამოძეტყველება და ამან სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ეტყობა, ირგვლივ რაც ხდებოდა, ძმებში ზიზღს არ იწვევდა, ის კი არა, მათ გრძნობებსა და უცხო სამყაროს ამ არსებათა მდაბალ ვნებებს შორის, შესაძლოა, ურთიერთგაგებაც კი წარმოშობილიყო; სოფიამ ანაზღად ესტებანი და კარლოსი ღამის ტავერნაში, შერე კახპების ბუნაგში წარმოიდგინა — ძმები საძაგელ საწოლებზე ეყარნენ, მათი ჭაბუკური ოფლი შერეოდა ყველა ამ ძუკნის აყროლებულ ოფლს... ქალიშვილი წელში გაიმართა, ვიქტორს ხელიდან შოლტი გამოსტაცა და ცხენს ისე გადაუჭირა, სულ ოთხით გააჭენა, წინ გაჭრილმა ცხენმა შიგნეულობით მოვაჭრე ქალს ურიკა და თასები გადაუყირავა. მიწაზე გაიფანტა ჭიჭყინა თევზი, ფუნთუშები, ხორცის თუ ჯიგრის ღვეზელები, შიშინით დაიქცა მღულარე ზეთი, რის კვალდაკვალაც დაფუფქული ძაღლის საცოდავი წკაწკავე გაისმა: საბრალო ცხოველი მტვერში გაგორდა, მაგრამ მინის ნამტვრევებით და თევზის ფხებით უარესად დაიარაგებული უმაღლე ყეფით წამოვარდა. ქუჩაში საშინელი გნიასი ატყდა. ზანგის ქალები ეტლს სიბნელეში კეტებით, დანებითა და ცარიელი ბოთლებით გამოეკიდნენ; ნასროლი ქვები სახურავებს ეცემოდა და ნამსხვრევებად ქცეულ კრამიტებთან ერთად ძირს ცვიოდა. როცა მღევრებმა შეატყვეს, ეტლს ვეღარ დაეწეოდნენ ისეთი ლანძღვა-გინება დააწიეს, რომ ღვენილნი სიცილს ძლივს იკავებდნენ, იმდენად უხამსი, უსირცხვილო და განუმეორებელი ეჩვენებოდათ ეს გინება.

— და ყოველივე ეს უნდა მოისმინოს ზრდილმა ქალიშვილმა, — ჩაილაპარაკა შეძრწუნებულმა კარლოსმა, როცა ეტლმა გადაუხვია და კვლავ ფართო ქუჩაზე გავიდა.

შინ დაბრუნებულ სოფიას არც სახთელი აუნთია, არც არავის დამშვიდობება, ისე განმარტოვდა თავის ოთახში.

საღამო ხანს, როგორც ყოველთვის, მოვიდა ვიქტორი. ხანმოკლე სულის მოთქმის შემდეგ ესტებანი ისევ ცუდად გახდა, შეტევა მთელ დღეს გაუგრძელდა, თან უფრო და უფრო უმძაფრდებოდა, საბრალო ყმაწვილი სულს ძლივს ითქვამდა, კრუნჩხვები დაეწყო და შინაურებმაც იფიქრეს ექიმის მოსაყვანად ვინმე გაეგზავნათ — ასეთი გადაწყვეტილების მიღება მათთვის იოლი არ იყო, რა-

დგან ავადმყოფი მწარე გამოცდილებით არაერთხელ დარწმუნდა, რომ თუკი წამალი რაიმე ზემოქმედებას ახდენდა, საბოლოო ჯამში, მხოლოდ უუარესებდა მდგომარეობას. პატიოში გამავალი ფანჯრის გისოსებს ჩაბლაუფებულ ჭაბუკს, შვების ამოი ძიებაში, მთელი ტანისამოსი გაეხადა. ნეკნები და ლაფიწის ძვლები ისე გამოსჩროდა, გეგონება, სადაცაა კანს გახვეწნო; მის შემხედვარეს ესპანეთის აკლდამის მიცვალებულები — შიგნეულობაგამოცდილნი, ქტყვადაკრული ჩონჩხები დაუდგებოდა თვალწინ. ღრმად ჩასუნთქვის ფუჭი ცდილობის ქანცამოლეული ესტებანი ძირს დაენარცხა და ბეჭებით კედელს მიეხეთქა. სახე ჩაულურჯდა, ფრჩხილები გაუშავდა, ირგვლივ მყოფთ ჩამქრალი თვალები მიაშტერა. სისხლი მძვინვარედ სცემდა საფეთქლებთან. ავადმყოფი ოფლში გაწუწულიყო, პირი გაშრობოდა, გაშეშებული ენით გათეთრებულ ღრძილებს აწვებოდა: კბილებს აღრჭიალებდა.

— რაღაც უნდა ვიღონოთ! — შეჰკივლა სოფიამ, — რაღაც უნდა ვიღონოთ! ვიქტორი, რამდენიმე წუთს გარეგნულ უშფოთველობას რომ ინარჩუნებდა, უცებ შეკრთა, თითქოსდა რაიმე სამძიმო გადაწყვეტილება მიეღოს, მერე ეტლის შებმა ითხოვა და განაცხადა, ერთ კაცთან წავალ, რომელსაც ზებუნებრივი ძალების შემწეობით შეუძლია ესტებანის სნეულებას რაიმე მოუხერხოს. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა მეტისმეტად ელეგანტურად ჩაცმული, ჩაბსკენილი მულატის თანხლებით; სახელგანთქმული ექიმი და ცნობილი ფილანთროპი ოჟე გახლავთ, რომელსაც პორტ-ო-პრენსში გავეცანიო, — წარუდგინა და-ძმას ვიქტორმა. სოფიამ თავი ოდნავ დაუკრა ახლად მოსულს, მაგრამ ხელი არ გაუწვდია. ექიმის შედარებით ღია ფერის კანმა ვერ მოატყუა: კანი ეტყობა, ზემოდანა აქვს გადაკრული შავ სახეზე, რაზედაც ნესტოებგაფლაშული, გაბრტყელებული ცხვირი აზის, შუბლს კი ხშირი ხუჭუჭა თმა უფარავსო. ზანგი და ფერადკანიანი, ქალიშვილის აზრით, მხოლოდ მოსამსახურე, მებარგულე, მეეტლენ ან მოხეტიალე მუსიკოსი შეიძლება ყოფილიყო. სოფიას უკმაყოფილო გამოხედვა რომ დაიჭირა, ვიქტორმა აუხსნა, ექიმი ოჟე სენ-დომენგის შეძლებული ოჯახის შვილია, განათლება პარიზში მიიღო, სადაც სწავლული ექიმის დიპლომიც მისცესო. ერთი რამ აშკარა იყო — ექიმი დახვეწილად მეტყველებდა, ფრანგულად ლაპარაკისას იყენებდა ძველმოდურ, თითქმის ხმარებიდან გამოსულ სიტყვათა წყობას, ესპანურ ენაზე საუბრისას კი სიტყვებს გულმოდგინედ წარმოთქვამდა კასტილიურ კილოზე; ჰქონდა კარგად აღზრდილი ადამიანის მანერები.

— მაგრამ ის ხომ... ზანგია! — შიგ ყურში ჩასჩურჩულა სოფიამ ვიქტორს.

— ყველა ადამიანი თანასწორი იბადება, — უბასუხა მან და ოდნავ განზე გადასა.

ვიქტორის სიტყვებმა ქალიშვილს ფარული მტრობა გაუმძაფრა. რასაკვირველია, გონებაჭვრეტით ეთანხმებოდა ამ დებულებას, მაგრამ ვერ ირწმუნებდა, რომ ზანგი შეიძლება გამოცდილი და მცოდნე ექიმი ყოფილიყო და რომ შაკვანიანისთვის შეიძლებოდა მიენდოთ ახლობლის ჯანმრთელობა. სასახლის მშენებლობას, ბრალდებულის დაცვას, თეოლოგიის საკითხებზე დავას, ქვეყნის მართვას ზანგს არავინ დაავალებდა... მაგრამ ამ დროს ესტებანის ოთახიდან ისეთი ხიხინი და კვნესა გაისმა, რომ ყველა იქ შეცვივდა.

— ექიმს დააცადეთ მიხედოს, — მტკიცედ მოითხოვა ვიქტორმა, — რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, რაღაც უნდა ვუშველოთ.

მულატს ავადმყოფისათვის არც დაუხედავს, არც გაუსინჯავს, არც მოუსმენია, გაუნძრევლად იდგა და უცნაური გამომეტყველებით ყნოსავდა ჰაერს.

— აშკარაა, ეს არ არის პირველი შეტევა, — თქვა ცოტა ხნის მერე.

ამ სიტყვებზე ექიმმა ზედ ჭერთან, კოჭებს შუა კედელში დატანებულ მრგვალ სარკმელს ახედა. მერე იკითხა, ამ კედლის იქით რა არისო. კარლოსს კაახსენდა, რომ უკან პატარა ეზო იყო, ვიწრო და ნესტიანი, გადახურული გასასვლელის მსგავსი, სადაც ძველი ავეჯი და უსარგებლო საგნები ეყარა ქუჩიდან მას ხვიარა მცენარეებით დაფარული ქვის გალავანი ჰყოფდა, გალავნის იქით რამდენიმე წელია აღარავინ გასულიყო. ოჟემ დაიფინა, იქით განმეორებით მათ მოსავლელი გზით რემიხიოს ოთახზე გაიარეს, მსახური ის-ის იყო რაღაც წამლის მოსატანად გაეგზავნათ; ცისფრად შეღებილი კარი ჭრიალით გამოაღეს თუ არა, ექიმი და მისი თანმხლებნი პატარა ეზოში აღმოჩნდნენ; თვალწინ მოულოდნელი სანახაობა გადაეშალათ: ორ გრძელ შარად დათესილი იყო ოხრახუში, წყლის მრავალძარღვა, ჭინჭარი, მიმოზა და ტყის რაღაც ბალახი. შუაში ვეება ბუჩქებად ჰყვოდა რეზედა. საკურთხეულის დარ ნიშში იდგა სოკრატეს ბიუსტი, რომელიც სოფიას ბავშვობისას მამის კაბინეტში ენახა; ბიუსტის ირგვლივ უცნაური შესაწირავი ეწყო, სწორედ იმგვარი, ჯადოქრები და ექიმბაშები რომ იყენებენ შელოცვის დროს: აქ იყო სიმინდით სავსე ფინჯნები, გოგირდის ნამსხვრევები, ნიჟარები, რკინის ნახერხი.

— C'est Ga*, — ჩაილაპარაკა ოჟემ და პაწია ბაღს ისე გულმოღვინედ დაუწყო თვალღერება, თითქოს მას რაღაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

უცებ სულმოუთქმელად დაიწყო რეზედას ძირიანად დაგლეჯა და კვლებს შუა დაყრა, მერე სამზარეულოსკენ წავიდა, უმაღლესი დაბრუნებულს აქანდახით ჩაკვერჩხალი მოჰქონდა. რეზედას გროვას ცეცხლი წაუკიდა, მერე ამ ვიწრო ეზოში რაც რამ მცენარეულობა იზრდებოდა, ყველაფერი შიგ ჩაყარა.

— შესაძლოა მივაგენით სნეულების მიზეზს, — ხელახლა აღაპარაკდა ექიმი და მოჰყვა ახსნა-განმარტებას, რაც სოფიას რაღაცით შავ მაგიახზე გამართულ ლექციად მოეჩვენა.

ოჟეს თქმით, ზოგიერთი სნეულება იდუმალად იყო დაკავშირებული იმასთან, რომ მეზობლად ხარობს რაიმე ბალახი, ყვავილი ან ხე. ყველა ადამიანს მცენარეულთა სამეფოში ჰყავს თავისი „ორეული“ და არცთუ იშვიათად ეს „ორეული“ უმოწყალოდ ართმევს მასთან დაკავშირებულ ადამიანს სასიცოცხლო ძალას; იმ დროს, როცა მცენარე ჰყვავის ან ნაყოფს ისხამს, ადამიანი მძიმედ სნეულდება.

— Ne souriez pas, Mademoiselle.* — უთხრა ექიმმა.

მერე მოჰყვა, რომ ამაში თვითონაც არაერთხელ დარწმუნებულიყო: სენდომენგში ასთმა საშინლად აწამებდა ბავშვებსა და მოზარდებს, ისინი ხშირად იხოცებოდნენ სულის ხუთვისაგან ქანცგაწყვეტილები და ხანდახან საკმარისი იყო, ცეცხლისთვის მიეცათ ავადმყოფის ახლომახლო, საკუთარ სახლში ან სადმე მეზობლად აყვავებული მცენარე, რომ სნეული სასწაულებრივად გამოჯანმრთელებულიყო...

— ჯადოქრობაა, ასეც იყო მოსალოდნელი, — ჩაიბუტბუტა სოფიამ.

ამ დროს გამოჩნდა რემიხიო; დაინახა თუ არა, რაც ხდებოდა, ანაზღად გაცეცხლდა. წონასწორობადაკარგულს დაავიწყდა ბატონებისადმი ჩვეულებრივი

*აქ: ნამდვილად ასეა (ფრანგ).

** ნუ გელიძებათ, მადმუაზელ (ფრანგ.).

რიდი, შლაპა მიწაზე დაანარცხა და ხმამაღლა მოჰყვა ჩივილს, რომ დაუწვეს სამკურნალო ყვავილები და ბალახები, რომელთაც უხსოვარი დროიდან ახარებდა ბაზარში გასაყიდად, რომ კაისიმონიც კი არ დაენდოთ, ძნელად რომ ეგუება ადგილობრივ ჰავას, თანაც ძამაკატოა მიზეზიანი ადგილის ყველა დაავადების განკურნება შეუძლიათ: ამისთვის მარტო ის კმარა, კაისიმონის ფოთლები დაიდო და ლოცვა აღუვლინო წმინდა ერმენუხილდის, რომელსაც სწავლილი სულთანის ბრძანებით უწყალოდ დააკარგვინეს ძამაკატური უნარი, თანაც კიდევ მცენარეების განადგურებით სასტიკად შეურაცხყავით ტყეების მბრძანებელი, სწორედ მისი მეჩხერწყვიანი „პორტრეტი“ — ახლა ასეთ წვერს ვილა ატარებს — ამ სიტყვებზე რემიხიომ ბიუსტზე მიუთითა — აკურთხებდა აქაურობას, სადაც შინაურებიდან დღემდე შიგნით არავის შემოუხედავსო. რემიხიო აქვითინდა, მერე ზღუქუნით განაცხადა, ჩემს განსვენებულ ბატონს ოდნავ მაინც რომ ერწმუნა სამკურნალო ბალახებისა — მე კი დაბეჯითებით ვთავაზობდი, რაკი შევატყვე ცუდ გზას ადგა და ქალების შინ მოყვანა დაიწყო, როცა კარლოსს მამულში აგზავნიდა, სოფია მონასტერში მიდიოდა, ესტებანი კი მძიმედ იყო ავად და ვერაფერს ამჩნევდა, — მაშინ აღარც მოკვდებოდა ასეთი სიკვდილით, როგორც მოესწრაფა — დედაკაცს აბობლებული; ბატონი, საერთოდ, ძალზე ხშირად ეძლეოდა ამქვეყნიურ სიამეს, რისი უნარიც მოხუცებულებს აღარ შესწევთო.

— ხვალვე მიბრძანდით ჩვენი სახლიდან, — უყვირა სოფიამ, რათა რაც შეიძლება ჩქარა შეეწყვიტა ეს საძაგელი სცენა.

სოფია დათრგუნული და ღრმად შეურაცხყოფილი იყო, თუმცა ბოლომდე ვერ გაეცნობიერებინა საშინელი, ბევრი რამისთვის ნათელის მომფენი ახალი ამბავი. ყველა ესტებანის ოთახში დაბრუნდა, კარლოსი, ეტყობა, ჯერ ვერ ჩასწვდენოდა რემიხიოს აღმოჩენის აზრს და წუხდა, წვრილმან რამეებზე ამდენი დრო რომ დახარჯეს. ამასობაში ავადმყოფს აუხსნელი რამ ემართებოდა. მტანჯველი, ლამის ხორხის მფლეთავი სტვენაგარეული ხახინი თანდათან უფრო იშვიათად ისმოდა, სულის მოთქმა რამდენიმე წამს უგრძელდებოდა. ესტებანი ყოველ ჯერზე თითქოს მოკლე ყლუპებად სკამდა ჰაერს და აშკარად შვებას გრძნობდა. ნეკნები და ლავიწის ძვლები ნელ-ნელა ქვემოთ იწვედნენ და ჩვეულ ადგილს უბრუნდებოდნენ.

— ისევე როგორც ზოგიერთი ადამიანი იღუპება ვნების ხუთშაბათს აყვავებული ფლამბოიანისა და ღიჭას გამხრწნელი გავლენისაგან, ეს ყმაწვილიც ნელ-ნელა კვდებოდა მისი სასიცოცხლო წვენი ნაკვები ყვითელი ყვავილებისაგან, — თქვა ოჟემ.

ექიმი ახლა ავადმყოფის წინ იჯდა, ჭაბუკის მუხლები თავის მუხლებშია მოემწყვდია, დაშტერებით და მბრძანებლურად უყურებდა თვალებში, თითებს კი ისე ნელა და ფრთხილად უსვამდა საფეთქლებზე, თითქოს უხილავი დენის მოქმედების შესუსტება სწადიათ. წამებულს სახეზე ენით აუწერელი გაკვირვება და მადლიერება აღებეჭდა, ლოყებიდან სისხლი უკუიქცა, მაგრამ შუბლსა და ყელზე ჯერ ისევ ლურჯად დაბეროდა ძარღვები. ოჟემ მასაფის მეთოდი შეცვალა: ორივე ხელის ცერა თითებს წრიულად უსვამდა წარბებს ზემოთ. მერე ხელები ანაზღად მოაშორა, უკან წაიღო, თითები ერთმანეთს გადააჭდო და ერთხანს ხელის მტევნები თავის ლოყის გასწვრივ ეჭირა, თითქოს რაღაც წეს-ჩვეულებას ასრულებსო. ამასობაში ავადმყოფი გვერდზე გადავარდა, უცაბედად გაირინდა, დაწნულ ტახტზე გაუნძრევლად მწოლარეს სხეულის ფორებიდან ოფლი

ღვრად დასკდა. სოფიამ ჭაბუკს შიშველ სხეულზე საბანი დააფარა.

— გაღვიძებისთანავე იპეკაკუანის და არნიკას ფოთლების ნაყენი დაალევი-
ნეთ, — თქვა ექიმმა და ოღნავ დაჭმუჭნული კოსტუმის გასასწორებლად სარკე-
სთან მივიდა.

სარკე ექიმზე თვალმიშტერებულ სოფიას კითხვადქცეულ გამოხედვას ირე-
კლავდა. ექიმის თეატრალურ მიმოხერაში ჯადოქრულიც იყო რაღაცა და მარ-
ლითურიც, მიუხედავად ამისა მან ეს-ესაა სასწაული მოახდინა.

— ჩემი მეგობარი კაპ-ფრანსეს „ჰარმონიის საზოგადოებიდანაა“, — უხსნი-
და ვიქტორი კარლოსს, თან პორტუგალიური ღვინის ბოთლს ხსნიდა.

— ეს რა, მუსიკალური საზოგადოებაა? — იკითხა სოფიამ.

ოჟემ და ვიქტორმა ერთმანეთს გადახედეს და გულთანად გაეცინათ. ამ ნა-
უცხადევად მომსკდარმა გაურკვეველმა მზიარულებამ ქალიშვილი გააგულისა,
შეტრიალდა და ესტებანის ოთახში გავიდა. ღრმა ძილში მყოფი ავადმყოფი უკ-
ვე თანაბრად სუნთქავდა, ფრჩხილებს ნელ-ნელა უბრუნდებოდა თავისი ფერი.
ვიქტორი სასტუმრო ოთახის ზღურბლზე ელოდა სოფიას.

— ექიმს ვიზიტისათვის ფული უნდა გადაუხადო, — უთხრა ოღნავ გასაგო-
ნად.

საკუთარი გულმავიწყობით დარცხვენილმა ქალიშვილმა სასწრაფოდ გამო-
იტანა თავისი ოთახიდან კონვერტი და ოჟეს გაუწოდა.

— Oh! Jamais de la vil! — შესძახა მულატმა და ქალიშვილ-
ის ხელი გულისწყრომით მოიშორა, და უმაღლ ალაპარაკდა თანამედროვე მედი-
ცინაზე, რომელიც ბოლო წლებში იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ ჯერ-
ჯერობით ნაკლებად შესწავლილ რაღაც ძალებს უნარი შესწევთ ზემოქმედება
მოახდინონ ადამიანის ჯანმრთელობაზე. სოფიამ ვიქტორს მრისხანედ შეხედა,
მაგრამ მისი მზერა ვერ მოიხელთა: ფრანგი თვალმოუშორებელი მიშტერებოდა
პატიოში თეძოების რხევით მიმავალ მულატ როსაურას, რომელსაც გამჭვირვა-
ლუ ცისფერი ყვავილებიანი კაბა შემოტმასნიდა.

— ერთობ საინტერესოა! — ჩაიბუტბუტა ქალიშვილმა და ისეთი სახე მიი-
ღო, თითქოს ყურადღებით უსმენდა ოჟეს საუბარს.

— Plait-il? — ჩაჰკითხა მულატმა.

პალმის ფოთოლი ხმაურით მოწყდა ხეს და შუა პატიოში დაეცა. ქარს ზღვის
სუნი ისე ახლოდან მოჰქონდა, თითქოს ზღვა ქალაქის ქუჩებში მიდიდებულებო.

— წელს ციკლონს ვერ გადავურჩებით, — ჩაილაპარაკა ალბერტ დიდის
თერმომეტრის წინ მდგარმა კარლოსმა და შეეცადა ფარენჰაიტის სკალიდან
გრადუსი რეომიურის სკალაზე გადაეტანა.²

ყველას რაღაც უხერხულობა დაუფლებოდა. ხმამაღლა წარმოთქმული არ
შეესატყვისებოდა ჭეშმარიტად ნაფიქრალს, თითქოს ენა და ბაგე სხვისი
ჰქონდათ და ვერ დაემორჩილებინათ. კარლოსს სულაც არ აინტერესებდა ალ-
ბერტ დიდის თერმომეტრი; ოჟე მიხედა, რომ არ უსმენდნენ; სოფიას ვერა და
ვერ გაუარა რემიხიოს მიმართ გაგულისებამ და გაშმაგებულმა მტრულმა
გრძნობამ — განა მან არ გასცა ხმამაღლა ეგრე უხეშად ის, რასაც კარვა ხა-
ნია თვითონაც მიხვედრილი იყო, ის, რის გამოც შეზიზღებოდა უბადრუკი საქ-
ციელი მამაკაცებისა, რომელთაც არ შესწევთ უნარი უდრტვინველად და ღირ-

1. ო, არასოდეს!.. (ფრანგ.).

2. რა ბრძანეთ? (ფრანგ.).

სებით გადაიტანონ უცოლობით თუ ქვრივობის გამო მირგუნებული მარტო-ობა. მსახურის კადნიერებით გამოწვეული მრისხანება სულ უფრო და უფრო მეტად უფორიაქებდა სულს, გრძნობდა, ზანგის წინდაუხედავმა სიტყვებმა აიძულა გამოსტყდომოდა თავს, რომ მამა არასოდეს არ ჰყვარებია: ქალიშვილობაში ფეხის შედგმისთანავე შეიზიზლა ძირტკბილასა და თამბაქოს სუნდაკრული კოცნა, რომელსაც მამა ყოველ კვირა დღეს მჭამუნჯაზე მჭამუნჯის შემდეგ, შვილის მონასტერში გამგზავრების წინ გულგრილად აღბეჭდავდა ხოლმე მის შუბლსა და ლოყებზე.

VI

სოფიას ვერაფერი გაეგო, რა ემართებოდა, თავგზა დაბნეოდა, ეკონა, მის ცხოვრებაში სულ ძალე რაღაც დიდი ცვლილება უნდა მომხდარიყო. შებინდებისას ხშირად ეჩვენებოდა, რომ ოთახის ხან ერთსა და ხან მეორე კუთხეში ჩაგუბებული მწუხრიდან გამოიჭრებოდა რაღაც ჩამავალი მზის სხივის დარი და საგნებს ახლებურ იერს ანიჭებდა. ბინდბუნდიდან გადმოდიოდა იესო ქრისტე და ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდა. ესა თუ ის საგანი, რომლებსაც აღრე თითქმის ვერ ამჩნევდა, ახლა ოსტატურად ნამუშევრით იქცევდნენ მის ყურადღებას. კომოდის ხის ნუჯრებში საცნაურდებოდა ქერელის ტილოს ხაზები, ფოთლებით მოფენილ პარკში მოონაურე ერთ-ერთი არლეკინი ანაზღუღად უფრო ღია ტონებით შეფერილიყო, თითქოს ეს-ესაა გაეკეთებინათ რესტავრაცია და მთელი სურათიც სულ სხვადასხვაგვარად აღიქმებოდა; ამასთან, „აფეთქებას კათედრალურ ტაძარში“ ადრინდელზე უარესად გამოჰყავდა მოთმინებიდან, მას არ შეეძლო მშვიდად ეცქირა დაბზარული და ჰაერში ავარდნილი სვეტებისთვის, რომლებიც სივრცეში გაქვავებულებივით ეკიდნენ, ძირს ცვიოდნენ და მაინც ვერ ახერხებდნენ ჩამოცვივნას... პარიზიდან გამოვგზავნათ წიგნები, რომელთა წაკითხვას სულ რამდენიმე თვის წინათ ისე ესწრაფვოდა, რომ კატალოგი ჰაიპარად გამოიწერა, ახლა კი ამ წიგნების დასტა გაუხსნელად ელაგა ბიბლიოთეკის თაროებზე. ხან ამას ეჭიდებოდა, ხან იმას, საჭირო საქმეებს უგულისყუროდ ეკიდებოდა და უსარგებლო რამეზე ფლანგავდა დროს — აწებებდა გატეხილ ვაზებს, რგავდა მცენარეებს, რომლებიც ტროპიკული ჰავის პირობებში მაინც ვერ გაიხარებდნენ, გატაცებით კითხულობდა ტრაქტატს ბოტანიკაში, მერე გონებადაფანტული ჩასცქეროდა წიგნს, სადაც პატროკლესა და ენეასის¹ გმირობა იყო მოთხრობილი, ცოტა ხნის შემდეგ მოწყენილი ხურავდა წიგნს და გულმოდგინედ ქექავდა ნაკუწების ზანდუკს; დიდხანს არაფერზე არ შეეძლო ყურადღების შეჩერება — დაიწყებდა თუ არა ტანისამოსის წესრიგში მოყვანას, იმავე წამს გადასდებდა, ახლა გასაკლის დაანგარიშებას შემოიგდებდა გუნებაზე, მაგრამ იმასაც უმაღ მიატოვებდა, შეუდგებოდა ინგლისელი კოლინზის ყველასათვის უსარგებლო წიგნის — „ღამეთა ოდების“ თარგმნას და ბოლომდე არ მიიყვანდა... ესტებანიც ძნელად საცნაური გამხდარიყო; ჭაბუკის ხასიათსა და ქცევაში, მის სასწაულებრივ განკურნებასთან დაკავშირებით, დიდი ცვლილებები მომხდარიყო — იმ ღირსსახსოვარი ღამის შემდეგ, რემიხიოს იდუმალი ბაღი რომ გაანადგურეს, ესტებანს ავადმყოფობის შემოტევა აღარ განმეორებია. ჭაბუკს უკვე აღარ ეშინოდა და-

მეულ შემოტყევის, ყოველდღე თანდათანობით სულ უფრო და უფრო ადრე იღვიძებდა, სახლიდან პირველი გადიოდა, მადიანად, სხვების დაულოდნელად, დღეში რამდენჯერმე ჭამდა; მაინც გამუდმებით შიოდა — თითქოს დაკლებულის ანაზღაურება სურსო, ის ხომ კარგა დიდხანს იყო ექიმის მიერ გამოწერილ დიეტაზე — შევიდოდა სამზარეულოში, ჩაიხედავდა ქოთნებში, დააცხრებოდა ღუმელიდან ახლადგადმოღებულ ფენიკან ღვებელს, ხარბად სანსლოვდა ბაზრიდან მოტანილ ხილს. ანანასის წვენი და ორშატა თვალის დასანახად შეიჯავრა — ისინი გარდასულ წამებას ახსენებდნენ — და თითქმის მთელი დღე წითელი ღვინით იკლავდა წყურვილს, ამიტომაც ლოყები ვარდისფრად უღვიოდა. სუფრაზე სიმამლრეს ვერა გრძნობდა, განსაკუთრებით მაშინ, თუ შუადღისას დაუდევრად ჩაცმული, ჭკინტაწეული, ულანჩო, საშინაო ფეხსაცმლიანი, მკლავებდაკაპიწებული მარტო საუზმობდა. თხილის სამტვრევმომარჯვებული ისე ეცემოდა ხოლმე სინზე დახვავებულ ხამანწკებსა და სხვადასხვა მოლუსკებს, რომ მათი ნამუსრი აქეთ-იქით იფანტებოდა. ხალათის მაგივრად პირდაპირ ტიტველ სხეულზე იცვამდა წინაპართა მიერ დანატოვარ ეპისკოპოსის იისფერ სუტანას. სიამოვნებდა გრილი ატლასის შეხება, თავს იწონებდა წელზე კრიალოსანშემოჭირებული შესამოსელით და სულაც არ ენაღვლებოდა სუტანიდან ბანჯგვლიანი ფეხები რომ უჩანდა. „ეპისკოპოსი“ ერთ ადგილზე ვერ ისვენებდა, ხან სატიოს გაღერებაში კეგლს თამაშობდა, ხან კიბის მთაჯირზე სრიალებდა, ხან ბალუსტრადას ჩაბლაუჭებული ჰაერში ეკიდა, ხან, სანამ თავისას გაიტანდა, ჯიუტად ცდილობდა ოცი წლის მანძილზე დადუმებული საათების აზმიანებას. სოფიას ადრე, ავადმყოფობის შეტევისას, სველი ღრუბელათი, ვინ იცის, რამდენჯერ დაეზილა ბიძაშვილი, მაშინ სულაც არ აკრთობდა ჭაბუკის სხეულზე ამოღინდლული შავი ბუსუსი, ახლა კი, უეცრად აღძრული სირცხვილის გრძნობის გამო, ერიდებოდა ტერასზე გამოჩენას მაშინ, როცა იცოდა, რომ ესტებანი სუფთა ჰაერზე ბანაობდა და მზის გულზე, გახურებულ აგურებზე დედიშობილა ისე შრებოდა, თქმობზე პირსახოცსაც კი არ იკრავდა.

— ვაჟკაცდება ჩვენი ესტებანი, — კმაყოფილებით იტყოდა კარლოსი.

— ჰო, აბა, უკვე ნამღვილი კაცია, — ეთანხმებოდა სოფია; მან აკი შეამჩნია, რომ ბოლო ხანებში ესტებანი დილ-დილობით ლოყებსა და ნიკაპზე გულმოდგინედ ისვამდა სამართებელს.

გლოვის დროს სახლში დარღვეულ ნორმალური ცხოვრების წესს პირველი თანდათანობით ესტებანი მიუბრუნდა. ის ყოველდღე სულ უფრო ადრე დგებოდა, დილით ყავას მოსამსახურებთან სვამდა. სოფია განცვიფრებული, შიშით აკვირდებოდა ბიძაშვილს; რამდენიც კვირის წინათ ავადმყოფი და უმწეო არსება თვალსა და ხელს შუა სულ სხვა ადამიანად ქცეულიყო; ზომიერად და თანაბრად სუნთქავდა, ხველება აღარ აზრჩობდა, აღარ სტანჯავდა სახეზე მოწოლილი სისხლი და მჩქეფარე ენერგიით აღვსილიყო, რაც ვერ ესადაგებოდა ბიჭის გაღეულ მხრებს, ლაკარტანა ფეხებსა და ხანგრძლივი წამებით გამოფიტულ, გამხდარ სხეულს. ქალიშვილი ღელავდა, ისევე როგორც დედა ღელავს ხოლმე, როცა პირველად თავის ვაჟიშვილს დაკაცებას შეატყობს. „ვაჟიშვილი“ კი ქუდს წარამარა მოავლებდა ხელს, ათას რამეს მოიმიზებდა და ქუჩაში დაეხეტებოდა. ამასთან, ყველას უმაღლავდა, რომ გარემოე-

ბათა უცნაური დამოხვევის გამო, ამ გასეირნების დროს ყოველთვის მთავარი ქუჩიდან მოცილებული ძველი ეკლესიისა და არსენალის მახლობლად მდებარე პორტის შუკვებსა თუ შესახვევებში აღმოჩნდებოდა ხოლმე; ჯერ თავი ძალზე მოკრძალებულად ეჭირა. პირველ დღეს გზაჯვარედინამდე მივიდა; მეორე დღეს — მეორე გზაჯვარედინამდე; ასე თანდათან გადალახა გზის უკანასკნელი მონაკვეთი და საბოლოოდ სწორედ იმ ქუჩაზე ამოყო თავი სადაც ბანქოს სათამაშო ბუნავი და ღამის ტავერნა იყო, — დღის საათებში აქ უჩვეულო სიწყნარე იდგა, ზღურბლზე უკვე ჩანდნენ ლოგინებიდან ახლად წამომდგარი ისინაა პირდაბანილი ქალები; ისინი თამბაქოს კვამლის ყლაპვით მზიარულად ელაზღანდარავებოდნენ ჭაბუკებს, ის კი გაურბოდა ამ ამკარა უტიფრებს და ნაბიჯს იმათ კართან ანელებდა, ვინც თავს ისე ხმადაბლა სთავაზობდა, რომ მხოლოდ მას შეეძლო ამისათვის ყურის მოკვრა... სახლებიდან მხოლოდ ქალების ხმა როდი ისმოდა, იქიდან აღწევდა ხელის საპნის, ნელსაცხებულის და თბილ ლოგინში ნებივრობისგან მოთენთილი სხეულის სურნელება, რისგანაც ესტებანის გულს ბავაბუგი გაუღიოდა, მან იცოდა, საკმარისი იყო, უცებ გადაწყვეტილება მიეღო, რომ იღუმალი შესაძლებლობებით აღსავსე სამყაროში მოხვედრილიყო. ერთია — ქალთან სიახლოვეზე ფიქრი, სულ სხვაა — მისი შესრულება. ასეთ ფიქრსა და ცხოვრებაში მის განხორციელებას შორის მთელი უფსკრულია და ამ უფსკრულის სიღრმის გაზომვა მხოლოდ ჭაბუკების ხვედრია. არც ისე იოლია ქალთან პირველი ჩაკონება. ამას თან ახლავს ცოდვის ჩადენის შიში და რაღაც მანამდე განუცდელის ბუნდოვანი შეგრძნება... ათი დღე დადიოდა ზედიზედ ამ შორეულ ქუჩებში, მივიდოდა უკანასკნელ სახლამდე და მზად იყო ზღურბლზე გადაებიჯებინა, სადაც დაბალ სკამზე გაუნძრევლად იჯდა, ერთი შეხედვით, ყველაფრისადმი გულგრილი ქალიშვილი, რომელსაც კეთილგონიერულად უსიტყვო ლოდინი ემჯობინებინა. ბიჭმა ათჯერ მაინც აუარ-ჩაუარა შორიანლო, შესულა კი მაინც ვერ გადაეწყვიტა, ქალი დარწმუნებული იყო, დღეს იქნებოდა თუ ხვალ, ბიჭი სწორედ მასთან შევიდოდა — მიხვდა, ჭაბუკმა არჩევანი მასზე შეაჩერა — და მოთმინებით იცდიდა. ერთხელაც საღამოხანს, როგორც იქნა, ესტებანმა ცისფერი კარი ზურგს უკან მოიხურა. ის, რაც მერე ამ ვიწრო და დახუთულ ოთახში მოხდა, რომლის ერთადერთ მორთულობას ღურსმანზე ჩამოკიდებული ჭრელი ქვედა კაბა შეადგენდა, ყმაწვილს არც დიდად მნიშვნელოვან და არც უჩვეულო რამედ არ მოსჩვენებია. მანამდე გაუგონარი გულახდილობით გამორჩეული თანამედროვე რომანებიდან უკვე იცოდა, რომ ჭეშმარიტი ავხორცობა შედეგია ღრმა გრძნობისა, და იგი არ შეიძლება აღიძრას ერთმანეთისაკენ ულტოლველად. და მაინც რამდენიმე კვირის მანძილზე იგი აქ ყოველდღე მოდიოდა, ეტყობა, სურდა, საკუთარი თავისთვის დაემტკიცებინა, რომ შეეძლო ფიზიკური სიძაბუნისა და ზნეობრივი სინანულის განუცდელად ჩაედინა ის, რასაც დაუფიქრებლად სჩადიოდა ყველა მისი თანატოლი; გარდა ამისა, როგორც ყველა მამაკაცს, მასაც სურდა, უფრო მეტი გამოცდილება დაეგროვებინა სასიყვარულო ამბებში.

— ეს რა საძაგელი სუნამოს სუნი აგდის, — უთხრა ერთხელ სოფიამ და ზიზღით დაეწონა კისერთან. რამდენიმე ხნის შემდეგ ესტებანმა თავის ოთახში, ღამის მაგიდაზე შენიშნა წიგნი, სადაც ლაპარაკი იყო ადამიანის მიერ ჩადენილ ხორციელ ცოდვათა სამაგიეროდ მირგუნებულ საშინელ დაავადებებზე. ჭაბუკმა

ვარეგნულად არაფერი დაიმჩნია, თითქოს წიგნი თვალითაც არ ენახოს, სინამდვილეში კი წიგნი დამალა.

სოფიას ახლა დიდხანს უხდებოდა მარტო დარჩენა. ესტებანი კვლავინდებურად მთელი დღე სადღაც იკარგებოდა, კარლოსი კი ანაზღეულად განიხილავდა ჟინის გამო, შუადღის მერე მარსის ველზე მანეჟისაკენ ეშურებოდა, სადაც ცნობილი ცხენოსანი წარმოადგენდა ცხენოსნობის ესპანურ სკოლას. ცხენებს ასწავლიდა გრაციოზულ ყალყზე დგომას — ისე რომ ცხენები ქანდაკებებს დამსგავსებოდნენ — ანდა ლამაზ, რიტმულ სიარულს, რისთვისაც იგი სადავეებს პორტუგალიურ ან პრუსიულ ყაიდაზე მართავდა. ვიქტორი, როგორც ყოველთვის, შებინდებისას მოდიოდა. სოფია მისაღმების ნაცვლად სულ ერთსა და იგივეს ეკითხებოდა, ბოლოს და ბოლოს, როდის ჩამოაღწევს ფქვილი ბოსტონიდანო.

— ფქვილს რომ ჩამოიტანენ, ოჟესთან ერთად — პორტ-ო-პრენსში დავბრუნდები, ოჟეს იქ მნიშვნელოვანი საქმეები ელოდება, — პასუხობდა ნეგოციანტი. ექიმის მომავალი გამგზავრება ქალიშვილს შიშის ზარს სცემდა, — ეშინოდა ვაითუ, ესტებანი ახალი შეტევის მსხვერპლი გახდესო.

— ოჟეს აქ მოწაფეები ჰყავს, — ამშვიდებდა ვიქტორი.

დაწვრილებით კი არაფერს ამბობდა, კერძოდ, სად და ვის ასწავლიდა; იმაზე ღუმდა, რა თვალთ უყურებდა ამას სამედიცინო კორპორაციის ხელმძღვანელობა, თავიანთ წრეში არცთუ დიდი ხალისით რომ ღებულობდნენ უცხო ადამიანებს. იუგი ხშირად ესხმოდა თავს ღონ კოსმეს და მეტიმეტად ცუდ კომერსანტად მიიჩნევდა.

— ეგაა *gange petit**, რომელიც საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავს.

და თუმცა ვიქტორმა იცოდა, როგორ ეზიზღებოდა სოფიას კედლებს მიღმა არსებული საწყობი და მალაზია, მაინც ურჩევდა, აქ სრუწლოვანი გახდებით თუ არა შენ და შენი ძმა, თავიდან უნდა მოიცილოთ ანდერძის აღმსრულებელი და თქვენი ინტერესები ვინმე გამჭრიახ კაცს მიანდოთ, რომლის უნარი თქვენს სავაჭრო ფირმას გაცილებით ფართო გასაქანს მისცემსო. ამასთან, ჩამოთვლიდა ახალ საქონელს, რომელთა გაყიდვითაც შეეძლოთ დიდი მოგების ნახვა.

— ეგრე მგონია, პატივცემული მამაჩემი მელაპარაკება, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! — უპასუხა სოფიამ, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა დაესრულებინა მომაბეზრებელი საუბარი, მაგრამ ეს სიტყვები ისეთი არაბუნებრივი და ყალბი ხმით თქვა, რომ მარტო ინტონაციითაც მიხვდებოდით, რა ღვარძლსაც ატანდა ამ ფრაზას.

ვიქტორმა გადაიხარხარა, ასე სჩვეოდა, როცა მოულოდნელად ეცვლებოდა ხოლმე განწყობილება, და დაიწყო თავისი მოგზაურობის ამბის თხრობა; ჩამოთვალა, სად რა ადგილები მოუვლო — კამპეჩე, მარი გალანტა, დომინიკა — და აშკარად ემჩნეოდა, სიამოვნებდა მათი გახსენება. ამ ადამიანში განგაცვიფრებდათ ვულგარულობისა და დახვეწილობის უცნაური შერწყმა. იმისდა მიხედვით, საუბარი როგორ იცვლიდა მხარს, მასაც შეეძლო სამხრეთელის ხმაურიანი ენამრავლობა არაჩვეულებრივი თავშეკავებულობითა და სიტყვაძუნწობით შეეცვალა. გეგონებოდათ, მის არსებაში რამდენიმე სრულიად სხვადასხვა ადა-

* აქ: მეწვრილმანე ვაჭარი (ფრანგ.).

მიანი შეთვისებოდა ერთმანეთს. საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე საუბრისას ბაზრის ზარაფივით იქნედა ხელებს და ამ დროს მისი ხელებიც სასწორის ფიალებს მოგაგონებდათ. ორიოდ წუთის შემდეგ კი შექმლო წიგნის კითხვაში დაფლულიყო — იჯდა წარბებშეჭმუხნული და თითქმის თვალდაუხამხამებლად, ისე დაშტერებოდა ფურცლებს, იტყოდით, მისი განგმირვა სწადიაო. თუ კერძის მომზადებას იწყებდა, ეს ნამდვილ მზარეულზე უარესად არ გამოსდიოდა; ხელში მოხვედრილი პირველივე რაიმე ნაჭრისგან მზარეულის ქუფს იკერავდა, შუბლზე ჩამოფხატულს ქაფქირით შეისწორებდა და ქვაბებს მკვირცხლად აუყოლებდა თითებით რაკარუკს. ხანდახან მისი ღონიერი ხელები კრიჟანგის მომხვეჭველ ტორებსა ჰგავდა. ჩვეულებად ჰქონდა, ხელებს მუშტებად რომ შეჰკრავდა, დიდ თითს დანარჩენი თითებით ფარავდა, — სოფიას ვარაუდით, ეს ჩვევა იუგის ნამდვილ ბუნებას ამჟღავნებდა, თუმცა ხანდახან იგივე ხელები საოცარი დახვეწილი და ფაფუკი გეჩვენებოდათ; ამაფორიაქებელი აზრის გადმოცემისას ხელებს ისეთი სისათუთით ამოდრავებდა, თითქოსდა ჰაერში ჩამოკიდებულ საჰაერო ზუსტს ეხებაო.

— მე პლებეი ვარ, — იმგვარი რიხით იტყოდა, გეგონება, დიდ რამე ტიტულს გისახელებდათ.

მაგრამ სოფიამ შეამჩნია, რომ ფრანგი შარადების წარმოდგენისას ყველაზე დიდი სიამოვნებით ძველ კანონმდებლებსა და ტრიბუნებს ანსახიერებდა, თანაც, რაკი ალბათ თავს კარგ მსახიობად მიიჩნევდა, მათ როლებს არაჩვეულებრივი სერიოზულობითა და ზეიმურად ასრულებდა. ხანდახან მისი დაჟინებით ლიკურგეს² ცხოვრების ეპიზოდებს დგამდნენ, რადგან, ეტყობა, ვიქტორს იგი განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა. იუგს ვაჭრობის ალლოც ჰქონდა, ბანკებისა და სადაზღვევო საზოგადოების საქმიანობაშიც კარგად ერკვეოდა, იყო ცამოცდილი ნეგოციანტი, მხარს უჭერდა მიწისა და დოვლათის გაყოფას, ბავშვების სახელმწიფოს მიერ აღზრდას, არ უნდა არსებობდნენ შეძლებულებიო და, სპარტას წახედულობით, ემხრობოდა რკინის მონეტების მოჭრას, რათა არავის გასჩენოდა ფულის დაგროვების სურვილი.

ერთხელ, როცა ესტებანი განსაკუთრებით კარგ გუნებაზე იყო და თავს სავსებით ჯანმრთელად გრძნობდა, ვიქტორმა ყველა დაიყოლია, სახელდახელოდ მოეწყობათ „ტრაპეზის წესადლაღებული დროისკენ მიბრუნების“ აღსანიშნავი ზეიმი. ნადიმის დაწყება ზუსტად საღამოს რვა საათისთვის დათქვეს. ყველა მონაწილეს სასადილო ოთახამდე, მისგან საკმაოდ დაშორებული ცალ-ცალკე ოთახებიდან მანამდე უნდა მიესწრო, სანამ სულიწმინდის მონასტრის სამრეკლოზე მნათე რვაჯერ დარეკდა. თავისი ადგილის დაკავებას დროზე ვინც ვერ მოასწრებდა, სხვადასხვაგვარად დაისჯებოდა. ერთხელ ზეიმისათვის კარადიდან წინაპართა კოსტუმების გადმოლაგება გადაწყვიტეს. სოფიამ მოისურვა გამოწყობილიყო მევახშის მიერ დარბეული ჰერცოგინიას ტანისამოსში და როსაურას დახმარებით ქვედა კაბის კალთა განგებ შემოიფლითა, ესტებანის ოთახში უკვე კარგა ხანი ეკიდა ეპისკოპოსის შესამოსელი, კარლოსმა ფლოტის ოფიცრის მუნდირი ჩაიცვა, ვიქტორმა კი არჩევანი მოსამართლის მანტიაზე შეაჩერა.

— Elle me va tres bien*, — განაცხადა იუგმა სამზარეულოში გასვლისას, სადაც მეორე შესვენებისთვის გარეულ მტრედებს სწვავდნენ.

* ძალიან მიხდება (ფრანგ.).

— ამრიგად, ჩვენ მიერ წარმოდგენილი იქნება დიდებულთა წრე, სამღვდლოება, ფლოტი და სასამართლო წოდება, — თქვა კარლოსმა.

— დიპლომატიური კორპუსი და გვაკლია, — დაუმატა სოფიამ.

და ყველამ სიცილით ერთხმად გადაწყვიტა, ოქსფორდის აბისინიის საზღვრის სრულყოფილებიანი ელჩის როლი დაეკისრებინათ... მაგრამ რემინიომ, რომელიც ექიმის მოსაყვანად გაგზავნეს, შემამოფოთებელი ამბავი მოიტანა: ოქსფორდის სასტუმროდან დილაადრიან გასულა და აღარ დაბრუნებულა... განლაგების სასტუმროში პოლიციას ექიმის ოთახი გაუჩხრეკია და მთელი მისი წიგნები თუ ქაღალდები წაუღიათ.

— ვერაფერი გამიგია, — ჩაიბურტყუნა ვიქტორმა, — ვერაფერი ვერ გამიგია.

— ეგებ დააბეზღეს, არაკანონიერ მედიცინას რომ ემსახურება, — ვარაუდი გამოთქვა კარლოსმა.

— ეს არაკანონიერი მედიცინა კურნავს ავადმყოფებს, — მრისხანედ იყვირა წონასწორობადაკარგულმა ესტებანმა.

აღელვებული ვიქტორი, საკუთარ თავს რომ აღარა ჰგავდა, ფაციფუცით ეძებდა ქუდსა და ველარ ეპოვა; მერე სწრაფად გავიდა სახლიდან, რათა დაწვრილებით შეეტყო სინამდვილე.

— პირველად ვხედავ ეგრე აღელვებულს! — თქვა სოფიამ, თან ცხვირსახოცით ოფლით დანამულ საფეთქლებს იწმენდა.

ჰაერი საშინლად დახუთულიყო, ნიავე არ იძვროდა, ფარდები არ ირხეოდა, ყვეაილებს ყურები ჩამოეყარათ, ბალახი თითქოს გაშეშებულიყო, პატიოში ჯალმებს ფოთლები ისე დამძიმებოდათ, რკინისაგან გამოჭედილი გვეგონებოდათ.

VII

რვა საათი იყო დაწყებული, ვიქტორი უკან რომ დაბრუნდა. ოქსის ვერაფერი შეეტყო, მაგრამ ვარაუდობდა, დაპატიმრებული იქნებო. ან ეგებ დასმენის შესახებ აღრევე გაფრთხილებულმა მულატმა — დასმენის მიზეზი არავინ უწყობდა — დროებით რომელიმე მეგობართან შეაფარათ თავი. ამკარა ერთი რამ იყო: პოლიციას ოთახი გადაექოთებინა და ქაღალდები, წიგნები და ოქვს პირადი ნივთებით სავსე ჩემოდანი წაედო.

— ხვალ უკვე ნათელი გახდება, რა უნდა ვიღონოთ, — თქვა იუგმა.

და ანაზღად იგი სულ სხვა რამეზე — ქუჩაში ყურმოკრულ ამბავზე აღაპარაკდა: ამბობენ, საღამოთი ქალაქში გრიგალი ამოვარდებო. ეს ხელისუფლებასაც გამოუცხადებია, სანაპიროზე ერთი ალიაქოთი აქვთ შემდგარი, მეზღვაურები მარტო ციკლონზე ლაპარაკობენ და სასწრაფო ზომებს ღებულობენ თავიანთი გემების დასაცავად, ფანჯრებსა და კარებს აჭედებენო. კარლოსი და ესტებანი ამ ამბავს დიდად არ შეუშფოთებია, მაგრამ მაინც გავიდნენ ჩაქუჩებისა და ფიცრების მოსანახად. წელიწადის ამ დროს ციკლონი — მას ყველა მხოლოობითი რიცხვით მოიხსენიებდა, რადგან ერთადერთ ციკლონს გააჩნდა დამანგრეველი ძალა — არა ყოფილა მოულოდნელი ქალაქისთვის. ყველამ იცოდა, თუ ამჯერად ციკლონი მიმართულებას შეიცვლიდა და მათ გვერდს აუვილიდა, მომავალ წელს აუცილებლივ დაატყდებოდათ თავს. ორი რამ იყო

სავარაუდებელი: ციკლონი ან პირდაპირ ქალაქს დააცხრებოდა, სახლებს სახურავებს გადახდიდა, ეკლესიის ვიტრაჟებს ჩაამტვრევდა, გემებს ჩაძირავდა, ანდა ახლომახლო ჩავლილი, შემოგარენს მოაოხრებდა. კუნძულის მაცხოვრებლებს ციკლონი პრისხანე ზეციურ სტიქიად მიაჩნდათ, რომელიც ადრე იქნებოდა თუ გვიან, თავს მაინც დაატყდებოდათ. — მისგან არავის არ ეწერა თავის დახსნა, თითოეული პროვინცია, თითოეული ქალაქი, თითოეული სოფელი ისე უყურებდა ციკლონს, როგორც ბედისწერას, და ერთ რამეზედ დაჰყოფებოდა ელოცათ, — გრიგალს დიდხანს არ ებობოქრა და არა ყოფილიყო მეტისმეტად მძვინვარე.

— *Ce sont de bien charmants pays**, — ბუზღუნებდა ვიქტორი, ქუჩაში გამავალ ერთადერთი ფანჯრის დარაბებს აჭედებდა და თან იხსენებდა, ციკლონს სენ-დომენგშიც ყოველ წელიწადს ასეთივე შიშის კანკალით ელიანო...

ანაზდეულად პაერში ქარბორბალა აიჭრა და საზარელი ღვართქაფი წამოვიდა, წყლის ნაკადი პატიოში შვეულად ეცემოდა ხეებს, ბურქებსა და ყვავილებს, ეცემოდა ისეთი გამძაფრებით, რომ ყვავილნარიდან აქეთ-იქით გუნდგუნდად ცვიოდა ტალახი.

— დაიწყო, — თქვა ვიქტორმა.

ერუ გუგუნი სახლს დაეჯახა და ხმაურით აავსო; სახურავის კვნესა, დარაბების ჭრიალი, ფანჯრის ზრიალი ერწყმოდა წყლის ხან ზომიერსა და ხან ნაწყვეტ-ნაწყვეტ შხუილს. წვიმა სახურავიდან კოკისპირულად ასხამდა, ირგვლივ შხეფებად იღვრებოდა, წყლის სადინარი მილებიდან ჯგაფუნით გადმოდიოდა და სტკენითა და ხმაურით მითქრიალებდა ჭებში. მერე დადგა მცირე შესვენება, პაერი უარესად დაიხუთა, უფრო მეტი სიმშვიდე ჩამოდგა, ვიდრე საღამოთი, წვიმის დაწყებამდე იყო. მერე, მეორე გაფრთხილებასავით — ხელახლა მოვარდა ღვართქაფი, პირველზე გაცილებით უარესი; ამასთან, ამჯერად ქარი ახლდა, ქარი თანდათანობით მძაფრდებოდა. ვიქტორი პატიოში გავიდა, სადაც დაუბრკოლებლივ დანავარდობდა. საღდაც შორეთში მიმსწრაფი გრიგოლი — შორს, შორს, მექსიკის ყურეში ან სარგასოს ზღვაზე ამოჭრილი და საკუთარ ღერძზე მბრუნავი იგი თანდათანობით მძვინვარებდა და უძლეველი ძალით მიაქანებდა თან პაერის ტალღებს. ვიქტორმა, მეზღვაურების ყაიდაზე, წვიმას ენა შეუშვირა.

— მლაშეა, ზღვის წყალია. *Pas de doute***.

მან მხრები აიჩეჩა და ოთახში შებრუნდა, თითქოს სურდა, ყველა მიეხვედრებინა, რომ მძიმე გამოცდის წუთები ელოდათ. იგი ღვინის ჭიქებისა და ნამცხვრის მოსატანად გავიდა, მერე წინასწარ წიგნებით გარშემოწყობილ სავარძელში ჩაჯდა. ლამპის გვერდით, ქარის ყოველ დაქროლებაზე სული რომ ელუოდა ჩასაქრობად, მოსამსახურეებს იქვე ფარნები და სანთლები დაეწყეთ.

— მე მგონი, დაწოლას აზრი არა აქვს, ერთიც ვნახოთ და რომელიმე კარმა გრიგალს ვერ გაუძლოს ან ფანჯრის ჩარჩო ამოვარდეს, — თქვა ვიქტორმა.

იატაკზე სახერხოდ ელაგა ფიცრები და ხუროს ხელსაწყოები. რემიხიო

* ვერაფერს იტყვი, კურთხეული მზარეა (ფრანგ.).

** უეჭველად (ფრანგ.).

და როსაურაც სასადილო ოთახში მიიპატიჟეს, სადაც გაცილებით ნაკლები იყო საშიშროება, და ერთხმად ადავლინეს ლოცვა. რომლის დროსაც ყველაზე ხშირად წმინდა ბარბარეს სახელს იხსენიებდნენ... გრიგალი ქალაქში ნაშუაღამევს შემოიჭრა. გაისმა შემზარავი გუგუნი, რასაც იმავე წამს მოუვლი მხრიდან ჭახანი და გრუხუნი მოჰყვა. ქვაფენილსა და ტროტუარებზე ათასგვარი საგნები დაჰქროდა, ზოგი სამრეკლოთა შიშლების ზემოთ აფრთხილდა, ციდან ცვიოდა ნაფოტებად ქცეული კოჭები, მაღაზიებიდან საფლავებს ქაბრები, კრამიტი, ფანჯრის მინები, დაღეწილი ხის რტოები, ფარნები, პატარა კასრები, გემის ანძათა ნამსხვრევები. სახლის კარებს ყურთასმენის წამლებად ურახუნებდნენ უჩინარი ჩაქუჩები. გრიგალის ყოველ კვეთებათა შორის ზრიალი გაუდიოდა ფანჯრებს. სახლი, საძირკვლიდან მოკიდებული სახურავამდე ერთიანად ზანზარებდა და ირყეოდა, კარები და ჩარჩოები ჭრიალებდა... ანაზღუდად საჯინიბოს უკანა კარიდან, სამზარეულოდან და ქუჩიდან მოვარდნილი ტალახიანი წყლის ნაკადი პატიოს ეცა და ერთ წუთში ყველა სადინარი ტალახით, ნაკელით, ნაცრით, ნაყარნუყარითა და ჩამოცვენილი ფოთლებით აივსო. ვიქტორი სასოწარკვეთილი ყვირილით მივარდა სასტუმრო ოთახში დაფენილ ნოხსა და ახვევა დაუწყო. ნიხი კიბის ზედა საფეხურზე რომ შემოდო, წყლის ვეება გუბესთან მიიჭრა, სასადილო ოთახში შემოვარდნილი წყალი წუთსა და წუთზე მატულობდა და სხვა ოთახებისაკენ მიიწვევდა. სოფია, კარლოსი და ესტებანი სკამებსა და სავარძლებს ეცნენ და მაგიდებზე, კარადებზე, კომოდებსა თუ ბუფეტზე დაუწყეს ახორხელა.

— ძავას თავი დაანებეთ, მომყევით, — იყვირა ვიქტორმა.

და მერალ წყალში კოჭებამდე ჩამდგარმა საწყობში გამავალი კარი გააღო. წყალი იქაც მოდიდებუდიყო. ფარნის მახლობლად გვერდი-გვერდ ნელ-ნელა დაცურავდნენ ნაირ-ნაირი საგნები. ვიქტორი ხმამაღლა იძლეოდა განკარგულებას, მამაკაცები და მულატი ქალი წინ გაირეკა და უჩვენებდათ პირველ რიგში რა უნდა გადაერჩინათ. უნაზეს ქსოვილებს, ტილოს თოფებს, ბუმბულით სავსე ტომრებს, ყველაზე ძვირფას საქონელს საცალოების გროვაზე ახვავებდნენ, სადაც წყალი ვერ მისწვდებოდა.

— ავეჯი შეიძლება მერე მოარჯულო, ეს კი დაიღუპება, — ყვიროდა ვიქტორი.

როგორც კი შეატყო ძვირფასი საქონლის გადასარჩენად საქმეს ყველანი ბეჯითად მოეკიდნენ, თვითონ სახლში შებრუნდა, სადაც შიშისგან დივანზე მოკუნტული სოფია ქვითინისაგან ცახცახებდა. წყალი ლამის ფეხებამდე შესმოსდგომოდა, ვიქტორმა ქალიშვილი ხელში აიყვანა, საძინებელ ოთახში მოწვევით დაუშვა და უბრძანა:

— აქედან ფეხი არ მოიცვალო! — მე ავეჯს მივხედავ.

და მოჰყვა კიბეზე ზევით-ქვევით სირბილს; ეზიდებოდა თეჯირებს, პუფებს, სკამებს, გობელენებს, — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რისი გადარჩენაც ჯერ კიდევ შეეძლო. წყალი უკვე მუხლებამდე სწვდებოდა, სწორედ ამ დროს გაისმა ძლიერი გრუხუნი, სახლის ფლიგელის ჭერი ჩაიქცა და პატიოში კრამიტი როგორც ბანქოს ქალაღი, ისე გაიშალა მარაოსავით. ნამსხვრევების გროვამ, თიხამ და მიწამ საწყობის კარი ქვეშ მოიყოლა და მასთან მისასვლელი გზაც ჩახერგა. კიბის მოაჯირზე გადაყუდებული სოფია შიშისაგან კიოდა. ვიქტორი კიბეზე ათასი წვრილმანით გატენილ სკივრს მიათრევ-

და, მან თითქმის ძალით შეაგდო ქალიშვილი თავის ოთახში, თვითონ კი ქანც-გამოლეული ჩაეცა სავარძელში.

— მეტი უკვე აღარ შემიძლია, — თქვა და მასზე საცოდავად თვალმიშტერებულ სოფიას დაუწყო დამშვიდება, — ციკლონს უკვე ძალა გცლება, შენს ძმებს კი — ჭერამდე დაწყობილ საცალოებზე მოკალათებულებს — არავითარი საფრთხე არ მოელოთ და მარტო განთიადის გულდინჯო, ~~მეფეფიფიფი~~ გემართებდნო. რაც მთავარია, ფანჯრებმა და კარებმა გაუძღეს ~~ჭრიჭანებს~~ ამასთან სახლი ნამუსიანად არის ნაშენები და ეტყობა, პირველადაც არ უხდება ქარიშხლის მძვინვარების საკუთარ ზურგზე გადატანაო. მერე კი ლამის დამცინავად დააყოლა: გულახდილად რომ ვაღიარო, საძაგელი გამომეტყველება გაქვს, კაბა დაგვსვრია, წინდები ტალახში ამოგვანგვლია, აწეწილი სველი თმიდან ხმელი ფოთლება გამოგჩრია. ქალიშვილი უსიტყვოდ შევიდა თავის საპირფარეშო ოთახში და თითქმის იმავე წამს დაბრუნდა ასე თუ ისე თმადავარცხნილი და ხალათმოხურული. ქუჩაში გრიგალი ისე გააყვებით აღარ მძვინვარებდა, ახლა ქარიშხალი ნება-ნება — ხან უფრო მძლავრად, ხან შედარებით უფრო სუსტად უბერავდა, ყოველი დაქროლების შუალედი კი თანდათანობით მატულობდა. ციდან თითქოს ზღვის სუნდაკრული ნისლი იწურებოდა. მიწყდა ხმაური იმ საგნებისა, რომელთაც ქარი მირეკ-მორეკავდა, ქვაფენილზე მიაგელვებდა, ქაერში აჰქონდა და მიწას ანარცხებდა.

— მე მგონი, უკვე დაწოლის დროა, — თქვა ვიქტორმა და ქალიშვილს ძველი ღვინით სავსე ჭიქა მიაწოდა.

ეს რომ თქვა, გასაოცარი მოურიდებლობით გაიხადა პერანგი და წელამდე — გაშიშვლდა. „ქმარივით მექცევა“, — გაიფიქრა კედლისკენ გადაბრუნებულმა სოფიამ, მერე ხმამაღლად აპირებდა რალაცის თქმას, მაგრამ ძილმა თავი წაართვა... ანაზღად გამოფხიზლდა: ჯერ ისევე ბნელოდა. ქალიშვილმა იგრძნო, გვერდით ვიღაც ეწვა. წელზეც ვიღაცის ხელი ედო, და ეს მძიმე ხელი თანდათანობით უფრო მძლავრად, მუხრუჭივით უჭერდა. სოფიას ძილისაგან თავი ხეირიანად ვერ დაეღწია და თავდაპირველად ვერ მიხვდა, რა ხდებოდა: გამოვლილი შიშის შემდეგ სასიამოვნოდ ეჩვენა შეგრძნება იმისა, რომ ვიღაც ცოცხალი არსება თბილად ფუთნიდა, იცავდა და პატრონობდა. ის მზად იყო კვლავ ჩაეთვლიმა, მაგრამ უცებ ცნობიერება დაუბრუნდა, მთელ სხეულში სიცივემ დაუარა, გააკანკალა და მიხვდა, ყოვლად დაუშვებელი რალაც ხდებოდა. სოფია სწრაფად გაღმობრუნდა და თავის გვერდით უცებ უცხო ადამიანის შიშველი სხეული იგრძნო. ქალიშვილი აღშფოთებისაგან ცახცახმა აიტანა და კაცს მუშტების ცემა დაუწყო, მუხლებითა თუ იდაყვებით თავიდან იშორებდა, კაწრავდა, ჩქმეტდა; ამასთან მუცლით ყოველ წამს რალაც გაურკვეველსა და მაგარს აწყდებოდა. მამაკაცი ცდილობდა მისთვის მაჯებში ჩაეკლავო ხელი. ცხელი სუნთქვისგან ქალს ყურები ეწვოდა, კაცი სიბნელეში უცნაურ სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ჭიდილის დროს მათი სხეულები ერთმანეთს ეწვნოდა, ეტმასნებოდა, ლამის ერწყმოდნენ ერთიმეორეს, მაგრამ გამარჯვებას კაცმა მაინც ვერ მიაღწია. სოფია ჯიუტად და გააფთრებით ეწინააღმდეგებოდა, ძალას თითქოს თავისი არსების წიაღში იკრებდა, რასაც საფრთხით ემუქრებოდნენ. ყოველი მოძრაობით ცდილობდა კაცისთვის ტკივილი მიეყენებინა, იბღუნებებოდა, წარმოუდგენლად იკრუნჩხებოდა და კაცმა ვერ შეძლო მისი დაპყრობა, დამორჩილება. ბოლოს შეეშვა ხელახლა მცდელობას, დამარცხებუ-

ლად ჩათვალა თავი და წყენის დასაფარად ნირწამხდარმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად გაიცინა. ქალი გააფთრებით მისდგა, დაუწყო დაცინვა და საყვედურებით ავსება, თანაც საოცარი უნარი გამოამჟღავნა, მიწასთან გაესწორებინა და წამოეძახებინა მისთვის ყველაზე მტკივნეული რამ. კაცი ძლივს აიზღაზნა საწოლიდან. ის ოთახში მიმოდიოდა და ქალს ემუდარებოდა, გული არ მოსვლიდა. ცდილობდა თავი ემართლებინა, თან ისეთ საბუთებს იშველიებდა, ანცვიფრებდა ძნელგამარჯვებამიღწეულ ქალიშვილს: ის გონებაშიც ვერ გაივლენდა, რომ ასეთი ვაჟკაცური და მოწიფული ადამიანი, თავისი ასაკისთვის ბევრის მნახველი და გადამტანი, მასში ქალს დაინახავდა, რადგან თვითონ თავი ჯერ კიდევ ბავშვი ეგონა. და თუმცა უშუალო საშიშროებას, მის უბიწოებას რომ ელოდა, უკვე გაევიდა, ახლა უარესი საფრთხე ემუქრებოდა, — სიბნელიდან მის ყურთასმენას სწვდებოდა ხმა, რომელიც შიგადაშიგ უჩვეულო სინაზით ჟღერდა; ეს ხმა მას ესაუბრებოდა და იღუმალი სამყაროს კარიბჭეს უღებდა. იმ ღამით ქალიშვილისთვის დასრულდა სიყრმის წმინდა დღეები—იმ ღამის შემდეგ თითოეულმა სიტყვამ მის თვალში უჩვეულო წონა შეიძინა. ის, რაც მოხდა, — უფრო სწორედ, რაც არ მომხდარა, — მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანი შეიქნა მისთვის. კარმა გაიჭრიალა და ნახევრად ღია კარში, რიჟრაჟის მომწვანო შუქზე გამოჩნდა ადამიანის ფიგურა, — კაცი ხელა, ფეხათრევით, დათრგუნული და გულდამძიმებული მიდიოდა. სოფია მარტო დარჩა. გული აჩქარებით უცემდა, თმა გაწეწოდა, შიშს აეტანა, მიხვდა, ძალზე მძიმე გამოცდა გადაიტანა. ტანზე უცნაური სუნი ასდიოდა, — შესაძლოა ერვენებოდა კიდევ—და მისგან თავი ვერაფრით ვერ დაეღწია; ეს იყო მწკლარტე, ცხოველური, უცხო სუნი, მაგრამ რაღაცით თითქოს თვითონაც იყო ამის თანამონაწილე. ოთახში სინათლე შემოვიდა. სოფიას გვერდით ლოგინს მამაკაცის ნაწოლი აჩნდა. ქალიშვილმა ლოგინის წესრიგში მოსაყვანად — ნაწოლის კვალის წასაშლელად ბუმბულს დაუწყო აბუება. საქმეს რომ მორჩა, საშინელი დამცირების გრძნობა დაეუფლა; ალბათ ასევე აბუებენო ლოგინს ის ქალებიც, არსენალის მახლობლად კვარტალში უცხო მამაკაცებთან წოლის შემდეგ, და ზუსტად ასევე იქცევიან ქორწინების ღამის მეორე დღით გუშინდელი უბიწო ქალიშვილები, მათ წიაღში უხეში შეღწევით შებღალულები. დიახ, ეს იყო ყველაზე უსიამოვნო რამ: ლოგინის ხელახალი დაგებით, დაჭმუჭნული ზეწრის გასწორებით ისიყ ხომ თითქოს თანამონაწილე ხდებოდა, თითქოს თანაუგრძნობდა იმას, რაც მოხდა: მფრთხალი საყვარელიც, ალბათ, ასეთივე შეშინებული, წინდახედული და მორიდებული მოძრაობით ჩქარობს, რათა რაც შეიძლება მალე წაშალოს ცოდვიანი ხვევნა-ალერსის კვალი. გამარჯვებული და დაღლილი სოფია ლოგინში ჩაწვა და მაშინვე ჩათვლიმა. ისე ღრმად დაეძინა, აღარ ესმოდა საკუთარი ქვითინი და არც ძმის ძახილი, ამოდ რომ ცდილობდა მის გაღვიძებას.

— მოეშვი, რაღაც საქალო საქმე ექნება, — დაუშალა კარლოსს ესტებანმა.

VIII

ნელა თენდებოდა, ნაკვიანევად ამოსული მზის სხივები სუსტად ანათებდა სახურავგადახდილ, ნამსხვრევებითა და ნაკვით სავსე ქალაქს. საითაც უნდა

გაგებდათ, გაშიშვლებული კოჭები გეცემოდათ თვალში. ქალაქი ვეებერთელა ჩონჩხს დამსგავსებოდა. ასობით ღარიბული ქოხიდან გადარჩენილი ბოძები და მორყეული ხის იატაკი გაუვალ ტალახზე სილატაკის სცენასავით აღმართულიყო და უპოვართა გაუბედურებული ოჯახები მწუხარებით მისწერებოდნენ იმ მცირეოდენს, რაც გადარჩენილათ: დედაბერი ნაღვლიანად ირწყოდა ვენურ სავარძელში; ფეხმძიმე ქალი შიშით ელოდა სამშობლო ტკივილებს; საბნებში გახვეული ჭლექიანები და ასომიანები ღვატის ქვეშ თავთავიანთ როლებშესრულებული ბალაგანის მსახიობებივით მიმსხდარიყვნენ კუთხეში. ნავსადგურის მღვრე წყლიდან ჩაძირულ იალქნიან ხომალდთა ანძები ამოჩრდილიყო, ირგვლივ ტალღებზე კი ჯგროდ დაცურავდა გადაბრუნებული კანჯოები. ზღვას სანაპიროზე გამოერიყა თოკის გორგალში ხელებჩახლართული მეზღვაური. არსენალის არემარე ციკლონს განსაკუთრებით მოეოხრებინა. მორები და ფიცრები მთელ გემსაშენზე მიმოფანტა, ტავერნებისა და ღამის კაბარეების სუსტი კედლები მიწასთან გაესწორებინა. მთელი ქუჩა ტალახით სავსე თხრილად ექცია. რამდენიმე ძველი სასახლე, თავიანთი გამძლეობის მიუხედავად, გრიგალის კვეთებას დამორჩილებოდა, სასახლეთა კარებს, ფანჯრის ჩარჩოებს, მინას ვერ გაეძლო და შიგნით შეჭრილსა და კედლებზე მიხეთქებულ ქარიშხალს მთლად ჩამოეხრია პორტიკები და გაღერეები, ნავსაბმელის ძახლობლად მდებარე სახელგანთქმული ავეჯის სახელოსნოს -- „იოსებ მშვენიერის“ -- ნაკეთობანი ქარს მოეხვეტა და ქალაქის საზღვრებიდან კარგა მოშორებით, მინდორზე გაეტანა. მოდიდებულ ღვარს ნაპირები გადმოელახა და სანახევროდ წყლით დაფარული ასობით პალმის ძრო მიწისძვრის შემდეგ დანგრეული ძველისძველი სვეტებივით ეყარა. დიდი სტიქიური უბედურების მიუხედავად, ხალხი, მიჩვეული რომ იყო დროგამოშვებით ასეთ კატასტროფას და მას ტროპიკის გარდუვალ კონკულსიად მიიჩნევდა, უკვე ჭიანჭველასავით ირეოდა, რაღაცას კეტავდნენ, რაღაცას აჭედებდნენ, რაღაცას ღესავდნენ. ყველაფერი სველი იყო, ყველაფერს ნესტის სუნი ასდიოდა. იმ დღეს უკლებლივ ყველა ერთ საქმეს აკეთებდა: წყალს ხაპავდნენ, თხრილებს თხრიდნენ, ნიადაგსა და სახლებს ამრობდნენ. საკუთარი სახლების წესრიგში მოყვანის შემდეგ, საღამო ხანს ხუროები, კალატოზები, მეშუშეები და ზეინკლები ახლა სხვებს უწვდიდნენ დახმარების ხელს. როცა სოფიამ, როგორც იქნა, გაიღვიძა, სახლი უკვე სავსე იყო რემიხიოს მოყვანილი მუშებით: ერთნი კრამიტს ხურავდნენ, სხვებს პატიოდან ნავავი და ნამსხვრევეები გაქქონდათ. ტალანსა და გაღერეებში წინ და უკან დაათრევდნენ კირისა და თაბაშირის კასრებს, კოჭებსა და ძელებს, კარლოსი და ესტებანი საწყობიდან სახლში და მერე ისევ უკან მიდი-მოდიოდნენ, აღწერდნენ გაფუჭებულ ავეჯს, წახდენილ საქონელს. კარლოსის კოსტუმში გაჩურთული ვიქტორი სასტუმრო ოთახში მაღაზიის ანგარიშწარმოების დაუთრებს ჩაჰკირკიტებდა. ქალიშვილის დანახვაზე ქალაქლებში უფრო ღრმად ჩარგო ცხვირი და ისეთი იერი მიიღო, თითქოს არც შეემჩნიოს. სოფიამაც გადაწყვიტა, რაიმე საქმე გამოეგდო და სამზარეულოსა და საუჭნათსკენ გაეშურა, სადაც მთელი ღამე რეცხავდა... ქალიშვილს ამ ორომტრიალისაგან, სახლში უცხო ხალხის ფუსფუსისაგან, არეულ-დარეულობისა და უწესრიგობისაგან თავბრუ ესხმოდა, ხელახლა მოშლილიყო არცთუ დიდი ხნის წინათ წესრიგში მოყვანილი ყოფა და ოთახებში ისეთივე ქაოსი იდგა, როგორც გლოვის პირველ თვეებში. იმ საღამოთი კვლავ

წარმოქმნილიყო „მორღვეული ციხე-სიმაგრე“, „დრუიდთა ბილიკები“, დაკლანილი საცალფეხო გზები მაგიდებსა და ყუთებს შორის, ჩამოხსნილ პორტიერებსა და კარალების თავებზე შემოწყობილ აკეცილ ნივთებს შორის. მაგრამ ახლა ყოველივე ამას დამატებოდა ადრე აქაურობისთვის უცნობი, სრულიად განსხვავებული სუნი. უჩვეულო გარემო, კატასტროფის გრანდიოზულობა, რასაც დაერღვია ქალაქის ყოველდღიური ცხოვრება, უფრო მეტად უმძაფრებდა სოფიას შეშფოთებას: თვალი გაახილა თუ არა, მწარედ აეკვიტა წინა დაშეს მოძხდარი ამბის გახსენებით გამოწვეული ურთიერთსაწინააღმდეგო და შიშის-მომგვრელი ფიქრები. ყოველივე ის, რაც მოხდა, წარმოადგენდა იმ დიდი არეუ-ღარევის ნაწილს, რაც სტიქიური უბედურების გამო ხვდომილათ წილად ქალაქის მაცხოვრებლებს. მაგრამ ყველაზე მეტად ერთი რამ ანცვიფრებდა, ანცვიფრებდა უფრო მეტად, ვიდრე დანგრეული კლდეები, ჩამოქცეული სამრეკლოები და ჩამირული ხომალდები: ის, სოფია იქცა გ უ ლ ი ს თ ქ მ ის საგნად. ეს ისეთი უჩვეულო, მოულოდნელი და შემაშფოთებელი იყო, რომ ქალიშვილს აქამდე ეჭვიც კი ეპარებოდა, შეიძლება დაბესიზმრაო. რამდენიმე საათში იგი სამუდამოდ გამოთხოვებოდა ყრმობას, ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს ნდობით აგზნებული მამაკაცისგან მისი სხეული მოწიფულიყო, მას ისე უცქერდნენ, როგორც კალს, მაშინ, როცა თვითონ ვერაფრით დაეჯერებინა თავისი ქალობა.

— მე ქალი ვარ, — ბუტბუტებდა სოფია და თავს ისე გრძნობდა, თითქოს შეურაცხყოფა მიეყენებინათ, თანაც მხრებზე უმძიმესი ტვირთი აეკიდოთ.

სარკეში იხედებოდა, შორიდან შესცქეროდა თავის თავს და შიშს მოეცვა, სტანჯავდა რაღაც გარდუვალის წინათგრძნობა, ეჩვენებოდა, რომ მეტიმეტად ძალადი, უმნო და უსანდომო იყო, რომ ძალზე ვიწრო თეძოები, ზომაზე ბეტად გამხდარი ხელები და ასიმეტრიული ბიუსტი ჰქონდა. ქალიშვილს თვალში არ მოუვიდა საკუთარი გულმკერდის მოყვანილობაც. დღეიდან სამყარო მისთვის ჩიფათით ავსილიყო და უკან მოეტოვებინა უზრუნველობა... სულ სხვა გზას დადგომოდა, სადაც ელიოდა განსაცდელი, სადაც მის ჭეშმარიტ სახეს უეჭველად მისსავე გარეგნულ იერს შეადარებდნენ, დასდგომოდა გზას, რასაც ვერსდიდებით ვერ გაივლიდა სულიერი წამების და მწარე ცდომილებათა გარეშე... უცბად მოხალამოვდა. ძუშები წავიდ-წამოვიდნენ და უჩვეულო სიჩუმე ჩამოაწვა გაპარტახებულ ქალაქს — ასეთი სიჩუმე მხოლოდ ნანგრევებს შორის ანდა დასაფლავებისას ისადგურებს ხოლმე. ღარიბულ ვახშამზე ცივი საუზმეულობა შეძოიტანეს; ჭამის დროს ყველა დუმდა, ხანდახან რომელიმე გრივალით მიყენებულ ზარალს თუ გაიხსენებდა. ბოლოს გაწამებული სოფია, ესტებანი და კარლოსი დასაძინებლად წავიდნენ. უჩვეულოდ დაძაბული ვიქტორი სუფრაზე დიდი თითის ფრჩხილით რაღაც ციფრებს წერდა, მერე ერთმანეთს უმატებდა, აკლებდა, ისევ შლიდა; ახალგაზრდები სუფრიდან რომ წამოიშალნენ, ნებართვა ითხოვა სასტუმრო ოთახში კიდევ რამდენიმე საათით ან სულაც გათენებამდე დაურჩებიო, ქუჩაში გასვლა საშიში გამხდარიყო, ქურდებსა და მძარცველებს სიბნელით ესარგებლათ და ხელი მიეყოთ თავიანთი ბნელი საქმეებისთვის. ვიქტორს, ამას გარდა, ეტყობოდა, სურდა ბოლომდე მიეყვანა ანგარიშწარმოების დავთრის შესწავლა.

— ვფიქრობ, რაღაც ფაქტები აღმოვაჩინე, რაც თქვენთვის მეტად საინტერესო უნდა იყოს, მაგრამ ამაზე ხვალ ვილაპარაკოთ, — თქვა მან.

მეორე დღეს, დაახლოებით ცხრა საათზე სოფია ჩაქუჩის ბრაზუნმა, ხერხის სივილმა, ჭოჭონაქის ჭრიალმა და სახლში ხელახლა თავმოყრილი მუშების ხმაურმა გამოაღვიძა. სასტუმრო ოთახში რომ ჩავიდა, მიხვდა რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ერთ მხარეს სავარძელში იჯდა ცალყბად გაღიმებული ანდერძის აღმსრულებელი, მოპირდაპირედ, ცოტა მოშორებით, მოსაზრობლებივით დამსხდარიყვნენ შუბლშეკრული, უჩვეულოდ სერიოზული და ყურადღებადქცეული კარლოსი და ესტებანი, ზურგზე ხელებაწყობილი ვიქტორი კმაყოფილად ოთახში ბოლთას სცემდა. დროდადრო ახსნა-განმარტების მოსასმენად დონ კოსმეს წინ გაჩერდებოდა, დაუინებით დააშტერდებოდა და თავის აზრს კბილებს შორის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ღრენით გამოთქვამდა: „Oui!“* ბოლოს ვიქტორი სასტუმრო ოთახის კუთხეში სავარძელში ჩაჯდა, უბის წიგნაკს ჩახედა, სადაც, ეტყობა, რაღაც ციფრები ჰქონდა ჩაწერილი, ხელახლა წაიღრინა თავისი „Oui!“ და მიჰყვა დაფანტულსა და დაულაგებელ ლაპარაკს; თან სახელოთი ფრჩხილებს იპრიალებდა, ფანქარს ათამაშებდა ანდა საკუთარ ნეკათით ისეთი ინტერესით დაჰყურებდა, თითქოს უცაბედად ზედ რაღაცა აღმოეჩინოს. მან უპირველესად განაცხადა: სულაც არა ვარ ის კაცი, ვისაც სხვის საქმეებში უყვარს ჩარევათ. აღნიშნა ის მოსაწონი გულმოდგინება, რასაც ბატონი კოსმე (ვიქტორი ამ სახელს „ო“-ს რაღაც უაზრო გაგრძელებით წარმოთქვამდა „კ-ო-ო-ო-მე“), იჩენდა თავისი აღზრდილების სურვილთა დასაკმაყოფილებლად, უსრულებდა მათ ყველა თხოვნას, მზრუნველობას იჩენდა, რათა სახლში არ ეგრძნოთ ნაკლოვანება, მაგრამ ასეთ გულმოდგინებას – n'est-ce pas?*** – შესაძლოა საიდუმლო მიზანიც ჰქონოდა: წინასწარ გაფანტვა ყოველგვარი ეჭვისა.

– რა ეჭვის? – გამოფხიზლდა უცებ ანდერძის აღმსრულებელი, რომელიც ვიქტორის სიტყვებს ნაძალადევი გულგრილობით ისმენდა, თან სავარძელი შეუმჩნევლად ახალგაზრდებთან უფრო ახლოს მიაჩინა, თითქოსდა სურდა ეჩვენებინა, მეც ამ ოჯახის წევრი ვარო.

მაგრამ ვიქტორმა დონ კოსმეს აგრძნობინა, შენ ამ სახლისთვის უცხო ხარო, ხელი ძმებისკენ გაიშვირა და გამოკვეთილ მეგობრულ კილოზე წარმოთქვა:

– რამდენადაც, mes amis,*** ჩვენ ერთად წავგიკითხავს რენიარი, გაიხსენეთ, კეთაყვათ, მისი შემდეგი ლექსი, რომლითაც ახლა სრული საფუძველი გაქვთ მომმართოთ მე:

Ah! Qu'a'nôfre secours à propos veus venez!
En cohe un jour plus tard, navs etoins ruines!*

– ბრავო, ეტყობა, ფრანგული კომედიის მოწმენი გავხდებით, – წარმოთქვა ანდერძის აღმსრულებელმა, თან თვითონვე იცინოდა საკუთარ მახვილგონიერებაზე, რასაც დანარჩენები მღუმარედ შეხვდნენ.

– ხანდახან, კვირაობით, სანამ ახალგაზრდებს ეძინათ, შევივლიდი ხოლმე მეზობელ შენობაში, – განაგრძო ვიქტორმა და მაღაზიაში გამავალ კარზე

* ღიახ! (ფრანგ.).
** ასე არ ირის? (ფრანგ.).
*** ჩემო მეგობრებო (ფრანგ.).
*** სწორედ რომ სულზე მოგვისწართ, ინებეთ შეველა!
ერთი დღეც და... არ აგვცდებოდა დაქცევა, რბევა!

მიუთითა, — რაღაც-რაღაცები მაინტერესებდა, ვათვალიერებდი, ვანგარიშობდი, ვუდარებდი, შენიშვნებს ვიწერდი. ამრიგად, — ასე თუ ისე, კომერსანტის სული რომ მაქვს, ამის უარყოფა არ შეიძლება — იმ დასკვნამდე მივდი, რომ საწყობში ზოგიერთი საქონელი გაცილებით ცოტაა, ვიდრე იმ ქაღალდებში წერია, რომლებიც დონ კოსმემ გადასცა კარლოსს.

ანდერძის აღმსრულებელმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვიქტორმა პირის გაღებაც არ დააცადა.

— რასაკვირველია, კარგად ვიცი, — განაგრძო მან, — რომ დღეს ვაჭრობა, ადრინდელთან შედარებით, გაძნელებულია, ნეგოციანტების თავისუფლებას ზღუდავენ და ისინი ათასგვარ დაბრკოლებას და წინააღმდეგობას აწყობიან. მაგრამ ეს სულაც არ გამოდგება იმის საბუთად, — ამის თქმაზე იუგს ხმაში მუქარა გაერია, — რომ თბლებს ყალბი ანგარიშები შეაჩქოთ, თან ისიც იცოდეთ, რომ ისინი ამ ანგარიშში არც ჩაიხედავენ...

დონ კოსმემ სავარძლიდან წამოდგომა დააპირა, მაგრამ ვიქტორმა გააფრთხილა, იგი ფართო ნაბიჯებით უახლოვდებოდა ანდერძის აღმსრულებელს, თან საჩვენებელი თითი ლამის ზედ ეტაკებინა. იუგს გამკაცრებულ ხმაში ფოლადი გაერია: საწყობსა და მაღაზიაში სკანდალური რამეები ხდება, და ეს ხდება კარლოსისა და სოფიას მამის გარდაცვალების დღიდან. ამიტომაც ის, ვიქტორი, კისრულობს მოწმეთა თანდასწრებით დაამტკიცოს, რომ უსინდისო ანდერძის აღმსრულებელი, კაცი, რომელმაც მოახერხა ახალგაზრდების ნდობის მოპოვება და გახდა ვითომცდა მათი მფარველი, თავისთვის აგროვებს ქონებას და დანაშაულებრივად ატყუებს საბრალო თბლებს, გულუბრყვილო ბავშვებს, რომლებსაც, ეს დონ კოსმესაც კარგად მოეხსენებოდა, გამოუცდელიობის გამო არ შეეძლოთ საქმეებისთვის თავის გართმევა. და ეს ყველაფერი როდია. მისთვის, ვიქტორისთვის, ცნობილი გახდა რამდენიმე სარისკო სპეკულაცია, რომელშიც გარეულია „მამობილი“ და ანგარებიანად იყენებს თავის აღზრდილების ფულს. მას, ვიქტორს, შეუძლია იამბოს შემცვლელ პირთა მიერ დაღებულ სავაჭრო გარიგებებზე, — ფრანგმა პათოსით მოიტანა ციცერონის სიტყვა ვერესის წინააღმდეგ, და მათ „Canes venatici“* უწოდა... დონ კოსმე კვლავ შეეცადა შეეწყვეტინებინა სიტყვათა ნიაღვარი, მაგრამ ვიქტორი უფრო უმაღლესადაც ხმას და განაგრძობდა თავის საბრალოდებლო სიტყვას, — ვიქტორს თითქოს სიმაღლეს მოემატა, ამასთან საშინელება იყო მისი გაოფლილი სახის ცქერა. მან გაშმაგებით მოიგლიჯა პერანგის საყელო და ყელზე უკიდურესად დაბერილი ძარღვები გამოუჩნდა. სოფიას პირველად მოეჩვენა იუგი ლამაზი: იდგა იგი ტრიბუნის ამაყ პოზაში და როგორც კი ორატორობას მორჩებოდა, მუშტს მაგრად დაახეთქებდა მაგიდას. უცრად ვიქტორმა უკან დაიხია, კედელს აეკრა, დიდებული შესტით დაიკრიფა გულხელი და მცირე პაუზის შემდეგ, რითაც ანდერძის აღმსრულებელმა ვერ ისარგებლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მკვახე, სიძულვილით აღსავსე ხმით წარმოთქვა.

— Vous êtes un misérable, Monsieur!**

დონ კოსმე მოიკუნტა, დაპატარავდა, თითქოს სავარძელში ჩაიკარგა,

* „მეძებარი ძაღლები“ (ლათ.).

** თქვენ არამზადა ხართ, ბატონო! (ფრანგ.)

ტუჩები მრისხანებისგან შეუტოკდა, თითებით ხავერდგადაკრული სავარძლის სახელურს ჩაებლაუჯა. უცებ წამოიმართა და ვიქტორზე თვალმიმტერებულმა მხოლოდ ერთი სიტყვა ამოიხაავლა:

— ფრანკმასონო!

ამ სიტყვამ სოფიაზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, რა შთაბეჭდილებასაც ახდენდა „აფეთქება კათედრალურ ტაძარში“. დონ კოსმემ უფრო ხმა-
მაღალი მუქარით შესძახა:

— ფრანკმასონო!

იგი მერე და მერე დაყოვნებით, მაგრამ გულის გამგმირავად იმეორებდა ამ სიტყვას, თითქოსდა ესეც საკმარისი იყო, რათა სახელი გაეტეხა ცილის-მწამებლისათვის, გაებათილებინა მისი ყოველგვარი ბრალდება. იმ ადამიანისათვის კი, ვის ბაგესაც ეს სიტყვა მოსწყდებოდა, მიეტევებინათ ყველა დანაშაული. დაინახა თუ არა, ვიქტორი მის ყვირილს გამომწვევი ღიმილით შეხვდა, დონ კოსმე ალაპარაკდა ბოსტონიდან ჩამოსატან ფქვილზე, რომელიც ჯერ არსად ჩანდა და ალბათ არც არასოდეს განოჩნდებოდა, რადგან ფქვილი მხოლოდ საბაბი იყო, რათა შეენიღბათ სანტა-დომინგოს ფრანკმასონების აგენტის, ბატონი იუგის და მისი თანამზრახველი ჰიპნოზირისა და ჯადოქარი მულატი ოჟეს მოღვაწეობა, ვის შესახებაც იგი უეჭველად აცნობებდა სამედიცინო კორპორაციას, ვინაიდან ამ ეიგინდარამ თავისი თაღლითური ოიხებით მოატყუა და თვალი აუხვია გამოუცდელ ახალგაზრდებს, — სამწუხაროდ, ესტებანი ჩქარა დარწმუნდება, ამაოდ რომ დააიბნედეს, ავადმყოფობის შემოტევა, რაღა თქმა უნდა, ჩქარა გაუმეორდება. ახლა ანდერძის აღმსრულებელი გადავიდა შეტევაზე, ფრანგს გაავეებული კრაზანასავით უტრიალებდა გარშემო და გაჰკიოდა:

— ეს ხალხი ლუციფერზე ლოცულობს! ეს ხალხი ძველებრულ ენაზე გმობს ქრისტეს! ეს ხალხი ჯვარტყმას აფურთხებს! თავის თანამზრახველებთან ერთად ვნების პარასკევს კლავენ ეკლისგვირგვინიან ტარივს, რომელსაც ჯვარს აცვაძენ იმ მაგიდაზე, სადაც თავიანთი საძაგელი ნადიმი აქვთ გამართული. აი, რატომაა, რომ წმინდა მამებმა, პაპმა კლიმენტიმ და პაპმა ბენედიქტმა ეკლესიისაგან განაძევეს ეს ბიწიერნი და ჯოჯოხეთში საშუალო წამებისთვის გაწირეს.²

ხმაში შიშვარული დონ კოსმე, გეგონება, უნებლიეთ შესწრებულ კუდიანთა საიდუმლო თემობას ამხილებსო, ალაპარაკდა მკრეხელებზე, რომლებიც არა სცნობენ მაცხოვარს; ისინი თავყანს სცემენ ჰირამ აბის,³ სოლომონის ტაძრის მშენებელს, თავიანთ საიდუმლო ცერემონიებში განადიდებენ ოზირისს და იზიდას⁴, თვითონ კი ხან ტირასის მფლობელად მოაქვთ თავი, ხან ბაბილონის გოდოლის შემოქმედად, ხან კადეშის⁵ რაინდად, ხან ტამპლიერების ორდენის⁶ დიდ მაგისტრად—ასე იხსენიებენ ჟაკ დე მოლეს⁷ — არაბუნებრივი ზნეობის, ერესით გატაცებულ, კოცონზე დამწვარ ადამიანს — ვინც ბაფომეტის ნართაული სახელით კერპად აღიარა სატანა.

— ეს ხალხი წმინდანებზე კი არა, ბაალზე, ასტარტესა⁸ და ბექემოთზე ლოცულობს! — შემზარავად შეჰკივლა დონ კოსმემ.

მერე მოჰყვა ფრანკმასონების ლანძვას. ამ საზოგადოების წევრები ყველგან აღწევნო, რაღაც „ფილანთროპიის“ სახელით ცდილობენ ქრისტიანული რწმენისა და კანონიერი ხელისუფლების ავტორიტეტის დამხობასო; ინიღბე-

ბიან იმაზე გაუთავებელი ლაპარაკით, თითქოსდა ისწრაფვოდნენ საყოველთაო კეთილდღეობისა და დემოკრატიისათვის, სინამდვილეში კი საიდუმლოდ ამზადებდნენ საერთაშორისო შეთქმულებას არსებული წესწყობილების დასამხობადო. „შეთქმული“ ხარ!“ — ხმამაღლა მიამახა ვიქტორს ჯიქურ თვალმომტერებულმა დონ კოსმემ, მან იმდენჯერ წამოიყვირა ეს სიტყვა, რომ ბოლოს ხმა სულ ჩაუწყდა და ხველება აუტყდა.

— მართალია ეს ყოველივე? — გაუბედავად იკითხა სოფიამ, რომელიც ეროსა და იმავე დროს განეცვიფრებინა და თვალი მოეჭრა სოლომონის ტაძრისა და რაინდ ტამპლიერების ციხე-სიმაგრის მდიდრულ ფონზე ოზირისისა და იზიდას მოულოდნელ მოვლინებას.

— მართალი მხოლოდ ერთი რამაა: თქვენს ფირმას გაკოტრება მოელის, — აუღელვებლად უპასუხა ვიქტორმა, მერე კარლოსს მიუბრუნდა და დაუმატა: — უღირსი მეურვეების წინააღმდეგ ჯერ კიდევ რომის სამართალი ითვალისწინებდა ზომებს: უჩივლეთ სასამართლოში.

„სასამართლოს“ გაგონებაზე ახდერძის აღმსრულებელი გველნაკბენივით შეხტა.

— მაგასაც ვნახავთ, პირველი ვინ ამოჰყოფს თავს საქართველოში, — ამოიხაველა მან, — რამდენადაც ვიცი, ფრანკმასონებსა და არასასურველ უცხოელებს მალე ალყაში მოგიმწყვდევენ. ადრინდელ სულელურ შემწყნარებლობას ბოლო მოელება. — მერე ქუდს ხელი წამოავლო და დაუმატა: — გააგდეთ ეს ავანტიურისტი, თორემ ყ ვ ე ლ ა ს დაგაპატიმრებენ, — დონ კოსმემ თავი დახარა და კბილებშია გამოსცრა: — კარგად ბრძანდებოდეთ ყ ვ ე ლ ა!

მის უკანასკნელ სიტყვაში კვლავ მუქარა გაისმა. მერე სასტუმრო ოთახიდან გავიდა და კარი ისე გაიჯახუნა, ფანჯრებს ზრიალი დააწყებინა. ახსნა-განმრატების მომლოდინე ახალგაზრდები ვიქტორს მისჩერებოდნენ, ის კი ლუქის ბეჭედზე გულდაგულ ამაგრებდა მსხვილ ზონარს, რითაც ფირმის ანგარიშსწორების დაუთარი იყო შეკრული. ამას რომ მორჩა, დააყოლა:

— ეს ყველაფერი კარგად შეინახეთ, აქ არის თქვენი გამამართლებელი საბუთები.

მერე იუგმა პატიოში გამავალ ფანჯარას გაუშტერა თვალი: ქვემოთ მუშები გრივალის მიერ წახდენილის მილაგებ-მოლაგებასა და შეკეთებაში გართულიყვნენ, ზედამხედველის როლით გაამაყებული რემიხიო კი მუშაობას ადევნებდა თვალყურს. ანაზღეულად, თითქოს ენერგიის მოზღვაება იგრძნო, ვიქტორი პატიოში ჩავიდა, ხელი წამოავლო ქაფჩას, მუშებს შეერია და მარჯვედ მოჰყვა სახურავიდან ჩამოქცეული კრამიტისაგან დაზიანებული პატიოს კედლების ამოშენებასა და შეღესვას. სოფია შესცქეროდა ხარაჩოზე აჩონხებულ იუგს, უყურებდა კირითა და თაბაშირით მოთხვრილ მის სახეს და ფიქრობდა მითზე, რომლის გმირია პირამ აბი: ეკლესიაში მისი მისამართით არაერთხელ მოსმენილი ანათემის მიუხედავად, მიუხედავად ეკლისგვირგვინიანი ტარიგისა, ძველ ებრაულ ენაზე წარმოთქმული სიტყვისა და პაპის მრისხანე ბულასი, მას, ცოტა არ იყოს, თვალს სჭრიდა საიდუმლოების შარავანდედი, რითაც ამიერიდან შემოსილიყო ვიქტორი, ამ წუთშიც ტაძართა მშენებელს რომ დამსგავსებოდა. ანაზღად სოფიას იგი წარმოუდგა საიდუმლოებათა მფლობელ, აკრძალულ საზღვართა მიღმა ნამყოფ ადამიანად, აზიის მცოდნედ, დღემდე ყველასათვის უცნობი ხარატუსტრას წიგნის აღმომჩენად, — თითქოს რაღა-

ციტ მიწისქვეშა სამეფოდან დაბრუნებულ ორფევსსა ჰგავდა. და სოფიას ანაზღად გაახსენდა, ცოცხალი სურათების წარმოდგენისას რა გატაცებით თამაშობდა ხის ჩაქუჩით ვერაგულად მოკლული ძველი ხუროთმოძღვრის როლს. რა სიამოვნებით იმოსებოდა ტამპლიერის ტანსაცმლით და ჯვრით დამშვენებულ ლაბადაწამოსხმული როგორ ანსახიერებდა დასასჯელად მიმავალ ფაკ დე მოლეს. ეტყობა, ანდერძის აღმსრულებლის მიერ წარმოთქმულ ბრძანებები სინამდვილეს შეეფერებოდა. მაგრამ ახლა სწორედ ეს სინამდვილე იტაცებდა ქალიშვილს თავისი რალაც მიუწვდომლობითა და იდუმალებით, იტაცებდა საიდუმლოებანი, რითაც მოცული იყო ვიქტორის ცხოვრება. მას სახიფათო რწმენის მსახურებისადმი მიძღვნილი ცხოვრება გაცილებით საინტერესო ეჩვენებოდა, ვიდრე ფქვილის ტომრებით მოგების მოძლოდინე ვაჭრის უზრუნველი ყოფა, შეთქმული მაინც სჯობია კომერსანტს! ახალგაზრდობას ყოველთვის იზიდავს ტანსაცმლის ცვლა, ნაირგვარი პაროლები, სამალაგები, კრიპტოგრამები, აკინძული ალბომები, რომელთა ჩანაწერები მხოლოდ ადრესატებისათვის არის გასაგები — და ყოველივე ამას ახლა სოფია ხედავდა ვიქტორის ცხოვრებაში.

— მაგრამ... ნუთუ მართლა ასეთი საშინელია ეს ხალხი, როგორც ირწმუნებიან? — იკითხა სოფიამ.

ესტებანმა მხრები აიჩეჩა:

— ძველთაგან ასე ძოდის, საიდუმლო სექტებსა და საიდუმლო ორგანიზაციებზე მუდამ ჭორებს ავრცელებენ. ძველ ქრისტიანებს ადანაშაულებდნენ, ჩვილ ბავშვებს ხოცავდნენ; ბავარიელი ილუმიანატები, რომელთა ერთ-ერთი დანაშაული ის იყო, რომ კაცობრიობისათვის სიკეთის მოტანა სურდათ, ტალახით ამოსვარეს.

— ყველაფრიდან ჩანს მაინც, რომ ღმერთს ვერ ეწეობიან, — შენიშნა კარლოსმა.

— ჯერ დასადგენია, რომ ღმერთი არსებობს, — მიუგო ესტებანმა.

ამის თქმაზე სოფია ისეთ სასოწარკვეთილ ყვირილს მოჰყვა, თითქოს ზურგზე მოკიდებული მძიმე ტვირთისგან ლამობს დახსნასო.

— დავიღალე ღმერთისაგან, დავიღალე მონაზვნებისგან! მეურვეებისა და ანდერძის აღმსრულებლებისაგან, ნოტარიუსებისა და საქმიანი ქაღალდებისაგან, თაღლითობებითა და ათასგვარი სისამაგლეებით! დავიქანცე ყველაფრისაგან და აღარა მსურს მეტის მოთმენა.

ქალიშვილი კედელთან მდგარ სავარძელზე ახტა, კედლიდან მამის ვეება სურათი ჩამოვლიჯა და იატაკზე ისე დაანარცხა, ტილო ჩარჩოდან გამოვარდა. მერე ვარეგნულად სიმშუადემნარჩუნებული ძმების თვალწინ შესდგა ტილოს და ისე გამეტებით დაუწყო გაქელვა, გამხმარი საღებავი აქეთ-იქით იბნეოდა. ბედშავი სურათისაგან ნაფლეთები და ნაფოტებიდა რომ დარჩა, სოფია სავარძელში ჩაეცა; სულს ძლივს ითქვამდა, სახე კვლავ მოღრუბვლოდა. ვიქტორი, რომელსაც ის-ის იყო მიეგლო ქაფჩა, გაკვირვებისაგან ლამის გაშეშდა. პატიოში აჩქარებული ნაბიჯით ოჟე შემოვიდა.

— უნდა გავიქცეო, — თქვა მულატმა და რამდენიმე სიტყვით აუწყა მათ ყოველივე, რაც შეეტყო, ვიდრე ძმობის ერთ-ერთი წევრის სახლში იმალებოდა:

ციკლონმა მთავრობა აიძულა ყველაზე გადაუდებელ საქმეებს მიხედოს, ამან პოლიციელების მიერ ფრანკმასონთა უკვე დაწყებული დევნა დააბრკო-

ლაო. ესპანეთიდან ამის თაობაზე საგანგებო განკარგულება მოსულა და აქ დარჩენას აზრი აღარა აქვს, ყველაზე ჭკვიანური იქნება ვისარგებლოთ დროებით გამეფებული არეულობით და სანამ ხალხი თავიანთი სახლებისა და ქუჩების წესრიგში მოყვანით არის გართული, ქალაქი დავტოვოთ, მერე, თავს უსაფრთხო ადგილას რაკი დავიგულებთ, შორიდან შეიძლება მოვლენათა ცვალებადობისათვის თვალყურის დევნებაო.

— ამისათვის სავსებით შესაფერისია ჩვენი მამული. — მტკიცედ განაცხადა სოფიამ, და დიდხანს არც უფიქრია, ისე გაეშურა საკუჭნაოსკენ საგზლის მოსამზადებლად.

უკან მალევე დაბრუნდა, კალათაში კვივად მოხარშული ხორცი, პური და მდოგვი ჩაელაგებინა; შეთანხმდნენ, კარლოსი შინ უნდა დარჩეს და შეეცადოს რაც შეიძლება ჩქარა შეიტყოს ახალი ამბავიო. ესტებანი განკარგულების გასაცემად გავიდა, რათა ცხენები დაუყოვნებლივ შეეხებოდა ეკიპაჟში, რემიხიო კი იესო ქრისტეს მოედანზე დილიჯანსების კანტორაში ორი სამარქაფო ცხენის საშოვნელად გაგზავნეს.

IX

სევდისმომგვრელ სინსვლას კოფოზე მსხდომი ესტებანი და ოჟე ერთიანად გაეჟიებინა, მომაბეზრებელი წვიმის შხეფები ქარის ყოველ დაქროლებაზე უკანა სავარძლამდე აღწევდა. ოდროჩოდრო გზაზე რესორების ჭრიალით, რყევითა და ჯაყჯაყით ძლივძლივობით მიირწეოდა წინ შავად მოლაპლაპე მუშამბის სახურავიანი ეტლი: ხანდახან ეკიპაჟი ისე აყირავდებოდა, იტყოდით, სადაცაა გადაბრუნდებო. დროდადრო კი, წყალმარჩხი მდინარის გადალახვისას, შხეფები ლამის ფარნამდე აღწევდა. ეტლი ერთიანად ტალახით მოთხვრილიყო; წითელნიადგვიანი შაქრის ლერწმის მინდვრებს რომ გამოაღწია, ახლა საფლავის ჯვრებით მოფენილ უნაყოფო მიწის მორუხო ტლაპოში ჩაეფლო, — ჯვრების დანახვაზე უკან, ერთ-ერთ სამარქაფო ცხენზე მჯდომმა რემიხიომ პირჯვარი გადაისახა. უამინდობის მიუხედავად მგზავრები მაინც მღეროდნენ და იცინოდნენ, სვამდნენ მალვაზიას, ილუკმებოდნენ ბუტერბროდებს, ახრამუნებდნენ ნამცხვარს და კარამელს, — სასიამოვნო იყო მწვანედ მობიბინე სამოვრების, ცურსავსე ძროხებისა და ხმელი შეშით მხიარულად მოგუზგუზე ბუხრებიანი სოფლური სახლების სურნელებით გაუღენთილი ჰაერი; ყველას უხაროდა, რომ შორს მოიტოვეს ქალაქის ვიწრო ქუჩებში გამეფებული წათხის, შაშხისა და გლემურძი ხახვის გულისამრევი სუნი.

ოჟე კრეოლურ სიმღერას მღეროდა.

Dipi mon perdi Lisette,
 Mon pas souchie Kelenda,
 Mon quitté brami-bram sonnette,
 Mon pas battre bamboula.*

სოფია ინგლისურად მღეროდა ლამაზ შოტლანდიურ ბალადას, თითქოსდა დავიწყებოდა, ესტებანი შემთხვევას რომ არ გაუშვებდა, ოღონდაც სასაცი-

* რაც დავკარგე ჩემი ლიზეტა,
 დღეწა სთვალავი ამერიო,
 გადაეჩვიე ცეკვა--თამაშს,
 არც დამიკრავს, არც მიმღერიო.

ლოდ აუგლო მისი უცნაური გამოთქმა. მღეროდა ვიქტორიც, თუმცა უღმერთოდ ამახინჯებდა მელოდიას, მაინც მთელი სერიოზულობითა და სიჯიუტით აწყებდა ერთი და იმავე არიის პირველ ფრაზას: „Oh! Richard! Oh! Mon roi“* რადგან მეტი არაფერი ახსოვდა. საღამოთი წვიმამ მოუხშირა გზა უარესად გაფუჭდა, ესტებანს ხველება დააწყებინა, ოჟეს ხმა ჩაეხრინწა, სოფია სითბოს ვერა და ვერ იკიდებდა დანატიებულ ტანისამოსში. მამაკაცები კოფოდან მონაცვლებით გადადიოდნენ გადაფარებულ ეტლებში და ამგწარმირაჟი ეგადასვლა-გადმოსვლაში მგზავრებს საუბრისთვის თავი ვერ მოებათ. ყველაზე მწვავე საკითხი, ყველაზე უფრო მწველი საიდუმლო – რას აკეთებდნენ სინამდვილეში ვიქტორი და ოჟე, კვლავინდებურად ამოუხსნელი რჩებოდა; ამაზე ხმას არავინ იღებდა, შესაძლოა, გზაში ამდენს სწორედ იმიტომ მღეროდნენ, რომ ვითარება შეუფერებელი იყო გამოცანის ამოსახსნელად... მამულში გვიან ღამით ჩავიდნენ. ძველი, მიტოვებული, კედლებდარღვეული, გრძელდერეფნიანი და უამრავთაღებიანი სახლი ქვით იყო ნაგები. მისი მოძველებული ფართო სახურავი დამპალ კოჭებზე ირყეოდა. თუმცა სოფია დაღლილი იყო, ამასთან ემინოდა უთავგზოდ მფრინავი ღამურების, მაინც შეუდგა ლოგინების დაგებას: ბრძანა, მოეტანათ თეთრეული და საბნები, პირის დასაბანი ტაშტები წყლით აეესოთ, მოსკიტებისაგან თავის დასაცავი დახეული ფარდები დაეკემსათ, სახვალისოდ კი საქმის უკეთესად მოგვარებას იპირებოდა. ამასობაში, ვიქტორს ეზოში ორი ქათამი დაეჭირა და კისერში ხელჩაკლებულებს პაერში ისე ატრიალებდა, ფრინველები ბუმბულის სათამაშო წისქვილს დამსგავსებოდნენ. კისრებწაწყვეტილი ქათმები ვიქტორმა მღულარეში ჩააწყო, მარჯვედ გაპუტა და ფრიკასეს სახელდახელოდ მოსამზადებლად პატარ-პატარა ნაჭრებად დაჭრა, მერე – pour réchauffer messieurs les voyageurs** – არაყი და პილპილიც დაუმატა. პატიოში ცერეცოს ბუჩქის დანახვაზე კვერცხების გათქვეფა დაიწყო და ყველას აუწყა, რომ omlett aux fines herbes***-ით გაუმასპინძლდებოდათ. სოფია მაგიდასთან დაფუსფუსებდა, სუფრის შუაგულს ბადრიჯნით, ლიმონითა და მწარე კვახით ალაპაზებდა. ვიქტორმა ფრიკასეს გემოს გასასინჯად სოფიას სამზარეულოში რომ მოუხმო, ქალიშვილმა წელზე უცებ იუგის ხელი იგრძნო, მაგრამ ამჯერად ეს ვიქტორს ისე უშუალოდ და მეგობრულად გამოუვიდა, რომ სოფიამ მის საქციელში აბეზარობა და უთავაზობა ვერ დაინახა, ამიტომ საჭიროდაც არ მიუჩნევია შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი. სოფიამ სიამოვნებით დაუდასტურა, კერძი მართლაც დიდებული გამოსულაო, მერე პირუეტით მსუბუქად გაინთავისუფლა თავი და სასაღილო ოთახში ისე დაბრუნდა, სულაც არ გაბრაზებულა. მზიარულად ივახშმეს, გემრიელ საჭმელს ყველა მშვენიერ გუნებაზე დაეყენებინა: სასიამოვნო იყო სახლში მყუდროდ და უშფოთველად ჯდომა და მიყურადება, როგორ ხმაურობდა შხაპუნა წვიმა სახლის სახურავზე, როგორ გაუდიოდა წვეთებს წკაპაწკუპი მალანგის ფოთლებზე, როგორც გადაჭიმულ პერგამენტზე ან როგორ სწყდებოდა ნაყოფი ბაღში ბრიწვეულებსა თუ მურატს... ანაზღეულად ვიქტორმა საუბრის კილო შეცვალა და სრულიად სერიოზულად და უპათეტიკოდ და-

* ო. რიჩარდი ო. ჩემო მეფეო!“ (ფრანგ.).
 ** პატონ მოგზაურთა გასართობად (ფრანგ.).
 *** მწვანელით შეკმარული ერბოკვერცხი (ფრანგ.).

იწყოს იმაზე საუბარი, თუ რამ მოიყვანა მათ ქალაქში. უპირველესად კომერციულმა საქმიანობამო: ლიონის აბრეშუმის ესპანეთის გავლით ჰაენასა და ზექსიკაში ჩამოსატანად დიდი ბაჟის გადახდა გვიხდება; მაგრამ არის მეორე გზაც: ბორდოდან აბრეშუმი პირდაპირ სენ-დომენგში წყიდლება წამოვიდეთ/ იქიდან კი შინ მიმავალი ჩრდილოეთ ამერიკის ხომალდებით, რომლებიც ანტილის კუნძულებზე პურის ფქვილს ეზიდებიან, საიდუმლოდ აქ გადმოვიტანოთ. აბრეშუმის ტილოს ასობით ტომარა უკვე ჩამოგვივიდა, მათ გარეგნულად ვერაფრით გაარჩევ სხვა საქონლის ტომრებისაგან; თავისუფლებისმოყვარე კრეოლი კომერსანტები, პორტის ზოგიერთი ჩინოვნიკის ხელშეწყობით, მარჯვედ მოეკიდნენ კონტრაბანდას, რაკი ფიქრობენ, სრული უფლება აქვთ ამ გზით ებრძოლონ ესპანეთის ხელისუფლების ძალმომრეობასა და ბოროტმოქმედებას, ვაჭრობის სფეროში განსაკუთრებულ პრივილეგიას რომ ისაკუთრებენ. მე მარტო ჩემი ინტერესებისათვის კი არა, ფაბრიკის ინტერესებისთვისაც ვზრუნავ, რომელიც ეკუთვნის ფან ბატისტ ვილერმოზს („ალბათ ცნობილი პიროვნებაა, რაკი მისი სახელი ასეთი ზარზეიმით წარმოთქვა“, — გაიფიქრა ესტებანმა), და ლიონის კარგა ბლომა აბრეშუმით ქალაქის უკვე რამდენიმე სავაჭრო ფირმა მოვამარაგეო.

— შეიძლება თუ არა ასეთი ვაჭრობა პატიოსნად მივიჩნიოთ? — გამოძვევად იკითხა სოფიამ.

— ეს ერთ-ერთი ხერხია ესპანეთის ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ტირანია კი, როგორადაც არ უნდა იცვლიდეს სახეს, დასამხობია, — უპასუხა იუგმა.

— რაღაცოდან ხომ უნდა დაგვეწყოს, — განაგრძო ვიქტორმა, — თორემ ხალხი აქ მძინარესა და უძოქმედოს ჰგავს; ყველაფრისგან მოშორებული ცხოვრობს თავის თითქოსდა უძრავ სამყაროში, მისი ინტერესები მხოლოდ თამბაქოსა და შაქრის ფასებით განისაზღვრება. სენ-დომენგში ფრანკმასონები პირაქით, ძალზე ძლიერნი არიან, მათ ყველაფერი კარგად უწყიან, რაც ქვეყნად ხდება. მეგონა, ფრანკმასონობა კუბაშიც ისევე ფართოდ იქნებოდა გავრცელებული, როგორც ესპანეთში და აქაურ ძმებთან ურთიერთობის დამყარებასა და საიდუმლო ორგანიზაციის შექმნას ვაპირებდი იმისდაკვალად, როგორც სხვა ქვეყნებში არსებობს უკვე. მაგრამ იმედის გაცრეება მელოდა. ამ მდიდარ ქალაქში ფილანთროპები ძალზე ცოტანი და თანაც მშიშრები აღმოჩნდნენ, მათ, როგორც ეტყობათ, ცუდად ესმით რა არის „სოციალური საკითხი“, ერთგვარად თითქოს თანაუგრძნობენ მოძრაობას, რომელმაც ჭეშმარიტად საერთაშორისო გაქანება მიიღო, მაგრამ მოქმედებას ვაუბრიან. შიშისა და სიმხდალის გამო ვერ გაუბედავთ უარყონ ათასნაირი ლეგენდა და ჭორი იმის თაობაზე, თითქოსდა ფრანკმასონები ჯვარცმას აფურთხებდნენ, ქრისტეზე აუვს ამბობდნენ, მკრეხელობდნენ და ღმერთსა გამობდნენ, როცა ყველა ეს მონაჩმახი სხვაგან კარგა ხანია რაც გაქარწყლდა.

— Nous avons autre chose à faire, croyez-moi,* — განაგრძო ვიქტორმა, — თქვენი ხალხი ვერც წარმოიდგენს, — დაუმატა იქვე, — როგორი მნიშვნელობა ექნება მსოფლიოს მომავლისათვის იმას, რაც ახლა ევროპაში ხდება.

— რევოლუცია დაიწყოს და აღარავის არ ძალუძს მისი შეჩერება, — ჩაერიდა საუბარში ოფე.

* მერწმუნეო, ჩვენ სულ სხვა განზრახვა გვაქვს (ფრანგ.).

მულატმა ეს სიტყვები მისთვის ხანდახან დამახასიათებელი უჩვეულო ზემური კილოთი წარმოთქვა. „რეკოლუცია, სწორედ ის რეკოლუცია, — თავისთვის გაიმეორა ესტებანმა, — რომლის შესახებ ადგილობრივი გაზეთები რამდენიმე სტრიქონით თუ იუწყებიან თეატრალური წარმოდგენების პროგრამასა და გასაყიდ გიტარაზე მოთავსებულ განცხადებათა შორის“. ვიქტორმაც აღიარა, ჰავანაში ჩამოსვლის შემდეგ დავკარგე ნათელი წარმოდგენა, რა ხდება მსოფლიოში, სანტა-დომინგოში კი ევროპიდან სულმოდუნოდ ველოდი ახალ ამბებსო.

— ცოტა ხნის წინათ გამოვიდა დეკრეტი, — ხელახლა ჩაერია საუბარში ოჟე, — ეს დეკრეტი ჩემნაირი კანის ადამიანს, — ამის თქმაზე მულატი თითებით საკუთარ ლოყას შეეხო, რომელიც უფრო შავი ჰქონდა, ვიდრე შუბლი, — უფლებას აძლევს შეასრულოს ყოველგვარი საზოგადოებრივი სამუშაო, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, უ-დი-დე-სი!

ვიქტორი და ოჟე ხმაძალდა კამათობდნენ, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ, ერთი საგნიდან მეორეზე ხტებოდნენ, ამ აბურდულ-დაბურდული, მაგრამ ერთობ საინტერესო საუბრიდან ესტებანმა გაიგო მხოლოდ რამდენიმე ნათელი დებულება: „ჩვენ უკან მოვიტოვეთ რელიგიითა და მეტაფიზიკით დაღდასმული ეპოქა და შევდივართ მეცნიერების ეპოქაში“, „უაზროა საზოგადოების წოდებრივ ფენებად დაყოფა“, „სავაჭრო ინტერესები უნდა ჩამოეშორეთ ომის გაჩაღების მომაკვდინებელ სწრაფვას“, „კაცობრიობა ორ ნაწილადაა გაყოფილი: მჩაგვრელებად და ჩაგრულებად. ჩვეულებანი, საჭიროება და მოუცლელობა ჩაგრულთა უმრავლესობას ხელს უშლის გაარკვიოს თავისი მდგომარეობა: როგორც კი შეიცნობენ საკუთარ ყოფას, იფეთქებს სამოქალაქო ომი“. სიტყვები „თავისუფლება“, „კეთილდღეობა“, „თანასწორუფლებიანობა“, „ადამიანური ღირსება“ წამდაუწუმ მეორდებოდა ამ უთავბოლო კამათში, რომელიც ადასტურებდა გრანდიოზული ხანძრის გარდუვალობას, რაც იმ დამეს ესტებანს უცილობელ განსაწმენდელ ცეცხლად მოეჩვენა; ყმაწვილ კაცს საოცრად სურდა, რაც შეიძლება ჩქარა გამხდარიყო ამ მრისხანე აპოკალიფსური მოვლენების მოწმე, რათა დაღვინებული ადამიანის ცხოვრება დაეწყო სწორედ ამ ახალ სამყაროში. მაგრამ მოეჩვენა, რომ თუმცა ვიქტორი და ოჟე ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდნენ, ხშირად მაინც სხვადასხვანაირად უყურებდნენ ამა თუ იმ საგანსა და ადამიანს და იმასაც, თუ როგორ უნდა ემოქმედათ უკვე შემზადებულ, ნაწინასწარმეტყველ ვითარებაში. ოჟემ ახსენა რანდენიმე წლის წინათ სენ-დომენგოში გარდაცვლილი ვილაც ცნობილი ფილოსოფოსი მარტინეს დე პასკუალე, რომლის შეხედულებებმა, ოჟეს აზრით, ბევრი ადამიანის გონებას დააჩნია ღრმა კვალი.

— თაღლითი! — ზიზღით შესძახა ვიქტორმა.

და მან დაცინვით გაახსენა, როგორ ირწმუნებოდა ეს ადამიანი, რომ ყველა მატერიკზე და ოკეანეზე შექმლო თავის მოწაფეებთან სულიერი ურთიერთობის დამყარება. ამისთვის ნაბუნობის ანდა ბუნობის დღეებში ფილოსოფოსი და მისი მოწაფეები, როგორი დაშორებულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთისაგან, იჩოქებდნენ, გარშემო ცარციტ მაგნიტურ წრეს იხაზავდნენ, ირგვლივ ანთებულ სანთლებსა თუ ათასგვარ კაბალისტურ ნიშნებს

შემოიძვრებოდნენ, წვაავდნენ არომატულ ნივთიერებებს და სჩადიდნენ სხვა ამგვარ აზიურ ფოკუსებს.

— ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვსურს, გავათავისუფლოთ ადამიანში მოვლემარე ტრანსცენდენტული ძალა, — გაჯავრებით შეეპასუხა ოჟე.

— ჯერ უძეობესია, საკუთარი ბორკილები დაამსხვრიოთ, — უპასუხა ვიქტორმა,

— მარტინეს დე პასკუალე განგვიმარტავს, — გრძობამორევები ექიმმა, — რომ კაცობრიობის ევოლუცია ხორციელდება მთელი საზოგადოების ძალით, ამიტომაც თითოეული ადამიანის შემოქმედებითი ენერგია აუცილებელი შემადგენელი ნაწილია საზოგადოების ენერგიისა. ის, ვინც უფრო მეტი იცის, მეტს გააკეთებს თავის მსგავსთა კეთილდღეობისათვის.

ამჯერად ვიქტორი აღარ შეკამათებია, რადგან ეს აზრი არცთუ ისე განსხვავდებოდა მისსავე რწმენისაგან. სოფია შეცბუნდა, რომ ერთსა და იგივე იდეას ასე სხვადასხვანაირი და საპირისპირო ახსნა-განმარტებაც კი სჭირდებოდა.

— მაგისტანა რთულ საკითხებს, საფუძვლიანად თუ არ ხარ მომზადებული, უცებ ვერაფერს გაუგებ, — რბილად უთხრა ოჟემ.

ქალიშვილის თვალწინ თითქოს ანაზღად აეხადა ფარდა გამოუცნობ სამყაროს, რომელიც მისთვის მაინც მიუწვდომელ საიდუმლოებად რჩებოდა. ესტებანს კი მოეჩვენა, რომ აქამდე ბრძმასავეთ ცხოვრობდა, შორს იდგა ყველაზე მღელვარე მოვლენებისაგან და არაფერი გაეგებოდა იმის, რაც ერთადერთი მნიშვნელოვანი იყო მისი დროისათვის.

— ყველაზე საყურადღებო ახალ ამბავს კი გვიმაღავენ, — აღშფოთდა ვიქტორი.

— გვიმაღავენ და კვლავაც დაგვიმაღავენ, რადგან მთავრობას ეშინია, პანიკურად ეშინია ევროპაზე ჩამოწოლილი ამბოხების აჩრდილისა! — განაცხადა ოჟემ წინასწარმეტყველურად, — დარეკა ფამმა, მეგობრებო, დარეკა ფამმა.

ორი დღე განუწყვეტლივ მარტო რევოლუციაზე ლაპარაკობდნენ და სოფია გაკვირვებული იყო, ასეთი მიმზიდველი ინტერესი რომ შეეძინა მისთვის საუბრის ამ ახალ საგანს. რევოლუციურ გადატრიალებაზე საუბარი, ამ გადატრიალების წარმოსახვა, გონებით რევოლუციურ მოვლენათა ცენტრში ყოფნა — იმას უდრის, რომ ნაწილობრივ შენც სამყაროს მბრძანებლად იქცე. ყველა, ვინც რევოლუციაზე ლაპარაკობს, შინაგანად მზად არის მის მოსახდენად. მათთვის უკვე ნათელია, რომ ესა თუ ის პრივილეგია უნდა გაუქმდეს, ამიტომაც ფიქრს იწყებენ, როგორ იქნება უკეთესი ამის მიღწევა; მათთვის ცხადია, რომ მჩაგვრელობის არსებული ფორმა საძაგლობაა და ისინიც ეძიებენ ამ ფორმასთან ბრძოლის ხერხებს; მათთვის აშკარაა, რომ ესა თუ ის მმართველი — არამზადაა, და ერთსულოვნად გამოაქვთ მისთვის სასიკვდილო განაჩენი. მერე, რაკი ნიადაგი გასუფთავდება, უმაღლ იწყებენ სამომავლო ქალაქის შენებას... ესტებანმა, მაგალითად, მხარი დაუჭირა კათოლიციზმის განადგურებას და წინადადება წამოაყენა სხვებისათვის ჭკუის სასწავლებლად დაესაჯათ ყველა, ვინც გაბედავდა „კერპთა“ თაყვანისცემას. ვიქტორი ესტებანს სავსებით დაეთანხმა, ოჟე კი სხვა მოსაზრებას იცავდა. რამდენადაც ადამიანმა ოდითგანვე გამოამჟღავნა ჯიუტი სწრაფვა, რასაც „ქრისტესადმი მიბაძვა“ შეიძლება ეწოდოსო, ეს მარადიული ლტოლვა უნდა გარდაექმნათ სრულყოფილებისაკენ

მგზნებარე მისწრაფებად, მაშინ თითოეული ეცდება დაემსგავსოს ლეგენდარულ ქრისტეს, და ყველაფერს იღონებს ადამიანური სრულყოფილების მისაღწევადო, ირწმუნებოდა მულატი. სოფიას ნაკლებად აინტერესებდა წმინდა ფილოსოფიური მსჯელობა და მამაკაცები აიძულა მიწაზე დაშვებულყვნენ: მას უნდოდა შეეტყო, რა ადგილს დაიკავებდნენ ახალ საზოგადოებაში ქალები და როგორ აღიზრდებოდნენ ბავშვები. ცხარე კამათი გაიმართა ნემსხე თაობაზე, შესაძლებელია თუ არა სამაგალითოდ მივიჩნიოთ სპარტანულმა ქალებმა ანდა არის თუ არა იგი დღეს მისაბამიო.

— არა, — ირწმუნებოდა ოჟე.

— დიახ, — განაცხადა ვიქტორმა.

მესამე დღეს მსჯელობდნენ ახალ საზოგადოებაში დოკლათის განაწილებაზე. კამათი უარესად გაცხარდა, და ცხენით ხანგრძლივი მგზავრობისაგან დაქანცულ, უკვე თავის მამულში მისულ კარლოსს ევონა, სახლის ბინადარნი ჩხუბობენო. მისმა გამონენამ მოკამათეთა გზნება დააცხრო. ყმაწვილ კაცს სახეზე ეტყობოდა, რაღაც მნიშვნელოვანი ამბავი მოეტანა. ამბავი მართლაც საყურადღებო გამოდგა: ფრანკმასონებისა და საეჭვო უცხოელების ალყა დაწყებულიყო. თუ მეტროპოლიის ხელისუფლება ლიბერალურ მინისტრებს ელაციცებოდა, აქ, კოლონიებში, მტკიცედ გადაუწყვიტათ, ძირფესვიანად ამოეძირკვათ მოწინავე იდეები. დონ კოსმეს ღვარძლიანი ღიმილით ეუწყებინა კარლოსისათვის, ოჟესა და იუგის დაპატიმრებაზე ორდერი უკვე ხელმოწერილიაო.

— *Décidément, il faut filer**, — მშვიდად განაცხადა ნეოციანტმა. მოიტანა თავისი ჩემოდანი, რუკა ამოიღო, თითი კუნბულის სამხრეთით რომელიღაც წერტილს დაადო და თქვა, — ამჟამად ამ ადგილიდან არცთუ ისე შორსა ვართ.

მერე მოჰყვა — ოდესღაც მეზღვაურად რომ ვმუშაობდი, ჩვენი ხომალდი ამ ნავმისადგომთან იმარაგებდა ნახშირს, აქა ვტვირთავდით ტრიუმებს ტყავითა და ზღვის ღრუბელათი, ამიტომ ვინმე ნაცნობს აუცილებლივ ვნახავო. ოჟე და ვიქტორი ბარგის ჩასალაგებლად გავიდნენ, დანარჩენები დაღუმებულყვნენ. ახალგაზრდები ვერ წარმოიდგენდნენ, ასე თუ ააღელვებდათ მათ ცხოვრებაში უცნაურად შემოჭრილი ამ გადამთიელის წასვლა. იგი ჭიშკრის ჩაქუჩის ბრახუნით მოეველინათ და მის თავდაჯერებულობაში იგრძნობოდა რაღაც დემონური — მათ სახლში გაფარფაშდა, სუფრის თავში დაუჯდათ, მოურიდებლად აქოთქოთებდა კარადებს... ანაზღუულად ამუშავედა ფიზიკის კაბინეტის ყველა მოწყობილობა; ავეჯი ყუთებიდან ამოალაგეს, ავადმყოფები განიკურნენ, კუტივით მსხდომიარეთ ფეხი გაშალეს, ახლა კი დაძმები, ქომაგსა და მეგობარს მოკლებულნი, კელაე მარტონი რჩებოდნენ, თავი უმწვოდ უნდა ეგრძნოთ გაჭიანურებული და უიმედო სასამართლოს წინაშე, რადგან სავაჭრო საქმეებში თუ ცუდად ერკვეოდნენ, კანონებისა სულ არაფერი გაეგებოდათ. ვექილს კარლოსისათვის აეხსნა: რაკი მეურვის კეთილსინდისიერება გაეჭვებთ, სასამართლო სხვა მეურვეს დაგინიშნავთ, ანდა სანამ სრულწლოვანი გახდებით, მეურვეთა საბჭოს დაევალება თქვენი საქმის მართვაო. ასე თუ ისე, მათ აუცილებლივ მოუხდებოდათ მიემართათ სასამართლოსთვის. კარლოსს მოკავში-

* უნდა გავიქცეთ (ფრანგ.).

რედ გაეხადა დონ კოსმეს მიერ ის-ისაა განთავისუფლებული ფირმის ყოფილი ანგარიშმწარმოებელი. ეს კაცი თურმე ირწმუნებოდა, ანდერძის აღმსრულებლის ყველა თაღლითური ოინი ვიცის... სანამ ამ საქმის გარჩევას დაიწყებდნენ, შეიძლება ფრანკმასონობის დევნაც შეწყვეტილიყო. ესპანეთის მთავრობის პოლიტიკაში ხშირად შეიმჩნეოდა ზაფხულის ჭექა-ქუხილისნაირი ბობოქარი მოღვაწეობის აფეთქებები. მერე კი კვლავ სიმყუდროვე ისადგურებდა, სანამ არქივს აბარებდნენ და კვლავინდებურად ძილს ეძლეოდნენ. და-მტკიცება გადაწყვიტეს, რომ მუდმივი კავშირი უნდა პქონოდათ ვიქტორთან; ის რამდენიმე კვირის შემდეგ ალბათ დაბრუნდება, ფირმის საქმეებში გაერკვევა, მას მეტ გაქანებას მისცემს და ვაჭრობის ახალ-ახალ ვზებსაც გამოძებნის, ის კი არა, იქნებ იმაზეც კი დაგუთანხმდეს, რომ პორტ-ო-პრენსში გაყიდოს ჩვენს სავაჭრო სახლთან შედარებით მოკრძალებული თავისი საქმეო. ვიქტორისთანა მმართველზე მარტო ოცნება თუ შეიძლება. თანაც შესანიშნავი კომერსანტია, მშვენიურად ეხერხება ანგარიში და, რაღა თქმა უნდა, ჩვენს ქალაქში, სადაც ასე განვითარებულია ვაჭრობა, იოლად აწარმოებს საკუთარ საქმესო... ჯერჯერობით კი საჭირო იყო ანგარიში გაეწიათ მკაცრი სინამდვილისთვის: იუგი და ოჟე უნდა გაქცეულიყვნენ. ორივეს დაპატიმრების საშიშროება და „სამეფოს ფარგლებს გარეთ გასახლება“ ემუქრებოდა — ასე მოექცნენ უკვე მრავალ ფრანგს, თუმცა ზოგიერთი მათგანი ესპანეთში კარგა ხნის ნაცხოვრები იყო. სოფია და ესტებანი, რასაკვირველია, ვიქტორს და მის თანამგზავრს ლუზის სადგომამდე მიაცილებდნენ... სამი დღის შემდეგ სრულიად უხიფათოდ ჩავიდნენ დანიშნულ ადგილზე, ჩავიდნენ ქანცგამოლეულები, წყურვილისაგან გასაკათებულნი და მტვრისგან გაწამებულნი. მტვრით გამოვსებოდათ ყურები, თმები და მთელი ტანსაცმელი. ამ ბედუკულმართი მგზავრობის დროს ვაიარეს მრავალი ადგილ-მამული, სადაც შეეძლოთ გაჩერება, ჩაუარეს დადუმებულ შაქრის ქარხნებს, რომელთაც უკვე გადაემუშავებინათ მთელი წლის მოსავალი, ჩაუარეს მიყრუებულ სოფლებს, ძლივძლივობით რომ მოჩანდნენ იმ ხანებში წყლით დატბორილი სავანების ერთფეროვანი პეიზაჟის ფონზე. მკვდარი წყალმცენარეებითა და ფისით დაფარულ მთელ შლამიან სანაპიროს მეტევენეთა დასახლება გასდევდა; ნახევრად დამბალ ბაგირებზე, ანძებისა და ნიჩბების ნამსხვრევებზე დალოდავდნენ კიბორჩხალები. რამდენიმე დღის წინათ კადმოცლილი მარმარილოს სიმძიმისაგან ჩაზნექილი ფიცრის ნაემისადგომი აღელვებულ ზღვას ლამის დაეფარა — ტალღებს არ აჩნდა თეთრი ქაფი და ზღვის ზედაპირი ზეთით დაფარული გეგონებოდათ. ზღვის ღრუბელას მომპოვებულ გემებსა და ნახშირის მზიდავ ხომალდებს შორის მოჩანდა ხე-ტყითა და რაღაც ტომრებით დატვირთული საკაბოტაჟო სანდალი. ყველაზე ძალაღანძირი მოხდენილი გემის დანახვაზე დაღლილობისაგან დაღვრემილი და ლაპარაკის ხალისწართმეული ვიქტორი მშვენიერ გუნებაზე დადგა.

— ამ ხომალდს ვიცნობ, მარტო ისღა უნდა შევიტყოს, საოსნობიდან დაბრუნდა თუ ახლა აპირებს ზღვაში გასვლას.

იუგი ანაზღეულად მოუსვენრობამ შეიპყრო და სწრაფად შევიდა ალაფაფიან სახლში, რომელიც ერთდროულად ფუნდუკიც იყო, საწყობიც, საბავირო სახელისსოცა და ტრაქტირიც. ვიქტორმა ოთახი ძოითხოვა, მაგრამ მგზავრებს რაღაც უბადრუკი სენაკი შესთავაზეს, სადაც მხოლოდ საცოდავი საწოლი და პირისაბანი ტაშტი იდგა; კირით შეთეთრებული კედლები დაფარული

იყო უკადრისი ანდა უხამსი წარწერებითა და ნახატებით. აქ, ნავმისადგომიდან ცოტა მოშორებით რამდენიმე უკეთესად მოწყობილი სასტუმროც იყო, მაგრამ დაქანცულმა სოფიამ აქ დარჩენა ამჯობინა, მით უმეტეს, იატაკი საკმაოდ სუფთად გამოიყურებოდა, ზღვიდან ნიაფი უბერავდა, ვეება სურაში კი მტკნარი წყალი იდგა და ნამგზავრს შეეძლო დაეხანა. სანამ მოგზაურები მილაგ-მოლაგდებოდნენ, ვიქტორი ამბის შესატყობად ნავმისადგომისკენ გაეშურა. მცირეოდენი სულის მოთქმის შემდეგ სოფია, ოჟე და ესტებანი მაგიდას შემოუსხდნენ, ვახშმად ლობიო და თევზი მოეტანათ, მაგიდაზე მღვარ ფარნის მინას წკაპუნით ასკდებოდნენ სინათლეს მისეული მწერები. მგზავრები ჭამას შეუდგნენ თუ არა, გარსშემომღვარი ჭაობიდან შებინდების უმაღ ღრუბელივით წამოიშალა მუმლი. მწერები ცხვირ-პირში, ყურებში, საყელოებში უძვრებოდათ და ცივ სილასავით უცვიოდათ ბეჭებში. აბეზარი მოსკიტები აინუნშიც არ აგდებდნენ მათ გასადევნად ტაფაზე დამწვარი ხმელი ქოქოსის კაკლისაგან დაყენებულ კვამლს, და გუნდ-გუნდად შემოსეულნი მწარედ იკბინებოდნენ სახეზე, ფეხებსა თუ ხელებზე.

— მეტი აღარ შემიძლია, — საცოდავად დაიკვნესა სოფიამ და თავის ოთახში გაიქცა.

მოსკიტებისაგან დასაცავ ფარდის ქვეშ შეწვა, იქვე, საწოლთან მღვარ ღამის მაგიდის მაგიერ ტაბურეტზე ორი სანთელი წინასწარვე ჩაექროთ, მაგრამ მაინც ესმოდა მწერებას მოუშორებელი ზუზუნი; დაჩვრეტილი და ნესტი-საგან დაცხავებული უხეში ტილოს ქვეშაც ვერ გაქცეოდა წამებას. გულისგამაწვრილებელი ზუზუნი ხან საფეთქელთან ესმოდა, ხან მხართან, ხან შუბლთან, ხან ნიკაპთან, მცირე პაუზის შემდეგ — მოსკიტი სხეულზე აჯდებოდა — რასაც ნემსივით მწარე ჩხვლეტით გებულობდა. სოფია მოუსვენრად ტრიალებდა, სახეზე სილას ილაწუნებდა, ბარძაყებზე, ბეჭზე, კანჭებსა თუ მკერდზე ხელებს იტყაპუნებდა; მწერების ზუზუნი ყურში ედგა, რაც უფრო ახლოს დაფრინავდნენ, მით უფრო გულისგამაწვრილებელი იყო მათი ზუილი. ბოლოს სოფია მოიბლუნძა და ხეშეში ქერელის ტილოს ზეწარი თავით ფეხამდე წაიხურა. ძილში ისე გაოფლიანდა, ქვეშ მოტანებული საბანი და მაგარი ბალიში სულ ერთიანად დაასველა... თვალი რომ გაახილა, უკვე მოდღევეებული იყო: კანჭმალალი, ვეებადღეზებიანი მამლები ყივილით იკლებდნენ თავიანთი ჩხუბის საასპარეზო შენობას; მოსკიტების ღრუბელი გამქრალიყო, მაგრამ ქალიშვილი თავს უღონოდ და ცუდად გრძნობდა. იმის გაფიქრებაც აუტანლად ეჩვენებოდა, რომ კიდევ ერთი დღე, კიდევ ერთი ღამე უნდა გაეტარებინა აქ, სადაც მტკნარი წყალიც კი მარილიანი იყო, სადაც რიჟრაჟიდანაც პაპანაქება იდგა, სადაც ასე მწარედ იკბინებოდნენ მოსკიტები. ხალათი მოიცვა და მწერებისაგან დაკბენილი სხეული რომ გაეწმინდა, ძმრის საყიდლად ღუქანში გავიდა. მაგიდას შემომსხდარი ოჟე, ესტებანი და ვიქტორი ვილაც კაპიტანთან ერთად შავ ყავას სვამდნენ. გამთენიის მიუხედავად კაპიტანი ფორმაში იყო გამოწყობილი. ეცვა ოქროსფერდილებიანი ლურჯი სერთუკი. ახლადგაპარსულ ლოყაზე ცუდი სამართებლის კვალი აჩნდა.

— კალებ დექსტერი, — წარუდგინა ქალს ვიქტორმა. თან ხმადაბლა დაუმატა: — ესეც ფილანთროპია, — მერე მტკიცე ხმით უთხრა: — ჩაალაგეთ ბარგი. „ეროუ“ ღუზას ზუსტად რვა საათზე ამოიღებს, ყველანი პორტ-პრენსში უნდა გავემგზავროთ.

X

და აჰა, მათ ირგვლივ იდგა ზღვის სივრცე, თავს იალქანთა ჩრდილი ეფინათ. ხმელეთიდან დაქროლილი ჩრდილოეთის ქარი ზღვის სივრცეზე იკრებდა ქალას; ქარს თან მოჰქონდა ბალახის და ხეების სუნი, ასე რომ, მარსის მუხლ-ვაურები თავიანთ საგუშაგოზე უმაღლესობდნენ, როდის უბურთავდნენ ქარს ტრინიდადიდან, როდის — სიერა-მაესტრის ფერდობებიდან ან კანარის კუნძულებიდან. სოფიას ლატანზე მიმაგრებული პატარა ბადით წყლიდან უცნაური რამეები ამოჰქონდა: სარგოსის ზღვის ერთმანეთზე გადაკინძული წყალმცენარეების ნაყოფი, რომელსაც საჩვენებელ და დიდ თითქოთ ხმაურით ჭყლეტდა; ხამანწყებდასეული მანგროს ტოტი. თვალისმომჭრელად მწვანე, თითქოსდა ისისაა ლაქით დაფარული თხილისოდენა მკვახე ქოქოსის კაკალი. გემი მიუყვებოდა ზღვის ღრუბელათი დაფარულ მეჩქის, რაც ძალზე აშკარად იკვეთებოდა ნათელ ფონზე; მარჯვნივ თუ მარცხნივ კრთოდა თეთრი ქვიშიანი კუნძულები, მოშორებით ნისლშემოხვეული სანაპირო მოჩანდა, რომელიც თანდათან უფრო დასერილი და მთაგორიანი ხდებოდა. სოფია სიხარულით დათანხმდა ამ მოგზაურობაზე; ეს მოგზაურობა უმაღლესი დაიხსნიდა სიცხისაგან და მოსკიტებისგან, სევდისმომგვრელი აუცილებლობისგან — ხელახლა დაბრუნებოდა ერთფეროვან ცხოვრებას კიდევ უფრო ერთფეროვნად გადაქცევით რომ იმუქრებოდა, რადგან მას სტოვებდა კაცი, ვისაც უნარი შესწევდა, თვალის დახამხამებაში გარდაექმნა ყოველდღიური სინამდვილე. ქალიშვილი მოგზაურობაზე ისე დათანხმდა, თითქოსდა ეს შვეიცარიის მყუდრო, ლამაზ, კლდოვანნაპირებიან ტბაზე უბრალო გასეირნება ყოფილიყო. წინა დღეებში მოგზაურობაზე სიტყვა არაუფრო დასცდენია, და ანაზღუელად, ყველაზე კრიტიკულ წუთებში ვიქტორმა ისე სასწაულად მოაწყო ეს promenade en bateau* — როგორც მეფოკუსე გადმოალაგებს ხოლმე თავისი სახელოებიდან სრულიად უცნაურ საგნებს. გემზე იუგმა ყველასთვის იშოვა ადგილი, სოფიას კი გემბანის ქვეშ ქალკე პატარა კაიუტაც კი მოუხერხა; იუგის თქმით, მან ეს საზღვაო გასეირნება დაძმას იმიტომ მოუწყო, რომ სამაგიერო გადაეხადა გულითადი, სტუმართმოყვრული მასპინძლობისთვის. შენცა და ესტებანსაც რამდენიმე კვირა შეგიძლიათ დარჩეთ პორტ-ო-პრენსში და მერე უკან ამავე გემით დაბრუნდეთ, კაპიტანი ფრანკმასონი ფილანსოროპია და ამიტომ არავითარი საგანგებო საშვი არ დაგჭირდებათ, — გემი სურინამაში გადმოიტვირთება და უკან გაბრუნებისას თქვენც თან წაგიყვანთო. ახალგაზრდები ამ მოგზაურობას ისე უყურებდნენ, როგორც მხიარულ ცელქობას, რადაც გასართობს, რაც მათ გლოვის დღეებში განცდილი საამო, მოუწესრიგებელი ცხოვრებისაკენ აბრუნებდა; კარლოსს წერილი მისწერეს და შეატყობინეს თავიანთი მოულოდნელი თავგადასავალი; სოფიას აზრით, ყოველივე ეს განგებამ არგუნათ, — მოგზაურობაზე მათი ადრინდელი ოცნებები აკი ოცნებებადვე რჩებოდა და საქმე გვეგების დაწყობასა და თათბირებს არ სცილდებოდა. ახლა კი, სხვა რომ არა იყოს რა, უცხო ადგილებს მაინც მოინახულებდნენ. პორტ-ო-პრენსი, რასაკვირველია, არც ლონდონია, არც ვენა და არც პარიზი, მაგრამ ასეთი მოგზაურობაც მათთვის უკვე მოუღონა იყო. აქ, საფრანგეთის ამ ზღვის გამოღმა

* საზღვაო გასეირნება (ფრანგ.).

სამფლობელოში, სადაც ხალხი ესპანურად არ ლაპარაკობდა და ცხოვრებაც სულ სხვა ყაიდაზე იყო მოწყობილი, ლამის საფრანგეთში იგრძნობდნენ თავს. წავიდოდნენ კაპ-ფრანსეში და ბოდრეის ქუჩაზე, თეატრში უსიკვდილოდ და-ევსწრებოდნენ „ერთადერთ მემკვიდრეს“¹ ანდა „ზემირასა და აზორს“² კარლოსი რომ გაეხარებინათ, უყიდოდნენ ფლეიტისათვის დაწერილ ახალი მუსიკალური ნაწარმოებების ნოტებს, იყიდოდნენ წიგნებსაც, უამრავი წიგნების ევროპის თანამედროვე ეკონომიკური გარდაქმნებისა და ეს-ესაჯ წამოწყებული რევოლუციის შესახებ... გემბანის ცხვირთან მწოლიარე სოფიას ზურგი მცხუნვარე მზისთვის რომ მიეშვირა და ბადით ათას რაღაცას იჭერდა, ხმაური შემოესმა: ვიქტორი და ოჟე ქაძრებშემოჭერილი მოკლე შარვლების ამარა იუტზე იდგნენ და წუწაობდნენ — თოკებჩაბნულ ვედროებს ჩქარა-ჩქარა უშვებდნენ ზღვაში, ამოჰქანდათ წყალი, ერთმანეთს ერთბაშად ათქივლებდნენ და ისევ ხელახლა ავსებდნენ ზღვის წყლით. დიდებული აღსაგობისა იყო მულატი: ჰქონდა ვიწრო თქოები და გახიერი, ძლიერი მკერდი. პრიალა შავ კანქვეშ მკვრივი კუნთები უთამაშებდა. ვიქტორს მკერდი უფრო ფართო და წინწამოწეული ჰქონდა. წყლით სავსე ვედროების ამოღებისას, რომელსაც მერე ოჟეს პირდაპირ სახეში ასხამდა, ზურგზე კუნთები ებურცებოდა.

— ჩემს სიცოცხლეში პირველად ვგრძნობ თავს ნამდვილ ახალგაზრდად! — შესძახა ესტებანმა.

— მე კი ახლა ჩემთვის ვფიქრობდი, როდისმე თუ ვყოფილვართ-მეთქი ახალგაზრდები, — მიუგო სოფიამ და შეწყვეტილი საქმიანობა განაგრძო.

წყლის ზედაპირი ცისარტყელის ფერებით მოელვარე ურიცხვი მედუზით დაფარულიყო. ტალღათა მოძრაობა წამდაუწუმ სცვლიდა ამ ფერებს, უცვლელი მხოლოდ ცენტრის სილურჯე და კიდეების წითელი კუნთები რჩებოდა. ნელა მიმავალმა გემმა გააკვეთა სანაპიროზე მცურავ მედუზათა გროვა. ამ ერთად შეჯგუფულ გამჭვირვალე არსებათა ცქერისას სოფია გაოცებული ფიქრობდა იმაზე, რომ ბუნებამ არ იცის საზღვარი და უჩვეულო გულუხვობით ანგრევს კიდეც და ჰქმნის კიდეც. ჰქმნის ცოცხალ არსებებს, რათა მერე გაანადგუროს. უხვად ჰქმნის სიცოცხლეს ყოველგვარი ფორმით — ამებიდან მოკიდებული დამთავრებულა ადამიანით — შემოქმედების ამ გვირგვინით, მერე კი თავისსავე ჰქმნილ სულდგმულებს ნებას აძლევს, დაჭამონ ერთმანეთი! შორეთში, სადაც ზღვის დასალიერი ტას უერთდებოდა, ნათელი, სადღესასწაულო სამოსით დაცურავდა მირიადი უმარტივესები — ნახევრად მცენარეები, ნახევრად ცხოველები. რომელთაც მომავალში მზისათვის მსხვერპლად შეწირვა ეწერათ: ისინი ქვიშაზე გამოირაყებოდნენ და იქ ნელ-ნელა დაკარგავდნენ თავიანთ ბრწყინვალეებას; გამოშრებოდნენ, დაიღმიჭებოდნენ, მომწვანო ნაგლეჯებად, ქაფად, სველ წერტილებად გადაიქცეოდნენ, რასაც მერე უკვალოდ გააქრობდა პაპანაქება. შეუძლებელი იყო ამაზე უფრო სრული გაქრობის წარმოდგენა — იმის ნიშანწყალიც აღარ დარჩებოდა, რომ ოდესღაც აქ სიცოცხლე იყო... მედუზების შემდეგ გამოჩნდნენ რაღაც მინისებური, მოვარდისფრო, ყვითელი, ზოლებიანი არსებანი, რომლებიც სამხრეთული მცხუნვარე მზისგან ისე ჩაირფრად ღივლიყვებდნენ, იტყოდით, ხომალდი იასპის ზღვის ტალღებს მიაპობსო. სოფიას ლოყები უეარვარებდა, თმა ქარზე გაწეწოდა და აქამდე რაღაც უცხო ნეტარებას განიცდიდა. ქალიშვილს შეუძლო საათობით მდგარიყო აფრის ქვშ, თვალმოუწყვეტლივ ეცქირა ტალღებისათვის და განცხრომაში მყოფს

სულ არაფერზე არ ეფიქრა. მოვლი კუნთები მოღუნებოდა, სხეული მოთენთოდა, თითქოს ყოველი ფორით ისრუტავდა ნეტარებას. ამ მოგზაურობის დროს სოფიას არსებაში გაიღვიძა მისთვის ადრე უცხო გურმანმა — იმის მერე, რაც კაპიტანმა ბრძანა, ქალიშვილისთვის რჩეული კერძები, სასმელი და სიდი მიერთვით, სოფია სიამოვნებით შეექცეოდა უცხო სასმელ-საჭმელს: იგემრიელებდა შებოლილი ხამანწკათი, სახელგანთქმული ბოსტონური ჭაჭა ვიტებით, ინგლისური სიდრით, რევანდის ღვეზელებით, გზაში მსხვილი ფლორიდული შვინდით თუ ნიუ-იორკული ნესვით, რომელსაც გემო პირველად გაუსინჯა: ყველაფერი ეუცხოებოდა, არაფერი ჰგავდა იმას, რასაც ადრე იყო შეჩვეული და ქალიშვილს ლამის ამქვეყნად აღარ ეგონა თავი. როცა იკითხავდა, რა ჰქვიათ ამ უცნაურ კლდეს, კუნძულსა თუ ვიწრო სრუტეს, ყოველთვის ისე გამოდიოდა, რომ ესპანეთის რუკებისაგან შეძენილი მისი ცოდნა გეოგრაფიისა სრულიად განსხვავდებოდა კალებ დექსტერის ახსნა-განმარტებისაგან... კლდეს, კაპიტნის თქმით, პორტლენდ-როკი ერქვა. კუნძულს — ნორდეტ-კეი, სრუტეს — კემან-ბრაკი. სოფიას აზრით, თვითონ გემზეც იყო რაღაც მომაჯადოებელი: „ფილანთროპი“ გემის კაპიტანი ეკუთვნოდა ვიქტორისა და ოჟეს საიდუმლო სამყაროს, ასე ვთქვათ, ოზირისისა და იზიდას, ეაკ დე მოლეს და ფრიდრიხ პრუსიელის სამყაროს, და ეს კაპიტანი თავის წინსაფარს, ზედ აკაცია, შვილსაფეხურიანი და ორსვეტიანი ტაძარი, მზე და მთარე რომ იყო გამოსახული, ინახავდა საზღვაო ხელსაწყოების გვერდით პატარა შემინულ კარადაში. საღამოობით იუტზე ტილოგადაჭიმული ფარდულის ქვეშ ოჟე ჰყვებოდა მაგნეტიზმის სასწაულებზე, ტრადიციული ფსიქოლოგიის გაკოტრებაზე ანდა საიდუმლო ორდენებზე, რომლებიც, მისი თქმით, პირდაპირ ჰყვოდნენ დედამიწის ყველა კუთხეში; სულ სხვადასხვაგვარი სახელები ერქვათ ამ ორდენებს: აზიელთა ძმობა, შავი არწივის რაინდები, სულის რჩეულნი, ფილარეტები, ავინიონელი ილუმინატები, ჭეშმარიტი სამყაროს ძმობა, ფილადელფელები, ტაძრის როზენკროიცერები, და რაინდები; ყველა ესენი საერთო იდეალებისკენ ილტვიან, ესწრაფვიან თანასწორუფლებიანობისა და ჰარმონიის დამყარებას, ამასთან, ცდილობენ ადამიანის სრულყოფას, რომელსაც მირგუნებული აქვს გონებისა და განათლების დახმარებით მიაღწიოს არნახულ სიმაღლეს, და ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს სულის მღრღნელი ფორიაქისა და ეჭვებისგან. ამასთან, სოფიამ შეამჩნია, რომ ოჟეს ათეიზმი განსხვავდებოდა ვიქტორის ათეიზმისგან, რომელიც ამტკიცებდა, ქრისტიანი მღვდლები მხოლოდ და მხოლოდ „მარიონეტის ძაფის მმართველი შაკაბიანი კომედიანტები არიანო“, რაც შეეხება სამყაროს დიდ არქიტექტორს, სიმბოლოს სახით მისი შენარჩუნება ჯერჯერობით შესაძლებელია, ხანამ მეცნიერება საბოლოოდ არ ახსნის სამყაროს ყველა საიდუმლოებებსო. მულატი კი ხშირად იმოწმებდა ბიბლიას, მისაღებად მიაჩნდა მისი რამდენიმე ლეგენდა, ხმარობდა აგრეთვე კაბალადან და პლატონის მიმდევართა მოძღვრებებიდან ნასესხებ ცნებებს, ხანდახან ვერდნობოდა კატარებსაც — იმათ პრინცესას — ესკლამუნდს, იცნობდა სოფიაც, რადგან სულ ახლახან წაეკითხა მასზე დაწერილი თავშესაქცევი რომანი. ოჟეს თქმით, პირველი ცოდვა არამცთუ აღარ მეორდება დაწვეილებისას, პირიქით, ის პირველი ცოდვის კვალსაც შლისო: ქარავმებისა და გადაკრული სიტყვების მოშველიებით იგი ამტკიცებდა, რომ ყოველი წყვილი პირველქმნილ უბიწოებას უბრუნდება, როდესაც

ტანგახდელი შეყვარებულები, ერთმანეთს ჩახვეულნი და ერთარსებად გადაქცეულნი საამო სიმშვიდეს პოულობენ და არაამქვეყნიურ ნეტარებას ეძლევიან. ეს სიხარული და უშფოთველობა არის მრავალგზის განმეორებული პირველსახე იმ სიწმინდისა, რასაც ქალი და კაცი შეცოდებამდე განიცდიდნენ... ვიქტორი და კალებ დექსტერი, როგორც ერთი პროფესიის ხალხს შეჰფერის, დინჯად საუბრობდნენ გემთმძღოლობის ხელოვნებაზე; განსაკუთრებით ხშირად უბრუნდებოდნენ როკი-შოულის მეჩენს, რომელიც საზღვაოში სახელმძღვანელოების მიხედვით, ოთხი საუენის სიღრმეზე მდებარეობს, მაგრამ არც ერთ აქაურ მეზღვაურს ჯერ ერთხელაც არ შეხვედროდა. კაპიტნის უფროსი თანამემწე მისტერ ერასტ ჯექსონი დროდადრო უერთდებოდა მოსაუბრეებს და ჰყვებოდა მეზღვაურთა საზარელ თავგადასავლებს: ერთი ამბავი ეხებოდა ვილაც კაპიტან ენსონს, რომელსაც დაკარგოდა მითითებული გრძელი და მთელი თვის მანძილზე სერაედა თურმე წყნარი ოკეანის წყლებს და მაინც ვერაფრით ვერ ეპოვა ხუან ფერნანდესის კუნძულები; მეორე ამბავი კუნძულ გრან-კაიკოს მახლობლად აღმოჩენილ სანდალს ეხებოდა — გემბანზე კაცის ჭაჭანება აღარ ჩანდა, კამბუზში კი თურმე ისევ ნათებულა სინათლე, ქვაბში ოფიცრების მაგიდისათვის განკუთვნილი სუბი ჯერაც არ გაციებულიყო, ხოლო გემბანზე გარეცხილი ტანისამოსი შრებოდა... განსაკუთრებით ლამაზი იყო ღამეები, კარიბის ზღვის ზედაპირი ფოსფორივით ანათებდა, ტალღები ნელა ეხეთქებოდა ახალი მთვარის მკრთალი შუქით განათებულ კლდოვან ნაპირებს. ყველაფერი დავიწყებოდა სოფიას ამ უჩვეულო და დაუჯერებელი მოგზაურობის დროს თვალწინ გადამღილი სურათების ჭკრეტიას — იგი ტკბებოდა მოცურავე წყალმცენარეებით, უცნაური თევზებით, მწვანე სხივითა და დიდებული მზის ჩასვლით, როცა ცის თალი ჯადოსნურად სხვაფერდებოდა, როცა თითოეული ღრუბელი სკულპტურულ ჯგუფს ემსგავსებოდა: იგი ხან ტიტანთა შერკინებას მოგაგონებდათ, ხან ლაოკოონსა⁷ და მის ვაჟიშვილებს, ხან — მქროლავ ვეადრიგას,⁸ ხან — დაცემულ ანგელიზებს. ერთ ადგილას ქალიშვილი მარჯნის რიფებმა აღაფრთოვანა, სხვაგან — მოგუგუნე კუნძულებმა: მიწისქვეშა გამოქვაბულებებიდან ყრუ, მოგუდული ბუბუნი ისმოდა და შიგ განუწყვეტლივ გორავდნენ კენჭები. ქალიშვილს ვერ დაეჯერებინა, რომ გოლოტურიები⁹ ხვინჭას ყლაპავდნენ, ვეშაპები კი ტროპიკულ ზონაშიც შემოდითდნენ. თუმცა ამ მოგზაურობისას ყველაფერი შესაძლებლად ეჩვენებოდა. ერთ საღამოს სოფიას დაანახვეს ურჩხული, რომელსაც უჩვეულო სახელი „ნარვალი“¹⁰ ერქვა. ამ ზღვის მარტორქის დანახვაზე სოფიას რატომღაც გაახსენდა მათ სახლს კარის ჩაქუჩის ბრახუნით პირველად როგორ მოეკლინა იუგი. მაშინ დაუპატიჟებელი სტუმრის გასაბიაბრუებლად ქალიშვილმა ჰკითხა, კარიბის ზღვაში სირინოზებს თუ შეხვედრიხართო.

— იმ ღამეს სახლიდან ლამის გამავდეთ, — უთხრა ვიქტორმა.

— მე ეს რამდენჯერმე დავაპირე, — ქარავმულად მიუგო სოფიამ.

ქალიშვილი საკუთარ თავსაც არ გამოუტყდებოდა, რომ ახლა ვიწრო გასასვლელში ან დახვეულ კიბეზე ვიქტორთან პირისპირ შეყრისას ნაბიჯს ანელებდა, თან სირცხვილისაგან გაწითლებული ელოდა, კვლავაც მოიმწყვდევდა თუ არა იუგი მკლავებში. მართალია, თავს გადახდენილ ამბავში იგრძნობოდა რაღაც პირუტყვი, მაგრამ ქალიშვილის ცხოვრებაში ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, თანაც ერთადერთი მოვლენა, რაც მართლაც მას ეხე-

ბოდა... სოფია კაიუტაში ჩავიდა და ლოგინზე წამოწვა. ოფლისაგან ზედ მიწებებოდა ცუდად აჭიმული წინდები, დაჭმუჭნულ ბლუზაშემოტმასნილი მკერდი გაოფლიანებოდა, უხეში შალის საბნის შეხებაზე მთელი სხეული ნერვიულად უკრთოდა. ამ დროს გემბანიდან ყვირილი და ფეხების ბრახუნი მოესმა. კაბა როგორღაც გაისწორა და ხმაურის მიზეზის შესატყობად ფეხზე წამოდგა. გემი გასათბობად გამოსული კუებით დაფარულ მეჩქეს მკეცვებოდა. ორი მეზღვაური კანჯოში ჩაჯდა და ქამანდების სროლით ცდელღებდნენ. ლაზე მოზრდილი კუს დაჭერას. ანახდად მზით განათებულ ჯავშანთა შორის კანჯოსკენ მომავალი ზვიგენის ფარფლები გამოჩნდა. უიღბლო მონადირეები გემზე დაბრუნდნენ, თან სიბრაზისაგან იგინებოდნენ და გუნებაში ანგარიშობდნენ, რამდენი სავარცხელი, რამდენი ქალაქის საჭრელი დანა, რამდენი ძვირფასი ბალთა დაკარგეს და მარჯვნივ თუ მარცხნივ ტყორცნიდნენ ჰარპუნებს. ბოლოს ყველა მეზღვაურმა მოხერხებული ადგილი ამოირჩია და მოკყვნენ ჯაჭვზე მიმაგრებული კაუჭების წყალში სროლას. ზღვის მტაცებლებმა ისეთი სიხარბით დაიწყეს მათი გადასასვლა, რომ ბასრმა კაუჭებმა დასერილი თვალებიდან გარეთ გამოიხედეს. ხალხი გაშმაგებით შესდგომოდა თავის საქმიანობას და იქნებ კიდევ მოგჩვენებოდათ, რომ რამდენიმე ზვიგენის სიკვდილს შეიძლება დაეცხრო ხალხის ოდითგან არსებული სიძულვილი ამ სისხლის მოყვარულთა ჯილაგის მიძარით. ზვიგენები მსრისხანედ ფართხალებდნენ, მძვინვარედ იქნევდნენ კულებს, მაგრამ წყლიდან მაინც ამოკყავდათ და გემბანზე გადმოთრეულებს დაუნდობლად ურტყამდნენ ჯოხებს, რკინის წკებლებს, კაბესტანიდან გამოძრობილ აზარმაცებს. ზვიგენის დაგლეჯილი სხეულიდან თქრიალით გადმოძინარე სისხლმა ერთიანად შეღება წყალი, გაწუწა აფრები და გემბანის წყლის სადინარი ჭრილისაკენ გაექანა.

— შესანიშნავია! — გაჰყვიროდა ოჟე და თან ჯოხს იქნევდა, — მძულს ეს საძაგელი ქმნილებები.

მთელმა ეკიპაჟმა მიიღო მონაწილეობა ხოცვა-ჟლეტაში; ზოგი ქანდარაზე იჯდა, ზოგი გემსართავს ჩაბლაუჭებოდა — თითოეული შეიარაღებული იყო ცულით, ხერხით თუ ციბრუტით და მარჯვე შემთხვევას ელოდებოდნენ, რათა კიდევ ერთხელ დაერთყათ, ერთი ჭრილობა კიდევ მიეყენებინათ საძუველი ზვიგენებისთვის. მეზღვაურთა მძვინვარება არა და არ მოშმინდებოდა, წყალში ახალ-ახალი კაუჭები და ჯაჭვები ცვიოდა. სოფია ზვიგენის ქონითა და ნადველით დასვრილი ბლუზის გამოსაცვლელად კაიუტაში ჩავიდა. შუქის შემოსასვლელ მრგვალ ლუკთან დაკიდებულ პატარა სარკეში რომ ჩაიხედა, კარში ვიქტორი დაინახა.

— მე ვარ, — თქვა იუგმა და საკეტში გასაღები გადაატრიალა. გემბანზე კვლავინდებურად ყვირილი და გნიასი იდგა.

XI

რა არის მიზეზი მღელვარებისა?

ვოია

ზომალდი სანტიაგოს ნავსადგურში რომ შევიდა, გემის ცხვირზე მღვარმა ვიქტორმა განცვიფრებისგან ხელები გაშალა. აქ იდგნენ „სალამანდრა“, „ვენერა“, „ვესტალი“, „მელუზა“, — ეს გემები ჰავრიდან სისტემატურად მი-

მიდიოდნენ კაპ-ფრანსესა და პორტ-ო-პრენსში; აქ იდგა ბევრი უფრო პატარა ხომალდიც — საბარგო გემები, სანდალები, კანჯოები, — იუგისათვის ყველა მათგანი ნაცნობი იყო, რადგან ეკუთვნოდა ლეოგანელ, ლე-პერელ და სენ-მარკელ ნეგოციანტებს.

— ნეტა რამ მოიყვანა აქ სენ-დომენგის ყველა ხომალდი? — ჰკითხა ოჟეს, რომელიც თვითონაც განცვიფრებულიყო მოულოდნელმა შემთხვევით.

ლუზა ჩაუშვეს თუ არა, მოგზაურები ამბის შესატყვისად დაეკონკრეტებლივ გადავიდნენ ნაპირზე. ამბავი შემაშფოთებელი გამოდგა: სამი კვირის წინათ კუნძულის ჩრდილოეთით აჯანყებულიყვნენ ხანგები, აჯანყება მთელ კუნძულს მოსდებოდა, მთავრობას კი დღემდე ვერ მოეხერხებინა მდგომარეობისთვის თავის გართმევა. ქალაქი სავსე იყო თეთრკანიანი ახალმოსახლეებით, რომელთაც გამოქცევით ეშველათ თავისთვის. ხმები დადიოდა, მათ უმოწყალოდ ხოცავენ, მთელ კუნძულზე ხახძრები მძვინვარებს და საშინელ სიმკაცრესა და ძალადობას ბოლო არ უჩანსო. აჯანყებული ძონები ცდილობდნენ თავიანთ ბატონთა ქალიშვილებზე ეყარათ ჯავრი და გაუგონრად ბილწავდნენ მათ. მთელ ქვეყანაში ძარცვა-გლეჯა და მკვლელობა გამეფებულიყო, მძვინვარებდა მდაბალი ვნებები... კაპიტან დექსტერს თავისი ტვირთის ნაწილი პორტ-ო-პრენსში უნდა დაეტოვებინა, ამიტომ ამჯობინა, დამამშვიდებელი ამბის მოლოდინში რამდენიმე დღე სანტიაგოში დარჩენილიყო; არეულობა თუ გაგრძელდა, ჰაიტში აღარ გავჩერდები და პირდაპირ პუერტო-რიკოში, შემდეგ კი სურინამაში წავალო. თავისი საეაჭრო საქმეების ბედით შეფიქრებულ ვიქტორს თავგზა დაბნეოდა. ოჟეს, პირიქით, სიმშვიდე შეენარჩუნებინა; საშინელებებზე დაყრად ხმებს მეტისმეტად გაზვიადებულად მიიჩნევდა. აჯანყება ტყუილად სულაც არ დამთხვევია მსოფლიო მნაშვნელობის მოვლენებს, ამიტომაც იგი არ შეიძლება ძალადობისა და ხანძრის გაჩენის წყურვილით ატანილი ბრბოს უბრალო ამბოხება იყოსო. აკი აღრეც ბევრს ლაპარაკობდნენ 17 იელისს ქუჩაში გამოსულ, გახელებულ, სისხლით მთვრალ ბრბოზე; მერე კი ეს დღე მთელი მსოფლიოს გარდაქმნის დასაწყისად გადაიქცა. კოლონიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პირი ჩემი დვიძლი ძმა ვენსანია; ისიც ჩემსავით პარიზში აღიზარდა, პარიზის ხანგთა მეგობრობის კლუბის წევრი და უაღრესად განათლებული ფილანთროპია, — თუკი მას აჯანყებულთათვის არ დაუშლია ქალაქის ქუჩებსა და სოფლებში გამოსვლა, მაშასადამე, დარწმუნებულია მათი მოთხოვნების სამართლიანობაშიო. ისეთი ადამიანები კი როგორიც ვენსანია, საგანთა ფილოსოფიურ არსს რომ სწვდებიან და დროთა მოთხოვნილებაში კარგად ერკვევიან, ახლა აქ ძალზე ბევრნი არიან. ცოტაოდენი მოცდა დაგვჭირდება და ვითარებას სულ მალე მოეფინება ნათელი. თუკი კაპიტანი დექსტერი მაინც არ მოისურვებს პორტ-ო-პრენსში გაჩერებას, სანტიაგოში თავშეფარებული ხომალდები ალბათ სულ მალე დაბრუნდებიან, ერთ-ერთი მათგანით იოლად მივაღწევთ მეზობელ კუნძულს და ეს მოგზაურობაც სასიამოვნო გასეირნებად მოგვეჩვენებაო. ჯერჯერობით კი მოგზაურებს სიცხისაგან სული ეხუთებოდათ. სიცხე თითქოს ქვემო ბანიდან, ტრიუმიდან და ლუკებიდან იწვედა მალლა, სიცხის ბული ასდიოდა თვითონ „ეროუს“ — იალქნებმოხსნილი ხომალდი ლუზაზე სხვა რომელიმე ნავსადგურში როდი რდგა, იდგა სანტიაგოში, თანაც სექტემბერში. გამხვალი ფისის სუნს გაევესო

კაიუტები და გასასვლელები, თუმცა მაინც ვერ დაეჯაბნა კამბუზიდან გემბანზე მოდებული დამპალი კარტიოფილის ნაფცქვენის, მძაღვ ქონისა და ტურფლის ნარეცხის გულისამრევი სუნი. ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ ხმელეთზე კაცი ვერსად დაივანებდა, მთელ ქალაქში რაიმე თანამშრომლობა ოცნებაც კი შეუძლებელი გამხდარიყო. ყველა ფუნდუკი, სასტუმრო და სახლი ლტოლვილებს გაეფსოთ; ხალხი საწოლის მაგივრად ბილიარდის მაგიდებს სჯერდებოდა, ხანდახან კი პირდაპირ კუთხეში მიდგმულ სავარძელში ათევდნენ ღამეს. ზოგი კათედრალური ტაძრის საპარადო კიბეებზე იწვა და თითოეული გააფთრებით იბრძოდა თავის საწოლადქცეული ცივი ქვის საფეხურისთვის. ოჟეს და ესტებანს გემბანზე ეძინათ, ირიჟრაჟებდა თუ არა, პირველსავე კანჯოში სხდებოდნენ და ნაპირისკენ მიიჩქაროდნენ იმ იმედით, რომ ვარდისფერ, ცისფერ და ნარინჯისფერ სახლებჩამწკრივებულ ქუჩებში სიგრილე მაინც იქნებოდა. სახლის ფანჯრებს ხის გისოსები ამშვენებდა, ლურსმნით მოჭედული კარები კი ესპანეთის კოლონიზაციის პირველ დღეებს მოგაგონებდათ, როცა ერნან კორტესმა, იმ დროისათვის ჯერ კიდევ მოკრძალებულმა ალკალდმა, ახლად აღმოჩენილ ანტილის კუნძულებზე მეტროპოლიიდან ჩამოტანილი ვაზი დარგო. ესტებანი და ოჟე სადაც მოუხდებოდათ, იქ საუზმობდნენ, — ამასთან, მცირედით კმაყოფილდებოდნენ, რადგან უკვე იგრძნობოდა სურსათის ნაკლებობა — მერე კი პალმის ფოთლებით გადახურულ რომელიმე თვალწარმტაც ბალაგანში ეძებდნენ თავშესაფარს: ფრანგ კომედიანტებს შექმნილი ვითარება თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ და სანტიაგოს ჭიშკრის მახლობლად რაღაც გასართობი პარკი მოეწყოთ; პარკი მნახველებისათვის შუადღის მერე იღებოდა. ესტებანი გაოცებული იყო, რომ არც სოფიასა და არც ვიქტორს ერთხელაც არ გამოუთქვამთ მათთან ერთად ქალაქში გასვინების სურვილი. გამასავათებელი სიცხის მიუხედავად სოფიაცა და ვიქტორიც მეზღვაურებისაგან დაცარიელებულ გემზე დარჩენას ამჯობინებდნენ; მეზღვაურები როგორც კი დროს იხელთებდნენ, კანჯოებით ნაპირზე გადადიოდნენ და უკან გვიან საღამოს ბრუნდებოდნენ მოვრალეები. სოფიამ ძმას აუხსნა, მთელი ღამე თვალი ვერ მომიხუჭავს და დაღლილ-დაქანცულს განთიადისას იმ დროსღა ჩამეძინება ხოლმე, როცა სხვები უკვე დგებიანო. რაც შეეხებოდა ვიქტორს, წინა ერდოზე მოკალათებული გადაჰყურებდა ქალაქს და უთენია იწყებდა წერილების წერას და ათვალეურებდა თავის სავაჭრო საქმეებთან დაკავშირებული ქალაქების დასტას. ასე გაიარა რამდენიმე დღე; ესტებანმა და ოჟემ ეს დღეები ხმელეთზე გაატარეს, სოფიამ და ვიქტორმა — გემზე; და აი, ერთ დილას კაპიტანმა დექსტერმა თქვა: გუმინ პორტ-ო-პრენსიდან ჩამოსულმა ვილაც ჩრდილოეთამერიკელმა მეზღვაურმა მითხრა, იქ აჯანყება კვლავ მძვინვარებსო, ამიტომ მეტის დაცდა აღარ შემიძლია, ნასადილევს ლუზას ამოვიღებ და გზას განვაგრძობ: სენ-დომენგს მხოლოდ შორიახლო ჩაუვული, შესვლას კი ვერ გავბედავო. მოგზაურებმა ბარგიბარხანა შეკრეს, ისაუზმეს — ვესტფალურ ღორთან ერთად თბილი, ტოლჩის პირზე ქაფშემშრალი ლუდი მოუტანეს — და ფრანკმასონ კაპიტანსა და გემის ეკიპაჟს დაემშვიდობნენ. სანაპიროს გადახურულ გაღერებაში ჩამომსხდრებმა შექმნილი ვითარების განსჯა დაიწყეს. ოჟეს შეეტყო, რომ მეორე დღეს პორტ-ო-პრენსში კუბის პატარა იალქნიანი გემი მიდიოდა, — იგი აქაურ კომერსანტებს ლტოლვილების გადასაყვანად დაექირაუებინათ. მისი აზრით, უმჯობესი იქნებოდა სოფიას სან-

ტიანოში დარჩენილიყო, თვითონ ოჟე, ესტებანი და ვიქტორი კი ამ გემს გაპყლოდნენ და თუკი პორტ-ო-პრენსში ისეთი მდგომარეობა არ დახვდებოდათ, როგორც აღწერდნენ, — მულატი კი თავს იკლავდა, იქაური ვითარება, რაღა თქმა უნდა, ალბათ გაცილებით რთული და ამაღლებულია და მარცვაგლეჯა არაფერ შუაში არ იქნებაო — მაშინ ესტებანი იმავე გემით დაბრუნდებოდა უკან, ამასთან ერთად, ოჟეს ღრმად სწამდა თავისი მშენებლის ავტორიტეტისა; თუმცა რამდენიმე თვე გასულიყო, რაც ამბავი ალან შეეტყო, მაგრამ, მისი თქმით, ვენსანს კოლონიის მმართველობაში სულაც არ ეკავა უმნიშვნელო ადგილი, რაც შეეხებოდა ვიქტორს, მას არჩევანი არა ჰქონდა — პორტ-ო-პრენსში ელოდა სავაჭრო საქმეები, სახლი და მთელი ქონება. სოფია ჯერ გაბრაზდა და დაიჟინა, თან წამიყვანეთო, ირწმუნებოდა, ტვირთად არ დაგაწვებით, არც საკუთარი კაიუტა მინდა, არც არაფრის მეშინიაო.


— საქმე ის კი არ არის, გეშინია თუ არა, — შეეპასუხა ესტებანი, — ჩვენ არ შეგვიძლია საფრთხეში ჩაგაგდოთ, ხომ გაიგონე, რა ბედი სწვევია ასობით ქალს.

ვიქტორმაც ესტებანს აუბა მხარი: კუნძულზე მისვლა თუ შეეძელით, შენ წასაყვანად დავბრუნდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი ინტერესების დაცვას ოჟეს დაევალებ, მე კი სანტიაგოში დავბრუნდები და მღელვარების დაცხრომამდე აქ ვიცხივრებო. ახლა ქალაქში იმდენი ფრანგი ლტოლვილია, არავინ დაიწყებს იმის ძიებას, ვარ თუ არა ის ვიქტორ იუგი, რომელსაც ჰავანაში ფრანკმასონობის გამო დაპატიმრებას უპირებდნენ. დღეს სანტიაგოში პორტ-ო-პრენსის, კაპ-ფრანსეს და ლეოგანის მასონთა ლოჟის ასობით წევრმა ჰპოვა თავშესაფარიო. ქალიშვილი იძულებული გახდა დათანხმებოდა თანამგზავრთა მოსაზრებას; სოფია მიყრილ-მოყრილ ბარგს შუა ვიქტორს მიუჯდა გვერდით, ესტებანი და ოჟე კი ძალზე ძნელ საქმეზე — ქალიშვილისათვის შესაფერისი ბინის საძებნელად გაეშურნენ. ნაპირიდან კვლავ მოჩანდა ოდნავ ანძებდახრილი „ეროუს“ მოხდენილი, ამაყი სილუეტი; გემსართავეები დაეჭიმათ, აღმები ქარზე ფრიალებდნენ, გემბანზე მეზღვაურები ირეოდნენ: ხომალდი ზღვაში გასავლელად ემზადებოდა.

მეორე დღეს კუბის იალქანდაკერებული, დანჯღრეული თევზსაჭერი გემი — ერთი სიტყვით, ყველაზე საცოდავი შესახედაობის ხომალდი, სანტიაგოს ნავსადგურიდან გავიდა და გაუყვა ნაპირს, რომელიც თანდათან უფრო მთავორიანი ხდებოდა. კაცს შეიძლება ეფიქრა, რომ იალქნიანი გემი წინ სულაც არ მიიწეუდა — ისე ხშირად იცვლიდა კურსს შემხვედრი დინების დაძლევისას... უსასრულოდ გაჭიანურებული დღე დამემ შეცვალა, ამოვიდა უჩვეულო კაშკაშა მთვარე და ანძის ძირას მოუხერხებელ პოზაში მთვლემარე ესტებანს ბარე ოცჯერ მაინც მოეჩვენა, რომ უკვე ინათა. ბოლოს გემი გონაივის სრუტის ვიწრო ყელში შევიდა, სადაც, ოჟეს თქმით, იყო იდუმალი თვისებების ჩანჩქერები: მათ ჩქერებში დაბანილი ქალები ანაზღეულად ხდებიან ნათელმხილველები, ამიტომაც მოედინებიანო ყოველწლიურად სალოცავად ნაყოფიერებისა და წყლის ღვთაების შხეფთამფრქვეველ საკურთხევლებთან და იფარებიან ფრიალო კლდიდან გადმომსკლარი ქაფის ნაკადით, ზოგიერთ მათგანს იმავე წუთში ემართება კრუნჩხვები და იწყებენ კივილს, რადგან მათ არსებაში ჩასახლებული დემონი მბრძანებლურად ჩააგონებს წინასწარხედვას და

წინასწარმეტყველებას, და ეს წინასწარმეტყველებანი თითქმის ყოველთვის ამხდარა.

— ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ექიმს სჯერა მსგავსი ზღაპრების, — თქვა ვიქტორმა.

— ექიმმა მესმერმა წყლით სავსე აბაზანაში მაგნიტის მოქმედებით და ამის შემდეგ პაციენტების ექსტაზში მოყვანით ათასობით ავადმყოფი განუვრჩა თქვენს განათლებულ ევროპაში, — გესლიანად უპასუხა ოჟემ,  ზანგებისათვის უხსოვარი დროიდან არის ცნობილი, მთელი განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ექიმი ავადმყოფებისაგან ფულს იღებდა, გონაივის სრუტის დმერთები კი არავითარ გასამრჯელოს არ ითხოვდნენ.

სალამომდე ნისლით დაბურული სანაპიროს გასწვრივ მიცურავდნენ. ორცხობილითა და ქაშაყით ვახშობის შემდეგ მთელი დღის ნაჯახირებ ვიქტორს ისე მკვდარივით დაეძინა, გეგონებოდათ, ნერვიული დაძაბულობისაგან არაქათი გამოსცლიათ. ესტებანმა იგი დილაუთენია გააღვიძა. გემი პორტ-ო-პრენსს უახლოვდებოდა. მთელი ქალაქი ცეცხლის ალში იყო გახვეული. გიგანტური ხანძრის არილს ცა წითლად შეეღება, ნაპერწკლები ღამის გარსშემომდგარ მთებსა სწვდებოდა. ვიქტორმა ითხოვა, დაუყოვნებლივ ჩაეშვათ წყალში კანჯო, და უმაღლესი მეთევზეთა ნავმისადგომს. ესტებანისა და ოჟეს თანხლებით ვიქტორი აჩქარებული მიაბიჯებდა ქუჩაში, გზადაგზა ხვდებოდნენ ზანგებს, ისინი ხანძრისგან გადარჩენილ კედლის საათებს, სურათებსა და ავეჯს მიათრევდნენ. ბოლოს მგზავრები რაღაც მოკაცრიელებულ ადგილს მიაღვნენ — აქა-იქ რამდენიმე დანახშირებული, ჯერ ისევ კვამლით მხრჩოლავი და ფერფლით დაფარული ბოძი ამოჩრილიყო, ირგვლივ კი ბრიალებდა კოცონები და ღვიოდა მუგუზლები. ნეგოციანტი გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილზე. მერე კანკალმა აიტანა, სახე დაეღრიჯა, შუბლსა და საფეთქლებზე ოფლმა დაასხა.

— უმორჩილესად გთხოვთ, მობრძანდეთ სახლში, — წარმოთქვა მან, — აი, იქ ფურნე იყო, აქ — საწყობი და მაღაზია; ცოტა მოშორებით — ჩემი სახლი, — მერე მიწიდან დანახშირებული ფიცარი აიღო და დასძინა: — შესანიშნავი დახლი იყო.

პინას წამოჰკრა ფეხი. პინა აიღო, დიდხანს უყურა, მერე დანდობილად დაახეთქა მიწას. გაისმა გონგივით ხმა, ჰაერში ჭვარტლის ბული ავარდა.

— მომიტევეთ, — ჩაიბურტყუნა იუგმა და ქეითინი აუვარდა.

ოჟე ერთხანს კიდევ დაყოვნდა, მერე კი ქალაქში ნათესავეების საძებნელად გაეშურა. მოდღევედა. ქალაქს კვამლისგან დამძიმებული და სრუტეს გარს შემოჯარული მთებისაგან დაფლეთილი ღრუბლები ჩამოაწვა. ვიქტორი და ესტებანი თონეზე ჩამომსხდარიყვნენ — ხანძარს ერთადერთი ის გადარჩენოდა — და ნანგრევების გროვას მისჩერებოდნენ, სადაც მაინც გრძელდებოდა ჩვეულებრივი ქალაქური ცხოვრება. ბაზრისკენ, რომელსაც უკვე აღარ ეთქმოდა პაზარი, მიდიოდნენ გლეხები და მიჰქონდათ ხილი, ყველი, კომბოსტო, შაქრის ლერწმის კონები. ისინი ჩვეულების მიხედვით ჩამწკრივებულიყვნენ არსებული დახლების გასწვრივ და ვაჭრობდნენ ღია ცისქვეშ, ამასთან, შეეწარჩუნებინათ ადრინდელი ჩვეულება და დახვდომის წესები. კაცს ეგონებოდა, აჯანყებულებს მთელი ქალაქი გადაუწვათ, თვითონ კი სადღაც გაუჩინარებულან, თვალსა და ხელს შუა გამქრალანო, საითაც უნდა გაგეხედათ, ხრჩოლავდა

მუგუზლები, ინავლებოდა ცეცხლი, ჰაერში ვაციებული ფერფლი ირეოდა, მიწა დანაფოტებულ ფიცრებითა და ქვა-ღორღით მოფენილიყო, ყოველივე ამის ფონზე განსაკუთრებით ბუკოლიკურად გამოიყურებოდნენ გლეხები, ქება-დიდებას რომ ასხამდნენ თავიანთ ხალებიანი თხის რძეს, ჟასმინის არაჩვეულებრივ სურნელებას, უიშვიათეს თაფლს. ვიგანტი, რომელიც ზედ ზვირთსაჭრელის კიდესთან იდგა და ხალხს ვეება კალმარს წონით, ~~ქოქუჯუბდა~~, ბენვენუტო ჩელინის სამუშევარს — პერსეკს კგავდა! მოშობილებით, ~~ქოქუჯუბდა~~ ეკლესიიდან ბერებს ნახევრად დამწვარი ხარაჩოები გამოჰქონდათ. ქუჩებში, რომელთაც უკვე აღარ ეთქმოდათ ქუჩები, მიდიოდნენ დატვირთული ვირები; პირუტყვები, ჩვეულების მიხედვით, მიუყვებოდნენ გზას, უხვევდნენ იქ, სადაც ახლა პირდაპირაც შეიძლებოდა წასვლა, ჩერდებოდნენ ყოფილ გზაჯვარედინზე, სადაც აგურებზე გადებულ ფიცრებზე დამწვარი ტრაქტირის პატრონებს ლერწმის არყის ბოთლები დაეწყოთ. ვიქტორი თვალმოუშორებლივ მისჩერებოდა იმ ადგილს, სადაც ადრე თავისი მაღაზია ეგულებოდა. უკვე მრისხანებადამცხრალ იუგს თავისუფლების რაღაც უცნაური გრძნობა დაუფლებოდა — ცარიელ-ტარიელს დღეიდან აღარავითარი ქონება აღარ გააჩნდა, აღარ გააჩნდა არც ავეჯი, არც კონტრაქტები, წიგნები და გაყვითლებული წერილებიც კი, რომელთა სტრიქონებს შეეძლოთ მისთვის გული აეჩუყებინათ. ცხოვრება თითქოს ისევ თავიდან უნდა დაეწყო, აღარ დარჩენოდა არც შესასრულებელი ვალდებულებანი, არც გადასახდელი ვალები, უკან მოეტოვებინა უკვალოდ გამქრალი წარსული, წინ კი გამოუცნობი მომავალი ელოდა... მახლობელ მთაზე ახალმა ხანძარმა იფეთქა.

— დაე, რაც დასაწვავია უცბად დაიწვას, — ჩაიბურტყუნა ვიქტორმა.

შუადღემდე იჯდა გაუნძრევლად და მთიდან მთაზე შარფივით გაწელილ თეთრად მოქათქათე ღრუბლებს გაჰყურებდა. ამ დროს გამოჩნდა ოჟეც; მულატს სახე გამკაცრებოდა, მუბლზე ნაოჭები დამჩნეოდა, რაც ადრე ესტებანს არ შეუმჩნევია.

— სლავნი იწვის, — თქვა ოჟემ და თვალი ნახანძრავს მოავლო, — მაგრამ თქვენ უარესის ღირსი ხართ, — მერე შეხედა გაოცებულსა და განრისხებულ ვიქტორს და დაუმატა: — ჩემი ძმა ვენსანი კაპ-ფრანსეს მთავარ მოედანზე სიკვდილით დაუსჯიათ, რკინის წკებლებით ხელ-ფეხი დაუღეწიათ, ამბობენ, ძვლებს ისე უმსხვრევდნენ, როგორც ჩაქუჩით კაკალს ამტვრევენო.

— ვის ჩაუდენია? აჯანყებულებს? — ჰკითხა ვიქტორმა.

— არა, თქვენიანებს, — ნალვლიანად უპასუხა ექიმმა და ნახანძრავზე მდგარმა ოჟემ დაიწყო თავისი უმცროსი ძმის საზარელ ხვედრზე ამბის თხრობა: ის მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე იყო დანიშნული, მაგრამ მალე შეჯახებია ადგილობრივ ფრანგებს; მათ უარი განუცხადებიათ დამორჩილებოდნენ ნაციონალური ასამბლეის დეკრეტს, რომლის თანახმად ზანგებსა და მულატებს სენ-დომენგში ეძლეოდათ საზოგადოებრივი პოსტის დაკავების უფლება. მტკიცებითა და მოთხოვნით დაღლილი ვენსანი იარაღით ხელში წასძლოდია თეთრკანიანთა თვითნებობით უკმაყოფილოთა რაზმს. მეორე მულატთან, ჟან-ბატისტს-შავანოსთან ერთად თავისი რაზმი კაპ-ფრანსესკენ წაუყვანია. აჯანყებულები პირველი შეტაკებისთანავე დამარცხებულან, ვენსანს და ჟან-ბატისტს კი კუნძულის ესპანური ნაწილისათვის შეუფარებიათ თავი.

მთავრობას ისინი მაინც დაუპატიმრებია და ბორკილებდადებულები საიმედო დაცვით კაპ-ფრანსეში ჩამოუყვანიათ. გალიაში გამომწვევდელი მეამბოხენი ბრბოს სასაცილოდ ქალაქის მთავარ მოედანზე გაუყვანიათ. ერთნი თურმე ლანძღვა-გინებით იკლებდნენ, მეორენი ნარეცხს ასხამდნენ და ათასგვარ სობინძურეს ესროდნენ. მსჯავრდადებულნი ფიცარნაგზე გაუყვანიათ და სამარცხვინო ბოძზე გაუკრაუთ, ჯალათს რკინის წკებლით მათთვის ხელ-ფეხები დაეჭობოდა დაუმსხვრევია. ჯოჯობეთური წამება რომ დასრულებულყო — ჯერმე უნდა ნაჯახზე მიმდგარა. მერე ახალგაზრდების მოკვეთილი თავები შუბზე აუცვამთ და ზანგებისა და მულატების დასაშინებლად დიდი მდინარისკენ მიმავალ გზაზე ჩამოუტარებიათ. მთვრალი ჩაფრები თურმე ყოველ ტრაქტირთან ჩერდებოდნენ და შუბებს ჰაერში არხევდნენ, მათ უკან გუნდ-გუნდად მფრინავი ყვავ-ყორნები კი წამებულთ გალურჯებულ სახეებს უკორტნიდნენ, რომელთაც ადამიანური აღარაფერი შერჩენოდათ, — მათი სახეები თვალებისა და პირის ადგილას ორმოებდაჩნეულ, გასისხლიანებული ხორცის ნაგლეჯებს უფრო ჰგავდნენ...)

— აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა დასაწვავი, — ხრინწიანი ხმით თქვა ოჟემ, — საშინელი იქნება ეს ღამე, სანამ გვიან არ არის, გაეცალეთ აქაურობას!

სამივე ნავმისადგომისკენ გაეშურა. ნავმისადგომის ფიცარნაგი ადგილადგილ დამწვარიყო და იძულებულნი გახდნენ, ხიმინჯებზე ეკლოთ, — კემბრაჩოს ხიმინჯებს ცეცხლისთვის გაეძლო. წყლის ზედაპირზე ტივტივებდნენ ცხრაფეხასაგან დაღრღნილი გვამები. ლტოლვილებით სავსე კუბის პატარა თევზსაჭერი გემი ზღვაში რამდენიმე საათის წინ შევიდაო, უთხრა მათ მოხუცმა ზანგმა, რომელიც ისე საგულდაგულად კემსავდა დახეულ ბადეს, თითქოს ირგვლივ დატრიალებულ საშინელებაზე უფრო მეტად თავისი დახეული ბადე აწუხებდა. ყველა ხომალდს მიეტოვებინა ნავსადგომი. ნაპირზე ერთადერთი გემილა იდგა, იმასაც ის-ის იყო ჩაეშვა ღუზა და გემის ეკიპაჟს მხოლოდ აქ შეეტყო, რა ცოდვის კითხვაც ტრიალებდა პორტ-ო-პრენსში. — ეს იყო სამანძიანი, მაღალბორტებიანი ფრეგატი, და ახლა ნაპირს მოციალებული ნავები ყოველი მხრიდან სწორედ მისკენ მიისწრაფვოდნენ.

— ესაა თქვენი უკანასკნელი შანსი, გაემგზავრეთ, სანამ ნაწლავებს გამოვილაგებდნენ, — თქვა ოჟემ.

ისინიც ჩასხდნენ ზანგი მეთევზის ძველ ნავში, ისეთ ძველში, რომ წამდაუწუმ უხდებოდათ თუნუქის ჭურჭლით წყლის ამოღერა, და „ბორეის“ მიაღვნენ; ბორტზე გადმოყუდებულმა კაპიტანმა, ლანძღვა-გინებით რომ იკლებდა იქაურობას, უარი განუცხადა მათ წაყვანაზე. მაშინ ვიქტორმა უცნაური შესტი გააკეთა! — ჰაერში თითქოს რაღაც დახატა — მეზღვაურმაც უცბად შეწყვიტა ლანძღვა-გინება. თოკის კიბე გადმოუგდეს და სამივე უმაღლეს გემბანზე გაჩნდა კაპიტნის გვერდით, რომელიც მიხვედრილიყო გაკოტრებული ნეგოციანტის გამოცანა-ნიშანს — უსიტყვო მუდარას. გემი ლტოლვილებით იყო გაჭედილი. უძილობისა და დაღლილობისაგან გაწამებულნი, ოფლიანი და ნოტიო ტანისამოსისაგან აშმორებულნი ერთიანად ძაგძაგებდნენ, იფხანდნენ პირველ წყლულებს, ხოცავდნენ პირველ მკბენარებს; ნაცემ-ნაგვემნი და დაჭრილები კვნესოდნენ, ვიღაც გაუპატიურებული ქალი დამცირებისაგან ტიროდა... გემი უკვე ემზადებოდა ღუზის ამოსაღებად და უკან, საფრანგეთის სანაპიროებისაკენ დასაბრუნებლად...

— სხვა გამოსავალი არ არის, — უთხრა ვიქტორმა ესტებანს, როცა ყოყმანი შეატყო, რადგან მას ამისიშორეზე მოგზაურობა არა ჰქონია განზრახული.

— აქ რომ დარჩე, აძლამვე მოგკლავენ, — კვერი დაუკრა ოქემ.

— Et vous?* — ჰკითხა ვიქტორმა.

— Pas de danger,** — მიუგო მულატმა და თავის შავ სახეზე ანიშნა. ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ; ესტებანს რატომღაც მოეჩვენა, რომ ექიმმა ადრინდელთან შედარებით ნაკლები გულმხურვალება გამოიჩინა. მათ შორის თითქოს ძალზე სერიოზული რაღაც ჩამდგარიყო, წარმოქმნილიყო უწინდელი სიახლოვის დამთრგუნველი გაუცხოების გრძნობა.

— სინანულს გამოვთქვამ მომხდარი ამბის გამო, — უთხრა ოქემ ვიქტორს და მისმა სიტყვებმა ისე ზეიძურად გაიხშიანეს, თითქოს ანაზღუდად მთელი თავისი ქვეყნის მაგივრად თვითონ კისრულობდა პასუხისმგებლობას.

დამშვიდობების ნიშნად მულატმა ხელი ასწია და ნავში ჩახტა, ნავში მჯდომი მეთევზე ამ დროს ცდილობდა ნიჩბით ტალღებისაგან მოტანილი გაგუდული ცხენის მოშორებას... რამდენიმე წუთის შემდეგ მთელ პორტ-ოპრენსში გაისმა დაფდაფების ბრახუნი, ხმა ვარსშემომდგარ მთებამდე აღწევდა, იფეთქა ახალმა ხანძარმა, ხანძრის შუქმა წითლად შეღება მწუხრი. ესტებანი სოფიაზე ფიქრობდა, რომელიც სანტიაგოში ამაოდ დაუწყებდა ლოდინს: სოფია იქ ერთ-ერთი საპატიო კომერსანტის ოჯახში დარჩა საცხოვრებლად, რომელიც კარგა ხანია მამამისის მიმწოდებელი იყო. უკეთესია, ასე რომ გამოვიდა; ოქემ სოფიას რამენაირად შეატყობინებდა მომხდარი ამბის შესახებ, ამასობაში კარლოსიც ჩამოვიდოდა დის წასაყვანად. უჩვეულო თავგადასავალი, რომელიც წინ ედო მას, სულაც არ იყო ისეთი, მონაწილეობა ქალებსაც რომ მიეღოთ. ამ გემზე ყველას სხვების თვალწინ უნდა გაეხადა, სხვების თვალწინ დაეხანა პირი და ბევრი სხვა რამაც, სამწუხაროდ, უცხო თვალის დასანახად უნდა ჩაედინა. თვითონ ესტებანს ძალზე ეშინოდა, სინდისი ქენჯნიდა, მაგრამ მაინც ბედნიერი იყო, გამოუცნობსა და ხიფათით სავსე გზას რომ დაადგა: ვიქტორ იუგის გვერდით ჭაბუკი უფრო ძლიერად და მხნედ გამოიყურებოდა, მან პირველად იგრძნო თავი ნამდვილ მამაკაცად. ქალაქისაგან ზურგშექცევით მდგარი იუგი თითქოსდა გაამაყებული იმით, რომ წარსული ფერფლით დაფარული დატოვა, ახლა გაცილებით უფრო მეტად ჰგავდა ფრანგს, რადგან ფრანგულად ელაპარაკებოდა დანარჩენ ფრანგებს, გებულობდა სამშობლოში მომხდარ ამბებს. ეს ამბები კი არა თუ საინტერესო, უჩვეულოც გახლდათ. და მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი და სენსაციური მეფის გაქცევა და ვაენში მისი დაპატიმრება იყო — ეს ამბავი ანცვიფრებდა და აშინებდა წარმოსახვას — „მეფე“ და „დაპატიმრება“ ხომ ძალზე ცუდად ესადაგებოდნენ ერთიმეორეს, ძნელი იყო ამ სიტყვების გვერდიგვერდ დაყენება. წარმოიდგინეთ: მონარქი დაპატიმრებული და შერცხვენილი, დამცირებული და შეპყრობილი იმ ხალხის მიერ, ვისზედაც თვითონ სურდა მბრძანებლობა, თუმცა არ იყო ამისი ღირსი. ქვეყნად ყველაზე ბრწყინვალე გვირგვინის მფლობელი, თვითმპყრობელი თვით-

* თქვენლა? (ფრან.)

** არაერთი საფრთხე არ მელის (ფრანგ.).

მეგობრებთან შორის, ძველამოსილი სკიპტრა რომ ეპყრა, ორი ქანდარმის ხელში ჩაეკარდნილიყო.

— იმ დროს, როდესაც ქვეყნად ასეთი ამბები ხდებოდა, მე აბრეშუმის კონტრაბანდული ვაჭრობით ვიყავ გართული, — აღმოხდა ვიქტორს და საფეთქლები მოისრისა, — ხალხი იქ ახალი კაცობრიობის დაბადების მოწმე ხდება.

ლამის მსუბუქი ნიავისაგან „ბორეი“ წინ ნელა მიიწევდა; ცაჭყჩხეფუ ჩახჩახა ვარსკვლავები ენთო, რომ ჰორიზონტის აღმოსავლეთით მამწვრძივებულ მთები დადღაბნილი ლაქებივით მოჩანდა და არღვევდა თანავარსკვლავების ნათელ სურათს. უკან დარჩა აჯანყებულების მიერ გადამწვარი ქალაქი. ნისლიან შორეთში კი მოგზაურთა წარმოსახვით აღმართულიყო აღოქმული ქვეყნისკენ გზის მაჩვენებელი ცეცხლოვანი სვეტი.

ნაწილი მეორე

ჯანმრთელები და ავადმყოფები.
გოია

XII

მშობლიური ქალაქი ესტებანს შორეული საფრანგეთიდან ფიქრისას განსაკუთრებით უჩვეულოდ წარმოუდგებოდა — იგი თვალწინ ოფორტივით ცოცხლდებოდა: მოკრიალებულ ცას ანაზღეულად ფარავდა ყომრალი ღრუბლები, ვინ იცის, რის მომასწავებელი ჭექა-ქუხილი, მზით გაჩახჩახებული მოედნების გვერდით მრუდე შესახვევები უფრო ბნელი მოჩანდა, ფისის, თამბაქოსა და შამშის სუნმოღებულ ვიწრო, ტალახიან ქუჩებში აჩქარებული ნაბიჯებით მიმოდინდნენ ზანგები. ტროპიკული ქალაქის სურათზე ახლა მის თვალში მუქი ჩრდილები სჭარბობდა ცეცხლოვან ლაქებს. შორიდან იგი ჭაბუკს სტატიური, უხალისო და ერთფეროვანი ეჩვენებოდა, მისი მძაფრი ფერები განუწყვეტლივ მეორდებოდა, მწუხრი მეტისმეტად ხანმოკლე იყო, ღამეები კი — ისე დანდობილა ბნელდებოდა, სახლში ანთებული ღამპის შეტანასაც ვერ ასწრებდნენ, — ღამეები უსასრულოდ იწვლებოდა, ხალხს მანამდე ეძინა, სანამ სიჩუმეს არ დაარღვევდა ღამის დარაჯი, რომელიც იუწყებოდა, უკვე ათი საათიაო და აღიდებდა ყოვლად წმინდა ღვთისმშობელს, უცოდველად რომ ელო მუცლად... აქ, პარიზში იგი ტკბებოდა ნაადრევი შემოდგომის მსუყე ფერებით და ყოველივე ეს ჭეშმარიტ სასწაულად ეჩვენებოდა იმ კუნძულებიდან ჩამოსულ კაცს, სადაც ხეებს მუდამ მწვანე ფოთლები ჰქონდა და არ უწყოდნენ, რა იყო სანგინი ან საპია. დედაქალაქი დროშებით, აღმებით, კაშკაშა კოკარდებით და გზაჯვარედინებზე გასაყიდად გამოტანილი ყვავილებით იყო აჭრელებული, ქალების მსუბუქ მოსასხამებსა და ქვედა კაბებში კი სჭარბობდა წითელი და ლურჯი ტონები, რაც მათ მფლობელთა „მოქალაქეობრივ გრძნობას“ ამჟღავნებდა. მიყრუებულ ადგილს ხანგრძლივად ნაცხოვრებ

ესტებანს ისეთი გრძნობა დაუფლებოდა, თითქოს მოულოდნელად მოხვედრილიყო დიდ ბაზრობაზე, სადაც ყველაფერი — ტანისამოსიც, მორთულობაც და მალაგანიც — სანახაობის წინებული მომწყოების მიერ იყო ჩაფიქრებული. აქ ყველაფერი ელაჟდა, ყველაფერი ვიზიდავდა, ყურთასმენას იბყრობდა. ჭორიკანები ენაჭარტალობდნენ, მეეტლეები ერთმანეთს, კოფოდან ესიტყვებოდნენ, გართობის მაძიებელი უცხოელები ქუჩა-ქუჩა დაყიალობდნენ, მსახურები თავ-თავიანთ ბატონებს კილაჟდნენ, უქნარები უსანდომოდ დალაყუნებდნენ, მსახურები აქეთ-იქით დაძვრებოდნენ; ცხელ-ცხელი ამბის მოყვარულნი, გაზეთის ერთგული მკითხველები ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილნი კამათობდნენ. ვილას არ ნახავდით აქ! ერთმა ყველაფერი ნაღდად იცოდა, მეორეს სანდო წყაროებიდან შეეტყო ყველაფერი, მესამე თვითმხილველი იყო, მეოთხე — ამბის მონაწილე, მეხუთე კი, უბრალოდ, ავრცელებდა მოჩმახულ ჭორებს... აქ შეხვდებოდით რაღაც ორიოდ სტატიის დამჯდაბნელ მეგაზეთეებს, თითქოსდა გაციების გამო საყვლოაწეულ ჯაშუშებს, და რესპუბლიკის მტრებს, რომლებიც ისე მომაბეზრებლად იყვნენ მორთულნი პატრიოტული ტანისამოსით, რომ ანაზდად გეცემოდათ თვალში, — და თითოეული მათგანი ნიადაგ რაღაც გამაბრუნებელი ახალი ამბით ანცვიფრებდა გარეუბნის მაცხოვრებლებს. რევოლუციას ქუჩა გადაესხვაფერებინა, მისთვის ახალი სული შთაებერა, და ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ესტებანისთვის, რომელიც ქუჩის ცხოვრებით ცხოვრობდა, თვალყურს აქ აღევნებდა რევოლუციას. „უნაპიროა განთავისუფლებული ხალხის სიხარული“, — ეუბნებოდა თვალებად და სმენადქცეული ჭაბუკი საკუთარ თავს; პარიზში მას „თავისუფლების მეგობარ უცხოელს“ ეძახდნენ და ისიც ამაყოობდა ასეთი ტიტულით. შესაძლოა, ვინმე სხვა უფრო იოლად შეთვისებოდა ყოველივე ამას; ესტებანს კი, თავიდან უცებ რომ მოეშორებინა გაშტერება, რომელიც ტროპიკულ ქვეყანაში თითქოს ბორკაჟდა, ეჩვენებოდა, რომ ეგზოტიკურ ქვეყანაში მოხვდა, — დიახ, მან ზუსტად გამოიხატა სიტყვა! — და აქაური ეგზოტიკა გაცილებით თვალწარმტაცი იყო, ვიდრე მისი სამშობლოსი, სადაც ხარობდა პალმა და შაქრის ლერწამი, მაგრამ, სადაც ერთხელაც არ უფიქრია, რომ უცხოელს ყველაზე ჩვეულებრივი პეიზაჟი შეიძლება არაჩვეულებრივად მოსწიქნებოდა. მას ხომ აქ ეგზოტიკურად ეჩვენებოდა — სწორედაც რომ ეგზოტიკურად — ფერადალმებიანი მაღალი ანძებიც, ათასგვარი ალეგორიული გამოსახულებანიც, დროშებიცა და პაოლო უჩელის ქმნილებათა დარი ფართოგავიანი ვეება ცხენებიც, რომლებიც არაფრით არ ჰგავდნენ მისი ქვეყნის გამვალტყავებულ ჯაგლაგებს — ნამდვილად რომ შეეფერებოდნენ ანდალუზიურ სარეცელთა შთამომავლებს. ყველაფერი აიძულებდა ყურადღებით მოპყრობას, ყველაფერი აღაფრთოვანებდა: ჩინურ ყაიდაზე მოწყობილი ყავახანა და ტრაქტირი, რომლის აბრას კასრზე შემომჯდარი სილენი ეხატა, ჯამბაზები, რომლებიც ღია ცის ქვეშ ცნობილ აკრობატთა ნომრებს იმეორებდნენ, და მდინარის სანაპიროზე ძაღლების საპარიკმახეროც. ამ ქალაქში ყველაფერი თავისებურად, მოულოდნელად და მოხდენილად გამოიყურებოდა: ვაფლით მოვაჭრის ჩაცმულობა თუ ქინძისთავეების გამყიდველი მეწვრილმანის ფარდული: შეღებილი კვერცხები თუ თავმომწონე ინდაურები — ბაზრის მეწვრილმანე ქალი არისტოკრატებს რომ ეძახდა. ყოველი დახლი თეატრის სცენას აგონებდა, რისთვისაც შეიძლებოდა ფანჯრიდან გეცქირათ; ხორცის ფარდულში ესტებანის ყურადღება ქაღალდის კუნუბებით მორთულმა ცხვრის ფეხებმა მიიპყ-

რეს, საპარფიუმეროში — ძალზე ლამაზმა დიასახლისმა, რომლის შემხედვარე ვერაფრით დაიჯერებდით, რომ იგი მხოლოდ ამ, საქვეყნოდ გამოტანილი წერილმანი საქონლის შემოსავლით ცხოვრობდა; ჭაბუკს არც მარაობით მოვაჭრე ფარდულისათვის აუვლია გულგრილად და არც მის მეზობლად დიხლზე ძუძუებგადმოლაგებული სანდომიანი მეღუქნე ქალისთვის, რომელიც გამვლელებს მარცპანისგან ნაკეთებ რევოლუციის ემბლემებს სთავაზობდა. ვერაფერი — კარამელი და სათამაშო ჰაერბურთები, კალის ჯარისკაცებზე და მისი ბრუკის ლაშქრობის გამომხატველი გრაფიურა — აკურატულად იყო შეფუთული და ლენტებით შეკრული, ცისარტყელის ფერებით დამშვენებული და აელვარებული; შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ, რომ რევოლუციის შუაგულში კი არა, რაღაც გრანდიოზულ წარმოდგენაზე იმყოფებოდით, სადაც რევოლუციას ალეგორიულად, ქარაგმულად წარმოსახავდნენ, თვითონ რევოლუცია კი ხდებოდა სრულიად სხვა ადგილას, რაღაც საიდუმლო კრებებზე შემზადებული უხილავი ცენტრების ირგვლივ, თანაც ყოველივე ეს დაფარული იყო დაინტერესებული ხალხის თვალისგან. ესტებანს არაფერს ეუბნებოდა ჯერ კიდევ გუმინ ყველასათვის უცნობი, ხოლო მეორე დღს უკვე საქვეყნოდ გახმაურებული სახელეუბი და ამიტომაც ვერაფერი გაეგო ვინ ახდენდა რევოლუციას. მოულოდნელად საიდანღაც გამოჩნდებოდნენ უცნობი პროვინციელები, ყოფილი ნოტარიუსები და მღვდლები, უმუშევარი ადვოკატები და უცხოელებიც კი, რომლებიც სულ რაღაც ორიოდ კვირის შემდეგ ნამდვილ ბუმბერაზებად იქცეოდნენ. ჭაბუკი ისე ახლოს იმყოფებოდა ამ მოვლენებთან, რომ ისინი ლამის თვალსა სჭრადნენ. იგი გამომცდელად მიშტერებოდა ტრიბუნებსა და კლუბებში ახლად მოვლენილ ორატორებს — იქ დროდადრო გაისმოდა მასზე ოდნავ უფროსი ახალგაზრდების ხმა. ნაციონალური ასამბლეის სხდომებმაც, რომლებსაც ხშირად ესწრებოდა ხალხში გარეული ესტებანი, დიდად ვერაფერში ვერ გაარკვიეს. გამომსვლელთაგან ვერავის სცნობდა, მაგრამ ბობოქარი მჭევრმეტყველებით შეძრული მაინც გულისფანცქალით უსმენდა ორატორებს, — ალბათ, ასევე მოიქცეოდა შეერთებული შტატების კონგრესის შენობაში მოულოდნელად მოხვედრილი ლაპლანდიელიც. ერთი ორატორი ესტებანს მკაცრი, გესლიანი სიტყვისა და ახალგაზრდული გზნების გამო მოსწონდა; მეორე — მჭევრქარე ხმისა და მდაბიური გამოთქმების გამო, მესამე კი იმიტომ, რომ დაუნდობელი ირონიით აცამტკვრებდა მოწინააღმდეგეს... ვიქტორ იუგისაგან ვერაფერს ტყობილობდა, რადგან ამ დღეებში თითქმის ვერ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ორივე უხეირო, ბნელ სასტუმროში ცხოვრობდა, სადაც მთელი დღე ცხვრის ხორცის, კომბოსტოსა და ხახვის სუპის მძაფრი სუნი იდგა. ამას ერთვოდა დამძაღებული ზეთის სუნი, გაქუცულ ნოხებსა და სუფრებს რომ ასდიოდა. თავდაპირველად ორივე ყელამდე ჩაეფლო დედაქალაქის ხალისიან ცხოვრებაში, გართობისა და თავშექცევის მაძიებელნი დადიოდნენ დროს გასატარებელ ადგილებში, ბოლოს, კი როცა ესტებანს ქისა გვარიანად დაუცარიელდა, როგორც იქნა, დაიოკა ხენის სანაპიროზე მოხვედრილი ყველა უცხოელისათვის მაცდუნებელი ძველთაძველი გულისთქმა. გაკოტრებულმა ვიქტორმა, მხოლოდ კუბაში ნაშოვნი ფულის იმედითა რომ იყო, ხვალინდელ დღეზე დაიწყო ფიქრი, ესტებანმა კი კარლოსს წერილი გაუგზავნა და სთხოვა მისთვის კრედიტი გაეხსნა ბორდოელ ბატონ ლაფონების შემწეობით, რომლე-

ბიც საკუთარი ზვრების მოსკატითა და სხვა ღვინოებით მოვაჭრე გრაფ არან-
დას ინტერესების დამცველნი იყვნენ. იუგს ახლა ჩვეულებად დასჩემდა, დი-
ლაუთენია გასული გვიან სადამომდე სადღაც დაკარგულიყო. ესტებანმა უკვე
იცოდა ვიქტორის ხასიათი და თავს იკავებდა შეკითხვებისგან. ვიქტორი სა-
კუთარ წარმატებებზე მაშინდა იწყებდა ლაპარაკს, როცა უკვე მოიპოვებდა ამ
წარმატებებს, ამასთან, მიღწეულს არ სჯერდებოდა. *ეროვნული*

თავის ნებაზე მიშვებული ესტებანი მორჩილად მიხვედებოდა მისი მოძრაობების
დინებას: დღეს დაფდაფების ბრახუნით მოხიბლული ჯარისკაცებს აედევნებო-
და ფეხდაფეხ, ხვალ რომელიმე პოლიტიკურ კლუბში მიდიოდა, ხანდახან კი
სტიქიურ მანიფესტაციას უერთდებოდა; ჭაბუკი უფრო მეტ მგზნებარებას იჩენ-
და, ვიდრე თვით ფრანგები, ის უფრო რევოლუციურად იყო განწყობილი,
ვიდრე რევოლუციის მონაწილენი, ერთთავად მოითხოვდა გადამჭრელი ზომე-
ბის მიღებას, ყველაზე უმკაცრესი სასჯელის დადებას, სამაგალითოდ დასჯას.
კითხულობდა მარტოდენ უკიდურესი მიმართულების გაზეთებს, აღფრთოვა-
ნებით უსმენდა უშიშარ ორატორებს. საკმარისი იყო რევოლუციის წინააღმდეგ
შეთქმულებაზე რაიმე გაეგო, რომ იარაღისთვის, უფრო ხშირად სამზარეუ-
ლოს დანისთვის დაეელო ხელი და ქუჩაში გამოვარდნილიყო. ერთ დილას,
სასტუმროს დიასახლისის გულგასახეთქად, სასტუმროს ეზოში მთელი უბნის
ბიჭები მორეკა და დიდის ამბით დარგო ნაძვის ნერგი, თან ყველას აუწყა, თა-
ვისუფლების ახალ ხეს ვრგავო. ერთხელ ესტებანმა იაკობინელთა რომელი-
ღაც კლუბში სიტყვა წარმოთქვა, და დამსწრენი განაცვიფრა მოულოდნელი წი-
ნადალებით: რევოლუციისათვის ახალი ქვეყნის შემოერთება სულაც არ წა-
რმოადგენს დიდ სიძნელეს, ამისათვის საჭიროა თავისუფლების იდეალები ჩა-
ვაგონოთ იეზუიტებს, რომლებაც ესპანეთისა და საფრანგეთის ზღვისგაღმა
სამფლობელოებიდან განდევნილნი, იტალიასა და პოლონეთში არიან გაფანტულ-
ნიო... იმ უბნის წიგნით მოვაჭრეებმა ესტებანს „გურონი“ შეარქვეს; ვოლ-
ტერის მოთხრობის მიხედვით შერქმეული მეტსახელიც და ამერიკაზე წარმო-
დგენაც ესტებანს ძალზე ეაბა, ის ყველანაირად ფეხქვეშ თელავდა თავაზია-
ნობის კანონებს — ძველი რეჟიმის ნაყოფს — ლაპარაკობდა მეტისმეტად მო-
ურიდებლად და უხეშად, ხანდახან კი ისეთ უკმეხ აზრს გამოთქვამდა, თვით
რევოლუციის მონაწილეებსაც ეჩოთირებოდათ.

— მე ვამაყობ, ფეხებს მაგიდაზე რომ ვაწყობ და სულაც არ მერიდება
ჩამოხრჩობილის სახლში თოკი ვახსენო, — აცხადებდა იგი და არცა ფარავდა,
რომ მოსწონდა, როცა ველურად და ხეპრედ მიიჩნევდნენ.

„გურონის“ როლზე შეყვარებული და ამ როლში შესული ესტებანი ეს-
წრებოდა სხვადასხვა წრეებს და კლუბებს, სადაც ყველაფერს განსჯიდნენ,
ყველაფერზე ქაქანებდნენ, დადიოდა ისეთ სახლებშიც, სადაც იკრიბებოდნენ
პარიზში მცხოვრები ესპანელები — ფრანკმასონები და ფილოსოფოსები, ფი-
ლანთროპები, საეკლესიო იდეოლოგიის დამცველთა მოძულენი; ისინი აწყ-
ობდნენ საიდუმლო გეგმებს, აპირებდნენ რევოლუციის გადატანას პირინეის
ნახევარკუნძულზე. ერთმანეთს სიტყვას პირიდან აცლიდნენ, ლაპარაკობდნენ
ბურბონთა დინასტიის მარადიულ რქებდადგმულ ქმრებზე, გარყვნილ დედოფ-
ლებზე და გონებაჩლუნგ ინფანტებზე; ძალზე მუქი ფერებით ხატავდნენ ჩა-
მორჩენილი ესპანეთის სურათს — ლაპარაკობდნენ წყლულებით დაფარულ

იქაურ ბერებზე, მოჩვენებით სასწაულებზე, კონკიძვლებზე, პირინეებიდან სეტუამდე ქედმაღალ დიდებულთა უღელქვეშ უბადრუკად მცხოვრები ხალხების დევნასა და ჩაგვრაზე. ამ ძილად მივარდნილ, ტირანიის ძალადობისაგან მგმინავ უმცირებით მოცულ ქვეყანას ესაღმებოდნენ და უმღეროდნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ იერემია ბენტამი, შილერი, კლოპშტოკი, ბუხტალოცი, კანტი და ფიხტე.³

— საქმე ისაა, რომ რევოლუცია მარტო ესპანეთში კი არა, ამერიკაშიც უნდა და გადავიტანოთ, — ამბობდა ესტებანი ამ შეკრებებზე.

ესტებანს მუდამ მხარს უჭერდა ბაიონადან ჩამოსული ვილაც ფელისიანო მარტინეს დე ბალიესტეროსი; ეს კაცი პირველი შეხედვისთანავე მოეწონა ესტებანს, რადგან ხშირად ჰყვებოდა მახვილგონივრულ ანეკდოტებს, ზოგჯერ კი მიუჯდებოდა კუთხეში მდგარ ძველ კლავიკორდს და მღეროდა ბლასა დე ლასერნას მხიარულ კუბლეტებს. ერთ რამედ ღირდა ესპანელების მოსმენა, საკრავის ირგვლივ თავმოყრილნი ერთხმად რომ დასჭექდნენ:

როცა მუჰამედი ღვინით თვრებოდა
(ცხოვრობდა კარგა დიდი ხნის წინათ)
დედამიწიდან უცბად ქრებოდა,
დროც იყო, ეფრინა ზეცასა შინა,
თუმცა ზომაზე მეტად თვრებოდა,
თუმცა ზომაზე მეტად თვრებოდა.

ახალგაზრდებს ეცვათ ჟილეტები, რომელთა გაყიდვა მთელ ესპანეთსა და მის ამერიკულ სამფლობელოებში აკრძალული იყო მეფის საგანგებო ბრძანებით. ჟილეტების სარჩულზე წითელი ძაფით სიტყვა „თავისუფლება“ ჰქონდათ ამოქარგული. ამ საღამო ხანის შეკრებებზე განიხილავდნენ ესპანეთში შეჭრის გეგმებს, განსჯიდნენ, სად, რომელ ნაპირზე იქნებოდა უკეთესი ხალხის გადასხმა — კადისში თუ კოსტა-ბრავაში — ან რანაირად უნდა აეჯანყებინათ პროვინციები. ნიშნავდნენ განათლებულ მინისტრებს, აარსებდნენ წარმოსახვით გაზეთებს, ადგენდნენ მოწოდებებს; ეს ყოველივე თითოეულ მათგანს შესაძლებლობას აძლევდა მოესმინა საკუთარი სიტყვა, ორატორები და უსრულებელივ ლაპარაკობდნენ, ხალხს ტახტის დასამზობად, გვირგვინის შესამუსრად მოუწოდებდნენ, ამასთან უშვერი პირით ავინებდნენ იბერიის დინასტიის⁴ ყველა წევრს: მეფეებს აუცილებელივ რქებდადგმულად იხსენიებდნენ, დედოფლებს — კახპებად. ზოგიერთი იმაზე ჩიოდა, რომ მსოფლიოს რესპუბლიკის მოციქულმა პრუსიელმა ანახარსის კლოტცმა⁵ დამფუძნებელ კრებაზე კაცობრიობის მოდგმის დესპანად წარდგომისას თავის ამაღლაში, რომელშიც შედიოდნენ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ინგლისელები, სიცილიელები, ჰოლანდიელები, რუსები, პოლონელები, მონგოლები, თურქები, ავღანელები და სირიელები, არც ერთი ესპანელი არ შეიყვანათ, კლოტცი იმით დაკმაყოფილდა, რომ ქვეყანა, რომელიც საფრანგეთის უშუალო მეზობლად ბორკილდაებული იტანჯება, ვილაც სტატიისტს წარმოადგენინა, ამიტომაც არ გაისმა ღირსსახსოვარ ქვერემონიაზე ესპანეთის ხმა, მაშინ როცა სიტყვა თურქსაც კი მისცესო.

— ვეზიზღებით და მართლებიც არიან, იმიტომ, რომ სინამდვილეში არაფერს არ წარმოვადგენთ, — ამბობდა მარტინეს დე ბალიესტეროსი და შეტყვევლად იჩენდა მხრებს, — მაგრამ ჩვენი დღეც დადგება.

მერე იქვე დასძენდა, მე ახლაც ვიცი უადრესად გაკლვნიან ადამიანებს, რომლებიც მზად არიან საფრანგეთში ჩამოვიდნენ და რევოლუციას/ემსახურონ. მათ შორის არის აბატი მარჩენა, დიდად ნიჭიერი კერძაა, რაც ამკარად ჩანს ჩემთან გამოგზავნილი მისი წერილებიდან და — ეს არის პოემის თარგმანიდან... მაგრამ ესტუბანი მარტო ამ მშფოთვარე კრებებს როდი ესწრებოდა, მთელი დღე მარტო ქუჩებში როდი დაეხეტებოდა და ტკბებოდა პარადებითა და სამოქალაქო დღესასწაულებით. ერთ მშვენიერ დღეს იგი დაასწრეს უცხოელთა გამაერთიანებელ მახონთა ლოჟის კრებას და ამგვარად მოხუდა იმ ძმობისა და საქმიანი სამყაროს წიაღში, რომელიც თავის დროზე ნაწილობრივ გააცნო ვიქტორმა. ახლა მხოლოდ მისთვის, ესტუბანისთვის აანთეს იღუმალი, შუქმფინარი ტაძარი და იგი გამიშვლებულ დაშნათა შუქზე აცახცახებული, მღელვარებისგან გაოგნებული მიუახლოვდა ითაპიმისა და ბოასის სვეტებს, ყოვლისმხედველის თვალსა და ტეტრაგრამს, სოლომონის ბეჭედს და მივარის ციკლის ვარსკვლავს. აქ შარავანდითა და ემბლემებით შემკობილნი იდგნენ კადეშისა და როზენკროიცერების რაინდები, სპილენძის გველეშაპისა და მეფის კიდობანის რაინდები, იდგნენ ალექსის კარავის თავადები, თავადები ლიბანისა და იერუსალიმისა. აქ იყო დიდი მაგისტრი, სამყაროს დიდი არქიტექტორიც და საიდუმლო სამეფოს დიდი თავადიც: ისინი მწვერვალებად იდგნენ იმ გზაზე, რასაც მღელვარებისგან დამუნჯებული ჭაბუკი დასდგომოდა, და გრძნობდა, არ იყო ასეთი პატივის ღირსი; ახლა იგი უროხილად უახლოვდებოდა გრაალს თასის საიდუმლოებას, შედიოდა იმ სამყაროში, სადაც გაუთლელი ქვა კუბურ ფორმას იძენს, სადაც მზე კვლავაც აკაციების ზემოთ ამოდის; იგი სწვდებოდა ტრადიციის ნამდვილ არსს, რომელსაც მოკრძალებით ინახავდნენ და გამუდმებით ანახლებდნენ. ეს ტრადიციები მომდინარეობდა ძველი ეგვიპტის დიდებულ ქურუმთა ცერემონიებიდან და საუკუნეების მანძილზე არსებობდა. ამ ტრადიციებთან იყო დაკავშირებული ააკობ ბიომეც⁷, ქრისტიან რიზენკროიცის ქიმიური ჯვარისწერაც, და ტაძრის რაინდთა საიდუმლოებანიც. ესტუბანი გრძნობდა, კავშირი დაემყარებინა ყოველივე არსებულთან, თავი გონებაანთებულად და გასხივოსნებულად ეჩვენებოდა, რამეთუ ახსოვდა, რომ ახლა საკუთარი არსებობის წიაღში უნდა აეგო რაღაც კიდობანი, მსგავსი იმისა, როგორადაც უბადლო ოსტატმა პირამ აბიმ აიგო ტაძარი. მას თავი ახალი სამყაროს შუაგულში წარმოედგინა — თავით თითქოს ზეცის თაღს სწვდებოდა, ტერფებით კი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალ გზას თელავდა. ბინდით მოცული ოთახიდან მოსაფიქრებლად გამოსულმა ახლადმოქცეულმა (მკერდზე, იქ, სადაც გული უცემდა პერანგი გადაედლოდა, მარჯვენა ფეხის ნაკუთალი და მარცხენის ტერფი გაეშიშვლებინა) სამ რიტუალურ კითხვას უპასუხა: ეკითხებოდნენ, რა მოვალეობა აკისრია ადამიანს ღმერთის, საკუთარი თავისა და მოყვასის წინაშე; ამის შემდეგ ცეცხლმა უფრო კაშკაში დაიწყო — ეს გახლდათ წმიდათაწმინდა ცეცხლი საუკუნისა, განმანათლებელთა საუკუნისა, რომლის დიდებული ზეიმის შესახვედრად იგი ბრძმასავით ანდა თვალეზაზვეული კაცივით ხელების ცეც-

ბით მიდიოდა, მიდიოდა ისე, თითქოს ვიღაცის უმაღლესი ნება ეწეოდა წინ, მიდიოდა იმ დღიდან მოკიდებული, რაც მის თვალწინ აბრიალდა პორტ-ო-პრენსის საშინელი ხანძარი. ახლა ესტებანს საკუთარი თავის პოვნის მოსურნე პარციფალისა⁶ არ იყო, უკვე ნათლად ესმოდა თავისი პალუცინაციების დარი მოგზაურობის აზრი, რომლის მიზანი მომავლის ქალაქი იყო; ოღონდ ამჯერად ეს ქალაქი ამერიკაში კი არ იმყოფებოდა, როგორც თომასე შეჩქრუნდა კამპანელის მიერ გამოგონილი ქალაქები, იგი ახალი ფილოსოფიის ქვეყნულ ქვეყანაში იყო... იმ ღამეს ვერაფრით ვერ დაიძინა. მთელი ღამე გარიჟრაჟამდე ძველ, დრო-უამისაგან სახეშეცვლილ უბნების მიხვეულ-მოხვეულ უცხო ქუჩებში დაეხეტებოდა. გზაჯვარედინზე ჭაბუკის თვალწინ უცებ აღიმართა წვეტიანსახურავიანი სახლები, უანძებო და უიალქნო გიგანტური ხომალდებივით ისინი თითქოს მისკენ მოცურავდნენ, ცის ფონზე აშკარად გამოხატულ საკვამურ მიღებს კი შეიარაღებულ ცხენოსანთა ფანტასტიკური იერი მიედოთ. ღამის ბინდბუნდში მოჩანდა ხარაჩოების გაურკვეველი მოხაზულობა, აბრები, რკინისგან ნაჭველი ასოები და მთვლემარე ალმები. აქეთ ბაზრის ოთხთვალეები იყო თავმოყრილი, იქით — ტირიფის სანახევროდ დაწნული კალათების ერთმანეთში ჩახლართულ წხელებზე ბორბალი ეკიდა. ეზოს სიღრმეში აჩრდილის დარ პერშერონს სველი ჩიჩვირი უკრთოდა, იქვე, მის გვერდით, ორთვალა ეტლი აყირავებულიყო: მოვარის შუქზე იგი მრისხანე ნესტრით ვიღაცის დასაგესლად გაქვავებულ ჯაღოსნურ მწერსა კგავდა. ესტებანი იმ გზით მიდიოდა, რა გზითაც წარსულში წმინდა იაკობის ორდენის პილიგრიმები მიმოდიოდნენ; იქ, სადაც ქუჩას წინ ცა გადაეღობა, ესტებანი შეჩერდა და მოეჩვენა, რომ ზეცა აქ ელოდა ყველას, ვინც მთებზე ასულას აპირებდა, თან შესახვედრად აგებებდა ახლად მოძკილი ყანისა და სამყურა ბალახის ნახ სურნელებას, საწნახელთა ხოტიოსა და თბილ სუნთქვას. ჭაბუკმა იცოდა, რომ ყოველივე ეს წმინდაწყლის ილუზია იყო, და რომ იქ, ზევით კვლავაც გვერდიგვერდ იყვნენ აყუდებულნი სახლები — შირეთში ხომ ერთმანეთზეა მიჭოჭვილი ქალაქის გარეუბნები. აი, რატომ იდგა გაქვავებულივით იმ ადგილას, საიდანაც ეს დიდებული, საოცარი ხელი მოჩანდა, იგი ჭვრეტდა იმავე სურათს, რასაც საუკუნეების მანძილზე ხედავდნენ ადამიანები, ხელთ არგანები რომ ეპყრათ, ფსალმუნებს გალობდნენ და მოსასხამთა გულისპირებზე ნიჟარები ჰქონდათ ამოქარგული. მოდიოდნენ და მოდიოდნენ ეს პილიგრიმები შეუსვენებლივ სანდლების ფრატუნით, რაკი გრძნობდნენ თანდათან უახლოვდებოდნენ დიდების ტაძარს — რადგან სულ რამდენიმე დღეა რჩებოდათ პუატის წმინდა ილარიონის სააუადმოყოფომდე, ფისან ღანდამდე და ბაიონის სავანემდე: ყველა ეს ადგილი აუწყებდათ, რომ ჩქარა მიაღწევდნენ ასპის⁷ ველზე დედოფლის ხილს — იქ კი ოთხი გზა იყრიდა თავს, სწორედ ამ გზებით დაეხეტებოდნენ პილიგრიმები... აქ მიმოდიოდნენ ისინი წლიდან წლამდე, ერთი თაობა მეორეს სცვლიდა, პილიგრიმები კი დაუოკებელი გზებით აღძრულნი მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ცდილობდნენ მიზნისთვის მიედწიათ და ეხილათ ოსტატ მატეოს დიდებული ქმნილება, ის კი, რაღა თქმა უნდა, — ამაში დაეჭვება არც შეიძლება — ფრანკმასონი იყო, ისევე როგორც ბრუნელესკი, ბრამანტე, ხუან დე ერერა⁸ თუ სტრასბურგის ტაძრის ამშენებელი ერვინ შტიინბახელი. თავის კურთხევაზე ფიქრმომძალეული ესტებანი გრძნო-

ბლა საკუთარ უმეცრებას და ქარაფშუტობას. ცოდნის სრულყოფისათვის აუარებელი ლიტერატურა არსებობდა, მან კი არაფერი იცოდა ამაზე. არა, ხვალვე იყიდის საჭირო წიგნებს და ცოდნას დამოუკიდებლად გაიღრმავებს... იმ დღიდან უკვე ნაკლებად აინტერესებდა რევოლუციის ვითარება თუ ქუჩაში გამოსული მარად აღგზნებული ხმაურიანი ბრბო. დამლამობით თავაუღებლივ კითხულობდა სხვადასხვა ნაშრომებს, თანდათან უკეთ ხვდებოდა საიდუმლოებით მოცულ, მაგრამ საიმედო გზას, რომლითაც საუკუნეობაში იმყოფებოდა ევლო სამების ღვთაებრივ იდეას. ერთხელ, დილის შუილ საათზე სანახავად მისულ ვიქტორს ესტებანი ფეხზე დაუხვდა: ჭაბუკი აპოკალიფსში ნახსენებ ვარსკვლავ აფსინთზე" ოცნებობდა, მანამდე კი თავდავიწყებითა და ყურადღებით კითხულობდა იოჰანან იოსაფატ ბენ ეზრას „მესიის მოსვლას“: ამ აღმოსავლური სახელის მიღმა იმალებოდა საქმიანი ამერიკელი შეთქმული.

— გინდა რევოლუციისათვის იმუშაო? — ჰკითხა ვიქტორმა ახალგაზრდა მეგობარს.

ფიქრიდან გამორკვეული ჭაბუკი გონებაჭვრეტითი განსჯიდან ცოცხალ, ბობოქარ სინამდვილეს დაუბრუნდა, სადაც პირველად ხორციელდებოდა უძველესი, დიადი მისწრაფება და ამაზე სიამაყითა და აღფრთოვანებით დათანხმდა, თანაც დასძინა, არაეის მისცემდა ნებას, დაეჭვებულიყო მის მგზნებარე სურვილში, ებრძოლა თავისუფლების გამარჯვებისთვის.

— დილის ათი საათისათვის მოქალაქე ბრისოს კაბინეტში მოდი და მე მიკითხე, — უთხრა შესანიშნავდ შეკერილ ახალ ტანისამოსსა და ჭრაჭუნა ფეხსაცმელში გამოწყობილმა ვიქტორმა, — ჰო! თუ შემთხვევით საუბარი ფრანკმასონებზე ჩამოვარდა, ენას კბილები დააჭირე, თუ ჩვენთან დარჩენა გინდა, მასონთა ლოჟისკენ მიმავალი გზა უნდა დაივიწყო, მაგ სისულელეებზე ისედაც ბევრი დრო დავკარგეთ. — ესტებანის გაოცებული სახე რომ დაინახა დასძინა: ფრანკმასონები რევოლუციის მოწინააღმდეგეები არიან, ამაზე არცა ღირს ლაპარაკი. არსებობს ერთადერთი ღირსეული დოქტრინა — იაკობინელების დოქტრინა.

ამ სიტყვებზე ფრანგმა მაგიდიდან „ახლადმოქცეულთა კატეხიზმოს“ მოაწვლო ხელი, შუაზე გადაფხრიწა და ქალღვლების კალათში მოისროლა.

XIII

დილის თერთმეტის ნახევარზე ბრისომ ესტებანი მიიღო. თერთმეტზე უკვე უჩვენეს, რა გზითაც უნდა გამგზავრებულიყო ესპანეთის საზღვრებისაკენ, — ეს იყო ერთ-ერთი ძველი გზა, რომლითაც თავის დროზე დადიოდნენ მომლოცველები, წმინდა იაკობის ორდენის ბერები. „ნაცვლად წმინდა იაკობის ნიჟარისა, თავისუფლებამ სანდლები და კოკარდა უნდა მომცეს“, — უთხრა თავის თავს ესტებანმა, როცა გაიგო, რასაცა სთხოვდნენ, და თვითონვე მოეწონა ეს რიტორიკული თქმა. იმ ხანებში სჭირდებოდათ მტკიცე რწმენის ადამიანები, რომელთაც კარგად შეეძლოთ ესპანურად წერა და ფრანგულიდან თარგმნა; მათ ევალებოდათ ესპანეთისათვის რევოლუციური ტექსტების მომზადება, რომელთაც უკვე ბეჭდავდნენ ბაიონსა თუ პირინეების მახლობლად მდებარე სხვა ადგილებში, სადაც საბეჭდი დაზგები ჰქონდათ, აბატი

ხოსე მარჩენა, ვის აზრსაც დიდად აფასებდა ბრისო, და ვისი ნიჭიც, ვოლტერისებური სარკაზმის დარად, ძალზე ბევრ ვინმეს აღაფრთოვანებდა, მათ ურჩევდა დაუყოვნებლივ გაეგრძელებინათ რევოლუციის დოქტრინა იბერიის ნახევარკუნძულზე, აუცილებლივ მოეხერხებინათ, რათა რევოლუციას აქაც ეფეთქა, იმ ქვეყნებთან ერთად, სადაც ხალხი მოუთმენლად ელოდა წარსულის სამარცხვინო ბორკილების დამსხვრევას. მარჩენას აზრით, რევოლუციის ამასთან არ უარყოფდა პარპინიანის მნიშვნელობასაც, — „ყველაფერი ისი ადგილი იყო, სწორედ აქ უნდა მოეყარა თავი მამულის განახლებისათვის მებრძოლ ესპანელ პატრიოტებს“; უწინარეს ყოვლისა, უნდა დაყრდნობოდნენ გონიერ ადამიანებს, ვისაც უნარი შესწევდათ გაეგოთ, რომ „აღორძინებული და რესპუბლიკური რწმენით განმსჭვალული ფრანგების ენა ჯერჯერობით ესპანელებისათვის მთლად ვერ იყო მისაზვედრი“. იბერიის ნახევარკუნძულის მცხოვრებლები მოვალენი იყვნენ „თანდათანობით შემზადებულიყვნენ ამ ენის გასაგებად“. ერთხანს საჭირო შეიქნებოდა, გაეთვალისწინებინათ „პირინეის მთაგრეხილს მიღმა არსებული, თავისუფლების იდეალებთან შეუთავსებელი გარკვეული ცრურწმენები, რომლებიც ისე ღრმად იყო ფესვადაღებული, რომ ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელი გახდებოდა მისი მოსპობა“.

— გასაგებია ყველაფერი? — იმგვარად ჰკითხა ვიქტორმა ესტებანს, თითქოს დარწმუნება სურდა ბრისოსი, რომ თავდებად უდგებოდა თავის პროტექტს.

ჭაბუკმა ისარგებლა ამ შემთხვევით და არ დააყოვნა მოკლე, მაგრამ ესპანური გამოთქმებით მოჭარბებული პასუხი: ისიც სურდა ეჩვენებინა, რომ ეთანხმებოდა მარჩენას და ისიც, ფრანგულად თავის მშობლიურ ენაზე არანაკლებად რომ შეეძლო აზრის გამოთქმა... თუმცა რამდენიმე საათის შემდეგ, როცა მოცლილობისას ყველაფერს კარგად ჩაუფიქრდა, დაასკვნა, არცთუ საზარბიელო მისია ჰქონდა დავალებული: მისი აზრით, იმ ხანებში პარიზის მიტოვება, სადაც ეპოქის უდიდესი მოვლენა ხდებოდა, არენიდან წასულასა და მივარდნილ პროვინციაში უმიზნოდ ცხოვრებას უდრიდა.

— ახლა წუწუნის დრო არ არის, — მკაცრად უთხრა დაეჭვებულ ჭაბუკს ვიქტორმა, — მალე მეც კარგა ხნით გამგზავნიან რომღორში, მეც დედაქალაქში დარჩენა მერჩივნა, მაგრამ თითოეული იქ უნდა წავიდეს, სადაც გზავნიან.

სამი დღე-ღამე ლხენას მიეცნენ მამაკაცები. ქეიფობდნენ, ქალებთან ერთობოდნენ, — ამან კვლავ დააახლოვა ისინი... ვიქტორთან გულახდილად საუბრისას ესტებანს არ შეეძლო დაემალა, რომ მისი რჩევით, მართალია, ცდილობდა თავიდან ამოეგდო ფრანკმასონები, მაგრამ უცხოელთა გამაერთიანებელ ლოჟაში ყოფნამ ბევრი სასიამოვნო მოგონება დაუტოვა. იქ მას „ახალგაზრდა ამერიკელ ძმას“ ეძახდნენ და კურთხევის დღეს მოღვაწის მოსახსამით შემოსეს. ამასთან, არც იმის უარყოფა შეიძლებოდა, რომ ლოჟაში დემოკრატიზმის კეთილისმყოფელი სული მეუფებდა; მაგალითად, თავადი კარლ კონსტანტინ ფონ გესენ როტენბურგი მეგობრულად ეკიდებოდა მარტინიკელ შავკანიან პატრიოტსაც, მოძღვრის მიჩვეულ მოვალეობაზე დადარდიანებულ ყოფილ პარაგვაელ იეზუიტსაც, თავის ქვეყნიდან პროკლამაციების გავრცელების გამო დევნილ ბრაბანტელ მესტამბესაც და ესპანელ ემიგრანტსაც — დღისით ქუჩა-ქუჩა რომ ვაჭრობდა, შებინდებისთანავე კი მგზნებარე ორატორად ქცე-

ული პევებოდა, რომ ფრანკმასონები ავილაში უკვე XVI საუკუნეში მოქმედებდნენ, ამაზე მეტყველებს კომპასების, გონიობისა და ჩაქუჩების გამოსახულებანი, რომლებიც ცოტა ხნის წინათ აღმოაჩინეს იუდეველი ოსტატი კალატოზის, მოსენ რუბი დე ბრაკემონტის მიერ აგებული ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში. ლოჟის წევრები ხშირად ისმენდნენ შთაგონებული კომპოზიტორი-მასონის ვილაც მოსარის თუ მოცარის მუსიკის ბარიტონი კი კურთხევის ცერემონიის დროს მის ჰიმნებს *„სწრულსაჲს, ჯა ხანგრძლივი ფერმატათი ამდიდრებდა საგალობელთა მელიოდიას: იქნებოდა ეს „ერთგული ძმების წმინდა კავშირი“ თუ „ყველა თქვენ, ვინც თაყვანსა სცემთ მეუფე-შემოქმედთ იაჰვეს, ქრისტეს, კონფუციას თუ ბრაჰმას“.* ლოჟაში შეიძლებოდა არანვეულებრივად საინტერესო ადამიანების ნახვა, მათი აზრით, რეკოლუციას ქონებრივსა და პოლიტიკურ სფეროში მოჰქონდა გამარჯვება, შემდგომში კი მას ადამიანი საკუთარ თავზე სრულ გამარჯვებამდე უნდა მიეყვანა. დანიელი და შვედი ძმები თავად გესენსკის მდიდრულ სასახლეზე რომ საუბრობდნენ, ესტებანს უნებურად ახსენებოდა ოჟე, თვითონ კარლ კონსტანტინი კი ამ დროს მოწონების ნიშნად, ღირსებით აქნევდა თავს; იქ ნათელმხილველებს ეკითხებოდნენ ანგელოზთა შეცოდებაზე, ტაძრის აგებაზე და იმაზე, თუ როგორ უნდა მიეღოთ ქიმიური ცდებით ტოფანის! შხამი. ჰერცოგ შლეზვიგის დახმარებით სასწაულებრივად კურნავდნენ ავადმყოფებს — აზერებდნენ არყის ხის, კაკლისა თუ ნაძვის კეთილმყოფელი ფლუიდის წყაროდ გადაქცევას, წინასწარმეტყველებით — რასაც მომავლის გამოცნობის ოთხმოცდახუთი ტრადიციული ხერხით აღწევდნენ, რომელთა შორის შედიოდა წიგნით, სარკით, ხელის ხაზებითა და ხის ნუფრებით მკითხაობა — თითქოსდა უნარი შესწევდათ გაეღწიათ დაფარული მომავლის კარიბჭის მიღმა. უჩვეულო ოსტატობით შეეძლოთ სიხშირის ახსნა... იქ ასეთ გამოცდილებასაც იყენებდნენ: ქაღალდის ფურცელზე კაცი დაუფიქრებლად წერდა რაღაცას, და ამის მეშვეობით აღწევდა კავშირს თავის საკუთარ ფარულ „მესთან“, რომელიც ინახავდა მოგონებებს გარდასულ ცხოვრებაზე — ასეთია ხვედრი ყველა ადამიანისა. ამგვარი გზით შეძლეს დაედგინათ, რომ დარმშტადის დიდი ჰერცოგინია მწარედ ტირიდა ვოლგოთაზე აღმართულ ჯვართან, ვაიმარის დიდა ჰერცოგინია კი პონტოელი პილატეს სასახლეში იმყოფებოდა, როცა პილატე მაცხოვრის ბედსა წყვეტდა; ზუსტად ასევე მრავალი წლის მანძილზე მეცნიერი ლაფატერიც² ნათლად შეიგრძნობდა, რომ იგი შორეულ წარსულში იოსებ არიმათიელი იყო. ხანდახან საღამოობით გოტორპის³ ჯადოსნურ ციხე-კოშკში, როცა მას ნისლი მოიცავდა, რის გამოც ნოტივდებოდა იქ დაცული ეგვიპტური მუმიები — ქანაობას იწყებდა დარბაზთა ჭალები, სადაც მეფური აუღელვებლობით თამაშობდნენ ბანქოს გრაფი ფონ ბენშტორფი — ოდესღაც ყოფილი მოციქული თომა, ლუდვიგ ფონ გესენი, რომელიც იხსენებდა, რომ თავის დროზე იოანე მახარობელი იყო, და ქრისტეიან ფონ გესენი — შორეულ წარსულში მოციქული ბართლომეს სახელით მცხოვრები. თავადი კარლი საღამოობით იშვიათად ესწრებოდა ბანქოს თამაშს. ის ამჯობინებდა შინ ჩაკეტილს ე მ უ შ ა ვ ა. მუშაობისას ისეთი დაჟინებით ჩასცქეროდა ლითონის ნაჭერს, რომელსაც ბერძნები „ელექტრონს“ ეძახდნენ, რომ თვალწინ პა-

წია ღრუბლები უჩნდებოდა, — ღრუბლების მოხაზულობაში კი შეიძლება აქ სულ სხვა საზღვრებიდან მოღწეული გამოუცნობი ნიშნების მოხელთება...

— მიეთმოეთია! — იფეთქა სასწაულებზე მონაჩმახით აღშფოთებულმა ვიქტორმა, — ახლა უამრავ ნ ა მ დ ვ ი ლ ამოცანაზე უნდა ვიფიქროთ და მსგავს ბოდვებზე დროს ვინცა კარგავს, მოწინააღმდეგეა რევოლუციისა. ჩვენ დროზე მივხვდით, რაც იმალება ამ მასონური მასკარადის მიღმა: მადე გამ-ცემლური სწრაფვა, ზურგი შეაქციონ დღევანდელ ეპოქას და უფლებამოსილად წყვიტონ უშუალო მოვალეობას. გარდა მაგისა, ფრანკმასონთა ძმობა ქადაგებს დანაშაულებრივ ზომიერებას, ყველა იმათ კი, ზომიერებას ვინც იზიარებს, მტრებივით უნდა ვეკიდებოდეთ...

ესტებანმა თანდათანობით შეიტყო ფრანკმასონებთან ვიქტორ იუგის ადრინდელი კავშირის საიდუმლოება: ვიქტორისათვის აბრეშუმის მიმწოდებელი ჟან ბატისტ ვილერმოზი, გალიის ფრანკმასონთა ასამბლეის მრჩეველი, რომელსაც ძალზე აფასებდა თავადი გესენსკი, ყოფილა ორდენის ხელმძღვანელი, იგი სენ-დომენგში გარდაცვლილი ილუმინატი მარტინეს დე პასკუალის გავლენით მისტიკისა და ორფიზმისაკენ ყოფილა მიდრეკილი. იუდეველთა წარმომავლობის პორტუგალიელ პასკუალს პორტ-ო-პრენსში და ლეოვანში დაუარსებია ფრანკმასონული კაპიტული და დაუპყრია ოქესავით მისტიკას მოწყურებულ ადამიანთა გონება. მაგრამ მის განყენებულ დოქტრინას რწმენა დაუკარგვინებია იმათთვის, ვინც ყოფილ ნეკოციანტ იუგის დარად რადიკალურ პოლიტიკურ გადატრიალებას ესწრაფვოდა, ვიქტორი აფასებდა ვილერმოზის — ფილანთროპისა და მეწარმის — ლიონში მის ფაბრიკაში ათასობით კაცი მუშაობდა — უღადეს პრესტიჟს, უღიარებია კიდევ მოძღვრების საფუძველები და დიდი აღმოსავლეთის წეს-ჩვეულების დაცვით უკურთხებიან მასონად, მაგრამ უარი უთქვამს (აქედან წარმომდგარა ოქესთან მისი დავაც), სერიოზულად მიეჩნია ის მეთოდები, მარტინეს დე პასკუალი რომ ქადაგებდა, თითქოს შორიდან ამყარებდა ევროპაში მცხოვრებ მოწაფეებთან სულიერ კავშირს...

— ყველა ეს გრძნეული და ილუმინატი enmerdeurs*-თა დასია, — თქვა ვიქტორმა, რომელსაც ახლა თავი მოჰქონდა იმით, რომ ორივე ფეხით მყარად იდგა მიწაზე.

პარიზში ვიქტორი ხშირად გამოდიოდა სიტყვით იაკობინელთა კლუბში, აქ იგი ხედებოდა ბიის ვარენს და კილი დ. ერბუას;⁴ რამდენჯერმე თვით მაქსიმილიან რობესპიერსაც კი ესაუბრა, რომელსაც იგი რევოლუციის ყველა ტრიბუნზე მალლა აყენებდა; ვიქტორი ისეთი გზნებით აღმერთებდა ამ ადამიანს, ისე უზომოდ აქებდა მის მჭევრმეტყველებას, შეხედულებებს, მანერებსა და გარეგნულ ელევანტურობასაც კი, რითაც ასე გამოირჩეოდა დაუღვევრად და ღამის უღაზათოდ ჩაცმულ კრების მონაწილეთა შორის, რომ ესტებანი ხანდახან ხუმრობით ეტყოდა ხოლმე:

— როგორც ვხედავ, თქვენს რობესპიერს შეიძლება მამაკაცთა ღონ-ჟუანი ვუწოდოთ.

ასეთი ხუმრობა ვიქტორს აბრაზებდა და ყოველთვის უხამსი შესტებით პასუხობდა.

* მოპაბეზრებელი ადამიანი (ფრანგ.).

ნამდვიის გირჩებით მოფენილ ტალახიან გზებზე ხანგრძლივი და დამქანც-
ველი მოგზაურობის შემდეგ ესტებანი, როგორც იქნა, ბაიონში ჩავიდა; აქ
იმათ განკარგულებაში გადავიდა, ვინაც ესპანეთის რევოლუციურ გადატრია-
ლებას ამზადებდა. მათ შორის იყვნენ ყოფილი მეზღვაურები რუბენ დე სე-
ლისი, ალკალდი ბასტარეჩე და მარატის მეგობარი ფურნალისტი / გუსმანი,
რომელიც გაზეთ „L' Ami du peuples“-ში თანამშრომლობდა ესტებანი
ძალზე ცუდ გუნებაზე დადგა, როცა მიხვდა, რომ არც ესტებანი და არც ფურნალისტი
ბელი მოქმედებისაკენ მისი სწრაფვა ამ ხალხს ჭკუაში არ მოსდიოდა. მათი
უმრავლესობა იზიარებდა იაკობინელთა თვალსაზრისს, მაგრამ ასე ვთქვათ,
ესპანურ ყაიდაზე: ისინი უკიდურესად რადიკალური იყვნენ მაშინ, როცა
საფრანგეთზე იყო საუბარი, როგორც კი მათი მზერა მდინარე ბიდასოს მის-
წვდებოდა, ანაზღუულად ხდებოდნენ არაჩვეულებრივად მშვიდნი და ზომიერნი.
ჭაბუკი უმაღლესად გაგზავნეს პატარა ქალაქ სენ-ჟან-დე-ლიუზში, რომლისთვისაც
ცოტა ხნის წინათ აქაური გმირულად დაღუპული რესპუბლიკელი ჯარისკა-
ცის ხსოვნის პატივსაცემად შოვენ-დრაგონი დაერქვათ. ქალაქში ჰქონდათ პა-
ტარა, მაგრამ კარგად მომუშავე სტამბა, — აქ უნდა დაბეჭდილიყო როგორც
მრავალრიცხოვანი რევოლუციური პროკლამაციები, ისე გამოცდილი აგიტა-
ტორის აბატი მარჩენას მიერ შერჩეული დოკუმენტები; აბატი კი მუდამ მზად
იყო გამოხმაურებოდა მიმდინარე ვითარებას; მაგრამ საზღვრისკენ მიმავალ
გზებზე იგი იშვიათად ჩნდებოდა ხოლმე, უფრო მეტ დროს პარიზში ატარებდა,
სადაც მას ხშირად ღებულობდა ბრისო. ესტებანს ეგონა, ნაცნობებიდან აქ
ვერავის შეხვდებოდა, ამიტომ ძალზე გაუხარდა, როცა ერთ საღამოს მდინარის
პირას მარტოდმარტო მოთევზავე კაცი დაინახა; ჭაბუკი ხალისიანად მიესალ-
მა: ეს იყო ხუმარა და ენაკვიმატი ფალისინო მარტინეს დე ბალიესტეროსი,
წარსულში მასონი, ახლა კი ახლად გამომცხვარი პოლკოვნიკი; აქაურებისგან
მას მთიელ მსროლელთა მოზრდილი რაზმი შეედგინა, ესპანელი მეომრების
თავდასხმის შემთხვევაში მის რაზმელებს წინააღმდეგობა უნდა გაეწიათ მეფის
ჯარისკაცებისთვის, თან უნდა ცდილიყვნენ, რომ ეს ჯარისკაცები რევოლუ-
ციის მხარეზე გადმოებირებინათ.

— ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყვნეთ, — განაცხადა ბალიესტეროსმა, —
ჩვენს სამშობლოში ხომ უჯიშოები სარეველასავით მრავლდებიან; ამისთვის
მარტო ბურბონთა მეფის სასახლეში ჩვენი გოდოებისა და მესალინებისათვის
თვალთვალაც კმარა.

მზიარულ ესპანელთან ერთად ესტებანი ბევრს დაეხეტებოდა ქუჩებში,
მიდიოდნენ სხვა პატარა ქალაქებშიც, რომლებისთვისაც ის-ის იყო გადაერქვათ
სახელები: იქსტასონისთვის ერთობა დაერქვათ, არბონისთვის — ურყევი,
უსტარიცისთვის — მარატ-სიურ-ნივი, ბეგორასთვის — თერმოპოლი. პირველ
ხანებში ბასკების სადა ეკლესიებისა და საგუშაგო კოშკების დარი მომცრო
სამრეკლოების შემხედვარე ჭაბუკს განცვიფრება ვერ დაემალა. ბალებს ქვითკი-
რის ღობეები ჰქონდა შემოვლებული. ესტებანი ხშირად იდგა და საათობით
უმზერდა, ცხვრის ტყავგადაკრულ, მოჭრაჭუნე უღელში შებმული ხარები რო-
გორ მიიწევდნენ წინ. მერე გადადიოდა თაღოვან ბოგიერებზე და გზადაგზა
ქვებში მიყუფულ ნარინჯისფერ სოკოებს აგროვებდა. ესტებანს მოსწონდა

* „ხალხის მეგობარი“ (ფრანგ.).

აქაური ცისფერნივნივებიანი, დამრეცსახურავიანი, კელლებში რკინის ღუზა-
 დატანებული ქვითკირის სახლები, მოსწონდა ფლატეებიან ქედებად განტოტ-
 ვილი მთავრებილები, კარლოს დიდზე თქმულებებში რომ ასხამდნენ ხოტბას,
 მოსწონდა ვიწრო ბილიკები, კლდე, რომლითაც, ვინ იცის, თავას დროზე
 იქნებ რაინდი როლანდიც ტკბებოდა; თვალს ვერა სწყვეტდა ვეებერთელა
 ღრუბელთა ნახირს, მსუყე, ლორთქობალახიან, მუდამ მწვანელ მთებში
 მკვახე ვაშლისფერ საძოვრებს. ყოველივე ეს ესტებანს აიძულებდნენ უცნება-ბუ-
 კოლიკური ბედნიერების შესაძლებლობაზე, რაც რევოლუციის პრინციპების გა-
 მარჯვების შემდეგ შეიძლება დაბრუნებოდათ ადამიანებს. მაგრამ ახლოს რომ
 გაეცნო აქაურებს, ცოტა არ იყოს, იმედი გაუცრუვდა. ეს ზანტი, ხარისკის-
 რებიანი და ცხენისებებიანი ბასკები, რომელთაც აოლად შეეძლოთ საჯილდო
 ქვებისა თუ ხეთა ძროების ატაცება, ეს ზღვის მგლები, კაცს აშკარად რომ
 ახსენებდნენ იმათ, ვინც ისლანდიაში ვზა გაიყვანეს და პირველად იხილეს ყი-
 ნულით შესუდრული ზღვა, ჯიუტად იცავდნენ ძველისძველ ტრადიციებს. არა-
 ვინ იყო მათზე უფრო გამჭრიახი, როცა საჭირო შეიქნებოდა საიდუმლო წირ-
 ვა-ლოცვაზე დასწრება ან ნაკურთხი პურის ბურეტით წაღება, კალოზე თუ სა-
 კირეში ზარების დამალვა, შორეულ ფერმაში, ტრაქტირის უკანა ოთახებში
 თუ ნაგაზებშიჩენილ გამოქვაბულში, — ერთი სიტყვით, იქ, სადაც ეს ყველაზე
 ნაკლებად იყო მოსალოდნელი, — საკურთხევლის მოწყობა. ერთხელ, როცა
 რამდენიმე თავგამოდებულმა იაკობინელმა ბაიონის კათედრალურ ტაძარში
 წმინდანების ქანდაკებები დაამსხვრია, ეპისკოპოსმა გამოძებნა ხალხი, ვინც
 ესპანეთის საზღვარზე გადასვლასა და შესაწირავის, სტიქარებისა და მთელი
 კვლადიდების გადატანაში მიეხმარებოდა. ხელისუფლებას ვილ-დე-ვერში სა-
 ზიარებლად წასული ქალიშვილის დახვრეტაც კი მოუხდა. ბევრი საზღვრის-
 პირა სოფლის მაცხოვრებელი, რომლებიც ურჩ მღვდლებს იფარავდნენ, ძალ-
 დატანებით გადაასახლეს ლანდაში. აქაური მეთევზეებისათვის შოვენ-დრაგონი
 ძველებურად სენ-ჟან-დე-ლუიზად დარჩენილიყო, ისევე როგორც ბოგერა, ად-
 ვილობრივი გლეხების აზრით, კვლავაც წმ. სტეფანეს მფარველობის ქვეშ
 იმყოფებოდა. სულას მკვიდრი კვლავინდებურად აჩადებდნენ კოცონებს ივანო-
 ბის ღამეს და უყვარდათ თავიანთი ძველი შუასაუკუნეების დროინდელი
 ცეკვები; აქ ვერავინ გაბედავდა ადამიანის დაბეზლებას, თუ ვინიცობაა ვინმე
 თავის სახლში ლოცვას აღუვლენდა ღვთისმშობელს ანდა პირჯვრის წერით
 მოჰყვებოდა საგარამურდელი ჯადოქრების ამბავს... ორ თვეს გაევილო უკვე, რაც
 ესტებანი ამ სამყაროში ცხოვრობდა, რომელიც დღითი დღე უცხო, ცბიერი და
 ცვალებადი ეჩვენებოდა; დარწმუნებული იყო, ვერასოდეს ისწავლიდა ბასკურ
 ენას, ვერ ისწავლიდა ადამიანთა სახეებზე მათ იდუმალ ფიქრთა გამოცნობას.
 უცებ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით განაცვიფრა ესპანეთთან ომის დაწ-
 ყებამ. ეტყობოდა, არ ეწერა პირინეის ნახევარკუნძულზე მოხვედრა, ვერ გაზ-
 დებოდა ახალი ქვეყნის დაბადების მოწმე, რაზედაც ასე ხშირად ოცნებობდა
 მარტინეს დე ბალიესტეროსის იმედით აღსავსე სიტყვის მოსმენისას, — იგი
 ჯიუტად წინასწარმეტყველებდა, სადაცაა მადრიდში ხალხი აჯანყდებოთ. ეს-
 ტებანი ტყვე შეიქნა საფრანგეთისა, რომელიც ატლანტის ოკეანის მხარეზე
 ინგლისურ ხომალდთა ესკადრით იყო ჩაკეტილი; აქედან თავის დაღწევის და
 სამშობლოში დაბრუნების აღარავითარი იმედი აღარ დარჩენოდა. აქამდე იგი

კავანაში დაბრუნებას არცა ფიქრობდა, მას საოცარი სურვილი ჰქონდა ეთამაშა თუნდ მცირე როლი მომავალი სამყაროს გარდამქმნელ რევოლუციაში; მაგრამ საკმარისი იყო შევტყო, ველარ წავიდოდა საფრანგეთიდან, რომ სევდა მოსძალეობდა სახლზე, ახლობლებზე, მისთვის მშობლიურ ფერებსა და სურნელებზე და გული აყროდა თავის ახლანდელ მოვალეობაზე; ეს ხომ, არსებითად, უხალისო და მომაბეზრებელი მოვალეობა იყო. ღირდა განაგრძო ქვეყნის მეორე კიდიდან ჩამოსულიყო რევოლუციის სანახავად და სინამდვილეში ვერაფერი ვერ ენახა? ღირდა კი დაძვავსებოდა საოპერო თეატრის მახლობლად პარკში მჯდომარე ადამიანს, თეატრიდან გამოსული ორკესტრის ხმა რომ ესმის, დარბაზში შესვლა კი არ შეუძლია?

გავიდა კიდევ რამდენიმე თვე, მთელი ამ ხნის განმავლობაში ესტებანი მონღოლებით ასრულებდა მონოტონურ სამუშაოს, რათა ამგვარად საკუთარ თვალში გაემართლებინა ამ სამუშაოს აუცილებლობა. მოსალოდნელი გადატრიალება ესპანეთში არ მომხდარა, ომმა საფრანგეთის ამ ნაწილშიც რაღაც მოღუნებული ხასიათი მიიღო — რაც ესპანეთის საზღვრის გაყოლებით განლაგებული გენერალ ვენტური კაროს მრავალრიცხოვანი საომარი ნაწილის შორიდან თვალთვალთ ამოიწურებოდა — ამასთან, მეომართა რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად, თვითონ გენერალსაც ვერ გადაეწყვიტა დაკავებული პოზიციების დათმობა. დამ-დამობით მთებში თოფის სროლა გაისმოდა, მაგრამ მხვერავ რაზმებს შორის ცალკეულ შეხლა-შემოხლასა და მოკლე შეტაკებებს იქით საქმე არ მიდიოდა. მიიწურა გრძელი, მზიანი, წყნარი ზაფხული; კვლავ ატყდა შემოდგომის ქარები; აცივებისთანავე საქონელი ბოსლებსა და გომებში შერეკეს... რაც დრო გადიოდა, ესტებანი ამჩნევდა, პარიზიდან მოშორებით მცხოვრებს სულ უფრო და უფრო ხშირად ეუფლებოდა დაბნეულობა; ახლა არცთუ იშვიათად ფიქრობდა იმაზე, რომ ველარაფერი გაეგო ცვალებადი, წინააღმდეგობრივი, კონვენსიური, ხშირად მისი საკუთარი მიზნის საწინააღმდეგო პოლიტიკის მკვეთრი მობრუნებისა. მმართველობის მრავალრიცხოვანი კომიტეტები და სხვადასხვა ორგანოები ახლა შორიდან არც ისე სრულყოფილი ეჩვენებოდა; ხანდახან მოაღწევდა ადრე ყველასათვის უცნობ ადამიანთა აღზევების ანდა ვინმე სახელმოხვეჭილი, ჯერ კიდევ გუშინ წარსულის გამოჩენილ გამირებთან გათანაბრებული მოღვაწის ხმაურიანი დაცემის მოულოდნელი ამბავი. სეტყვასაკვით მოდიოდა ბრძანებები, კანონები და დეკრეტები, პროვინციებში ისინი ჯერ კიდევ მოქმედებდნენ, სინამდვილეში, უკვე ან ახლით იყო შეცვლილი, ანდა საუსებით ეწინააღმდეგებოდა ახალ საგანგებო განკარგულებებს. კვირა ათდღიანი გახადეს, თვეებს ახალი სახელები დაარქვეს — ბრიუშერი, ჟერმინალი, ფრუკიდორი, რომლებიც სულ არ ესადაგებოდა ძველ სახელწოდებებს; შემოიღეს წონის, ზომისა და მოცულობის ახალი ერთეულები. მათ ჩიხში მოამწყვდიეს ადამიანები, რომლებიც შერეულნი იყვნენ ზომა-წონის სხვა ერთეულებს — საყენს, მტკაველსა თუ გარნეცს. აქ ზუსტად არავის შეეძლო ეთქვა, რა ხდებოდა სინამდვილეში, არავინ იცოდა, ვისთვის დაეჯერებინათ, რადგან საფრანგეთში მცხოვრები ბასკისთვის ნავარელი ესპანელი უფრო ახლოს იყო, ვიდრე შორეული ჩრდილოეთიდან უცბად იმიტომ მოვლენილი ჩინოვნიკი, რომ მისთვის ან უცნაური კალენდარი მოეხვია თავს ანდა მისი მშობლიური ქალაქის სახელები შეეცვალა. ყველაფ-

რიდან ჩანდა, დაწყებული ომი იოლად აღარ დასრულდებოდა, — სხვა ომები-საგან განსხვავებით, ის ხომ არც რომელიმე ხელმწიფის პატივმოყვარული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაეწყოთ და არც სხვისი მიწების მისატაცებლად. „მეფეებმა იციან, ვერავითარი პირინები გზას ვერ გადაუღობავენ ფილოზოფიურ იდეებს, — აცხადებდნენ ტრიბუნებიდან იაკობინელი ორატორები, — ძილიონობით ადამიანთა მოძრაობა იმიტომ დაიწყო, რომ სამყაროზე უსჯობე შეუცვალონ“. იდგა მარტი; ესტებანისთვის მარტი ისევ მარტად დანახვისადე-ყო; თუმცა ყური „ნივოზს“ და „პლიუვიოზსაც“ შეჩვეოდა. იდგა გაცრეცილი, თითქოსდა წვიმის გისოსებით შესუდრული მარტი, — სიბურის ბორცვები კვამლისფერ საბურველში გახვეულიყო, მათ გაყოლებით მოჩვენებებით დაცურავდნენ ნავსადგურში მობრუნებული მეთევზეთა გემები: ისინი უკან იტოვებდნენ მონაცრისფრო-მომწვანო, მოლუშულსა და მშფოთვარე ზღვას, რომლის უსაზღვრო სივრცე შეუმჩნევლად ერწყმოდა გაჭიანურებული ზამთრის ქათქათანისლიან ზეცას. ოთახის ფანჯრიდან, სადაც ჭაბუკი თარგმანზე მუშაობდა ან კორექტურას ასწორებდა, მოჩანდა მოკაცრიელებული, მკედარი წყალმცენარეებით, ფიცრის ნამსხვრევებითა და იალქნის ნაგლეჯებით თითქოსდა ჯაგარაშლილი სანაპირო; ყოველივე ამას ღამე ქარიშხალი გამოირიყავდა ხოლმე, როდესაც იგი კვნესით იჭრებოდა დარაბათა ჭუჭრუტანებში და გამალებით ატრიალებდა დაჟანგებულ, მოღრჭიალე რკინის ფლიუგერებს. ესტებანის სახლიდან ცოტა მოშორებით, ყოფილ ლუდოვიკო XVI-ის მოედანზე, რომლისთვისაც ახლა თავისუფლების სახელი დაერქვათ, აღმართული იყო გილიოტინა. ახლა იგი შორს იმყოფებოდა იქიდან, სადაც საზეიმოდ დაედგათ პირველად, შორს იმყოფებოდა მეფის სისხლით მორწყული მოედნიდან, სადაც მრისხანე ტრაგედიაში თავისი როლი უკვე ეთამაშა. ახლა წვიმაში მდგარი ეს მანქანა რაღაც საზიარო და სევდისმომგვრელი უფრო ჩანდა, ვიდრე შემზარავი და საბედისწერო; მისი ამოქმედება კაცს უნებურად ახსენებდა საცოდავ ფიცარნაგებს, რომელზედაც სოფელ-სოფელ მოხეტიალე კომედიანტები ცდილობენ ქალაქელი მსახიობების თამაშის მიბადვას. ხანდახან სიკვდილით დასჯისთვის თვალის შესაკლებად შეჩერდებოდნენ გოდორყორიანი მეთევზეები ან რამდენიმეოდე ამვლელ-ჩამვლელი, რომელთაც განოუცნობი გამომეტყველება აღბეჭდოდათ სახეზე და ღუმილით აფურთხებდნენ თუთუნს. წუთით შეჩერდებოდა ვინმე მოზარდი, სოფლის ხარაზი ან კალმარის გამყიდველი, მაგრამ იფეთქებდა თუ არა თავმოკვეთილის კისრიდან სისხლი, ვით გაფატრული რუმბიდან ღვინო, ყველა ისევ თავის გზას ეწეოდა. იდგა მარტი. გაცრეცილი, თითქოსდა წვიმის გისოსებით შესუდრული მარტი, რომელსაც საბძელში ნამჯა დაესველებინა, ჩაემუქებინა თხის ბალანი და ყელმალალი ბუხრებიდან ზღაზვნით ამომავალი კვამლი, რასაც გაევსო ნივრითა და ერბოს სუნით გაჟღენთილი სამზარეულოები. უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც ესტებანს ვიქტორისაგან აღარაფერი შეეცყო, თუმცა იცოდა, ვიქტორი რომფორში მთელი სისასტიკით ასრულებდა რევოლუციის ტრიბუნალთან არსებულ საზოგადოებრივი ბრალმდებლის მოვალეობას. ვიქტორს ისიც კი მოეთხოვა — და ესტებანმაც მხარი დაუჭირა — რომ გილიოტინა პირდაპირ სასამართლოს სხდომათა დარბაზში დაედგათ და განაჩენი უცბად, დაუყოვნებლივ მოეყვანათ სისრულეში. ახლა, როდესაც ესტებანს გვერდში აღარ ედგა ეს მგზნებარე, მტკიცე ხასიათის ადამიანი,

შემოსილი თავისი თანამოღვაწეების შარავანდებით, იქნებოდა ეს ბიო, კოლო თუ რომელიმე სხვა გამორჩენილი მოღვაწე — რაინდი ერთი საათით — რომლებიც არაფრით არ ჰგვანდნენ ჭაბუკის გარშემო აქ შემოკრებილ ადამიანებს, იგი რაღაც უცნაურ გრძნობას განიცდიდა: ეჩვენებოდა, რომ თანდათან კნინდებოდა, გადაგვარებას იწყებდა, კარგავდა საკუთარ, ჭეშმარიტ სახეს, თითქოსდა ყოველივე ის, რაც ირგვლივ ხდებოდა, თრგუნავდა მისი მოკრძალებული წვლილი კი იმდენად უმნიშვნელო იყო, ვერც ვინც შეამჩნევდა. ეს გრძნობა ისეთი დამამცირებელი იყო, რომ ხანდახან ტირილიც კი მოუნდებოდა ხოლმე. სევდამომძალებულს ენატრებოდა თავი კვლავინდებურად სოფიას კალთაში ჩაერგო, როცა ცდილობდა სიმშვიდე და ნავსაყუდარი ეპოვა მისი ქალწულებრივი წიაღიდან მომდინარე დედობრივი სიყვარულის ძალაში. თავის მართობასა და მოუსვენრობაზე დაფიქრებული ჭაბუკი ერთხელ კინადამ მართლა აქვითინდა, მაგრამ ამ დროს ოთახში პოლკოვნიკი მარტინეს დე ბალიესტეროსი შემოვიდა. მთიელ მსროლელთა მეთაური ძალზე აღელვებული და აღშფოთებული ჩანდა, გაოფლიანებული ხელები უკანკალებდა — ამკარა იყო, რაღაც ამბავს მეტისმეტად აღელვებინა ესპანელი.

XIV

— მომაბეზრეს თავი ამ ფრანგუკებმა! — შესძახა ბალიესტეროსმა და მოწყვეტით დაეცა ესტებანის ტახტზე, — მომაბეზრეს-მეთქი თავი. ნამდვილად გეუბნები! ეშმაკსაც წაუღია ყველა!

მან ორივე ხელი სახეზე აიფარა და ერთხანს ასე იყო გაჩუმებული.

ესტებანმა ტოლჩით ღვინო გაუწოდა, სტუმარმა სულმოუთქმელად გამოცალა და სთხოვა, კიდევ დაესხა. მერე წინ და უკან მოჰყვა სიარულს, თან გაჩქარებით ჰყევებოდა, რაზეც იყო განრისხებული; მისთვის ეს-ესაა ხარისხი ჩამოერთვათ, გადაეყენებინათ თანამდებობიდან — გადაეყენებინა — ქვეყნის ამ მხარეში მეომართა ხელახალი ფორმირებისათვის პარიზიდან განუსაზღვრელი უფლებამოსილებით მოვლინებულ ვიღაც კომისარს. ესპანელის ეს შერისხვა იყო გაგრძელება უცხოელთა წინააღმდეგ პარიზში დაწყებული ლაშქრობისა, რის შედეგსაც უკვე საზღვარზეც ეჩინა თავი.

— ჯერ იყო და მასონებს გამოუცხადეს უნდობლობა, ახლა გადაწყვიტეს, რევოლუციის საუკეთესო მეგობრები მოიშორონ თავიდან.

ხმები დადიოდა, აბატი მარჩენა ღევნას ემალება, რადგან ყოველ წუთში ეშაფოტზე აყვანის საშიშროება ემუქრებაო.

— მერედა, რამდენი რამ გააკეთა ამ კაცმა თავისუფლებისათვის, — შფოთავდა ბალიესტეროსი.

ფრანგები ახლა ბაიონის კომიტეტს მოსდგნენ, ლამის ყველა ესპანელი გამოაძევეს: ერთი იმიტომ, რომ თითქოსდა ზომიერ შეხედულებას უჭერდა მხარს, მეორე იმიტომ, რომ წარსულში ფრანკმასონი იყო, მესამე კი — საეჭვოდ მოეჩვენათ და იმიტომ.

— ფრთხილად იყავით, მეგობარო, თქვენც უცხოელი ხართ. საფრანგეთში უკვე რამდენიმე თვეა ფიქრობენ, რომ უცხოელობა დანაშაულია, — განა-

გრძო ბალიესტეროსმა თავისი არეული მონოლოგი: — სანამ პარიზში იმით ერთობოდნენ, რომ მოქეიფე ქალებს გონიერების ქაღალდის კოსტუმით რთავდნენ, თავიანთი უუნარობისა და ერთმანეთისადმი შურის გამო ხელეღან გაუშვეს ბრწყინვალე შემთხვევა — გადაეტანათ რევოლუციის ალი ესპანეთში, ახლა კი უნდა ელოდონ... თუმცა, როგორც ჩანს, არც აპირებენ რევოლუციის ძველ დედამიწაზე გავრცელებას! ისინი მარტო საფრანგეთის რევოლუციას ფიქრობენ. რაც შეეხება სხვებს... ჯანდაბამდე გზა ჰქონიათო.. ~~სხვენ-აკე-უქსსკე~~ ბოლო საქმეებს ვაკეთებთ, გვაიძულებენ ესპანურად ვთარგმნოთ ადამიანთა უფლებათა დეკლარაცია, თვითონ კი ამასობაში თორმეტს მაინც არღვევენ მისი ჩვიდმეტი პარაგრაფიდან. აიღეს ბასტილია, გაანთავისუფლეს ოთხი ყალბი ფულის მჭრელი, ორი შეშლილი და ერთი პედერასტი, მერე კი კაიენაში გახსნეს კატორღა, რომელიც, ყველა ბასტილიაზე უარესია...

ესტებანს ეშინოდა, მეზობლებს არ გაეგონათ მათი ლაპარაკი და საწერი ქაღალდის ყიდვა მოიმიზეზა, რომ ქუჩაში საპატიო საბაბით გაეყვანა გამაგებელი ესპანელი, ჩაუარეს სავაჭრო სახლს — არანდერს და წიგნებით სავაჭრო ღუქნისაკენ გაეშურნენ, რომელსაც თურმე ადრე „ქონება“ ერქვა, ახლა კი „ძმობა“ დაერქვათ — თანაც ძნელი არ იქნებოდა ძველი წარწერის ახლებურად გადაკეთება. ეს დაბალჭერიანი ოთახი დღისით-მზისით კოჭზე დაკიდებული ნავთის ლამპით იყო განათებული. ესტებანი აქ საკმაო დროს ატარებდა ახალი წიგნების ფურცვლაში, აქაურობა ნაწილობრივ აგონებდა ჰავანას და მათი საწყობის გარემოს. აქაც ისევე ეწყო დასტა-დასტად დამტვერილი საგნები, მათ შორის იყო არმილიარული სფეროები, პლანისფეროები, ჭოგრიტები, ფიზიკის ხელსაწყოები. მარტინეს დე ბალიესტეროსმა მზერა ახლახან მიღებულ გრაფიურებს ესროლა და აღშფოთებით აიჩეჩა მხრები, — გრაფიურებზე საბერძნეთისა და რომის ისტორიის ღირსსახსოვარი მოვლენები იყო გამოსახული.

— დღეს ყველა ქარაფშუტას ჰგონია, იმავე ცომისგან არის მოხედილი, რისგანაც ძმები გრაკქუსები, კატონი ან ბრუტუსი იყვნენ, — ჩაიბურტყუნა მან.

ბალიესტეროსი მოშლილ ფორტეპიანოსთან მივიდა და ფრერის მიერ გამოცემულ ფრანსუა ჟირუეს უკანასკნელი სიმღერების ნოტებს დაუწყო ფურცვლა; ამ სიმღერებს ვიტარის აკომპანიმენტით ყველგან მღეროდნენ, რასაც ხელს უწყობდა ნოტების ჩაწერის გამარტივებული მეთოდი. ესპანელმა ესტებანს უჩვენა რამდენიმე სიმღერის დასახელება. „თავისუფლების ხე“, „ჰიმნი გონებას“, „დამხობილი დესპოტიზმი“, „რესპუბლიკელი ძიძა“, „ჰიმნი გვარჯილას“, „პატრიოტთა გამოღვიძება“, „ათასი მჭედლის ქორალი იარაღის მანუფაქტურიდან“.

— მუსიკაც კი განმსჯელად აქციეს, — ჩაიბურტყუნა მან, — იქამდე მივიდნენ, რომ ფიქრობენ, სონატას ვინცა წერს, ზიანი მოაქვს თავისი რევოლუციური მოვალეობისათვის. თვით გრეტრიც კი მოქალაქეობრივი გრძნობის გამოსახატავად ბალეტებს „კარმანიოლათი“¹ ამთავრებს.

და ფრანსუა ჟირუეს ოპუსების წინააღმდეგ პროტესტის გამოსახატავად ესპანელმა ისე ხმაურიანად დაუკრა რომელიღაც სონატის ალუგრო, თითქოს კლავიატურაზე ცდილობდა თავისი ძრისხანების გადმონთხევას.

— არ ღირდა ალბათ დამეკრა ფრანკმასონი მოცარტის ნაწარმოები, — თქვა მან პასაჟის დასრულებისას, — ერთიც ვნახოთ და ფორტეპიანოს ყუთში ჯაშუში იჯდეს...

ესტებანმა იყიდა ქალაღი და გარეთ ესპანელთან ერთად გამოვიდა, რომელსაც არ უნდოდა თავის მრისხანებასთან მარტო დარჩენა, წვიმის მიუხედავად ბერეტთან ჯალათს გილიოტინისთვის შალითა მარტო დატოვა იყო მოიყვანდნენ ალბათ სიკვდილმისჯილს, ზედ დაადებინებდნენ თავს, და ამას ვერაფერს შეამჩნევდა გარდა ეშაფოტთან მღვარი რამდენიმე ჯარისკაცისა...

— დასაჯეთ და თქვენც დაისჯებით, — ჩაიბურტყუნა მარტინეს დე ბალიესტეროსმა, — სჯიან ნანტში, სჯიან ლიონში, სჯიან პარიზში...

— ამ სისხლიანი ემბაზიდან კაცობრიობა აღორძინდება, — თქვა ესტებანმა.

— ნუ იმეორებთ სხვის სიტყვებს, — რაც მთავარია არაფერი თქვათ ჩემთან სენ ჟიუსტის წითელ ზღვაზე (სენ-ჟიუსტს ესპანელი ყოველთვის სენიუდად წარმოთქვამდა), რადგან ეს ცუდი რიტორიკაა, — შეაწყვეტინა ბალიესტეროსმა.

მათ გზაზე შემოხვდათ ავბედითი ურემი, რითაც ეშაფოტისკენ ხელებშეკრული მღვდელი მიჰყავდათ; მერე ნავმისადგომს დაუყვანენ და მეთევზეთა გემის წინ შეჩერდნენ, გემბანზე სარდინები და თინუსები ფართხალებდნენ, მათ შორის ისე იდო ყვითელი სკაროსი, როგორც ფლამანდიურ ნატურმორტზე. მარტინე დე ბალიესტეროსმა საათის ჯაჭვზე დაკიდებული რკინის გასაღები მოგლიჯა და გაბრაზებულმა ისროლა წყალში.

— ბასტილიის გასაღებია, ამასთან ყალბი, ზეინკლებს შორის არიან ისეთი არამზადებიც, ვინც ამ თილისმას ათასობით ამზადებენ და ლამის მთელ მსოფლიოს მოჰფინონ, ამიტომაც ქვეყნად ახლა ბასტილიის გასაღები უფრო მეტია, ვიდრე იმ ჯვრის ნაწილი, მაცხოვარი რომ გააკრეს...

სიბურის მხარეს ანდაის გზაზე ესტებანმა უჩვეულო მოძრაობა შენიშნა, ცალ-ცალკე ჯგუფებად, არამწყობრი ნაბიჯით მოდიოდნენ პირინეის მსროლელთა პოლკის ჯარისკაცები; ზოგი მღეროდა, უმრავლესობას კი დაქანცულობა ეტყობოდა, ყველა მათგანი, ვისაც შეეძლო, ცდილობდა რომელიმე ოთხთვალაზე აბლოტებულიყო, რომ თუნდაც მცირე გზა ფეხით აღარ ევლო; ამკარად ჩანდა, სიმღერას მარტო მთვრალეები ღრიალებდნენ. ჯარისკაცები ჰაიჭარად უკანდახეულ, ოფიცრებისაგან ბედის ანაბარა მიტოვებულ, უთავბოლოდ მოხეტიალე მეომრებს ჰგავდნენ. თვათონ ოფიცრებს კი უკვე მოედწიათ სანაპიროსთვის და ცხენებიდან რომელიღაც ტრაქტირთან გადმომხდრები სველ ტანისამოსს ცეცხლზე იშრობდნენ. ესტებანი პანიკურმა შიშმა მოიცვა იმის გაფიქრებაზე, რომ ეს ნაწილი შესაძლოა დამარცხებული იყო და ფეხდაფეხ მარკიზ დე სენსიმონის² ჯარი მოსდევდა, იგი მეთაურობდა ემიგრანტებისაგან შედგენილ დიდ რაზმს, რომელიც, როგორც ვარაუდობდნენ, კარგა ხანია ემზადებოდა გაბედული თავდასხმისათვის. მაგრამ ახალმოსულებს ყურადღებით თუ დააკვირდებოდით, მიხვდებოდით, ისინი ომში დამარცხებულნი კი არა, უბრალოდ, დასველებულნი და ტალახით ამოვანგლულნი იყვნენ. სანამ ვაციებული და ავადმყოფი ჯარისკაცები ფარდულებსა და საჩეხებში თავის შეფარებას ცდილობდნენ, დანარჩენები დასასვენებლად მილაგ-მოლაგდნენ, შეექცეოდნენ პურსა და ქაშაყს, თან ზედ არაყსაც აყოლებდნენ. მარკიტანტებს უკვე გა-

ქალებინათ თავიანთი ძაყლები და სველი შეშის ყომრალი კვამლი ცასა სწვლებოდა; მარტინეს ღე ბალიესტეროსი მივიდა მხარზე ნივრის გალაგადაკიდებულ მუხარბაზნესთან და ჰკითხა, რა იყო ლაშქრის ასეთი მოულოდნელი აყრის მიზეზი.

— ამერიკაში მივემგზავრებით, — უპასუხა ჯარისკაცმა, და ამ სიტყვებმა/

ესტებანს გულში ელვასავით გაჰკრა. შიშისა და მღელვარებისაგან აკანკალებული ესტებანი საკუთარ თავს გამაროული დღესასწაულიდან გამოძევებული კაცის შემფოთებას რომ განიცდიდა, შერისხულ პოლკოვნიკთან ერთად ტრაქტირში შევიდა, სადაც ოფიცრები ისვენებდნენ. მათ მალე შეიტყვეს, რომ პოლკი ანტილის კუნძულებზე მიემგზავრებოდა, მოგვიანებით მათ რომფორში შედგენილ საექსპედიციო კორპუსში შემავალი სხვა ნაწილებიც შეუერთდებოდათ. ჯარისკაცებს თანდათანობით გადასხამდნენ მცირე ხომალდებზე, ცურვას კი დიდი სიფრთხილით, ინგლისელთა მიერ ბლოკირებული ნაპირიდან მოცილებით შეეცდებოდნენ; ხომალდებით გამოემგზავრებოდა კონვენტის ორი კომისარი — კრეტიენა და ვილაც ვიქტორ იუგი, როგორც ამბობენ, ყოფილი მეზღვაური და კარგი მცოდნე კარიბის ზღვისა, სადაც ახლა ბრიტანეთის ძლიერი ესკადრა მოქმედებსო... ესტებანი მოედანზე გამოვიდა. მას ისე ეშინოდა ხელიდან გაეშვა მისთვის აშკარად სახიფათო ამ მიყრუებული ადგილიდან გაღწევის მარჯვე შესაძლებლობა (თანაც მიხვდა, მალე შეიტყობდნენ მისი სამუშაოს უსარგებლობას), რომ უღონოდ ჩაიკეცა ქვის საფეხურებზე და ყურადღება არც მიუქცევია ყინვასავით სუსხიანი ქარისთვის.

— ვიქტორ იუგი ხომ თქვენი მეგობარია? — ჰკითხა ბალიესტეროსმა, — ყველაფერი იღონეთ, აქედან როგორმე გაგაღწევენით. იუგი გავლენიანი კაცი გახდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაღბარდის მხარდაჭერით სარგებლობს; ამ უკანასკნელმა თავი ჯერ კიდევ იმ დროიდან დაგვამახსოვრა, როცა ბიარეცში მეგობრეობდა. ხომ ხედავთ, აქ უმიზნოდ ცხოვრობთ, დოკუმენტები, რაც რამ ვითარგმნიათ, ხელუხლებლად აწყვია სარდაფში. გარდა მაგისა, უცხოელი ხართ.

ესტებანმა ესპანელს ხელი ჩამოართვა.

— თქვენ რაღას აპირებთ?

— სულერთია, დაწყებულ საქმეს მაინც განვაგრძობ. რევოლუციისათვის თავგანწირულ ადამიანს უკან დასახვევი გზა მოჭრილი აქვს, — უპასუხა მარტინეს ღე ბალიესტეროსმა და მის ხმაში ბედის მორჩილება გაისმა.

ესტებანმა ყველაფერი დაწვრილებით მისწერა ვიქტორ იუგს — წერილის ასლი რამდენიმე პირად გადაიღო და ერთდროულად გაუგზავნა საზღვაო სამინისტროს, რომფორის რევოლუციურ ტრიბუნალს და ერთ-ერთ ყოფილ მასონს, რომელსაც ჭაბუკი დაბეჯითებით სთხოვდა, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მოეძებნა ადრესატი. და თავისი თხოვნის პასუხს დაუწყო ლოდინი. იუგს სწერდა, რომ მსხვერპლი შეიქნა ჩინოვნიკური გულგრილობისა, ესპანელ რესპუბლიკელთა შორის არსებული უთანხმოებისა, უხსნიდა. თავისი შრომის უმნიშვნელო წარმატებას იმ ადამიანების უმარიფათობის გამო, რომლებიც ხელისუფლებაში წარამარა სცვლიდნენ ერთმანეთს. წუხდა ამინდზე, შიშობდა, ვაითუ ადრინდელი ავადმყოფობის შემოტევები გამიახლდესო. ვიქტორის მეგობრულ

გრძნობებზე ზემოქმედების მოსახდენად, იხსენიებდა სოფიას და შორეულ ჰავა-
 ნაში იმ სახლს, სადაც „ყველანი ძმებივით ცხოვრობდნენ“. ბოლოს დაწვრი-
 ლებით ლაპარაკობდა, სახელდობრ, რით შეიძლება ყოფილიყო რევოლუცია
 ამერიკისთვის სასარგებლო. „ალბათ იცით, — დასძენდა ბოლოს — რომ ახ-
 ლა საფრანგეთში უცხოელების მდგომარეობა არცთუ მთლად სახარბიელოა, —
 მერე გაიფიქრა, შეიძლება წერილი სადმე დაიჭირონო და დაუმატა: — ბაი-
 ონში მცხოვრებმა ზოგიერთმა ესპანელმა, ეტყობა, რევოლუციის საწინააღმდე-
 გო, ყოველგვარი განსჯის ღირსი, საქციელი ჩაიდინა. ამან აუცილებელი გახა-
 და ის წმენდა, როცა, სამწუხაროდ, წმინდანებს შეიძლება ცოდვილთა მაგი-
 ვრად აგებინონ პასუხი“ ... გაჭიანურდა შიშნეული მოლოდინით აღსავსე კვირე-
 ბი; მთელი ამ ხნის განმავლობაში ჭაბუკი ელდით იყო შეპყრობილი, გაურბო-
 და მარტინეს დე ბალიესტეროსს და ყველა იმათ, ვისაც შეეძლოთ ნება მიე-
 ცათ საკუთარი თავისთვის უცხო ხალხის თანდასწრებით, უკადრისად განე-
 საჯათ მიმდინარე მოვლენები. ზოგი ამტკიცებდა, აბატი მარჩენა, ვისი ადგილ-
 სამყოფელიც არავინ იცოდა, ეშაფოტზე დაიღუპათ. ბისკაის სანაპიროს მაც-
 ხოვრებლები ყოველ დამე შიშით იყვნენ დაფეთებულნი. სახლებში სინათლეს
 არავინ ანთებდა. ხალხი მაგრად დაგმანული სარკმლებიდან უთვალთვალებ-
 და, რა ხდებოდა ქუჩებში. ესტებანს სახლიდან დილაუთენია გამოდიოდა, მო-
 ძალებული შიშის დასაძლევად წვიმაში ფეხით მიდიოდა მეზობელ სოფელში,
 რომელიმე ტრაქტირში დაღევდა ერთ ბოთლ წითელ ღვინოს ან შევიდოდა
 სოფლის საწვრილმანო დუქანში, სადაც დუჟინობით ყიდდნენ ღილებს, ქინ-
 ძისთავეებს, ეჭვნებს, ქსოვილის ნარჩენებს და მოწნულ კალათში ჩალაგებულ
 ტკბილეულობას. შინ გვიან ბინდისას ბრუნდებოდა, და მუდამ ისეთი გრძნობა
 აქონდა, თითქოს მისი შინ არყოფნის დროს ვიღაცა უცხო იყო მის სახლში,
 ანდა მოდიოდნენ ყაზარძად თუ პოლიციის კომისარიატად გადაკეთებულ ბაიო-
 ნის ძველ ციხე-სიმაგრეში მის წასაყვანად. იქ კი პასუხის გაცემას მოსთ-
 ხოვდნენ საიდუმლო „საქმეში მონაწილეობის“ გამო დასმულ კითხვებზე. ისე-
 თი უსიამოვნო გამხდარიყო მისთვის ეს მღუმარე, ყოველ ნაბიჯზე საშიშროე-
 ბაჩასაფრებელი, ოთხივე კუთხით ჩაკეტილი მხარე, რომ აქაური ყველაფერი
 საძაგელი ეჩვენებოდა: კაკლები, მუხები, ესპანურ ყაიდაზე აშენებული სახლე-
 ბი, ჰაერში მოლივლივე ძერა, სასაფლაო, სადაც მზის გამოსახულებიანი უც-
 ნაური ჯვრები მოჩანდა... შიკრიკმა წერილი რომ გაუწოდა, ესტებანს ხელები
 ისე უკანკალებდა კონვერტი ვერ გახსნა. ლუქის ბეჭედი კბილებით მოაძრო,
 კბილები ჯერ, საბედნიეროდ, ემორჩილებოდნენ. ხელნაწერი მაშინვე იცნო.
 ვიქტორ იუგი ჭაბუკს ნათლად და გასაგებად სთავაზობდა რომფორში დაუყოფ-
 ნებლივ ჩასვლას და გადამწერის თანამდებობის დაკავებას საზღვაო საქსპე-
 დიცით კორპუსში, რომელსაც სულ მალე მოუხდებოდა ეკსის კუნძულიდან
 გამგზავრება. წერილი ესტებანს შეიძლება თავისებური შეუვალობის მოწმო-
 ბად გამოსდგომოდა. ჭაბუკს სენ-ჟან-დე-ლუიზი ბასკების მსროლელ პოლკ-
 თან ერთად უნდა დაეტოვებინა, რომელსაც შორეული და საზიფათო ესქპე-
 დიცია ელო წინ. ექსპედიციას გზადაგზა ადგილზე მოუხდებოდა გადაწყვეტი-
 ლების მიღება, რადგან უამბობის გამო არავინ იცოდა, უკვე მიეთვისებინათ თუ
 არა ინგლისელებს ანტილის კუნძულებზე საფრანგეთის სამფლობელოები. სა-
 ვარაუდოდ, ექსპედიციის განწყობის ადგილად გვადელუპას კუნძული იქნა მიჩ-

ნეული. თუ იქ გადასხმა შეუძლებელი გახდებოდა, ესკადრა გზას სენ-ლომენ-გომდე გააგრძელებდა... ვიქტორი დიდი ხნის უნახავ ესტებანს ცივად გადა-
 ეხვია. იუგი ცოტა გამხდარიყო, ღაწვის ძვლები წინ წამოშვეროდა, სახე უფ-
 რო ენერგიული გახდომოდა, ენერგია კი ერთიორად მომატებოდა მას შემდეგ,
 რაც ადამიანთა მბრძანებლობა დაეწყო. ოფიცრებით გარშემორტყმული იუგი
 გართული იყო ესკადრის გაგზავრების უკანასკნელი სამზადისის სწავლობ-
 და რუკებს, კარნახობდა წერილებს და ყოველივე ეს ხდებოდა საომარი და-
 რალით, ქირურგიული ხელსაწყოებით, დოღებითა და ახვეული დროშებით
 სავსე დარბაზში.

— მერე მოვილაპარაკოთ, — მიუგლო სიტყვა ესტებანს და რაღაც დებუ-
 შის წასაკითხად ზურგი შეაქცია. — საინტენდანტოში წადი, — დასძინა იქ-
 ვე, მაგრამ უმაღ გამოასწორა, — საინტენდანტოში წადით და ჩემს ბრძა-
 ნებას დაელოდეთ.

თუმცა იმ ხანებში „შენობით“ მიმართვას რევოლუციური სულის გამო-
 ხატულებად მიიჩნევდნენ, იუგს შემთხვევით არ გაუსწორებია თავისი ნათ-
 ქვაში, ამით რაღაცის ხაზგასმა ეწადა და ესტებანიც მიხვდა — ვიქტორს გა-
 დაწვეტილი ჰქონდა მტკიცედ დაეცვა მნიშვნელოვანი წესი — არავისთან
 არ ემეგობრა — რასაც იცავდა ყველა, ვინც კი ხალხს მართავდა.

XV

ეს ფრიად საყურადღებოა.
 გოია

ოთხ ფლორეალს, რესპუბლიკის არსებობის მეორე წელიწადს, პატარა
 ესკადრამ ღუზა ამოიღო. მას თან არ ხლებია არც დაფლაფების ბრახუნი, არც
 საყვირთა ხმა; ესკადრის შემადგენლობაში შედიოდა ორი ფრეგატი — „მახ-
 ვილი“, და „ფელიტა“, ბრიგი — „იმედი“ და მეომართა გადასაყვანი ხუთი სატ-
 რანსპორტო ხომალდი. ხომალდებზე განლაგებული იყო ერთი საარტილერიო
 ასეული, ორი ქვეითი ასეული და პირინეის მსროლელთა ბატალიონი, ვისთან
 ერთადაც ჩამოვიდა ესტებანი როშფორში. მალე უკან დარჩა კუნძულ ეკსის
 სათვალთვალ კოშკებწამომართული ციხე-სიმაგრე და „ორ მოკავშირედ“ წო-
 დებული მცურავი საპყრობილე-ხომალდი, სადაც შვიდას კაცზე მეტი ელოდა
 კაიენაში გაგზავნას: ტრიუმები გაჭედილი იყო პატიმრებით, მათ დასაწოლი
 ადგილებიც კი არა ჰქონდათ, მსხდომიარეებს ეძინათ და ნახევრად აბოდებ-
 დათ. ტუსაღებს მუნი და ათასგვარი ეპიდემიური დაავადება გადასდებოდათ ერ-
 თმანეთისგან, დაჩირქებული ჭრილობებისგან იქაურობა ყარდა. მოგზაურობის
 დაწყებას თან ცუდის მომასწავებელი ამბები აჰყვა: პარიზიდან მიღებული
 უკანასკნელი ცნობები ვერაფრით გაახარებდა კრეტიენსა და ვიქტორ იუგს —
 კუნძული ტობაგო და სენტ-ლუისი ინგლისელებს ჩაეგდოთ ხელში, როშამბოს
 მარტინიკზე იარაღი დაეყარა; რაც შეეხებოდა გვადელუპას, მტერი მას წარა-
 მარა ესხმოდა თავს და სამხედრო გუბერნატორის განკარგულებაში მყოფი
 ძალები თანდათანობით თხელდებოდა. თანაც, ყველასათვის ცნობილი იყო,
 რომ ფრანგების კუთვნილ ანტილის კუნძულებზე თეთრკანიანი ახალმოსახლე-

ები საძაგელი მონარქისტები იყვნენ: მეფისა და დედოფლის სიკვდილით დასჯის შემდეგ ისინი არათუ აშკარად გამოდიოდნენ რესპუბლიკის წინააღმდეგ და ესწრაფვოდნენ ბრიტანეთის მიერ ოკუპაციას, მტერს ყოველნაირად ეხმარებოდნენ კიდევ. ესკადრა ხიფათის შესახვედრად მიდიოდა, იგი უნდა გახლტომოდა საფრანგეთის ქანაპიროზე გარშემოწყობილ ინგლისურ ხომალდებს და რაც შეიძლება ჩქარა დაეტოვებინა ევროპის წყლები. გამო უმკაცრესი ზომები იყო დაწესებული: მზის ჩასვლის შემდეგ უკრძალავდა სინათლის ანთება, ამიტომ ჯარისკაცებს თვალნათლივ უხდებოდათ თავიანთი ჩამობმული საწოლების დაკაფება. ხომალდებზე მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ, ჯარისკაცები იარაღს არ იცილებდნენ, ყოველ წუთში იყო მოსალოდნელი მტერთან შეტაკება. ამინდმა ხელი მოუმართა ექსპედიციას — ზღვაზე სულ ერთთავად ჯანლი იდგა. ცეცხლსასროლი იარაღით და სურსათ-სანოვაგით დატვირთულ ხომალდებზე ყველგან ყუთები, დიდ-პატარა კასრები, ნაკრაულები, ბარდანები ეწყო, გემბანზე ადამიანებს ბაგებადქცეულ კანჯოებში თავწარგულ, თივის ხრამუნით გართული ცხენების გვერდით დაეკავებინათ ვიწრო გასასვლელები. ხომალდებით მოჰყავდათ ცხვარი და ტრიუმებიდან დროდადრო ისმოდა მათი საცოდავი ბლავილი. ბიჯგებმეყენებულ მიწით სავსე ყუთებში მოსუდიყო ოფიცერთა მაგადაზე მისატანი ბოლოკი და სხვა ბოსტნეული. გამგზავრების დღიდან ესტებანმა ერთხელაც ვერ მოახერხა ვიქტორთან გამოლაპარაკება; ჭაბუკი მთელ დღეებს ორ მესტამბესთან, მამა-შვილ ლიოჩებთან ატარებდა — ისინიც ესტებანის გემზე იყვნენ და სხვადასხვა განკარგულებისას და პროკლამაციების დასაბეჭდად თან პატარა სტამბა მოჰქონდათ... რაც უფრო შორდებოდა ხომალდი ევროპის კონტინენტს, იქ მბორგავ რევოლუციასზე წარმოდგენა თანდათანობით მარტივი და ნათელი ხდებოდა: ახლა, როცა ხმაურიანი ქუჩის კამათი, პათეტიკური ქადაგება და სიტყვიერი ბატალები აღარა ჩრდილავდა ვითარების აზრს, ყველაფერი უფრო სქემატური, მაგრამ, სამაგიეროდ, ნაკლებად წინააღმდეგობრივი ჩანდა. დანტონის ცოტახნისწინანდელი შეჩვენება და სიკვდილით დასჯა აღქმულ იქნა მოძავლის დამკვიდრების ერთ-ერთ პერსპექტიად, იმ მოძავლისა, რომელსაც ყველა თავისებურად ხატავდა. რასაკვირველია, ძნელი გასაგები იყო, ხალხის კერპებად ქცეული გუშინდელი ტრიბუნები, რომელთა სიტყვებს ოვაციებით ხვდებოდნენ და ვისაც ათასობით ადამიანი მიჰყვებოდა, ანაზღეულად როგორ აღმოჩნდებოდნენ ხოლმე არამზადები, მაგრამ ხალხი იმით იმშვიდებდა თავს, რომ ქარიშხლის გადავლის შემდეგ მალე გაირკვეოდა მდგომარეობა და იგი ყველასათვის მისაღები გახდებოდა. უახლოესი მომავალი შემწყნარებელი იქნება რელიგიისადმი, ფიქრობდა ბასკი, რომელსაც თან ავგაროზი წამოეღო; ფრანკმასონების დევნას შეწყვიტდნენ, ინუგეშებდა თავს, ვინც სევდით იგონებდა მასონთა ლოყებს; ადამიანები მეტ ქონებრივსა და საზოგადოებრივ თანასწორობას მოიპოვებენ, თავს იიმედებდა ჯერ კიდევ ზოგ-ზოგის მიერ შენარჩუნებული პრივილეგიების მოსპობაზე მეოცნებე. ახლა ისინი ფრანგებსა და ინგლისელებს შორის ატეხილ იმში მონაწილეობის მისაღებად მიდიოდნენ; სამიკიტნოებიდან და ქალაქის მითქმა-მოთქმიდან დაშორებულებს ადრინდელი ეჭვები გაქარწყლებოდათ. ესტებანს ნიადავ ერთადერთი აზრი აწამებდა: ის აბატ მარჩენაზე ფიქრობდა — მას, რასაკვირველია, არ ასცდებოდა საბუდისწერო

დასასრული, რადგან მტკიცედ იყო დაკავშირებული ჟირონდისტებთან, — და გუ-
ლი სწყდებოდა, რომ ბევრი თავისუფლების მეგობარი უცხოელი, რომელთაც
სამშობლოში ამის გამო სიკვდილით დასჯის საშიშროება ელოდათ, გაანადგუ-
რეს, თუმცა მთელი მათი დანაშაული ის იყო, რომ მტკიცედ სჯეროდათ რე-
ვოლუციის შემდგომი გავრცელებისა. იმ ხანებში განუკითხავად უჭერდნენ მხარს
ყოველგვარ ცილისწამებასა და ბრალდებას. თვით რობესპიერმა ურყევად უჭერ-
და და თანასწორობის მეგობართა საზოგადოებაში წარმოთქმულ „სიტყვებში“
განსაჯა ეს უსაფუძვლო დაბეზლებანი და მას რევოლუციის ერთგულ მომხრეთა
სახელის გასატეხად რესპუბლიკის მტრების მიერ გამოგონილი ხრიკები უწო-
და. კიდევ კარგი, იქაურობას დროზე გამოვეცალე, თორემ უეჭველად აღმოვ-
ჩნდებოდა ათვალწუნებულთა შორის, ფიქრობდა ესტებანი, და მაინც ნაღვ-
ლიანად იხსენიებდა დამსხვრეულ ოცნებებს — თავი დაედო დიდი საქმეების
აღსასრულებლად. მას აკი სჯეროდა ამისი, სჯეროდა, როცა ბრისო პირინეის
საზღვრებზე აგზავნიდა, არწმუნებდა, რომ მონაწილეობას მიიღებდა მნიშვნე-
ლოვან მოვლენათა მომზადებაში. სინამდვილეში ამ მნიშვნელოვანმა მოვლე-
ნამ მხოლოდ პირინეამდე მიადწია, სიკვდილად წოდებული მთაგრეხილის იქი-
თა მხარე კი ერთგული დარჩენილიყო შუასაუკუნეობრივი ტრადიციებისა და
მომავალშიც ისეთადვე დარჩებოდა, როგორც ფლამანდრიელმა მხატვრებმა წა-
რმოსახეს რელიგიურ-ალეგორიულ სურათებზე, რომლითაც ფილიპ II-მ
შეამკო ესკურიალის კედლები... ასეთ წუთებში ესტებანს სურდა ვიქტორთან
მისულიყო და გაეზიარებინა თავისი აზრები. მაგრამ კონვენტის კომისარი
ხალხში იშვიათად ჩანდა. თუ გამოჩნდებოდა, გამოჩნდებოდა მოულოდნელად,
ანაზღვეულად, ასე ვთქვათ, ვინმეს დასატუქსად. ერთ საღამოს კუბრიგში შე-
სულს ენახა, რომ ითხი ჯარისკაცი ქალაქის აბაჟურით მოჩრდილული ჭრაქის
სინათლეზე ბანქოს თამაშობდა. მან დამნაშავენი უკანიდან ხმლის ცემით ამო-
რეკა გემბანზე და უბრძანა, ბანქო წყალში გადაეყარათ.

— მეორედ, იცოდეთ, თქვენც ამ ბანქოს მეფეებივით მოგექცევიან, — თქვა
გაბრაზებულმა. ჩაუვლიდა იუგი ჯარისკაცების ჰამაკებს — ჩამობმულ საწოლ-
თა რიგებს და ხელით სინჯავდა ბრეზენტს, არაყი ხომ არაყის აქვს დამალუ-
ლიო.

— მოიტა შენი თოფი, — ისე უთხრა ერთხელ კარაბინერს, რომ ჯარის-
კაცს ეგონა, კომისარს ერთი სული ჰქონდა, მიზანში ამოეღო ზღვის მტაცე-
ბელი, რომლის ფარფლები ამკარად ჩანდა წყლის ზედაპირზე. მაგრამ იუგს,
ეტყობა, უმაღლ დაავიწყდა თავისი განზრახვა, როცა თოფი ყურადღებით დაათ-
ვალიერა და მოეჩვენა, რომ არ იყო წესიერად გაწმენდილ-დაზუთილი. — ღო-
რი ხარ ნამდვილი! — იყვირა იუგმა და კარაბინი გემბანზე მოისროლა.

მეორე დღეს ხომალდზე ყველა თოფი არსენალიდან ახლად მიღებულივით
ბრწყინავდა. ხანდახან დამღამობით იუგი მარსზე ადიოდა და ფეხებით თო-
კის კიბეზე დანდობილი ზედ ჩამოჯდებოდა ხოლმე; ქარი კიბეს რომ სტაცებდა,
ფეხები ჰაერში რჩებოდა ჩამოკიდებული. მერე მზირის გვერდით მოეწყობო-
და; სიბნელეში კომისრის ფიგურის მოხაზულობა თითქმის არ ჩანდა, ის
შეიძლება გვეარაუდოთ მის ქუდზე მოქანავე ბუმბულის ჯილით. დიდებული
სანახავი იყო ვიქტორი, იგი ანძაზე მჯდარ, ხომალდზე ფრთებგადაფოფრილ
ალბატროსს ჰგავდა. „სპექტაკლია“, — ფიქრობდა ასეთ დროს ესტებანი. და

მაინც ამგვარი სპექტაკლები მასზე ისევე წარუშლელად მოქმედებდა, როგორც დანარჩენებზე — სპექტაკლები აქტიორის უდავო სიდიადეზე მეტყველებდნენ.

ერთ დღეს სადაფიონოდ ბუკთა რიხიანი ხმა რომ გაისმა, ჯარისკაცები მიხედნენ, უკან მოეტოვებინათ სახიფათო ზონა. შტურმანმა საათი უკან გადასწია და პისტოლეტი, რომელიც აქამდე რუკაზე ედო, ქამარში გადმოიღო. უსაფრთხო ცურვაზე გადასვლა თითო ჭიქა ღვინით აღნიშნეს და ყველა მსუბუქთაღვის ჩვეულ საქმიანობას მიუბრუნდა. ხომალდზე აღტყინებული სიხარული გამეფებულიყო, სიხარულს თვალსა და ხელს შუა გაექრო დაძაბულობა და წუხილი უკანასკნელი დღეებისა, როცა სახეები ყველას ერთთავად ჩამოსტიროდა. ჯარისკაცი ზღვაში ჰყრიდა ბაგებადქცეულ კანჯოებში თავწარგული ცხენების გვერდით დაქუჩებულ ჩონჩორიკსა და თან მღეროდა. მღეროდნენ ისინიც, საგულდაგულოდ რომ წმენდნენ იარაღს. მღეროდნენ ყასბებიც, თან ცხერის დასაკლავ დანებს ლესავდნენ: ყველაფერი მღეროდა თითქოს — რკინა და წისქვილის ქვა, მღებავების ფუნჯი და ხერხი, საბურველი და ცხენთა დაბზინებული გავები; მღეროდა სადღაც მიძალული გრდემლიც — ისმოდა საბერველისა და ჩაქუჩის რიტმული ხმაური. ევროპული ჯანღის უკანასკნელი ნაფლეთები მზეს გაეფანტა, რომელიც ჯერ კიდევ ნისლით იყო შესუდრული და ამიტომაც თეთრი მოჩანდა მეტისმეტად. თუმცა მის მცხუნვარე სხივებს კიჩოდან მოკიდებული გემის ცხვირამდე ისე გაეცხო გემბანი, თვალისმომჭრელად ბრწყინავდა ყველაფერი — მუნდირის ბალთები, ოქროსფერი კანტები, ლაქის საჩხებებიანი ქუდები, თოფის ხიშტები, უნაგირთა ტახტები. მეზარბაზნეებს იარაღისთვის შალითები დაეხსნათ, მაგრამ დასატენად კი არა, დაეხსნათ იმიტომ, რათა საცხით ზარბაზნებისთვის ტუჩები დაეწმინდათ და კრიალი დაეწყებინებინათ ბრინჯაოს ლულებისთვის. იუტაზე გოსეკის მარშს სწავლობდა პირინეის მსროლელთა პოლკის ორკესტრა, რომელსაც ბასკური სალამური და დოლების ტრიო ჰქონდა მიმატებული. ტრიოს შესრულება მარშს იმდენად სჯობდა (თუმცა მარშს ნოტებით უკრავდნენ), რომ მარშის არამწყობრი და მკვახე ხმების გავონებაზე ჯარისკაცები სიცილსა და ხუმრობას ააყოლებდნენ ხოლმე. ყველა თავის საქმეს აკეთებდა. სიმღერითა და სიცილით უშიშრად გასცქეროდნენ პორიზონტს; კარგი განწყობილება სუფევდა ყველგან — ქანდარიდან მოკიდებული ტრიუმამდე. უეცრად გემბანზე კონვენტის კომისრის საპარადო ფორმაში გამოწყობილი ვიქტორ იუგი გამოჩნდა, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ მაინც შეუვალი ჩანდა წინანდებურად. მან გემბანზე ჩამოიარა, დროგამოშვებით ჩერდებოდა, ათვალიერებდა, როგორ მართავდნენ იარაღის ლაფეტებს, მერე ხუროს სამუშაოთი დაინტერესდა; ცხენებს კისერზე ხელს უტყაპუნებდა, დოლების ტყავს წკიპურტით სინჯავდა, მოიკითხა ხელშეხვეული არტილერიისტიც... ესტებანმა შეამჩნია, რომ ჯარისკაცები კომისრის დანახვისთანავე გაჩუმდნენ: კომისარი მათ შიშსა ჰგვრიდა. იუგი ნელა აუყვა გემის ცხვირისკენ მიმავალ კიბეს. შკაფუტზე გვერდიგვერდ ეწყო ბრეზენტგადაფარებული კასრები. ბრეზენტი ქერულის ბაგირით ბორტზე იყო მიმაგრებული. ვიქტორმა რაღაც უთხრა ოფიცერს. იმანაც განკარგულება გასცა, რომ კასრები სხვაგან გადაეტანათ. ამასობაში წყალში სამფეროვანდროშიანი კანჯო ჩაუშვეს: კომისარმა ისარგებლა პირველივე წყნარი, უშფოთ-

ველი დღით და გადაწყვიტა „ფედიტაზე“ ფლოტილიის მეთაურ კაპიტან დელესეგთან ერთად ესაუზმა. ზღვის ავადმყოფობით გაწამებული კრეტიენი თავის-კაიუტაში დარჩა. ვიქტორის ბუმბულისჯილიანი ქუდი „იმედს“ რომ მიეფარა და ორ ფრეგატს შუა მოექცა, „მახვილის“ გემბანზე მხიარულება კვლავ განახლდა. შიშს თავდაღწეული ოფიცრებიც ინაწილებდნენ ჯარისკაცთა კარგ განწყობილებას, მათან ერთად მღეროდნენ, მათთან ერთად იცინოდნენ ვოლტერის მონდომებაზე, რომელსაც ბასკური მელოდიები და საღმთნის მხარეთა ოხუელი რულადები მშვენივრად გამოსდიოდა, „მარსელიოზას“ დაკვრა კი ოდნავ ასატანადაც ვერ მოეხერხებინა.

— ეს ხომ პირველი რეპეტიციაა! — იმართლებდა თავს კაპელმაისტერი და ცდილობდა ხალხის სიცილ-ხარხარი შეეწყვიტა.

ხალხი სიცილს მაინც არ იშლიდა, ასევე გააცინებდა მათ ახლა ყველა სხვა საბაბი: ყველას უსაშველოდ მოსწყურებოდა სიცილი, განსაკუთრებით ამ წუთში, როცა „ფედიტას“ ბატარეა მწყობრი ზალპით ესაღმებოდა ნაციონალური კონვენტის კომისარს, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ იგი ახლა შორს იმყოფებოდა და მისი შეიძლება არ შინებოდათ. ხელისუფლებით აღჭურვილი ეს ადამიანი ყველას შიშის ელდასა ჰკვრიდა, რაც თვითონ, ეტყობა, მოსწონდა.

XVI

გაიარა კიდევ სამმა დღემ. ყოველთვის, როცა კი შტურმანი საათს უკან გადასწევდა, მზე თითქოს გაცილებით მცხუნვარე ხდებოდა, ზღვაც უფრო და უფრო ემსგავსებოდა იმ ზღვას, რომლის სუნი ძალზე ბევრ რამეს ეუბნებოდა ესტებანის გულს. ერთ საღამოს ჭაბუკი სულის მოსათქმელად გემბანზე ავიდა, რადგან ტრიუმსა და კუბრიგებში გაუსაძლისად ცხელოდა. გემის ქიშთან მდგარი კარგა ხანს მისჩერებოდა თვალშეუდგამ ცას, რომელიც მთელი მოგზაურობის მანძილზე პირველად იყო უღრუბლო და ნათელი. ესტებანმა მხარზე ვილაციის ხელი იგრძნო; ზურგს უკან უმუნდრო, გაღელილპერანგიანი ვიქტორი ედგა და უწინდებურად მეგობრულად უღიმოდა.

— ქალებილა გვაკლია, შენ როგორ ფიქრობ? — უთხრა იუგმა.

და ანაზღეულად გახალისებულმა დაიწყო პარიზის იმ ადგილების გახსენება, სადაც დედაქალაქში ჩასვლისას დადიოდნენ ერთად, იხსენებდა მაცდუნებელ, მომხიბლავ, ადვილად ხელმისაწვდომ ქალებს. თავდაპირველად პალეროიალელი გერმანელი როზამუნდა გაიხსენა, მეორე — ზაირა, ვისი სახელიც ვოლტერის პიესას აგონებდა; გაიხსენა ვარდისფერი მუსლინისკაბიანი დორინა; მოიგონა მყუდრო ანტრესოლებიც, სადაც ორ ლუიდორად შეიძლებოდა კაცს ეგემა ანჟელიკას, ადელას, ზეფირას, ზოიას, ესთერისა და ზილიას ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული, სხვადასხვა ტიპის ქალთა სასიყვარულო აღერსი. ყოველ მათგანს თავისებურად ეჭირა თავი, თითოეული თავისი გარეგნობის მკაცრად შესატყვის როლს თამაშობდა: ერთი მფრთხალ გოგოს ჰგავდა, მეორე — წათამამებულ მეშხანს, მესამე — კორდებალეტის მოცეკვავეს, მეოთხე — ესთერი — მავრიკიის კუნძულელ ვენერას, მეხუთე (ამ როლს ზილია ასრულებდა) — მთვრალ ბაკქელ ქალს. ერთ ან რამდენიმე ქალ-

თან თავშეკცევის შემდეგ, სტუმარი ბოლოს და ბოლოს ლამაზ ავიას მკლავებში აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომელსაც ანტიკური დედოფლის მტკიცე და მბრძანებლური ნიკაპისაკენ უტიფრად აბზეკილი წვეტიანი ძუძუები ჰქონდა: ვნების დაოკებას ყოველთვის მასთან აგვირგვინებდა. სხვა დროს ესტებანი თვითონაც ბევრს იცინებდა ასეთ ქარაფშუტულ მოგონებებზე, მაგრამ ვიქტორთან ჯერ მაინც უხერხულად გრძნობდა თავს, საერთო ენის გამონახვა ვერ მოეხერხებინა — იუგს ხომ იგი რომფორში ნახვის ძერე შეხედვის ფერსიც არ გაუხდია, ვიქტორის მოულოდნელ სიტყვაძრავლობას ამიტომაც ვერ მოეხდინა გავლენა ჭაბუკზე: ის ნაძალადევად და მოკლედ პასუხობდა.

— შენ რა პაიტელივით იქცევი, — უთხრა ვიქტორმა, — იმათ იციან ასე, კითხვაზე მრავლისმეტყველი პასუხი: „ო! ო!“ — და ვერას გაიგებ, რას ფიქრობენ ნამდვილად. წავიდეთ ჩემთან კაიუტაში.

კედელს მოუსყიდველის ვეება სურათი ამშვენებდა. სურათის აქეთ-იქით საკიდებზე იუგის ქუდი და მუნღირი ეკიდა; ქვემოთ, კახდელის დარად, ლამპარი ენთო. კომისარმა მაგადაზე არაფი დადგა, ძერე ორი სირჩა შეავსო.

— შენ გაგიმარჯოს! — წარმოთქვა ვიქტორმა და ოდნავ დამცინავად შეხედა ესტებანს.

ძერე ჭაბუკს ბოდიში მოუხადა. ეკის კუნძულის დატოვების შემდეგ ერთხელაც ვერ მოგაბატიუეო. მაგრამ მის ხმაში მხოლოდ ცივი თავაზიანობა უღერდა: ათასი საზრუნავო, საქმე, მოვალეობა... თანაც მღვთმარეობა ყოველთვის გაურკვეველი იყო. საფრანგეთის სახაპიროზე ბრიტანეთის ხომალდებს დაუუსხლტდით, მაგრამ, ვინ იცის, დანიშნულების ადგილზე მისვლამდე, რას გადაეყრება ფლოტილია. ჩვენი მთავარი მიზანია — საფრანგეთის ამერიკულ კოლონიებში განვამტკიცოთ რესპუბლიკის ძალაუფლება, ყოველნაირად ვიბრძოლოთ სეპარატული განწყობილების წინააღმდეგ, თუ საჭირო გახდება, ბრძოლით დავიბრუნოთ მიწები, რომლებიც შეიძლება ამჟამად დაკარგულიც აღმოჩნდესო. ვიქტორის მონოლოგს ხანგრძლივი პაუზები ახლდა. ხანდახან თავის სიტყვებს მისთვის დამახასიათებელი და ესტებანისთვის კარგად ნაცნობი ყეფასა თუ ჯუჯლუნს მიმსგავსებული „დიახით“ წყვეტდა. იუგმა შეუქო ესტებანს მისთვის გავზავნილი წერილის მაღალი მოქალაქეობრივი სული — სწორედ მაგიტომაც გადავწყვიტე მესარგებლა შენი სამსახურიო.

— ის, ვინც იაკობინელებს უღალატებს, უღალატებს რესპუბლიკისა და თავისუფლების საქმეს, — განაცხადა მან.

ესტებანს გულისწყრომა დაეტყო. იგი ვიქტორის ნათქვამმა კი არა, — იმან გამოიყვანა მოთმინებიდან, რომ ეს სიტყვები ეკუთვნოდა კოლო დ'ერბუას. ის იმეორებდა ხოლმე წარამარა ამ სიტყვებს, კოლო დ'ერბუა, ეს ყოფილი კომედიანტი ბოლო ხანებში გადაჭარბებულად ეტანებოდა ალკოჰოლს და ესტებანს იგი სულაც არ მიაჩნდა რევოლუციური ზნეობის სანიმუშო გამომხატველად. ჭაბუკმა ვერ მოითმინა და პირში მიახალა იუგს თავისი აზრი.

— შეიძლება შენ მართალიც იყო, კოლოს ზომაზე მეტად უყვარს ღვინო, მაგრამ ის მაინც ნამდვილი პატრიოტია, — მიუგო ვიქტორმა.

ორი სირჩა არაფის შემდეგ გათამამებულმა ესტებანმა მოუსყიდველის სურათზე ანიშნა და ჰკითხა:

— როგორ შეიძლება ასეთი გიგანტი ენდობოდეს ლოთიბაშს? კოლოს სიტყვა ღვინის სუნით ყარს.

— რევოლუციამ, უეჭველია, ბევრი ამაღლებული აზრის ადამიანი ჩამოაყალიბა, — განაგრძო ესტებანმა, — თუმცა ამასთან, ბევრ ხელმოცარულსა და გაბოროტებულსაც შეასხა ფრთები, იმათაც არ დააყოვნეს და, ანგარიშსწორების მიზნით, ტერორის გზას დაადგნენ.

— ეს ნამდვილად სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ყველას სათმადს უნდა ვადევნებთ თვალყურს, — ცივად უპასუხა ვიქტორმა.

ესტებანმა საჭიროდ მიიჩნია ბოლომდე ელიარებინა თავისი მრწამსი, რათა ეჭვი არ შეპარვოდათ რევოლუციისადმი მის ერთგულებაში, იგი გამოტყდა, რომ აღიზიანებდა ზოგიერთი ნამდვილად სასიკეთო სამოქალაქო ცერემონია, ზოგიერთის გაუმართლებელი განწყობა; ვერ გაეგო, როგორ შეიძლება, რომ გამოჩენილი ადამიანები ასეთი მოთმინებით ეკიდებოდნენ საშუალო პიროვნებათა აღზევებას, ხელისუფლება მწვალობელი თვალით უყურებდა სულელური პიესების წარმოდგენას, თუკი ფინალში ფრიგიულ ჩაჩს უჩვენებდნენ. საქმე იქამდე მივიდა, რომ „მიზანთროპს“ სამოქალაქო პათოსით განმსჭვალული ეპილოგი დაურთეს, „კომედი ფრანსეზის“ მიერ განახლებულ ტრაგედია „ბრიტანელში“ კი აგრიპინას „მოქალაქეს“ უწოდებენ. ბევრი კლასიკური ტრაგედია იკრძალება, ხელისუფლება კა სუფსიდიებს აძლევს სრულიად უცნობ თეატრს, სადაც იდგმება უნიჭო პიესა: პაპი პი VI ტიარას ურტყამს ეკატერინე II-ს. სამაგიეროდ, დედოფალი მას სკიპტრას სთხოვს; ჩხუბსა და მუშტიკრივში ესპანეთის მეფე ძირსა გორაობს, და ამასობაში მუყაოსაგან გაკეთებულ ვეება ცხვირს ჰკარგავს. უფრო მეტიც, კარგა ხანია, ერთმანეთის წაქეზებით, ერთგვარად უგულბელყოფენ გონებრივი შრომის ადამიანებს. სხვადასხვა კომიტეტებში გაისმის ბარბაროსული ყიფინა: „გეშინოდეთ ყველასი, ვინც წიგნსა წერს“. კარგად არის ცნობილი, რომ ნანტში კარიეს¹ განკარგულებით ლიტერატურული კლუბები დახურეს, უმეტარი ანრიო² კი იქამდე მივიდა, ნაციონალური ბიბლიოთეკის დაწვა მოითხოვა; ამასობაში საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი ეშაფოტზე გზავნადა სახელგანთქმულ ქირურგებს, გამოჩენილ ქიმიკოსებს, ერუდიტებს, პოეტებსა და ასტრონომებს...

ესტებანმა ვიქტორს მოუთმენლობა შეატყო და განუძღა.

— არ გამოგვიჩნდა კრიტიკანი! — იფეთქა ბოლოს და ბოლოს ვიქტორმა, — ისე მსჯელობ, როგორც, უეჭველია, კობლენცში მსჯელობენ³. გაინტერესებს რატომ დახურეს ნანტში ლიტერატურული კლუბები? — მუშტი დაარტყა მაგიდას ვიქტორმა. — ჩვენ სამყაროს სახეს ვუცვლით, ისინი კი მხოლოდ ლიტერატურულ ღირსებებსა და რაღაც პიესების უკმარისობაზე ლაპარაკს უნდებიან. ჩვენ ადამიანთა ცხოვრების გარდაქმნისათვის ვიღწეით, ისინი კი იმას ჩივიან, ლიტერატორებს ერთად თავმოყრა და იდილიებისა თუ ათასგვარი ნაბოდვარის ხმამაღლა კითხვა არ შეგვიძლიათ. დიახ, მათ მოდალატის, ხალხის მტრის შეწყალება შეუძლიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ლამაზი ლექსები აქვს დაწერილი.

ვემბანზე ხმაური ატყდა — რაღაცას ეზიდებოდნენ. ბარდანებს შუა წვალეებით მიმავალ ხუროებს ხომალდის ცხვირისკენ ფიცრები მიჰქონდათ, უკან მათ მოგრძო ყუთების სიმძიმისაგან წელში მოხრილი მეზღვაურები მიჰყვებო-

დნენ. ერთ-ერთი ყუთი რომ გახსნეს, მთვარის შუქი ფოლადის სამკუთხა საგანს დაეცა; მის დანახვაზე ესტებანი შეკრთა; ადამიანთა წყალზე არეკლილი ლანდები თითქოს რაღაც მკაცრსა და საიღუმლო წეს-ჩვეულებას ასრულებდნენ: გემბანზე ჯერჯერობით ერთ სიბრტყეზე ელაგა — საყრდენი, ზედა ხარიხა და გვერდითი დგამები, ისინი რიგზე, ინსტრუქციის მიხედვით ეწყო და ხუროები მათ ფარნის შუქზე ხმაამოუღებლივ, უხმოდ ამოწმებდნენ. — ჯოჯობეთური მანქანა ჯერ მხოლოდ პროექციაზე, კორიზონტალურ სიბრტყეზე არსებობდა, ეს, თითქოს ორ განზომილებაში შესრულებული, დამახინჯებულ პერსპექტივიანი ნახაზი იყო, მისი შემხედვარე კაცი იოლად წარმოიდგენდა იმას, რაც სულ ძალე შეიძენდა სიმაღლეს, სიგანეს და ძრისხანე სიღრმეს. სიბნელისაგან შავ ლანდებად ქცეული ხალხი ღამის წყვდიადში ისე აწყობდა შემზარავ მანქანას, თითქოს რაიმე რიტუალს ასრულებდა; ეზიდებოდნენ ძელებს, კაუჭებს, სხვადასხვა ნაწილები ამოჭკონდათ კუბოს მსგავსი ყუთებიდან — ეს კუბოები ადამიანების სხეულისათვის ერთობ გრძელი იყო, მაგრამ საკმაოდ განიერი ჩანდა საიმიხოდ, რათა შიგ მოეთავსებინათ მრგვალდრმულიანი კალაპოტი, რომელიც ყველა ზომის თავის მოსაკვეთად გამოდგებოდა. გაისმა ჩაქუჩების ბრახუნის და მათმა ავბედითმა რიტმმა დაარღვია სიმყუდროვე ზღვისა, რომლის ზედაპირზე უკვე გამოჩნდა სარგასოს ზღვის პირველი წყალმცენარეები.

— მაშასადამე, ეს ეც ჩვენს გემზე იყო? — შესძახა ესტებანმა.

— რასაკვირველია, — უპასუხა კაიუტაში წინ და უკან მოსიარულე ვიქტორმა, — ეს ეც და სამგზავრო სტამბაც — ეს ორი რამ, ზარბაზნებს თუ არ ჩავთვლით, ყველაზე აუცილებელი რამაა, რაც თან მოგვაქვს.

— ისე არ გაიგებ და თავს წააგებო! — ჩაიბურტყუნა ესტებანმა.

— შენთვის შეინახე შენი ესპანური ანდაზები, — მოუჭრა სიტყვა ვიქტორმა და სირჩები სხელაზლა შეავსო.

მერე დაშტერებით და მრავალმნიშვნელოვნად შეხედა თანამოსაუბრეს, ხბოს ტყავის ჩანთა ფრთხილად გახსნა, გერბიან ქალაღზე დაბეჭდილი ფურცლები ამოალაგა და მაგიდაზე დაფარა...

— დიახ, ჩვენ თან მიგვაქვს ეს მრისხანე მანქანაც, — თქვა ვიქტორმა, — მაგრამ იცით თუ არა, სამაგიეროდ, რას ვაძლევთ ახალი ქვეყნის მაცხოვრებლებს?

მცირე პაუზის შემდეგ ისევ განაგრძო, თან თითოეულ სიტყვას მკვეთრად წარმოთქვამდა:

— რასა და, რესპუბლიკის მეორე წლის თექვსმეტი პლიუვიოზის დეკრეტს, რომლითაც უქმდება მონობა, დღეიდან ჩვენს კოლონიებში მცხოვრები ყველა ადამიანი, განურჩევლად სახის ფერისა, ფრანგ მოქალაქედ ცხადდება და კანონით ყველა თანასწორუფლებიანი ხდება.

იგი კაიუტის კარში ჩადგა და ხუროების მუშაობას დაუწყო თვალთვალი, თავისი მონოლოგი ესტებანისგან ზურგშექცეულმა გააგრძელა, მაგრამ ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ თანამოსაუბრე უსმენდა:

— პირველი შემთხვევაა, რომ საზღვაო ესკადრა ჯვრის გამოსახულებით არ უახლოვდება ამერიკის ნაპირს. კოლუმბის ფლოტილიას ჯვრის გამოსახულება თავისი კარაულების იალქნებით მოჭკონდა. ჯვარი მოასწავებდა მონო-

ბას და ამ მონობას აქაურებს თავზე მოხვევას მაცხოვრის სახელით უპირებდნენ. ქრისტე იმიტომ მოკვდაო, შთააგონებდნენ კაპელანები, რომ ეხსნა ადამიანები, ნუგეში ეცა გლახაკთათვის და დაემდაბლებინა მდიდრები. ჩვენ კი — ვიქტორი მკვეთრად შემოტრიალდა და ღეკრეტზე მოუთითა — ჩვენ არ ვაჭქვს ჯვარი, არც მაცხოვარი გვწამს და არც ღმერთი. ჩვენს ხომალდებზე კაპელანები არ არიან, ახალი ქვეყნისკენ ჩვენ იმიტომ ვეშურებით, რათა მოვსპოთ ყოველგვარი პრივილეგია და დავამყაროთ თანასწორობა. მულატი გუფეს მძიმე მუხის შური უნდა ვიძიოთ...

ესტებანმა თავა ჩაქინდრა, შერცხვა იმ ნაჩქარევი კრიტიკისა, რომელიც მტანჯველი ეჭვებისაგან თავის დასაღწევად მიახალა იუგს. მან ღეკრეტი აიღო და ვეება ლუქისბეჭდიან ქაღალდს ხელით დაუწყო სინჯვა.

— ასე თუ ისე, ვამჯობინებდი, ეს მიხნება უგილიოტინოდ ყოფილიყო მიღწეული, — ჩაილაპარაკა მან.

— ყველაფერი ხალხზე იქნება დამოკიდებული, — უპასუხა ვიქტორმა, — ხალხზე და სხვა ვინმეებზეც, იმათზე, ვინც ჩვენთან ერთად მოდის. არ გეგონოს, რომ ჩვენს ხომალდებზე ყველას ვენდობი. ენახოთ, როგორ მოიქცევიან მიწაზე გადასვლისას.

— შენ ამას ჩემს საგულისხმოდ ლაპარაკობ? — ჰკითხა ესტებანმა.

— შეიძლება შენს საგულისხმოდაც, შეიძლება სხვისთვისაც. ჩემი მდგომარეობის გამო მოვალე ვარ, არავის არ ვენდობოდე. ერთნი ძალზე ბევრს მსჯელობენ, მეორენი მეტისმეტად ბევრ რამეზე ჩივიან. ზოგიერთები დღემდე ჩუმად ატარებენ ავგაროზს, ზოგი იმასაც ამტკიცებს, ვითომცდა ძველი რეჟიმის დროს — იმ საროსკიპო სახლში — უკეთესად ეცხოვრებოდათ. სამხედროებს შორის შეთქმულებიც არიან, მათ ძილში მარტო ის ელანდებათ, როგორ უნდა განთავისუფლდნენ კომიტეტის კომისრებისგან, როცა ხმლების გაშაშვლების დრო დადგება. მაგრამ მე ყველაფერი ვიცი, რას ლაპარაკობენ ამ წყეულ ხომალდებზე, რას ფიქრობენ ან რას აკეთებენ. ასე რომ, აწონ-დაწონე და ისე თქვი სათქმელი, თორემ უმაღლ დაგასმენენ.

— შენ ჩემზეც ეჭვი გეპარება? — მწარე ღიმილით ჰკითხა ესტებანმა.

— ეჭვი მე ყველაზე მეპარება, — უპასუხა ვიქტორმა.

— ეგებ ჩემზე დღეს საღამოსვე გამოგეცადა როგორ მუშაობს გილიოტინა?

— ხუროებს მეტისმეტი აჩქარება მოუხდებათ, ამასთან, ჩიტი ბდღუნად არა ღირს, წადი, ჯობია, დაიძინო, — უთხრა ვიქტორმა და პერანგი გაიხალა.

ვიქტორმა ესტებანს ძველებური გულითადობითა და გუნწრფელობით გაუწოდა ხელი. ჭაბუკი განაცვიფრა ვიქტორსა და მოუსყიდველს შორის მსგავსებამ: ვიქტორი ამკარად ბაძავდა რობესპიერს — გამომცდელი მზერა მიეპყრო თანამოუსაბრისათვის და ერთდროულად თავაზიანადაც ეცქირა და მტკიცედაც: ყოველივე ეს აღბეჭდილი იყო კაიუტის კედელზე ჩამოკიდებულ სურათზე. და როცა ესტებანი მიხვდა ვიქტორის ამ სუსტ მხარეს — ფიზიკურადაც დამსგავსებოდა ადამიანს, ვინც ამქვეყნად ყველაზე მეტად აღაფრთოვანებდა — ჭაბუკს, ცოტა არ იყოს, ესიამოვნა, ამრიგად, იუგი, რომელიც ოდესღაც ჰავანაში ცოცხალი სურათების წარმოდგენისას ირთვებოდა ლიკურგესა თუ თემისტოკლეს ტანისამოსით, ახლა, როცა უკვე ძალაუფლება მოეპოვებინა და თავის პატივმოყვარულ ჩანაფიქრს ახორციე-

ლებდა, ცდილობდა მიეხატა ადამიანისათვის, რომლის უპირატესობასაც აღიარებდა. ამაყი ვიქტორ იუგი პირველად იდრეკდა თავს — შესაძლოა ანგარიშში უცემლადაც — მასზე გავლენიანი პიროვნების წინაშე.

XVII



როცა ესკადრა თბილ ზღვებში შევიდა, შალითით დაფარული, კვლავინდებურად ხომალდის ცხვირზე აღმართული მრისხანე მანქანა ორ განზომილებას აჩენდა — პორიზონტალურსა და ვერტიკალურს და ხაზების სიფაქიზით გეომეტრიის სახელმძღვანელოში მოთავსებულ ნახაზსა ჰგავდა. ზღვის დინებისაგან აქ მოტანილი წყლის ზედაპირზე მოცურავე ხეები, ბამბუკის ფესვები, მანგოს რტოები, ქოქოსის პალმის ფოთლები ხმელეთის სიახლოვეს იუწყებოდა, იმ ადგილებში, სადაც ფსკერი ქვიშიანი იყო, წყალს ღია მომწვანო ფერი დაჰკრავდა. კვლავ წარმოქმნილიყო ბრიტანეთის ხომალდებთან შეყრის საფრთხე; საფრანგეთის სანაპიროების დატოვების შემდეგ, არაუარც იცოდა რა ხდებოდა გვადელუბაში, უამბობის გამო ყველა მღელვარე მოლოდინს მოეცვა; დღე დღეს მისდევდა, განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა, მაგრამ შეშფოთება თანდათან მატულობდა. თუკი ფლოტილიის ხომალდები გვადელუბას სანაპიროზე გაჩერებას ვერ შეძლებდნენ, გზა სენ-დომენგისკენ უნდა გაეგრძელებინათ. თუმცა ინგლისელებს შეიძლება ეს კუნძულიც დაკავებული ჰქონდათ. ასეთ შემთხვევაში კრუტიენისა და ვიქტორ იუგის გადაწყვეტილებით, საჭირო გახდებოდა რამენაირად შეერთებულ შტატებამდე მიეღწიათ და მეგობარი სახელმწიფოსთვის მფარველობა ეთხოვათ. ესტებანს ჯავრი მოსდიოდა საკუთარ თავზე, გუნებაში ხშირად ბრაზობდა იმაზე, რასაც ეგვიპტის მიუტყეებელ გამოვლენად მიიჩნევდა და მაინც გული უნებურად უწყებდა ფანცქალს, როგორც კი ფლოტილიის ბალტიმორში ანდა ნიუ-იორკში შესვლაზე ჩამოაგდებდნენ სიტყვას. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ დასრულდებოდა ხანგრძლივი თავგადასავალი, რაც დღითიდღე სულელურად ეჩვენებოდა; მაშინ ესკადრის ხომალდებზე მისი ყოფნა უსარგებლო აღმოჩნდებოდა, ისიც მოითხოვდა მისთვის მოქმედების თავისუფლების დაბრუნებას ან არადა სულაც უნებართვოდ თვითონვე ისარგებლებდა ამ თავისუფლებით, და ისტორიით გამოჯეკილი, ათასგვარი აშბის მომსწრე თუ გამგონი დაბრუნდებოდა იქ, სადაც ისეთივე განცვიფრებით დაუწყებდნენ მოსმენას, როგორც უსმენდნენ წმინდა ადგილების მოხილვის შემდეგ შინ დაბრუნებულ პილიგრიმებს. მსოფლიო მოვლენების არენაზე მისი პირველი გამოსვლა წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ მაინც გვარიანი გამოცდილება შეიძინა, გახდა დიდი გარდაქმნების მონაწილე, რაც თითქოს მისი მომავალი მოღვაწეობის საწინდრად უნდა ქცეულიყო. მაგრამ ჯერჯერობით ისეთი რაღაც უნდა ჩაედინა, რაც მის ცხოვრებას აზრიანს გახდიდა. ესტებანს სურდა, წერა დაეწყო, იმედი ჰქონდა, თუ კალამს ხელს მოჰკიდებდა და აზრს მკაცრ სისტემაში მოიყვანდა, შეძლებდა თავის შთაბეჭდილებებიდან მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანას. ჭაბუკს ჯერ სათანადოდ ვერ წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მისი შრომა, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, რაღაც მნიშვნელოვანი ეპოქის მოთხოვნილების საპასუხო უნდა ყო-

ფილიყო; რაღაც ისეთი, სიამოვნებით ფიქრობდა ამაზე ესტებანი, რაც ვიქტორ აუგს არ მოეწონებოდა. შეიძლება ეს სახელმწიფოს ახალი თეორია ყოფილიყო; შეიძლება კრიტიკული გადასინჯვა მონტესკიეს წიგნისა „კანონთა სულის შესახებ“, ანდა სულაც — რევოლუციის დროს დაშვებული შეცდომების გამოკვლევა. „მოკლედ, ასეთი წიგნის დაწერას იოლად შეძლებს თითოეული პირუტყვი-ემიგრანტი“, — გაიფიქრა თავის განზრახვაზე წინასწარვე ხელჩაქმნიულმა ესტებანმა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ჭაბუკი ატყობდა რუსეთში დრო გადიოდა, მით უფრო უმძაფრდებოდა კრიტიკული სული და უფრო და უფრო ხშირად ამბობდა უარს, დამორჩილებოდა გაბატონებულ აზრს, — ხანდახან გული მოსდიოდა თავის ამ ახალ თვისებაზე, რადგან ეს ხელს უშლიდა უშუალოდ აღფრთოვანებულიყო იმით, რითაც სხვები იყვნენ აღფრთოვანებულნი. როდესაც მისი თანდასწრებით რევოლუციას რაღაც იდეალურად და ამაღლებულად წარმოსახავდნენ, არ სურდათ ნაკლოვანებებისა თუ შეცდომების აღიარება, ესტებანს რევოლუცია მით უფრო ზიანის მომტანად და გულის გამტეხად ეჩვენებოდა, მაგრამ რევოლუციას მონარქისტთა თავდასხმისაგან მაინც იცავდა იმავე არგუმენტებით, რომლებიც სხვა შემთხვევაში აღიზიანებდა, თუკი ამ არგუმენტებს, მაგალითად, კოლო დ'ერბუა მოუხმობდა. ესტებანს ერთნაირად აღაშფოთებდა როგორც გაზეთ „მაძა დიუშენის“ დემაგოგიური გამოხდომები, ისე ემიგრანტთა უცნაური ნაბოღვარები. ეკლესიის მღევნელებს რომ შეეჯახებოდა, თავი მღვდლად ჰყავდა წარმოდგენილი, ხოლო მღვდლებთან კამათისას თავს ეკლესიის მღევნელად გრძნობდა; ის მონარქისტი გვეგონებოდათ, როდესაც მისი თანდასწრებით ამტკიცებდნენ, ყველა მეფე, მათ შორის იაკობ შოტლანდიელიც, პენრიხ მეოთხეც და კარლ შუეცვილიც — დეგენერატები იყვნენო, სხვა შემთხვევაში მონარქიის ვულფიცს მოწინააღმდეგედ იქცეოდა, თუკი ესპანელ ბურბონთა ქება-დიდებას მოჰყვებოდნენ. „მართლაც რომ კრიტიკანი ვარ, — აღიარებდა ხოლმე გუნებაში ვიქტორ აუგის მიერ რამდენიმე დღის წინანდელი ნათქვამის გახსენებაზე, — მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ საკუთარ თავს ვეკამათები“. შესტამბე ლილიეებმა ნელ-ნელა ენა ამოიღეს და ესტებანს უყვებოდნენ, რა დაუნდობლობას იჩენდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი იუგი როშფორში. ჭაბუკი ახლა ვიქტორს ერთდროულად გულისწყრომითაც უცქერდა და არაკეთილმოსურნედაც, სინაზითაც და შურიტაც, გულისწყრომას განიცდიდა, რაკი ხედავდა, რომ ვიქტორი თავს არიდებდა; არაკეთილმოსურნეობა ესტებანს აღეძრა მაშინ, როცა გაიგო, როგორ მძვინვარებდა იგი ტრიბუნალში; ვიქტორის მეგობრული გრძნობის გახსენებაზე თითქმის ქალურ სინაზესა და მაღლიერებას განიცდიდა, შურს კი მასში ის გარემოება ბადებდა, რომ კომისარი ფლობდა დეკრეტს, რომლის მეშვეობით ვარცლსა და ღუმელს შორის ბავშვობაგატარებული ეს მეფუნთუშის შვილი ისტორიაში უნდა შესულიყო. ესტებანი ყოველდღე გუნებაში ეკამათებოდა ვიქტორს, რჩევას აძლევდა, ანგარიშის ჩაბარებას სთხოვდა, ხან უყვიროდა — ერთი სიტყვით, იუგთან სასაუბროდ ემზადებოდა, რომელსაც შეიძლება ასრულებდნენ არც ეწერა, მაგრამ თუკი როდისმე ასრულდებოდა, ჭაბუკი მაინც ვერ გაუბამდა ისეთ საუბარს, როგორადაც თავისთვის ფიქრობდა გუნებაში; სინამდვილეში, ალბათ გრძნობები მოეძალეებოდა და საყვედურების, საბუთების, კატეგორულა მოთხოვნის და განხეთქილებით დამუქრების ნაცვლად, რასაც ახ-

ლა თავისთვის ბუტბუტებდა, ჩივილს მოჰყვებოდა, ის კი არა, შეიძლება ცრემ-
 ლებიც წამოსვლოდა... სანამ ესტებანი ამ შიშნულ მოლოდინს შეეპყრო, ვიქ-
 ტორ იუგი კანჯოთი, ზედ რესპუბლიკის დროშა რომ ფრიალებდა, დილაუთენია
 ფრეგატ „ფედიტასკენ“ გაეშურა; იქ ფლოტილიის უფროს დე ლესეგთან თათ-
 ბირობდა – რუკაზე იდაყვებდაყრდნობილები მსჯელობდნენ, სად იყო მონიშ-
 ნული რიფები და მეჩჩები, რომელთა შორისაც მიიკვლევდა ეს ვადრა გზას... კო-
 მისრის დაბრუნების შემდეგ ესტებანი ცდილობდა თვალში წარმოეჩინა მოხვედ-
 როდა: ამასთან ისეთ სახეს ღებულობდა, თითქოს რაიმე საქმით იყო გართუ-
 ლი და გვერდით ჩაელილ ვიქტორს ვერ ამჩნევდა. როცა იუგი ოფიცრებითა
 და ადიუტანტებით იყო გარშემორტყმული, ჭაბუკს ზედაც არ უყურებდა. მო-
 ქარგულმუნდირებიან ადამიანთა ეს ჯგუფი, ფრთებით შემკული ქუდეები რომ
 ეხურათ, ესტებანისთვის შეულწეველ, განსაკუთრებულ სამყაროს შეადგენდა;
 ჭაბუკი ერთდროულად აღტაცებითა და მრისხანებით გააყოლებდა ხოლმე
 თვალს კონვენტის კომისრის ოფლით გაპოხილ მუნდირში გამოკრულ ფართო
 მხარ-ბეჭს; ეს მხარ-ბეჭი ეკუთვნოდა იმ ადამიანს, რომელსაც გაანდეს ესტება-
 ნის ოჯახის ყველაზე სანუკვარი საიდუმლო; ადამიანს, რომელიც მის ცხოვ-
 რებაში ბედისწერასავით შეიჭრა და მას შემდეგ სულ უფრო და უფრო სახი-
 ფათო გზებით ატარებს. „ნუ მოეხვევი ცივ ქანდაკებებს“, – მწარე ირონიით
 ბუტბუტებდა ხოლმე ჭაბუკი ეპიქტეტის სიტყვებს და იმაზე ფიქრობდა, რა-
 მოდენა მანძილი გაჩენილიყო ახლა მასსა და მის ყოფილ ამხანაგს შორის. ჭა-
 ბუკს კი ახსოვდა, პარიზში ჩასვლის პირველ დღეებში როგორ ეძლეოდა თავ-
 შექცევას მასთან ერთად ეს „ცივი ქანდაკება“, განგებ შერჩეულ, ვნებაში
 ყველაზე გაწაფულ ქალებთან, რადგან მაშინ ერთადერთ რამეს – სიამოვნებას
 ეძებდა ხოლმე. მაშინდელი ვიქტორ იუგი გადაიძრობდა პერანგს და კუნთებით
 აწონებდა თავს ყველა შემთხვევით შეხვედრილ საყვარელს, აფასებდა კარგ
 ღვიანოს და მოსწრებულ ხუმრობას, გამოირჩეოდა ხასიათის სიმკვირცხლით,
 რაც ლამის სულ გაუცხოებულყოფი ახლანდელი იუგისათვის – ახლა იგი ნია-
 დაგ შეჭმუხნული და საპარადო მუნდირში გამოჯვიმული, ამაყობდა რესპუბ-
 ლიკის მიერ ნაბოძები წარჩინების ნიშნებით; ეს ადამიანი ახლა მთელი ფლო-
 ტილიის ბედს განაგებდა, თანაც ისეთი თავდაჯერებით მოეპოვებინა ადმირალის
 უფლებები, რომ თვით დე ლესეგიც კი შეეცბუნებინა. „დაქარგული მუნდირი-
 საგან თავბრუ დაგხვევია, ფრთხილად იყავი: მუნდირით თავდავიწყება ყველა
 თავდავიწყებაზე ცუდია“, – ფიქრობდა ესტებანი. ერთხელაც განთიადისას
 ფრეგატ „მახვილის“ გიკზე ორი ვარხვი დაეშვა: ქარს მოჰქონდა საძოვრების,
 ბადაგისა და კვამლის სუნი. ესკადრამ სვლა შეანელა, იგი სიფრთხილით უახ-
 ლოვდებოდა კუნძულ დეზირადის მრისხანე რიფებს, თან სიღრმეს წარამარა
 ზომავდა ლოტით. ჯერ კიდევ შუალამისას განგაშით ფეხზე წამოყრილი, ახლა
 ბორტთან შეჯგუფული ჯარისკაცები და მატროსები ხარბად გაჰყურებდნენ ნა-
 პირს, რომლის მკაცრი მოხაზულობა რიურაჟიდანვე გამოჩნდა პორიზონტზე;
 კუნძული ზღვაზე დაცემულ უმოძრაო ღრუბლების ვეებერთელა ჩრდილს მო-
 ვაგონებდათ. ივნისის პირველი წყნარი დღეები იდგა; ლამის ისმოდა რარიგ
 ეხებოდა კარგა შორს მფრინავი თევზის ფარფლები გამჭვირვალე ზღვის ზე-
 დაპირს, და ამ გამჭვირვალე წყლის სიღრმეში ჩანდა, როგორ ცურავდნენ გველ-
 თევზები. ხომალდები გაჩერდნენ ფლატეებიანი ნაპირის მახლობლად, სადაც

— რესპუბლიკაში სამხედროები არ კამათობენ, ისინი ემორჩილებიან. ჩვენ გვადელუპაზე გამოგვგზავნეს და გვადელუპაზე გადავსხდებით.

დანარჩენებმა ისე ჩაქინდრეს თავები, ვით მათრახმომარჯვებული მოძოვინიერებლის წინაშე ლომებმა. კომისარმა ბრძანა, დაუყოვნებლივ ამოეღოთ ლუბები და ესკადრამ გრანდ-ტერიის მხარეს სალინის პორტისაკენ აიღო კურსი. მალე გამოჩნდა ოპალისფერ კვამლში გახვეული კუნძული მარი-გალანტი; ხომალდებზე საბრძოლო განგაში გამოაცხადეს. გაისმა ლაფეტების გრუხუნი, ბაგირებისა და ბორბლების ჭრიალი, ყვირილი, ხმაური, მოკლე-მოკლე ბრძანებები, მიწისა და საძოვრების სუნნაკრავი ცხენების ჭიხვინი. იუგის ბრძანებით, მესტამბეებმა მოიტანეს ზღვაზე ცურვის დროს დაბეჭდილი რამდენიმე აუული აფიშა; მათზე მსხვილი ასოებით დაბეჭდილი იყო 16 პლიუვიოზის დეკრეტი, რომლის მიხედვით უქმდებოდა მონობა და თანასწორი უფლებები ენიჭებოდა კუნძულის ყველა მაცხოვრებელს მათი კანის ფერისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად. მერე კონვენტის კომისარმა მტკიცე ნაბიჯით გადაჭრა შკაფუტი და გილიოტინას გაფისული ბრეზენტი მოაძრო; მზის სხივებზე აელვარებულსა და გაღვსილდანიან გილიოტინას პირველად მისწვდა ყველას მხერა ერთად. ხელისუფლების საჩუქარი თითქოსდა საყოველთაო განცვიფრებისთვის გამოეტანათ. მარჯვენა ხელით მრისხანე მანქანის გვერდითა ხარიხას დაყრდნობილი ვიქტორ იუგი ანაზღეულად ცოცხალ ალეგორიად ქცეულიყო. ახალ ქვეყანაში თავისუფლებასთან ერთად ჩაჰქონდათ პირველი გილიოტინა.

XVIII

ომის საშინელება.

ბოიბა

კრეტიენი და ვიქტორ იუგი ერთ-ერთი პირველი კანჯოთი მიცურავდნენ, — ამით შეიძლება სურდათ, ჯარისკაცებისთვის ეჩვენებინათ, რომ გადამწყვეტ წუთში კონვენტის კომისრები კადრის სამხედროებზე არანაკლებ მამაცნი იყვნენ. ფრანგების ნაპირზე გადასხმისთანავე რამდენიმე ზაღმა დაიქუხა, მერე ხანმოკლე სროლა ატყდა, მაგრამ სულ მალე თანდათან მიწყდა. დაღამდა. ხომალდებზე, სადაც კაპიტან დე ლესევის საერთო მეთაურობით კიდევ დარჩენილიყვნენ სამხედრო მატროსები და პირინეის მსროლელთა ორი ასეული, სიჩუმე ჩამოვარდა. გაიარა სამმა დღემ, მაგრამ ამ ხნის მანძილზე არაფერი მომხდარა, კვლავ არსაიდან არავითარი ცნობა არ ისმოდა. შიშის გასაქარწყლებლად ესტებანი უსაქმობით გულზელდაკრეფილ მესტამბეებთან თევზაობდა. ახლა, როცა ჯარისკაცთა უმრავლესობას ხომალდები დაეტოვებინა, იმდენი თავისუფალი ადგილი დარჩენილიყო, რომ გემბანი დიდი თეატრის სცენას ჰგავდა. საითაც უნდა გაგებხდათ — ზოგან თოკის ბოლოები ეკიდა, ზოგან ნაკრაულები ეყარა, ზოგან — ცარიელი ყუთები. ახლა დაუბრკოლებლივ შეიძლებოდა წინ და უკან სიარული, იალქნის ჩრდილში თვლენა, სადმე სიგრილეში საკუთარი ჯამიდან წვნიანის ჭამა, სუფთა ჰაერზე ტანისამოსის დახილვა, პორიზონტისგან თვალმოუშორებლივ ბანქოს თამაში — სანამ ერთი ბან-

ქოს არიგებდა, დანარჩენები ყურადღებით ზვერავენ სივრცეს, მტრის ხომალდების გამოჩენა რომ არ გამოპარვოდათ. და ეს ყოველივე საქარო კუნძულების მახლობლად სასიამოვნო დასვენებას დაემსგავსებოდა, ჯარისკაცები ამაფორიაქებული უამბობით რომ არ ყოფილიყვნენ შეწუხებულნი. უსარგებლო იყო ნაპირზე ცქერა, იქ არაფერი ხდებოდა: ეგ იყო მარტო ვიღაც ბიჭი სილიდან საჭმელ ნიჟარებს თხრიდა, წყალში რამდენიმე ძალი ფართხალებდა და ევზე ვეება ბოხჩებშემოწყობილი ზანგების ოჯახი კი ისე აყრილყვილყვილყვილ საცხოვრებელი ადგილის გამოსაცვლელად მიდიოდა... ხომალდებზე თანდათან ბევრი რამ უარესობით იცვლებოდა. მეოთხე დღეს „ფედიტას“ ბორტს ნავი მოადგა და შიკრიკმა ბრძანება მოიტანა, ფლოტილიამ კურსი პუენტ-ა-პიტრისკენ უნდა განაგრძოსო. გამარჯვება რესპუბლიკელებს დარჩენოდათ. გადასხმისთანავე გამართულ ხანძოკლე შეტაკების შემდეგ ფრანგები თურმე წინ ფრთხილად მიიწევდნენ, მაგრამ მოსალოდნელი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ინგლისელთა რაზმების განუწყვეტლივ უკანდახევას ვიქტორ იუგი იმით ხსნიდა, რომ მეფის ოთორი შტანდარტის დამცველ აქაურ ახალმოშენე მონარქისტებს ეშინოდათ თავზე სამფეროვანი დროშის ჩრდილდაყენებულ მებრძოლთა გამბედაობისა. ნავსადგურში მდგარმა სავაჭრო ხომალდების ეკიპაჟმა დიდი სულიერი სიმტკიცე გამოიჩინა და თექვსმეტი ქვემეხის დახმარებით ფრანგებს ფლერ დ'ეპრეს ფორტში წინააღმდეგობა გაუწიეს, წინა დამეს კარტიემ და რუჟემ მოულოდნელად მიიტანეს ამ ფორტზე იერიში, რომელსაც ცხრაასი კაცი იცავდა და ცივი იარაღის ამოქმედებით დაიპყრეს კიდეც. კრეტიენი, ჯარისკაცებს იშვიათი სიმამაცის მაგალითს რომ უჩვენებდა, ბრძოლის ველზე დაეცა. მოწინააღმდეგის გამარჯვებით დამფრთხალმა ინგლისელებმა უკან დაიხიეს და რივერ სალეს იქით, ბას-ტერის მიდამოში გამაგრდნენ — ეს სრუტე, რომლის სანაპიროები მანგროს ტყეებით იყო დაფარული, ორ ნაწილად ჭყოფდა გვადელუპას. პუენტ-ა-პიტრში შუაღამეს შესული ვიქტორ იუგი ქალაქში თავის ძალაუფლების განხორციელებას შეუდგა. ნავსადგურში მიტოვებული ორმოცდაშვიდი სავაჭრო ხომალდი ფრანგებს ჩაუვარდა ხელში. საწყობები გატენილი იყო საქონლით. პორტში წუთი წუთზე ელოდებოდნენ ესკადრის გამოჩენას... ჯარისკაცები კანჯოებით გადაჰყავდათ ნაპირზე, ამასობაში გემები ნავსადგურში შედიოდნენ. საყოველთაო სიხარულსა და უდიდეს კმაყოფილებას მოეცვა ხალხი. ყველგან — ტრიუმიდან მოკიდებული მარსამდე — მხიარული აღტყინება გამეფებულიყო. ჯარისკაცები და მატროსები საღდაც ებღოტებოდნენ, გარბოდ-გამორბოდნენ, მიათრევდნენ აზარმაცებს, უშვებდნენ იალქნებს, შლიდნენ და კეცავდნენ ბრეზენტებს. ფეხიდან იცილებდნენ ყოველივე ზედმეტს... გამარჯვება! დიდებულია! მაგრამ ამასთან იცოდნენ, საღამოთი შეიძლება ღვინო და ნიერთ შეზავებული შემწვარი ცხვრის ხორციც ეგემათ, ჰო, ღვინო ბლომად იქნება, ქორფა სტაფილოთი შეკმაზული ძროხის ხორციც. ღვინოს მდინარესავით მოუგდებენ, საიდანღაც გაჩნდება შესანიშნავი რომი და ისეთი მაგარი ყავა, რომ ფინჯნებში ნალექს დატოვებს; მერე კი შეიძლება ქალებიც გამოჩნდნენ — ბრინჯაოსფერები, თეთრფირმიზები და შავკანიანები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელებითა და მაქმანიანი ქვედაკაბებით თავმოძწონენი. ყველას ექნება სუნამოს, პირსაბანი წყლის, არომატული ნელსაიხებლისა და, რაც მთავარია, ქალის სურნელება. ნავმისადგომებიდან

ისმოდა სიმღერები, მისასაღმებელი შემახილები, რესპუბლიკის პატივსაცემად ქუხდა „ვაშა“. ხომალდებიდან ბანს აძლევდნენ სიმღერებითა და ყვირილით, და საზეიმო გრიალ-ზრიალში რესპუბლიკის მეორე წელს, პრერიალის იმ სამახსოვრო დღეს ესკადრა პორტში შევიდა; ფრეგატი „მახვილის“ ცხვირზე მოჩანდა გაკრიალებული და შთლად ახალთახალივით მოლაპლაპე გილიოტინა, რომლისთვისაც ბრეზენტი გადაეხადათ, რათა ყველას კარგად ეძინათ და გულდაგულ დაეთვალთვინებინა. ვიქტორ იუგი და დე ლესევი ესტუმრებოდნენ და დაეხვივნენ, მერე კი ერთად გაეშურნენ მეფისნაცვლის ძველ რეზიდენციაში — კონვენტის კომისარს იქ მოეთავსებინა თავისი კანცელარია და ხელქვეითები, რათა უკანასკნელი პატივი მიეგოთ კრეტიენისთვის: მიცვალებული მუნდირში გამოწყობილი, სამხარულილივეთი და კოკარდიანი ქუდით ესვენა. შავი კატაფალკი საესე იყო წითელი მიხაკებით, თეთრი ტუბეროზებითა და ცისფერი დედოფლისკაბათი. ესტებანს დაუყოვნებლივ ბორტში, საბაჟოში მოუხდა წასვლა. იგი იმავე დღეს უნდა შესდგომოდა თავისი მოვალეობის შესრულებას — შეედგინა მტრის ხომალდებიდან მიტაცებული ნაღავლის ნუსხა. ქალაქში ყველგან მონობის გაუქმების დეკრეტები იყო გაკრული. ციხიდან განთავისუფლეს მდიდარი კოლონიისტების მიერ დაპატიმრებული, ზანგების მიერ „თეთრ უფროსებად“ მონათლული პატრიოტები. ჭრელი და მხიარული ბრბოთი გავსებული ქუჩები ესაღმებოდა ახალმოსულებს. საყოველთაო მხიარულება კიდევ უფრო გააცხოველა ახალმა ცნობამ, — გვადელუპას ბრიტანელი გუბერნატორი გენერალი დანდასი ფრანგების გადმოსხმის წინა ღამეს ბას-ტერში გარდაცვლილათ. რესპუბლიკის ჯარისკაცებს ბედი აშკარად სწყალობდათ, თუმცა მეზღვაურთა მიერ წინა საღამოს ნავარაუდები ნადიმი არ გამართულა: შუადღის მერე კაპიტანი დე ლესევი უმაღლ პორტის გამაგრებისა და დაცვისათვის შეუდგა მუშაობას, ბრძანა, თავდაპირველად ჩაეძირათ რამდენიმე მოძველებული ხომალდი, რათა გადაეხურათ ნავსადგურში მისასვლელი გზა და ნავმისადგომზე ზარბაზნები ისე დაედგათ, რომ ლულები ზღვისკენ ყოფილიყო მიშვერილი... ოთხი დღის შემდეგ, მოულოდნელად საქმე უარესობისკენ შეტრიალდა. რივიერ-საღეს იქით, სენ-ჟანის მთაზე განლაგებულმა საარტილერიო ბატარეამ ქალაქს გვეგმაზომიერი სროლა აუტეხა. ადმირალმა ჯერვისმა თავისი მეომრები ვოხეში გადმოსხა და დაიწყო პუენტ-ა-პიტრის ალყის შემორტყმა. მოსახლეობა შეშფოთებამ მოიცვა, ციდან დღე-ღამ ცვიოდა ჭურვები — ქალაქის სხვადასხვა ადგილას ჩამოყრილი ჭურვები ნამსხვრევებად აქცევდა სახლების ჭერსა და სახურავებს, მიწაზე გროვად ეყარა წითელი კრამიტის ნამუსრი. ქვითკირის კედლებიდან, ქვაფენილსა და კვარცხლბეკებიდან ასხლეტილი ყუმბარა გრუხუნით იქამდე დაგორავდა, სანამ გზად რაიმე ნაკლებად მყარს არ გადაეყრებოდა, — სვეტი იქნებოდა, მოაჯირი თუ ყუმბარის სისწრაფით გაოგნებული ადამიანი. ქალაქში ერთთავად რალაცა ინგრეოდა, კაცს თვალებსა და ყელს სწვავდა კირის, ბათქაშის, ფერფლისა და ტრუსის სუნი. ქვითკირის კედელს ასხლეტილი ყუმბარა ანგრევდა ხის სახლებს; კიბეებზე დაგორებისას ლეწავდა ბოთლებით საესე ბუფეტსა თუ მექოთნის დახლს, სარდაფში შევარდნილი თავის ავბედით გზას იმით ასრულებდა, რომ კასრებს ნაფოტებად აქცევდა, მელოგინეს — ნაფლეთ-ნაფლეთებად. ერთი ჭურვი პირდაპირ ზარს მოხვდა და ძირს ისეთი საშინელი გრუხუნით და-

ენარცხა, სპილენძის გუგუნი შეიძლება მტრის მეზარბაზნეებსაც კი გაეგონათ. ქალუხების, მსუბუქი შირმების, ჰაეროვანი აივნების, აჭურული გალერეების, ზის დახლების, ვაზის ტალავრების მთელ საუფლოს, რომელიც ისე იყო მოწყობილი, რომ მსუბუქი ნიავის დაქროლებისთვისაც გზა უნდა მიეცა, ძალზე უჭირდა გამძვინვარებული ლითონისაგან თავდაცვა. ყოველი გასროლა ვიღაც ახე კომბლის დამანგრეველ დათხლეშას ჰგავდა. კაკლის მაგიდებს მონტეკარლოში ყუმბარა მის ქვეშ თავშეფარებულ ადამიანთა გვამებს ტოვებდა. სულ მალე კიდევ ერთი საშინელი ახალი ამბავი გაერცვლდა: ინგლისელებს თავიანთი ბატარეა სავანის მთაზე გაუმაგრებიათ და ქალაქს გაეარვარებულ ყუმბარებს ახლა იქიდან უშენენო. ყუმბარებს გადარჩენილ სახლებს ხანძარი ნთქავდა. კირის კორიანტელს კვამლი და ხანძრის ალი ემატებოდა. ხანძარს ერთ ადგილზე რომ აქრობდნენ, იმავე წამს მეორეგან ჩნდებოდა, — ხან მაუღით მოვაჭრის დუქანი იწვოდა, ხან — ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ხან — რომის საწყობი. ქნაზდად აბრიალებული რომი ცისფერი ალის აუჩქარებელ ნაკადად იღვრებოდა ქუჩაში და მთის ძირას ჩამწკრივებული სახლების გასწვრივ მიიკვლევდა გზას. ღარიბ-ღატაკთა ბევრი სახლი ყავრითა და გამხმარი ფოთლებით იყო გადახურული და ერთი გაეარვარებული ყუმბარა ღამის მთელ უბანს აქცევდა ფერფლად. ყოველივე ამასთან ერთად, უწყლობის გამო, ხანძართან ბრძოლა ნაჯახებით, ხერხებითა და მანეტებით უხდებოდათ. იმას, რაც ყუმბარებს გადარჩენოდა, მოათრევდნენ ბავშვები, ქალები და მოხუცები. ქვემოდან, სადაც ათასგვარი ხარახურა თუ ნაგავი იწვოდა, ბოლქვ-ბოლქვად ამოდიოდა ყომრალი კვამლი და დღისით-მზისით ბედშავი ქალაქი ბინდბუნდში ეხვეოდა. ის, რისი გადატანაც კითქოსდა ერთი საათითაც კი შეუძლებელი იყო, რამდენიმე დღედაღამე გრძელდებოდა გადაბმულად. განუწყვეტელი დამანგრეველი გუგუნი დაჭრილების კვნესას ერწყმოდა, ცეცხლის ენების ტკრციალი — მიწაზე მგორავ იმ საგნების საშინელ გრუხუნს, ერთმანეთზე თუ კედლებზე მიხეთქებულებს ტარანაკრავივით რომ გაუღიოდა ზრიალი. იფიქრებდით, უბედურებამ უკვე ზღვარს მიაღწია და უარესის წარმოდგენა შეუძლებელია, თუმცა ნგრევა და მსხვერპლი დღითი დღე მატულობდა. სამგზის ცდა, როგორმე ჩაეჩუმებინათ სიკვდილის მთესველი ბატარეა, სამჯერვე წარუმატებლად დასრულდა. დაიღუპა გენერალი კარტიე, რომელსაც ძალია გამოაცალა უძილობამ, არაადამიანურმა დაღლილობამ და შეუჩვეველმა ჰაეამ. ჭურვის ნამსხვრევეებით დაჭრილი გენერალი რუჟე სამხედრო ღაზარეთად ქცეული შენობის ერთ-ერთ დარბაზში ებრძოდა სულს. მიწისქვეშა სამყოფელებიდან და საიდუმლო სამალავებიდან გამოჩნდნენ დომინიკანელი ბერები, ისინი თავს მოჩვენებასავით ადგებოდნენ წამებულთ და ასმევდნენ მიქსტურასა და ბალახბულახის ნახარშს, შექმნილ ვითარებაში არავინ აქცევდა ყურადღებას მათ ბერძონაზნურ კაბებს; ხალხი უარს არ ამბობდა მოუღასა და დახმარებაზე, შემდეგ გამოჩნდა ჯვარცმაც და ნაკურთხი ზეთიც. რელიგიის ამ კონტრაბანდას ყველაზე მეტი წარმატება იქა ჰქონდა, სადაც განსაკუთრებით იმძვინვარებდა განგრენა, გაარჯლებულიყო ჭრილობები, სადაც სიკვდილმოახლოებულ ადამიანთა უმრავლესობა იძრობდა კოკარდებს და ცოდვების მისატევებლად ლოცვებს აღავლენდა... უამრავ უკეთურობას მტანჯველი წყურვილიც მიემატა. წყალსატევებში ჩაცვივნილი გვამებისაგან მოწამლული წყლის გამოყენება შეუძლებელი გამხდარიყო. ჯა-

— ცოდვილთა გაუგონარმა საქმეებმა ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიიყვანა, — ოხვრით აღმოთქვა მესტამბემ.

ადმიწარაღ ჯერვისის ბატარეა, მისი წარმოდგენით, ყოვლისშემძლე ძველი ღმერთების გამძვინვარებულ მრისხანებას ჰგავდა.



ქართული
ენების ინსტიტუტი

XIX

ერთხელ დილით მტრის ბატარეა დაღუბდა. ხალხმა ძლივს შევებით ამოისუნთქა. ცხენებიც წამდაუნწუმ აღარ აცქვეტდნენ ყურებს. ის, რაც მიწაზე უძრავად ეყარა, უძრავადვე დარჩა; აფეთქებას აღარ აჰქონდა ჰაერში. უკვე ისძოდა ნავსადგურში წყლის ტლაშუნი და პატარა ბიჭების მიერ გატეხილი მინის წკრიალი, რომელიც შიშით აკრთობდა უნიათო ხმაურგადაჩვეულ ხალხს. ცოცხლად გადარჩენილები თავიანთი სამალავებიდან ნელ-ნელა გამოეფინენ სამზეოზე — ჭვარტლში, ტალახსა და უწმინდურობაში ამოგანგლულნი, ჭრილობები და წყლულები ხეშეშა ბანდებით დაუდევრად, მაგრამ მაინც ჰქონდათ შეხვეული. მალე ყველამ შეიტყო, რომ თითქმის სასწაული მომხდარიყო: წინა დამეს ვიქტორ იუგისთვის ეცნობებინათ, ინგლისელებმა ფრანგთა მოწინავე საგუშაგოები გაანადგურეს და უკვე ქალაქში ცდილობენ შემოღწევასო, იუგი თავისი რაზმით გუბერნატორის მთიდან ჩამოსულა და ისეთი გამძვინვარებით ჰკვეთებია მტერს, რომ ბრიტანელთა ნაწილებს ჯერ უკან დაუხევიათ, მერე კი გაქცეულან და რივერ-საღეზე უკანვე გადასულნი, ქალაქ ბასტერის მახლობლად მდებარე ბერვილის გამაგრებულ ბანაკში დამდგარან. ამ გამარჯვების შემდეგ ფრანგების ხელში ნახევარი კუნძული აღმოჩნდა... შუადღისას ქუჩებში გამოჩნდნენ წყლის მზიდაეები. მათ ჯგროდ შიაწყლა ვედროები, კარდალები, ტაშტები და ქვაბებმომარჯვებული ჩამოძინძილი ბრბო. ხალხი შინაურ პირუტყვთან ერთად, პირდაპირ კასრებიდან სვამდნენ, წყალში ყურებადგ სახეჩარგულებს სუნთქვა ეკვროდათ, წყალს სვლესდნენ და გაჭყეპილები უკანვე ანთხევდნენ, ერთიმეორეს დოქებს ჰპარავდნენ — მოკლედ, ისეთი ხმაური და ვნიასი იდგა, ზოგიერთის ჯაშოშმინება კონდახით უხდებოდათ. წყურვილ-მოკლული ჯარისკაცები და მოსახლეობა შეუდგნენ მთავარი ქუჩის გასუფთავებას და ნანგრევებიდან გვამების გამოტანას. დროდადრო მტრის ყუმბარები აქა-იქ კვლავ ეცემოდა, კლავდა გამკლელს, ამტკრევედა ფანჯრის დარაბებს, ნამსხვრევებად აქცევდა სკულპტურულ სამკაულებს, მაგრამ იმ საშინელი ოთხი კვირის მანძილზე განცდილი ტანჯვა-წამების შემდეგ ასეთ უმნიშვნელო რამეს აღარავინ აქცევდა ყურადღებას. ხალხმა შეიტყო, რომ საექსპედიციო კორპუსის უფროსი ოფიცრობის უკანასკნელი წარმომადგენელი გენერალი ობერი ყვითელი ციებ-ცხელებისგან დაფავდა სულს. ასე რომ, ვიქტორ იუგი ერთადერთ მბრძანებლად რჩებოდა შუაზე გაყოფილ კუნძულ გვადელუპაზე. მინებჩამსხვრეულ ფანჯრებიან კაბინეტში, კედელზე დამწვარი ფარდები სამგლოვიარო ფლასებივით რომ ეკიდა, ვიქტორმა გამოიძახა მამა-შვილი ლიოიები და უკარნახა ბრძანების ტექსტი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაემრავლებინათ: ქალაქში საალყო მდგომარეობა ცხადდებოდა, უნდა შექმნილიყო ორიათასიანი ლაშქარი ჯარისკაცებად გამოსადეგი ფერადკანიანი მო-

სახლეობიდან, გარდა ამისა, ცხადდებოდა — ყველა, ვინც ჭორების გავრცელებაში შეიმჩნევა ან თავისუფლების მტრად იქნება ეჭვიანილი, ან მტრის მხარეს — ბას-ტერში გადასვლას შეეცდება, სამხედრო-საველე სასამართლოთი დაისჯებაო. ჭეშმარიტ პატრიოტებს მოუწოდებდნენ ხელისუფლებასთან დაესმინათ ყოველი მოლაღტე. საგანგებო დეკრეტით, კაპიტან პელარდეს დივიზიის გენერლობა მიენიჭა, და კუნძულზე განლაგებული სფეროების შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დაინიშნა, მაიორმა ტუტუნმა კი მთავარადის გენერლის ჩინი მიიღო და ადგილობრივი მოსახლეობისაგან შედგენილი რაზმის სწავლება და სამხედრო წვრთნა დაევალა... ესტებანს ანცივიფრებდა ეს ეხერგია, რასაც კონვენტის კომისარი იჩენდა გვადელუას კუნძულზე მოსვლის დღიდან. ვიქტორ იუგი დაბადებით იყო მხედართმთავარი და მეთაურობის თანდაყოლილ ნიჭს ემატებოდა არანვეულებრივი ილბლიანობა. ოღონდაც, რომ ზედმისწრებასავით გამოდგა მისთვის კრეტიენის, კარტიეს რუჟესა და ობერის ერთიმეორის მიყოლებით სიკვდილი. სიკვდილმა თან გაიყოლა ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ერთგვარად დაპირისპირებოდნენ მას. უკვე მოხსნილიყო ის დამაბულობა, რომელიც ხანდახან იჩენდა ხოლმე თავს სამხედრო მეთაურობასა და სამოქალაქო ხელისუფლებას შორის. იუგი, რომელსაც არაერთხელ მოსვლია ცხარე კამათი თავიანთი ჩინებით, მუნდირებით, სამხედრო გამოცდილებითა და გარდასული გამარჯვებებით გაყოფილებული საექსპედიციო კორპუსის გენერლებთან, ახლა ემყარებოდა ორ ერთგულ თანაშემწეს, მათ კი ბევრ სხვა რამესთან ერთად, ისიც მშვენივრად მოეხსენებოდათ, რომ იუგზე იყო დამოკიდებული, დაამტკიცებდა თუ არა კონვენტი მათ ახალ განწყობას... იმ ღამეს ღვინო ქალაქში მდინარესავით მოედინებოდა, და ჯარისკაცებიც, ვისაც კვლავ შერჩენიდა საამისო ძალ-ღონე, ისწრაფვოდნენ მოეკლათ დიდი ხნის იძულებითი წყურვილი. კონვენტის კომისარი მხიარულ გუნებაზე იყო, მჭევრმეტყველებდა, ენამახვილობდა, ერთი სიტყვით, სული და გული იყო ოფიცერთა ნადიმისა, რომელსაც ესტებანი და მესტამბე მამა-შვილიც ესწრებოდნენ. მულატი ქალიშვილები, სინით მაგიდასთან რომსა და პუნძს რომ ჩამოატარებდნენ, აინუნშიც არ აგდებდნენ, ხანდახან ანაზღად წელზე ვინმე თუ შემოეტმასნებოდათ, უჩქმეტდნენ ანდა კაბის ქვეშ ხელს მოუფათურებდნენ. სადღეგრძელოებს შუა ვიქტორ იუგმა გამოაცხადა, რომ გუბერნატორის მთას იმ დღიდან გამარჯვების მთა დაერქმეოდა, სარტინის მოედანს კი — საიდანაც დიდებულად მოჩანდა ნავსადგური — გამარჯვების მოედანი... — რაც შეეხება პუნტ-ა-პიტრს, გადაწყვეტილი იყო, მომავალში „თავისუფლების პორტი“ დაერქმეოდა (მას კვლავინდებურად პუნტ-ა-პიტრი ერქმევა სახელად, ისევე როგორც შოვენ დრაგონი ყველასათვის მაინც სენ-ჟან-დე-ლუიზად დარჩება, — გაიფიქრა ესტებანმა). უკვე განთიადისას, ტკბილეულობის ჩამოტარებისას, მონადიმებმა ერთ-ერთ მოსამსახურე ქალს სთხოვეს ემღერა, და ესტებანმა პირველად მოისმინა ლაფაეტის ბიძაშვილის, მარკიზ დე ბუიეს მეღანქოლიური კუპლეტები. ახალგაზრდობაში მარკიზი გვადელუას გუბერნატორად ყოფილა გამწესებული, უკან, საფრანგეთში გაწვეულს (ოცდაოთხი წლის წინათ მიუტოვებია კუნძული), წასვლისას მკვიდრთა დიალექტზე დაუწერია ნადვლიანი სიმღერა, რასაც მას შემდეგ ნიადავ მღეროდნენ თურმე აქაურები:

„მშვიდობით, ფულარო, მშვიდობით, მადრასო,
 მშვიდობით, მანიაკო, მშვიდობით, დასტანგო,
 ვაი რომ უკან აღარ დაბრუნდება
 ძვირფასი გულისწორი, წავიდა სადღაც, შორხ,
 დილა მშვიდობისა, ჩემო ბატონო,
 თავს მდაბლად გიხრი მუდარით მოსული,
 სახლს დაუბრუნეთ მიჯნური ჩემი,
 სიხარულით რომ ამივსოს გული“.
 „ასული, ძლიერ, ძლიერ მებრალეები,
 მაგრამ არ ძალმიძს მისი დაბრუნება,
 სამშობლოსაკენ გეზადებული
 ხომალდი უკვე თვალს ეფარება“.



პუნშით შეზარხოშებული ესტებანი ადვილიდან წამოდგა: მას მოსვენებას არ აძლევდა აკვიატებული აზრი, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეღია სასიამოვნო ხმის „მიმზიდველი ქალიშვილის“ სადღეგრძელო, თან აინემა, სიმღერაში მიმართვა „ჩემო ბატონო“, „მოქალაქე გუბერნატორით“ უნდა შეიცვალოს, „ასული“ კი—„მოქალაქეთი“, რათა დემოკრატიული სული უკეთ გამოიხატოსო. ვიქტორ იუგმა ჭაბუკს მჭმუნვარედ გადახედა და ხელის აქნევით შეწყვიტა ტაშისცემა, რაც რესპუბლიკური გზებით აღსავსე წინადადებას გამოიწვია. ახლა უკვე, ყველამ ერთად წამოიწყო ფრანსუა ჟირუეს ახალი სიმღერა“ *Lai tout perdu et je m'en jous** რომელიც ზედმიწევნით ეხმიანებოდა ის-ისაა მოპოვებულ გამარჯვებას:

უწინ ჩემს სუფრაზე მოჰქონდათ
 ჩრიხვი და მსუქანი ყვერული,
 პური ღვეზელზე უფრო ტკბილი,
 პური ღვეზელზე უფრო ტკბილი.

ახლა ომია და ვმარხულობ,
 სალდათურ ულუფასაც ვკადრულობ,
 მაინც სიმღერით რიხს ვაძლევ ხმას:
 „გეორგ, ბრიტანელი ტირანი
 სირცხვილს ჭამს, ჩვენ კი, ძმებო,
 დავცლით დიდების სასს“.

გარიჟრაჟისას აღმოჩნდა, რომ ყველას მაგიდის გარშემო შემორიგებულ საუარძლებში ეძინა. მაგიდაზე დაცლილი ჭიქები, ხილით სავსე სინები და შემწვარ-მოხრაკულის ნარჩენები ელაგა. მხოლოდ კონვენტის კომისარი ამდგარიყო და თავის ოთახში ღია ფანჯარასთან მდგარი ღრუბელათი ღონივრად იზელდა სხეულს, თან სამართებლის ღვევაში გართულ დალაქს ესაუბრებოდა... მაგრამ ინათა თუ არა, დილის რვა საათისათვის ჩაქუჩების რიტმულ ხმაურში სარტინის მოედანი — უფრო სწორედ, ყოფილი სარტინის მოედანი — სადღე-

* დავკარგე ყველაფერი, მაგრამ ჯანდაბას (ფრანგ.).

სასწაულო ლატნებით, ალმებით, გირლანდებით და ალევორიული გამოსახულებებით მოირთო. საპარადო ფორმაში გამოწყობილი პირინეის მსროლელთა ორკესტრი შეუსვენებლივ უკრავდა რევოლუციურ მარშებს — წკრიალებდა სპილენძი, ბრაგაბრუგი გაუდიოდა დოლებს, ხუროები სახელდახელოდ აგებდნენ ფიცარნავს, საიდანაც ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდა ეხელმძღვანელათ სადღესასწაულო სამოქალაქო ცერემონიისათვის. დღესასწაულის ამბავი ხალხისთვის მაცნეებს უკვე ეუწყებინათ. დილის უჩვეულო კონცერტის გაგონებაზე ხალხს მიეტოვებინა თავიანთი ნახევრად დანგრეული სახლები და ჯგუფ-ჯგუფად მიედინებოდა მოედნისაკენ. პორტის საბაჟოში დაბრუნებული ესტეპანი, სადაც საკუთარი საწოლი ედგა, ძმრის კომპრესით ცდილობდა როგორმე დაეამებინა თავის ტკივილი, ღვიძლის დასაყურებლად კი სუფრის კოვხით ზედიზედ ყლაპავდა რევანდის ნაყენს. სადღესასწაულო ცერემონიის მილოდინში ცოტაოდენი ჩასთვლიმა კიდევ; პარიზში ერთხანს ცხოვრების გამოცდილებით იცოდა, რომ ასეთი დღესასწაული უეჭველად დაგვიანებით დაიწყებოდა. ათი საათი იქნებოდა, როცა ჭაბუკი ხმაურიანი და ჭრელი ბრბოთი მოზიმზამე მოედანზე მივიდა. ხალხს თითქოს გადავიწყებოდა გუშინდელი უბედურება. ფიცარნავზე გამოჩნდნენ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება — ვიქტორ იუგისა და გენერლების — პელარდის, ბუდეს და ფლოტილიის მეთაურის დე ლესეგის მეთაურობით. ხალხი ერთმანეთს აწვებოდა, რათა უკეთ დაენახათ სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი ახალი ხელისუფალნი. მოედანზე სიჩუმე ჩამოვარდა, ამ სიჩუმეს მეზობელი ეზოდან მტრედების ფრთების ფართქუნი არღვევდა მხოლოდ. კონვენტის კომისარმა შეკრებილთ აუჩქარებლად მოავლო თვალი და დაიწყო სიტყვა: მან გუშინდელ მონებს მიულოცა, რომ დღეის ამას იქით თავისუფალ მოქალაქეებად იქცეოდნენ. ქებით მოიხსენია ქალაქის საშინელი დაბომბვის დროს მოსახლეობის მიერ გამოჩენილი სიმამაცე. სათანადო მიაგო ბრძოლის ველზე დაცემულთ და თავისი სიტყვის შესავალი ნაწილი კრეტიენის, კარტიეს, რუჟესა და დღესასწაულის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე სამხედრო ლაზარეთში გარდაცვლილი ობერი-სადმი მიძღვნილი ამალეღვებელი გამოსათხოვარი სიტყვებით დაასრულა, თან ხელი ისე მრისხანედ გაიშვირა ლაზარეთის შენობისკენ, თითქოსდა სიკვდილს მუქარას უთვლიდა საუკეთესოთა შორის საუკეთესოების გაჟღეჭისთვის. მერე რამდენიმე სიტყვა ქრისტეფორე კოლუმბზეც წარმოთქვა, — მან ამერიკაში თავისი მესამე მოგზაურობისას აღმოაჩინა ალალ-მართალი და ბედნიერი ადამიანებით დასახლებული ეს კუნძული, რომლის მკვიდრნი ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობდნენ, რაც დიახაც რომ ბუნებრივად უნდა ითვლებოდეს ადამიანური არსებობისთვისო. კოლუმბმა კუნძულს თავისი ხომალდის სახელი დაარქვა, მაგრამ პირველად მომჩენთან ერთად აქ ერთდროულად ჩამოვიდნენ ქრისტიანი მღვდლები, ფანატიზმის მქადაგებლები და ბნელეთის მოციქულებიც, ბნელეთისა, რომელიც ქვეყანას წყველა-კრულვასავით ამძიმებს მას შემდეგ, რაც პავლე მოციქულმა გაავრცელა იუდეველთა წინასწარმეტყველი იესოს — რომაელი ლეგიონერი პანტერის შვილის — ყალბი მოძღვრებაო. იოსებსა და ბაგას რაც შეეხება — ეს ყველაფერი ფილოსოფოსთა მიერ უკვე უარყოფილი წმინდაწყლის ლეგენდააო. კომისარმა ხელი გუბერნატორის მთისკენ გაიშვირა და განაცხადა: უნდა დაინგრას მოაზე აღმართული ეკლესია, რათა კერპთმსახურების ყოველგვარი კვალი მოისპოს, მღვდლებს კი, რომლებიც ჩვენი ვარაუდით, ლე-მულისა და სენტ-ანის მიდამოებში იმალებიან, კონსტიტუცი-

ის ერთგულებაზე უნდა დაკადებინოთ ფიცი... ესტებანი ამ დროს ყურადღებით უთვალთვალებდა სანდომიანი ძულატი ქალიშვილის ლამაზ მიმოხერას. ქალს სამჯერ გამოხასკული თავსაფარი ეხვია, რაც შემდეგს ნიშნავდა: „ჩემს გულში ადგილი შენთვისაც მოიძებნება“ — ეს თავისებური ენა გასაგები იყო ყველა კუნძულელისათვის; ქალის კეკლუცობას, — თითებს ხან სამაჯურზე რომ მოეძვლებდა, ხანაც შავტუხა, ლამაზად ატოკებულ გამომწვევ მხრებზე, ისე დაეპყრო ესტებანი, დაფანტულიდა უსმენდა იუგის სიტყვებს, რომელიც ჩანდა მისი ტინის მოედნის გამარჯვების მოედნად გადარქმევაზე ლაპარაკობდა. ვიქტორის რიხიანი ფოლადისებური ხმა ესტებანამდე თითქოს ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღწევდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ორატორი ხმას უფრო უწევდა, რათა გამოეკვეთა მნიშვნელოვანი დასკვნა, თავისუფლების განსაზღვრა თუ რაიმე კლასიკური გამონათქვამი. ვიქტორის სიტყვა უეჭველად გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით და სიძლიერით, მაგრამ იგი ნაკლებად შეეფერებოდა მოედანზე შეკრებილი ქალებისა და მამაკაცების განწყობილებას: ისინი აქ მოსულიყვნენ ისე, როგორც მიდიან დღესასწაულზე, სურდათ გართობა და ერთმანეთთან აზრის გაზიარება, ამიტომაც ხშირად აღარა ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ სიტყვის აზრს, ვინაიდან ვიქტორის ენა — ამკარად გამოკვეთილი სამხრეთული აქცენტის წყალობით, რითაც ლამის ისევე ამყობდა, როგორც თავადაზნაურული ვერბათ — ძალზე განსხვავდებოდა კუნძულელთა ძარღვიანი ენისაგან. მაგრამ აი, კომისარი თავისი სიტყვის დასასრულს თავს დაესხა ეესტ-ინდოეთის კომპანიას, გვადელუპას „თეთრ უფროსებს“ და განაცხადა, ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ბას-ტერში გამაგრებულ ინგლისელებს მუსრი უნდა გავავლოთო. მალე დაიწყო გადამწვეტი შეტევა — რაც მონობისაგან სამუდამოდ განთავისუფლებულ ქვეყანას მშვიდობას მოუტანსო. იუგი ლაპარაკობდა ნათლად, წონიდა თითოეულ სიტყვას და ბიროტად არ იყენებდა ორატორულ ხერხებს; შეკრებილნი ტაშისცემით შეხვდნენ კონვენტის კომისრის ტაციტის ციტატით დაგვირგვინებულ საბოლოო სიტყვებს, მაგრამ სწორედ ამ დროს დელესემა შეამჩნია, რომ ნავსადგურში შემოვიდა რაღაც ხომალდი და უახლოეს ნავსაბელს მიაშურა. თუმცა გემის საცოდავი შესახედაობა არავითარ განგაშს არ იწვევდა: ეს იყო ძველისძველი, ორანძიანი, გაქუცული, დაფახფახებული, ჭუჭყიანი ტომრებისაგან მიბლანდულ-მობლანდული იალქნიანი პატარა გემი; იგი დაღუპულ ხომალდებზე შექმნილი ზღაპრებიდან მოვლენილ მოჩვენებაგემს ჰგავდა. გემი ნაპირს მოადგა თუ არა, ხალხში ჩონჩოლი ატყდა ფიცარნავს, სადაც კონვენტის კომისარი იდგა, უახლოვდებოდნენ სახელასახიჩრებული, კბილებჩაცვენილი, ხეიბარი ადამიანები; ბებურებისგან აქერცლილ კანზე ვერცხლისფერი დასდებოდათ. ესენი იყვნენ დეზირადელი კეთროვანები: კეთროვანებმა სურვილი გამოთქვეს მათაც მიეღოთ რესპუბლიკისადი ერთგულების ფიცი. იუგმა ზეიმურად უწოდა მათ „ავადმყოფი მოქალაქეები“, სამფერი სამხარილლივე გადასცა და შეჰპირდა, სულ მალე მოინახულებდა კეთროვანთა კუნძულს, რათა შეეტყო ავადმყოფთა გასაჭირი და შეემსუბუქებინა მათი ტანჯვა. ამ მოულოდნელი ამბის შემდეგ, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა კონვენტის კომისრის ის-ისაა შექმნილი პოპულარობა, მისასალმებელი შეძახილებითა და ტაშის გრილით ვიქტორი რამდენჯერმე მოაბრუნეს ფიცარნავზე, მერე კი გენერლებისა და ოფიცრების თანხლებით თავის კანცელარიისკენ გაემართა. მოწმენდილ ცაზე მყვსეულად გამოჩნდა მტრის ბატარეის ნასროლი ყუმბარა, ყუმბარამ უვნებლად გადაუარა თავშეყრილ ხალხს და ყურეში

ჩაეშვა. მთელ ქალაქში სიღამძლის სუნი იდგა. საღამოთი მაინც აყვავდა ლიმონი. და ეს თითქოს სიბნელის ხანგრძლივი მკუფების შემდეგ ყოველივე ცოცხალის აღორძინებას მოასწავებდა.

XX



თუმცა ვიქტორ იუგმა განაცხადა, ბას-ტერზე იერიშს ჩქარა მიეიტანთო, შეტევის დაწყება მაინც დიდხანს ვერ გადაეწვიტა. შესაძლოა, კონვენტის კომისარს ცოცხალი ძალა და საბრძოლო მარაგის უკმარობა აყოვნებდა; შიშობდა, რომ კუნძულის ფერადკანიანი მოსახლეობისგან შედგენილი ლაშქარი ჯერჯერობით ვერ იყო კარგად გაწვრთნილი და აშკარა მღელვარებით ელოდა საფრანგეთიდან მაშველი ჯარის ჩამოსვლას, რის შესახებაც თხოვნა ჯერ კიდევ პუენტ-ა-პიტრის ალყის დაწყებამდე გაუგზავნა. გაიარა კიდევ რამდენიმე კვირამ, მტრის არტილერია დროდადრო კვლავ გააფთრებით ბომბავდა ქალაქს, მაგრამ გადატანილი განსაცდელის შემდეგ ხალხი ისე უყურებდა ამას, როგორც რაიმე წარმავალ უსიამოვნებას და ერთგვარ ნუგეშს იმაში პოულობდნენ, რომ აგდებულად იჩეჩავდნენ მხრებს, იღანძლებოდნენ ანდა მუქარით იქნევდნენ მუშტებს. სიფრთხილისათვის გილიოტინა ისევ შენობაში ჰქონდათ ჩაკეტილი, მთლიანად გამართული და დაზეთილი, იცა მოთმინებით ელოდა იმ საათს, როდესაც ბატონი ანსი, რომეფორის ყოფილი ჯალათი — პარიზში განათლებამიღებული კარგი მევიოლინე, დახვეწილი მანერების მულატი, ჯიბეში ბავშვებისათვის მუდამ კამფეტები რომ ჰქონდა შენახული — აამოქმედებდა ვიღაც კლავიკორდებით მოვაჭრის მიერ გამოგონებულ საიმედო მექანიზმს. კონვენტის კომისარმა კარგად იცოდა, რა ძვირად დაუჯდა საფრანგეთს მრისხანე მანქანის ძალზე ნაჩქარევი გამოყენება რესპუბლიკის მებრძოლთა მიერ დაკავებულ სასაზღვრო თღქებში. მას სულაც არ სურდა, რომ გკადელუპა მისთვის თავისებურ მცირე ბელგიად ქცეულიყო. ამასთან, არც საჩივრები შემოდიოდა აქაური მოსახლეობისაგან, რომელიც მიჩვეულიყო თავიანთი კუნძულის საკმაოდ ძნელ ხვედრს — უდრტვინველად დამორჩილებოდა მორიგ ხელისუფლებას. ვიქტორ იუგი ჯერჯერობით ემყარებოდა მონობიდან განთავისუფლებული უამრავი ხალხის მხარდაჭერას; ისინი კვლავ ზეიმობდნენ თავიანთი ახალი სამოქალაქო უფლებების გამო, მაგრამ ამ ზეიმმა მათ წინაშე მალე ისევ დააყენა მართვის პრობლემა: რაკი ყოფილი მონები დარწმუნდნენ, აღარა ჰყავდათ უფროსები, ვისაც უნდა დამორჩილებოდნენ, ხელი აიღეს მიწის დაშუშავებაზე ადრე ნაყოფიერ მიწას სარეველა ბალახი მოედო, მაგრამ ხელისუფლება ჯერჯერობით თავს იკავებდა მკაცრად დაესაჯა ისინი, ვინც, პატრიოტობის მომიზეზებით, თავს არიდებდა ხენა-თესვისაგან წელში გაწყდომას. ოდესღაც გუთნის მიერ გავლებული კვლები გაიბარდა, მინდორში უსარგებლო ბუჩქები და შამბი გახლებულიყო — მზე ყველა მცენარეს გულუხვად აფრქვევდა სხივებს და სულაც არ არჩევდა, საჭირო რომელი იყო ხალხისთვის... ამასობაში პუენტ-ა-პიტრში მოვიდა იარაღითა და საომარი მარაგით დატვირთული ხომალდი „ბაიონეზი“. მას ქვეითი ჯარის მცირე რაზმიც ჩამოჰყვა, რომელსაც გაცილებით ნაკლები ხიშტი ჰქონდა, ვიდრე საექსპედიციო კორპუსის მეთაურობა ითხოვდა. კონვენტს ჯარისკაცები სჭირდებოდა, ამიტომაც შორეული კოლონიის დასაცავად დიდი რაზმების გაგზავნა

და ძალების დაქსაქსვა არ შეეძლო. ახალი კორექტურის გადასაცემად ესტე-
ბანს მოულოდნელად იუგის კაბინეტში გამოუძახეს, კომისარი გაზეთის კით-
ხვაში გართული დაუხვდა — იუგი გაზეთებს თითქმის ისეთივე მოუთმენლობით
ულოდა, როგორც დეპეშებს; პარიზის პრესა დროდადრო მის სახელსაც მოიხ-
სენიებდა. ვიქტორის მიერ უკვე გადათვალისწინებული გაზეთების კითხვას
ესტებანმა ვაოცებით შეიტყო, რომ უზენაესის პატივისცემის ნუშნად დღესას-
წაული დაეწესებინათ, მერე კი, როცა ისიც წაიკითხა, უღმერთობის სიგამო-
ხალხს გამოხედა, ჭაბუკმა განცვიფრებისგან ლამის პირი დააღო: ახლა თურმე
ურწმუნობას უზნეობად, მაშასადამე, არისტოკრატებისა და რევოლუციის მო-
წინააღმდეგეთა თვისებად მიიჩნევდნენ. ანაზღად ათვისტებისათვის, რო-
გორც რევოლუციის მტრებისთვის ისე დაეწყოთ ცქერა, საფრანგეთის ხალხი
კვლავ აღიარებდა სულის უკვდავებას და მოძღვრებას უზენაესის შესახებ.
მოუსყიდველს განეცხადებინა, ღმერთის არსებობისა და სულის უკვდავების
რწმენა ფანტაზიის ნაყოფი რომც იყოს, ეს ფანტაზია ადამიანის გონების
ყველაზე მშვენიერ ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ. ურწმუნო ადამიანებს „უბად-
რუკ მახინჯებად“ იხსენიებდნენ... ესტებანმა უცებ ისე გულიანად გადაიხარ-
ხარა, რომ შუბლშეჭმუნხულმა იუგმა გაზეთზემოდან გადახედა:

— რა ნახე მანდ სასაცილო?

— ღირდა კი გუბერნატორის მთაზე ეკლესიის დასანგრევად განკარგულე-
ბის გაცემა, საქმე ასე თუ შეტრიალდებოდა? — მიუგო ესტებანმა, რომელსაც
ბოლო ხანებში დაბრუნებოდა თავის თანამემამულეებისათვის ნიშანდობლივი
ხალისიანი განწყობილება.

ჩვეულ გარემოში მოხვედრილი ჭაბუკი ზღვის ნაცნობ ჰაერს რომ ისუნ-
თქავდა, პირს საყვარელი ხილით იგემრიელებდა და ტკბებოდა ტროპიკული
ხეების მზერით, თანდათანობით კვლავ თავის თავს ემსგავსებოდა.

— მე მგონი, ყოველივე ეს სწორია, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა
ვიქტორმა, — ისეთი ადამიანი, როგორც ისაა, არ შეიძლება ცდებოდეს; თუკი
მან საჭიროდ მიიჩნია ასე მოქცევა, მაშასადამე, ასეც უნდა მომხდარიყო.

— ახლა ამის გამო ხოტბას შეასხამენ, მის პატივსაცემად შესრულებუ-
ლი იქნება: „Te Deum“, „Laude“, „Magnificat“*, — უთხრა ესტებანმა.

— მერე რა, მან სავსებით დაიმსახურა, რომ აღმერთებდნენ, — სიტყვა
მოუჭრა ვიქტორმა.

— მაინც ვერ გამიგია, რა განსხვავებაა იაპვეს, სამყაროს დიდ არქიტექ-
ტორსა და უზენაესს შორის, — თავისას არ იშლიდა ესტებანი.

ამასთან ჭაბუკმა კომისარს გაახსენა, რომ იგი ადრე ამყოფდა თავისი ურ-
წმუნობით და სარკასტულად იხსენებდა მასონთა „რიტუალურ მასკარადს“. მაგრამ
ვიქტორი ყურს არ უგდებდა.

— თქვენს ლოჟას ძალზე ბევრი რამ ჰქონდა იუდეველობის. რაც შეეხება
კათოლიკების ღმერთს, ვისი სახელითაც ბერები ინკვიზიციისა და ტირანების
ყველაზე ბნელით მოცულ საქმეებს ლოცავდნენ, არავითარი საერთო არ არსე-
ბობს მასა და დაუსაბამოსა და მარადიულ უზენაესს შორის, რომელსაც თავი-
სუფალი ხალხის შესაფერისად, გონივრულად და ღირსეულად უნდა ვცეთ
თაყვანი. ჩვენ ფილოსოფოსთა ღმერთს მივმართავთ და არა ტორკვემადებისას!

ესტებანი დააბნია ძლიერი და დამოუკიდებელი გონებისადმი ამ ადამია-
ნის წარმოუდგენელმა მორჩილებამ, რომელიც იმ ზომამდე იყო პოლიტიკით

* „გადიდებთ, უფალო“, „დიდება“, „დიდებას სული ჩემი უფალსა“ (ლათ.).

გატაცებული, რომ კრიტიკულად ვერ შეეხედა მიმდინარე მოვლენებისთვის, არ სურდა დაენახა აშკარა წინააღმდეგობანი; იუგი ფანატიკურად — დიახ, სწორედაც რომ ფანატიკურად — იყო ერთგული ადამიანისა, რომელსაც იგი ძალაუფლებით აღეჭურვა.

— ხომ შეიძლება, რომ ხვალ ისევ გახსნან ეკლესიები, ებისკოპოსები აღარ მოიხსენიონ ორფეხა მიტრიან ურჩხულებად და პარიზის ქუჩებში წმინდანებისა და ღვთისმშობლის ხატებით კვლავაც გამოჩნდეს პაროქიები? — ჰკითხა ჭაბუკმა.

— მე მგონი, რომ ასეთ საქციელს სარწმუნო მიზეზი უეჭველად ექნება.

— მაგრამ შენ... შენ თუ გწამს ღმერთი? — შესძახა ესტებანმა და ფიქრობდა, ამ შეკითხვით მაინც აგრძნობინებდა უხერხულობას.

— ეს მართო მე ერთს მეხება და ამან არ შეიძლება შეარყიოს რევოლუციისადმი ჩემი ერთგულება.

— გგონია, რევოლუცია შეუმცდარია?

— რევოლუციამ, — დინჯად დაიწყო ვიქტორმა და მზერა ნაუსადგურს მიაპყრო, სადაც მოფერდებულ „ფედიტას“ აყენებდნენ, — რევოლუციამ აზრი მისცა მთელ ჩემს არსებობას. მე გარკვეული როლი მომაკუთვნა ჩვენი ეპოქის დიად საქმეში და ვეცდები, რაც შემიძლია, ყველაფერი გავაკეთო.

ჩამოდგა პაუზა, ახლა უკვე გარკვევით ისმოდა ბაგირს ჩაბლაუჯებულ მეზღვაურთა ხმამაღალი შეძახილები.

— მერედა უზენაესის კულტის შემოღებას შენც აპირებ? — ჰკითხა ესტებანმა, რომელსაც რელიგიის აღდგენის ყოველგვარი მცდელობა განდგომად ეჩვენებოდა.

— არა, — ყოყმანით უპასუხა კონვენტის კომისარმა, — ვუბერნატორის მთაზე ეკლესიის დანგრევა ჯერ არც კი დაუმთავრებიათ. ამიტომ ახლა ასეთი ნაბიჯის გადადგმა წინდაუხედაობა იქნებოდა. აჩქარება არ ივარგებს, ახლა უზენაესზე რომ დავიწყო ლაპარაკი, აქაურები მას კვლავ ჯვარზე გაკრულ, ეკლიანი გვირგვინითა და ფერდში ღია ჭრილობით წარმოიდგენენ, ეს კი არაფერ კარგს არ მოგვიტანს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ მარსის ველზე კი არა, სულ სხვა განედზე ვიმყოფებით.²

ესტებანმა ღვარძლიანი ნიშნისმოგება იგრძნო, როცა ვიქტორ იუგის ბაგიდან მოიხმინა ეს სიტყვები, რაც, ვთქვათ, მარტინეს დე ბალიესტეროსს შეიძლება წარმოეთქვა. ბევრ ესპანელს იქ დევნიდნენ და გილიოტინაზეც კი აპყავდათ მხოლოდ იმიტომ, რომ ამტკიცებდნენ: არ შეიძლება ქვეყანაში, სადაც ძველი ტრადიციები ძლიერია, პარიზის მიერ შემოთავაზებული მეთოდები გამოვიყენოთ. „არ შეიძლება ესპანეთში უღმერთობის ქადაგებით მისვლა“, — წინასწარ ფრთხილობდნენ ისინი. მათი აზრით, გონების ქაღალმურთად შემოსილ ვინმე მადმუაზელ ობრის არ შეეძლო სარაგოსის კათედრალურ ტაძარში საქვეყნოდ ისევე გამოემხეურებინა თავისი ლამაზი მკერდი, როგორც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში მოხდა (აქვე უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგ სულ მალე საფრანგეთის დედაქალაქში ტაძარი საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა, მაგრამ ვერავინ გაბედა პირადი სარგებლობისათვის შეეძინა ეს მონუმენტური, მაგრამ ნაკლებ სტუმართმოყვრული გოტიკური შენობა)...

— გაუგონარი წინააღმდეგობანია! — ჩაიბურტყუნა ესტებანმა, — არა, მე ასეთ რევოლუციაზე არ ვოცნებობდი.

— რა საჭიროა ოცნება იმაზე, რაც არ არსებობს? — ჰკითხა ვიქტორმა,

— ამასთან, ყოველივე ეს ცარიელი სიტყვებია. ინგლისელები ჯერ ისევ ბასტერში არიან, ჩვენ ახლა მარტოოდენ ეს უნდა გვაწუხებდეს, — მერე მკაცრად დაატანა, — რევოლუციას არ მსჯელობენ, რევოლუციას ახდენენ.

— წარმოგიდგენია? პარიზიდან წერილი ცოტა ადრე რომ მოსულიყო, ვუბერნატორის მთაზე ეკლესია დანგრევას გადაურჩებოდა, — თქვა ესტებანმა, ატლანტის ოკეანეზე ზურგის ქარს რომ დაებერა, უფალი ღმერთი თავის სახლში დარჩებოდა. ხანდახან რა ცოტა რამეზეა დამოკიდებული მსვლელობა!

— წადი და შენს საქმეს მიხედ, — უთხრა იუგმა ჭაბუკს, მხრებზე მძიმე ხელი დაადო და გასასვლელისკენ ებიძგა.

კაბინეტის კარის ჯახუნზე მოდიდინე მოსამსახურე ქალმა, კიბის მოაჯირს რომ აპრიალებდა, იქედნურად იკითხა:

— Monsieur Victor foche?*

და სანამ ესტებანი სასადილო ოთახს ვაივლიდა, ხითხითი და მოსამსახურეთა ჩურჩული მიაცილებდა.

ლიოიეების საბუჯდი მანქანა შეუსვენებლავ მუშაობდა: მესტამბეები ბეჭდავდნენ მეზობელ კუნძულზე მცხოვრები ფრანგი მიწათმფლობელებისადმი მიმართვებსა და მოწოდებებს: კომისარი ახალმოშენებს თანამდებობასა და მიწას პპირდებოდა, თუკი სცნობდნენ რევოლუციური მთავრობის ძალაუფლებას. სააგიტაციო ფურცლები თავის საქმეს აკეთებდა, რესპუბლიკის მოძხრეთა რიგები გაიზარდა, მაგრამ დღე დღეს მისდევდა, საფრანგეთის ჯარს კი მაინც ვერ გადაეწვიტა რივიერ-სალის გადალახვა. სექტემბრის ბოლომდე მდგომარეობა უცვლელი დარჩა, მაგრამ ამ დროს კონვენტის კომისარმა შეიტყო, რომ ყვითელი ციებ-ცხელება გვარიანად ათხელებდა ინგლისის ჯარის რიგებს, რომ გენერალ გრემის, ციკლონის შიშით, რომელიც წელიწადის ამ დროს ატყდებოდა ხოლმე თავს ქარის კუნძულებს, თავისი ესკადრის ნაწილი მარტინიკის კუნძულზე ფორ-რუაიალში გადაეყვანა, რადგან ამ ნავსადგურში უფრო იოლი იყო გრიგალისაგან თავის დაცვა. დიდხანს ფიქრობდნენ, როგორ ესარგებლათ უკეთ ამ მდგომარეობით, ბოლოს გადაწყვიტეს, საფრანგეთის ჯარი დაეყოთ სამ კოლონად დე-ლესევის, პელარდისა და ბუდის ხელმძღვანელობით; მათ სამი მხრიდან ერთდროულად უნდა ეცადათ ბასტერში შეღწევა. მოახდინეს ნავების, კაიკებისა და ინდიელთა პიროგების კონფისკაცია და ერთ ღამეს შეტევა დაიწყო. ორი დღის მერე ფრანგები ქალაქებს ლამანტენსა და პტი-ბურს დაეპატრონენ. ნ ოქტომბრის განთიადს კი ბერვილში გამაგრებული ბანაკის ალყა დაიწყო... პუენტ-ა-პიტრში შიშნული მოლოდინით ცხოვრობდნენ. ზოგნი ფიქრობდნენ, რომ ალყა დიდხანს გაგრძელდებოდა, რადგან ინგლისელებს თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად საკმაო დრო ჰქონდათ. სხვები ამტკიცებდნენ, გენერალი გრემი თავგზააბნეულია, რადგან ხედავს, რესპუბლიკის მთავრობამ რა უცბად მოიმაგრა ფეხი გრანდ-ტერშიო. ქალაქის მცხოვრებლები ღამის სასაცილოდ ივდებდნენ საბონის მთაზე გამაგრებული ბატარეის მიერ მათკენ მრისხანებით ნასროლ ყუმბარებს... იმხანად ესტებანი ხშირად ხვდებოდა გილიოტინის ყარაულსა და ჯალათს, ანსს, რომელსაც სახლში თავისებური კუნსტკამერა მოეწყო: მულატს შეეგროვებინა ზღვის მარაოები, მინერალის ნატეხები, თევზ-მთვარის ფიტული, თავისი ფორმით სხვადასხვა ცხოველს მიმსგავსებული ფესვები, ღია წითელი ზღვის ნიჟარები. ხშირად ორნი ისვე-

* ბატონი ვიქტორი გაბრაზებულია (ფრანგ.).

ნებდნენ გოზიეს ლამაზ ყურეში, ტკბებოდნენ იქ განლაგებული პატარ-პატარა კუნძულებით, რომლებიც მზის სხივებზე ქალცედონივით ბრწყინავდნენ. ანსი სილაში გასაციებლად რამდენიმე ბოთლ ღვინოს ჩაფლავდა, ამოიღებდა შალითიდან ძველ ვიოლინოს და ზღვიდან ზურგშექცეული ახრულვდა საკუთარი ვარიაციებით გამდიდრებულ ფილიდორის მშვენიერ პასტორალს. სეირნობის დიდი მოყვარული მუდამ მზად იყო, აღფრთოვანება გამოეფიტებოდა უჩვეულო ფორმის გოგირდის, იშვიათი პეპლისა თუ გზად შეხვედრიდნენ უძველესი და ნახვავზე. 6 ოქტომბრის შუადღისას ანსმა ბრძანება მიიღო, გილიოტინა ოთხთვალაზე დაედო და დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყო ბერვილის მხარეს. ფრანგებს ციხე-სიმაგრე დაეპყროთ. ვიქტორ იუგს შეტევაზე გადაუსვლელად მიეცა წინადადება გენერალ გრემისთვის არაუგვიანეს ოთხი საათისა დაეყარა იარაღი, და როცა ამ ვადის გასვლის შემდეგ კონვენტის კომისარი გამავრებულ ბანაკში შესულა, სადაც წაღმა-უკულმა ყრილა ნაჩქარევი უკანდახვევისას მიტოვებული ათასგვარი საგნები, იქ ათას ორასამდე ჯარისკაციც აღმოუჩენია, რომელთაგან ერთ კაცსაც არა სცოდნია ინგლისური: გენერალ გრემს წასვლისას თან წაეყვანა მონარქიისათვის მეგრძოლი კოლონიისტების ორი ათეული, — ისინი, ვისაც კარგად იცნობდა; დანარჩენები ბუდის ანაბარა დაეყარა. მეთაურის საზარელი ვერაგობით დათრგუნული, ბრიტანეთის დროშის ქვეშ გაერთიანებული ფრანგები პატარ-პატარა ჯგუფებად ისე მდგარან, სამოქალაქო ტანისამოსის გადაცმაც ვერ მოუსწრიათ.

— ეს რაღაც უაზრობაა, — განაცხადა ანსმა წასვლის წინ და გაურკვეველად გაიშვირა ხელი ოთხთვალასაკენ, რაზედაც ბრეზენტგადაფარებული მრისხანე მანქანა იდგა.

ქროდა ნოტიო ქარი, კუნძულ ძარი-გალანტზე კი უკვე კოკისპირულად წვიმდა — არემარეზე ჩამოწოლილი საავდრო ღრუბლებისაგან მწვანედ მოხასხასე კუნძულს ანაზღად ტყვიისფერი დასდებოდა...

— ეს რაღაც უაზრობაა, — იმეორებდა მეორე დღესაც პუენტ-ა-პიტრში დაბრუნებული ანსი.

წვიმისაგან გაფიებულ ჯალაის სიცივისაგან აკანკალებდა, თუმცა ყოველ გზადშეხვედრილ ტრაქტირში რომით ცდილობდა თურმე გათბობას; აი, შემთვრალმა ანსმა რატომ დაუწყო ესტებანს იმის განმარტება, რომ გილიოტინა მასობრივი სიკვდილით დასჯისთვის გამოუსადეგარი იყო. განსაზღვრულ რიტმზე გაანგარიშებული მისი მუშაობა დროდადრო გარკვეულ შესვენებას გულისხმობსო, და ვერ გაეგო კომისრის — მრისხანე მანქანის ამ დიდებული მცოდნის მოწადინება, — გილიოტინაზე ზედიზედ აეყვანა რვაას სამოცდათხუთმეტი სიკვდილმისჯილი. პროცედურის დასაჩქარებლად ყველაფერი ეღონათ, რაც არ აღემატება ადამიანის ძალას, მაგრამ ლალატისათვის საკუთარი სიცოცხლით შუაღამემდე მხოლოდ ოცდაათ სიკვდილმისჯილს ეგო პასუხი.

„საკმარისია“, — შესძახა კონვენტის კომისარმა.

და დანარჩენი ტყვეები ჯგუფ-ჯგუფად — ათ-ათი, ოც-ოცი დახვრიტეს ერთთად; გილიოტინიანი ოთხთვალა კი ოღროწილო გზების ავლით, პუენტ-ა-პიტრში დაბრუნდა; რაც შეეხება ბერვილში მომწყვდეულ ერთ მუჭა ინგლისელ ჯარისკაცებს, იუგმა გულმოწყალება გამოიჩინა და, განიარაღების შემდეგ, მათ ნება დართო ბრიტანეთის დამარცხებულ ლაშქარს შეერთებოდნენ. ახალგაზრდა ინგლისელ კაპიტანს, წასვლას რომ აყოვნებდა, ვიქტორმა უთხრა:

— მე ვაღიებული ვარ აქ ვიყო, შენ კი... შენ ვინ გაიძულებს უყურო, როგორ იღვრება ფრანგების სისხლი, რომელსაც იძულებით ვღვრი.

გვადელუპაზე „თეთრი უფროსების“ ერა დასრულდა, ეს ცნობა დოღების გამაყრუებელი ბრახუნით გამოაცხადეს.

— რაღაც უაზრობაა, — ისევ ისე იმეორებდა იმით დამწუხრებული ანსი, რომ ასე უსახელოდ დაიწყო მისი მოღვაწეობა: — ისინი რვაას სამოცდახუთნი იყვნენ, პირდაპირ კატორღული სამუშაოა.

ესტებანი დაფანტული უსძენდა ანსს, ისე როგორც ისმენენ ქაღალდზე და საკარგავში ამოფრქვეული ვულკანის ამბავს. ჭაბუკისათვის ბეჭედი ღებოდა ლოდ უცნობი ქალაქის სახელი იყო. სიკვდილმისჯილთაგან არც ერთი არ ენახა არასოდეს, ამიტომაც რვაას სამოცდახუთი კაცის სიკვდილით დასჯას მასზე არ მოუხდენია ჯეროვანი შთაბეჭდილება.

X X I

ბასტ-ტერში წინააღმდეგობის რამდენიმე კერა კიდევ იყო დარჩენილი, მაგრამ გენერალ გრემის ერთგულებსა და მონარქიის მომხრეებს ბრძოლის სურვილი თანდათანობით უნელდებოდათ და როგორც კი რაიმე სათევზაო ნავს მოიხელთებდნენ, უმაღლეს კუნძულზე გარბოდნენ. ფორ-სენ-შარლის დაცემის შემდეგ საბრძოლო კამპანია ფაქტიურად დამთავრდა. კუნძულები დეზირადი და მარი-გალანტიც ფრანგების ხელში აღმოჩნდა — ინგლისელების მხარეს გადასულმა ამ კუნძულთა გუბერნატორმა წინააღმდეგობის გაწევას თვითმკვლელობა ამჯობინა. ვიქტორ იუგი ახლა უკვე გვადელუპას სრული ბატონ-პატრონი იყო და შეეძლო ხალხისთვის გამოეცხადებინა, დღეიდან უკვე მშვიდად შეგიძლიათ იშრომოთო. თავისი სიტყვა სიმბოლურად რომ განემტკიცებინა, დარგო რამდენიმე ხე — მომაკვალში ამ ხეებს გამარჯვების მოედანი უნდა მოეჩრდილათ. სწორედ ამ დროს მოხდა ის, რასაც ყველა დიდი ხანია შიშნეული ცნობისმოყვარეობით ელოდა. ქალაქის მაცხოვრებელთა თვალწინ ამოქმედდა გილიოტინა. საჯაროდ დასჯის პირველ დღეს, როდესაც გადაწყვიტეს, თავი მოეკვეთათ მონარქიის მომხრე ორი მღვდლისათვის, ფერმაში იარადი და საბრძოლო მარაგი რომ გადაემაღათ, მოედანზე მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი. აქ, პარიზის მიბაძვით, უკვე აღემართათ გვერდზე კიბემიდგმული მყარი ფიცარნავი, რომელიც მაგარი კედრის ოთხ ბოძზე იყო გამართული. იმ ხანებში რესპუბლიკის მოდას საფრანგეთის ამ კოლონიაშიც შემოედწია, ამიტომაც ბევრი მულატი მოკლე ლურჯი ქერთუკით და წითელზოლიანი თეთრი შარვლით გამოწყობილიყო, მულატ ქალებს თავზე ამავე ფერებით შეხამებული კეწკეწა მოსახვევები ეხვიათ. ქალაქში ჯერ არ ენახათ ასეთი ხმაურიანი და მხიარული ბრბო; მზიანი დილის უღრუბლო ცაში ქარზე სამფეროვანი დროშა ირხეოდა, დროშის ფერები მეორდებოდა ადამიანთა ტანისამოსში. კომისრის კანცელარიის ფანჯრებიდან თავგადმოყოფილი გოგოები ყვირილითა და სიცილით იკლებდნენ იქაურობას, როცა რომელიმე ოფიცერი დაუყენებელ ხელს ფეხებშუა შეუცოცებდათ. ბიჭბუჭები სახლის სახურავზე ასულიყვნენ, რათა უკეთ ეყურათ სანახაობისთვის. მაყალზე ხორცი იწვოდა, თიხის ვეება დოქებში ანანასის წვეს ქაფი მოეგდო, სურნელოვანი რომი კი აგზნებას მატებდა ბრბოს. და მაინც ეშაფოტზე სადღესასწაულო ტანისამოსში გამოწყობილი, სუფთად გაპარსული, არაჩვეულებრივად ზეიმური ანსის გამოჩენაზე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კაპ-ფრანსესგან განსხვავებით, — იქ რა ხანია არსებობდა შე-

სანიშნავი თეატრი, სადაც ახალ ორლენში მიმავალი დრამატული დასები ახალ პიესებს უჩვენებდნენ, — პუენტ-ა-პიტრი არ იყო სანახაობით განებივრებული. აქ არათუ პიესები არ იღებოდა, სცენა თვალთაც არ ენახათ. ამიტომაც ხალხმა იმ დღით პირველად გაიგო, რა იყო ტრაგედია. აქ ბედისწერა მონაწილეობდა; დაუნდობელსა და აუცდენელ დანასთან ერთად, სწორედ რომ ბედისწერა უსწორდებოდა იმათ, ვისაც ბოროტგანზრახულად აქვთ ხელში იარაღი თავისი ქალაქისა და სამშობლოს წინააღმდეგ. ანტიკური ქორუსი როლს კი მაყურებელი ასრულებდა, მათი სიტყვები, სტროფივითა და ანტისტროფივით, ხმაურიან ექოდ ეღებოდა ხის ფიცარნაგს... უეცრად გამოჩნდა მაცნე. ჩაფრებმა გაიწ-გამოიწიეს და ხალხით გაჭედებულ მოედანზე შემოვიდა ოთხთვალა, რომელზეც ორი სიკვდილმისჯილი იჯდა: ხელები ორივესთვის თოკით შეეკრათ, თითებით კი ერთსა და იმავე კრიალოსანს მარცვლავდნენ... გაისმა დოლების საზეიმო ბრახუნი; ადამიანის სიმძიმისაგან გილიოტინის ბერკეტი ამოძრავდა; დანა ძირს დაეცა, — ბრბომ დაიყვირა. რამდენიმე წუთში დასრულდა ორი სიკვდილმისჯილის დასჯა... ხალხი კი ადგილიდან მაინც არ იძვროდა. თითქოსდა გაოცებული იყო ტრაგიკული მოქმედების ასე უცაბედად დამთავრებით, მარტო თბილი სისხლიდა წვეთავდა ფიცარნაგის ღრიტოებს შორის; და უცებ, ეტყობა, საშინელი შთაბეჭდილებისაგან თავის დასაღწევად, ბევრ მაყურებელს მოუნდა გაშმაგებული მხიარულება, — ასე თუ ისე, სადღესასწაულო დღე იყო და შეეძლოთ, არ ემუშავათ. ყველას სურდა წაეტრაბახათ თავისი ახალი ტანისამოსით, სურდათ, რაღაც ისეთი ჩაედინათ, რაც განამტკიცებდა სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას. და რაკი ზოგიერთი ცეკვა ყველაზე საუკეთესო საშუალებად მიაჩნდათ ტანისამოსის გამოსამზეურებლად, მაგალითად, იმისათვის, რათა ეჩვენებინათ, როგორ ლივლივებდა კარმანიოლას! აბრეშუმის კალთები, ბევრმა მონდომებით დაიწყო კონტრდანსის ფიგურების გამოყვანა, — ჯერ წინ გამოდიოდნენ, მერე მწკრივებად დაწყობილნი უკან იხევდნენ, წყვილებს იცვლიდნენ, რევერანსებს აკეთებდნენ, წელში იხრებოდნენ და ისევ იმართებოდნენ, ამასთან, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ თადარიგის მოყვარულებს, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ წესრიგის დამყარებას. ხმაური თანდათან მატულობდა, ბოლოს და ბოლოს ცეკვის, ხტუნვის, სიცილისა და ყვირილის სურვილი ისეთი დაუძლეველი გახდა, რომ ხალხმა ფერხული ჩააბა და ცერებზე შემდგარმა ფარანდოლას ცეკვა დაიწყო: ჯერ გილიოტინის ირგვლივ ტკეპნიდნენ ერთ ადგილს, მერე მეზობელი ქუჩისკენ გაეშურნენ და გვიან საღამომდე ხალხის ტალღა ხან ისევ მოედანს მოაწყდებოდა, ხან უკუქცეული, ეხოებსა და ბაღებს მოედებოდა... ამ დღიდან მრისხანე კუნძულზე ტერორი გამეფდა. გამარჯვების მოედანზე შეუსვენებლივ მოქმედებდა გილიოტინა და სიკვდილის მოესველი დანა სულ უფრო სწრაფად და სწრაფად ეცემოდა ძირს. ქალაქში ერთმანეთს ზოგი მარტო გარეგნობით სცნობდა, ზოგი ერთმანეთის ახლო ნაცნობი იყო, ამიტომაც საჯარო დასჯა უამრავ ცნობისმოყვარე ხალხს იზიდავდა — ერთი სიკვდილმისჯილის მიმართ ბოროტად იყო განწყობილი, მეორეს ვერ დაევიწყებინა ადრე გადატანილი დამცირება. და საშინელი მანქანა თანდათანობით პუენტ-ა-პიტრის ცხოვრების ცენტრად გადაიქცა. ვაჭრები ნავსადგურის მეზობლად მდებარე ამ ლამაზი მოედნის ახლომახლო განლაგდნენ, აქ გადმოიტანეს თავიანთი დახლები და მაყლები, დუქნები და ფარდულები; და ახლა თითქმის მთელი დღე — ყოველი სიკვდილის დასჯის შუაღედში — როცა რომელიმე, ჯერ კიდევ გუშინ ყველასაგან პატივ-

ცემული და ნაპირფერები ადამიანის თავი მხრებს სცილდებოდა, — ისინი მყიდველებს ცხელ-ცხელ ნაზუქებს და წიწაკას, დარიჩინსა და ფენოვან ღვეზელს, ანანასსა და ახალ თევზს სთავაზობდნენ. და რაკი ეს ადგილი ვაჭრობისათვის ძალზე ხელსაყრელი გამოდგა, ჩქარა იგი ძველმანების ბაზრადაც იქცა, არასნაირი ხარახურით და ნაადრევად გადაყრილი საქონლით გაცხოველებულ ვაჭრობა იმართებოდა. აქ ისევე როგორც აუქციონზე, შეიძლებოდა გვეხვით: ფანჯრის გისოსები, მოსამართი ჩიტი, ჩინური სერვიზის თეფშები, ცხენის კაზმულობას ქვაბებზე სცვლიდნენ, სათამაშო ბანქოს ქალაღს — შეშაზე, ძვირფას საათებს — კუნძულ მარგარიტის მარგალიტზე. მემწვანილის დახლი თუ მეწვრილმანის ფარდული ერთ დღეში ანტიკვარულ ღუქნად იქცეოდა. რაღა არ იყო აქ! სამზარეულოს მოწყობილობა თუ გერბიანი სასოუსეები; ჭადრაკის, ნოხებისა და მინიატურების გვერდით ელაგა ვერცხლის ჭურჭლეულობა. ემაფოტი ქუჩის ბანკის, ბაზრისა და მუდმივი აუქციონის ღერძად ქცეულიყო. ირგვლივ ვაჭრობდნენ, ილანძლებოდნენ, ხმამაღლა კამათობდნენ, გილიოტინა კი თავის საქმეს აკეთებდა. იგი თანდათან რაღაც ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ამბად იქცა. ოხრაზუმისა და ოსურნელას კონების გვერდით ჰყიდდნენ პაწაწინა სათამაშო გილიოტინებს, ბევრი კი მას სახლში სამშენისადაც იყენებდა. საზრიანმა გოგო-ბიჭებმა მინიატურული მანქანა ააწყვეს და კატებს დაუწყვეს თავების წაცლა. ერთმა სანდომიანმა მულატმა გოგომ, დელესეგის ერთ-ერთი ლეიტენანტის განსაკუთრებული კეთილგანწყობით რომ სარგებლობდა, თავის სტუმრებს სასმელი ადამიანის სხეულის ფორმას მიმსგავსებული ხის მათარებით მიართვა; მათარები სინზე ეწყო, ჯალათის პატარა, მოსამართ ფიგურას კი მოძრაობაში მოჰყავდა პაწაწა დანა, — მაგრამ ამ დროს საცობები, ზედ მზიარული სახეები ოსტატურად რომ იყო გამოსახული, დანდობილა სხლტებოდნენ განზე. უამრავი სიახლე და გასართობი გამოჩნდა კუნძულის ადრე მიძინებულსა და პროვინციულ ცხოვრებაში; თანდათან შესამჩნევი ხდებოდა, რომ ტერორი სოციალური კიბის საფეხურზე მტკიცედ ეშვებოდა ძირს და ახლა უკვე დაბალი ფენის ხალხსაც ავლებდა მუსრს. როცა ვიქტორ იუგმა შეიტყო, აბისის ოლქში ბევრი ზანგი აცხადებდა უარს მონარქისტებისათვის ჩამორთმეული მიწის დამუშავებაზე, აქაოდა. უკვე თავისუფალი ხალხი ვართო, ბრძანა, დაეჭირათ მოთავეები და სიკვდილით დაესაჯათ. ესტებანმა, ცოტა არ იყოს, გაოცებით შეამჩნია, რომ კონვენტის კომისარი, რომელსაც ცამდე აჰყავდა რესპუბლიკის მეორე წლის 16 პლიუვიოზის დეკრეტი, არ გამოხატავდა ზანგების მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიას.

— მაგათ ისიც ეყოფათ, ფრანგი მოქალაქეებივით რომ ვექცევით, — ხშირად იმეორებდა მკვახედ.

ვიქტორისათვის უცხო არ იყო რასობრივი ცრურწმენა, რაც სენ-დომენგში მისი დიდი ხნით ყოფნით აიხსნებოდა, სადაც ახალმოშენეები განსაკუთრებულნი სისასტიკით ეპყრობოდნენ თავიანთ მონებს: ისინი ზანგებს აიძულებდნენ, მთელი დღე ემუშავათ, თანაც უქნარებს, კრუტინებს, ქურდბაცაცებს და ყბედებს ეძახდნენ, რომელთაც ყოველ წუთს გაქცევაზე ეჭირათ თვალი. რაც შეეხება რესპუბლიკის ჯარისკაცებს, ისინი სულაც არ ამბობდნენ უარს ფერაკნიან ქალებზე, მაგრამ ყოველი უმნიშვნელო საბაბის გამო ზანგებს აბუჩად იგდებდნენ და არც ცემა-ტყეპას აკლებდნენ, თუმცა აღიარებდნენ, რომ ზოგიერთები, მაგალითად, კუთროვანი გიგანტის — ვულკანის მსგავსნი, მშვენიერი მეზარბაზნეები დადგნენ. ომი სანამ იყო, თეთრკანიანები და შავკანიანები გვერ-

დიგვერდ იბრძოდნენ, ჩამოდგა თუ არა მშვიდობა, მათ შორის უფსკრული გა-
 ჩნდა. თავდაპირველად იუგო ადგილობრივ მოსახლეობას იძულებით სამუშაოზე
 ამუშავებდა, ყველა ზანგს, ვისაც კი ბრალად დაედებოდა სიზარმაცე, ურჩობა,
 კანონის არად ჩაგდება ან შეამბოხეობა, სიკვდილით სჯიდნენ; რაკი ჰგუა ყვე-
 ლასთვის უნდა ესწავლებინათ, გილიოტინამ დატოვა გამარჯვების მთედანი და
 კუნძულის სხვადასხვა მხარეში დაიწყო ხეტიალი: ორშაბათს, დელაუთენია
 ლე-მულში მივიდა; სამშაბათს გოზიეში ამოქმედდა, სადაც სიკვდილით უნდა
 დაესაჯათ ერთი ვინმე ავზნე, უქნარა; ოთხშაბათს სენტ-ანის ძველ ეკლესიაში
 დამალულ ექვს მონარქისტს აუგო ანდერძი; დაჰქონდათ მრისხანემანქანიანი
 ოთხთვალა სოფელ-სოფელ და ყოველ შემხველრ ტრაქტირთან აჩერებდნენ.
 გულუხვი გამასპინძლებისა და ორიოდუ ჭიქის გადაკვრის შემდეგ ჯალათსა და მის
 თანაშემწეებს დიდი ხვეწნა-მუდარა არა სჭირდებოდათ, რათა ყოველი მსურვე-
 ლისათვის ეჩვენებინათ, როგორ მოქმედებდა შექანიზმი. რასაკვირველია, ამ
 მოგზაურობისას გილიოტინას თან არ ახლდა დიდი დოლების მთელი ესკორ-
 ტი, რომელიც პუენტ-ა-პიტრში ახშობდა სიკვდილმისჯილთა უკანასკნელ ამო-
 ძახილს, მაგრამ, სამაგიეროდ, ოთხთვალაზე ჰქონდათ ერთი ვეებერთელა დოლი,
 გილიოტინის უქმად მუშაობისას, დოლს ვინმე მხიარულად აახმიანებდა და
 იფიქრებდით, ხალისიანი რაღაც საბაზრო წარმოდგენა გაუმართაუთო. გლე-
 ხები, ვისაც მრისხანე მანქანის ძალის გამოცდა სურდათ, დანის ქვეშ ბანანის
 ძირებს აწყობდნენ — არაფერი ისე არა ჰგავს ადამიანის კისერს, როგორც
 თითქოსდა სისხლძარღვებით დასერილი, ბანანის მრგვალი და ტენიანი ძირები.
 ხანდახან, დავის გადასაჭრელად, დანის ქვეშ ერთდოულად შაქრის ლერწმის
 ექვს ღეროს ღებდნენ, ფოლადის დანაც ექვსივეს სჭრიდა. მერე ჯალათი და
 მისი თანაშემწეები დოლის ბრაზაბრუხით, თამბაქოს წვეითა და სიმღერით,
 ოფლისაგან გაწაბლისფერებული ფრაგიული ჩაჩების სწორებით, დანიშნულ
 მხარეს ეშურებოდნენ. უკან დაბრუნებისას გილიოტინა ისე იყო სავსე ხილით,
 რომ ოთხთვალა ნაყოფიერების ქალღმერთის ეტლი გვეგონებოდათ.

რესპუბლიკის მესამე წლის დასაწყისში ვიქტორ იუგო დიდების მწვერ-
 ვალზე იყო. კონვენტი აღფრთოვანებული მიესალმებოდა მის ზედიზედ მოპო-
 ვებულ გამარჯვებებს, წოდებებს უმტკიცებდა იუგის მიერ დაწინაურებულ ოფი-
 ცრებს, იუგს ყველა განკარგულებასა და დეკრეტს უწონებდა, უგზავნიდა დი-
 დებულ მისალოცებს, ატყობინებდა მამველი ჯარის, იარაღისა და საომარი მა-
 რაგის გამოგზავნის ამბავს. მაგრამ კომისარს ჯარისკაცები აღარ სჭირდებოდა:
 ბოლოს ჩატარებული შეკრების შემდეგ მის განკარგულებაში აღმოჩნდა არც-
 თუ ურიგოდ გაწვრთნილი ათიათასიანი არმია. მონარქისტების ქონების კონ-
 ფისკაციის შედეგად სკივრები სიმდიდრით ჰქონდათ გატენილი, საწყობებში
 ყველაფერი ჰქონდათ აუცილებელი. იუგმა იმოგზაურა ცოტა ხნის წინათ ინგ-
 ლისელებთან ბრძოლაში უკან დაბრუნებული კუნძულის იმ ნაწილში, სადაც
 რამდენიმე წლის წინათაც იყო ნამყოფი; და ახლა იგი ლამის გულაჩუყებული
 ტკებოდა ქალაქ ბასტ-ტერის სილამაზით, სადაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე მო-
 რაკრაკებდა ნაკადული და იფრქვეოდა შადრევანი, თამარინდჩარიგებულ ფართო
 ქუჩებში სასიამოვნო სიგრილე იდგა. ბას-ტერი პუენტ-ა-პიტრთან შედარებით
 გაცილებით არისტოკრატიულად და დახვეწილად გამოიყურებოდა, ქუჩები
 ვრცელი ჰქონდა, ხანაპიროები — ჩრდილიანი. სახლები თლილი ქვით იყო ნა-
 გები, რამდენიმე ადგილი რომეორს, ნანტს ან ღა-როშელს მოგავგონებდათ.
 კომისარი სიამოვნებით გადმოიტანდა აქ თავის რეზიდენციას და კანცელარიას-

თან ერთად წმინდა ფრანცისკის წყნარსა და მყუდრო სავანეში მოათავსებდა, მაგრამ აქაური პორტი, რომელიც მხოლოდ მეზობელი კუნძულებიდან ჩამოყვანილი საქონლის მისაღებად ვარგოდა, — საქონელს წყალში ჰყრიდნენ და ისინიც ნაპირებამდე ცურვით აღწევდნენ, — ფრანგულ ფლოტს მოხერხებულ სადგომობას ვერ გაუწევდა. თავისი ტრიუმფალური მოგზაურობის გაგრძელებისას ვიქტორ იუგს აღფრთოვანებით შეხვდნენ კეთროვანები კუნძულ დეზირადზე, კუნძულ მარი-გალანტის ღარიბი თეთრკანიანი ახალმოშენებლები და ამ კუნძულის აბორიგენები, კარიბელი ინდიელები; ტომის ბელადმა ყველა ინდიელის სახელით კომისარს თხოვნით მიმართა, მათთვისაც მიენიჭებინათ ფრანგი მოქალაქის სასიამოვნო წოდება. რაკი იუგმა იცოდა, რომ ეს ხალხი შესანიშნავი ნეზღვაურები და არქიპელაგის კარგი მცოდნენი იყვნენ — მათი წინაპრების სწრაფმავალ ნავებს ჯერ კიდევ მანამდე აქონდათ დავლილი ყველა ახლომახლო კუნძული, სანამ აქ იზაბელასა და ფერდინანდის დიდი ადმირალის ხომალდები გამოჩნდებოდა — ინდიელებს კოკარდები ჩამოურიგა და აღუთქვა, ყველა თხოვნას აგისრულებთო. იუგი კარიბელებისადმი გაცილებით სიმპათიურად იყო განწყობილი, ვიდრე ზანგების მიმართ; მას მოსწონდა ინდიელთა სიამაყე, მათი მეომრული ბუნება და ქედმაღლური დევიზი: „მხოლოდ კარიბელია ღირსი ითვლებოდეს მამაკაცად“, ახლა კი ისინი უფრო მეტად დარწმუნდნენ ამაში. როცა თქმოსაკრავები სამფეროვანი კოკარდებით დაიმშვენეს. კუნძულ მარი-გალანტის მონახულებისას კონვენტის კომისარმა ითხოვა, სანაპიროზე ეჩვენებინათ ის ადგილი, სადაც კარიბელებმა — ანტილის კუნძულების ამ დაუდეგარმა დამპყრობლებმა — სარზე გასვეს მრავალი წლის წინათ ინდიელი ქალების გატაცების მოსურნე ფრანგი მეკობრეები. ზედ ზღვისპირა სილაში ჩარჭობილ მარგილებზე ახლაც მოჩანდა ადამიანის ჩონჩხები და თავის ქალები. გვაგებს, რომლებიც სარებზე ისე აეცვათ, როგორც მწერები ქინძისთავზე, კარგა ხანს ღრუბელივით ეხვეოდა თურმე ყვავ-ყორნები და ნაპირი შორიდან მოძრავი ლავით დაფარულივით მოჩანდა... ბრბოს მისასალმებელ შეძახილებსა და აღფრთოვანებასაც არ დაუვიწყებია კომისრისთვის, რომ ინგლისელები მეზობელ ზღვას სერაუდნენ და კუნძულს ბლოკადით ემუქრებოდნენ. დამდამობით იუგი ხშირად იკეტებოდა დე ლესეგთან, — მეზღვაურის მუნდირს უკვე კონტრადმირალის ზოდები ამშვენებდა, — და ერთად ამუშავებდნენ საზღვაო კამპანიის გეგმებს, რომელსაც მთლიანად უნდა მოეცვა კარიბის ზღვის აუზი. ამ გეგმას დიდი საიდუმლოებით ინახავდნენ. ერთხელ კომისრის კაბინეტში შესულმა ესტებანმა ასეთი რამ მოიხილა: ვიქტორს ოფლიანი სახე მრისხანეებისაგან დაბრეცოდა, თმა გაბურძგნოდა, გარშემო ურბენდა გრძელ მაგიდას, რომლის ირგვლივ, ჩვეულებრივ, სამხედრო საბჭო იკრიბებოდა, და დროდადრო ჩინოვნიკების ზურგს უკან შედგებოდა. — იმათ კი თავიანთი საქმე მიეტოვებინათ და ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ ახალ გაზეთებს.

— შენც შეიტყვე ხომ? — უყვირა იუგმა ესტებანს და აკანკალებული ხელი გაზეთს ატაკა. გაზეთში მოთავსებული იყო დაუჯერებელი ცნობა 9 თერმიდორს პარიზში მომხდარი ამბის შესახებ.

— არამზადები, უკეთესთა შორის უკეთესნი დაამხეს! — იფეთქა ვიქტორმა.

მოულოდნელმა ცნობამ შესძრა ესტებანი, თანაც ამსიშორეზე მოვლენა ორმაგად დრამატული ჩანდა. ხდება ხოლმე, როცა რაიმე მოვლენას ხალხი დიდხანს განჭვრეტს, იგი მაინც არსებულად მიაჩნია, თუმცა უკვე წარსულსაა

ჩაბარებული. მსგავსად ამისა, აქ, ამ ოთახში სულ ცოტა ხნის წინათ ლაპარაკობდნენ იმ ადამიანის დღევანდელსა თუ ხვალინდელ მოღვაწეობაზე, რომლის სიცოცხლე თურმე რამდენიმე თვის წინათ აღსრულებულიყო. აქ ისევ და ისევ მსჯელობდნენ უზენაესის კულტის შესახებ, მის შემქმნელს კი ეშაფოტთან უკვე დასცდნოდა მკერდიდან ამოხეთქილი საშინელი გმინვა, როცა ჯალათს დაღეწილი ყბებიდან უხეშად ჩამოეგლიჯა სახვევი. მომხდარი ამბავი განსაკუთრებით საშინელი იყო იუგისათვის. ეს ისეთ გართულებებს უქადდა, რომ მწარე საგონებელს მისცემოდა. ტიტანი, რომლის სურათი ძველებურად ეკიდა კომისრის კაბინეტში, სადაც ყველას შეეძლო ენახა ისეთი, როგორიც იყო დიდების დღეებში, უკვე დაემხოთ; იუგს დღეის შემდეგ ველარ ექნებოდა ამ ადამიანის იმედი, რომელმაც ნდობა გამოუცხადა, ძალაუფლებით აღჭურვა და ავტორიტეტი შეუქმნა; უფრო მეტიც, ვიქტორს ახლა მრავალი კვირის მანძილზე, შეიძლება თვეების მანძილზეც, მოლოდინით უნდა ეცხოვრა და არაფერი სცოდნოდა, როგორ შეიცვლებოდა მოვლენები საფრანგეთში. სავსებით სარწმუნო იყო, რომ რეაქცია ყველაფრის გამო რევანშს აიღებდა, შესაძლოა, იქ უკვე შექმნილი იყო ახალი მთავრობა და უარყოფდა ყოველივე იმას, რაც წინამორბედებს შეექმნათ. გეადელუპაზეც გამოჩნდებოდნენ ძალაუფლებით მოსილი ახალი ადამიანები, რომელთაც მჭმუნვარე სახეები და უხეში ქცევა, ჯიბეში კი საიდუმლო ბრძანება ექნებოდათ. კონვენტში გაგზავნილი ვიქტორ იუგის მოხსენება ბერვილში სიკვდილით დასჯის შესახებ შეიძლება ახლა მის საწინააღმდეგოდაც შემობრუნებულიყო. ეგებ უკვე გადაყენებულიცაა თანამდებობიდან, შეიძლება მის მიმართ სასამართლო ძიებაცაა აღძრული, და იგი მარტო მის კარიერას კი არა, სიცოცხლესაც უქმნის საფრთხეს. ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა კომისარი 9 თერმიდორის მსხვერპლთა სახელებს, თითქოსდა ამას შეეძლო ნათელი მოეფინა, თვითონ რა მოელოდა მოძავალში. რამდენიმე ჩინოვნიკი ჩურჩულით ამტკიცებდა, შეიძლება დღეის შემდეგ უფრო რბილი, ასატანი პოლიტიკისა და რელიგიურ წეს-ჩვეულებათა აღდგენის დრო დადგესო. „ანდა მონარქიის რესტავრაციისა“ — გუნებაში თქვა ესტუბანმა, რომლის სულში საწინააღმდეგო გრძნობები ებრძოდნენ ერთმანეთს. მას შვებას ჰკვრიდა იმაზე ფიქრი, რომ ამდენი ტანჯვა-წამების შემდეგ სიმშვიდე ჩამოდგებოდა, ამასთან, ზიზღსა და სიძულვილს განიცდიდა ტახტის მიმართ. ხალხს უდიდესი ძალ-ღონე შეეღია, წარმოეშვა უამრავი წინასწარმეტყველი, მოწამე და მქადაგებელი, რომლებიც ხანძრის აღში თუ ტრიუმფალური თაღის მისადგომებთან დაღუპულიყვნენ გრანდიოზული აპოკალიფსური ხილვების დღეებში, ამიტომაც არ შეიძლებოდა ისტორიის შემობრუნების მოთმენა. იმდენი სისხლი დაღვრილიყო, რომ არ უნდა ჩაევლო ყოველივეს ამაოდ, აღარ უნდა მოეპოებინა რაიმე ღირებულება დამყაყებულ მონარქიას. არა, ჯერ კიდევ შეიძლებოდა რაღაც სამართლიანობის დამყარება, შესაძლოა უფრო მეტი სამართლიანობისა, ვიდრე აქამდე იყო, რომელსაც მრავალსიტყვაობისა და აბსტრაქტული მსჯელობის გამო, ნამდვილი სახე დაკარგოდა — მრავალსიტყვაობა ხომ ერთ-ერთი ყველაზე უდიდესი მანკი იყო უკვე გარდასული ეპოქისა; შეიძლებოდა კიდევ ჰქონოდათ იმედი თავისუფლებისა, რომლის გამოც უფრო ნაკლებად იხმაურებდნენ, მაგრამ მეტ სარგებლობას მიიღებდნენ; შეიძლებოდა კვალავაც ჰქონოდათ იმედი თანასწორობისა, რაზედაც ნაკლებს ილაპარაკებდნენ, მაგრამ კანონის მიერ იქნებოდა დაცული; ჰქონოდათ იმედი ძმობისა, რომელიც ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდა ცილისწამებას და ნათელ გამოხატულებ-

ბას ჰპოვებდა ჭეშმარიტ სასამართლოში, სადაც კვლავაც გაიმართებოდა ნაფიც მსაჯულთა სხდომები... ზურგზე ხელებდაწყობილი ვიქტორი კვლავ წინ და უკან დადიოდა, მაგრამ ეტყობოდა, უკვე ცოტა დამშვიდებულიყო, ბოლოს მოუსყიდველის სურათთან გაჩერდა.

— მაშ ასე, აქ ყველაფერი ძველებურად დარჩება, — წარმოთქვა მცირე პაუზის შემდეგ, — მე არა მსურს და ვერ მივიღებ ამ ახალ ამბავს. არც ვცნობ იაკობინური მორალის გარდა სხვა მორალს. და ვერაინ მაიძულებს ამანქანების თქმას. და თუ რევოლუციას საფრანგეთში დაღუპვა უწერია, იგი აქ, ამერიკაში გაგრძელდება. დაღვა ღრო, მივხედოთ მატერიკს, — და ესტებანისკენ შემობრუნებულმა ვიქტორმა დააყოლა, — დაუყოვნებლივ შეუდექი ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციისა და კონსტიტუციის ტექსტის ესპანურად თარგმნას.

— რომელი წლის კონსტიტუციისა, ოთხმოცდათერთმეტისა თუ ოთხმოცდაცამეტის? — იკითხა ჭაბუკმა.

— ოთხმოცდაცამეტის. მე სხვა კონსტიტუცია არ ვიცი. ამ კუნძულიდან უნდა გავრცელდეს იდეები, რომლებიც აამოძრავებენ ესპანეთის ამერიკას. ჩვენ მომხრეები და მოკავშირეები თვით ესპანეთშიც გვყავდა, მომხრეებს ამერიკის კონტინენტზეც გაუიჩნთ; ისინი ალბათ აქ უფრო ჭარბად მოიძებნებიან, რადგან უკმაყოფილონი კოლონიაში გაცალეებით მეტნი არიან, ვიდრე მეტროპოლიაში.

X X I I

მოხუცმა ლიოიე რომ შეიტყო, ტექსტი ესპანურ ენაზე უნდა დაებეჭდა, შემფოთებულმა უკვებ აღმოაჩინა, რომ მის სასტამბო საღაროში არ იყო ბგერა „ნ“-ს რბილად წარმოთქმის მიმნიშნებელი ტილდე.

— ვის მოუვიდოდა აზრად, რომ ესპანელები ამ მიზნით ასო „ნ“-ს თავზე განსაკუთრებულ ნიშანს უსვამდნენ? — გაჯავრებით ეკითხებოდა საკუთარ თავს, — ახლა როგორ მოვიქცე? ხომ შეიძლება, რომ ამის გამო რომელიმე კეთილშობილი სიტყვა დავამახინჯო?

მესტამბის აზრით, ის ფაქტი, რომ წინასწარ ამის გამო არავინ გააფრთხილა, მეტყველებდა სრულ არეულობასა და უწესრიგობაზე იმ ადამიანთა შორის, რომელთაც ქვეყნის ბატონ-პატრონად მოჰქონდათ თავი.

— მაგათ ისიც კი არ გახსენებთათ, რომ ესპანურ ენაში ტილდეა საჭირო! უმეცართა კრებული! — ბობოქრობდა იგი.

ბოლოს გადაწყდა, ასო „ნ“-ის თავზე ტილდეს მაგივრად ტირე დაესვათ, რაც გვარიანად გაართულებდა ტექსტის აწყობაზე მუშაობას. მიუხედავად ამისა, სულ მალე დაიბეჭდა ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია და მთელი ტირაჟი კომისრის კანცელარიაში მიიტანეს, სადაც განგაშისა და გაურკვევლობის ატმოსფერო სუფევდა. თერმიდორის ქარტეხილს ბევრისთვის შეეცვლევინებინა შეხედულება. კრიტიკულ აზრს, ადრე ყველა რომ მალავდა, ახლა ხმამაღლა გამოთქვამდნენ, თუმცა არა უცხო ყურის გასაგონად. როდესაც ესტებანმა ლიოიეებს ოთხმოცდაცამეტი წლის ესპანურად თარგმნილი კონსტიტუცია მიუტანა, მოხუცმა სავანგებოდ წააკითხა, რანაირ ხერხს აღარ მიმართავდნენ მაღალი იდეალების პროპაგანდისას, რათა შეექმნათ ილუზია, თით-

ქოსდა უკვე ხორცი შეესხათ ამ იდეალებისთვის, თუმცა სინამდვილეში მსგავსი რამ არ მომხდარიყო, ვინაიდან ჯერჯერობით საუკეთესო განზრახვასაც კი ყველაზე მოულოდნელი და საშიხელი შედეგი გამოეღო. იქნებ ახლა ამერიკელებმა სცადონ ცხოვრებაში იმ მნიშვნელოვანი პრინციპების გატარება, რომლებიც ტერორის პერიოდში თითქმის ფეხქვეშ იქნა გათედილი, შემდეგ კი ნელ-ნელა მისგან უკან დაიხიონ, როცა ამას გარდამავალი პოლიტიკური გარემოება მოითხოვსო.

— აქ, კონსტიტუციაში ნახსენებიც არ არის გილიოტინის დანა და მცურავი საპყრობილე, — სიტყვა გადაუკრა ლიოიემ კარპაჭებზე, რომლებითაც ჯერ კიდევ სავსე იყო საფრანგეთის ატლანტის სანაპიროს პორტები, და ტრიუმფიდან პატიმართა გმინვა ისმოდა. სავალალო სახელი მოეხვეჭა, კერძოდ, ხომალდ „მამა როშარს“, მისი სახელწოდება — კაცს ბენიამინ ფრანკლინის აღმანახს რომ მოაგონებდა — ახლა დაცინეასავით უღერდა.

— ჯობია, ჩვენს ანაბეჭდებს მივხედოთ, — მოუჭრა სიტყვა ესტებანმა.

ჯერჯერობით, ამ გაურკვეველობის უამს, საჭირო იყო ყოველდღიური მოვალეობის შესრულება, ჭაბუკიც მთელი სულითა და გულით ეკიდებოდა თავის საქმეს, რაც გარკვეულ სულიერ სიმშვიდესა და შვებას აგრძნობინებდა. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთესად ეთარგმნა და ეს შველოდა, თავიდან მოეცილებინა სამწუხარო ფიქრები; ესტებანი არანვეულებრივი გულმოდგინებით მუშაობდა, საგულდაგულოდ ზრუნავდა ენის საწმინდისათვის, სკრუპულოზურად ეძებდა ზუსტ სიტყვას, მარჯვე სინონიმებს, სწორ სინტაქსურ წყობას, იგი ჭეშმარიტად იტანჯებოდა იმის გამო, რომ ესპანურ ენაზე თითქმის შეუძლებელი იყო ფრანგული ენის ახალი ლაკონური კონსტრუქციების გადმოცემა. ფრაზის კარგი უღერადობის მიღწევისას ესტებანი ესთეტიკურ სიამოვნებას განიცდიდა, თუმცა შინაარსისადმი გულგრილი იყო. მთელი დღეები აშალაშინებდა ბიო-ვარენის მოხსენების თარგმანს: „დემოკრატიული მმართველობის დოქტრინად მოქალაქეობრივი სათნოებისადმი სიყვარულის ჩავონების აუცილებლობა სახალხო დღესასწაულებითა და ზნეობათა დადგინებით“. თუმცაღა ამ ადამიანის მძიმე პროზა, წამდაუწუმ რომ აწუხებდა ტარკვინიუსის, კატონისა და კატილინას² აჩრდილებს, ესტებანს ისევე მოძველებული, ყალბი და თანამედროვეობისგან დაცილებული უჩვენებოდა. როგორც თავის დროზე უცხოელთა გამაერთიანებელ ლოყაში ნასწავლი ფრანკმასონთა ჰიმნის სიტყვები. როგორც კი რაიმე გაუჭირდებოდათ, მამა-შვილი ლიოიეები მასთან მირობდნენ — მესტამბეებს ხომ მათთვის გაუგებარ ენაზე უხდებოდათ ტექსტის აწყობა, — ისინი ჭაბუკს სთხოვდნენ, აეხსნა ამა თუ იმ ორთოგრაფიული ნიშნის აზრი, ეკითხებოდნენ, როგორ უნდა გადაეტანათ სწორად რომელიმე სიტყვა. მოხუცი ლიოიე ნამდვილი ოსტატის მზრუნველობით ეპყრობოდა ყოველ ანაწყობს, წუხდა, როცა არ აღმოჩნდებოდა საჭირო თავსართი ან ალევორიული ორნამენტი, რათა ლამაზად დაეწყო ან დაესრულებინა ესა თუ ის თავი. რედაქტორ-მთარგმნელსაც და მესტამბეებსაც ნაკლებად სჯეროდათ იმ სიტყვებისა, რომლებიც მათი წყალობით ქვეყანას უნდა მოსდებოდა, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ სამუშაო მაინც კეთილსინდისიერად უნდა შეესრულებინათ, არ დაემახინჯებინათ ენა და ქალაქი სირცხვილით არ გაეწითლებინათ. კონსტიტუციას ბოლოში მიბეჭდილი ჰქონდა „ამერიკული კარმანიოლას“ ტექსტი — ეს იყო ცნობილი სიმღერის ვარიანტი (სხვა ვარიანტი თავის დროზე ბაიონში დაიწერა) და განკუთვნილი იყო ახალი ქვეყნის ხალხებისათვის:

მე — საბრალო და უბოვარი
 დღეს მეჩლისს ვმართაე,
 ცეკვის გავაჩაღებთ
 ქვემეხთა ქუხილზე,
 ქვემეხთა ქუხილზე!
 (მისამღერი)



იცეკვეთ, იცეკვეთ კარმანიოლა,
 დე ქუხდეს ირგვლივ
 დე ქუხდეს ირგვლივ.
 იცეკვეთ, იცეკვეთ კარმანიოლა,
 ეს გაუმარჯოს ქვემეხთა ქუხილს.

ტანზე პერანგი არ შაცვია,
 შიშველ-ტიტველი ვარ ქვეყნად მარებელი:
 გადასახადებით სულსა მხდიდა
 ავაზაკი მეფე-მბრძანებელი,
 ავაზაკი მეფე-მბრძანებელი,
 ავაზაკი მეფე-მბრძანებელი:
 (მისამღერი)

ყველა მეფე ქვეყნად ტირანია,
 მაგრამ სულ სხვაა ჩვენი სისხლისმსმელი,
 მლეწავი ხალხის სიცოცხლის კალოსი,
 მშიშარა, ფლიდი კარლოსი
 მშიშარა, ფლიდი კარლოსი,
 მშიშარა, ფლიდი კარლოსი,
 (მისამღერი)

მომღევნო სტროფებში ამერიკის ცხოვრების შესანიშნავი მცოდნე უცხო-
 ბი ავტორი ამხილებდა მეფისნაცვლებს, კორეხიდორებს და ალკალებს; ვალ-
 ში არა რჩებოდა არც მოსამართლეებთან, მთავრობის ჩინოვნიკებთან და მო-
 ნარქიის მომხრე ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სიმღერის შემთხვევლმა,
 ეტყობა, იცოდა უკვე უზენაესის კულტის შესახებ და ლექსს ასე ამთავრებდა:
 „ღმერთი ჩვენთანაა, ბრძოლაში გვეხმარება, რადგან განარისხა მეფეთა ცოდ-
 ვებმა, ეს გაუმარჯოს სამშობლოს სიყვარულს, გაუმარჯოს თავისუფლებას! ძირს
 მტარვალები და მეფის დესპოტიზმი!“ ასეთსავე სულისკვეთებას ავლენდნენ ბა-
 იონში ესპანელი შეთქმულები, ვის შესახებაც ბუნდოვანი ცნობები ხანდახან
 აღწევდა ესტებანამდე. ჭაბუკს ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ მარატის მეგობარ
 გუსმანს ეშაფოტზე აიყვანდნენ. აბატი მარჩენა, მითქმა-მოთქმას თუ დაუჯე-
 რებდა, ჟირონდისტებისათვის ანგარიშის გასწორებისას, სასჯელს გადარჩენოდა.
 რაც შეეხება დიდებულ მარტინეს დე ბალიესტეროსს, ის ალბათ ისევ საგო-
 ნებელს იყო მიცემული, როგორ ეცხოვრა, — უფრო სწორად, როგორ გადარ-
 ჩენოდა სიკვდილს ისე, რომ კვლავინდებურად მაინც რევოლუციისათვის გაე-
 წია სამსახური, თუმცა ეს რევოლუცია უკვე სავსებით განსხვავდებოდა იმისა-
 გან, რასაც თავდაპირველად აღტაცებაში მოჰყავდა. მაშინ ბევრნი ჯერ კიდევ
 პირვანდელი აღტყინების გავლენით განაგრძობდნენ იმ სამყაროში შრომას,
 რომელიც სრულებით არა ჰგავდა მათ მიერ ნაოცნებარს; ისინი გულგატეხი-
 ლობასა და სინანულს მოეცვა, მაგრამ, ამასთან, მამა-შვილი ღიოიეებისა არ
 იყოს, მაინც პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებდნენ თავიანთ ყო-
 ველდღიურ მოვალეობას: სხვაგვარად არც შეეძლოთ. ეს ადამიანები არ განს-
 ჯიდნენ; ახლა მთავარი იყო ეცოცხლათ, რაღაც ეკეთებინათ, ყოველ დღით

მშვიდად შესდგომოდნენ თავიანთ საქმიანობას, და ისინიც ცხოვრობდნენ დღევანდელი დღით, მარტო იმაზე ფიქრით, რომ კარგი იქნებოდა ნასადილევს ერთი ჭიქა ღვინო გადაეკრათ და ზღვაში ებანავათ, რომ საღამოვამს შეიძლება გრილ ნიავს დაებერა, სასიამოვნო იყო აყვავებული ფორთოხლის ხეების სურნელება, და შეიძლება ღამე სასურველ ქალიშვილთან გაეტარებინათ. ირგვლივ ისეთი მასშტაბის ამბები ზღებოდა, უბრალო მოკვდავებს შუშლებდა ჯერონად ვერც მათ ჩაწვდომას, ვერც განსაზღვრასა და შეფასებას, და ამ მოვლენათა ფონზე საოცრად საინტერესო იყო ზოგიერთი მწერის მიმიკრიაზე, სკარაბაიოს სასიყვარულო თინებზე და მუხლუხას პეპლად გადაქცევაზე მოულოდნელი დაკვირვება. სწორედ ამ დიდი და საყოველთაო შიშის დღეებში ესტებანს განსაკუთრებით იზიდავდა პაწაწინა არსებები: ის საათობით უთვალთვალედა წყლის სავსე კასრში როგორ აღმოცენდებოდა ხოლმე მიწიდან სოკო, როგორ ხრავდნენ ჭიანჭველები ლიმონის ფოთლებს და როგორ ამსგავსებდნენ მათ არშიას. ერთხელ, თითქოსდა კალმის და მელნის სათხოვნელად, ესტებანის ოთახში ღამაში მულატი გოგო შევიდა: ხელზე სამაჯურები უბრჭყვიალებდა, ეცვა გახამებული, საგულდაგულოდ დაუთოებული ქვედა კაბა, რომლის ქვეშაც სარჩული უშარიშურებდა; გოგოს ვერბენის სასიამოვნო სუნი ასდიოდა. ნახევარსაათიანი ნეტარი ხვევნა-აღერისის შემდეგ ახალგაზრდა ქალმა გრაციოზული რევერანსით, მაგრამ ამჯერად უსამკაულომ, ესტებანს თვითონვე წარუდგინა საკუთარი თავი:

Mademoiselle Athalil Rajaset, coiffeuse pour dames*.

— უცნაური ქვეყანაა! — შესძახა ესტებანმა, რომელსაც წუთით დავიწყებოდა თავისი საზრუნავი.

ამ დღიდან იგი ყოველ ღამეს მადმუაზელ ატალასთან ატარებდა.

— ქვედა კაბის გახდისას ერთდროულად მჩუქნის რასინის ორ ტრაგედიას,³ — სიცილით ეუბნებოდა ჭაბუკი მესტანბე ლიოიეებს.

სამსახურის საქმეების გამო (ესტებანს უნდა შეედგინა კუნძულის სხვადასხვა პორტში შემოსული ზოგიერთი ტვირთის ნუსხა) მას ხანდახან ბასტიერშიც უხდებოდა წასვლა, სადაც მწვანიახს შორის გაწოლილი ოღროჩოღრო გზით მიდიოდა, — აქ, ამ ნიადაგ ღრუბლებმოხვეული და ნისლმობურული მთებიდან ნაკადულები და ჩანჩქერები გადმოჩქეფდა. მგზავრობისას ისეთ მცენარეულობას ნახულობდა, რითაც მისი მშობლიური კუნძული იყო დაფარული, მაგრამ თავის დროზე მის გასაცნობად ავადმყოფობა უშლიდა ხელს, — ახლაკი მცენარეთა მთელი ეს სამყარო ყოველდღე ედგა თვალწინ და ისიც ივსებდა ყრმობისა და სიჭაბუკის ფამს შეძენილი ცოდნის ხარვეზებს. იგი ნეტარებით ისუნთქავდა ანონას ნაზ სურნელებას, თამარინდის მწკლარტე სუნს, პირს იტკბარუნებდა წითელი და სოსანგულიანი სათუთი ნაყოფით: შიგნით, გულში ისინი ფარავდნენ შესანიშნავ კურკებს, რომელთა გარსი კუს ჯავშანს ანდა შავი და წითელი ხის პრიალა მერქანსა ჰგავდა. ესტებანი კბილებს ჩაასობდა ცივსა და თეთრად მბზინავ ანონას, გლეჯდა კაიმიტოს ჟოლოსფერ ქერქს და ტუჩებით ხარბად ეძებდა ნაყოფის გულში მიძალულ პრიალა მარცვლებს. ერთხელ, როცა ესტებანის უნაგირმოხდილი ცხენი ნაკადულში ნებივრობდა და ზურგზე დაცემულს ოთხივე ფეხი ქაერში აეშვირა, ესტებანმა ხეზე ასვლა გადაწყვიტა: ქვედა ტოტს ჩაჭიდებულმა როგორც კი დაძლია ყველაზე დიდი სიძნელე, ხის კენწეროსკენ იწყო ახოხება. მიცოცავდა ერთმანეთში გადახლართულ რტოებს

* მადმუაზელ ატალა ბიიაზეთი, ქალთა პარიკმახერი (ფრანგ.).

შორის, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე წვრილდებოდნენ და იქცეოდნენ ხშირფოთ-ლიანი ვარჯის საყრდენად, მწვანე სკად, დიდებულ ჩარდახად, რომლის შიგნი-თაც პირველად მოხვდა. გამოუთქმელი, არაჩვეულებრივი მღელვარება იგრძნო და სიხარულით აივსო, როცა ბოლოს და ბოლოს შეძლო დაესვენა ყველაზე მა-ღალ ორკაბ ტოტზე, რტოებისა და ყლორტებისაგან მოწყობილ მოქანავე ჩარ-დახში. რაღაც არის განუმეორებელი ხეზე ასვლაში; ეგებ ეს არც შენამდე ჩაუდენია ვინმეს და შენ შემდეგაც არავინ ჩაიდინოს, ის, ვინც შენამდე მკერდს ეხვევა, რამდენადმე საქორწინო აქტს ასრულებს; ძალით აღწევს სხვე-ბისათვის იდუმალ სამყაროში. მზერა უცებ აღიქვამს ხის მოელ სილამაზეს და ნაკლს. იგი ხან ქალის ბარძაყებს მიმსგავსებული ორი მოქნილი ტოტია, ხან ჩამომტკვრეულ რტოთა ადგილას დარჩენილი ღრმული, ხან ვარჯთა დიდებული ისრული კამარა, ხან უცნაური განტოტება, რის გამოც მაცოცხლებელი წვენი მხოლოდ ერთი მხრის ტოტებისკენ მიედინება, მაშინ როცა დანარჩენი ხმება და ცეცხლისთვისღა რჩება გამოსადეგი. თავის საივალთვალო პუნქტში აცოცე-ბული ესტებანი სულ უფრო და უფრო ღრმად სწვდებოდა იმ ამოუცნობ ურთი-ერთ კავშირს, რასაც ასე ხშირად ამყარებდნენ ანძას, გუთანს, ხესა და ჯვარს შორის, და უნებურად ახსენდებოდა წმინდა იპოლიტეს სიტყვები: „ეს ხე მე მეკუთვნის: იგი მომიძღვნის საკვებს და მაძღვეს თავშესაფარს. მე მის ფეს-ვებში ვპოულობ ნუგეშს და სულს ვიბრუნებ მის რტოებზე; მე ვუსმენ მისი ფოთლების შრიალს, ვითარცა უსმენენ ქროლვას ქარისას. იქ არის ჩემი ვიწ-რო ბილიკი; იქ არის ჩემი გზა საძნელო; იგი ჩემთვის კიბეა იაკობისა, რომელსა ზედა მეუფებს უფალი“. ღირსშესანიშნავი კონტურები წმინდა ანტონისა და წმინდა ანდრეას ჯვრისა, სპილენძის გველემაპისა, ღუზისა თუ კიბისა, საუკუ-ნეების მანძილზე არის დაფარული ყოველ ხეში, რაშეთუ შემოქმედის მიერ შექ-მნილი წინ უსწრებს ადამიანის ხელით შექმნილს: აკი გამოადგა იგი ნიშუშად კიდობანთა მომავალ მშენებელს...

ხშირად საღამოს ბინდი ესტებანს რომელიმე ხის კენწეროზე მოუსწრებდა; ტოტები ქარზე ოდნავ ირწეოდნენ და ჭაბუკი მთელი არსებით ეძლეოდა ავ-ხორცულ ნეტარებას, რომელიც სურდა, უსასრულოდ გაგრძელებულიყო. ნა-ადრევი ბინდისას მცენარეები დაბლა მოულოდნელ ფორმას ღებულობდნენ. ნესვის ხეები, ნაყოფი ჯიქნებს რომ მიუგავდათ, თითქოს იღვიძებდნენ და ნე-ლინელ მიიწვევდნენ სუფრიერის შორეული მხრჩოლავი სიმაღლისაკენ; სეიბი, მოხუცი ზანვის თქმით, „ხეების დედა“, კიდევ უფრო მეტად ემსგავსებოდა ობ-ელისკს, როსტრულ სვეტს,⁴ ძეგლს და საღამოს ბინდბუნდში გაცილებით მა-ღალი ჩანდა; გამხმარი მანგოს ხეები დაგრაგნილ გველებად ქცეულიყვნენ, რომ-ლებიც, იტყოდით, მტერს ჰკვეთებიან, მაგრამ დაგესვლა ვეღარ მოუსწვრიათ და ეგრევე დარჩენილან გაშეშებულებიო, სხვები — ქერქსა თუ ყლორტებში და-უტეველი წვენითა და სიცოცხლით სავსენი — ანაზდად აყვავებულნი ყვითელი ალივით ბრიალებდნენ. ესტებანი ხეებს ისეთი ინტერესით ათვალიერებდა, გე-გონება, მის წინ ცოცხალი არსებანი იყვნენ. ყველაზე პირველად თრიმლანა გა-ჩნდა, იგი მწვანე ღილსა ჰგავდა, მისი მწკლარტე წვენი ნულლის გემოს მოგა-გონებდათ. ესტებანი აკვირდებოდა, ნაყოფი თანდათანობით როგორ იძენდა თა-ვის ფორმასა და მოხაზულობას, თავდახრილი გვერდიდან ნიკაპჩამოგრძელე-ბულ მოხუც ჯადოქარს ემსგავსებოდა. ნაყოფს ნაირ-ნაირი ფერები აჩნდებოდა. ღია მწვანე თანდათანობით ზაფრანისფრად იქცეოდა, უკვე დამწიფებული კი — კრიტიული, ხმელთაშუა ზღვისა თუ ანტილური კერამიკის ფერებით იწყებდა

ელვას, მაგრამ შემდეგ პირველი ლაქები, პატარა შავი წერტილები, დაბერების პირველი ნიშნები ახეშეშებდა იოდისა და ტანინის სუნის მფრქვეველს. ერთ საღამოს კი ნაყოფი წყდებოდა ტოტს და მოახლოებული საკუთარი სიკვდილის მაუწყებლად ხმაურით ეცემოდა ცვარიან ბალახებში: ნაყოფის თანდათან გადიდებული შავი ლაქები შიგ გულისაკენ რომ ისწრაფვოდა, ბოლოს ნამდვილ წყლულად იქცეოდა და ქინქლიც ბუინასავით ეხვეოდა. ერთგვარულად ტრადიციული ცეკვისას, ისე ქუცმაცდებოდა ქანთარდნილი ნაყოფი და მისგან, სუდარის ნაფლეთებში გახვეული ჩონჩხის დარად, უფერული, ხაზებიანი თესლიდა რჩებოდა. მაგრამ აქ, ამ სამყაროში, რომლისთვისაც უცხო იყო ზამთრობით სიკვდილი და გაზაფხულობით მკვდრეთით აღდგომა, ცხოვრების ორომტრიალი უმალ იწყებოდა თავიდან: მიწაზე დაცვნილი თესლიდან რამდენიმე კვირაში აღმოცენებას იწყებდა მინიატურული იაპონური პატარა ხის დარი ვარდისფერფოთლებიანი ყლორტი, ისეთი ნაზი და ადამიანის კანს იმდენად მიმსგავსებული, რომ შეხებაც კი შეგეშინდებოდათ. ესტებაანს ხანდახან დაბურულ ტყეში მოუსწრებდა ხოლმე თავსხმა და ამ დროს ჭაბუკი ერთმანეთს უდარებდა ტროპიკულ თქემსა და ძველი სამყაროს სევდის-მომგვრელ, მონოტონურ წვიმას. აქ, ამერიკაში სიმფონიის შესავლის დარი მძლავრი და დიადი გუგუნი იუწყებოდა ქარიშხლიანი კოკისპირული წვიმის მოსვლას, გაქუცული ქორები კი დედამიწის თავზე წრიულ ფრენას იწყებდნენ, წრე თანდათანობით ვიწროვდებოდა და ფასკუნჯებიც სახიფათო ადგილს ტოვებდნენ. ჰაერში იდგა ტყის სინოტივისა და ბარაქიანი, პოხიერი მიწის სურნელი; ამ სურნელს დაწაფებული ფრინველები იფოფრებოდნენ, ცხენები ყურებს აცქვეტდნენ, ადამიანი კი რაღაც ფიზიკურ წამებას განიცდიდა, იპყრობდა მოუსვენარი სურვილი, მაგრად ჩახვეოდა სხვა ცოცხალ არსებას. ირგვლივ უცბად ბნელდებოდა, ზემო ტოტებიდან ისმოდა ერთ რაკუნის, მერე ზაათითა და ხმაურით ძირს მოასკდებოდა სიმხნევის შემმატებელი ცივი ნაკადი: ლიანები და ბანანის ღერები სიმებივით იწყებდნენ ცახცახს, მსხვილი ფართო ფოთლები გადაჭიმული აპკებივით ხშიანებდნენ... წვიმის ნაკადი ასკდებოდა უზარმაზარი პალმის ვარჯებს, იქიდან, როგორც კააუდრალოური ტაძრის წყალსადინარი მილიდან, ესხმებოდა პატარა პალმებს და თქარათქური გაუდიოდა; დია მომწვანო კარვიდან ასხლეტილი მსხვილ-მსხვილი წვეთები მცენარეულთა ხშირი ფოთლების იარუსებში იკარგებოდნენ, მალანგის აგურივით მაგარ ბარდებზე იმსხვრეოდნენ, ნამცეცდებოდნენ და ბოლოს, უამრავ პაწაწინა წინწკლებად ქცეულნი, ტყის ნოყიერი ბალახის სასიხარულოდ, დედამიწამდე აწევდნენ. ქარიც თავის პარტიას ასრულებდა წვიმის ამ ბობოქარ სიმფონიაში, რომლის დროსაც ნაკადულები მრისხანე ნიაღვრად იქცეოდნენ, მას ბანს აძლევდა თავქვე დაქანებული რიყის ქვების სულ უფრო და უფრო მზარდი გუგუნი. ნაპირებიდან გადმოსული ნიაღვარი გრუხუნით მოაგორებდა ლოდებს, მოჰქონდა წაქცეული ძროები, ნუერიანი ხეები, დაკვანძილი და ერთმანეთზე გადახლართულფესვებიანი კუნძები: ნაკადულის შესარიავს მიღწეული ეს კუნძები მეჩენის შლამში გარიყული ხომალდებივით ეფლობოდნენ. მერე უეცრად ყველაფერი წყნარდებოდა, ცა გადაიკარებდა, ბინდი ჩამოწვებოდა, დასველებული ესტებანიც ფეხმარდი ცხენით გზას განაგრძობდა. ფოთლებიდან წვეთები თავზე წვიმასავით დასდიოდა, ხეებს ჭაბუკი ერთმანეთისგან სუნით არჩევდა, რომელიც ერწყმოდა არომატის დიდებულ ჰიმნს... ასეთი მგზავრობიდან პუენტ-ა-პიტრში დაბრუნებული ესტებანი თავს მარტოსულად და გარიყულად გრძნობდა: ცივი-

ლიზაციის ცენტრისგან მოშორებულ ამ მკაცრ სამყაროში ყველაფერი უაზრობად ეჩვენებოდა. ეკლესიები აქ კვლავინდებურად დაკეტილი იყო. თუმცა საფრანგეთში ტაძართა კარები ხელახლა, ვინ იცის, გაუღოთ კიდევ. ზანგები თავისუფალ მოქალაქეებად გამოაცხადეს, მაგრამ ისინი, ვინც ძალდატანებით ჯარისკაცებად ან მეზღვაურებად არ ექციათ, კვლავ ქედწაზრილნი მუშაობდნენ — მათრახით ხელში მათ თავზე განუწყვეტლად ადგათ ზედამხედველნი ნუკანნიკი გილიოტინის ავბედითი სილუეტი ილანდებოდა. ახალშობილებს სწავლიდნენ ტანტანატს, ლეონიდსა და ლიკურგეს არქმევდნენ, ბავშვებს სინამდვილიდან ძალზე შორს მდგარ რესპუბლიკის კატეხიზმოს ასწავლიდნენ, ცოტა ხნის წინათ დაარსებულ იაკობინელთა კლუბში მოუსყიდველზე ისე ლაპარაკობდნენ, როგორც ცოცხალზე. ეშაფოტის სისხლით გაწებულ ფიცარნაგზე მსხვილი ბუხები დაცოცხლდნენ, ვიქტორ იუგს და მის მხედართმთავრებს კი ბოლო ხანებში ცუდი ჩვეულება დასჩემდათ — ნასადილევს კარგა ხნით იძინებდნენ მოსკიტებისაგან დასაცავი თხელი ფარდის ქვეშ; მათ ძილს პალმის ფოთლების ქნევით დარაჯობდნენ მულატი ქალები.

X X I I I

დღითი დღე უფრო მეტად განმარტოებული ვიქტორ იუგის დანახვაზე ესტებანი გულსათუთი ქალივით წუხდა. კონვენტის კომისარი ძველებური ურყევი სიმტკიცით ასრულებდა თავის მოვალეობას — აჩქარებდა სასამართლოებს, შეუსვენებლივ ამოქმედებდა გილიოტინას, კვლავინდებური რიხით წარმოთქვამდა სიტყვებს, კარნახობდა განკარგულებებს, სცემდა კანონებს, გამოჰქონდა სასიკვდილო განაჩენები, ურეოდა ყველა საქმეში; მაგრამ ვინც კარგად სცნობდა მას, ხვდებოდა, რომ იუგის დაუცხრომელი მოღვაწეობა გამოწვეული იყო იღუმალის სურვილით, როგორმე ჩაეხშო შინაგანი განგაში. ვიქტორმა კარგად იცოდა, ბევრ ყველაზე მორჩილ ქვემეწროდმს ძილშიც კი ის ესიზმრებოდა, როგორ მოვიდოდა პარიზიდან გულცივი გადამწერის მიერ გადაწერილი გერბიანი ქალაქი-დეკრეტი მისი გადაყენების შესახებ. ასეთ დროს ესტებანს სურდა, იუგის გვერდით ყოფილიყო, ყველგან თან ხლებოდა, დაემშვიდებინა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, კომისარი მით უფრო მიუკარებელი ხდებოდა; თავის ოთახში ჩაკეტილი გათენებამდე კითხულობდა, საღამო ხანს კი ეტლით დელესეგთან ერთად გოზიეს ყურეში მიდიოდა: იქ, წელამდე გაშიშვლებული, მოკლე ბამბის შარვლის ამარა ჯდებოდა ნავზე და მიცურავდა უდაბურ კუნძულზე, საიდანაც ღამულა ბრუნდებოდა, როცა სანაპიროს ბარდებიდან გუნდ-გუნდად წამოიშლებოდნენ მოსკიტები. ვიქტორი ხელახლა კითხულობდა ძველი დროის ორატორთა შრომებს; შესაძლოა, წინასწარ ემზადებოდა თავდასაცავი სიტყვისათვის, რაკი სურდა მჭევრმეტყველებით გამობრწყინება მისი ბრძანებები ერთმანეთზე დაუფიქრებელი და ურთიერთსაწინააღმდეგო ხდებოდა. თანდათან უფრო ხშირად იპყრობდა მოულოდნელა მრისხანება, სწორედ ამ დროს მოულოდნელად აყენებდა თანამდებობიდან დაახლოებულ პირებს, ანდა სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა მაშინ, როცა მისგან ბრალდებულის შეწყალებას ელოდნენ. ერთ დღით, განსაკუთრებით ცუდ გუნებაზე გაღვიძებულმა ბრძანა, საფლავიდან ამოეთხარათ კუნძულის ყოფილი ინვლისელი გუბერნატორის, გენერალ დანდასის ნეშტი და პირდაპირ შუა გზაზე დაეგდოთ. რამდენიმე სა-

ათის განმავლობაში დაუნდობელ ჩხბუში ძალები ერთმანეთს გლეჯდნენ გვამის მსუქან ნაჭრებს და ქუჩა-ქუჩა დაარბენინებდნენ ადამიანის აყროლებულ ხორცს, რომელსაც ზედ ბრიტანეთის განსვენებული მხედართმთავრის საპარადო მუნდირის ნაფლეთები ეკიდა. არაფერს დაზოგავდა ესტებანი, ოღონდაც კი დაემშვიდებინა იუგის მშფოთვარე სული, რომელსაც პორიზონტზე უცბად გამოჩენილი იალქნის დანახვაზე განგაში იპყრობდა; არაფერს დაზოგავდა, ოღონდაც ნუგეში ეცა ადამიანისათვის, ვისი მარტოსულობა — მისი უფუტ აშკარა ხდებოდა, რაც უფრო მეტად იზრდებოდა მისი ისტორიული როლი. ჭეშმარიტმა სარდალმა, მკაცრმა და ურყევმა იშვიათი სიმამაცის ადამიანმა ვიქტორ იუგმა გვადელუპაზე ისეთ წარმატებას მიაღწია, რომელიც რესპუბლიკის ბევრ გამარჯვებას დაჩრდილავდა. მაგრამ აქედან დაშორებულ ქვეყანაში მომხდარ მკვეთრ პოლიტიკურ ცვლილებებს, სადაც წითელი ტერორი აღვირაშვებულ თეთრ ტერორს შეეცვალა, ამოქმედებინა ყველასათვის უცნობი ძალები — იმათ კი შეეძლოთ კოლონიის ბედი ისეთი ადამიანებისათვის ჩაებარებინათ, რომელთაც არაფერი გაეგებოდათ მისი მართვა-გამგებლობისა, ყოველივე ამასთან ერთად, ცნობილი გახდა, რომ ვიქტორ იუგის მფარველი დილიბარადი, სწორედ ის დილიბარადი, რომელსაც რობესპიერი ჯიუტად იცავდა დანტონის ერთ-ერთი მეგობრის მფარველობის ბრალდებისაგან, ახლა თერმიდორელების მხარეზე გადასულიყო. ეს ამბები კომისარს ზიზლსა გვრიდა, ახალ-ახალი უსიამოვნო ცნობები თავგზას უბნედა და გადაწყვიტა დაეჩქარებინა იმ გეგმის განხორციელება, რომელსაც უკვე რამდენიმე თვეა გულში ატარებდა კონტრადმირალ დე ლესეგთან ერთად.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! — წამოიძახა ერთხელ იმათი მისამართით, ვისაც პარიზში მისი ბედი უნდა გადაეწყვიტა, — სანამ ისინი თავიანთი უბადრუკი ქალაქით აქ მოვლენ, ვეცდები ისე გავძლიერდე, რომ პირდაპირ სახეში მივაყარო იმ ქალაქის საცოდავი ნაფლეოები.

ერთ დილას ნავსადგურში მოულოდნელად გაჩაღდა მუშაობა, რამდენიმე მსუბუქი ხომალდი — უმთავრესად ორანძიანი — შესაკეთებლად დოკში გადაიყვანეს. უფრო დიდ ხომალდებზე მუშაობდნენ ხუროები, მგმანავები, მფისავები, ყველგან საღებავების სუნი იდგა, ისმოდა ჩაქუჩების რაკუნი, ხერხების წრიპინი, ნაპირებიდან კი ნიჩბებიანი კანჯოებით გემზე მსუბუქი იარაღი გადაჰქონდათ. ძველი საბაჟოს შენობის ფანჯარაში გადმოყრდნობილმა ესტებანმა შეამჩნია, რომ გემებისათვის სახელებიც ახალი დაერქმიათ. „კალიფსო“ ანაზად „ტირანთა რისხვად“ ქცეულიყო, „ჯომარდი“ — „კარმანიოლად“, „მერცხალა“ — „მრისხანე მარიდ“, „ფუძის ანგელოზი“ — „შურისმგებლად“. კარგა ხანს მეფის სამსახურში ნამყოფ ძველ გემებზე მოჩანდა მსხვილი ასოებით გამოყვანილი სახელები: „აერალი“, „მოუხელთებელი“, „სანკიულოტი“, „ათენელი ქალი“, „ხანჯალი“, „ვილიოტინა“, „ხალხის მეგობარი“, „ტერორისტი“, „მხიარული ძმები“. ფრეგატი „ფედიტა“, რომელსაც პუენტ-ა-პიტრის დაბობვისდროინდელი ჭრილობები უკვე მოეშუშებინა, დღეიდან „მოუსყიდველად“ იწოდებოდა, — უეჭველია, ასეთი იყო ნება ვიქტორ იუგისა, რომელიც მარჯვედ არჩევდა სახელებს, რაკი ფიქრობდა, რომ თითოეულ სიტყვას ჰქონდა თავისი საკუთარი, სხვებისგან სრულიად დამოუკიდებელი მნიშვნელობა. ნეტა რით აიხსნება ეს დაუცხრომელი საქმიანობა, ეკითხებოდა ესტებანი საკუთარ თავს. სწორედ ამ დროს შემოვიდა მადმუაზელ ატალა და აუწყა, უფროსი სასწრაფოდ გიბარებსო. მოსამსახურე ქალს ცარიელი პუნშის ჭიქები გაჰქონდა. ეს-

ტებანი ამით მიხვდა, კომისარი ცოტა ნასვამი იყო, თუმცა არც ფეხი ეშლებოდა და საოცრად ნათელი აზროვნებაც შეენარჩუნებინა — ალკოჰოლი მასზე ყოველთვის ამგვარად მოქმედებდა.

— მაშ ძალიან გინდა აქ დარჩენა? — ჰკითხა ღიმილით ვიქტორმა.

კითხვა ისეთი მოულოდნელი იყო, რომ კედელზე აკრულმა ესტებანმა აკანკალებული ხელი თმაზე გადაისვა. აქამდე გვადელუპას დატოვება შეუძლებლად ეჩვენებოდა და აქედან წასვლაზე არც უფიქრია.

— მაშ ძალიან გინდა პუნტ-ა-პიტრში დარჩენა? — გაუმეორა იუგმა.

ესტებანს გულში იმედი ჩაესახა: წარმოიდგინა ნათელი ჩამავალი მზის ნარინჯისფერი სხივებით განათებული დიდი ხნის ნანატრი აფრებიანი გემი, რომლითაც შეძლებდა აქედან გაქცევას. ეგებ რაიმე წერილით გაფრთხილებულმა და შინაგანი შფოთით გატეხილმა კონვენტის კომისარმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა უარი თქვას ძალაუფლებაზე და წავიდეს ჰოლანდიის კუთვნილ რომელიმე ნავსადგურში, საიდანაც დაუბრკოლებლივ შეიძლება ყველგან წასვლაო. იმხანად უკვე დაწყებულიყო რობესპიერის მომხრეების უთავბოლო გაქცევა და ყველამ იცოდა, რომ ბევრი მათგანი მზად იყო ებეჭდა მემუარები და დაცვითი სტატიები. ნიუ-იორკზე მეოცნებეებს კოლონიაშიც ბევრს შეხვდებოდიო.

ესტებანი გულახდილად აღაპარაკდა: მე ვერავითარ სარგებლობას ვერა ვხედავ ჩემს ამ კუნძულზე დარჩენაში, რომელსაც ჩქარა უცხო ხალხი დაეპატრონება. რეაქციონერები, უეჭველია, ყველა ახლანდელ ჩინოვნიკს გარეკავენ (ჭაბუკმა ცერად გადახედა ზანდუკებსა და ჩემოდნებს, შეუსვენებლივ რომ ეზიდებოდნენ მტვირთაეები და ვიქტორის მიერ მითითებულ კუთხეში აწყობდნენ), გარდა მაგისა, მე ფრანგი არა ვარ და, მაშასადამე, ხელისუფლების სათავეში მოქცეული პოლიტიკური დაჯგუფების წევრები ისე მომექცევიან, როგორც ექცევიან მტრული პარტიის მომხრე უცხოელებს. შეიძლება სულაც გუსმანისა და მარჩენას ბედი მელის, ამიტომ თუკი აქედან წასვლის შესაძლებლობა მომეცემა, უყოყმანოდ წავალო... ამ აღსარების დროს ვიქტორს სახე თანდათან უმკაცრდებოდა; როცა ჭაბუკმა ეს შეამჩნია, უკვე ძალზე გვიანი იყო.

— საცოდავი ყბედი ხარ! — დაულრიალა იუგმა, — ხომ არა გგონია, თერმიდორელმა ნაძირალებმა უკვე მაჯობეს, დამამხეს და მომიღეს ბოლო? გეტყობა, შენც იმათთან ხარ, ჩუმად რომ ოცნებობენ, როდის წამიყვანენ პარიზში ბადრაგით! ჩანს, შენს საყვარელს, მულატ გოგოს მართალი უთქვამს, ბებერ გარეწარ ლითიეს პორაყენულ საუბარს გაუბამს ხოლმეო! ცოტას როდი ვუნდი მაგ გოგოს ამბების მოტანაში! მაშ გინდა ხელიდან დამისხლტე, სანამ ყველაფერი დამთავრდება? ეს არ დამთავრდება! გესმის?.. არ დამთავრდება! არ დამთავრდება!

— რა სისამაგლეა! — შეჰყვირა საკუთარ თავზე გულმოსულმა ესტებანმა, როცა მიხვდა, რომ გული გადაუშალა იმ ადამიანს, რომელსაც საყვარელი ჯაშუშად მიეჩინა და მახეში გაება.

— დღესვე მოჰკიდე ხელი შენს ნუსხას და საწერ-კალამს, აიკარ გულანაბადი, იარალიც გაიყოლე და ხომალდ „ხალხის მეგობარზე“ ადი, — მბრძანებლურად უთხრა ვიქტორმა, — იქ ცოტას დაისვენებ იმისაგან, რასაც კარგად ვიცი — ფარისევლურად ჩემს იძულებით სიმკაცრეს ეძახი. მაგრამ მე არა ვარ მკაცრი, ვაკეთებ იმას, რისა მოვალეც ვარ, ეს კი სულაც არ არის ერთი და იგივე.

იუგს ხმა მოუღბა, უკვე დაბნეულივით ლაპარაკობდა, თითქოსდა თავის რომელიმე თანაშემწეს ესაუბრებოდა; გამარჯვების მოედანზე ჩამწკრივებულ, მის მიერ დარგულ, ახლა უკვე გაზრდილ და გაფოთლილ ხეებზე თვალმიშტერებულმა ესტებანს აუხსნა, რომ ინგლისელები კუნძულს კვლავ ემუქრებოდნენ; მტრის ფლოტი ბარბადოსის მახლობლად იყრიდა თავს და მოუღვინებდა უნდა დაესწროთ. რაც შეეხება საზღვაო სტრატეგიას, კარიბის ზღვაში მუდამ მხოლოდ კორსარული — ნამდვილი, კლასიკური და საყოველთაო ომი აღწევს — სასურველ შედეგს: უნდა ვიომოთ მსუბუქი და სწრაფმაველი ხომალდებით, რომლებიც იოლად შეძლებენ ზღვის არცთუ ღრმა უბეში თავის შეფარებას და მარჯნის რიფებისათვის გვერდის აქცევას, — ძველად ასეთი ხომალდები ყოველთვის სჯობდნენ მძიმე ესპანურ გალიონებს, ახლა კი კარგად შეიარაღებულ, მაგრამ მოუქნელ ბრიტანულ ხომალდებსაც დაჯაბნიანო. საფრანგეთის რესპუბლიკის კორსარული ფლოტილია პატარ-პატარა, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელ, ესკადრებად იმოქმედებენ, ისინი ომს ყველა განედზე გამართავენ ანტილის კუნძულებიდან თვით მატერიკამდე — სადაც კი ინგლისისა და ესპანეთის სამფლობელოებია განლაგებული; საფრანგეთის ხომალდები მარტო პოლანდიის გემებისათვის ზიანის მიყენებას მოერიდებიან, რასაკვირველია ზოგიერთი კორსარული ხომალდი შეიძლება მტერსაც ჩაუვარდეს ხელში, იმათ სასიხარულოდ, ვინც მზად არის უღალატოს რესპუბლიკას.

— ასეთები კი არიან, დიახ, არიან, — ამბობდა ვიქტორი და ხელს უსვამდა ქალაქების ვეება შეკვრას, სადაც გასახვევი ქალაქის ნაგლეჯებზე ნაჯღაბნი დაბეზლებების გვერდით ელაგა დახელოვნებული ბრალდებები და ანონიმური ცილისწამებანი, რაც სიფრიფანა ჭვირნიშნიან ქალაქებზე იყო დაწერილი და შიგ ერთ ორთოგრაფიულ შეცდომასაც ვერ ნახავდით.

საქმე ის იყო, რომ რესპუბლიკური არმიის დეზერტირ ჯარისკაცებს შეეძლოთ შეწყალების იმედი ჰქონოდათ, თუკი დროზე მოასწრებდნენ ფრიგიული ჩაჩის მოძრობას. მათ ჟურნალისტებს ისე წარუდგენდნენ, როგორც აუტანელი რეჟიმის მსხვერპლებს, განსაკუთრებით თუ დეზერტირები ფრანგები იყვნენ. ჯარისკაცებს აიძულებდნენ მოეთხროთ თავიანთ გაცრუებულ იმედებზე და იმ ტანჯვაზე, რაც განეცადათ ქვეყნად ყველაზე საშინელი ტირანიის გამო, მერე კი მშობლიურ კერაზე დაბრუნებაში დაეხმარებოდნენ, რათა საკუთარი შეცდომების გამო მონანიე ამ ადამიანებს ყველასთვის გაენდოთ, რა მარცხიც განეცადათ, როცა ცხოვრებაში განუხორციელებელი უტოპიის ხორცშესხმას აპირებდნენ. ესტებანი აღაშფოთა იმან, რომ შეიძლებოდა მისთვის ღალატი დაეწამებინათ.

— თუკი ფიქრობ, ასეთი რამის ჩადენა შემიძლია, რაღაზე მგზავნი შენი გემით?

ვიქტორმა ჭაბუკს სახე სახესთან ისე მიუტანა, რომ გვერდიდან ეს სცენა ორი მარიონეტის ჩხუბს მოგაგონებდათ.

— შენ შესანიშნავი საქმის მწარმოებელი ხარ, ჩვენ კი შენისთანები ყოველ ესკადრაზე გვჭირდებიან, რათა ხელში ჩაგდებული ალაფის აქტები შეადგინონ და დაუყოვნებლივ, მანამდე შეიტანონ აღწერილობაში ყველა საქონელი, სანამ ვინმე თაღლითი მოასწრებდეს რესპუბლიკის ხაზინაში ხელის ჩაყოფას, — კომისარმა კალამი და სახაზავი მოიმარჯვა და ვეება ქალაქის ფურცელი ექვს სვეტად დაყო, — ახლოს მოდი და თუ შეიძლება, ნუ გაქვს ეგეთი სულელური სახე, — განაგრძო მან, — აი, როგორ უნდა აწარმოო „ალაფის წიგნი“.

პირველი სვეტი: „ხელში ჩავსებული საქონლის სია“. მეორე სვეტი: „საჯაროდ გაყიდული საქონლის ღირებულება“ (თუკი ასეთი რამ მოხდება). მესამე სვეტი: „ხუთი პროცენტი გემზე მყოფი ავადმყოფებისა და დაჭრილების სასარგებლოდ“. მეოთხე სვეტი: „თხუთმეტი შეასედი პროცენტი ზემოხსენებული ინვალიდების ხაზინადარის სასარგებლოდ“. მეხუთე სვეტი: „კორსარული ხომალდების გაპიტანთა წილი“, მეექვსე სვეტი: „საქონლის გადაგზავნასთან დაკავშირებული კანონიერი დანახარჯები“ (თუკი რაიმე მიზეზის გამო საქონელი სხვა რეგიონში გაიგზავნება). გასაგებია ყველაფერი?

ამ წუთში ვიქტორ იუგი ჰგავდა წლიური ბალანსის შედგენით გართულ დარბაისელ პროვინციულ მედუქნეს. კალმის დაჭერის მანერაშიც კი შერჩენოდა რაღაც ყოფილი პორტ-ო-პრენსელი კომერსანტისა და მეფუნთუშის.

ნაწილი მესამე

XXIV

სარგებლობენ შემთხვევით.

გოია

ქუნდნენ ზარბაზნები, ისმოდა საზეიმო მარში, ქარი აფრიალებდა საძფერ დროშებს — პატარ-პატარა ესკადრები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებდნენ პეტ-ა-პიტრის ნავსადგურს. ესტებანმა ბოლო ღამეს მადმუაზელ ატალას გაშმაგებით დაუკბინა მკერდი; მას ჯერ კიდევ არ განულებოდა მრისხანება და საყვარელს ისე მოსცხო ჯაშუშობისა და მახეზრობისთვის, დუნდულები სულ დაუღლილა — მულატს ძალზე ლამაზი ტანი ჰქონდა და ჭაბუკმა იგი დასამახინჯებლად ვერ გაიმეტა. ქალი ქვითინებდა, ცოდვას ინანიებდა და, შესაძლოა, პირველად იყო ვაჟზე ასე გულით შეყვარებული. ატალა თან ესტებანს ჩაცმაში ეხმარებოდა, თან სულ „Mon doux seigneur“-ს ეძახდა; და ახლა ბრიგის კინოზე მდგარი ჭაბუკი შვებით უყურებდა თანდათანობით უკან მოტოვებულ ქალაქს. ორი მცირე და ერთი მოზრდილი ხომალდისაგან შემდგარი ესკადრა, რომელზედაც ესტებანი იმყოფებოდა, კაცმა რომ თქვას, ძალზე სუსტი და საცოდავი ჩანდა საიმისოდ, რათა შებრძოლებოდა ინგლისელების მკვიდრად ნაგებ ლიუგერებსა და ვიწრო, სწრაფ კუტერებს. და მაინც ეს ჯობდა იმ მძვინვარე გარემოში დარჩენას, ვიქტორ იუგს რომ შეექმნა, რომელსაც გადაეწვიტა, რაღაც არ უნდა დასჯდომოდა, განედიდებინა საკუთარი თავი და გამხდარიყო გამორჩეული პიროვნება; აკი ამერიკულ გაზეთებში უკვე „ანტილის კუნძულების რობესპიერად“ იხსენიებდნენ... ახლა ესტებანი ისე ღრმად სუნთქავდა, თითქოს ესწრაფეოდა, რაც შეიძლება მალე გაენთავისუფლებინა ფილტვები მიაზმებისაგან. ესკადრა ღია ზღვაში გადიოდა, შორეთში კი მოჩანდა უკიდვგანო ოკეანე, სახიფათო ოდისეათა ოკეანე. რაც უფრო მეტად სცილდებოდნენ ხომალდები ნაპირს, მით უფრო ლურჯი ხდებოდა ზღვა, და ახლა უკვე მთელა ცხოვრება მის რიტმს ემორჩილებოდა. გემზე მკაცრი განაწესი დამყარდა, ყველა თავის საქმეს აკეთებდა: ბატალიორი ცხვირს ვერ გამოყოფდა სურსათის საკინდან, ხურო სანიჩზე ორკაპებს უცვლიდა კანჯოებს, ერთი ნაგებს ძირს უფისავდა, მეორე საათების მუშაობას აწესრიგებდა, გემის მზარეული კი ყოველნაირად ცდილობდა საუზმისათვის დაჭერილი მერლანგი ზუსტად ექვს საათზე მიეტანა ოფიცირთა მაგიდაზე, ხოლო პრასის, კომბოსტოსა და ბატატის ოხშივარადენი-

* ჩემო ძვირფასო ბატონო (ფრანგ.).

ლი შეჭამადი მეზღვაურებისათვის ჯამებში მანამდე დაესხა, სანამ ცას ჩამაკა-
 ლი მზის მეწამული ფერები შეღებავდა. პირველსავე დღეს თავს ყველა ისე
 გრძნობდა, თითქოს ნორმალურ არსებობას, ყოველდღიურ დინჯ ცხოვრებას და-
 ბრუნებოდნენ, რომელსაც არ არღვევდა გილიოტინის შემზარავი რახუნი, —
 ყოველგვარ წარმავალს, შფოთსა და არეულობას დაცილებულნი უზარებოდნენ
 მარადიულსა და უცვლელ სამყაროს. ამიერიდან უნდა ეცხოვრებოდნენ, რომ აღარ
 წაეკითხათ პარიზული გაზეთები, დაცვითი სიტყვები თუ დამცველნი, აღ-
 არ მოესმინათ გაცხარებული კამათი, ამის ნაცვლად უნდა ეცქირათ მზისთვის.
 ესაუბრათ მნათობებთან, მოლოდინით მისჩერებოდნენ ჰორიზონტსა და პოლა-
 რულ ვარსკვლავებს... როგორც კი „ხალხის მეგობარი“ გაშლილ ზღვაში გავიდა,
 მოშორებით წყლის შადრევნად მფრქვეველი ვეშაპი გამოჩნდა; გიგანტმა იფი-
 ქრა, ერთ-ერთმა ხომალდმა ჩემზე თავდასხმა გადაწყვიტაო, და შეშინებულმა
 წყალს მისცა თავი; ტალღებზე, რომლებსაც საღამოს შუქისგან თითქმის იისფე-
 რი დასდებოდა, ესტებანი კიდევ კარგა ხანს ხედავდა მის ვეება სილუეტსა და
 ზღვის ზედაპირზე ამოლანდულ ჩრდილს — ვეშაპი უცხო განედზე მოხვედრილსა
 და მრავალი საუკუნის მანძილზე გზაკვალარეულად მოხეტიალე წარღვნისწინან-
 დელ ცხოველს ჰგავდა... რამდენიმე დღის განმავლობაში ჰორიზონტზე არც ერ-
 თი ხომალდი არ გამოჩენილა, ამიტომაც ბრიგისა და ორი მცირე ხომალდისაგან
 — „დეკადასა“ და „აერალისაგან“ — შედგენილი პატარა ესკადრა შეტევიითი ოპ-
 ერაციის წინა სამზადისში მყოფი კი არა, უფრო ზღვაზე სასეირნოდ გამოსუ-
 ლი გეგონებოდათ. გემებმა ღუზები პატარა უბეში ჩაუშვეს, იალქნები დაკეცეს
 და მეზღვაურები ნაპირზე გადავიდნენ: ერთნი შეშას აპობდნენ, მეორენი საჭმელ
 ნიჟარებს აგროვებდნენ — ნიჟარები იმდენი იყო, რომ სილაში ღრმადაც კი ნა-
 ხულობდნენ, — გარემოებით ყველას ესარგებლა და ზოგნი ზღვის წყალმცენა-
 რეებიან სანაპიროზე დაეხეტებოდნენ, ზოგნი კი იქვე, წყნარ უბეში ბანაობდნენ.
 აღრე დილით წყალი ისეთი კამკამა, გამჭვირვალე და გრილი იყო, რომ ესტებანი
 შეზარხოშებული კაცის ფიზიკურ სიამოვნებას განიცდიდა. ნაპირზე მოჭყუმ-
 პალავე ჭაბუკი, სადაც ფსკერს ფეხით ეხებოდა, ცურვას სწავლობდა და წყლი-
 დან ამოსვლის დრო რომ მოაწევდა, იქაურობის დატოვება ენანებოდა; თავს ისე
 ბედნიერად გრძნობდა, ისე იყო სინათლით გარემოსილი და აღსავსე, რომ ხში-
 რად ხმელეთზე ამოსული ნასვამივით იწყებდა ბარბაცს. ესტებანი ამას „წყლით
 სიმთვრალეს“ ეძახდა, იგი შიშველ სხეულს ამომავალი მზის სხივებს უცხუნებ-
 და, — და სილაზე პირქვე დამხობილს თუ გულადმა გაშოტილსა და ხელ-ფეხ
 გაფარჩხულს სახეზე ისეთი ალტაცებული გამოძეტყველება ეხატებოდა, რომ არ-
 ნახული სიმშვენიერის ხილვით ნეტარებამოგერილ მისტიკოსს ჰგავდა. ხანდა-
 ხან ახალი ცხოვრების წესით ენერგიამომატებული ჭაბუკი დიდხანს დაეხეტე-
 ბოდა კლდეებზე. ზედ მიბობლავდა, კლდიდან კლდეზე ხტებოდა, წყალში ფეხ-
 შიშველა დაატყაპუნებდა და ირგვლივ თეაღს რასაც ჰკიდებდა, ყველაფერი აღა-
 ფრთოვანებდა; უზარმაზარი ქვების ქვეშ თავშესაფარი ეპოვათ ვარსკვლავებიან
 მარჯნის რტოებს, დაწინწკლულსა და მომღერალ ვენერას ნიჟარებს, დახვეწილი
 ფორმის ლოკოკინებს, სპირალურსა და წვეტიან ნიჟარებს, რომლებიც გოთი-
 კური ტაძრების კოშკებს მოგავგონებდათ. აქ შეხვდებოდით მინის მძივებივით
 ბრჭყვიალა ეკლებიან ძოწეულას, თითისტარის მსგავს მუცელფეხა მოლუსკებს
 — ერთი სიტყვით, ნიჟარების ბინადარ ზღვის ცხოველების მთელ გუნდს, რომ-
 ლებიც უბრალო, გაკირქვებული გარსის შიგნით მალავენ დიდებულ, ქარვასავით

ელვარე წიაღს. ადამიანის უცხის ხმის გაგონებაზე ზღვის ზღარბი იბურძენიდა თავის მუქ იისფერ ნემსებს, მშიშარა ხამანწკა ხურავდა ნიჟარის საგდულებს, ზღვის ვარსკვლავი იბღუნებოდა, წყალქვეშა კლდეებს მიკრული ღრუბელა კი სინათლეზე ნაპერწკლებს აფრქვევდა. ანტილის კუნძულებით გარშემორტყმულ ამ გასაოცარ ზღვაში ოკეანის ფსკერზე რივის ქვებიც კი დახვეწილი და უაღრესად სავით მოლივლივე ჩანდა; ზოგი მათგანი გამოჩარხულივით საოცრად მრგვალი იყო, ზოგს უცნაური ფორმა მიეღო — თითქოსდა მატერიის შინაგან-ძივით შემზადებინა მოძრაობაში მოსაყვანად; ზოგი სიძივით გაჭიმული და წვეტიანი იყო, ზოგი ისარს წააგავდა. აქ შეხედულებით როგორც ალუბასტრით სხივიან ქვებს, ისე იისფერი მარძარილოს ქვებს, ანდა წყალქვეშ გრანიტით მოციმციმესა თუ საჭმელი ლოკოკინებით დახუნძლულ უშნო ქვებს — ეს ლოკოკინები გემოთი წყალმცენარეებს მოგაგონებდათ, მუქი მწვანე პაწია ნიჟარიდან მათი ამოყვანა კაქტუსის ეკლით შეიძლება. უცნაური კაქტუსები გუშაგებივით ამართულიყვნენ ამ უსახელო ჰესპერიდების ნაპირზე, სადაც სახიფათო საზღვაო გადასვლებისას ისვენებდნენ ხომალდები; აქ შეიძლება გენახათ ძალაღი, მწვანე კანდელაბრებიც და რაინდთა მწვანე მუზარადებიანი აბჯრებიც, ზოხბის მწვანე ბოლოები, მწვანე ხმლები და მწვანე გირჩები, ეკლიანი საზამთროები და მიწაზე გართხმული კომში, ეკლებს თავიანთი ნაყოფის მატყუარა, სლიპინა კანქვეშ რომ ძალავენ; ერთი სიტყვით, ეს იყო მთელი სამყარო, უნდო და ცბიერი, ყოველთვის მზადყოფი შეურაცხყოფელისათვის ვნების მისაყენებლად და, ამასთან, წითელყვითელ ყვავილთა გაჩენის აქტის გამო მუდამ მჩხვლეტავი: უეკლოდ არ შეუძლია კაცს ასეთი ყვავილების მოპოვება, და თუ იგი შხამიან ეკალთა ახალი ბარიერის გადალახვასაც მოახერხებს, მიაგნებს სანუკვარ ძღვენს — კაქტუსის წვნიან ნაყოფს. გააღმასებულეკლიანი მცენარეულობა, კაცს ხელს რომ უშლის მთის წვერზე ასვლაში, სადაც მწიფს ანონა, თითქოსდა ძირს, კემბრიის სამყაროში მარჯნის ტყეების სახით მეორდებოდა: აქ შეჯგუფულიყო მოლივლივე, ოქროსფრად დაფერილი ხეები, რომელთაც უამრავი და სხვადასხვაგვარი — არ შიასავით ნაირ-ნაირი ანდა ცხავივით დაცხრილული რტოები ჰქონდა. ისინი ჰგავდნენ ალქიმიკოსთა, მისანთა და გრძნეულთა მიერ აღწერილ ხეებს, ჰგავდნენ ზღვის ფსკერზე მოსულ ჭინჭარს ანდა რაღაც ცეცხლისმფრქვეველ სუროს, და ეს უცნაური სამყარო ემორჩილებოდა ისეთ გამოუცნობსა და რთულ კანონებსა თუ რიტმს, რომ ყოველგვარი ზღვარი წაშლილიყო უძრავსა და მოძრავს შორის, მცენარეებსა და ცხოველებს შორის. მაშინ, როცა დედამიწაზე თანდათან უფრო შემცირებულიყო სხვადასხვა ზოოლოგიურ ფორმათა რიცხვი, მარჯანთა ტყეს შეენახა ცხოველყოფელი ბუნების პირველი ახირება, მისი დაუდგრომელი ხელგაშლილობა: ყოველივე ეს განძი იმ სიღრმეზეა დაფლული, რომ მისი ნახვის მსურველი ადამიანი თევზს ბაძავს, — ეტყობა, ადამიანის ჩანასახი განვითარებასას ამაოდ არ გაივლის ხოლმე თევზის სტადიას, — და ხანდახან ლაყურებსა და კუდს ნატრულობს, რაც შესაძლებლობას მისცემდა თავის სამუდამო საცხოვრებლად აერჩია დიდებული ზღვის საუფლო. ესტებანს მარჯნის ტყე ხელშესახებად და ახლობლად, მაგრამ დაკარგული სამოთხის მიულწეველ პირველსახედ ეჩვენებოდა, სადაც ხეებს, რომლისთვისაც თავდაპირველად ადამიანს მერყევი სახელები შეერქვა თავის ჯერ განუვითარებელსა და ბაღღურ ენაზე, მოჩვენებითი უკვდავება ჰქონდათ ნაბოძები ამ მდიდარი ფლორის, ამ სანაწილეების, ამ დაუწველი მაყვლოვანის¹ წყალობით; მარჯნის ტყისათვის შემოდგომა და გა-

ზაფხული მხოლოდ ელფერის შეცვლას და ჩრდილების მსუბუქ კრთომას ნიშნავდა. თავისდა გასაოცრად, ესტებანმა აღმოაჩინა, რომ ბევრ ადგილას ზღვის მხოლოდ ახლახან, ამერიკის აღმოჩენიდან სამი საუკუნის შემდეგ დაეწყო ევროპაში დიდი ხნის წინათ აღმოჩენილი, მაგრამ ახალი სამყაროსთვის იმ ძველ დროში ჯერ კიდევ უცნობი პრიალა მინების — ფლაკონების, ბოთლებისა თუ გრაფონების გამორიყვა, რომელთა ფორმა აქაური მატერიკის მცხოვრებლებისთვის ჯერ კიდევ უცხო იყო; აქ შეხვდებოდით მუქწინწკლებიანსა თუ ბუმბულებიან მწვანე შუშასაც; იმ ძველ დროში აშენებული ტაძრებისათვის გამოყენებული ვიტრაჟების ნამსხვრევებსაც, ვიტრაჟებისა, რომლებიდანაც წყალს უკვე გადაერეცხა წმინდანების ცხოვრების ამსახველი სურათები, შეხვდებოდით ხომალდების დაღუპვის დროს გაღარჩენილ ოკეანის სანაპიროზე დაუზიანებლად გამორიყულ მინებსაც, ისინი ახლები და იღუმალები ჩანდნენ, თანაც ტალღებისაგან ისე ოსტატურად იყო გასლიპული, გამპრიალელების ან ოქრომჭედლის ხელიდან გამოსული გეგონებოდათ. მათ ჩამუქებულ კიდევებს კვლავ უბრუნდებოდა ბრწყინვალეობა. ესტებანს ხვდებოდა მარმარილოსა და ასპიდის ნამსხვრევებით მოფენილი, მთლად გადაშავებული ზღვის სანაპირო ფერდობები, მზის სხივების დაცემისას ისინი ათასობით ნაპერწკლად ინთებოდნენ; ხვდებოდა ყვითლად მოლივლივე ფერდობებიც, ზღვის ყოველი მოქცევა ზედ ნახატებს რომ ტოვებდა, მერე რეცხავდა, შემდეგ ისევ ხელახლა ხატავდა; ხვდებოდა ისეთი ქათქათა, თვალისმომჭრელი ფერდობებიც, თითოეული ქვიშის მარცვალი ზედ ლაქასავით რომ აჩნდა; ეს იყო ვეება სასაფლაოები, სადაც განისვენებდნენ დამსხვრეული, გასრუსილი, შემუსრული და უკვე მტკრად ქცეული ნიჟარები, და ეს მტკერი თითებშუა წყალივით გელვრებოდათ. გასაოცარი იყო იმის აღმოჩენა, რომ ამ ოკეანეების უმრავლესობა ყველგან ბარტყობდა, სიცოცხლეს ყველგან ამკვიდრებდა — სიცოცხლეს მოხეიმეს, ყველგან შემღწევსა და გამძლეს: ეს სიცოცხლე გრძელდებოდა წყლისგან გალეულ კლდეებზეც, ზღვაზე მოცურავე ხეთა ძროებშიც, და ძნელი იყო გარკვეულიყო, რა ეკუთვნოდა ან მცენარეთა, ან ცხოველთა სამყაროს, რა იყო ტალღების მიერ გამორიყული და მოტანილი და რა მოძრაობდა საკუთარ სურვილს მინებებული. აქ სულ სხვა რიფები იქმნებოდა და იზრდებოდა; კლდე თანდათანობით მალდებოდა, წყლით დაფარული უზარმაზარი ქვა ათასობით წლების მანძილზე სრულყოფდა თავის ფორმას — ირგვლივ კი ფუტფუტებდნენ თევზ-მცენარეები, სოკო-მელუხები, ფუმფულა ზღვის ვარსკვლავები, მოხეტიალე წყალმცენარეები, გვიმრები, რომლებიც დღის სხვადასხვა დროს ზაფრანისფრად, ლურჯად და მეწამულისფრად იფერებოდნენ. მანგროს ძროზე წყალქვეშ ანაზღად ჩნდებოდა ფქვილისმაგვარი მტკერი, პაწია თეთრი მარცვლები თხელი პერგამენტისდარ ფურცლებად იქცეოდნენ, მერე ფურცლები მაგრდებოდნენ, ჯირჯვლდებოდნენ და ქერცლად გარდაქმნილნი ხეს წურბელებივით ეკიდებოდნენ, უფრო მოგვიანებით კი, ერთ მშვენიერ დღეს მარგალიტის ნაცრისფერ ნიჟარებში ჩნდებოდნენ ხამანწკები. მეზღვაურები ხეს ხამანწკებიან რტოებს მაჩეტათი აჭრიდნენ და ხომალდებზე მიჰქონდათ: ეს იყო ზღვის ნიჟარებით დაფარული არნახული მცენარე, ერთდროულად რტოცა და მტევანიც, ფოთლების კონაც, ნიჟარებისა და მარილის კრისტალთა გროვაც, და ადამიანებს ამ მცენარემდე შიმშილი ალბათ არასოდეს არ მოუკლავთ უფრო უჩვეულო და უცნაური საჭმელით... ვერც ერთი სიმბოლო, ჭეშმარიტად, უკეთ ვერ გადმოგვცემს ზღვის არსს, ვიდრე ნერეიდებზე — ზღვის ბინადარ მშვენიერ ნიმფებზე

არსებული ანტიკური მითი; სწორედ ეს ნიმფები გაგახსენდებოდათ ამ ვარდისფერ ნიჟარათა ფოსოებიდან მომზირალი ფუმფულა, ნაზი ხამანწკების დანახვაზე; არქიპელაგის მენიზბეები უკვე მრავალი საუკუნის მანძილზე კბერავდნენ სულს ამ ნიჟარებს და ზედ ტუჩის მიღებით გამოაცემინებდნენ ოდნავ ხრინწიან ხმას, რომელიც ჰგავდა საყვირის ჟღერას, მზის ცხოველის — დღის მნათობის სხივებით განათებულ თვალუწვდენელ სივრცეზე მონავარდუ ნებტუნის ხარისხ ბლავილს...

სიმბიოზის სამყაროში დანთქმულმა და ზღვის ტყეში ჩაყურყურებულმა ესტებანმა, — სადაც წყალი მუდამ ქაფმოდებული და ნელად მოტლაშუნეა, რადგან ამ ორმოებში მუდამ კლდის მრისხანე, დაღრჭენილ ეშვებზე მიხეთქებისაგან მოთვინიერებული, დამსხვრეული და შემუსრული ტალღები ეცემიან, — გაკვირვებულმა შეამჩნია, რომ კუნძულის მცხოვრებთ სხვადასხვა ჯიშისა და სხვადასხვა სახის უცნაურ არსებათა ფორმის ორმაგობის გადმოსაცემად, ეტყობა, აგლუტინაცია, შერწყმული სიტყვები და მეტაფორები მოეშველიებიანთ: ზოგიერთ ხესა თუ მცენარეს აქ რთული სახელები ერქვა: „აკაცია-სამაჯური“, „ანანასი-ნიჟარა“, „ხე-ნეკნი“, „ცოცხი-ათეულა“, „ჯუჯა-სამყურა“, „კაკალი-ლოქი“, „ორსურნელა-ღრუბელი“, „ხე-ხვლიკი“. ამის მსგავსად ზღვის ბევრ არსებასაც შედგენილი სახელი ერქვა, მათი გარეგნობის გადმოსაცემად უხდებოდათ სრულიად შეუთანხმებელ სიტყვათა შეერთება: ასე წარმოქმნილიყო ფანტასტიკური ზოოლოგია, სადაც შეგხვდებოდათ: თევზ-ძაღვები, თევზ-ხარები, თევზ-ვეფხვები, თევზ-სტვენები, ხრინწა-თევზები, მფრინავი თევზები, წითელკუდა თევზები, ხალიანი თევზები, მწითურა ტატუირებული თევზები, თევზები, რომელთაც პირი ან ზურგზე ჰქონდათ ან შუა ტანზე, მუცელთეთრა თევზები, თევზ-მახვილები და ლასტა თევზები, აქ ისეთ თევზებსაც კი შეხვდებოდით, რომელთაც „სათესლე პარკზე მონადირე თევზები“ ერქვათ, — ყოფილა შემთხვევები, როცა ისინი მამაკაცს სასირცხვოზე ჩაფრენიან, — შეგხვდებოდათ აგრეთვე ბალახის მძოველი თევზები და წითლად დაწინწკლული ქვიშის გველთევზები, განსაკუთრებით შხამიანები, თუკი მანსანილიოს ნაყოფს გადასანსლავდნენ; რომ აღარაფერი ვთქვათ თევზ-მოხუცზე, თევზ-კაპიტანზე, მას თავი ოქროსფრად მოელვარე ქერცლით აქვს დაფარული, და ქალ-თევზაზე — იდუმალსა და მფრთხალ ზღვის ძროხაზე, რომელიც შეიძლება ნახოთ მდინარის შესართავებთან, სადაც მლაშე და მტკნარი წყლები ერევა ერთმანეთს, — ქალთა ჩვეულების მქონე და სირინოზისმკერდიანი ეს თევზები მზიარულად დაჰქრიან და წყალქვეშა საძოვრებზე მართავენ ქორწილებს. მაგრამ ყველაზე შეუდარებელ — ხალისიანი, ჰარმონიული და გრაციოზული სანახაობა მაინც დელფინების თამაში იყო; ისინი წყლიდან ხან წყვილად, ხან სამნი, ხან მთელი დუჟინი ამოხტებოდნენ ხოლმე ერთად, ხან კი ტალღასთან დაწყვილებულები თავიანთი სხეულის კონტურებით გამოკვეთავდნენ ტალღათა უცნაურ მოხაზულობას. ორი, სამი, ხან კი ათამდე დელფინი ფერხულს აბამდა: ტალღებისაგან განუყოფელნი, ისინიც ამ ტალღათა მოძრაობით ცხოვრობენ, ყველა პაუზას, ზეადსვლას, დაცქმას და ახალ პაუზას ისეთი სიზუსტით იმეორებენ ზღვის ტალღათა სრბოლაში, რომ გგონიათ, თვითონვე იგორებენ ზურგზე ამ ტალღებს და მათ თავიანთ განსაზღვრულ ტემპს, ტაქტს, რიტმსა და თანმიმდევრობას უმორჩილებენ. მერე დელფინები თვალს ეფარებოდნენ, შორეთში ქრებოდნენ ახალი თავგადასავლების ძიებაში, სანამ რომელიმე ხომალდთან თუ ნავთან შეხვედრა კვლავაც არ ააღელვებდათ ზღვის ამ დაუდგრომელ მოცეკვავეებს, რომელთაც თითქოს მარტო ხტი-

მეტი და პირუეტები ემარჯვებოდათ და ამით ადასტურებდნენ მათზე შექმნილ მითს... ხანდახან წყლის ზედაპირზე, თითქოს უჩვეულო ამბის მაუწყებლად, სამარისებური დუმილი ისადგურებდა; ხდებოდა კიდევ ეს უჩვეულო ამბავი: ზღვის ზედაპირზე — გარდასულ ეპოქათა მოციქულივით — გამოჩნდებოდა გიგანტური, მოუქნელი, ადამისუამინდელი თევზი, რომელსაც საკუთარი სიზახტით გამო თავს გამუდმებული შიში სდევდა; მახინჯი და წვრილთვალებიანი თავი ძლივს აჩნდებოდა ტანზე, კანი, დიდი ხნის გაუწმენდავი ხომალდივით, წყალმკვნიარებოდა და პარაზიტებით ჰქონდა დაფარული. ძლიერი ზურვით მიაღრვევდა ზღვის ურჩხული ბობოქარ ტალღებს, ფსკერიდან ამოტანილი გალიონივით, მორევის პატრიარქივით, სამხეობზე ამოსული ლევიათანივით ზეიმურად ამოტივტივებული ირგვლივ წყალს აქაფებდა. შესაძლოა ეს გიგანტური თევზი მხოლოდ მეორედ მოვლენოდა ზღვის ზედაპირს მას შემდეგ, რაც ამ ადგილებში პირველად გამოჩენილიყო ასტროლაბი. სქელკანიანი გოლიათი გაახელდა პაწაწინა თვალებს და ახლომანლო მეთევზეთა დანჯდრეული ნავების დანახვაზე შიშითა და განგაშით კვლავ წყლის სიღრმეს მიაშურებდა, — ჩქარობდა, დაბრუნებოდა ფსკერის უსაფრთხო მარტობას, რათა კვლავაც მოეცადა იქ ერთ-ორ საუკუნეს და მერეღა ამოსულიყო საშიშროებით აღსავსე სამყაროში. ამ ამბის გასრულების შემდეგ ზღვის ბინადარნიც უბრუნდებოდნენ თავიანთ ყოველდღიურ ყოფას. ზღვის ცხენთევზები ფუტფუტებდნენ უეკლებო ზღვის ზღარბებით დაფარულ სილაში: გამშრალი ზღარბი ისე ჰგავდა ნამდვილ ბურთს, რომ იგი თავისუფლად შეიძლებოდა წარმოგედგინათ დიურერის გრავიურაზე — „მელანქოლია“; თევზ-თუთიყუმს მხეზე ქერცლი ულივლივებდა, სხვა თევზებიც — თევზ-ანგელოზი, თევზ-ემშაკი, თევზ-მამალი და თევზი წმინდა პეტრე თავიანთ როლს ასრულებდნენ საზეიმისტიერიაში, რომელიც სრულდებოდა „სამყაროს სანსელის“ დიდ თეატრში, სადაც ყველა ერთმანეთს ჭამდა, რადგან საუკუნეთა მანძილზე ერთმანეთს იყვნენ გადაჯაჭვულნი და ერთად თავმოყრილებს ყველას ერთნაირი ბედი ეწერა — ეცხოვრათ ცვალებად სტიქიაში... ზოგიერთი კუნძული ძალზე ვიწრო იყო და ესტებანიც, რაკი ცდილობდა დაევიწყებინა მის ირგვლივ დატრიალებული ამბები, მარტოდმარტო მიდიოდა მოპირდაპირე სანაპიროზე, სადაც სრულუფლებიან პატონ-პატრონად გრძნობდა თავს: აქ მხოლოდ მას ეკუთვნოდა ნიჟარები, რომლებშიც ისმოდა მოქცევის ხმაური; მას ეკუთვნოდა ტოპაზისბაკნიანი ზღვის კუებიც — ისინი თავიანთ კვერცხებს სილაში ამოთხრილ ორმოებში დებდნენ, მერე გულმოდგინედ მარხავდნენ და ზედ თბილ სილას ქერცლიანი თათებით ასწორებდნენ; ესტებანს ეკუთვნოდა ჯერ ადამიანის ფეხდაუდგამი ქალწულებრივი ქვიშის მეჩენზე მბრწყინავი დიდებული ცისფერი ქვები; მას ეკუთვნოდა ვარხვები, რომელთაც სულ არ ეშინოდათ ადამიანების, რადგან თითქმის არ იცნობდნენ მათ: წყლის კალთაზე დინჯად მქროლავ ვარხვებს მედიდურობას მატებდა გაბერილი ტყავის პარკები; ფრინველები ხან მკვეთრად აიჭრებოდნენ ზევით, ხან ნისკარტწაგრძელებულები და ზედ მთელი სიმძიმით დაწოლილები ძირს ქვასავით დაეშვებოდნენ, ფრთებს იკეცავდნენ, რათა უფრო მეტი სისწრაფით ეფრინათ. ნადავლის გადაყლაპვისას ვარხვი ანაზღად ასწევდა თავს და სიამოვნების ნიშნად, გვეგონება, ცაში მადლობის ლოცვას ადავლენსო, მხიარულად იწყებდა კუდას ქნევას, მერე ზედ ზღვის კალთაზე მოჰყვებოდა ტალღისებურ ფრენას და ისევე იმეორებდა ტალღათა მოძრაობას როგორც დელფინები თავიანთი თავბრუდამხვევი ხტომების დროს. ესტემანი ტანსაცმელს იხდიდა, სილაზე წვებოდა, სილა ისეთი წმინდა იყო, რომ ყველაზე პაწაწინა მწერებიც კი სტოვებდნენ ზედ თავიანთი

თითების ანაბეჭდებს. ჭაბუკს მთელ სამყაროზე თავი მარტოდმარტო წარმოედგინა და ილაჯგაწყვეტამდე უცქერდა ქათქათა, თითქმის უძრავ ღრუბლებს, რომლებიც ისე ნელა იცვლიდნენ ფორმას, რომ ხანდახან დილიდან სადამომდე ან მარტო ტრიუმფალურ თაღს ჰგავდნენ ან წინასწარმეტყველის თავს. სრული ბედნიერებაა დროისა და სიერცის გარეშე! „Te Deum“... სხვა შემთხვევაში, როცა ნიკაპით ზღვის ვაზის ნორჩ ფოთლებს ეხებოდა და მტკნარებით უთვალთვალებდა ლოკოკინას — ერთ ლოკოკინას, რომელიც უკვე დაწყებული აღმართულიყო მის წარბებს გასწვრივ და პორიზონტს ფარავდა. ლოკოკინა თითქოს შუამავალი იყო ყოველივე ცვალებადს, წარმავალსა და დღემოკლეს შორის, ყოველივე იმას შორის, რაც არ ექვემდებარებოდა ზუსტ კანონებს და არ შეიძლებოდა მათი გაზომვა; და დედამიწას შორის რომელსაც აქვს თავისი მკაფიო ხაზები, კრისტალური სტრუქტურა და მოვლენათა მკაცრი მონაცვლეობა, სადაც შეიძლება ყველაფრისათვის ხელის შეხება და აწონვა. ზღვამ, მთვარის ციკლს დამორჩილებულმა, ცვალებადმა, მშვიდმა თუ მშფოთვარემ, ბობოქარმა თუ სარკესავეით კრიალამ, მაგრამ თავისი ბუნებით თითქოსდა კოეფიციენტებისაგან, თეორემებისაგან და განტოლებებისაგან შორს მდგარმა, შექმნა ეს განსაკუთრებული ბაკანი, რომელიც თავისი პროპორციით და მოხაზულობით სიმბოლოა სწორედ იმისა, რაც დედამიწას აკლია. ლოკოკინის ნიჟარის ჩანასახში არის გეომეტრიის კანონებს დამორჩილებული მრუდისა და ხვეულის ნაირგვარი შეხამება, საოცრად ზუსტი კონუსისებური ფიგურები, მოცულობის წონასწორობა, თითქმის ხელშესახები არაბესკები, მათში უკვე გამოიცინობა ყველა უცნაური არქიტექტურული ჩანაფიქრი. მხოლოდ ერთ ლოკოკინაზე, ერთადერთ ლოკოკინაზე დაკვირვებამ ალუძრა ფიქრი ესტებანს იმაზე, რომ ათასწლეულის განმავლობაში პირველყოფილ ხალხებს, თევზის ჭერით რომ ირჩენდნენ თავს, გამუდმებით ედგათ თვალწინ სპირალი, მაგრამ მათ არათუ ვერ შეძლეს მის ფორმაში ჩაწვდომა, საკუთარი არსებობის შემეცნებაც კი ვერ მოეხერხებინათ. ესტებანი უცქერდა ზღვის ბურთისებურ ზღარბს, მოლუსკის სპირალისებურ ნიჟარას, წმინდა იაკობის ნიჟარაზე დაჩნეულ პატარა ღარს და ანცვიფრებდა ვერრასმხედველი და თვალწინ არსებულის ვერშემცნობი კაცობრიობის წინაშე გადაშლილ ყველა ამ ფორმის სიმდიდრე და დახვეწილობა. „მართალია, ჩემს თვალწინაც ბევრმა რამემ მიიღო ახლა მკაფიო და განსაზღვრული ფორმა, მაგრამ არ ძალმიძს ჩავწვდე მათ აზრს“, — ფიქრობდა ესტებანი. რა ნიშანი, რა წინასწარგაფრთხილება იმალება ვარდკაჭაჭას ხვეულებში, ხავსის მუნჯ ენაში, მურტის ნაყოფის მკაცრ ფორმაში? მხოლოდ ნიჟარის, ერთადერთი ნიჟარის ჭვრეტით... „Te Deum“...

X XV

პირველი საბრძოლო განგაში რომ გამოცხადდა, გვარიანად შეშინებულმა ესტებანმა ტრიუმს მიაშურა დასამალავად — საქმის მწარმოებლის მდგომარეობა აძლევდა ამის უფლებას; მაგრამ სულ ძალე მიხვდა, რომ კაპერებს! — როგორც ესკადრის სარდალი კაპიტანი ბართელემი ვარაუდობდა, — არ ელოდრაიმე სერიოზული საფრთხე. პატარა ფლოტილია მძლავრი საბრძოლო იარაღით აღჭურვილ ხომალდს თუ გადაეყრებოდა, მას რესპუბლიკის დროშის აღუმართავად აუვლიდა გვერდს; რომელიმე ხომალდის ხელში ჩაგდებას შესაძლებლად თუ მიიჩნევდნენ, პატარა მსუბუქი გემები გზას გადაუღობავდნენ მას, ბრივი კი გამაფრთხილებლად გაისროდა. მოწინააღმდეგეს ამ დროს, ჩვეულებისამებრ,

მორჩილების ნიშნად, გაუძალიანებლად უნდა დაეშვა ალაში. ესკადრის გემები ხომალდს ზედ მიადგებოდნენ, ფრანგები გემბანზე გადახტებოდნენ და დაიწყებდნენ გემის ტვირთის დათვალიერებას; ტვირთი დიდად ღირებული თუ არ აღმოჩნდებოდა, კორსარებს „ხალხის მეგობარზე“ მიჰქონდათ მხოლოდ ის, რაც თვალში მოუვიდოდათ, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა — ფულისა და შეშინებული ეკიპაჟის ნივთების ჩათვლით. ამ დამცირების შემდეგ გემის კაპიტანი კვლავ ღებულობდა ხომალდის მეთაურობის უფლებას, და ან ვხვას ვერძულდება ანდა მომხდარი უბედურების საუწყებლად უკან, პორტშივე ბრუნდებოდა. თუ, ა ტვირთი სერიოზულ ფასეულობას წარმოადგენდა, კორსარებს იგი ხომალდთან ერთად უნდა ჩაეგდოთ ხელში, — განსაკუთრებით თუ ხომალდი ვარგისი იყო, — და მტრის გემი, ეკიპაჟთან ერთად, პუენტ-ა-პიტრში მიეყვანათ. მაგრამ კაპიტან ბართელემის პატარა ესკადრა, რომლის ნადავლს გულმოდგინედ აღნუსხავდა ესტებანი, ასეთ ხომალდს ჯერ არ გადაყროდა. ამ ადგილებში იშვიათად შეხვდებოდი დიდ სავაჭრო ხომალდებს, აქაურ წყლებს, ჩვეულებრივ, იაფფასიანი, არცთუ სარგებლიანი საქონლით დატვირთული მცირეილქნიანი გემები სერავდნენ. კორსარებს შაქარზე, ყავასა და რომზე სანადიროდ როდი მიეტოვებინათ გვაღელუპა. — ეს ყოველივე იქაც ბლომად ჰქონდათ. თუმცა ფრანგება ყველაზე ძველსა და უბადრუკ გემებზეც ნახულობდნენ გამოსარჩენს: ღუზას, იარაღს, დენტს, ხუროთა ხელსაწყოს, ბაგირებს, სასარგებლო აღნიშვნების ახალ რუკას — ახალი გრანადის სანაპიროებზე სანაოსნოდ. გარდა ამისა, სკივრებისა და მივარდნილი კუთხე-კუნჭულების გულმოდგინე გადაქექვისას, კორსარები თავიანთვისაც შოულობდნენ საკბილოს: ერთს ლამაზი პერანგები და ნაშურის შარვალი მიჰქონდა, მეორეს — მომინანქრებული სათუთუნე ანდა კარტახენადან² ჩამოტანილი ძვირფასი თვლებით მოჭედილი საეკლესიო ფიალა — კორსარები მღვდელს ზღვაში გადაგდებით ემუქრებოდნენ, თუ არ მისცემდა მათ „მთელ წირვას“ — სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯვარსა და სანაწილეს, რაც ჩვეულებებისამებრ, ოქროსი იყო. ეს გაზღდათ, ასე ვთქვათ, პირადი დავლა, ამიტომაც ესტებანი მათ არ აღწერდა, კაპიტანი ბართელემიც ამაზე თვალსა ხუჭავდა; არ სურდა თავის ხალხთან წაჩხუბება, რაკი იცოდა, რესპუბლიკის დროს მეზღვაურებთან შეტაკებისას წაგებული მუდამ ოფიცერი რჩებოდა, განსაკუთრებით მაშინ თუ, თვითონ ბართელემივით, ადრე სამეფო ფლოტში იყო ნამსახური. აი, თანდათანობით რატომ დაემსგავსა „ხალხის მეგობრის“ კინო ბაზარს, სადაც ყიდდნენ და ერთმანეთზე ცვლიდნენ ყუთებზე დამწკრივებულსა თუ თოკზე ჩამოკიდებულ ათასგვარ საგნებს; პატარა ფლოტილია შეშის მოსამარაგებლად რომელიმე ყურეში ღუზას რომ ჩაუშვებდა, „დეკადისა“ და „ავრალის“ მეზღვაურები უმაღლ ბრიგზე გაჩნდებოდნენ და თან, არცთუ იშვიათად, გასასყიდი ნივთები მიჰქონდათ. რაღა არ იყო აქ. კაბების, ქუდების, ქამრებისა და თავსაფრების გვერდით შეხვდებოდი კუს ბაკნის ყუთებს წმინდა ნაწილებისთვის; ფუმფუშაარშიებიან ჰავანურ ხალათებს; კაკლის ნაჭუჭებს, რომელშიც თავსდებოდა მექსიკურად გამოწყობილ მინიატურულ ფიგურათა მთელი საქორწილო კორტეჟი; შეხვდებოდი ხახიდან, ენის მაგივრად, წითელი ატლასის ნაჭერგამოწრილ გამოყვანილ თევზს; ჩალით გატენილ პატარა კაიშანების ფიტულებს; ხალისიან კანდომებს, მოცეკვავე რკინის კაცუნებს; ნიჟარებისაგან გაკეთებულ კოლოფებს; ყინულკარამელის ჩიტებს; კუბურსა და ვენესუელურ სამსიმიან გიტარებს; სენ-დომენგში გავრცელებულ სახელგანთქმულ ღიანებსა და ენითერაზე დაყენებულ აღმგზნებ წამლებს; აქ იყო ქალის ტუალეტის უამრავი ს.

განიც — საყურეები, მინის მძივების ყელსაბამები, ქვედა კაბები, ინდიელ ქალთა თეძოსაკრავები, ლენტით შეკრული კულულები, შიშველი ქალების გამოსახულებანი, უწმაწური გრაფიურები და მწყემსი ქალის კაბაში გამოწყობილი თოჯინა, რომელსაც ქვედა კაბის ქვეშ დაფარული ჰქონდა განსაცვიფრებელი რიტაობით შესრულებული აბრეშუმის მინიატურული დიაცთა სარცხენელი. თოჯინის მფლობელს ცეცხლის ფასი დაედო მისთვის და მეზღვეურები, რომლებიც ფასს ვერ სწვდებოდნენ, პატრონს თაღლითს უძახდნენ. სარცხენე იმისი შიშით, საქმე ჩხუბამდე არ მივიდესო, თავის მეორე თანაშემწეს უბრძანა, ეყიდა თოჯინა. ფიქრობდა, ვიქტორ იუგისთვის მიერთმია საჩუქრად, — 9 თერმიდორის შემდეგ იუგი სააშკარაოდ კითხულობდა უხამს წიგნებს, რითაც ალბათ სურდა ყველასათვის ეჩვენებინა, რომ პარიზის პოლიტიკა აღარ აინტერესებდა... ერთხელ ესკადრის მატროსებმა განსაკუთრებით გაიხარეს: კარგ ხნის დევნის შემდეგ ხელში ჩაიგდეს სპირტიანი სასმელებით დატვირთული პორტუგალიური ხომალდი „მერცხალი“. ტრიუმფში თეთრი, შავი ღვინითა თუ მადერათი სავსე იმდენი კასრი იდგა, რომ ირგვლივ საწნახელის სუნი ტრიალებდა. ესტებანი ჩქარა-ჩქარა შეუდგა კასრების აღწერას, რათა ნაწილი მაინც გადაერჩინა კორსართა დაუოკებელი წყურვილისაგან; მათ ხელში უკვე მოუგდოთ რამდენიმე პატარა კასრი და ხარბად დასწაფებოდნენ. დავიდარაბას მოშორებული, ბნელსა და გრილ ტრიუმფში განაპირებული საქმის მწარმოებელი მარტოდმარტო სვამდა წითელი ხის მოზრდილი ფიალიდან, — მკვრივსა და ახალ მერქანს ზედ ბაგეს ისე აკარებდა, როგორც ცოცხალ სხეულს და ფიალის სურნელი ღვინის სურნელს ერწყმოდა. ესტებანმა საფრანგეთში გაუგო გემო მიწის უძველესსა და საუცხოო წვენს, ამ ყურძნის წვენმა გამოკვება მშფოთვარე და დიდებული ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაცია — ახლა ეს ცივილიზაცია გრძელდებოდა კარიბის ხმელთაშუა ზღვაზე, სადაც ჯერჯერობით კვლავაც წარმოებდა ათასწლეულების წინათ ზღვისპირა ქვეყნებში დაწყებული ხალხთა დიდი შერევა. აქ, გათიშულობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, კვლავ ხდებოდა რასების სხვადასხვა კილოსა და ფიზიკური ტიპების შეჯვარება, კვლავ ერთმანეთს ხვდებოდნენ მთელ ქვეყნიერებაზე გაბნეულ ტომთა შთამომავლები: საუკუნეების მანძილზე ისინი ბევრჯერ შერეოდნენ ერთმანეთს, კანის ფერი არაერთხელ გამოეცვალათ, ერთ მშვენიერ დღეს იგი ბაცდებოდა, ერთი ღამის განმავლობაში კი კვლავ მუქდებოდა, ძველ ფერს იბრუნებდა; დაუსრულებლივ ეცვლებოდათ სახის ნაკვთებიც, ხმაც, აღნაგობაც; ასევე იცვლებოდა ღვინოც, რომელიც ფინიკიური ხომალდებიდან, ჰადესის მარნებიდან, მარკოს სესტიოსის ამფორებიდან გაჩენილიყო იმ ადამიანის კარაველაზე, რომელმაც ამერიკა აღმოაჩინა, — ღვინო კარაველაზე გაჩნდა გიტარასა და დასარტყმელ ინსტრუმენტებთან ერთად, რათა მიეღწია სტუმართმოყვარე ნაპირებისთვის, სადაც უნდა მომხდარიყო ზეთისხილისა და სიმინდის ტრანსცენდენტული შეხვედრა. ფიალიდან აღენიღმა ღვინის სურნელმა ესტებანს ანაზღეული მღელვარებით გაახსენა გადავიწყებული და მისი ახლანდელი გზებიდან მეტისმეტად დაშორებული, ჰავანის სარდაფებში ჩარიგებული ძველი პატრიარქალური კასრები, სადაც ონკანიდან ღვინო იმგვარივე თანაზომიერი ხმაურით წვეთავდა, როგორც ახლა ისმოდა ირგვლივ და ჭაბუკს უეცრად თავისი ცხოვრების მთელი უაზრობა ისე აშკარად დაუდგა თვალწინ, — თვითონ კი თითქოს თეატრში იყო, სადაც ამ უაზრო მოქმედებას თამაშობდნენ, — რომ ტიხარს აეკრა და თვალგაშტერებული გაირინდა, გეგონება, სცენაზე თავისივე თავს უყურებდა გან-

ცვიფრებული. ბოლო ხანებში ზღვას, ხიფათითა და თავგადასავლებით სავსე ცხოვრებას ჭაბუკში თითქოს ჩაეხშო მისი საკუთარი „მე“ — იგი ლამის პირუტყვულ კმაყოფილებას განიცდიდა, რაკი დღითი დღე ჯანმრთელი და ჯან-ლონით სავსე ხდებოდა. მაგრამ ახლა, როცა შორიდან შეხედა საკუთარ თავს, დაინახა, როგორ იდგა ღვინით სავსე კასრებს შორის ჯერ კიდევ გუშინ მისთვის უცხო ტრიუმში და როგორ ამაოდ ცდილობდა გაერკვია, რატომ ვერცხვდა აქ. იგი ეთქვიმდა გზას, რომელზედაც უარი უთხრეს, ელოდა შემთხვევას, რომელიც ეტყობა, აღარ ეწერა ახდენა. მდიდარი ოჯახის შთამომავალი კორსარების გემზე საქმის მწარმოებლის მოვალეობას ასრულებდა — და თვით ამ თანამდებობის სახელწოდებაც უაზროდ ედერდა. ტყვე არ იყო და მაინც ტყვე ეთქმოდა, რადგან ბედმა ისეთ ქვეყანასთან დააკავშირა, ვის წინააღმდეგაც მთელი სამყარო აღმდგარიყო. ესტებანი, როგორც კომმარულ სიზმარში, ისე უყურებდა საკუთარ თავს სცენაზე, სადაც ცხადლივ ეძინა და ერთდროულად ორ როლს თამაშობდა — მოსამართლისას და მოპასუხისას, თითქოს მოქმედი პირიც იყო და მათურებელიც; და ეს ხდებოდა კუნძულების მახლობლად, რომლებიც საოცრად ჰგავდნენ იმ ერთადერთ კუნძულს, სადაც აღარ ეწერა დაბრუნება. შესაძლოა საიმისოდაც იყო განწირული, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე ესუნთქა თავის ბავშვობისდროინდელი სურნელი, შეხვედროდა ისეთსავე სახლებს, ხეებს, ენახა ისეთივე მზის ამოსვლა და ჩასვლა, როგორც ყრმობისას (ო, ეს ნარინჯისფერი კედლები, ღურჯი კარები, ღობეზე დაკიდებული ბროწეულები!), და თან სცოდნოდა, რომ ყოველივე ის, რისი ბატონ-პატრონიც ბავშვობასა და სიყმაწვილეში იყო, აღარ დაუბრუნდებოდა აღარასოდეს... ერთ საღამოს მათ სახელში დემონური ამბის მაუწყებლად გაისმა დიდი ჭიშკრის ჩაქუჩის რახუნი, — და იმ დღიდან ანაზღუელად ძირუელად შეიცვალა ერთ ოჯახად შეკრული სამი ადამიანის ცხოვრება; ყველაფერი თამაშით დაიწყო: ამ თამაშის მონაწილეებს აღშფოთებდათ ლიკურგესა და მუციუს სცევოლას სამარისებური სიმშვიდე; შემდეგ გამოჩნდნენ სისხლიანი ტრიბუნალები, მოვლენათა გრივალმა მოიცვა მთელი ქალაქი, კუნძული, მერე რამდენიმე კუნძული, მთელი ზღვა, და ახლა ერთი ადამიანის ნება-სურვილი მეორის — უკვე სამუდამოდ დადუმებულის — ანდერძის აღმსრულებლად რომ ქცეულიყო, უამრავი ადამიანის სიცოცხლეს უქმნიდა საფრთხეს. ვიქტორ იუგის გამოჩენის დღიდან, — მასზე მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ხელში მწვანე ქოლგით დადიოდა, — ჭაბუკი, რომელიც ახლა დიდ-პატარა კასრებს შორის იდგა, უკვე აღარ ეკუთვნოდა საკუთარ თავს: იმ დღიდან მისი არსებობა და მომავალი მთლიანად სხვის ნება-სურვილზე ეკიდდა... ამიტომაც ახლა დალევა ყველას აჯობებდა, ღვინო დაუბინდავდა შემეცნების უმოწყალო სიფხიზლეს, რომელიც ამ წუთში ისეთი მტანჯველი გამხდარიყო, რომ ყვირილი მოუნდა. ესტებანმა თასი ონკანს მიუმარჯვა და გააღიცილიცა. მალლა მეზღვაურები კვლავ ერთხმად მღეროდნენ „სამ ოვერნელ მეზარბაზნეს“.



მასების აბონი

ესპანურიდან

თარგმნა ბანანა ბრეზვამე



მე სულაც არ ვესწრაფი იმას, რომ ისტორიის მეტაფიზიკური გაგების ბალასტით გადავტვირთო ეს ჩემი ესე, თუმცა ისიც აშკარაა, რომ ცარიელ ადგილას როდი ვაგებ მას: ჩემი ნაგებობის საძირკველი ჩემივე ფილოსოფიური მრწამსია, რომელსაც არაერთხელ ვემყარები ჩემს სხვა შრომებშიც. მე არა მჭამს ისტორიის აბსოლუტური დეტერმინაცია. პირიქით, ჩემის აზრით, ნებისმიერი ცხოვრება, მათ შორის, ისტორიულიც, ურიცხვი წამისაგან შედგება, რომელთაგანაც თითოეული საკმაოდ დამოუკიდებელია წინა წამისგან. ამიტომაც ჩვენი არსებობის ნებისმიერ მომენტში აუცილებელი ხდება ამოვიჩიოთ ესა თუ ის შესაძლებლობა, ასე რომ, ცხოვრება, შეიძლება ითქვას, *pietino sur place*.^{*} ეს მეტაფიზიკური რხევითი მოძრაობაა, ვიბრაციისა და თრთოლის ესოდენ დამასახიათებელ თვისებას რომ ანიჭებს ნებისმიერ ცოცხალ არსებას.

მასების ამბოხს შეუძლია ხელი შეუწყოს კაცობრიობის საზოგადოებრივი განვითარების ახალსა და დღემდე არნახულ ეტაპზე გადასვლას, მაგრამ მასვე შეუძლია კატასტროფამდე მიიყვანოს იგი. უაზრობაა, უარვესოთ პროგრესის არსებობა, მაგრამ აუცილებელია ერთგვარად დავაზუსტოთ მისი გარდუვალობის გაგება. ჩვენი აზრის განვითარება სინამდვილის მიმართ უფრო ადეკვატური იქნება, თუ ვიტყვით, რომ პროგრესს ვერ მივიჩნევთ აუცილებელ მოვლენად: წარმოუდგენელია ნებისმიერი პროგრესი, ნებისმიერი ევოლუცია, რომელსაც წარსულისაკენ მიბრუნების საფრთხე არ ემუქრება. ისტორიაში აბსოლუტურად ყველაფერი შესაძლებელია: როგორც ხანგრძლივი ტრიუმფალური პროგრესი, ისე პერიოდული რეგრესიაც. ეს იმით აიხსნება, რომ ნებისმიერი ყოფიერება, ინდივიდუალურიც და კოლექტიურიც, პიროვნულიც და ისტორიულიც, საშუაროს ერთადერთი ელემენტია, რომლის არსადაც საშიშროება გვევლინება. ცხოვრებისათვის ნიშნულია აღმაფრენა და დაცემა; სხვა სიტყვებით

რომ ვთქვათ, ცხოვრება ღრამაა.^{**} ეს პოსტულატი, საყოველთაო ქეშმარიტებად რომ გვევლინება, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ისტორიის ისეთ „კრიტიკულ

^{**} სამწუხაროდ, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არც ერთი ჩემი მკითხველი სერიოზულად არ მიიღებს ჩემს მოსაზრებებს ამ საკითხთან დაკავშირებით; ყველაზე კეთილმოსურნენი, ალბათ, მახვილგონივრულ მეტაფორებად მიიჩნევენ მათ. უნდა მოიძებნოს ისეთი მკითხველი — რაც ძალზე იშვიათად ხდება, — რომელიც საკმაოდ მიამიტი და, ამიტომ, დარწმუნებულიც იქნებოდა, რომ ჭერ კიდევ არ გადაუწყვეტია საბოლოოდ, რა არის, ან, ყოველ შემთხვევაში, რა არ არის ცხოვრება; მხოლოდ ამნაირი მკითხველი თუ ირწმუნებს ჩემი დებულებების დასაბამიერ მნიშვნელობას. ის კი სულერთია, რანაირად აღიქვამს მათ: ქეშმარიტნი იქნებიან მის თვალში თუ ყალბნი; მთავარია, რომ ის მათ გაიგებს. დანარჩენები კი მეტ-ნაკლებად ერთსულოვანნი იქნებიან, მხოლოდ ერთი განსხვავებით: ზოგს ეგონება, რომ, თუ სიმართლე გნებავთ, ყოფიერება სულის არსებობის პროცესია, ზოგი კი იტყვის, რომ სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა ქიმიურ რეაქციათა თანმიმდევრობა. მე მგონია, ვერ ვაიძულებ მკითხველებს, ჩემი თვალსაზრისი გაიზიარონ, მკითხველებს, რომლებიც არ მოისურვებენ მომისმინონ, თუ შევეცდები ამ რამდენიმე პუკარში მოვაქციო ჩემი აზრების მთელი განვითარება და ვამტკიცო, რომ სიტყვა „ცხოვრების“ დასაბამიერი და ინტიმური აზრი მაშინ ვლინდება, როცა ბიოლოგიური კი არა, ბიოგრაფიული მნიშვნელობით ვხმარობთ მას. იმის გამო, რომ ბიოლოგიის ნებისმიერა დარგი, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ ადამიანის ბიოგრაფიის ერთი თავია, ბიოლოგები მთელი თავიანთი ცხოვრების მანძილზე მიტომატ ჩაკირკიტებენ მას, ცხოვრებისა, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება ბიოგრაფიულად იქნეს განმარტებული, სხვა საქმეა აბსტრაქცია, ფანტაზია, მითი.

^{*} ერთ ადგილს ტეკუნის (ფრანგ.), გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1.

მომენტები", როგორცაა, ვთქვათ, ჩვენი დროება. ამრიგად, ქვეყნის მთელი ეს ახალი წესები, ჩვენს ეპოქაში—მასების ტრიუმფის ეპოქაში რომ იჩენს თავს და ჩვენს მიერ განისაზღვრებიან როგორც „პირდაპირი მოქმედება“, შეიძლება საზოგადოებრივი წესრიგის სრულყოფის შესაძლებლობას შეიცავდნენ. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ძველი კულტურა, რომელიც დღესაც განაგრძობს არსებობას, თან მოათრევს განუვლებული მჭახლის, უხიკოცხლო, მკვდარი ქსოვილის საკმაოდ მძიმე ტვირთს და თავის გზაზე მიხრწნილების მოწამლულ კვალსა ტოვებს, რაც ხელს უშლის სიანლის ულორტებს შუის სინათლეზე ამოიწვირონ. აქაა ყოველად უაზრო და უხარგებლო ინსტიტუტებიც, დახვსებული ტრადიციების თაყვანისცემაც, მარტივ საკითხთა მიუტყვევლად რთული გადაჭრის ცდებიცა და, ბოლოს, კანონებიც, რომლებსაც კმედიტობის არაფართარი უნარი აღარ შერჩათ. ცივილიზაციის, ანუ, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, არაპირდაპირი მოქმედების მთელი ეს ელემენტები მოუთმენლად მოეღიან თანამედროვეობის ბოზოქარი, ყოველს განმწმენდი და გამამარტივებელი ქარის დაბერვას. რომანტიკული სერთუკები და გულისპირები ნაცვლისგებას მოითხოვენ და, აი, მათ ნაცვლად მოდაში შემოდის მოშილიფებული ხალათები და დაკაპიწებული სახელოები. ამ შემთხვევაში, გამარტივება მიგინისა და კარგი გემოვნების მოთხოვნებს პასუხობს, ამიტომ ის, წარსულთან შედარებით, უფრო მართებულად წყვეტს საკითხს, ისევე, როგორც ყოველთვის, როცა ნაკლები საშუალებებით მეტს აღწევენ. რომანტიკული სიყვარულის აზოვან ხესაც სჭირდებოდა სასხლავის ვაკერა-გამოკერა, რათა ტოტებისათვის შეეკვეცათ უალბი მაგნოლიები, ხუჭუჭა ხვიარები თუ ღიანების წნულები, შუის სხივებს რომ არ ატარებდნენ და ხელს უშლიდნენ სინათლით ტკბობას.

მოკლედ, მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას, განსაკუთრებით კი პოლიტიკას, სასწრაფოდ სჭირდება გამარტივება, მისი კვშმარტი დაწინაურებისათვის მისადაგება. ოპტიმიზტები ევროპული საზოგადოებისაგან ამაოდ მოეღიან გიგანტურ ნახტომს; მათი მოლოდინი მოლოდინადვე დარჩება, ხანამ ევროპა შეშველი სახით არ შეიცნობს თავის ნამდვილ არსს, ხანამ არ გაიძრობს დრომოკმული წარმოდგენების, ჩვეულებებისა თუ ინსტიტუტების დაძონძილ სამოსს და, ამრიგად, არ გაიცხადებს თავის კვშმარტი „მე“-ს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეც მოხდება, და რაკი შეგნებული მაქვს, რარიგად აუცილებელია გზა გაფუთავისუფლოთ ჩვენი კონტინენტის ღირ-

სეულ მომავალს, სწორედ ამიტომ ვითხოვ უფლებას, როგორც მინდა, ისე განვმარტო წარსულის ესა თუ ის ეპოქა; მხოლოდ მყოფადი თუ სძლევს ნამყოს, და ამიტომ სწორედ მომავალი უნდა გვკარნახობდეს, რანაირი დამოკიდებულება გვმართებს წარსულის მიმართ.*

მაგრამ ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ, თავი დავაღწიოთ იმ საცდურს, რამელმაც XIX საუკუნეში აცდუნა ძლიერნი ამა ქვეყნისანი: საკუთარი უპასუხისმგებლობის შეგნებას, რამაც ყოველგვარი სიფრთხილისა და წინდახედულების გრძნობა დააკარგვინა მათ. აღარა გქონდეს საკუთარი პასუხისმგებლობის შეგნება, იმას ნიშნავს, რომ გულარხეინად მიცურავდე მოვლენების დამრეც ფერდობზე, გულში იხშობდე უბედურების წინათგრძნობას და განზრახ ხუჭავდე თვალს, რათა არ დაინახო სიფრთხე, ნებისმიერი, თვით ყველაზე ბედნიერი დროის წიაღში რომ იმალება. ამჟამად აუცილებელია პასუხისმგებლობის გამძაფრებული გრძნობა აღვზარდოთ მათში, ვის სულშიაც ჭერ კიდევ შეიძლება მისი აღზრდა, და დაჟინებით შევახსენოთ სახედისწერო მუქარა — მომავალ მოვლენათა ავისმაუწყებელი სიმბტომები.

კონკრეტულ შესაძლებლობათა ზრდას, რაც ნიშნეულია თანამედროვე ცხოვრებისათვის, გაცამტვერებას უქადის ყველაზე საშინელ პრობლემასთან შეჩახება, გარდუვალად რომ იხანება ევროპული საზოგადოების განვითარების გზაზე. თავს ნებას მივცემ, ერთბეშ კიდევ ჩამოვაყალიბო ეს პრობლემა: საზოგადოებრივი მმართველობის სადავე ხელთ იგდეს ადამიანებმა, რომლებსაც წარმოდგენაც არა აქვთ ცივილიზაციის განვითარების პრინციპებზე. როგორც ეს უკვე დღესაც შეიძლება შევნიშნოთ, საქმე ამა თუ იმ ცივილიზაციის პრინციპებს

* წარსულის მიმართ ეს თავისუფალი დამოკიდებულება არამც და არამც არ გულისხმობს მის ხელაღებით უარყოფას, პირიქით, წარსულისადმი სწორედ ამნაირ დამოკიდებულებას დაჟინებით მოითხოვენ კაცობრიობის განვითარების „კრიტიკული ეპოქები“. მე თუ XIX საუკუნის ლიბერალიზმს ვიცავ მასების წინაშე, რომლებიც ბარბაროსულად თავს ესხმიან მას, ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს მე მოვითხოვ უარი ვთქვა საკუთრივ ლიბერალიზმის პრინციპის თავისუფალ ინტერპრეტაციაზე. მეორეს მხრივ, პირველყოფილი მდგომარეობა, რომლის ყველაზე ამაზრუნენი ნიშან-თვისებები ასახულია ამ ესსეში, ნებისმიერი ისტორიული პროგრესის პირობად გვეგლინება, იხ. რას ვწერდი ამ რამდენიმე წლის წინათ ჩემს ესსეში „ბიოლოგია და პედაგოგია“.

კი არ ეხება, არამედ საერთოდ ცივილიზაციის პრინციპებს. ამ ადამიანებს, რა თქმა უნდა, აინტერესებთ ავტომანქანები, ტვილის გამაყუჩებელი საშუალებები და ბევრი სხვა რამეც. მაგრამ ეს ინტერესი მხოლოდ ადასტურებს მათ გულგრილობას საკუთრივ ცივილიზაციის მიმართ. ავტომანქანები, მედიკამენტები და სხვა მისთანანი მხოლოდ ცივილიზაციის პროდუქტებია, და ის სიხარბე, რითაც ადამიანი-მასა აცხრება მათ, კიდევ უფრო მკაფიოდ წარმოგვიჩენს მის გულგრილობას იმ პრინციპების მიმართ, რამაც შესაძლებელი გახადა ყველა ამ ხანის არსებობა. საკმარისია დავუკვირდეთ შემდეგ ფაქტს: მას აქვთ, რაც დასაბამი მიეცა *nuove scienze*-ს, ესე იგი, აღორძინების შემდეგ, სულ უფრო მეტი გატაცებით ეუფლებიან მათ. საქმე ასე წარმოვადგება: იმ სწავლულთა რიცხვი, რომელნიც ახალ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში მოღვაწეობდნენ, პროპორციული თვალსაზრისით, განუხრელად იზრდებოდა თაობებიდან თაობებამდე, და მხოლოდ დღეს მათმა რაოდენობამ პროპორციული, დი-ახ, კვლავ ვიმეორებ, პროპორციული თვალსაზრისით, პირველად იკლო იმ თაობაში, რომლის ასაკიც ოცი-ოცდაათი წლით განისაზღვრება. გაძნელდა სტრუქტურის მიზიდვა წმინდა მეცნიერებათა ლაბორატორიებში, და ეს ხდება სწორედ მაშინ, როცა მრეწველობამ არნახულ წარმატებებს მიაღწია, და როცა სულ უფრო და უფრო კოპუ უარული ხდება მეცნიერების მიერ შექმნილი წამლებისა თუ პრეპარატების გამოყენება.

მეშინია, მკითხველი არ გადავღალო, თორემ აქვე დაგიმტკიცებდით, რომ ასეთივე სიტუაცია შეიქმნა პოლიტიკისა თუ ხელოვნების, მორალისა თუ რელიგიის სფეროშიც, და ანალოგიური მდგომარეობა ჩვენს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

მაინც რას ნიშნავს ეს სიტუაცია? იმედი მაქვს, ჩემს ესეში მოცემულია პასუხი: ეს ნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანის დომინანტური ტიპი გახდა ველური, *Naturmensch*,** მოულოდნელად რომ გამოტყვერა ცივილიზებული სამყაროს წიაღში. ცივილიზებული სამყარო, მაგრამ არა მასში მცხოვრები ადამიანი; ის ვერც კი ამჩნევს, რომ ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრობს, და ისე სარგებლობს ცივილიზაციის ყველა სიკეთით, როგორც ბუნების ნაყოფით, „ახალ“ ადამიანს ერთი სული აქვს, როდის ჩაივდება ხელში მანქანას, და თუ სურვილი აისრულა, სიხარუ-

ლით ცას ეწევა; მას ჰგონია, რომ მანქანა, ციური მანანასავით, ციდან ჩამოვარდა, რადგანაც, კაცმა რომ თქვას, აზრადაც არ მოხდის ცივილიზაციის ხელოვნური, თითქმის დაუპერბელი წარმომავლობა. ცოტა შემოიკრძა, როცა რატონს სიტყვებით ვამტკიცებდი, რომ ჩვენ „ბარბაროსთა დაუოკებელი შემოსევის“ მოწმენი ვართ, შეიძლება გვეფიქრა (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), რომ ეს მხოლოდ „ლამაზი ფრაზა“ა. ახლა კი თვალნათლივ ვხედავთ, რომ ეს განსაზღვრა, რომელიც შეიძლება კემ-სარიტადაც მიიჩნიონ და მცდარადაც, არამც და არამც არ შეიძლება დახასიათებულ იქნეს როგორც „ლამაზი ფრაზა“. სინამდვილეში რატონს ფრაზა ფორმალური განსაზღვრებაა, ზღვრული ლაქონიურობით რომ შეიცავს რთული ანალიზის შედეგებს. სწორედ ადამიანი-მასა ის ველური, რომელიც მარჯვედ ჩამოცოცდა თოქზე და ანაზღუღულად ისკუპა ცივილიზაციის ძველ სცენაზე.

დღეს გამუდმებით ყბედობენ არნახულ ტექნიკურ პროგრესზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამოგონია არც ერთი ხმა, თუნდაც ყოველგვარი წინასწარზრახვის გარეშე, გაკვრით მაინც რომ აღნიშნავდეს, რაოდენ აუცილებელია ვიცნობიერებდეთ იმ უაღრესად დრამატულ მომავალს, რომელიც ელის ამ პროგრესს. თვით შპენგლერიც კი, ესოდენ დახვეწილი და თავისთავადი მოაზროვნე (თუმცა მას ბევრი აკვიატებული იდეა ჰქონდა), ამ თვალსაზრისით, ძალზე ოპტიმისტურად განწყობილი მეჩვენება. ასე მაგალითად, მისი აზრით, „კულტურის“ პერიოდს მოჰყვება „ცივილიზაციის“ პერიოდი, რომელიც მისთვის, უწინარეს ყოვლისა, ტექნიკურ პროგრესს ნიშნავს. შპენგლერის წარმოდგენა „კულტურასა“ და ისტორიაზე იმდენად განსხვავდება ანალოგიური წარმოდგენებისაგან, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს ესხეს, რომ, ალბათ, ძნელი იქნება მისი დასკვნების კომენტირება. ან თუნდაც მათი გადმოცემა გარკვეული თანმიმდევრობით. თუ ჩემი და მისი შეხედულებების გაერთმნიშვნელობას მოვიწადინებთ, ისე, რომ უგულებელყოფთ ცალკეულ განსხვავებებს და თავს ავარიდებთ დაზუსტებებს, მე შემდეგნაირად ჩამოვყალიბებდი ჩვენი კონცეფციების არსებით სხვაობას: შპენგლერის აზრით, ტექნიკა მაშინაც კი განაგრძობს არსებობას, თუ გაქრება ყოველგვარი ინტერესი უზოგადეს პრინციპთა მიმართ, რომელნიც წარმართავენ კულტურის განვითარებას. მე ვერ გავაწიარებ ამნაირ რწმენას. ტექნიკა, თავისი არსით, მეცნიერების განვითარების შედეგად გვევლინება, მეცნიერება კი ვერ იარსებებს, თუ მან შეწყვიტა არსებობა,

* ახალი მეცნიერებანი (იტალ.).
** ბუნების შეილი (გერმ.).

როგორც წმინდა მეცნიერებამ. ის ვერც იმ შემთხვევაში გააგრძელებს არსებობას, თუ ადამიანთა გულში ჩაქრა ყოველგვარი მოწინააღმდეგე კულტურის განვითარების უზოგადეს პრინციპთა მიმართ. თუ მიინავლა ამ აღტაცების ცეცხლი, რაც, ჩემის აზრით, დღეს უკვე ხდება, მაშინ ტექნიკა იარსებებს დროის მხოლოდ იმ შუალედში, ვიდრე გრძელდება კულტურული იმპულსის ინერცია, იმპულსისა, დასაბამი რომ მისცა თვითონ კულტურას. შესაძლებელია ადამიანებისა და ტექნიკის თანარსებობა, მაგრამ შეუძლებელია ადამიანის არსებობა ტექნიკის ხარჯზე. ტექნიკა ვერც თავის თავს ასაზრდოებს და ვერც სიცოცხლეს შთაბერავს თავს; მას არ შეუძლია იყოს *causa sui**. ტექნიკა სხვა არა არის რა, თუ არა უსარგებლო, არაპრაქტიკული ამოცანების პრაქტიკულად სახარგებლო და ძალზე ნაჩქარავი გადაჭრა**.

ამრიგად ჩემის აზრით, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ დღევანდელი ინტერესი ტექნიკის მიმართ სულაც არ გვევლინება მისი მომავალი განვითარების გარანტიად, მე სრულ სოლიდარობას ვუცხადებ იმათ, ვინც ტექნიციზმში „თანამედროვე კულტურის“ ერთ-

* თავისი თავის მიზეზი (ლათ.).

** ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ამერიკას განსაზღვრავს როგორც ქვეყანას, რომელიც წინ მიუძღვის ტექნიკურ პროგრესს, სინამდვილეში არაფერს არ ამბობს ამ ქვეყანაზე. არაფერი ისე არ ამბობს ევროპელების გონებას, როგორც დაუფიქრებელი მსჯელობა იმის თაობაზე, რაც ამერიკაში ხდება. არადა, ხშირად ასე მსჯელობენ თვით ყველაზე უფრო განათლებული ადამიანებიც, დისპროპორციის სრულიად თავისებური სახეა თანაფარდობა, რაც დღეს არსებობს ერთის მხრივ, თანამედროვე პრობლემების სირთულესა და მეორეს მხრივ, ჩვენი თანამედროვეების გონებრივ შესაძლებლობათა დაბალ დონეს წორის. მაგრამ ამის თაობაზე ქვემოთ მოვახსენებთ.

*** და მართლაც: ლიბერალურმა დემოკრატამ ტექნიკურ პროგრესამდე მიგვიყვანა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოუდგენელია ლიბერალური დემოკრატიის გარეშე; ერთი ცნება მეორეს გულახსმობს. ისაა ისე მკიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ შეუძლებელია ერთის არსებობის წარმოდგენა მეორის არსებობის გარეშე. როგორც ჩანს, საჭიროა შესამე სიტყვა; რომელიც მოიცავდა ორივე მნიშვნელობას. ეს სიტყვა გამობატავდა ორივე ცნების ვეშმარიტ არსს; ის ჩვენი საუკუნის სიტყვად იქცეოდა.

ერთ სპეციფიკურ ნიშანსა ხედავს, კულტურისა, რომელიც გულისხმობს მატერიალურ სფეროში ტექნიკის გამოყენებას. ამიტომაც იყო XIX საუკუნის წიაღში ჩასახული არსებობის ახალი მოდუსის თავისებურებათა ანალიზისას, მე საგანგებოდ გავამახვილე ყურადღება ორ მათგანზე: ლიბერალური დემოკრატისა და ტექნიკურ პროგრესზე. ტექნიკურ პროგრესს განვიფიქრებთ ისევე, როგორც ის გარემოება, რომ ყოველთვის, როცა ამ უკანასკნელზე ჩამოვარდება სიტყვა, რატომღაც იქვე ივიწყებენ, რომ მას მხოლოდ წმინდა მეცნიერება ასულდგმულებს, და ტექნიკის განვითარებისათვის აუცილებელი პირობები თავისთავად; გულისხმობენ წმინდა მეცნიერების საარსებო პირობების შექმნას. ეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში აუცილებლად უნდა მივხედვით გარკვეულ პრინციპებს, რათა მეცნიერებმა კვლავაც შესძლონ „მეცნიერების მსახურებად“ დარჩენა? ნუთუ ვინმეს მართლა შგონია, რომ ხანამ იქნება დოლარები, იარსებებს მეცნიერებაც? არადა, რამდენი ინტეგრეშებს თავს ამ აზრით. სინამდვილეში კი ამნაირი რწმენა სხვა არა არის რა, თუ არა ბარბაროსობის კიდევ ერთი დასტური.

რა ცოტა, მაგრამ ამასთანავე, ერთმანეთისკენ რაღაც განსხვავებული ინტენციები სჭირდება იმას, რომ შევანავოთ და ვანჯღრიოთ ისინი იმ კოქტილის მისაღებად, რომელსაც ფიზიკური ქიმიკა შქვია სახელად! ზერედე აღქმაც, თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია, რათა ნათელი შეიქნეს, რომ უსასრულო გეოგრაფიული თუ ისტორიული სივრციდან ამ მეცნიერებამ შემთხვევით როდი ამოიჩია თავისი განვითარების ადგილად პატარა სამკუთხედი, რომლის წვეროებიც სამ წერტილში — ლონდონში, ბერლინსა და პარიზში მდებარეობს, და თვით ამ პირობების დაცვითაც კი მან მხოლოდ XIX საუკუნეში შესძლო აღმოცენება. ეს ერთხელ კიდევ გვიმოწმებს, რომ ექსპერიმენტული მეცნიერება ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე გამოგნებულ პროდუქტად გვევლინება. როგორც ჩანს, საიმისოდ, რომ დასაბამი მიეცეს ადამიანის ახალ ტიპს — მეცნიერ-ექსპერიმენტატორს — საჭიროა გაცილებით უფრო ფანტასტიკური პირობები, ვიდრე მარტორქის შექმნას სჭირდება. ამ ფაქტის სიცხადე და სიმართლე გვაიძულებს დავუფიქრდეთ მეცნიერული შემოქმედების უკიდურესად უნიან ბუნებას.***

*** ჩვენ აქ არ შევუდგებით მეცნიერების შინაგანი მდგომარეობის ანალიზს. სწავლულთა უმრავლესობას წარმოდგენაც არა აქვს, რა

განა ბრმა არ არის, ვინც ფიქრობს, რომ თუ გაქრება ევროპა, ამერიკელები შესძლებენ კვლავაც გააგრძელონ მეცნიერული კვლევები?

ურთგო არ იქნებოდა ჩავლრმავებოლით ამ საკითხს და დავვეზუსტებინა, მაინც რას წარმოადგენენ ის ისტორიული და ცხოვრებისეული წანამძღვრები, რომლებმაც ხელი შეუწყეს ექსპერიმენტული მეცნიერების განვითარებას და, მაშასადამე, ტექნიკურ პროგრესსაც. მაგრამ იმედი ნუ გქვინებათ, რომ თვით იმ შემთხვევაშიაც კი, თუ შესაძლებელი შეიქნა ამის დადგენა, ადამიან-მასას რაიმეს შეაგნებინებთ; არა, ის არ ენდობა გონების არგუმენტებს, მან ყველაფერი თავის თავზე უნდა გამოხცადოს, თვითონვე უნდა იწვნოს.

შე მოვანდინე ერთი დაკვირვება, რამაც ყოველგვარი ილუზია გამიფანტა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რა სარგებლობას შეიძლება მოველოდეთ გონების არგუმენტებზე დაფუძნებული და, მაშასადამე, საკმაოდ დახვეწილი მსჯელობისაგან. განა აბსურდი არ არის, რომ საშუალო ადამიანი დღევანდელ ვითარებაში, აბსოლუტურად თავისი ნებით და ამ თემაზე ყოველგვარი ქადაგების გარეშე, უცებ აღენთო უჩვეულო სიყვარულით ზუსტი მეცნიერებებისა და მათი მონათესავე ბიოლოგიის მიმართ? თუ შეიძლება, უურადლება მიაქციეთ დღევანდელი სიტუაციის ერთ თავისებურებას: მაშინ როდესაც კულტურის სხვა მოვლენები აშკარად პრობლემატურნი გახდნენ (მე ვგულისხმობ პოლიტიკას, ხელოვნებას, საზოგადოებრივი ქცევის ნორმებს და თვით მორალსაც), მათგან გამოიყო ერთი მოვლენა, რომელიც ესოდენ დიდ ეფექტს ახდენს ბრბოზე, სახელდობრ, ემპირიული მეცნიერება. დღითი დღე სულ უფრო მეტად ვრწმუნდებით, რაოდენ ექვშეუვალია ეს მტკიცება: ქიმიკოსები და მედიკოსები ყოველდღე იგონებენ ტკივილის გამაყუჩებელ რაიმე ახალ საშუალებას, ან ეაქცინას, საშუალო ადამიანის ჯანმრთელობის განსამტკიცებლად; ინჟინრები ყოველდღე გვთავაზობენ კიდევ ერთ ახალ გამოგონებას, რომლითაც დაუყოვნებლივ სარგებლობს საშუალო ადამიანი. ყველამ იცის, რომ თუ მეცნიერები შემოქმედებითი ძალების ასეთივე დაძაბვით გააგრძელებენ მუშაობას, და თუ სამეცნიერო ლაბორატორიების რაოდენობა სამკერ ან ათკერ გაიზარდება, ავტომატურად ამაღლდება საზოგადოებრივი ძვითილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის დო-

ნე. სულ უფრო და უფრო მეტი ახალი ტექნიკური გამოგონების მოწმენი გავსდებით. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ გარკვეული სახიცოცხლო პრინციპის რაიმე სხვა, უფრო დამაჭერბლი რეკლამა? კი მაგრამ, რატომ ვერ ვხედავთ ვერავითარ ნიშანს იმისას, რომ მასებმა უცებ, შეგნებულად, ქველმოქმედების იმპულსის ძალით ხელი შეუწყვეტონ მეცნიერების დაფინანსების? ის კი არაადა ომის-შემდგომ პერიოდში სწავლული ჩვენი საზოგადოების კიდევ ერთ ჩაგრულ წევრად, ზედმეტ ადამიანად იქცა. მე ვგულისხმობ მხოლოდ ფიზიკოსებს, ქიმიკოსებსა [თუ ბიოლოგებს, და არა ფილოსოფოსებს, — ფილოსოფიას არ სჭირდება არც მფარველობა, არც ქველმოქმედება, არც მასების სიმპათია. ფილოსოფია ამაყობს თავისი საბოლოოტური პრაქტიკული უსარგებლობით, რისი წყალობითაც ის თავს აღწევს საშუალო ადამიანის ყოველნაირ მეურვეობას; ფილოსოფიას შეგნებული აქვს თავისი პრობლემატური არსი და, ცის ფრინველებივით, სიბარულით ეგებება ბედის განაჩენს, არც მფარველობას ითხოვს, არც ყურადღებას და არც თავისი პრინციპების პროპაგანდას. თუ ვინმე, თავისდა სასიკეთოდ, ნებაყოფლობით ისარგებლებს ფილოსოფოსის რჩევით, ეს უკანასკნელი ! გაბარებული დარჩება მისი გულისხმეირებითა და გონიერებით, მაგრამ არაფერს არ გამოელის აქედან, თუმცა არც ესწრაფის გამორჩენას, აზრადაც არ მოსდის ეს. როგორ უნდა მოსთხოვოს სხვებს, რომ სერიოზულად მიიღონ და აღიარონ, თუკი თვითონვე ეპარება ეჭვი საკუთარ არსებობაში, თუ მხოლოდ იმის ხარჯზე ცოცხლობს, რომ გამოუდნებით ეპაექრება თავისსავე თავს, და თუ განუწყვეტლივ ცვლის თავისი განვითარების კანონებს? მაშ, მოვეშვათ ფილოსოფიას, — ის სულ სხვა რიგის მოვლენა ვახლავთ.

მაგრამ ექსპერიმენტულ მეცნიერებას სჭირდება მასა, ისევე, როგორც მასას სჭირდება იგი; ისინი უერთმანეთოთ ვერ იარსებებენ: ფიზიკური ქიმიის განვითარების გარეშე უკვე შეუძლებელია დედამიწაზე შევინარჩუნოთ მის მკვიდრთა დღევანდელი რაოდენობა.

გონების რანაირი დასკვნებით შეიძლება იმის მიღწევა, რასაც ვერ მივალწევთ ავტომანქანების მეშვეობით, რომლებითაც დაჰქრიან ეს ადამიანები, და ვერც პანტოპონის წყალობით, სასწაულებრივი ძალით რომ კურნავს ყოველგვარ ტკივილს? და, აი, უკვე უაღიბდება არნახული დისპროპორცია, ერთის მხრივ, მეცნიერების მიერ ჩვენთვის ბოძებულ აშკარა და დღითი დღე სულ უფრო მზარდ სიკეთესა


მძიმე, რა საშინელ კრიზისს განიცდის ჩვენს დროში მეცნიერება.

და, მეორეს მხრივ, იმ ინტერესს შორის, რომელსაც მეცნიერება იწვევს. ახე რომ, ნუ მოვიტყუებთ თავს, ნუ გვექნება იმის იმედი, რომ ადამიანი-მასა ცივილიზებული არსებას-ავით მოიქცევა, და არა ბარბაროსივით. მით უმეტეს, რომ, როგორც ქვემოთა ვნახავთ, მეცნიერებისაგან ეს განდგონა ყველაზე მეტად დამახასიათებელია ექიმების, ინჟინრებისა და, საერთოდ, ტექნიკური სპეციალისტებისათვის. დღეს ისინი ისეთივე განწყობით ასრულებენ თავიანთ საქმეს, როგორც ჩვენ დავაპროდებთ მანქანებს, ან ასპირინსა ვუი-დულობთ, ისე, რომ სულაც არ გვადარდებს მეცნიერებისა და ცივილიზაციის ბედი.

შესაძლოა, ზოგიერთი ჩემი მკითხველი შეამჩნევდეს მომავალი ბარბაროზაციის სხვა ნიშნებს, რომლებსაც პოზიტიური ელფერი დაჰკრავთ, ესე იგი, უმოქმედობად კი არა, მოქმედებად გვევლინებიან, და ამიტომ უფრო თვალში საცემია არიან, რაკილა ამა თუ იმ საქმიანობის განსახიერებად წარმოგვიდგებიან. ჩემთვის კი ყველაზე საზარელი ნიშანი ეს დისპროპორციაა, ერთის მხრივ, იმ სიკეთესა, რასაც მეცნიერება სთავაზობს საშუალო ადამიანს, და, მეორეს მხრივ, იმ მადლიერებას, ან, უფრო სწორად, უმადურობას შორის, რასაც საშუალო ადამიანი იჩენს მეცნიერების მიმართ.* მე მხოლოდ მაშინ შემიძლია შევეგუო იმ აზრს, რომ მახეები არავითარ პატივს აღარ სცემენ მეცნიერებას, როცა მახე-ხედავს, რომ აფრიკის ჯავანებში ზანგებიც დაჰკრიან მანქანებით და ასპირინსაც ულაპავენ. ამრიგად, მე მინდა ვივარაუდო: ადამიანის ტიპი, რომელიც უკვე ჭარბობს ჩვენს კონტინენტზე, პირველყოფილი ადამიანის ტიპია, მით უმეტეს, იმ ურთულეს ცივილიზაციასთან მი-

* ამ მოვლენის არნახულ საშინელებას აღსატურებს ის ფაქტი, რომ (როგორც უკვე აღვნიშნე) დღევანდელი არსებობის დანარჩენი პრინციპები, როგორც მაგალითად, პოლიტიკა, სამართალი, ხელოვნება, მორალი, რელიგია, მართლაც განიცდიან კრიზისს, რაც მათი განვითარების შედეგად გვევლინება. კრიზისი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მათი დეკადანსი ხომ უეჭველია. მხოლოდ მეცნიერებამ დააღწია თავი ამ კრიზისს; მეტიც, დღითი დღე ახალ-ახალ წარმატებებს გვიპირდება, და უფრო მეტსაც კი ასრულებს, ვიდრე აღვითქვამს. დღეს მეცნიერებას კონკურენტი არ მოეძებნება; მით უფრო მიუტყვევებელია საშუალო ადამიანის განდგომილება მეცნიერებისაგან. რადგანაც კულტურაში დღეს აღარაფერია ისეთი, მისი მიზიდვა რომ შეეძლოს.

მართებით, რომელმაც დასაბამისი მისცა მას, „ახალი ადამიანები“; ბარბაროსები არიან, თავბედურად რომ შემოიჭრნენ ისტორიის სცენაზე და თავიანთი გააფთრებული შემოსევით აავსეს მთელი ისტორიული სივრცე.



პირველყოფილი ადამიანი და ისტორია

ბუნება ჩასაფრებულია და გვითვალთვალებს. ის ყოველთვის ცდილობს დაგვჯახოს. იქ, პირველყოფილ ტყეში, ჩვენ შეგვიძლია ისე ვგრძნობდეთ თავს ველურებად, რომ სასჯელის შიში არ გვექონდეს. ჩვენ ისიც კი შეგვიძლია, რომ სამუდამოდ ველურებად დავრჩეთ. და მაშინ მხოლოდ ერთი საფრთხე თუ შეიძლება გვემუქრებოდეს — ცივილიზებულ ადამიანთან შეჯახება. რა თქმა უნდა, შეიძლება დავუშვათ არსებობა ხალხებისა, რომლებიც არასოდეს გამოსულან პირველყოფილი მდგომარეობიდან. ამნაირი ხალხები მართლაც არსებობენ; ბრეისივი „მარადიული ცისკრის ტომებს“ უწოდებს მათ. ისინი ჰვრეტენ მხოლოდ მზის ამოსვლის მკრთალ ციმციმს, მათ მხარეში არასოდეს დგება შუადღე.

ეს ხდება სამყაროში, სადაც მბრძანებლობს ბუნება, მაგრამ ეს არ შეიძლება მოხდეს ცივილიზებულ სამყაროში, როგორც კი ჩვენი სამყარო გახლავთ. ცივილიზაცია არც ჩასაფრებულია და არც გვითვალთვალებს. თავისთავად, ხხვისი დახმარების გარეშე, მას არ შეუძლია თავისი თავის რეპროდუცირება. ის ხელოვნური წარმომავლობისაა და ამიტომ, თავისი არსებობის შესანარჩუნებლად, ხელოვანი და ხელოსანი სჭირდება. თუ თქვენ გსურთ იხარებოდეთ ცივილიზაციის სიკეთით, მაგრამ თითხ თითხედაც არ აკარებთ მის შესანარჩუნებლად, რაც მოგივათ, თქვენსავე თავს დააბრალეთ, — ცივილიზაცია თვალსა და ხელ-შუა გაგიქრებათ. საქმარისია, ერთი წამით მოსწყდეთ საქმეს, სხვა რამეზე გადაიტანოთ ყურადღება, და ცივილიზაციის ასავალ-დასავალსაც ვეღარ გაიგებთ: თითქოს ვიღაცამ ჩამოგლიჯა საბურველი და გააშისვლა პირველყოფილი ტყის დასაბამიერი არსი, ამ საბურველის ქვეშ რომ იმალებოდა. უღრან ტყეში ყოველთვის არის რაღაც პირველყოფილი, და პირიქით, ყოველივე პირველყოფილი უღრანი ტყიდან შემოდის ჩვენში.

ყველა დროისა და ყველა ხალხის რომანტიკოსებს ოდითგანვე იზიდავდა ძალადობის

სენები, — აქ ხომ ბუნებრივი, მხეცური საწყისი კვლავ და კვლავ იძლევა ადამიანის სუსტ ქალურ საწყისს. ამიტომაც გამოიგონეს ისეთი სიუჟეტები, როგორცაა, ვთქვათ, ლედა და ვნებით მოცანცანე გედი, კურო და პასიფაე, ანტიოპე და მისი დაუფლებიან სურვილით ატროვებული ბოტი. შემთხვევით როდი იპყრობდა რომანტიკოსების უურადლებას, მათი თვალსაზრისით, ნანგრევების უხამსი სანაბობა, სადაც ადამიანის ხელით დათლილი ღოდები თითქოს იბრჩობოდნენ ველური ბუნების ხვევნაში. საკმარისი იყო რომანტიკოს მხატვარს ამა თუ იმ შენობისათვის მიეპყრო თვალი და სახურავიდან საძირკვლამდე შეეთვალიერებინა იგი, რომ მყისვე იწყებდა მწერით მოყვითალო-მომწვანო ხავსის ძებნას, ნიშნად იმისა, რომ, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ბუნებას უბრუნდება, და რომ ბუნება მძლავრობს ყველგან და ყველაფერზე.

სიბრიყვე იქნებოდა, საცინად აგვეგდო ჩვენ რომანტიკოსი. ის მართალია, — თავისებურად. ამ მიაშიტურსა და ბიწიერ სახეებს უზარმაზარ დასაბამიერ პრობლემასთან მივყავართ: ეს ვახლავთ ცივილიზაციისა და მის ზურგს უკან მძვარი ბუნების, რაციონალურ და კოსმიურ საწყისთა თანაფარდობის პრობლემა: ნება მიბოძეთ, სხვა დროს და სხვა ადგილას კვლავ მივუბრუნდე ამ საკითხს (და თანაც, სავსებით რომანტიკული განწყობილებით).

ახლა კი ჩვენ წინაშე დგას ამოცანა, მოვიგერიოთ ველური ბუნების შემოტევა. „შეგნებულმა“ ევროპელმა თავისი თავი უნდა მიუძღვნას იმას, რამაც დღეს, როგორც მოგვხსენებათ. ამდენი საფიქრალი და თავსამტვრევი გაუჩინა ავსტრალიელებს, რომლებსაც ნამდვილი ბრძოლა სჭირდებათ იმისთვის, რომ საშუალება არ მისცენ ველურ კაქტუსებს, მთელ კონტინენტს მოედონ, რადგანაც მათ შეიძლება ფუნის მოსაკიდებელი ადგილიც აღარ დაუტოვონ ადამიანებს და ზღვაში გადაუძახონ ისინი. გასული საუკუნის ორმოციან წლებში, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ერთ-ერთმა მკვიდრმა, ნოსტალგიურად განწყობილმა ემიგრანტმა, არ ვიცი, მალაგელმა თუ სევილიელმა, ავსტრალიაში ჩაიტანა კაქტუსის ნერგი. დღეს კი ავსტრალიელები იძულებულნი არიან თავიანთი ბიუჯეტის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გაიღონ კაქტუსთან საბრძოლველად. კაქტუსები ყოველწლიურად თითო კვადრატული კილომეტრით მაინც ზრდიან თავიანთი გავრცელების არეს, და ისინი თითქმის უკვე მთელ კონტინენტს მოედვნენ.

ადამიან-მასას ჰგონია, რომ ცივილიზაცია, რომელმაც ძუძუ აწოვა მას და რომლის მიღ-

წევებითაც ის სარგებლობს ისეთივე ბუნებრივი და წარღვნამდელი წარმომავლობისაა როგორც თვით ბუნება, ამიტომ თვითონაც ipso facto* წინარეისტორიულ ადამიანად იქცევა. ცივილიზაცია მისთვის იგივეა, რაც ვაუვალი შამბნარი. ეს ზემოთ უკვე მოვახსენეთ, ახლა კი მინდა ცოტათი მაინც დავაზუსტო, რას ვგულისხმობდი.

პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროს, და რომელთა შენარჩუნებაც მუდმივ ძალისხმევას მოიხთხოვს, უკვე აღარაფერს აღარ ნიშნავენ საშუალო ადამიანისათვის. მას აღარ აინტერესებს კულტურის მიერ შექმნილი უმთავრესი ფასეულობანი, ის არ ეთანხმება მათ, აღარ ხურს მათ ემსახუროს. რამ გამოიწვია ეს? მიზეზი ბევრია, მაგრამ ახლა მე მინდა მხოლოდ ერთ მათგანზე შევაჩერო თქვენი ყურადღება.

ცივილიზაცია, თავისი განვითარების კვალდაკვალ, სულ უფრო და უფრო რთულდება, და ჩვენ წინაშეც უფრო რთულსა და უფრო დასლართულ პრობლემებს აყენებს. დღითი დღე მცირდება იმათი რიცხვი, ვისაც მათი გადაჭრა ძალუძს. ის რაც ომის შემდგომდროინდელ ევროპაში ხდება თვალნათლივ გვიმოწმებს ჩემი შენიშვნის სისწორეს. ასე მაგალითად, ევროპული ეკონომიკის აღდგენა ომის შემდეგ უაღრესად ძნელი ამოცანაა, და უბრალო ევროპელი მას ვერ გადაწყვეტს. უბედურება საშუალებების კი არა, ჭკუის ნაკლებობაა. უფრო სწორედ, ჭკუა, მართალია, ცოტა, მაგრამ მაინც მოიძებნება: ვაი რომ, საშუალო ევროპელთა ბრიყვი და მცონარა სხეულები გასაქანს არ აძლევენ მას.

ეს დისპროპორცია, ერთის მხრივ, ამოცანების უკიდურეს სირთულესა და დასლართულობას, ხოლო მეორეს მხრივ, მათი გადაჭრის უნარს შორის, თანდათანობით იზრდება და კვლავაც გაიზრდება მანამ, სანამ ამ ზრდის შეჩერების საშუალებას არ მიაკვლევენ. სწორედ ეს დისპროპორციაა ცივილიზაციის უმთავრესი ტრაგედია. პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს ცივილიზაციას, იმდენად მნიშვნელოვანნი და ნაყოფიერნი გამოდგნენ, იმდენად უხვი და მრავალფეროვანი მოსავალი მოგვაწვევინეს, რომ მათი ნაყოფით გამაძლარმა და გულმოყვირებულმა „ნორმალურმა“ ადამიანმა ყოველგვარი ინტერესი დაკარგა თვით ამ პრინციპების მიმართ. არა მგონია, წარსულში რაიმე ამგვარი მომხდარიყოს. ყველა ძველი ცივილიზაცია იმითომ იღუპებოდა, რომ მათ პრინციპებს დაფუძნება და დასაბუთება

* ფაქტის ძალით (ლათ.).

აკლდა. როგორც ჩანს, ევროპულ ცივილიზაციას სრულიად საპირისპირო ხასიათის საფრთხე ემუქრება. რომის იმპერია იმან დააქცია, რომ ვერ შესძლო ტექნიკის განვითარება. მხოლოდ ტექნიკას შეეძლო დაეკმაყოფილებინა იმდენი ხალხის საარსებო მოთხოვნილებანი, რამდენ მცხოვრებსაც ითვლიდა რომის იმპერია მისი დაცემის უამს. სწორედ ამიტომაც შეანელა ძველმა სამყარომ თავისი განვითარება, თანდათანობით რღვევა იწყო და, ბოლოს, სრული კრაზი განიცადა.

მაგრამ დღეს სულ სხვა სიტუაციაა. ახლა უკვე თვით ადამიანი ვეღარ ახწრებს ფუნდამენტურ მისდობს პროგრესს, რომლის გზასაც განუხრებლად მიჰყვება ცივილიზაცია. თმები ყალფზე გადავება, როდესაც ისმენ, რანაირად მსჭელობენ საკმაოდ განათლებული ადამიანები ყველაზე ელემენტარულ ცხოვრებისეულ მოვლენებზე. ისინი გლეხებს მაგონებენ, თავიანთი მოუქნელი, კოტიტა თითებით ამოად რომ ცდილობენ მაგიდიდან ნემსის აღებას. ეს ადამიანები პოლიტიკასა და საზოგადოებას იმ დრომოკმული წარმოდგენების მიხედვით აფასებენ, რომლებიც ორასი წლის წინათ ჩამოყალიბდნენ და გამიზნულნი იყვნენ ორასტერ უფრო მარტივი პრობლემების გადასაჭრელად.

რაც უფრო რთულია ცივილიზაცია, მით უფრო ძნელად გადასაჭრელ პრობლემებს აყენებს ჩვენ წინაშე. ამიტომ პროგრესს გარდუვალად თანა ხდევს საფრთხე: ცხოვრება უკეთესი ხდება, მაგრამ, ამასთანვე, უფრო რთულიც, ცხადია, რაც უფრო რთულდება პრობლემები, მით უფრო იზვეწება მათი გადაჭრის საშუალებებიც, მაგრამ ყოველი ახალი თაობა თვითონვე უნდა ეძებდეს მათ. მაგალითისათვის შეიძლება დავახატოთ ერთი იმ საშუალებათაჯანი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ცივილიზაციის პროგრესს. ესაა ისტორიული ცოდნა, რომელსაც საფუძვლად უდევს, უწინარეს ყოვლისა, კაცობრიობის განვითარების მთელი წინარე პერიოდის მანძილზე შექმნილი გამოცდილება. ისტორიული ცოდნის დაუფლება ცივილიზაციის განვითარებისა და მისი განუხრელი პროგრესის უპირველეს გარანტიად უნდა მიგვაჩნდეს. მაგრამ იმიტომ კი არა, თითქოს მას შეუძლია გადაგვაჭრევინოს ახალი ცხოვრებისეული კონფლიქტები, არამედ იმიტომ, რომ წარსული გამოცდილების ცოდნამ შეიძლება თავიდან აგვაცილებინოს გარდასულ ეპოქათა შეცდომების გამეორება. მაგრამ თუ თქვენ ისედაც ხანდაზმული ბრძანდებით (რაც თავისთავად ძალზე უძნელეს ცხოვრებას), ამასთან, სკლეროზიც დაგეწყოთ და წარსულიც დაგავიწყდათ, ასე რომ, ვეღარც ისარ-

გებლებთ მისი გამოცდილებით, თქვენი ღირსება ნაკლოვანებად იქცევა. სწორედ ეს ხდება დღევანდელ ევროპაში, სადაც თვით ყველაზე „კულტურულ“ ადამიანებსაც კი მიუტევებელი ისტორიული „სკლეროზი“ სჭარბო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს დიდებულნი, რომლებზედაც ქაშაგიდებულა ევროპული საზოგადოების ბედი, გაყოფილნი უფრო ცუდად იყნობენ ისტორიას, ვიდრე XVIII-ის თუნდაც XVII საუკუნის ადამიანები. სწორედ იმ ისტორიულმა ცოდნამ, რომელსაც ფლობდა მმართველი უმცირესობა (მმართველი — sensu latu)*, შესაძლებელი გახდა არნახული პროგრესი XIX საუკუნეში. იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ გარდასულ ეპოქათა შეცდომები, XVIII საუკუნის პოლიტიკოსები წინასწარ გეგმავდნენ თავიანთ მოღვაწეობას და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებდნენ მთელ ისტორიულ გამოცდილებას. მაგრამ უკვე XIX საუკუნეში „ისტორიული კულტურა“ კვდობას იწყებს, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელმა სწავლულებმა განვითარების ისეთ მაღალ საფეხურზე აიყვანეს ისტორიული მეცნიერება, რისთვისაც მას არახოდეს მიუღწევია.** შეცდომებმა, რომლებიც ჩვენი საზოგადოების განვითარებას ამუხრუჭებენ, სწორედ მაშინ იჩინეს თავი, მაგრამ არა მარტო ამ მიზეზის გამო. ის უჩინარი მუშაობა, რამაც დღევანდელ რეგრესსა თუ ბარბაროსულ მდგომარეობისაკენ შემობრუნებამდე, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ ადამიანის მიაპიტურ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, რომელსაც წარსული არც ახსოვს და არც გააჩნია, — XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში დაიწყო.

ამ აშკარა რეგრესიის ყველაზე თვალსაჩინო ნიშნულად ევროპაში და მის განაპირას აღმოცენებული ბოლშევიზმი და ფაშიზმი, „ახალი“ პოლიტიკის ეს ორი ნაშიერი გვევლინება. ჩვენ შეგვიძლია ამნაირი რეგრესიის ნიშნულად მიგვაჩნდეს ისინი, მაგრამ არა იმ დადებითი მუხტის გამო, რომელსაც შეიცავენ ეს მოძღვრებები, რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მაინც რომ ასახავენ კემპარიტებას (სამყაროში ყველაფერს, თუნდაც სულ უმნიშვნელო, მაგრამ მაინც თავისი საკუთარი აზრი აქვს), არამედ იმ ანტიისტორიული, ანტირაციული მიდგომის

* ამ სიტყვის ფართო გაგებით (ლათ.).
** უკვე მაშინ აშკარა ხდება განსხვავება მეცნიერების იმდროინდელ მდგომარეობასა და კულტურის მდგომარეობას შორის; იქმნება სიტუაცია, რომელიც ჩვენი თანამედროვეობის განსაკუთრებულ შეცბუნებას იწვევს.

ვამო, რაც ახასიათებს ყველა მათეულ მცდე-
ლობას, ცხოვრებაში განახორციელონ თავიანთი
ნაწილობრივი ჭეშმარიტება. ისინი გვევლინე-
ბიან იმ ჭეშმარიტად მასობრივ მოძრაობათა
ტიპიურ მაგალითებად, რომელთაც, როგორც
მოსალოდნელი იყო, უსახო, უღიმღამო და
უფერული, მეხსიერებამოშლილი ადამიანები
წელმძღვანელობენ, რომლებსაც არ შეუძლიათ
ჩასწვდნენ ისტორიული მომენტის სპეციფიკას,
რადგანაც საერთოდ არ გააჩნიათ ისტორიული
ცნობიერება. მათი ქცევა, არსებითად, უკვე
შეიძლება წარსულში იქნეს გადატანილი. მიუ-
ხედავად იმისა, რომ მათი მოღვაწეობა აწმ-
ყოში მიმდინარეობს, ის წყლის ორი წვეთივი-
თა ჰგავს იმას, რისი მოწმეც უკვე ყოფილა
ისტორია.

საქმე კომუნისტური თუ ბოლშევიკური პარ-
ტიის წევრობას როდი ეხება. მე არ ვაპირებ
აქ იმის განსჯას, თუ რამდენად აუცილებელია
იზიარებდე ამა თუ იმ პოლიტიკურ კრედოს,
მაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ კომუ-
ნისტის მოქმედების აუხსნელი ანაქრონიზმი
1917 წელს, კომუნისტისა, თავდაუზოგავად
რომ ცდილობდა მოეხდინა იმნაირი რევოლუცია,
რომელიც თავისი ფორმით ყველა სხვა, მახზე
უწინარესი რევოლუციის მსგავსი იქნებოდა და
შუსტად გაიმეორებდა მათ ყველა ნაკლოვანე-
ბას. ამიტომ, ისტორიული თვალსაზრისით, რუ-
სული რევოლუცია არ შეიძლება რაიმე ინტერე-
სის საგანი იყოს, არ შეიძლება ნამდვილი
ადამიანური ცხოვრების დასაწყისად იქნეს მი-
ჩნეული; პირიქით, თავისი არსით, ის რაღაც
სრულიად საპირისპირო მოვლენა გახლავთ.
ახალი რევოლუცია სხვა არა არის რა, თუ არა
ერთი და იმავე რევოლუციის გულისგამაწვრილე-
ბელი გამეორება. რუსული რევოლუცია ჩვე-
ულებრივი რევოლუციის იმდენად ტიპიური მა-
გალითია, რომ ძნელია წარმოვიდგინოთ რაიმე
ბანალური გამონათქვამი ყველა იმ რევოლუ-
ციის შესახებ, რაც კი საერთოდ ახსოვს ის-
ტორიას, რომ ამ ბანალურობის დასტურად არ
გვევლინებოდეს რუსული რევოლუცია. „რე-
ვოლუცია თავის საკუთარ შეილება ნთქავს“,
„რევოლუციას იწყებენ ზომიერი პარტიები,
შემდეგ კი რევოლუციის პროცესს ექსტრემის-
ტები წარმართავენ, ძალადობის გზით რომ
ექცევიან რევოლუციური მოძრაობის სათავე-
ში, მაგრამ მალე ისინი უკან იხევენ და იწყებენ
წინანდელი რეჟიმის რესტავრაციის პერიოდს“,
და ა. შ. და ა. შ. ამ ღირსშესანიშნავ გაცვეთილ
ფრაზებს უნდა დაემატოს თავიანთი ბანალუ-
რობით არც ისე აშკარად თვალში ხატვით, მაგ-
რამ არანაკლებ მართებული გამონათქვამები,
როგორცაა, მაგალითად, შემდეგი: რევოლუცია

არ შეიძლება გაგრძელდეს თხუთმეტ წელზე,
ესე იგი, დროის იმ შუაღედზე უფრო დიდი
ხნის განმავლობაში, რომლითაც განისაზღვრება
ერთი თაობის აქტიური საზოგადოებრივი ცხოვ-
რების პერიოდი!*

ვინც ჭეშმარიტად ახალი სოციალური თუ
პოლიტიკური რეალობას შექმნაზე უცნებობს,
უწინარეს ყოვლისა, იმას უნდა ენერჯოდეს,
რომ ისტორიული გამოცდილების განზოგადე-
ბის შედეგად ჩამოყალიბებული ეს ბანალური
ჭეშმარიტებანი ჭეშმარიტებებად აღარ გვევ-
ლინებოდნენ იმ სამყაროში, რომლის შექმნასაც
ის ცდილობს. მე კი, ჩემის მხრივ, გენიალურს
გუწოდებდი იმ პოლიტიკოსს, ვინც თავისი
კარიერის საწყის ეტაპზე შესძლებდა დემიტ-
კიცებინა, რომ ვერც ერთმა ისტორიულმა „კა-
ნონმა“ ვერ გაუძლო დროის გამოცდას, არა-
ვითარი ქმედითუნარიანობა აღარ შერჩა და
მტვრად და ნაცრად იქცა. რაც მაშინვე სა-
შინელ ხასოწარკვეთილებაში ჩააგდებდა მთელი
მსოფლიოს სასწავლო დაწესებულებათა ის-
ტორიის მასწავლებლებს.

თუ საპირისპირო ნიშნით შევცვლით იმ
ნიშანს, რომლითაც აღბეჭდილია ბოლშევიკუ-
რი მოძრაობა, იგივე შეიძლება ითქვას ფაში-
ზმზედაც. არც ერთი და არც მეორე არა

* ერთი თაობის საზოგადოებრივი ცხოვრება
დაახლოებით ოცდაათ წელს გრძელდება. ეს
ცხოვრება შეიძლება ორ პერიოდად და, მა-
შასადამე, ორ ეტაპადაც დაიყოს. დაახლოებით
თხუთმეტი წლის განმავლობაში ახალი თაობა
ცდილობს დაამკვიდროს თავისი იდეები, მის-
წრაფებები თუ წარმოდგენები და, ბოლოს და
ბოლოს, მიზანსაც აღწევს: მისი იდეები თხუთ-
მეტი წლის მანძილზე დომინანტური ხდება
საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ თაობა აღ-
ზრდილია მშვიდობიან ვითარებაში, სადაც ბა-
ტონობს წინა თაობის, ესე იგი, მამების აზ-
როვნების მანერა, მაშინ ის ცდილობს ახალი
იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები თავს
მოახვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ატმო-
სფეროს. თუ უფროსი თაობის იდეები, მისწრა-
ფებები და წარმოდგენები ექსტრემისტული ხა-
სიათისაა, მაშინ ახალი თაობა ანტიექსტრემის-
ტულად და ანტირევოლუციურად იქნება გან-
წყობილი, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,
რესტავრაციის მომზრე იქნება. სწორედ ესაა
ახალი თაობის ნებისმიერი მოღვაწეობის არსი.
რა თქმა უნდა, რესტავრაცია სულაც არ
ნიშნავს წარსულისაკენ უბრალო „მიბრუნე-
ბას“, რაც, კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს
მოპყოლია შედეგად არავითარ რესტავრაციას.

დგას „თავისი დროის სიმაღლეზე“, არც ერთი არ შეიცავს წარსულის კონცენტრირებულ გამოცდილებას, რაც წარსულისავე დაძლევის აუცილებელი პირობა იქნებოდა. შეუძლებელია ხელჩართულ ბრძოლაში გამოიწვიო წარსული; მომავალი ნთქავს და ასე ამარცხებს მას. თუ მერმისს მოუწოდებელი დარჩა წარსულის თუნდაც ერთი ლუკმა, მისი ცდა მარცხის-თვისაა განწირული.

ერთიცა და მეორეც (ბოლშევიზმიცა და ფაშიზმიც) სხვა არა არის რა, თუ არა კაცობრიობის პორიზონტზე უაღბლო მზის ამოსვლა, რომელსაც არ მოჰყვება მომავალი დღის განთიადი, არამედ კვლავ და კვლავ დადგება ისევ ის გუშინდელი დღე. რომელიც, ვინ მოსთვლის, უკვე რამდენჯერ დამდგარა. ბოლშევიზმიცა და ფაშიზმიც პირველყოფილი ბარბაროსობის მდგომარეობაში გვაბრუნებს, და ასეთივე იქნება ნებისმიერი პოლიტიკური მოძრაობის ბედი, რომლის ლიდერებიც ბრძოლადაც წამოეგებიან ნიაშიტური ცდუნების ანკებს, მუსტიკრივი გაუმართონ წარსულის ამა თუ იმ აჩრდილს, ნაცვლად იმისა, რომ აითვისონ ან შეითვისონ იგი.

ექვს გარეშეა, რომ XIX საუკუნის ლიბერალიზმი გადალახული უნდა იქნეს. მაგრამ სწორედ ამას ვერაზდიდებით ვერ შესძლებს ის, ვინც, ფაშისტებივით, ანტილიბერალად აცხადებს თავს. არჩევანი ლიბერალიზმსა და ანტილიბერალიზმს შორის დამახასიათებელი იყო იმ ეპოქის ადამიანისათვის, რომელიც ლიბერალიზმის ეპოქას უხსრებდა წინ. და რაკი ლიბერალიზმმა სძლია ანტილიბერალიზმი, ის კვლავაც მძლევლად მოგვევლინება. თორემ ყველაფერს გაქრობა უწერია — ლიბერალიზმსაც და ანტილიბერალიზმსაც — იმ საბედისწერო წამს, როცა დაიღუბება ევროპა. არსებობს ცხოვრების უღმობელი ქრონოლოგია, რომლის თანახმადაც, ლიბერალიზმი ანტილიბერალიზმის შემდეგ უნდა მოვევლინოს ქვეყნიერებას, რადგანაც პირველი უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას ქვეშარტ ცხოვრებაზე, ვიდრე მეორე, მსგავსად იმისა, როგორც ჯარბაზანი უფრო მეტად შეესაბამება ჩვენს წარმოდგენას ნამდვილ იარაღზე, ვიდრე შუბი.

ერთის შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ „ანტი-რალაც“ სწორედ ამ „რალაცს“ მოსდევს, რადგანაც მის საწინააღმდეგოდ, მიმართულ რეაქციას ნიშნავს და გულისხმობს, რომ ეს „რალაც“ „ანტი-რალაცამდე“ არსებობს. მაგრამ ის სიახლე რაც ამ „ანტი“-ს მოაქვს,

მყისვე იფანტება პაერში და მხოლოდ მოგონების მქრთალ კვალსა ტოვებს. ვინც ანტიპედროდ აცხადებს თავს, მხოლოდ იმ სამყაროს მხარდამჭერად მოაქვს თავი, რომელშიაც პედრო არ არსებობს. მაგრამ სწორედ ამნაირი იყო სამყაროს მდგომარეობა პედროს დაბადებამდე. „ანტიპედროს“ შემდეგ კი არა, მანამდე ჩნდება ცხელი ფილმის თითქოს უკულმა უჩვენებენ, ვიდრე კინოლენტის დასაწყისში არ გამოჩნდება პედრო. ასე რომ, ყველა ამ „ანტი“-ს შემთხვევაში იგივე ხდება, რაც, ერთი ლეგენდის თანახმად, დაემართა კონფუციუსს, რომელიც, რა თქმა უნდა, მამამისის შემდეგ დაიბადა, მაგრამ — დალაზვროს ეშმაკმა! — დაბადებისას თვითონ უკვე ოთხმოცი წლისა იყო, მამამისი კი — ოცდაათის. ნებისმიერი „ანტი“ სხვა არა არის რა, თუ არა „არა“-ს გამარტივებული და ნაკლებად კატეგორიული ვარიანტი.

ძალიან ადვილი იქნებოდა, „არა“ გვეოქვა და ამით გადაგვეხაზა მთელი ჩვენი წარსული. დროის არსი ის გახლავთ, რომ ეს მარადმდინი რეალობა ყოველთვის revenant*-ია; მისთვის ნიშნეულია შემობრუნება. ჩვენ შეგვიძლია გადავხაზოთ ჩვენი წარსული, მაგრამ ის აუცილებლად შემობრუნდება; ამიტომაც წარსულისაგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება ისაა, რომ მას ანგარიში გავუწიოთ, ანგარიშში მივითვალოთ, და არა ის, რომ მოვიკვეთოთ ან გადავავდოთ. დიახ, წარსულს ანგარიში უნდა გავუწიოთ, თუ გვინდა თავიდან ავიცილოთ მისი გაშეორება და მის შურისძიებას დავაღწიოთ თავი. მოკლედ, „დროის სიმაღლეზე“ უნდა ვიდგეთ და მძაფრად ვგარძობდეთ ისტორიული მომენტის სპეციფიკას.

წარსული ყოველთვის მართალია, — თავისებურად. თუ მის სიმართლეს არა ვცნობთ, ის არა მარტო აღიარებას მოგვთხოვს, არამედ თავის სიმართლესაც მოგვახვევს თავზე. ლიბერალიზმიც თავისებურად მართალი იყო, უნდა ვაღიაროთ მისი სიმართლე per saecula saeculorum.**. მაგრამ ის ყველაფერში მართალი როდი იყო, და ეს კარგად უნდა გვახსოვდეს, თუ გვინდა სრულყოფილი იგი. ევროპას უნდა შეენარჩუნებინა თავისი ლიბერალიზმი. ეს მისი დაძლევის აუცილებელი პირობა იყო.

მე აქ ვლაპარაკობდი ფაშიზმსა და ბოლშევიზმზე, ისე, რომ არ ჩავდრმავებოფარ საკითხს, და მხოლოდ ამ მოვლენების ანაქრონიულ მხა-

* შემოქცევალი (ფრანგ.).
** უკუნიითი უკუნიისამდე (ლათ.).

რეს შევეხე. ჩემის აზრით, ეს ჩვენი დრო ყოველივე იმის ტრიუმფის დროა, რაც შეიძლება, ასე თუ ისე, ანაქრონულად იქნეს ცნობილი. დღეს გამარჯვებას ზეიმობს ადამიანობა, და, ამისდა კვალად, ნებისმიერი ხაქმიანობა, რაც მისი პირველყოფილი ბუნების ნიშნით იქნება აღბეჭდილი, აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება. ჩემს თხზულებაში მე სულაც არ ვცდილობდი გამომევილინა ფაშიზმისა და ბოლშევიზმის არსი. არც იმას ვაპირებ, რომ აქ გადავჭრა ოდინდელი დავა რევოლუციასა და ევოლუციას შორის. მე მხოლოდ იმის განსაზღვრა მსურდა, თუ როგორია რევოლუციის ან ევოლუციის ბუნება: ისტორიული თუ ანაქრონული.

საკითხები, რომელთა გადაჭრასაც ამ ჩემს ესსეში ვცდილობდი, პოლიტიკური თვალსაზრისით, ნეიტრალური საკითხებია, რამდენადაც კულტურის უფრო ღრმა შრეებს ეხებიან, ვიდრე ის შრეებია, სადაც პოლიტიკური კინკლაობა მიმდინარეობს. კონსერვატორიც ისევე გვევლინება ადამიანი-მასის ტიპად, როგორც რადიკალი. განსხვავება მხოლოდ მათ პოლიტიკურ შეხედულებებშია (ეს ხსვაობა კი ყოველთვის როდი იყო მნიშვნელოვანი), რაც მათ სრულიად არ უშლის ხელს, ერთი და იმავე ადამიანის, ამბოხებული ბრბოს ადამიანის ტიპს განახიერებდნენ.

ევროპა თავისუფლად ვერ ამოისუნთქავს მანამ, სანამ მისი ბედი არ გადავა ქეშმარიტად თანამედროვე ადამიანების ხელში, რომლებიც შეძლებდნენ ახლანდელი მომენტის მაჯისცემაში ამოეცნოთ წარსულის მაჯისცემა; რომლებიც „დღევანდელი არსებობის სიმაღლეზე იქნებოდნენ“ და მთლიანად უარყოფდნენ არქაიკისა თუ ველურობის ყოველნაირ გამოვლინებას. ჩვენი ვალია საფუძვლიანად შევითვისოთ კაცობრიობის ისტორიული გამოცდილების გაკვეთილები, რათა თავი დავადწიოთ წარსულის შეცდომებს, და კვლავ არ დავბრუნდეთ ნაშუაში.

XI

ბანეზივრებულ ბავშვის დრო

ამრიგად, ჩვენ აქ ვაანალიზებთ საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ ფაქტს, კერძოდ იმას, რომ კაცობრიობის ისტორიაში მის ბედს პირველად განაგებს ჩვეულებრივი, საშუალო ადამიანი, თუ ამ წინადადებას ვნებითიდან მოქმედებით გვარში გადავიტანთ, მაშინ ის ამნაირ ხაზებს მიიღებს: საშუალო ადამიანმა, რომელ-

საც უწინ ყველა განაგებდა, ყველა მართავდა, ახლა გადაწყვიტა, თვითონ განაგოს მხოლოდ. გადაწყვეტილება, საზოგადოებრივი ცხოვრების ავანსცენაზე გამოსულიყო, ხწორედ იმ მომენტში აღეძრა, როცა მის არსებობაში მომწიფდა ახალი ტიპის ადამიანის ნიშან-თვისებები. თუ ამოსავალ წერტილად საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროში მისი საქმიანობის თავისებურებებს მივიჩნევთ და შევეცდებით განვსაზღვროთ ადამიანი-მასის ფსიქოლოგიური ტიპი, მაშინ წინა პლანზე წამოიწევენ მისი ისეთი თვისებები, როგორცაა: 1) მისთვის ოდითგანვე ნიშნული არსებობის ხიიოლისა და მისი ფორმების მრავალფეროვნების არსებითი ხასიათის შეგრძნება, ყოველგვარი შეზღუდვის უქონლობის შედეგად რომ იჩენს თავს, შეზღუდვისა, რომელსაც შეეძლო ტრაგიკული ელფერი მიენიქებინა ამ შეგრძნებისთვის. ამიტომ ნებისმიერი საშუალო ადამიანი ხავესა წარ-ზეიმისა და თავდაჯერებულობის გრძნობით, რომელიც 2) ხელს უწყობს მისი უცვლელი „მე“-ს თვითდამკვიდრებას და იმასაც, რომ თავის ნებისმიერ მოღვაწეობას ის აფასებს როგორც დადებითს და სრულფასოვანს, არა მარტო მორალური, არამედ ინტელექტუალური თვალსაზრისითაც. ამ სრულ თვითკმაყოფილებას შედეგად მოსდევს ის, რომ ადამიანი-მასას ცა ქუდად აღარ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, განსახილველად აღარ გამოაქვს თავისი აზრი, ყურს აღარ უგდებს სხვის რჩევას და ანგარიშს აღარ უწევს არავითარ ავტორიტეტს, გარდა საკუთარი თავისა. თვითკმაყოფილების გრძნობა აიძულებს ვაშუდმებით მიელტვოდეს მბრძანებლობას ცხოვრების ყველა სფეროში. და ის ჭიქურ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე მოქმედებს, თითქოს ამქვეყნად მასა და მისხავე მხგავს-თა გარდა არავინ იყოს; ამიტომ 3) მისთვის ჩვეული მოურიღებლობით ერევა აბსოლუტურად ყველაფერში, ხელადებით უარყოფს სხვის აზრს, არას დაგიდევს, რას იტყვიან მისი მოყვანნი, და ხალხს ძალისძალად ახვევს თავის ბანალურ აზრებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისე იქცევა, როგორც „პირდაპირი მოქმედების“ წესები კარნახობენ. საშუალო ადამიანის ქცევის ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებანი მოწმობენ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს უმწიფარსა და უნდილ არსებასთან, ევრეთწოდებულ „ბანეზივრებულ ბავშვთან“ თუ „ამბოხებულ ველურთან“, ესე იგი, ბარბაროსთან (ჩვეულებრივი ველური ყოველთვის, და თანაც. ცივილიზებულ ადამიანზე გაცილებით უფრო თვინიერად, უხიბუცოდ და უყოყმანოდ ემორჩილება მის მიმართ ყველა უწენაეს ავ-

ტორიტეტს: რელიგიას, ტაბუს, თავისი ტომის ჩვეულებებს თუ ადათ-წესებს). ნუ გაგიკვირდებათ, თუ ჩემს ესეში ესოდენ უხვად დანგავებულს ხედავთ ამ ტიპის ადამიანის დასახასიათებლად მოხმობილ უარყოფით ეპითეტებს: ჩემი შრომა ხომ გამარჯვებით გალაღებულ ადამიან-მასაზე შეტევის პირველი ცდაა, და მე იმედი მაქვს, რომ ის რამდენიმე ევროპელს მაინც გამოაფხიზლებს, რათა უფრო ენერგიულად აღუდგნენ წინ საშუალო ადამიანის თავხედურ ზრახვას — ყველგან თავისი მხოლოდ წესრიგი დაამკვიდროს. ჭერჭერობით საქმე ეხება მხოლოდ პირველ შეტევას; უფრო მძაფრ იერიშს მომავალში უნდა ველოდეთ, მაგრამ არა სოციოლოგიური გამოკვლევის სახით. ეს მძაფრი იერიში იმნაირად უნდა განხორციელდეს, რომ ადამიან-მასას მის მოსაგერიებლად მომზადების დრო აღარ დარჩეს; ექვიც კი ვერ უნდა აიღოს, რომ თავდასხმას უპირებენ.

ეს დღევანდელი „გმირი“, რომელმაც ლამის მთელი დედამიწა წაღეკოს და რომელიც ყველგან ამკვიდრებს, ყველას თავს ახვევს თავის ბარბაროსულ არსს, სხვა არა არის რა, თუ არა კაცობრიობის ისტორიის „განებიერებული ბავშვი“. განებიერებული ბავშვი იგივეა, რაც მდიდარი მემკვიდრე, და ზუსტად მასავით იქცევა. მხოლოდ მისი მემკვიდრეობა დღეს ცივილიზაციის ყველა მონაპოვარია: უშფოთველი არსებობა, კომფორტი, ხვალისდელი დღის რწმენა. როგორც აღვნიშნე, ადამიანს, ქცევის ზემოხსენებული თავისებურებებითა და განებიერებული ბავშვის ხასიათით, შეიძლება მხოლოდ იმ თავისუფალ სასიცოცხლო სივრცეში მისცემოდა დასახამი, რომლის შექმნაც ცივილიზაციამ მოახერხა. აი, ადამიანის ქცევისა და ბუნების რანაირი დეფორმაცია შეიძლება გამოიწვიოს მატერიალური სიკეთით სარგებლობის ჩვევამ. სახტიკად სცდება, ვინაც მგონია, რომ სიუხვის ეპოქაში დაბადებული ადამიანი უფრო სრულფასოვანი, უფრო სისხლხავსე და მრავალფეროვანი ცხოვრებით ცხოვრობს, ვიდრე ის, ვინც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძულებულია ებრძოდოს სიღარიბესა და გაკირვებას. აქ არც დრო გვაქვს და არც ადგილი იმ სარწმუნო და საფუძვლიანი არგუმენტების ჩამოსათვლელად, რომლებიც შეიძლება ჩემი მტკიცების სახარგებლოდ მომეხმოს. ამის მაგივრად შეგახსენებთ იმ ოდინდელ ტრაგიკულ სიტუაციას, რომელშიაც აუცილებლად აღმოჩნდება ნებისმიერი მემკვიდრეობითი არისტოკრატია. არისტოკრატს მემკვიდრეობით გადაეცემა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაბადებითვე ექმნება იმნაირი საყოფაცხოვრებო პირობე-

ბი, რომლებსაც თვითონ ვერ შექმნიდა და რომლებიც არასდროს არ შეიძლება ორგანულად უკავშირდებოდნენ მის პირად ცხოვრებას. ის, ღმერთმა იცის, რატომ, მოულოდნელად ექცევა მდიდარი ადამიანების წრეში, აქედან გამომდინარე ყველა პრივილეგიითურთ, ყოველივე ეს უცხლად მისი ადამიანური არსისათვის, რადგანაც თვითონ როდის მოუპოვებია, რაც მემკვიდრეობით მიიღო. ამ მხრივ მას არავითარი ხაერთო არა აქვს თავის პრივილეგიებთან. ის იძულებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში ათრიოს სხვა ადამიანის, სხვა არსების — თავისი წინაპრის ოდინდელ დამსახურებათა ტვირთი. დიახ, ის იძულებულია ცხოვრობდეს როგორც მემკვიდრე, ეხე იგი, მთელი სიცოცხლის მანძილზე ატარებდეს თავისი წინაპრების გაცვეთილ სამოსს. კი მაგრამ, ესაა სრულფასოვანი არსებობა? რანაირი ცხოვრებით შეიძლება ცხოვრობდეს მემკვიდრეობითი „არისტოკრატი“ — თავისი საკუთარი თუ თავისი შორეული წინაპრის ცხოვრებით? არც ერთით და არც მეორით. ის იძულებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვიღაც სხვას წარმოადგენდეს, და სწორედ ამიტომ ვერც ერთი იქნება და ვერც მეორე. შეუძლებელია მემკვიდრეს ეკუთვნოდეს მისი საკუთარი ცხოვრება, რომელიც სხვისი ცხოვრების ერთგვარ ასლად, სხვისი არსებობის მუდმივ წარმოდგენად იქცევა. სიმდიდრე, რომელიც ძალაუნებურად მის განკარგულებაშია, უწყალოდ ფიტავს მის არსებობას და საშუალებას არ აძლევს მას თავისი ცხოვრებით იცხოვროს. ნებისმიერი ცხოვრება არსებობისათვის ბრძოლაა, ჩვენ უნდა ვიბრძოდეთ. ცხოვრების გზაზე სიძნელეებს რომ ვაწყდებით, ჩვენ უფრო აქტიურნი, უფრო ქმედითი ვხდებით, უკეთ ვავითარებთ ჩვენს უნარს. მე რომ წონა არ მქონდეს, სიარულსაც ვერ შევძლებდი. ატმოსფერული წნევის მუდმივ ზემოქმედებას რომ არ განვიცდიდე, ჩემი სხეული ლანდლად, მირაჟად, უნიათოდ და უფორმო მასად იქცეოდა. იგივე ითქმის მემკვიდრეობით არისტოკრატზედაც, რომელსაც არავითარი ძალისხმევა არ სჭირდება თავისი არსებობის შესანარჩუნებლად. ამიტომაცაა, რომ მასში თანდათანობით ქრება ყოველივე პიროვნული, რადგანაც სრულიად უსარგებლო და ზედმეტი ხდება, რის შედეგადაც იწეება ყოველად უაზრო და უმიზნო არსებობა, რომლისთვისაც განწირულნი არიან ძველ არისტოკრატიულ საგვარეულოთა წარმომადგენელნი. ეს არსებობა უნიკალურია, ის არაფერს არა მგავს, არადა, დღემდე არავის უცდია გამოეწვინა მისი უღრმესი შინაგანი მიზეზები, რომ-

ლებსაც ნებისმიერი შემკვიდრებელი არისტოკრატია კეშმარიტად ტრაგიკულ შედეგამდე მიჰყავთ: ესაა გარდუვალი გადაგვარება.

მე მხოლოდ იმისთვის მოვიტანე ეს მაგალითი, რომ შეჩვენებინა, რა რიგად ვცდებით, როცა გვგონია, თითქოს არსებობის საშუალებათა სიუხვე განაპირობებს ცხოვრების სრულფასოვნებას. პირიქით, უსახრულო შესაძლებლობათა სამყაროში არსებობა* ავტომატურად იწვევს ადამიანის ბუნების სხვადასხვაგვარ დეფორმაციას, ცხოვრების ყოველად უკუღმართი წესის დამკვიდრებას, რის განსახიერებაც გვევლინება ეგრეთწოდებული „შემკვიდრის“ ყოფა. „შემკვიდრის“ კონკრეტული ნიშნებია — „არისტოკრატია“, „განებივრებული ბავშვი“ და, ბოლო, ესოდენ ზოგადი და არსობრივად მრავალფეროვანი „ადამიანი-მასა“. (შეიძლება უფრო დაწვრილებით შეგვედარებინა ადამიანი-მასა არისტოკრატისათვის და გვეჩვენებინა, რაოდენ ხშირად ვლინდება ყველა დროისა და ყველა ხალხის არისტოკრატის სპეციფიკური თვისებები ადამიან-მასაში: იმისკენ სწრაფვა, რომ თავისი ცხოვრების ძირითად საქმედ აქციოს სპორტი და თამაშობანი; საგანგებო ყურადღება თავისი სხეულისადმი — შიგინა, კვების რეჟიმი ახალი მოდის მოხდენილი ტანსაცმელი; არავითარი რომანტიულობა ქალთან დამოკიდებულებაში. არისტოკრატისა არ იყოს, ადამიან-მასაც მოხწონს ინტელექტუალებთან ურთიერთობა, მაგრამ გულის სიღრმეში სძულს და ეწიზლება ისინი, აიძულებს დაქიბებს და მის მონა-მორჩილ მუქთახორებს, აბუჩად იგდებ-

დნენ მათ. არისტოკრატით ისიც ავტორიტარულ რეჟიმს ამჯობინებს სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა სხვა რეჟიმს, სადაც შეიძლება აზრის თავისუფლად გამოთქმა* და ა. შ. და ა. შ.).

ამრიგად მთელი ჩემი გულისტკივილის მიუხედავად, იძულებული ვარუ ვთქვათ „არისტოკრატია“ ეს გაუთღელი ველური, ჩვენი დროის ტრაგიკული ბაროსი თანამედროვე ცივილიზაციის, კერძოდ, მისი იმ ეტაპის ბუნებრივ ნაყოფად გვევლინება, რომელიც XIX საუკუნეში იღებს დასაბამს. ეს ადამიანი სადღაც გარედან კი არ მოსულა, როგორც მოვიდნენ V საუკუნეში „ახოვანი, უღალწვერა ბარბაროსები“, და არც ამჟვეყნად მისი მოვლინება ყოფილა ისეთი ილუზიული და ანაზღეული, როგორც იყო, არისტოკრატულს აზრით, თავკომბალების გაჩენა წყალში. არამც და არამც. ეს ბარბაროსი ცივილიზაციის ბუნებრივი პროდუქტია. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ჩამოვაყალიბოთ

* ამ მხრივ, თუმცა ბევრი სხვა თვალსაზრისითაც, ინგლისური არისტოკრატია საერთო წესიდან იშვით გამონაკლისად გვევლინება. მაგრამ ამაში არაფერია გასაკვირველი. მთლიან ზოგადად მაინც გავიხსენოთ ბრიტანეთის ისტორიის ზოგიერთი წვრილმანი. მაშინ დაეინახავთ, რომ ეს გამონაკლისი, თუკი მას ამ შემთხვევაშიაც გამონაკლისად მივიჩნევთ, მხოლოდ ადასტურებს საერთო წესს. საყოველთაოდ აღიარებული შეხედულების მიუხედავად, უნდა შევნიშნოთ, რომ ინგლისური არისტოკრატია ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი არისტოკრატია იყო მთელ ევროპაში. ამასთანავე, მას გაცილებით უფრო ხშირად ემუქრებოდა განადგურების საფრთხე, ვიდრე ნებისმიერ სხვა არისტოკრატის. ამიტომ ის თავდაუზოგავად იბრძოდა საკუთარი ღირსებისათვის, მზად იყო იარაღით დაეცვა თავისი სიცოცხლე და თავისი თავი, რატომღაც იფიწყებენ იმ დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ინგლისი ევროპის ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანა იყო; სწორედ ამათ გადაარჩინა არისტოკრატია. რაკილა ინგლისელი არისტოკრატები არასოდეს არ ყოფილან მაინცდამაინც მდიდრები, ცხადია, ისინი იძულებულნი იყვნენ კომერციისა და მეწარმეობისათვის მიეყოთ ხელი (რასაც არასდიდებით არ იკადრებდა კონტინენტური ევროპის არისტოკრატია); სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ საკმაოდ ადრე დაიწყეს აქტიური ეკონომიური მოღვაწეობა, ასე რომ, მარტოოდენ თავიანთი წოდების პრივილეგიების წყალობით როდი გაჰქონდათ თავი.

* ერთმანეთში არ უნდა ვურევდეთ „შეძლებების“, ან თვით საარსებო საშუალებათა „რაოდენობრივი ზრდის“ ცნებას და მათ „სიჭარბეს“. XIX საუკუნეში მნიშვნელოვნად გაიზარდა ცხოვრებისეულ სიკეთეთა რაოდენობა, რამაც გამოიწვია, როგორც უკვე მოგახსენეთ, სასიცოცხლო შესაძლებლობათა განსაკვივრებელი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა. მაგრამ მიღე დადგა მომენტი, როცა ცივილიზებულ ქვეყნებში რეალობად იქცა პროდუქტთა სიუხვე და საგონლის კარბწარმოება. შეიქმნა სიტუაცია, რომელსაც ვერასდიდებით ვერ აწონასწორებდა საშუალო ადამიანის რეალური შესაძლებლობანი. თავდაჯერებამ, პროგრესი (ცხოვრებისეულ სიკეთეთა განუხრელი ზრდა) გარდუვალიაო, მისი სრული დემორალიზაცია გამოიწვია, რადგანაც განვითარების შეუქცევადობის ბრმა, მცდარი და მაცდური რწმენით აღავსო.

კანონი, რომელსაც საფუძვლად უდევს პალეონტოლოგიისა და ბიოგეოგრაფიის მონაცემები: ადამიანური ცხოვრების ფორმირება და განვითარება მხოლოდ მაშინ შეიქნა შესაძლებელი, როცა ადამიანის ხელთ არსებული საშუალებები იმდენად სრულყოფილნი გახდნენ, რომ შეაძლებინეს ადამიანს გადაეჭრა მის წინაშე მდგარი პრობლემები, ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ სფეროსაც. ახლა კი მინდა შეგახსენოთ, რომ ადამიანი, როგორც homo sapiens*-ი, პირველად ჩვენი პლანეტის სწორედ იმ რეგიონებში მოგვევლინა, სადაც არსებობდა წელიწადის დროთა მონაცვლეობა. ტროპიკებში ადამიანი, ბიოლოგიური თვალსაზრისით, დეგრადირდება. ასე მაგალითად, პიგმეები, რომლებმაც საწყის სტადიაზევე შეწყვიტეს განვითარება, ტროპიკულ ტყეებში შერეკეს იმ ხალხებმა, რომლებიც, მართალია, პიგმეებზე უფრო გვიან მოვევლინენ ქვეყნიერებას, მაგრამ მათზე სწრაფად შესძლეს განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის ცივილიზაციამ, თავისი ბუნებით, საშუალება მისცა ადამიან-მასას, ასე თუ ისე, უზრუნველად ეარსება: დღეს იგი ცხოვრებისგან უზვად იღებს ყველა სიკეთეს, მაგრამ მისი სატკივრის გაგონებაც კი არ უნდა. ადამიან-მასას გარს არტყია ტექნიკის უკანასკნელი სიახლენი, ხელი მიუწვდება ყოველნაირ სამკურნალო საშუალებაზე, გარემოცულია სახელმწიფოს ზრუნვით და სარგებლობს მისთვის ესოდენ ხელსაყრელი კანონებით, თვითონ კი წარმოდგენაც არა აქვს, რა ძნელია გამოიგონოს ახალ-ახალი მანქანები თუ სამკურნალო საშუალებანი და უზრუნველყო მათი წარმოება მომავალში. ის ვერც კი ამჩნევს, რაოდენ არამყარია საზოგადოებრივი ორგანიზაცია და თავს სულაც არ გრძნობს ვისგანმე დავალებულად. ყოველივე ამის შედეგად მისი ცხოვრება თანდათანობით უაზრო ხდება, თავის ქვეშაირიტ რაობას კარგავს, და საშუალო ადამიანს აღარც კი ესმის, მაინც რა უნდა მიაჩნდეს მის ნამდვილ არსად. მისი არსი კი სხვა არა არის რა, თუ არა პრობლემატურობა და უცვლელი საშიშროება, გამუდმებით რომ გვემუქრება. „განებივრებული ბავშვი“ ადამიანის ის ტიპია, ყველაზე დიდი შინაგანი წინააღმდეგობებით რომ არის სავსე, ვისი მსგავსიც არასოდეს მოვლენია ქვეყნიერებას. ამიტომ როცა საზოგადოებაში ამნაირი ადამიანების აშკარა სიჭარბე შეინიშნება, დაუყოვნებლივ განგაშის ატეხა გვმართებს, რათა,

ყველას ვაუწყოთ, რომ ადამიანურ ყოფას გადაგვარების, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანდათანობითი კვდომის საფრთხე ემუქრება. ერთის მხრივ, საშუალო ადამიანის ცხოვრების დონე დღეს უფრო მაღალია, ვიდრე ოდესმე, მეორეს მხრივ კი სწორედ ეს სიტუაცია შიშის გრძნობას გვინერგავს გულში: სამერმისოდ შეიძლება ისედაც მოხდეს, რომ ცხოვრების დონემ არამცთუ უფრო მაღლა აიწიოს, იმავე ნიშნულზეც ვერ დარჩეს და თანდათანობით დაბლა დაწვეა იწყოს.

იმედი მაქვს, თქვენთვის უკვე საკმარის ნათელი გახდა, რომ „განებივრებული ბავშვის“ მოვლინება საზოგადოებაში შექმნილი ძალზე არანორმალური სიტუაციის შედეგია. ეს ადამიანი ხომ იმისთვის მოვიდა ქვეყნად, რომ აკეთოს ყველაფერი, რაც კი მოეპრიანება სწორედ ეს სურვილი ნიშნულია მდიდარი მემკვიდრისათვის, ვიცით, რატომაც: ოჯახში ყველა დანაშაული, ბოლოს და ბოლოს, დაუსჯელი რჩება. ოჯახური ცხოვრება საკმაოდ ხელგონურია: დასშულ ატმოსფეროში იმალება დანაშაული, რომელსაც საზოგადოებაში, ღია ცის ქვეშ, სათანადო სასჯელი არ ასცდებოდა. მაგრამ განებივრებულ ბავშვს ჰგონია, რომ ქუჩაშიც შეიძლება ისე იქცეოდეს, როგორც შინ, საკუთარ სახლში, და რომ ამქვეყნად არაფერია გარდუვალი, გამოუსწორებელი და შეუქცევადი. ამიტომაც ყოველთვის ისე იქცევა, როგორც მოეპრიანება.* აი სავალალო შეცდომა! თქვენი მოწყალეობა იქ მიბრძანდება, სადაც მას მიაბრძანებენ, როგორც ეუბნება პორტუგალიელი თავის თუთიყუშს ერთ ანეკდოტში. ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, რომ ადამიანს უფლება არა აქვს აკეთოს ის, რაც ხურს, არამედ იმას, რომ თვითუღმა ჩვენგანმა უნდა აკეთოს ის, რისი კმნაც მართებს, და იყოს ის, რაც უნდა იყოს. ერთადერთი,

* ზოგიერთი სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე ზუსტად ისევე იქცევა, როგორც განებივრებული ბავშვი — საზოგადოებაში, რადგანაც ავიწყდება, რომ შინ, საკუთარ სახლში არ არის, ესე იგი, ყველაფრის უფლებას აძლევს თავის თავს. ამნაირ ქცევას მიამიტურად უწოდებენ „ნაციონალიზმს“. მიუხედავად იმისა, რომ მე ძირფესვიანად უარყოფილ ინტერნაციონალიზმის ჰიერარქიულ მიმდევართა არგუმენტებს, მაინც არ შემიძლია სასაცილოდ არ მიმაჩნდეს ამ „ერების“ ინფანტილური ქცევაც, რომლებმაც ვერ იქნა და ვერ შეძაბიჯეს „სიმწიფეში“.

* გონიერი ადამიანი (ლათ.).

რისი ნებაც შეიძლება ჩვენს თავს მივცეთ, ის გახლავთ, რომ უარი ვთქვათ იმის კეთებაზე, რასაც ჩვენგან მოითხოვენ; მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უფლებამოსილნი ვართ ვაკეთოთ ყველაფერი, რაც მოგვეპოვება. ამ თვალსაზრისით, ჩვენ გვეძლევა ნების მხოლოდ ერთი თავისუფლება — ჩვენივე უნიანობის დათრგუნვის ნება. რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვიძლია ვუღალატოთ ჩვენს ქვეშევრდკ დანიშნულებას, მაგრამ ეს მხოლოდ იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენივე ქვეშევრდკობების სათამაშონი გავხდით. მე ვამიტირდებოდა გამომცნო თვითელი მკითხველის ბედი, თუნდაც იმიტომ, რომ ყველას არ ვიცნობ, მაგრამ მე შემეძლო ეს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროში, სადაც ერთის ბედი ყველა დანარჩენის ბედს ეწვნის. ასე მაგალითად, ნებისმიერი ჩვენი თანამედროვე დარწმუნებულია (და თანაც, გაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე მაშინ, როცა ხმამაღლა გვიმუღავნებს თავის იდეებსა თუ აზრებს, რომლებიც, არცთუ იშვიათად, სხვებისგანა აქვს ჩაგონებული), რომ ევროპელი აუცილებლად ლიბერალი უნდა იყოს. აქ აზრი არა აქვს იმის გამოძიებას, თუ რამდენად უნდა იყოს ლიბერალი. მე მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა შემდეგს: თვით ყველაზე დიდ რეაქციონერსაც კი გულის სიდრმეში სწამს, რომ ის ხვითო, რომელიც XIX საუკუნეში მოეგლინა ევროპას და „ლიბერალიზმის“ სახელით გახდა ცნობილი, საბოლოო ანგარიშით, რაღაც აუცილებელი და გარდუვალი იყო; მას ესმის, რომ დასავლელი ადამიანი დღეს ლიბერალია, მიუხედავად იმისა, უნდა თუ არა ეს. ვინმეს კიდევაც რომ მოეხერხებინა და დაემტკიცებინა იმ დებულების ექვშეუვალი ქვეშარიტება, რომ ყველა კონკრეტული საშუალება, რომელთა მეშვეობტაც დღემდე ცდილობდნენ ცხოვრებაში განეხორციელებინათ ევროპის ბედის წიგნში ჩაწერილი პოლიტიკურად არსებობის ეს მიუტყვებელი იმპერატივი, — სინამდვილეში ყალბი და დამღუპველი ხუნებისაა, სულერთია, მტკიცება, რომლის თანახმადაც, გასულ საუკუნეში ლიბერალიზმი არსებითად აუცილებელი იყო, სამუდამოდ ძალაში რჩება. ამ ქვეშარიტების თავისთავადი სიცხადე დღემდეც ცოცხლობს ევროპელის ცნობიერებაში (გინდ ფაშისტი იყოს, გინდ კომუნისტი და გინდ კათოლიკე; მოწინებით რომ მისდევს თავის syllabus*-ს, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა, სწამს თუ არა

ეს**). საქმე მართლაც ასეა, როგორც არ უნდა ცდილობდეს იგი, საპირისპირო მოსაზრების სიმართლეში დაგვარწმუნოს. ყველას კარგად მოეხსენება, რომ იმ სამართლიანი კრიტიკის მიუხედავად, რომლითაც თავს ატყდებოდნენ ლიბერალიზმის ცალკეულ გამოვლინებებს, ექვშეუვალი სიმართლე მაინც ლიბერალიზმის მხარესაა, და არა მარტო უფრო უფლი, მეცნიერული თუ ინტელექტუალური, არამედ დიამეტრალურად მათი საპირისპირო და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი სიმართლე, რადგანაც ის ბედის სიმართლეა. თეორიული ქვეშარიტებანი შეიძლება არა მარტო განიხილო, მთელი მათი აზრი, მთელი მათი ძალა ისაა, რომ განხილულ უნდა იქნენ. ისინი პაექრობისას იბადებინან და ზუსტად იმდენ ხანს არსებობენ, რამდენ ხანსაც გრძელდება მათი განხილვა. ისინი განხილვისთვის არიან განკუთვნილნი. ბედი კი (ესე იგი, ის, რაც ცხოვრებაში უნდა მოხდეს, ან არ უნდა მოხდეს) არ განიხილება. მას ან იღებენ, ან არ

** ის, ვინც კოპერნიკივით ფიქრობს, რომ მზე პორიზონტს იქით არ ჩადის, კვლავინდებურად ხედავს, რომ ის ჩადის; და რაკი იმისათვის, რაღაცა რომ დაინახო, ჭერ უნდა ირწმუნოთ იგი, — მას უწინდებურად სწამს, რომ მზე ჩადის. მაგრამ, ამასთანავე, მისი მეცნიერული მრწამსი მისსავე არსებაში გამუდმებით სძლევს იმ წარმოდგენას, რომელსაც მისი პირველადი, ესე იგი, ემპირიული რწმენა უდევს საფუძვლად. ასე კათოლიკეც უარყოფს თავისი დოგმატური რწმენით იმ წარმოდგენებს, რომლებიც აღუძვრიან სულში მისი ქვეშარიტად ლიბერალური რწმენის შედეგად. მე კათოლიკეზე მხოლოდ იმიტომ ჩამოვადგე სიტყვა, რომ განვმარტო ჩემი აზრი. კათოლიკეს ვერ უსაყვედურებ, რომ მისი არსებობა არა-ქვეშარიტია, როგორც თანამედროვე ადამიანის მასის, ამ „მაძლარი ბატონიშვილის“ ცხოვრება. კათოლიკეს არსებობა მხოლოდ მის ცალკეულ გამოვლინებებშია არაქვეშარიტო. მაგრამ თვით ეს ხშირი დამთხვევაც შემთხვევითი ხასიათისაა. კათოლიკეს არსებობა არაქვეშარიტია მაშინ, როცა ის ცდილობს უერთგულოს თავისი არსებობის ძირითად პრინციპებს, კათოლიკური რწმენის პრინციპებს. ამიტომ კათოლიკეს ყოფისათვის ნიშნეულია ეს ტრაგიკული გაორება. მაგრამ ამ გაორებას უდრტვინველად რომ ურიგდება, კათოლიკე თავის მოვალეობას ასრულებს. „მაძლარი ბატონიშვილი“ კი, ყოველნაირად რომ ცდილობს თავიდან აიცილოს ტრაგედია, კისრისტეხით გაურბის საკუთარ თავს.

* იგულისხმება პაპ პიუს IX-ის 1864 წლის 8 დეკემბრის ბულა (მთარგმნ.).

იღებენ. თუ ჩვენ ვიღებთ საკუთარ ბედს, მაშინ ჩვენს არსებობას შეიძლება ჭეშმარიტი ეწოდოს; თუ უარვეყოფთ, ამით ჩვენს ჭეშმარიტ „მე“-საც უარვეყოფთ.* ბედის მორჩილება სულაც არ ნიშნავს, რომ შეგვიძლია ვაკეთოთ ყველაფერი, რაც კი მოგვეპოვება. საკუთარი ბედის შიღება, მისი უღმომბედი ბუნების აღიარება იმის შეცნობას ნიშნავს, რომ აუცილებელია აკეთო ის, რისი გაკეთებაც არ გინდა.

„განებევრებულმა ბავშვმა“ იცის, რომ არსებობს ბევრი რამ, რისი ჩადენაც დაუშვებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავს იკატუნებს (რაც მის სიტყვებშიც და ქცევაშიაც ერთნაირად ვლინდება), თითქოს დარწმუნებული იყოს საპირისპირო აზრის სისწორეში. ფაშისტები სწორედ იმიტომ ებრძვიან პოლიტიკურ თავისუფლებას, რომ მშვენივრად ესმით: თავისუფლებას ვერსად გაექცევი, ვერსად წაუხვალ, მთელი ევროპული ატმოსფერო გაფლენილია თავისუფლების სულით, და მისი ტრიუმფი გარდუვალია, აუცილებლად დადგება თავისუფლების დიადი წამი, როცა შეუძლებელი გახდება სიმართლის გარეშე ცხოვრება. განებევრებული ბავშვისა არ იყოს, თავს რომ ევლებიან შინაურები, ფაშისტებიც უველაფრის ნებას აძლევენ თავს, რადგანაც იციან, რომ პასუხს ვერავინ მოსთხოვთ. შეხედეთ მათ შედიდურ, გროტესკულად გაბდენძილ პოზებს: მათ სჭერათ, რომ ეს თამაშია; ისინი ტრაგედიას თამაშობენ სწორედ იმიტომ, რომ დარწმუნებული არიან: ცივილიზებულ სამყაროში არ შეიძლება მოხდეს რაიმე ტრაგიკული.

რას ემგვანებოდა ჩვენი საქციელი, თუ გვაიძულებდნენ გვედიარებინა, რომ ადამიანის არსი სწორედ იმნაირია, რანაირადაც თვითონვე ცდილობს თავი მოგვაჩვენოს? თუ ვინმე ქკუათამყოფელი თავგამოდებით ცდილობს დაგვი-

მტკიცოს, რომ ორჯერ ორი ხუთია, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ვაღიაროთ, რომ თვითონაც არ სჭერა ეს, თუნდაც ნემსის უნწში ძვრებოდეს, რათა დაგვიმტკიცოს თავისი სიმართლე.

რადაცნაირი მოარული სენი მოედო მთელ ევროპას: თითქმის ყველა მტკიცებისა, თუ მრწამსის საფუძველი ყალბია. ადამიანები კისრისტებით გაურბიან თავიანთ საკუთარ ბედს, გაურბიან თვალდახუჭულნი, რომ არ დაინახონ მისი ხახე, ყურებდაცობილნი, რომ არ ჩაესმათ მისი დაჟინებული მოწოდება, დაფეთებულნი, რათა თავი აარიდონ იმას, რაც გარდუვლია. რაც უფრო ტრაგიკულია ჩვენი ნიღაბი, მით უფრო მწარედ დავცინით მას. როცა ადამიანს აღარ შეუძლია მთელი არსებით მიეცეს რასმე, გატაცებით ჩაუჭდეს საქმეს, მთლიანად დაინთქას მასში, სწორედ მაშინ იჩენს თავს ირონიული დამოკიდებულება სინამდვილისადმი. ადამიანი-მასა იმიტომაც ირყევა და აქეთ-იქით ირხევა ლერწამივით, რომ არ შეუძლია მტკიცე ნაბიჯით გაუყვეს საკუთარი ბედის მიერ მონიშნულ გზას; ნებისმიერი, თვით ყველაზე სუსტი დინებაც კი ნაფოტივით მიაქანებს თავისივე ბედისაგან ამ *déraciné**-ს, ამ უღიმღამო და უსხეულო ლანდს. ჩვენი ეპოქა „დინებათა“ დასაბამის ეპოქაა, და ადამიანთა უმრავლესობა „თავქვე მიჰყვება“ დინებას. არავის არ სურს წინააღმდეგობა გაუწიოს იმ ზერელე მიმდინარეობათა მიმწიდეველ ძალას, რომლებიც დღეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, აგრეთვე ხელოვნებაში, პოლიტიკასა და იდეოლოგიაში იჩენენ თავს. ამიტომ დღეს, როგორც არასდროს, წინა პლანზე ინაცვლებს რიტორიკა. სიურრეალისტს ჰგონია, რომ საკმარისია დაწეროს სიტყვა (რომლის ციტირებასაც აქ აზრი არა აქვს) იმ ადგილას, სადაც სხვები წერდნენ — „ბაღები, გედები და ტყის ფერიები“, — და ამ ერთი სიტყვის წყალობით უკან მოიტოვებს ყველაფერს, რაც კი დღემდე შეუქმნია მხატვრულ ლიტერატურას. სინამდვილეში კი მას მზის სინათლეზე გამოაქვს სხვა რიტორიკა, აქამდე ნახში რომ ეგდო.

მთელი მისი სპეციფიკურობის მიუხედავად, ჩვენ შეგვიძლია გამოვავლინოთ დღევანდელი სიტუაციის ქალკეული თავისებურებანი, თუ მას შევადარებთ იმ სიტუაციას, რაც უკვე იყო წარსულში. III საუკუნეში ჩვენს ერამდე, ხმელთაშუა ზღვისპირული ცივილიზაციის გაფურჩქვნის ფაზს, საზოგადოებრივ სცენაზე გამოდის ცინიკოსი. და, აი, დიოგენე უკვე არისტოპეს ხალიჩებზე დააფრატუნებს თავის ჭუჭყი-

* ვინც უარს ამბობს იყოს ის, რაც უნდა იყოს, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად დაკარგავს საკუთარი ღირსების გრძობას და თავიდან ვერ აცილებს მორალურ დაცემას. მიუხედავად ამისა, მისი ჭეშმარიტი „მე“ მაინც არ კვდება, არამედ ერთგვარ უჩინარ ბრალმდებლად, აჩრდილად თუ ლანდად იქცევა, რომელიც გამუდმებით შეახსენებს მისი არსებობის სიმდაბლეს, აშკარად რომ არ შეესაბამება მის ჭეშმარიტ დანიშნულებას. ადამიანი, რომელსაც აღარა აქვს თავისი არსებობის ჭეშმარიტების შეგრძნება თვითმკვლელსა ჰგავს — თავის საკუთარ სიკვდილს რომ მოესწრო.

* ფესვებითურთ ამოგლეჯილი (ფრანგ.)

ან ხამლებს. ცინიკოსების რიცხვი დღეობით კი არა, საათობით იზრდებოდა. ცინიკოსი იტყობოდა ყველა კუთხიდან, საზოგადოებრივი ნაგებობის ყველა ხართულიდან. ელინურ ცივილიზაციას რომ უარყოფდა, ის ძირს უთხრიდა მის საფუძვლებს. ცინიკოსს არახოდეს არაფერი არ შეუქმნია, არც არაფრის შექმნა შეეძლო. მისი როლი სრულიად საპირისპირო გახლდათ: ნგრევა, ან, უფრო სწორად, ნგრევის მცდელობა, რადგან მას ნგრევის თავიც არ ჰქონდა. ცინიკოსი ცივილიზაციის სხეულს ჩაფრენილი პარაზიტია, ის მისი უარყოფის ხარჯზე ცხოვრობს, დარწმუნებული იმაში, რომ მისი ისრები ყოველთვის უწევენ მიზანს. მაგრამ რა დაემართებოდა ცინიკოსს ველურებს შორის, რომლებიც, თავიანთი ბუნებრივი მიდრეკილებებისამებრ, სავსებით სერიოზულად სჩადიან იმას, რის ჩადენასაც ამაოდ ცდილობს ცინიკოსი თავისი ტაკიმასხრული გამონდომებით. რაღა დარჩება ფაშისტისაგან, თუკი ხელს აიღებს თავისუფლების ლანძღვა-გინებაზე, ან სიურრეალისტისაგან, თუკი ჩირქს აღარ მოსცხებს ხელოვნების მთელ აღრინდელ ისტორიას?

ამ ადამიანს არ შეუძლია სხვაგვარად მოიქცეს. ის დაიბადა შესანიშნავად მოწყობილსა და მოწესრიგებულ საზოგადოებაში, სადაც მას ყოველი ფეხის ნაბიჯზე კი არ ემუქრება საფრთხე, არამედ ცხოვრების საამო ნაყოფი ელის. ყველაფერი, რაც გარს არტყია, მის გასანებივრებლად არის შექმნილი, რადგანაც მას გარს არტყია „ცივილიზაცია“, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შინაა, საკუთარ ტახტში; არაფერი არ აიძულებს ხელი აიღოს ავის უინიანობაზე. არაფერი არ აიძულებს ანგარიში გაუწიოს ავტორიტეტების აზრს, და არავითარ შემთხვევაში არ ემუქრება იმისი საფრთხე, რომ პირისპირ შეეჯახოს თავისი ბედის ტრაგიკულ გარდუვალობას.

XII

სპეციალიზაციის გარბაროსული სახე

ჩვენი თეზისის თანახმად, ცივილიზაციამ ისე შორს შესტომა თავისი განვითარების მხრივ, რომ XIX საუკუნეში უკვე გარდუვალი შეიქნა ადამიანი-მასის დაბადება. ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი მსჯელობა დასრულებულად ჩავთვალოთ, სანამ არ განვიხილავთ ამქვეყნად მისი მოვლინების კონკრეტულ შექანიზმს. ეს კონკრეტულობა მეტ დამაჭრებლობას შესძენს ჩვენს თეზისს.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ცივილიზაციის იმ ეტაპის სპეციფიკურ ნიშნებად, რასაც მან მიაღწია XIX საუკუნეში, ლიბერალური დემოკრატია და ტექნიკური პროგრესი უნდა მიგვაჩნდეს. ტექნიკური პროგრესი ამ მჭიდრო კავშირის ბუნებრივი ნაყოფია, რაც დაშვარდა კაპიტალიზმსა და ექსპერიმენტულ მეცნიერებას შორის. ტექნიკის განვითარება უწყვეტად შეცნიერების განვითარების შედეგი როდი გახლდათ. პოლოცენური ეპოქის ადამიანმა, რომელმაც პირველად გააკეთა კაუჩის ცული, საერთოდ არ იცოდა, რა იყო მეცნიერება, მაგრამ თავისი ტექნიკა მაინც ჰქონდა. ტექნიკამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ჩინეთში, თუმცა ჩინელებს წარმოადგენაც არ ჰქონდათ ფიზიკის კანონებზე. მეცნიერება განსაზღვრავს ევროპული ცივილიზაციის სახეს, სწორედ ის გვევლინება ტექნიკური პროგრესის გარანტიად. ტექნიკური პროგრესის ყველა სხვა სახეობამ, რაც კი საერთოდ ცნობილია ისტორიაში, — შუამდინარულმა, ეგვიპტურმა, ბერძნულმა, რომაულმა, შორეულაღმოსავლურმა, — გარკვეულ მომენტში მიაღწია განვითარების ისეთ საფეხურს, რომელსაც ვეღარ გადააბიჯა და იძულებული შეიქნა უკან დაეხია.

დასავლეთ ევროპის უჩვეულო ტექნიკურ პროგრესს შედეგად მოჰყვა ევროპელ ინდივიდთა დღემდე არნახული ნაყოფიერება. გაიხსენეთ სტატისტიკის ის ფაქტი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩემს მსჯელობას და რომელშიაც, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ამ საკითხზე მსჯელობის ყველა სხივი. V საუკუნიდან მოყოლებული 1800 წლამდე, ევროპული მოსახლეობის რაოდენობა 150 მილიონს არ აღემატებოდა, 1800-დან 1914 წლამდე კი ევროპელთა რიცხვმა 480 მილიონს მიაღწია. ისტორიისათვის უცნობია ამნაირი დემოგრაფიული ნახტომი. ექვს გარეშეა, რომ ტექნიკურმა პროგრესმა და, ამასთან ერთად, ლიბერალურმა დემოკრატია ყველაზე მეტად შეუწყვეს ხელი ადამიანი-მასის რაოდენობრივ ზრდას, მაგრამ, ჩემის აზრით მათვე ეკისრებათ პასუხისმგებლობაც ადამიანი-მასის ყველა უარყოფითი თავისებურების თვისებრივი გამოხატულებისთვისაც.

ჩემთვის სიტყვა „მასა“ (როგორც უკვე აღვნიშნე ჩემი შრომის დასაწყისში) „მუშათა კლასის“ სინონიმი როდია. „მასის“ ცნება არაფრით არ უკავშირდება „საზოგადოებრივი კლასის“ ცნებას. „მასა“ ადამიანის ახალი ტიპია, ადამიანისა, რომლის ცხოვრების მოდუსიც „მასობრივი“ არსებობის სრულიად თავისებურ ნიმუშად გვევლინება, რაც ნიშნეულია ნების-

მიერი საზოგადოებრივი კლასისათვის. სწორედ ამიტომ უველგან, ცხოვრების უველა სფეროში გამარჯვებით ვალადებული ადამიანისა და ჩვენი დროის სიმბოლოდ იქცა. ახლა კი, მოდით, გავანალიზოთ ამ მოვლენის ერთი უველაზე აშკარა და ცხადი ასპექტი.

ვის ხელთაა დღეს საზოგადოებრივი ძალაუფლება? რომელი კლასი აყალიბებს საზოგადოების ხულიერ ატმოსფეროს? რა თქმა უნდა, ბურჟუაზია. მერედა, იმ ბურჟუებს შორის, ამ კლასის უმაღლეს ფენას რომ ეკუთვნის, ვინ ითვლება დღეს არისტოკრატად? რა თქმა უნდა, ტექნიკური სპეციალისტი: ინჟინერი, ექიმი, ფინანსისტი, მანწავლებელი და ა. შ. და ა. შ. კი მაგრამ, ტექნიკურ სპეციალისტთა ამ ჯგუფში ვინ იქნება უველაზე „სუფთა“, ვინ შესძლებს უველაზე ღირსეულად წარმოადგინოს ადამიანის ეს ტიპი? (ცხადია, სწავლული, მეცნიერი. ევროპას მოულოდნელად რომ სწვეოდნენ დედამიწისმიღმური ციცივილიზაციის წარმომადგენლები, იმ მიზნით, რომ გარკვეული წარმოდგენა შექმნოდათ ჩვენს კონტინენტზე, და ეკითხათ, ევროპელთა შორის ადამიანის რომელ ტიპს შეეძლო უველაზე ღირსეულად წარმოედგინა თავისი კონტინენტის სახე, ექვს გარეშეა, ევროპის უველა ქვეყანა მეცნიერს დაასახელებდა ადამიანის ამ ტიპად, ღრმად დარწმუნებულნი იმაში, რომ სწორედ მეცნიერი მოახდენდა უველაზე კეთილსახურველ შთაბეჭდილებას უცხოპლანეტელთა ელჩებზე. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი არ მოითხოვდნენ განსაკუთრებით გამორჩეული პიროვნებები წარედგინათ მათთვის; პირიქით, მათი ინტერესის საგანი იქნებოდა მეცნიერების ჩვეულებრივი, რიგითი მსახური, ინტელექტუალურ ევროპეიდთა უველაზე ტიპიური წარმომადგენელი.

მაგრამ საქმეც სწორედ ისაა, რომ მეცნიერების დღევანდელი მსახური ადამიან-მასის ტიპიურ ნიშნულად გვევლინება. ეს შემთხვევითი დამხვევის, ან ამა თუ იმ თანდაყოლილი დეფექტის შედეგი როდია, რაც ნიშნულია მხოლოდ მეცნიერების მსახურთათვის. არამც და არამც მეცნიერება, რომელმაც შესაძლებელი გახადა ჩვენი ცივილიზაციის პროგრესი, თვითონ აქცევს მეცნიერს ადამიან-მასად, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პირველყოფილ ადამიანად, თანამედროვე ბარბაროსად.

ეს ხაკმაოდ კარგად ცნობილი მოვლენაა, მასზე არაერთხელ ვაუმახვილებიათ უურადღება, მაგრამ მე ვიმედოვნებ, რომ ჩემს შრომაში ეს მოვლენა იმდენად ხერძოვულად და მრავალმხრივად განალიზებული, რომ მისი არაორ-

დინალური ხასიათი მთელი სიცხადით წარმოგვიჩნდება.

ექსპერიმენტული მეცნიერება XVI საუკუნის დამლევადან იღებს დასაბამს (გალილეი), XVII საუკუნის დასასრულს თანდათანობით უალიბდება დამოუკიდებელ დისციპლინად (ნიუტონი), და განსაკუთრებული ინტენსივობით ვითარდება XVIII საუკუნეში უველიდან მოყოლებული. რაღაცის ბუნებრივი განვითარება ძირეულად განსხვავდება ერთ მთლიანობად მისი კონსტიტუირებისაგან. როგორც ერთის, ისე მეორის რეალიზაცია განსაკუთრებულ პირობებს მოითხოვს. ასე მაგალითად, ფიზიკას მეცნიერების სახე რომ მისცემოდა, საჭირო შეიქნა საგანგებო ძალისხმევა ბუნებისმცოდნეობის არა ერთი და ორი დარგის ექსპერიმენტულ მონაცემთა გასაერთიანებლად. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდია ნიუტონისა და მისი დროის სხვა მეცნიერთა დამსახურება. მიუხედავად ამისა, ფიზიკის შემდგომი განვითარება მეცნიერთაგან სულ უფრო და უფრო მეტ სპეციალიზაციას მოითხოვდა. მეცნიერთაგან და არა მეცნიერებისაგან. მეცნიერების სპეციალიზაცია შეუძლებელია. Ipso facto, მაშინ ის აღარ იქნება ნამდვილი მეცნიერება. თვით ემპირიული მეცნიერებაც კი აღარ იქნება მეცნიერება, თუ ჩამოვაშორებთ უველაფერს, რაც მათემატიკისგან, ლოგიკისა და ფილოსოფიისაგან აქვს ნასესხები. მაგრამ დღეს სამეცნიერო მოღვაწეობა შეუძლებელია სპეციალიზაციის გარეშე.

ძალიან საინტერესო იქნებოდა და უფრო სასარგებლო, ვიდრე ერთის შეხედვით ჩანს, დაგვეწერა ბუნებისმცოდნეობის ისტორია, რომელშიაც აისახებოდა მეცნიერული კვლევების თანდათანობით მზარდი სპეციალიზაცია; ჩვენ დავინახავდით, როგორ შორდებოდა, თაობებიდან თაობებამდე, მეცნიერების მსახური რეალურ ბუნებას, და თავს იმწყვევდა ინტელექტუალური მოღვაწეობის ვიწრო წრეში, რომლის რადიუსიც სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. მაგრამ ძირითადი დასკვნა ეს კი არ იქნებოდა, არამედ სრულიად საპირისპირო, კერძოდ, ის, რომ, თაობებიდან თაობებამდე სწორედ ამ თანდათანობით მზარდი სპეციალიზაციის შედეგად, სწავლული სულ უფრო და უფრო მეტად კარგავდა კონტაქტს მეცნიერების სხვა დარგებთან და სამყაროული მოვლენების ინტეგრალური ინტერპრეტაციის უნარსაც. არადა, მეცნიერება, კულტურა და ცივილიზაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შესძლებენ კვლავაც ღირსეულად ატარონ თავიანთი წოდება, როცა ინტეგრალური თვალ-

საზრისით უდგებიან ჩვენი სამყაროს შესწავლას.

სპეციალიზაცია მაშინ იწყება, როცა ცივილიზებულად ითვლება ენციკლოპედიური განათლების მქონე ადამიანი. XIX საუკუნის დასაწყისში ევროპას სწორედ ენციკლოპედიურად განსწავლული ადამიანები განაგებდნენ, თუმცა თვით ისინიც კი უკვე თავ-თავიანთ სფეროში იწყებდნენ მოღვაწეობას. მომდევნო თაობაში ეს წონასწორობა ირღვევა: სპეციალიზაცია უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ზოგადი კულტურა. 1890 წლისათვის, როცა ხელისუფლების ხათავეში ექცევა მესამე თაობა, ევროპას მისი ისტორიის მანძილზე პირველად ევლინება სწავლულის სრულიად ახალი ტიპი. ნაცვლად იმ მრავალფეროვანი ცოდნისა, რომლის დაუფლებაც აუცილებელია საიმისოდ, რომ, ასე თუ ისე, განათლებული კაცი გერქვას, მას მხოლოდ ერთ მეცნიერებაზე, ან, უფრო სწორად, მის ერთ პატარა ნაწილზე თუ მიუწვდება ხელი: მე ვგულისხმობ ჩვენი სწავლულის უშუალო მოღვაწეობის სფეროს. მეცნიერების ამ მაშვრალს თავისი ყურადღების ღირსად არ მიაჩნია არაფერი, რაც მისი პატარა ბოსტნის გარეშაა, ბოსტნისა, სადაც ის თავისი მეცნიერული კვლევა-ძიების ნაყოფს იწევს, და ამიტომაც დილუტანტს ეძახის ყველას, ვისი ინტერესის საგნადაც მრავალი სხვადასხვა მეცნიერება ვგველინება.

მაგრამ, აი, ნამდვილი პარადოქსი: თავისი სპეციალობის ვიწრო სენაკის ჭუჭყრუტანიდან რომ ქვრეტს სამყაროს, ჩვენი სწავლული მაინც ახერხებს, რაღაც ხსალი აღმოაჩინოს, და, ამრიგად, წინ წასწიოს მეცნიერება, რომელსაც ის, კაცმა რომ თქვას, თითქმის არც იცნობს; ასე სწერს იგი ახალ ფურცელს აზრის სწორედ იმ ენციკლოპედიისაში, რომელსაც ასე ჭიუტად არა სცნობს. რამ განაპირობა ამნაირი სიტუაცია და რატომღა იგი უცვლელი დღევანდელ დღემდე? სავანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ის წარმოუდგენელი, მაგრამ მაინც ექვსეუვალი ფაქტი, რომ ექსპერიმენტულ მეცნიერებათა განვითარებას თავისი ძალისხმევით განსაზღვრავდა, არსებითად, საშუალო ნიჭის ხალხი. თანამედროვე მეცნიერება, რომელიც ჩვენი ცივილიზაციის არა მარტო საფუძველია, არამედ სიმბოლოც, საშუალო ნიჭის ადამიანის ნამდვილ მეურვედ და მფარველად გვევლინება, ადამიანისა, ვის წინაშეც ფართო ასპარეზს შლის სამოღვაწეოდ. ამნაირი ვითარების უმთავრესი მიზეზია მექანიზაცია — ყველაზე დიდი მიღწევა და, იმავდროულად, ყველაზე დიდი საშიშროებაც, რაც გარდუვალად თან ახლავს მეცნიერებას და მისი წყალობით განვი-

თარების ახალ საფეხურზე ასულ ცივილიზაციას. ბევრი რამ, რასაც ფიზიკასა თუ ბიოლოგიაში შეიძლება მიალწიო, გონების პირწმინდად მექანიკურ ძალისხმევას მოითხოვს, რისი უნარიც ყველას შესწევს. კვლევა-ძიების გასაიოლებლად მეცნიერება შეიძლება პატარა-პატარა ქვედანაყოფებად დაანაწევრო, და ისე შეისწავლო თითოეული მათგანი, რომ ვერც კი ამჩნევდნენ დანარჩენებს. არაქტიურად მოსაზრებებიდან გამომდინარე, კვლევის მეთოდთა სიზუსტისა და საიმედოობის წყალობით, შეიძლება დაუშვა ერთიანი და მთლიანი ცოდნის დროებითი დაქუცმაცება. ეს მეთოდები შეუფერებლად მუშაობენ, თანაც, ახალ-ახალი მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად სულაც არ არის საჭირო, გამოწვლილვით იკვლევდნენ ამ მეთოდთა საფუძველს, ან მკაფიოდ ჩამოყალიბებული წარმოდგენა გქონდეს მათ არსზე. ასე, მეცნიერთა უმრავლესობა თავისი ლაბორატორიის ვიწრო საკანში ჩაკეტილი ავითარებს მეცნიერებას, საკანში, სადაც ისევეა შემალული, როგორც ფუტკარი — სკაში, და ისევე მუარად ზის, როგორც ტაფა — ღუმელში.

ყოველივე ეს აყალიბებს ადამიანის ფრიად უცნაურ ტიპს. სწავლული, რომელმაც საბუნებისმეტყველო დარგში ახალი რაღაც აღმოაჩინა, უთუოდ დიდ კმაყოფილებას უნდა გრძნობდეს და საკმაოდ თავდაჭერებულიც იქნოს. ერთის შეხედვით, ის სავსებით სამართლიანად შეიძლება მივიჩნიოთ „მცოდნე ადამიანად“, და მასში მართლაც არის ცოდნის ორიოდ მისხალი, რომელიც ცოდნის სხვა სახეებთან ერთად შეიძლება ჰეშმარით ცოდნად ქცეულიყო. ამრიგად, სპეციალისტის შინაგანი არსი, განსაკუთრებით მკაფიოდ რომ იყვებება ჩვენი საუკუნის პირველ წლებში, ასეთია: სპეციალისტმა კარგად „იცის“ სამყაროს მხოლოდ ის კუნჭული, რომელიც „თავისად“ მიაჩნია, და წარმოდგენაც არა აქვს მთელ დანარჩენ სივრცეზე.

თანამედროვე მეცნიერი ახალი ადამიანის იმ უცნაური ტიპის მშვენიერი ნიმუშია, რომლის დასახასიათებლადაც მე ვცდილობდი სხვადასხვა თვალსაზრისით განმეხილა იგი. როგორც უკვე აღვნიშნე, ისტორიის საერთოდ არ ახსოვს ამნაირი ადამიანი. სპეციალისტის მაგალითი სწორედ საიმისოდღაა შედგამოქრილი, რომ უფრო კონკრეტულად დაგვახასიათებინოს ადამიანი-მასა, დაგვახაზოს მისი რადიკალური სი-ახლე. უწინ ადამიანები შეიძლება დაგვეყო სწავლულებად და უსწავლულებად, მცოდნეებად და უცოდნეებად, მაგრამ სპეციალისტს ვერც ერთ ამ კატეგორიას ვერ მიაკუთვნებ. ჩვენ არ შეგვიძლია სწავლულად მიგვაჩინდეს იგი,

რადგანაც, ფორმალური თვალსაზრისით, არაფერი არ იცის გარდა იმისა, რაც უშუალოდ მის სპეციალობას ეხება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ვერც უსწავლელს ვუწოდებთ, რაკილა მეცნიერების მსახურია და მშვენივრად ერკვევა თავის სპეციალობაში. უსწავლელი ხწავლული, — აი, რა შეიძლება ეწოდოს მას. ჩვენს წინაშეა ძალიან სერიოზული მოვლენა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანი ისე როდი დაიჭერს თავს იმის მიმართ, რაც არ იცის, როგორც იქცევა უვიცი, არამედ იმ კაცის თავდაჯერებით, რომელსაც თავისი საგნის შედმიწევნით მცოდნე ჰგონია თავი.

აი, ასე იქცევა სპეციალისტი. პოლიტიკისა თუ ხელოვნების, ისევე როგორც სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემების გადაწყვეტისას ის ყველაზე პრიმიტიული, ყველაზე უბირი კაცის პოზიციას აირჩევს, მაგრამ ისეთი თავდაჯერებით, ისე ენერგიულად კი დაიცავს თავის თვალსაზრისს, რომ არ დაუშვებს — სწორედ ესაა პარადოქსი, — კომპეტენტურ ხალხს მიანდონ მათი გადაჭრა. სპეციალიზაციაში, რასაც დასაბამი მისცა ცივილიზაციის განვითარებამ, ის შედეგი გამოიღო, რომ ადამიანი მეცნიერების ერთი რომელიღაც ვიწრო დარგის შესწავლით შემოიფარგლა და პრაქტიკულად ჩაიკეტა თავისი პროფესიის ჩარჩოში. მაგრამ პატივმოყვარეობისა და თვითკმაყოფილების გრძნობით აღსავსე, ცდილობს თავისი აზრი თავს მოახვიოს ხალხს, ვისაც არავითარი კავშირი არა აქვს მის სპეციალობასთან. ამრიგად, თვით მაქსიმალურად კომპეტენტური პროფესიონალი სპეციალისტის ხანითაც კი, რომელიც თითქოს დიამეტრალურად უნდა უპირისპირდებოდეს ადამიან-მასას, ჩვენ იმავე ადამიან-მასას ვხედავთ, ყველგან და ყველაფერში თავის არაკომპეტენტურ აზრს რომ გვკარნახობს.

ეს შენიშვნა საფუძველს მოკლებული როდია. შეუიარაღებელი თვალთაც კარგადა ჩანს ის ბრიყვული უშუალობა, რომლითაც მოქმედებენ მეცნიერების მსახურნი, პოლიტიკის, ხელოვნებისა თუ რელიგიის, აგრეთვე ადამიანური თუ სამყაროული არსებობის სრულიად სხვადასხვა საკითხებზე დაუფიქრებლად რომ გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, რა თქმა უნდა, ასევე მსჯელობენ და მოქმედებენ ყველანაირად, ვინც მათ ზურგს უკან დგანან, — ექიმები, ინჟინრები, ფინანსისტები, მასწავლებლები და ა. შ. ეს აქტიური სურვილი, ყური არ ათხოვონ არავის და არ დაემორჩილონ არავითარ უზენაეს ავტორიტეტს, რაც არაერთხელ აღმინიშნავს, როცა ადამიანი-მასის პორტრეტს ვხატავდი, განსაკუთრებით ცხადად ვლინდებ-

და ამ პროფესიონალების ქცევაში, რომლებიც მხოლოდ თავიანთი სპეციალობის ვიწრო სფეროში არიან კომპეტენტურნი. თანამედროვე მასები უპირატესად სწორედ მათგან უაღიბდებიან. ამნაირი „ინტელექტუალების“ სახე სხვა არა არის რა, თუ არ გამოჩვენებთ გალაღებული ადამიანი-მასის სიმბოლო. მეცნიერების მსახურის ბარბაროსული ქცევა, აი, ევროპის დემორალიზაციის უშუალო მიზეზი.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩემს აზრს იმის შესახებ, რომ თავისი თავის ანამარა მიტოვებული XX საუკუნის ცივილიზაცია გარდუვალად გამოიწვევს საკუთარი თავისადმი პირველყოფილ-ბარბაროსული დამოკიდებულების ფეთქებად ტალღას.

სწორედ ამიტომ დღეს, როცა ქვეყნიერებას მოევლინა მეცნიერების ურიცხვი მსახური, გაცილებით უფრო ნაკლებია ქვეშარიტად განათლებულ ადამიანთა რიცხვი, ვიდრე „მაგალითად, 1750 წელს. ყველაზე ხამწუხარო კი ისაა, რომ მეცნიერების ღუმელში მოშიშხინე ამ ტაფებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ მეცნიერების არავითარი, თვით ყველაზე უმნიშვნელო პროგრესიც კი. იმისათვის, რომ თავისი საკუთარი ზრდის რეგულირება მოახდინოს, მეცნიერებას დროდადრო სჭირდება აღდგენითი სამუშაოები, რათა კვლავ მიაღწიოს ოდინდელ ერთიანობას, ეს კი, როგორც უკვე შეგახსენეთ, დღითი დღე ხულ უფრო და უფრო ძნელი ხდება, რადგანაც მეცნიერების ურიცხვი დარგის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. ნიუტონმა ისე შექმნა თავისი ფიზიკა, რომ მაინცდამაინც კარგად ვერ ერკვეოდა ფილოსოფიაში. მაგრამ აინშტაინს უკვე კანტისა და მახის საფუძვლიანი ცოდნა დასჭირდა იმისათვის, რომ თავისი დიადი სინთეტიკური თეორია შეექმნა. კანტი და მახი სიმბოლურად განასახიერებენ იმ უზარმაზარ ფილოსოფიურსა და ფსიქოლოგიურ ცოდნას, რისი გადამუშავებაც დასჭირდა აინშტაინს, რათა თავისი აზრისათვის თავისუფალი გასაქანი მიეცა და ახალი პორიზონტი გადაეშალა მეცნიერული კვლევა-ძიების წინაშე. მაგრამ აინშტაინის მოძღვრება დღეს უკვე აღარ გვაკმაყოფილებს. თანამედროვე ფიზიკა ამჟამად უფრო მძიმე კრიზისს განიცდის, ვიდრე ოდესმე განუცდია მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, და მისი გადარჩენა მხოლოდ უფრო ახალსა და უფრო სისტემატიზირებულ ენციკლოპედიას თუ ძალუძს.

სპეციალიზაცია, რამაც შესაძლებელი გახდა: ექსპერიმენტული მეცნიერების პროგრესი, ამ უკანასკნელ ხანს თავისი განვითარების იმნაირ პერიოდს უახლოვდება, როცა მისი შემდგომი წინსვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ პი-

რობით, თუ მოვა სწავლულთა ახალი თაობა, რომელიც შესძლებს ახალ, უფრო მოდერნიზებულ „ღუმელში“ „გამოაცხოს“ იგი.

მაგრამ თუ სპეციალისტი არ იცნობს თავისი მეცნიერების „შინაგან“ ფიზიოლოგიას, მით უმეტეს, არ ეცოდინება, რანაირი ისტორიული პირობების შექმნაა საქირო მის გადასარჩენად, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რანაირად უნდა იყოს ორგანიზებული საზოგადოება და თვით ადამიანის სული, რომ სპეციალისტმა შესძლოს მათი კვლევა. მეცნიერული კვლევა-ძიების მიმართ ინტერესის ამ შენელებამ, რაც ამ ბოლო დროს შეინიშნება და რისთვისაც ჩემს შრომაში უკვე მიგაქცევინეთ ყურადღება, შეუძლებელია არ გამოიწვიოს იმათი შეშფოთება, ვისაც ნათლად აქვს წარმოდგენილი, მაინც რა არის ეს ჩვენი ცივილიზაცია. მაგრამ სწორედ ამ წარმოდგენას მთლიანად მოკლებულია მეცნიერების მსახური, ჩვენი ცივილიზაციის ყველაზე „ღირსეული“ წარმომადგენელი. ნებისმიერი სხვა ადამიანი-მასისა არ იყოს, მასაც შგონია, რომ ცივილიზაცია ყოველთვის ჩვენთან იქნება, ისევე როგორც — ჩვენი დედამიწა, დედამიწაზე კი — პირველყოფილი, უღრანი ტყე.

XIII

ყველაზე დიდი საფრთხე სახელმწიფოს ძლიერების წრდაა

თუ საზოგადოება წესიერადაა ორგანიზებული, მასა არასოდეს არ მოქმედებს თავისთავად. მისი როლი ჩვენს საზოგადოებაში პასიური უნდა იყოს. მას უნდა მართავდნენ, მას უნდა წარმოადგენდნენ, მის ორგანიზებას უნდა ახდენდნენ, ის კი მხოლოდ უნდა ემორჩილებოდეს უზენაეს ავტორიტეტს. იქნებ მაშინ მაინც შესძლოს იმდენი, რომ მასა აღარ იყოს, ან, ყოველ შემთხვევაში, სცადოს მაინც ეს. რადგანაც მასა იმისთვის როდი მოვევლინა ქვეყნიერებას, რომ თავისი ნება-სურვილით აკეთოს ყველაფერი; არა, თავის ცხოვრებას ის ყოველთვის უნდა უფარდებდეს უზენაეს ავტორიტეტთა, ანუ, რაც იგივეა, რჩეული უმცირესობის აზრს. შეიძლება რამდენიც გნებავთ, იმდენი იდავოთ იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა მიგვაჩნდეს რჩეულ უმცირესობად, მაგრამ ვინც არ უნდა იყვნენ ეს ადამიანები, მათ გარეშე კაცობრიობა დაპყრობად ყველაზე უმთავრესს — თავის ადამიანურ არსს, და ამაში შეუძლებელია რაიმე სქვის შეტანა. მაგრამ

აგერ უკვე საუკუნეზე მეტი იქნება, რაც ევროპელები სირაქლემასავით ფრთის ქვეშ მალავენ თავს და ცდილობენ არ დაინახონ ესოდენ აშკარა ფაქტი. თუმცა ეს მარტო ჩემი პირადი აზრი როდია ან მეტ-ნაკლებად შემთხვევითსა თუ პოტენციურად შესაძლო მოვლენებზე დაკვირვების შედეგად. აქ საქმე შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ „სოციალური ფიზიკის“ კანონს, გაცილებით უფრო გარდუვალს, ვიდრე ნიუტონის ფიზიკის (ყველა კანონია ერთად აღებული. იმ დღეს, როცა ევროპაში, ბოლოს და ბოლოს, გაიმარჯვებს ქეშმარიტად ფილოსოფიური აზრი,* რომელსაც ერთადერთს შეუძლია გვიხსნას, ჩვენ კვლავ ვაღიარებთ, რომ ადამიანი, მისი უნიანობისა და სურვილების მიუხედავად, ის არსებაა, რომელიც იძულებულია ოდითგანვე უხმობდეს უზენაეს ავტორიტეტებს. თუ თვითონვე მიაკვლია ამნაირ ავტორიტეტს, მაშინ ის რჩეული ადამიანია, თუ არა და — ადამიანი-მასა, და ამიტომ მოვალეა აღიარებდეს იმ ავტორიტეტთა პარსებობას, რომელთაც რჩეული სთავაზობს მას. როცა მასა თავისი საკუთარი რისკით მოქმედებს, ამით ის თავისი ბედის წინააღმდეგ ილაშქრებს, და რაკი ამჟამად სწორედ ეს ხდება, საქიროდ მიმაჩნია მასების ამბოხზე ვილაპარაკო. საბოლოო ანგარიშით, ამბოხებას (თუკი ამ ცნების ქეშმარიტად არსობრივ განსაზღვრას ეხება საქმე) ჩვენ ვუწოდებთ ადამიანის ურჩობას თავისი ბედის მიმართ. ასე, მთავარანგელოზ ლუსბელის** ჭანუი არანაკლებ ცნობილი იქნებოდა, თუკი ნაცვლად იმისკენ სწრაფვისა, რომ ღმერთისთვის გაეტოლებინა თავი, ესე იგი, საკუთარი ბედის წინააღმდეგ გაე-

* იმისათვის, რომ ფილოსოფია მართაედეს საზოგადოებას, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ფილოსოფოსები მართავდნენ, როგორც ამბობდა პლატონი თავდაპირველად, მაგრამ არც ისაა საჭირო, რომ მმართველები ფილოსოფოსებად გვევლინებოდნენ, როგორც უფრო მოკრძალებულად ამტკიცებდა იგი მოგვიანებით. მმართველობის ორივე ფორმა დამლუსველი იქნებოდა საზოგადოებისათვის. ფილოსოფია რომ მართაედეს საზოგადოებას, საკმარისია მხოლოდ მისი არსებობის ფაქტი; სხვა სიტყვებით, საკმარისია, რომ ფილოსოფოსი ფილოსოფოსადვე რჩებოდეს. აგერ უკვე საუკუნეზე მეტი იქნება, რაც ფილოსოფოსი ყველაფერი. რაც გნებავთ, — პოლიტიკოსი, პედაგოგი, ლიტერატორი, მეცნიერ-მუშაი, მაგრამ არა ფილოსოფოსი.

** ესპანელები მეორენაირად ასე უწოდებენ ლუსბელს. (მთარგმნ.).

ლაშქრა, — ის ეცდებოდა ყველაზე თვინიერი გამხდარიყო ანგელოზთა შორის (ლუსბელი რომ რუსი ყოფილიყო, მაშინ ის, ტოლსტოის მსგავსად, ალბათ ღვთის ნების წინააღმდეგ ამბოხის მეორე სახეს არჩევდა, რაც, არსებითად, არაფრით არ განსხვავდება პირველისაგან).

როცა მასა თავისით იწყებს მოქმედებას, ეს მოქმედება ყოველთვის ერთ ფორმას — ლინჩის ფორმას იღებს. შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ ლინჩის სამშობლო ამერიკაა: ამერიკას ხომ, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება მასების სამოთხე ეწოდოს. და ამიტომ არავითარ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ღღეს, მასების ტრიუმფის დროს, გამარჯვებას ზეიმობს ერთადერთ ratio*-ად და კანონად ქცეული ძალმომრეობა. მე უკვე დიდი ხნის წინათ გეუბნებოდით, ყურადღება მიგექციათ იმ ფაქტისათვის, რომ ძალადობის ზრდა ღღეს უკვე ნორმად იქცა**. ამჟამად მან თავის პიკს მიაღწია. და ეს სასიკეთო ნიშანია: მაშასადამე, მალე დაიწყება მისი ავტომატური კლება. ძალადობის თემა მტკიცედ დამკვიდრდა დღევანდელ რიტორიკაში: ახლა ფუჭად მოლაყბე ორატორებიც კი თავიანთ ვალად თვლიან მასზე უბედობას. როცა ამა თუ იმ ადამიანურ ჭეშმარიტებას თავისი ყავლი გახდის, თანდათანობით ჭკნება და კვდება, და მაშინ ტალღები ნაპირზე გამორიყავენ ლეშად ქცეულს, სადაც ის დიდხანს განაგრძობს ხრწნას. რიტორიკა ოდესღაც ექვშეუვალ ჭეშმარიტებათა სასაფლაოა, ან ინვალიდთა თავშესაფარი. ჭეშმარიტებისაგან რჩება მხოლოდ მისი სახელი, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა სიტყვა, და ამიტომ, ბოლოს და ბოლოს, სახელად გვევლინება, რაშიაც ყოველთვისაა ერთგვარი ქადოქრული ძალის ნაწილი.

მაგრამ მაშინაც კი, როცა უკვე აღარ იზრდება ძალადობის, როგორც ცინიკურად დადგენილი ნორმის პრესტიჟი, ჩვენ კვლავაც ძალმომრეობის რეჟიმში ვცხოვრობთ: განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ძალმომრეობა სულ სხვა ფორმით ვლინდება.

მე ვგულისხმობ ყველაზე საშინელ საფრთხეს, რომელიც ღღეს ემუქრება ევროპული ცივილიზაციის არსებობას; ყველა სხვა საფრთხის მსგავსად, განადგურებას რომ უქადის მას, ესეც თვით ცივილიზაციის განვითარების ნაყოფია; მეტიც, ის ცივილიზაციის სიამაყედ და სიქადულად გვევლინება. ეს საფრთხე — თა-

ნამედროვე სახელმწიფოა. სახელმწიფოზე შეიძლება იგივე ითქვას, რასაც წინა თავში შეცნიერებაზე ვამბობდით: მისი პრინციპების უჩვეულო ნაყოფიერება საფუძვლად უდევს მისხავე არნახულ პროგრესს. რასაც თავისი განვითარების გარკვეულ საფუხურზე სპეციალიზაციამდე მივყავართ, სპეციალიზაცია კი, ბოლოს და ბოლოს, მოქმედებს ემუქრება თვით შეცნიერებას.

იგივე ემართება სახელმწიფოსაც.

გაიხსენეთ, რას წარმოადგენდა სახელმწიფო XVIII საუკუნის დამლევს ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში: ღმერთმა იცის, რას. კაპიტალიზმის წარმოშობამ და, მასთან ერთად, მრეწველობის ორგანიზაციის ფორმირებამაც, რის შედეგადაც ტექნიკა ისტორიაში პირველად იწყებს უმთავრესი როლის შესრულებას (საქმე ეხება რაციონალიზტურად დაფუძნებულ ტექნიკას), — სულ მალე გამოიწვია პირველი დიდი ცვლილებები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში. ჩამოყალიბდა ბურჟუაზია, — ახალი, გაცილებით უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი კლასი, ვიდრე ყველა ის კლასი იყო, რაც კი მანამდე არსებობდა ისტორიაში. ამ თავგასულსა და კადნიერ ბურჟუაზიას უღვევი ჰქონდა ერთი სიმდიდრე — ფზიანობა და გერგილიანობა; მას შეეძლო მოეხდინა საზოგადოების ორგანიზება, დაემყარებინა დისციპლინა; და ის შემაკავშირებელი რგოლი ყოფილიყო, რომელიც თავს უყრის და ამთლიანებს ცალკეულ ადამიანთა ძალისხმევის ურიცხვ სიმრავლეს. ამ გერგილიანი ბურჟუების ოკეანეში ლაღად მისრიალებდა და ტალღებს მიაპობდა სახელმწიფოს ხომალდი. სახელმწიფოს ხომალდი ბურჟუაზიის მიერ დამკვიდრებული მეტაფორაა, ბურჟუაზიისა, რომელსაც ოკეანეხავით მბორგავ სტიქიად და ყოვლისშემძლედ მიაჩნდა თავი. სინამდვილეში კი ეს ხომალდი ერთი უბადრუკი ორჩხომელი იყო, ასეთივე უბადრუკი ეკიპაჟითურთ, რომელსაც თითქმის არ ჰქონდა ფული; მთელ ეკიპაჟს რამდენიმე ჭარისკაცი და ორიოდე მოხელე თუ შეადგენდა, და თანაც, ეს ორჩხომელი ბურჟუაზიისაგან ძირეულად განსხვავებული, სულ სხვა ჭიშისა და ჭილაგის ადამიანთა ნახელავი იყო: ესენი იყვნენ არისტოკრატები, კეთილშობილი, მამაცი და გამბედავი ადამიანები. დღემდე აღტაცებას იწვევს ხალხის წინამძღოლობის მათეული, ჭეშმარიტად უებრო უნარი და უდიდესი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა. მათ გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ევროპულ სახელმწიფოთა წარმოშობა. ეს კეთილშობილი, სულის ამდენი საუცხოო სიქველით შემკული ხალხი, სამწუხაროდ, უბრად

* არგუმენტი (ლათ.).

** იხ. „ესპანეთი მალეების გარეშე“, 1921.

იყო საღ აზრთან. არისტოკრატები თავის კი არა, სხეულის რომელიღაც სხვა ასოებით ცხოვრობდნენ. ისინი უჭუნური, სენტიმენტალური, ინტუიტური და ინსტინქტური, მოკლედ, ირაციონალური არსებები იყვნენ. ამიტომაც ვერ გამოიგონეს ვერავითარი ტექნიკა, რომლის შექმნაც რაციონალურ აზროვნებას მოითხოვს. ვერ შესძლეს დაემზადებინათ თოფის წამალი, — დაიღალნენ. რაკი ახალი იარაღის გამოგონება ვერ შესძლო, არისტოკრატებმა საშუალება მისცა ბურჟუებს, გამოეყენებინათ შორეული აღმოსავლეთიდან თუ დმერთმა იცის, საიდან ჩამოტანილი თოფის წამალი, ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ბურჟუებმა დაამარცხეს ეს კეთილშობილი, რკინის აბჯარში ბრწყინვალად მჭდარი რკინი, რომელიც ძლივს დაბობლავდა ბრძოლის ველზე და არასოდეს აზრადაც არ მოსვლია თავში, რომ გამარჯვების საწინდარი თავდაცვა კი არ არის, არამედ — შეტევა, იერიში. ნაპოლეონის მთელი სამხედრო კარიერა ამ ქეშმარიტების დასტურად გვევლინება.*

რაკიღა სახელმწიფო სხვა არა არის რა, თუ არა ტექნიკა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის გულისხმობს საზოგადოებრივი თუ აღმინისტრაციული წესრიგის დამყარების

* ეს მარტივი სახე, თვალნათლივ რომ გვიჩვენებს დიდ ისტორიულ ძვრებს, რომლებითაც აღინიშნა ის მომენტი, როცა ბურჟუაზია კარდინალურ სტრატეგებს იკავებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოსტებს, რომლებიც უწინ მხოლოდ არისტოკრატების ეჭირა, — შე რანკსაგან ვისესსე, რა ჯგუფი უნდა, ამ სახის სიმბოლური და, ცოტა არ იყოს, სქემატური სიმართლე არაერთ დანამატს მოითხოვს, რათა ზუსტად შეესაბამებოდეს ქეშმარიტებს. თოფის წამალი ძალიან დიდი ხნის წინათ იქნა გამოგონილი. ვიღაც ლომბარდიელმა მირგელად დაამზადა ცეცხლსასროლი იარაღი, მაგრამ ის არაეფექტური იყო, ვიდრე ტყვია არ გამოიგონეს. „კეთილშობილებს“ არასოდეს უსარგებლიათ ცეცხლსასროლი იარაღით, რადგანაც მხოლოდ არისტოკრატიაზე გაცილებით უფრო მდიდარ ბურჟუაზიას თუ შეეძლო, დიდძალი რაოდენობით გამოეყენებინა იგი. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, არისტოკრატები, რომლებსაც შუა საუკუნეების ტიპის ლაშქარი ჰყავდათ, საბოლოოდ გაანადგურეს შევიცარიელი ბურჟუების ახალმა, არაპროფესიონალი მეომრებისაგან წედგენილმა რაზმებმა, რომელთა ძალაც ახლებურ დისციპლინასა და ტაქტიკური საქითხების გადაჭრისადმი ახლებურ მიდგომაში მდგომარეობდა.

ჩვევას, ძველი რეჟიმი, რომელიც ცუდად ფლობდა ამ ტექნიკას, ძალზე უღიმღამოდ ხვდება XVIII საუკუნის დასასრულს, თუმცა მის განკარგულებაშია ჯერ კიდევ ცოცხალი სახელმწიფო, თავგანწირვით რომ ცდილობს მოიგერიოს ის დარტყმები, რომლებსაც ზედიზედ აყრიან საზოგადოების სრულიად დასხვა ფენების წარმომადგენლებმა, რომლებსაც სათვის შეუსაბამობა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ძალაუფლებას შორის იმნაირ მასშტაბებს აღწევს, რომ, მაგალითად, კარლოს დიდის დროინდელი სახელმწიფოს ჯანსაღ იერთან შედარებით, XVIII საუკუნის სახელმწიფო სასიკვდილოდ გადადებულ სნეულსა შგავს. კაროლინგების სახელმწიფო, რა თქმა უნდა, ისე ძლიერი როდი იყო, როგორც XVI-ის სამეფო, მაგრამ კაროლინგების დინასტიის მმართველობისას საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებოდა*. საზოგადოებრივ ძალებსა და საზოგადოებრივ ძალაუფლებას შორის სწორედ ამ მკვეთრმა შეუსაბამობამ გამოიწვია რევოლუცია, მეტიც, ყველა რევოლუცია (1848 წლამდე).

* ყურადღება უნდა გაგვემახვილებინა იმაზე, რომ აბსოლუტური მონარქიების ეპოქაში ევროპული სახელმწიფოებრიობა თითქმის სრულიად განუვითარებელი იყო. რითი აიხსნება ეს მოვლენა? საზოგადოება ზომ უკვე ყალიბდებოდა სახელმწიფოს ირტვლივ. რა იყო მიზეზი, რომ სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო ყველაფრის ნება მიეცა თავისათვის — ის ზომ „აბსოლუტური“ იყო, — უფრო ძლიერი არა ხდებოდა. ამ მოვლენის ერთ-ერთ მიზეზზე უკვე შევამჩრე თქვენი ყურადღება, ვერძოდ, იმაზე, რომ ეგრეთწოდებულ შთამომავლობით არისტოკრატების არავითარი ტექნიკური და ბიუროკრატული უნარი არ გააჩნდა. მაგრამ არსებობდა მეორე მიზეზიც, საქმე ისაა, რომ აბსოლუტისტურ მონარქიას, არისტოკრატების სახით, არ უნდოდა სახელმწიფო უფრო ძლიერი გამხდარიყო საზოგადოებრივი ძალაუფლების შესუსტების ხარჯზე.

აბსოლუტისტური სახელმწიფო, თავისი ინსტინქტური არსის მიუხედავად, გაცილებით უფრო დიდ პატივს სცემს საზოგადოებრივ აზრს, ვიდრე ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც რაციონალურ პრინციპებზეა დაფუძნებული, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლებად აქვს განვითარებული ისტორიული პისუხისმგებლობის გრძნობა. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება არ შეესაბამება საქმის ნამდვილ ვითარებას.

ბურჟუაზია ქეროში ჩააფრინდა რევოლუციის ტალღას და ასე მოექცა ხელისუფლების სათავეში; მთელი თავისი უექველი ღირსება და უნარი მან სახელმწიფოებრივი მანქანის დახვეწისა და სრულყოფის სამსახურში ჩააყენა და ერთი თაობის სიცოცხლას მანძილზე იმდენად ძლიერი სახელმწიფო შექმნა, რომ ამ უკანასკნელმა შესძლო ბოლო მოედო ყოველგვარი რევოლუციისათვის. 1848 წლიდან, ესე იგი, იმ დროიდან მოყოლებული, რომელიც შეესაბამება ბურჟუაზიის წარმომადგენელთა მეორე თაობის მმართველობის ეპოქას, ევროპაში არავითარი რევოლუცია აღარა ხდება, ამ სიტყვის ქვეშარტი გაგებით. საქმე ის კი არაა, რომ უცებ გაქრა რევოლუციების გამოწვევი ყველა მიწეში, არამედ ის, რომ ამოიწურა მათ მოსახდენად საჭირო საშუალებები. სახელმწიფოებრივ ძალაუფლებასა და საზოგადოებრივ ძალაუფლებას შორის შესაბამისობა დამყარდა. რევოლუციებო, სამუდამოდ გემშვიდობებით! დღეს ევროპაში შეიძლება მოხდეს რევოლუცია კი არა, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, მისი საპირისპირო მოვლენა, სახელდობრ, სახელმწიფო გადატრიალება. ყოველივე ის, რაც 1848 წლის შემდეგ ცდილობდა რევოლუციად გაესაღებინა თავი, სინამდვილეში სხვა არა იყო, თუ არა შენიღბული სახელმწიფო გადატრიალება.

ხადღისოდ სახელმწიფოს მანქანა ისე სრულყოფილი გახდა, რომ აბსოლუტურად უზადოდ მუშაობს და გამოგნებელი სიზუსტითა და ეფექტურობით იყენებს მის ხელთ არსებულ საშუალებებს.

სახელმწიფო მანქანა თავისი საცეცებით შემოეჭდო საზოგადოების გიგანტურ სხეულს; საკმარისია თითო დაპირრო ნებისმიერ ღილაკს, და მაშინვე ამუშავდებიან უზარმაზარი ბერკეტები, რათა დაფშვან და მტვრად აქციონ საზოგადოების ნებისმიერი ორგანო. თანამედროვე სახელმწიფო ცივილიზაციის განვითარების უკანასკნელი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფია. ძალზე საინტერესო და საგულისხმოა იმ პოზიციაზე მსჯელობა, რაც ადამიან-მასას უქირავს სახელმწიფოსთან მიმართებით. საშუალო ადამიანი გრძნობს, რომ სახელმწიფო ყოველთვის მასთანაა, მის გვერდითაა, და აღტაცებულია ამით. მან იცის, რომ სახელმწიფო იცავს მის სიმშვიდეს, და ისიც ესმის, რომ სახელმწიფო ადამიანის მიერაა შექმნილი, რომ ის ეფუძნება გარკვეულ პრინციპებს და დაშვებებს, რომლებსაც გუშინ იზიარებდნენ ადამიანები, მაგრამ ხვალ შეიძლება უკვალოდ გაქრნენ. მეორეს მხრივ, ადამიანი-მასისათვის სახელმწიფო განასახიერებს იდეალ ძალას, და

რაკი ამ იდეალ ძალას თავის თავშიც გრძნობს — ის ხომ „უბრალო ხალხის“ წარმომადგენელი გახლავთ, — ამიტომ დარწმუნებულია, რომ სახელმწიფო მას ეკუთვნის. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული პრობლემები ან კონფლიქტური სიტუაციები ეჩვენებ თავს, საშუალო ადამიანი დაუყოვნებლივ მოითხოვს სახელმწიფოსაგან, რომ მან, ყველა იმ ურიცხვი და ქმედითი საშუალებით, რაზედაც ხელი მიუწვდება, თვითონვე იკისროს ამ კონფლიქტის მოწესრიგება.

ყველაზე დიდი საფრთხე, რაც დღეს ემუქრება ცივილიზაციას, ცხოვრების გასახელმწიფოებრიობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში სახელმწიფოს ყოველმხრივი ჩარევა გახლავთ. სადღეისოდ სახელმწიფო ნთქავს ისტორიული ცხოვრების ნებისმიერ გამოვლენას, ანუ იმას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს უწყობს კეთილსახურველ განვითარებას, მაცოცხლებელ ცვარ-ნამს აკურებს ცხოვრების ხეს და სიმართლის გზით წარმართავს ადამიანს.

როდესაც მასა გრძნობს, რომ საფრთხე ემუქრება, ან ესა თუ ის მორიგი სურვილი მოხვედრებას არ აძლევს, შეუძლებელია ცდუნებას არ აჰყვეს და სახელმწიფოს არ მიმართოს დახმარებისთვის, რომელიც საშუალებას აძლევს თავისთავად მიიღწიოს ყველაფერს, რაც ნებას, თანაც, ყოველგვარი ძალისხმევის, ბრძოლის, იჭგნეულობისა და რისკის გარეშე. მასას ჰგონია, სახელმწიფო მე ვარო, მაგრამ სასტიკად ცდება. სახელმწიფო იმ გაგებითაა მასა, რა გაგებითაც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ერთი კაცი იგივეა, რაც მეორე, მხოლოდ იმიტომ, რომ არც ერთს ხუანი არ ჰქვია. თანამედროვე სახელმწიფო და ადამიანი-მასა მხოლოდ ერთი რამით ჰგვანან ერთმანეთს; არც ერთმა არ იცის თავისი ძალა. მაგრამ პარადოქსი ისაა, რომ ადამიან-მასას მართლა ჰგონია, სახელმწიფო მე ვარო, და ყოველთვის ნებისმიერი საბაბით ცდილობს, გვერდში ამოიყენოს სახელმწიფოს მექანიზმი, რათა მისი მეშვეობით გასრისოს იმ უმცირესობის შემოქმედებითი ენერგია, რომელიც ხელს უშლის იმაში, რომ თავი გამოიჩინოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, პოლიტიკა იქნება ეს, იდეოლოგია თუ მრეწველობა.

ეს ტენდენცია, მისი შემდგომი განვითარების შემთხვევაში, სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს. თუ კვლავაც ასე გამოუღებოთ ჩაერევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სახელმწიფო, თავისი დაშორგუნველი შემოქმედებით, გასაქანს აღარ მისცემს არავითარ უშუალო შე-

მოქმედებით იმპულსს, ვიდრე ჩანახახშივე არ ჩახშობს ახალი იდეების აღმოცენების ყოველნაირ შესაძლებლობას. საზოგადოება იძულებული იქნება სახელმწიფოსათვის იცხოვროს, ადამიანი კი სახელმწიფო მანქანის უურმოკრილ მონად იქცევა. და რაკი სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, სხვა არა არის რა, თუ არა მანქანა, რომლის შეუფერხებელი მუშაობაც გამუდმებულ ტექნიკურ დათვალიერებასა და მის ირგვლივ მოფუთფუთე ადამიანების სასიცოცხლო ძალთა სათბობით უწყვეტ მომარაგებას მოითხოვს — მთელ ენერჯიას. რომ გამოსწურავს მათ, თვითონაც კლექი შეეყრება, ზეზეულად ჩამოხშება და, ბოლოს, მანქანის ჟანგიანი სიკვდილით მოკვდება. მანქანის გვამი კი გაცილებით უფრო ამაზრზენია, ვიდრე ცოცხალი არსებისა. ასეთი იყო ძველი ცივილიზაციების ბედი.

ექვს გარეშეა, რომ იულიუსებისა და კლავდიუსების მიერ დაარსებულ იმპერიას საუცხოოდ გამართული სახელმწიფოებრივი მანქანა ჰქონდა, გაცილებით უკეთ მომუშავე, ვიდრე პატრიციუსთა ოქაბური კლანების მმართველობის ეპოქაში რესპუბლიკური სახელმწიფო მანქანა იყო. მაგრამ — აი, საინტერესო დამთხვევა! — როგორც კი საზოგადოებრივი ორგანიზაციის განვითარება თავის ამოგეას აღწევს, დაუყოვნებლივ იწყება მისი რღვევა. ანტონინუსთა ეპოქაში (II საუკუნე) სახელმწიფო უკვე იწყებს საზოგადოების დათრგუნვას და მისგან მთელი სასიცოცხლო ენერჯიის გამოსწურვას. სახელმწიფო იმონებს საზოგადოებას, რომელსაც ახლა მხოლოდ იმის წყალობით თუ შეუძლია იარსებოს, რომ სახელმწიფოს სამსახურში ჩადგეს. იწყება ცხოვრების ბიუროკრატიზაცია. მერედა, რა შედეგი მოჰყვება ამას? ცხოვრების ბიუროკრატიზაციის შესდეგი მოსდევს, რომ საზოგადოების არსებობა სათუო ხდება: სიმდიდრე თვალ და ხელშეა იღვეა, შობადობა მცირდება. და მაშინ, თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სახელმწიფო კიდევ უფრო დამთრგუნველ შემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე, რაც აჩქარებს მისი თანდათანობით მზარდი ბიუროკრატიზაციის პროცესს. ეს მეორეული ბიუროკრატიზაცია სხვა არა არის რა, თუ არა საზოგადოების მილიტარიზაცია. თავის უპირველეს ფუნქციას სახელმწიფო შეიარაღებული ძალების, არმიის მეშვეობით ახორციელებს, რადგანაც სახელმწიფოს არსებობის ძირითადი მიზანი უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა გახლავთ (გახსოვდეთ: სწორედ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ადამიანი-მასა). წარმომავლობით აფრიკელი

სევერუსები მიზნად ისახვენ მთელი საზოგადოების მილიტარიზაციას. მაგრამ ეს მიზანი მიუღწეველი რჩება სილატაკე მატულობს, შობადობა მცირდება, სახელმწიფო ჯარისკაცების ნაკლებობას განიცდის. სევერუსების მმართველობის მომდევნო პერიოდში იძულებული არიან ჯარისკაცებად დაქირავონ უცხოელები.

ხომ ხედავთ, რაოდენ პარადოქსული და ტრაგიკულია იმ საზოგადოების ბედი, რომელსაც მის მიერვე შექმნილი სახელმწიფო უპირებს ჩაყლაპვას? საზოგადოება თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად სახელმწიფოებრივ მექანიზმს ქმნის. შემდეგ სახელმწიფო თანდათანობით იზრდება, ძლიერდება და, აი, ახლა უკვე საზოგადოება სახელმწიფოსათვის არსებობს.* თუმცა საზოგადოებრივი ძალაუფლება კვლავ რომაელთა ხელშია. მაგრამ მალე თანამემამულენი საკმარისი აღარ არიან, რომ ამ უზარმაზარი აპარატის მოქმედება უზრუნველყონ, და იძულებულნი ხდებიან უცხოელებს მოუხმონ დასახმარებლად: ჯერ დალმაციელებს, შემდეგ კი გერმანელებს. უცხოელები ხელთ იგდებენ სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას და ადგილობრივი მკვიდრნი გადამთიელთა მონები ხდებიან, რომლებთანაც მათ არაფერი აქვთ საერთო. აი, რა შედეგი მოსდევს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს მუდმივ ჩარევას: ხალხი იმ პურად და ხორცად იქცევა, რომლითაც უნდა კვებო ყველაფრის გამაცამტვერებელი სახელმწიფო მანქანა, ოდესღაც თვითონ ამავე ხალხმა რომ შექმნა. ჩონჩხი თავისი საკუთარი სხეულის ხორცსა კვამს; ტყვე ბინით სარგებლობის უფლებას ყიდულობს და მისი მესაკუთრე ხდება.

როცა ყველაფერი ეს იცო, უცნაურზე უცნაურია, როგორ გაჰყვირის პირზე დუფმორეული მუსოლინი, თითქოს იტალიაში ახლახან აღმოჩენილ ჰეშმარიტებას გვამცნობდეს, ისტორიაში დიდი ხანია კარგად ცნობილ ლოზუნგს: „ყველაფერი სახელმწიფოსათვის! არაფერი, სახელმწიფოს გარდა, არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ!“ საქმარისია მოისმინოთ ეს ფრაზა, რომ ფაშისმის იდეოლოგიაში მახეების ტიპური იდეოლოგიაა შეიცნოთ. სახელმწიფო ძალაუფლების სათავეში რომ მოექცა, მუსოლინიმ თავის ნებაზე ამუშავა მშვენივრად გამართული სახელმწიფოებრივი მანქანა. ეს

* გაიხსენეთ სეპტიმიუს სევერუსის სიტყვები, რომლებითაც მან სიკვდილის წინ მამართა თავის ვაჟებს: „ერთად იყავით, ჯამაგირი აძლიეთ ჯარისკაცებს, დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს“.

მანქანა მან კი არა, სულ სხვა ხალხმა ააგო, იმ პრინციპებით რომ ხელმძღვანელობდა, რომლებსაც ახლა ასე თავგამოდებით ებრძვის: მე ვგულისხმობ ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებს. მუსოლინი მხოლოდ შეუზღუდავად სარგებლობს ძალაუფლებით, რომელიც ამ მანქანის ფლობის უფლებას ანიჭებს. მაგრამ ისიც უეჭველია, რომ, თვით დღევანდელ დღემდე, მისი მმართველობისას მიღწეული შედეგები ახლოსაც ვერ მივლენ იმ შედეგებთან, რომლებსათვის შეეძლო მიედწია ლიბერალურ დემოკრატიას როგორც პოლიტიკურ, ისე ადმინისტრაციულ სფეროში. თუ მუსოლინიმ საერთოდ მიაღწია რამეს, ყოველ შემთხვევაში, ეს მიღწევა სრულიად უმნიშვნელოა, უბადრუკო და არაარსებითი იმ შეუზღუდავ ძალაუფლებასთან შედარებით, რომელიც ხელთ იგდო და რომელიც საშუალებას აძლევს ეხოდენ თვითნებურად გამოიყენოს სახელმწიფოებრივი მანქანა.

სახელმწიფოს დიქტატურა — აი, ის უზენაესი ფორმა, რომელსაც იღებენ ძალმომრეობა და პირდაპირი მოქმედება, როდესაც ქვეყნის კანონად გვევლინებიან. მასები, რომლებიც კონტროლს აღარ ექვემდებარებიან, უსახელო სახელმწიფოებრივი მანქანის შემწეობითა და მისი შეშვეობით მოქმედებენ.

ევროპული ერების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაიწყო ძალიან მძიმე პერიოდი; მათ წინაშე დგას უკიდურესად რთული ეკონომიური, იურიდიული და სოციალური პრობლემები. ყოველივე ამის შემდეგ როგორ არ უნდა გვეშინოდეს, რომ მასებმა, თავიანთი მართველობის პერიოდში, შეიძლება ინდივიდუულობისა თუ ინდივიდუულობის დათრგუნვის გზით წარმართონ სახელმწიფო მანქანის მოქმედება და, ამრიგად, საბოლოოდ დაღუპონ ჩვენი მომავალი.

ცხოვრების გასახელმწიფოებრიობის კონკრეტული მავალითია ერთი ყველაზე შემაშფოთებელი მოვლენა, რამაც პირველად ამ ოცდაათიოდე წლის წინათ იჩინა თავი: პოლიტიკური ძალების არნახული ზრდა ყველა ევროპულ ქვეყანაში. ექვს გარეშეა, რომ ეს გამოიწვია საზოგადოების სოციალურ შემადგენლობაში მომხდარმა ცვლილებამ. რაგინდ ჩვეულებრივიც არ უნდა ჩანდეს ეს ფაქტი, მე მაინც მონსტრუოზულად პარადოქსული მეჩ-

ვენება შემდეგი ვარემოება: იმისათვის, რომ დიდი თანამედროვე ქალაქის მცხოვრებლებს შეეძლოთ მშვიდად მიეშურებოდნენ თავიანთი საქმეების მოხაგვარებლად, ან დინჯად დახეირნობდნენ, აუცილებელია ქუჩებში პოლიციელების მორიგეობა. წესრიგის მოყვარე მოქალაქის მხრივ შეამიტობა ექნებოდა იმაზე ფიქრი, რომ საზოგადოებრივი უშიშროების ეს ძალები, რომლებიც წესრიგს დასაცავად შეიქმნენ, ყოველთვის უზრუნველყოფენ ამ წესრიგს, ესე იგი, ყოველთვის შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას. აუცილებლად დადგება მომენტი, როცა ისინი გადაწყვეტენ თავიანთი წესრიგი დაამყარონ, დიახ, ისეთი წესრიგი, რომელიც ხელსაყრელია მათთვის.

რაკი ამ თემაზე ჩამოვარდა სიტყვა, მე შინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ ფაქტს, რომ სხვადასხვა ტიპის საზოგადოებაში ერთი და იგივე სოციალური მოთხოვნილება სხვადასხვანაირ რეაქციას იწვევს. როცა დაახლოებით 1500 წელს, ახალი ტიპის მრეწველობის შექმნასთან ერთად დასაბამი ეძლევა ადამიანის ახალ ტიპსაც — მრეწველობაში დასაქმებულ მუშას, რომელსაც დანაშაულებრივი მოქმედებისადმი უფრო მეტი მიდრეკილება აქვს, ვიდრე მის წინამორბედს ჰქონდა, — საფრანგეთში სასწრაფოდ ყალიბდება პოლიციის გაძლიერებული კორპუსი. იმავე მიზეზების გამოიხობით, 1810 წლისათვის ინგლისშიც შეიმჩნევა დამნაშავეობის ზრდა, — და ინგლისელები ახლალა ამჩნევენ, რომ თითქმის არა ჰყავთ პოლიციელები. ამ დროს ხელისუფლების სათავეში კონსერვატორები დგანან. მერედა, რა ღონისძიებას მიმართავენ ისინი? პოლიციას ქმნიან? თქვენ წარმოიდგინეთ, არა. „ჩვენ შესაძლებლად ვთვლით უწესრიგობის დაშვებას, რადგანაც ეს მიგვაჩნია თავისუფლების გულისათვის ჩვენს მიერ გაღებულ საზღაურად“. „პარიზში — წერს ჯონ უორდი, — შეხანიშნავი პოლიციაა, მაგრამ მისი სამსახური ძალიან ძვირი ჯდება. მე ვამჯობინებდი ყოველ ორსამ წელიწადში რატკლიფ-როულზე თავი დაგვეგდებინებინა ხუთი თუ ექვსი დამნაშავეისთვის, ვიდრე აგვეტება ჩხრეკა, შპიონაჟი და სხვა ნისთანა მაქინაციები, რასაც არ თაკილობს ფუშეს ხალხი“. აი, ორი სხვადასხვანაირი წარმოდგენა სახელმწიფოს მიზნებსა და ფუნქციებზე. ინგლისელებს სურთ, რომ სახელმწიფოებრიობას საზღვარი ჰქონდეს.





გზად რიგმონდისაკენ

ნაწილი II

8. ამერიკული მიცვალებულთა წიგნი
ანუ კვდომის მაცნებება

როცა იცით, რომ რაღაც ამბავი უნდა მოხდეს, საამისოდ წინასწარ ემზადებით. ეს მტკიცება სწორია, თუ საქმე ეხება დაქორწინებას, ბავშვის დაბადებას ან მის კოლეჯში გაგზავნას. როდესაც სამოგზაუროდ ემზადებით, თქვენ აუცილებლად გეგმავთ მას, ამოწმებთ, მოწესრიგებულთა თუ არა ბილეთებისა და ბინის საკითხი, გაქვთ თუ არა მოგზაურობისათვის შესაფერისი ტანსაცმელი. ბედის ირონიით, ადამიანების უმრავლესობა სრულიად არ ემზადება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და გარდუვალი მოგზაურობისათვის: სიკვდილისათვის.

ისეთ რამეებზე როდია ლაპარაკი, როგორცაა ანდერძის გაფორმება, სასაფლაოზე ადგილის ყიდვა ან ფინანსური საქმეების მოწესრიგება, თუმცადა სამზადისის იგნორირება აქაც შეიძლება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ისეთი ფიზიკური და სულიერი მოვლენისათვის მზადება, როგორცაა თვით სიკვდილი. და როცა ეს მომენტი დადგება, აღმოჩნდება კი მზად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, დაინახო „თან წამყვანი“ ფიგურები, თვალი შეავლო განსვენებული ღედის ან მამის ხულს ანდა შეხვიდე გვირაბში, რომლის ბოლოშიც სინათლე მოჩანს? თუ ამ სახეებს განიხილავ როგორც სიკვდილის წინამორბედებს ან როგორც პალუცინაციებს, ბევრად უფრო დამშვიდებული იქნები, რაკი გეცოდინება, წინ რა არის. ამგვარი მომზადების უარყოფა, რომლის საფუძველშიც სიკვდილისადმი შიშია ჩადებული, დახავლეთის ცივილიზაციის ადამიანთა უმრავლესობისათვის არის დამახასიათებელი. აღმოსავლურ და აფრიკულ კულტურებში, სადაც სიკვდილს წინ უხწრებს საგულდაგულო მომზადება, სადაც არსებობს კვდომის სკოლა, რომელიც იმის შეტყობის სა-

შუალებას იძლევა, თუ რა არის მოსალოდნელი, — ადამიანებისათვის უცხოა თანატოფობია.

საბედნიეროდ, სიტუაციას შეერთებულ შტატებში ცვლილება დაეტყო. ეურდნობიან ტექსტებს, ისეთებს, როგორცაა, ვთქვათ, ტიბეტური მიცვალებულთა წიგნი, — კვდომის ნამდვილი სახელმძღვანელო — ასევე, კლინიკურ-სიკვდილგადატანილთა მონათხრობებს, და მათგან გამომდინარე თეოლოგებმა და მეცნიერებმა დაიწყეს ერთგვარი სახელმძღვანელოს შედგენა, რომელსაც ოდესმე ამერიკულ მიცვალებულთა წიგნს დაარქმევენ.

ამ დარგის წამყვანი სპეციალისტები არიან — დოქტორი სტანისლავ გროფი და დოქტორი ჯოუნ პალიფაქსი. 1960 წ. მათ დაიწყეს კიბოთი უიმედოდ დაავადებულთათვის პალუცინოგენ ლსდ-ის მიცემა. პაციენტის ცნობიერებაზე შემოქმედებით დოქტორმა გროფმა და დოქტორმა პალიფაქსმა შეძლეს საგრძნობლად შეემსუბუქებინათ ფიზიკური ტკივილები, კიბოს უკანასკნელ სტადიას რომ ახასიათებს. ამით მათ იმაზე მეტი მიიღეს, ვიდრე მოელოდნენ: ლსდ-მიღებული მომავლავი პაციენტები მოუთხრობდნენ პალუცინაციებზე, რომლებიც საოცრად ჰგავდნენ ხილვებს, რასაც კლინიკურ სიკვდილგადატანილი ადამიანები ჰყვებოდნენ. არის თუ არა აქ კავშირი? ლსდ გამოიყენება ტკივილის მოსახსნელად, რადგან პაციენტს უქმნის „სხეულიდან გათავისუფლების“ გრძნობას ისევე, როგორც სგგ-ის შეგრძნებათა დროს, რა არის ეს — ნამდვილი სგგ, მინი-სიკვდილი, რომელიც საშუალებას აძლევს პაციენტს დაინახოს, თუ რას უნდა მოელოდეს სიკვდილისაგან? ვარაუდობდნენ, რომ ეს შეიძლება მართლაც ასე იყოს, ამიტომ დოქტორებმა გროფმა და პალიფაქსმა გააძლიერეს ლსდ-ის მოქმედება — იხინი პაციენტებს უყვებოდნენ, რას შეიძლება ჰგავდეს კვდომა. მათი მუშაობის მაგალითად

1 დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საუნჯე“ № 1

გამოდგება ოცდაექვსი წლის ზანგის, დინის, შემზახვევა.

დინს მსხვილი ნაწლავის კიბო (უკანასკნელი სტადია) ჰქონდა, როდესაც მის მიმართ ფსიქოლოგიური თერაპიის გამოყენება დაიწყო. რამდენიმე წლით ადრე მას ამოაქრეს ერთი თირკმელი, რომელზეც ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა. დოქტორმა სტანისლავ გროფმა დინი პირველად მაშინ ნახა, როცა ანთებითი პროცესის გამო შარდსაწვეთი აღარ ფუნქციონირებდა, რაც ორგანიზმის მოწამლვას იწვევდა. დინის ნებართვით, დოქტორმა გროფმა დაუყოვნებლივ დაუწყო ლსდ-თერაპია, რვადღიანი პროგრესირებადი ურემიის შემდეგ, ერთ საღამოს დოქტორ გროფს მოულოდნელად დინის ცოლმა დაურეკა. საავადმყოფოში მოსულ დოქტორ გროფს დინი ნახევრად გონდაკარგული დაუხვდა. რამდენიმე ნათესავი ამოდ ცდილობდა მასთან სიტყვიერი კონტაქტის დამყარებას, ჩანდა, დინი სიკვდილის პირას იმყოფებოდა. მალე მან სრულიად დაკარგა ცნობიერება. იმ საღამოს დოქტორი პალიფაქსი დოქტორ გროფთან ერთად მოვიდა საავადმყოფოში, დინს საწოლთან დაუჯდა და დაუწყო კითხვა წიგნისა „ბორდო ტოდოლ“, თან კვდომის ამ აღმოსავლური სახელმძღვანელოს დასავლურ ვარიანტს ქმნიდა. დინი რომ უგონოდ იყო ამას მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა. დოქტორს ხურდა, ერწმუნა, რომ დინს ჭერ კიდევ ძალუძდა მისი მოსმენება. არსებითად, დოქტორი პალიფაქსი ვარაუდობდა, რომ დინი სინათლისაკენ მიემართება, რომელსაც იგი ხედავს, და შეუძლია შეერწყას მას ისე, რომ არ შეეშინდეს მისი სიკაშკაშისა. სიკვდილი გარდუვალი იყო და დოქტორი პალიფაქსი ასწავლიდა დინს, როგორ მომკვდარიყო, რათა მისთვის ეს პროცესი შეემსუბუქებინა. მაგრამ აქ ქირურგთა ბრიგადამ უცრად გადაწყვიტა დინისათვის ოპერაცია გაეკეთებინათ და ერთხელ კიდევ ეცადათ მისთვის სიცოცხლის შენარჩუნება. ვიდრე დინს საოპერაციოდ ამზადებდნენ, დოქტორი პალიფაქსი კითხვას განაგრძობდა. ხანგრძლივი და მძიმე ოპერაციის დროს დინს ორჯერ გაუჩერდა გული, ორჯერ იმყოფებოდა კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში და ორჯერვე გამოაბრუნეს. მოგვიანებით, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, დინმა შეხედა დოქტორ პალიფაქსს და უთხრა: „თქვენ კაბა გამოგიცვლიათ“. დოქტორმა გროფმა, რომელმაც ვერ შეძლო ერწმუნა, რომ უგონოდ მყოფ ადამიანს შეუძლია შენიშნოს და დაიმახსოვროს ასეთი წვრილმანი, დინს კითხვების მიცემა დაუწყო. მალე გაირკვა, რომ ცნობიერებადაკარგული დინი ამჩნევდა პალატაში მყოფ ადამიანებს და შეეძლო დაე-

მახსოვრებინა მოსმენილი საუბრის ნაწილი. ამასთანვე, მიუხედავად იმისა, რომ თვალი არც გაუხელოა, შეამჩნია ცრემლებიც, რაღაც მომენტში დოქტორ პალიფაქსს რომ ჩამოსდიოდა სახეზე. ცნობიერების ნაწილი იქ მყოფთ აკვირდებოდა, მეორე ნაწილი კი ისმენდა იმას, რასაც დოქტორი პალიფაქსი ჰყვებოდა სინათლის შესახებ. თავდაპირველად [ქრწე] მხოლოდ შავ სიცარიელეს ხედავდა, შემდეგ დაინახა სინათლე, უშიშრად გაცურდა მისკენ და იგრძნო, რომ ერწყმის მას. დოქტორ პალიფაქსის სიტყვებმა, დინის თქმით, დაამშვიდა იგი და დაეხმარა დაენახა სინათლე. სანამ უველაფერი ეს ხდებოდა, დინის ცნობიერების კიდევ ერთმა ნაწილმა საავადმყოფოს ქერზე „ფილმი“ იხილა. დინის მონაყოლის თანახმად, „ფილმი“ ცოცხლად წარმოსახვდა მის მიერ ცხოვრებაში ჩადენილ ყველა ცუდ საქციელს. მან იხილა ადამიანთა მთელი გალერეა, კორეაში ომის დროს რომ ჰყავდა დაზოცილი, ასევე — ყველა ის ბიჭი, მოზარდობის ასაკში რომ უცემია. მან თქვა, რომ განიცადა ყველა ადამიანის ტკივილი და აგონია, ვისთვისაც კი ცხოვრებაში ზიანი მიუყენებია. სანამ ყოველივე ეს ხდებოდა, დინი, ამასთანვე, გრძნობდა „ღმერთის იქ ყოფნას“, რომელიც უცქერდა და აფასებდა დინის ცხოვრების „ფილმს“.

დინს კიდევ ბევრი რამ ჰქონდა მოსაყოლი. მას ზომ დოქტორი გროფი ლსდ—თერაპიით შეურნალობდა, ორჯერ ბუნებრივი სიკვდილითაც კვდებოდა საავადმყოფოს საწოლზე, ორჯერ კლინიკური სიკვდილიც გადაიტანა ოპერაციის დროს. დინმა ჩათვალა, რომ ეს ოთხი შემთხვევა საოცრად ჰგავდა ერთმანეთს და მადლობას სწირავდა დოქტორ გროფსა და დოქტორ პალიფაქსს ლსდ-ს გამოყენებისათვის, რომელმაც შეამზადა იგი იმანათვის, რომ, როგორც მან თქვა, სიკვდილის კარიბჭის იქით მყოფს უკან მობრუნება არ გაჭირვებოდა. მან ეს ასე ახსენა: „ლსდ რომ არ მიმედო, ძალიან გავწვალდებოდი იმით, რაც თავს გადამხდა, მაგრამ ეს მდგომარეობა ისე გამოვიარე, სრულებით არ შემშინებია“. დინმა იხილა სიცარიელე, გვირაბი, სინათლე, სულები და, როგორც ირწმუნებოდა ესმოდა ღმერთის ხმა. ოპერაციის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა. მხოლოდ წარმოდგენა შეგვიძლია იმისა, რომ საბოლოო სიკვდილს ის არ შეუშინებია, არამედ აღავსო მოწიწებით და მან იგი ნდომითა და მადლიერებით მიიღო.

დოქტორი გროფი მეცნიერია და მას ესმოდა, რომ სიკვდილის თანმხლები სახეები შეიძლება წარმოიშვან სხვადასხვაგვარი პროცესებით: ფსიქოზემოქმედებითი საშუალებების მრავალფეროვნებით, სენსორული დეპრიაცი-

იით ან მონოტონური სიმღერის შემოქმედებით, ხანგრძლივი უძილობით ან მკაცრი მარხულობით, სხვადასხვაგვარი მედიტაციური ტექნიკითა და სულიერი პრაქტიკით. ადამიანის იძულებითი შალუცინირება, სიცარიელისა და მოკიფე შუქების ხილვა, საოცარი ხმებისა და ციური მუსიკის მოსმენა შეუძლია გამოიწვიოს აგრეთვე მიღებულმა მძიმე ტრავმებმა, ხტრესმა, შოკმა და ზოგიერთმა მენტალურმა მოშლილობამ, მაგალითად, ფსიქოზებმა (კერძოდ, შიზოფრენიამ და მელანქოლიამ).

მართლაცდა, „სიკვდილის ხატებანი“ ბუნებრივ შედეგად იქცვიან იმ შემთხვევებში, როდესაც ადამიანის ტვინი აღმოჩნდება ექსტრემალურ პირობებში. ამ მოვლენას ბევრი კულტურა იყენებს რელიგიურ რიტუალებში ტრანსცენდენტული ან სულიერი გამოცდილების შესაძენად.

ოქროს ფარდის გადაწევისა და სხვა სამეფოს ხილვის ბევრი ხერხი არსებობს. ტრანსცენდენტულობა, როგორც ვიცით, სიკვდილთან ყველა შესვედრაშა მთავარ როლს თამაშობს. დოქტორ გროფისა და დოქტორ შალიფაქის მიერ გამოყენებული ტექნიკა შეიძლება ოდესმე ამერიკული მიცვალებულთა წიგნის ნაწილად იქცეს, მისი ერთ-ერთი თავი კი შეიძლება შეადგინოს აიოვას უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დოქტორის, ფსიქიატრ რასელ ნოიზის დაკვირვებებმა.

დოქტორმა ნოიზმა დიდი დრო მოანდომა უეცარი სიკვდილის სიახლოვის შემთხვევათა შესწავლას. მისი შესწავლის ობიექტებად იქცნენ ისინი, ვინც კინალამ დაიბრჩო, მაგრამ გამოაბრუნეს; ადამიანები, რომლებიც ხანძრისაგან თავის დასაღწევად ცათამბჯენებიდან ხტებოდნენ; ალპინისტები, რომლებიც ახლობით ფუტის სიმაღლიდან ვარდნის შემდეგ თოვლის თხელ ფენაზე თითქმის ტრავმის გარეშე დაცნენ; ისინი, ვინც ავიაკატასტროფა ან უბედური შემთხვევა გადაიტანა პარაშუტით ხტომის დროს. როგორც ცხრაშეტი წლის ბობი ჰოლმა. 1972 წ. დეკემბერში ჰოლი თვითმფრინავიდან გადმოხტა პარაშუტით არიზონას შტატის კულიჯის აეროპორტის ახლოს, მისი პარაშუტი არ გაიხსნა და იგი მიწაზე დაახლოებით საათში სამოცი მილის სიჩქარით დაეცა. სასწაულით გადარჩა. რამდენიმე დღის შემდეგ, ტრავმები რომ მოიშუშა, რომელთა შორის ყველაზე სერიოზული გატეხილი ცხვირი და ჩაღეწილი კბილები აღმოჩნდა, ჰოლმა უამბო რეპორტიორებს, რას მიაგავდა ვარდნა:

„მე დავიყვირე. ვიცოდი, რომ დავიღუპე, რომ სიცოცხლე დამთავრდა. მთელმა ჩემმა წარსულმა თვალწინ გამიქროლა, უფრო ზუსტად,

გამიელვა. მე დავინახე დედის სახე, ყველა სახელი, სადაც მიცხოვრია, ხამხედრო სასწავლებელი, სადაც ვსწავლობდი, მეგობართა სახეები — აბსოლუტურად ყველაფერი“.

ამოდიოდა რა მსგავსი შემთხვევებიდან, დოქტორმა ნოიზმა დაასკვნა, რომ სიკვდილის წინ თამაშდება რაღაც ისეთი, *სიმშვენიერება* პიესას რომ წააგავს.

I მოქმედება. დოქტორი ნოიზი მას „წინააღმდეგობას“ უწოდებს. მდგომარეობა პანიკურია, სასოწარკვეთილება უაზრო ნაბიჯებისაკენ უბიძგებს. სცენაზე მარტოდ დარჩენილი მსახიობი ცდილობს დაძლიოს ძალები, რომლებიც მას გარდუვალი სიკვდილისაკენ მიაქანებენ. ცდილობს რა შეაჩეროს საკუთარი ძირს ვარდნა, ალპინისტი კლდის ქიმებს ან ხის ტოტებს ეტანება ხელით; დასახრჩობად განწირული მოცურავე, უაზრო იმედით შებყრობილი, თვალგაფაციცებით დაეძებს წყალზე მოტივტივე ხის ნაქერს; პირველი მოქმედების გმირი ჯერ კიდევ სიფხიზლუშერჩენილი ცნობიერებაა, უვარგისი მსახიობი, რომელიც ხავსეა გადაწყვეტილებით თავი შეიკავოს და არ სურს სცენის სიკვდილით დატოვება. იგი შებყრობილია სურვილით, შეინარჩუნოს აწმყო, აქაური და ამჟამიერი, რომელშიც ცხოვრობს. მაგრამ სიკვდილთან ასეთ თითქმის-შესვედრებში იგი აგებს ამ ბრძოლას, დაბოლოს, ეს „მსახიობთამსახიობი“, ხედავს რა ძალთა უთანასწორობის, მიდის კომპრომისზე და იწყება

II მოქმედება.

დოქტორი ნოიზი ამ მოქმედებას „ცხოვრების მიმოხილვას“ უწოდებს. როცა გადარჩენის ყველა საშუალება ამოწურულია, აქტიორის წინაშე ჩაივლის ბედნიერ მოგონებათა მწკრივი: საოჯახო დროსტარებანი, ხატრფიალო თავგადასავალი (შეიძლება, ორიც), სკოლის წლები, ღამაში ბავშვობა. ესა და სხვა მოგონებები ტრიალებენ, როგორც უამთასვლისაგან გაყვითლებული კინოფირი ძველ სამოყვარულო ფილმში, რომანტიკულ მზის სინათლეზე. ბევრისათვის მეორე მოქმედების წამყვანი განწყობილება — ნოსტალგიაა. ხაინტერესოა აღინიშნოს, რომ როდესაც სიკვდილი ნელ-ნელა ახლოვდება, როგორც დინის შემთხვევაში. „ცხოვრების მიმოხილვამ“ შეიძლება შეშაშინებელი ტონალობა შეიძინოს, ადამიანი აღადგენს იმ მოგონებებს, რომლებშიც თავს დამნაშავედ გრძნობს. რამდენადაც აწმყო აღარ დარჩენია, იგი ხელახლა განიცდის წარსულს, — ყველაფერს, რაც გინდა იყოს, ოღონდაც თავი დაადნოს სიკვდილთან შეჯახებას, მოქმედებას,

რომელიც, როგორც მას ესმის, როლი აღარ გააჩნია.

III მოქმედებას დოქტორი ნოიზი „გადახვლას“ უწოდებს. როდესაც გონება მეხსიერების პროექტორს ჩართავს, ეგო, როგორც ვიცით, ჩვეულებრივ დუმს. ასეთია მისი როლი პიესაში. ჩნდება ახალი მოქმედი პირი—ჩვენი ცნობიერების ის ნაწილი, რომელიც სხეულებრივზე მაღლა ხულიერს აყენებს, ის ნაწილი, რომლის არსებობა, შესაძლოა, არც კი ვიცოდით, რაკილა ფიზიკური სხეული კარგავს მნიშვნელობას, მნიშვნელობა ეკარგება იმასაც, საათში სამოცი მილის სიჩქარით მიწას რომ უნდა დაენარცხო; ცნობიერ სიცოცხლეს ფასი აღარ აქვს. სული გათავისუფლდა ცნობიერების ბორკილებისაგან და ძალუქს აიწიოს ფიზიკურ დონეზე მაღლა — განიცადოს სგგ. ბობი ჰოლმა ამას განსაცვიფრებელი რამ უწოდა.

ალბერტ ხეიმი, შვეიცარიელი გეოლოგი, რომელმაც 1892 წ. ალპების დალაშქვრისას გამოცდა ვარდნა, საკუთარმა ტრანსცენდენტულმა გამოცდილებამ შთააგონა ინფორმაცია შეეკრიბა იმ ოცდაათი ადამიანისაგან, რომლებსაც ანალოგიური გამოცდილება ჰქონდათ. ხეიმმა აღმოაჩინა, რომ სწორედ „სიკვდილის“ წინ, იგრძნობდნენ რა, რომ გათავისუფლდნენ სხეულისაგან, მათ ჩაესმოდათ ზეციური მუსიკა, ხედავდნენ მომხიბვლელ სინათლეს და განიცდიდნენ სიმშვიდესა და მოსვენებას. ისინი არ ნანობდნენ, რომ „კვდებიან“, და განაგრძობენ ფიქრს, რომ, არჩევანი რომ შესძლებოდათ, სიცოცხლეს აღარ დაუბრუნდებოდნენ.

საინტერესოა აღინიშნოს განსხვავებულობა დოქტორ ნოიზისა და ალბერტ ხეიმის მიერ შესწავლილ უეცარი თითქმის-სიკვდილისგან მიღებულ შეგრძნებებსა და იმ შეგრძნებებს შორის, რომელთა შესახებაც პყვებიან კლინიკურ სიკვდილგამოვლილი ადამიანები. უეცარი სიკვდილს მოვლენები გათამაშდებიან სამ მოქმედებად. კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში მყოფი საოპერაციო მაგიდაზე მოთავსებული ადამიანები კი, რომელთაც შოკისა თუ ნარკოზის გამო ცნობიერება დაკარგული აქვთ, მხოლოდ შესაძებ მოქმედებას ეხწრებიან. ისინი უსიამოვნო პირველი მოქმედებისა და დრო-ჯადრო უსიამოვნო მეორე მოქმედების გაუვლელად, დაგვიანებული მაყურებლების მსგავსად, თავიანთ ადგილს ზუსტად კულმინაციის წინ იკავებენ. შესაძლოა, პირველდარწარუმატებელი თვითმკვლელები, რომლებმაც ისე შორს შეტოპეს, რომ ტრანსცენდენტული გამოცდილებაც მიიღეს, ისწრაფვიან უკან დასაბრუნებლად

და იმეორებენ თვითმკვლელობის ცდას, ხშირად — დიდი წარმატებითაც.

შიში ხომ არ არის იმპვენიური ცხოვრების არსებობის მიმართ ჩვენი რწმენის მიზეზი? ხომ არ მომართავს ჩვენ წინააღმდეგ ჩვენი ამაყი ეგო მარადიული იმპვენიური ცხოვრების იდეას? ყოველ შემთხვევაში, სიკვდილზე „ფიქრს“ მყოფ ადამიანს საკმაო სიკვდილზე „ფიქრს“ სურდეს სიცოცხლე სიკვდილის შემდეგაც და სწამდეს ამისა. ნებისმიერი ამერიკული მიცვალებულთა წიგნი ვალდებულნი იქნებოდა მოიცავდეს ამ პრობლემათა განხილვას. ჩვენ ვკვებნიებიან, რომ სიკვდილის შიში ღრმადაა ფესვგადგმული ადამიანში. ჩატარებულია აუარება რაოდენობის გამოკვლევა სიკვდილისა და კვდომის შესახებ და მათი უმრავლესობა იმას ადასტურებს, რომ ყველას, ბუნებრივია, ეშიინია სიკვდილისა, რომ სიკვდილის შიში ჩვენსავე გენებშია ჩაპროგრამებული. მაგრამ სიკვდილის მიმართ მზადყოფნის შესახებ ლიტერატურის ახლოდან განხილვისას ვრწმუნდებით, რომ ეს შიში მოზარდებსა და მოზრდილ ბავშვებს უჩნდებათ მხოლოდ და ისიც — მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დრო აქვთ ამაზე ყურადღების კონცენტრაციისათვის. არ არის დამტკიცებული, რომ ეს შიში ჩვენი ქცევის ბუნებრივი და უცილობელი კომპონენტი იყოს. პირიქით, იმ კულტურებში, სადაც სიკვდილზე უფრო ღიად მსჯელობენ და მას ცხოვრებისეული პროცესის ნაწილად განიხილავენ, სიკვდილის შიში არ არსებობს. „არაფერი მეტყველებს იმაზე, — შენიშნავს ბიოლოგი ლაიელ უოტსონი, — რომ სხვა ბიოლოგიური სახეობებისათვის სიკვდილის შიში იყოს ის ერთ-ერთი სტიმული, რომელიც აიძულებს ცხოველებს ინსტინქტურად გაექცნენ საშიშ სიტუაციებს. როცა მოზარდი შიმპანზეები გარკვეულ ასაკს აღწევენ, ისინი ამქობინებენ, ყოველგვარი სწავლების გარეშე, თავი აარიდონ გველისებურ ობიექტებთან შეხვედრას. მათ გამოუმუშავდებათ ტენდენცია, შიშით მოახდინონ რეაგირება სტიმულზე, რომლებიც საფრთხესთან ასოცირდება, მაგრამ შეარ ვიცნობ არც ერთ ორგანიზმს, რომელიც მოახდენდა ბუნებრივი შიშის დემონსტრირებას სიკვდილის, როგორც ასეთის, წინაშე“. ამრიგად, ჩვენ ვსწავლობთ გვეშინოდეს სიკვდილისა, და არსებობს უამრავი მოწმობა იმისა, რომ სათანადო ვარჯიშისა და მომზადების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია მთლიანად დავძლიოთ ეს შიში. იმისათვის, რომ დავინახოთ, როგორ კეთდება ეს, — „კვდომის ხელოვნებას“ რომ დავუფიქროთ, — აღმოსავლეთს უნდა მივმართოთ.

ტიბეტელი ბერები ასეული წლების მანძილ-

ზე ასწავლიდნენ ადაშიანებს, როგორ მომკვდარიყვნენ. იგულისხმება არა ექიმთა მუშაობა მომაკვდავებთან და მათ ოჯახებთან, რათა დახმარებოდნენ მათ ავადმყოფობისა და მიხი გარდუვალი შედეგების მიღებაში. ეს სხვა, ძალზე საჭირო სამსახურია, ერთი იმათგანი, თანდათანობით რომ ვითარდება ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ „კვდომის ხელოვნებაში“ ჩვენ ვგულისხმობთ სიკვდილის პარანორმალურ ასპექტებს.

სამარის კართან მდგარი ადამიანების მონათხრობები იმაზე მეტყველებს, რომ სიკვდილი ბევრად უფრო ნაკლებად საშიში შეიძლება იყოს, ვიდრე გვგონია, და თვით სიკვდილის მომენტი ემოციური კატასტროფა კი არა, სათანადო მომზადების შემთხვევაში, საამური ტკბობაც კი აღმოჩნდეს. მართლაც, თუ ადრეული წლებიდანვე დავუფლებით კვდომის ხელოვნებას, როგორც ამას აღმოსავლურ სექტებში ასწავლიან, აღარ იქნება საჭირო სასიკვდილოდ დაავადებულთა და მათი ოჯახების ნუგეშისცემა. ოცდაექვსი წლის ლორეტა საიქსმა სწორედ ძნელი გზა გაიარა.

ლორეტამ აღმოაჩინა, რომ უჩვეულო ძილიანობა და სისუსტე, რომელსაც იგი თითქმის მთელი წელი გრძნობდა, ლეიკემიის სიმპტომები უოფილა. მალე ლორეტამ შეიგნო, რომ რადიაციული თერაპია არაფერს შველის და, შესაძლოა, საავადმყოფოში მოუწიოს დაწოლა. თუმცა ექიმებმა ვერ შეძლეს ეთქვათ მისთვის, რამდენ ხანს იცოცხლებდა, მაგრამ ლორეტა მიხვდა, რომ ცოტაა დარჩენოდა. დიდი-დიდი რამდენიმე თვე. ლორეტამ ვერ შეძლო სიკვდილის პერსპექტივას შერიგებოდა, იგი რომაულ-კათოლიკური რწმენით იყო გაზრდილი, მაგრამ კოლეჯში „რწმენას გადაუხვია“. მისმა მეგობრებმა, ცოლ-ქმარმა, მისმა თანატოლებმა, შეიტყვეს, რომ ცოტა ხნის წინათ ნიუ-იორკში, დაჩის-კაუნტში, გაიხსნა ტიბეტელი ბუდისტების მონასტერი. ლამა, რომელიც ინდოეთიდან მონასტრის დასაარსებლად ჩამოვიდა, — დიდი ავტორიტეტი უოფილა კვდომის სწავლების დარგში. ლორეტა იმდენად იყო დასუსტებული, რომ ნიუ-იორკში წახვლა არ შეეძლო; მეგობრებმა, ბოლოს და ბოლოს, იგი მიიყვანეს პანდიტთან, წარმოშობით ინდოელთან, რომელიც კვდომის ტიბეტურ ხერხს ასწავლიდა.

კვირაში ორ საღამოს პანდიტი უკითხავდა ლორეტას ტექსტებს მიცვალებულთა ტიბეტური წიგნიდან, აგრეთვე საკუთარ ნაწარმოებებს სიკვდილზე, აღმოსავლური ფილოსოფიის საფუძვლებს რომ ეხებოდნენ. ეს ძალიან დაეხმარა ლორეტას. მან გაიგო, რომ სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა ერთი გაეღება გამოცდილების უსასრულო მდინარეებაში. რომელიც იწ-

ვება „დაბადებამდე“ და გრძელდება „სიკვდილის შემდეგ“. რომ დაბადება და გარდაცვალება განუწყვეტლივ ცვლიან ერთმანეთს ადამიანის ცხოვრებაში, რომ თუ კვდომის დროს გონებას ნათელსა და მშვიდ მდგომარეობაში შევინარჩუნებთ, სიკვდილის გამოცდილება შესაძლოა განმასულიერებელი და განმავითაზუფლებელიც აღმოჩნდეს, რომ მდგომარეობა და ახლობელთა წუხილი ამნელებს კვდომას, რაკი აქიანურებს სულის ამოსვლას და ხელს უშლის სულიერ გათავისუფლებას.

ლორეტამ ისიც შეიტყო, რომ სხვადასხვა მოვლენებს, სიკვდილის შემდგომ რომ ხდება, „ბარდო“ ეწოდება. ბარდოს თანმიმდევრული გამოცდილება ადამიანის სიკვდილით იწყება და ორმოცდაცხრა დღეს გრძელდება. ბარდო შედგება სამოთხისა და ჯოჯონეთისაგან, დემონებისა და ბუდებისაგან. მასწავლებელმა უამბო ლორეტას, რომ ყოველი ამ სიმბოლოთაგანი გონების მდგომარეობას წარმოადგენს. ბარდოები წარმოქმნიან გონების მდგომარეობის, ჩვევების, მიცვალებულის ცხოვრების შესახებ ხსოვნის უმეტეს ნაწილს.

მასწავლებელმა ლორეტას უამბო, რომ მას შეიძლება წარმოუდგეს უსაშინელები ჩვენებანი, მაგრამ, თუ იგი მოდუნდება და გასურავს ყოველივე იმას შორის, რაც შეიძლება გადახდეს, იგრძნობს მხოლოდ სიმშვიდესა და მოხვენებას; მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში ხდება საგრძნობი მალუცინაციითა ემოციური შემოქმედება. ტიბეტურ სწავლებაში ლორეტამ დაინახა სიკვდილში გზამკვლევი მანუგეშებელი ძაფი და მან შეძლო გაეღო საკუთარი ხიდი კვდომის ტიბეტურ ხერხსა და საკუთარ გამოცდილებას შორის, როცა ლორეტას უკანასკნელად ვესაუბრეთ, მას სიკვდილი არ უნდოდა, მაგრამ რაკი იცოდა, რომ ეს გარდუვალია, მზად იყო უშიშრად გაეგლო მასში.

ბევრისათვის ტიბეტური სწავლების მოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მიმზიდველი მომენტი ის არის, რომ სიკვდილი მასში არის გადაადგილება ცნობიერებაში, გონების ამალდება უფრო მაღალ დონეზე, აგრეთვე ის, რომ ყოველთვის, როდესაც ბუდისტი მედიტაციას მიმართავს, იგი განიცდის სიკვდილის რომელიღაც ხანებს. უკანასკნელი სიკვდილი მიმდინარეობს ფიზიკური სხეულის გარეშე.

კალიფორნიის შტატის კრესტლაინის ჰარმონიული ადამიანური ყოფიერების განვითარების ინსტიტუტს ხელმძღვანელობს აღმოსავლურ მეცნიერებას დაუფლებული ე. ჯ. პოულდი, რომელიც გაცნობიერებული სიკვდილის სწავლებაზე დასპეციალებული. დოქტორ ჯონ მილის, გონების კვლევის წამყვან სპეციალისტს, მი-

ანდა, რომ ჰოუდის ფილოსოფია — აღმო-
ხაველურ და დახველურ იდეათა ნაწავი, — უდი-
დესი მიღწევია სიკვდილისა და აღორძინების გა-
გებაში.

მიცვალებისას უველაზე ძნელი, — გვახწავ-
ლის ჰოუდის — არის ის, რომ შეძლო შეინა-
რჩუნო ცნობიერება სიკვდილი-გადახველა-აღორ-
ძინების მთელი პროცესის მანძილზე. (აღორ-
ძინებაში ჰოუდის გულისხმობს ცნობიერების
ხელახლა წარმოშობას არსებობის უფრო მაღალ
დონეზე, სხეულებრივი გარდასახვა არ არის
აუცილებელი — ეს პროცესი შეიძლება გაცი-
ლებით გვიან მოხდეს). განსაკუთრებული მომ-
ზადება იმისათვის, რომ გააზრებულად მოკვდე,
სიკვდილის გამოცდილების აღწერის უბრალო
ინტელექტუალურ გაცნობაში როდი მდგომარ-
ეობს, ამბობს ჰოუდის. იგი ვარაუდობს, რომ
სიკვდილისა და ცნობიერი აღორძინების მი-
მართ მოუმზადებლობას შეუძლია აგვიხსნას,
რატომ ხდება, რომ კლინიკური სიკვდილიდან
გამობრუნებულთა მხოლოდ თხუთმეტ პრო-
ცენტს აქვს გამოცდილება, რომლის შესახებაც
მათ მოყოლა შეუძლიათ. ამ ადამიანთა ხასი-
ათში არის რაღაც ისეთი, სიკვდილის დროს
„ფხიზლად დარჩენის“ საშუალებას რომ აძლევთ
მათ, მაშინ როცა სხვა გადარჩენილთ არაფერი
ახსოვთ.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჰოუდისმა
„გაცნობიერებული სიკვდილის მეცნიერებას“
ასობით ადამიანი აწიარა. მისი დევიზია წინას-
წარმეტყველ მუჰამედის რჩევა: „მოკვდი სი-
კვდილზე ადრე“, რამდენადაც იგი თვლის, რომ
ადამიანმა ცხოვრებაში უნდა გადაიტანოს სი-
კვდილი (ან მინი-სიკვდილი), თუ მას ხურს
აკონტროლოს ფიზიკური სამყაროდან
უკანასკნელი წასვლის თანმხლები მოვ-
ლენები. ჰოუდის მტკიცებით, მე-
დიტაციაში გარკვეული ვარჯიშებისა და თვით-
აღზუნებადი, თვითკონტროლირებადი სგგ-ის
გზით მიღწეული სიკვდილი — ესაა „უარი ტენ-
დენციაზე, ებლაუტებოდე ილუზიას“ — ილუზიას
სიკვდილის, როგორც დასახრულის, შესახებ, —
და უარი იმ მტკიცებაზე, სიყალბეზე, რომ
ცხოვრება — ეს ერთადერთი სიცოცხლეა.
„რეალური მხოლოდ სიკვდილია, — ამბობს
ჰოუდის, — როცა თქვენ გაიგებთ, რომ სი-
ცოცხლე — ეს სწრაფწარმავალი ილუზიაა, რო-
გორც არ უნდა რეალურად გამოიყურებოდეს, —
მაშასადამე, თქვენ კვდომა ისწავლეთ“. პრინ-
ციპმა „სიცოცხლე ილუზიაა“ ჰოუდის უამრავი
მიმდევარი გაუჩინა, მაგრამ მისი მეთოდის და-
უფლებს ხანგრძლივ დროს მოითხოვს, მოითხოვს
თავდადებასა და შთაგონებას. იგი ასევე გულის-
ხმობს ეგზომს ძვირფას ბევრ დასავლურ გაგე-

ბაზე უარის თქმისათვის მზად ყოფნას. სიკვდი-
ლისათვის მომზადების ბევრად უფრო დასავლურ
და, საექიმო თვალთახედვით, ბევრად უფრო
პრაქტიკულ გზას გვთავაზობს დოქტორი ჯ. უი-
ლიამ უორდენი, ჰარვარდის უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიის პროფესორი და ხელმძღვანელი
პროექტისა „ომეგა“ პროექტის კარგადაა
ცნობილი და გაუფიქრებელი უკურნე-
ბელ დაავადებათა და სიკვდილის რვა წლის
მანძილზე შესასწავლ მასაჩუსეტის საავად-
მყოფოში.

დოქტორმა უორდენმა განავითარა წარმტაცი
პროგრამა, სახელწოდებით „სიკვდილის მი-
რადი გააზრება“ (სპგ) და დაწერა ამავე სახელ-
წოდების მშვენიერი წიგნი. დოქტორ უორდენის
ტესტის საშუალებით უველას შეუძლია შეამოწ-
მოს თავისი თავი, რათა განსაზღვროს თავისი
სპგ, შედეგები კი გასაოცარი შეიძლება აღმო-
ჩნდეს. უიმედო ავადმყოფები ამტკიცებენ, რომ
ამ ტესტმა შეცვალა მათი ცხოვრების უკანას-
კნელი რამდენიმე კვირა, და თვით ჯანმრთელი
ადამიანებიც კი ამ ტესტის გავლის შემდეგ
სრულიად ახალ შესხედულებას იყალიბებენ
სიკვდილზე. დოქტორ უორდენის პროგრამა სა-
შუალებას იძლევა განსაზღვროთ, ხართ თუ არა
მომზადებული სიკვდილისათვის, ახდენს თუ
არა გავლენას თქვენს ყოველდღიურ ცხოვრე-
ბაზე ეს მზადყოფნა (ან მზად არყოფნა), თქვენი
სპგ-ის გადიდების კვალობაზე, როგორ იცი-
ლებთ არა მარტო სიკვდილის შიშს, არამედ კი-
დევაც ხედავთ თქვენს ცხოვრებას უფრო მდიდ-
რულ, კეთილშობილურ და უფრო რეალისტურ
ფერებში. აი, მცირე ამონაკრები კითხვებისა,
რომლებზედაც პაციენტებმა (ან ჯანმრთელმა ად-
ამიანებმა) უნდა უპასუხოთ სრულიად გულლიად:

- რა ასაკში მოვლით თქვენს სიკვდილს?
- როდის ისურვებდით სიკვდილს? რატომ?
- რანაირ სიკვდილს ისურვებდით? ამოირჩიეთ
და ახსენით არჩევანის მიზეზი.
- რანაირ სიკვდილს არ ისურვებდით უველაზე
მეტად? რატომ?
- დაწერეთ საკუთარი ნეკროლოგი.
- როგორ მოგიგონებთ ხალხი?
- როგორ ხსოვნას ისურვებდით?
- აღწერეთ, როგორ წარმოგიდგენიათ სიკვდი-
ლი?
- უკურნებელი ხენი რომ გქირდეთ, ისურვებ-
დით თუ არა გცოდნოდით, როდის მოკვდებით?
- რას დათმობდით სიცოცხლის განანგრძლივე-
ბისათვის? ხედს, ფეხს? თვალებს?
- ახლა დაწერეთ ანდერძი.
- ვის ისურვებდით კვდომის დროს თქვენს
გვერდით გეხილათ? რატომ?

სიკვდილზე ფიქრის დროს მე ვფიქრობ... (დაანთავრეთ ფრაზა).

კითხვები ერთმანეთს მოხდევინ. არჩევანი დი- დია: რას გრძნობთ ამჟამად სიკვდილის მიმართ? თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ ოცი სიტყვიდან ერთ-ერთი: შიში, განურჩევლობა, ბედნიერება და ა. შ. დოქტორი უორდენი ყველა პასუხს ითვლის და შედეგის მიხედვით განსაზღვრავს სპგ-ის თქვენეულ ტიპს: „მე ეს ტესტი კოლე- გებს მივეცი: — გვითხრა მან, — და აღმოჩნდა, რომ მან შეცვალა სიკვდილისადმი მათი დამო- კიდებულება“.

წანამძღვრები, დოქტორ უორდენის ტესტის საფუძველში რომ დევს, ხაკმაოდ უბრალოა. სიკვდილის ხწორად გაგება-აღქმისათვის ყველა- ზე დიდი დაბრკოლება ის არის, რომ ადამიანთა უმრავლესობა მოკლებულია უნარს თავი დააღ- წიოს ფიქრს სიკვდილის გარდუვალობის შეხა- ხებ. „გონებით, — გვეუბნება დოქტორი უორ- დენი, — ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი ხბულები უნდა დალქეს, გაიხრწნას, მაგრამ სიკვდილი იმ- დენად ღრმად კოდავს ჩვენს გრძნობებს, რომ ჩვენ ვარჩევთ ვიფიქროთ მანზე, როგორც „წას- ვლაზე“, „დიდ ძილზე“. განა ჩვენ არ ვახდენთ მიცვალებულთა გრიშირებას და არ ვმოსავთ გვამებს ისე, რომ ისინი შემაცბუნებლად ცოცხ- ლებივით გამოიყურებოდნენ?“ დოქტორ უორ- დენის ტესტს შეუძლია რამდენადნე გაანათ- ლოს მოხუცები, მძიმედ ავადმყოფები თუ უკურნებელი სენით შეპყრობილნი (იგი დაანახ- ვებს მათ უახლოეს რეალობას, რომელიც ყვე- ლა მათგანში არსებობს ქვეცნობიერების დო- ნეზე). ხოლო ამ კითხვების სრული გააზრება- გაცნობიერების შემთხვევაში მოხდება ადამიან- თა ღრმა პიროვნული ცვლილებები. ზოგიერთებ- ში იმდენად ძლიერი აღმოჩნდება ხოლმე სი- ცოცხლის სურვილი, რომ, როცა მათი წასვლის საათი ჩამოტკრავს, უარს ამბობენ ამაზე. და იმარჯვებენ კიდევ.

ერთი ყველაზე უფრო გასაოცარი მაგალი- თი იმისა, თუ როგორ იცოცხლა ადამიანმა იმაზე ბევრად უფრო მეტი, ვიდრე ექიმები უწი- ნასწარმეტყველებდნენ, გაგვაცნო ბობი რივზმა, ნიუ-იორკ-სიტის პრესვიტერიანული საავად- მყოფოს მღვდელმა. მისმა ნაცნობმა ქალმა, რომელიც კიბოთი კვდებოდა, მას უთხრა, რომ მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იცოცხლოს ახ- აღ წლამდე, ანუ კიდევ რამდენიმე თვე. ქალმა სანაძლეოც კი დადო მასთან ერთ დოლარზე რომ გაძლებდა ახალ წლამდე. მღვდელი გაახარა იმან, რომ ქალს შეუძლია რეალურად უყუროს თავის სიკვდილს, და მან მიიღო სანაძლეო, ოდ- ნონდ, არც ერთს და არც მეორეს არაფერი უთ- ქვამთ ავადმყოფის ოჯახისათვის. მღვდელი რივ-

ზი ახალ წელს ამ ქალთან და მის ოჯახის წევ- რებთან ერთად ხვდებოდა. როცა საათმა თორ- მეტი დარეკა, ყველა ამდერდა და მალლა აწე- ული ფიალებით ერთმანეთს ახალ წელს ულო- ცავდნენ, ავადმყოფმა, ოჯახის წევრთა შორის გორგოლაქებიან ეტლში მჯდომარემ, ხელისგუ- ლი მიუშვირა რივზს და ლეწეწეწე უცქაროდა, როგორ ჩაიყო მან ხელი ქიბეში და ქიბეში რეგორ ჩაუდო ხელში ქალაღლის ერთდოლარიანი. ქალ- მა გამოართვა ფული, მაგრად მოუჭირა ხელი, მერე დაიკრიფა ხელები მუხლებზე და მიიცვა- ლა. იგი ცოცხლობდა ძლიერი სულის წყალო- ბით და მისი სიცოცხლე გაგრძელდა მანამდე, სანამ მის მიერვე დათქმულ ზღვარს არ მიაღწია.

სიცოცხლის სურვილი ზოგჯერ შეიძლება ოჯახისადმი პასუხისმგებლობის გრძნობამ გა- აძლიეროს. ერთხელ, შემოდგომაზე, დოქტორი უორდენი შეხვდა უკურნებელი კიბოთი დაა- ვადებულ ახალგაზრდა ქალს, დედას, მას მერე, რაც ქალმა შეიტყო, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სწრაფად შეიძლება გაუარესდეს და, შესაძლოა, წლის ბოლომდეც კი ვერ მიატანოს, დოქტორმა უორდენმა მის სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება ამოიკითხა. თავისი პა- ტარა ბავშვების ბედზე ჩაფიქრებულმა ქალმა განაცხადა: „წყუულიმც ვიყო, თუ შობამდე მოვ- კვდე, ბავშვებს ხომ ეს ბრწყინვალე დღესას- წაული სამუდამოდ ექნებათ დაკავშირებული ჩემს სიკვდილთან“. ქალი განსაცვიფრებელი სითამამითა და ძალით იბრძოდა სიცოცხლისათ- ვის. შობამ ჩაირა, იანვარიც უკვე ილეოდა, ის რომ გარდაიცვალა.

ზემოთ მოყვანილი შემთხვევები გვიჩვენებენ, რომ სიკვდილი ხშირად სულის მდგომარეობაა და რომ მისი მოახლოება ან დაშორება ღრმა- დაა გამჭდარი ჩვენს ქვეცნობიერებაში.

7. სიკვდილო, რომლის დაშენსტრავა?!

„და შენ მოკვდები, არ დააყოვნებს, მოვა სიკვდილი ცინიკურ ღიმილთ“, — დაწერა პოეტმა შელიმ ლექსში „ღამეს“. მაგრამ ემ, მართლა რომ შეიძლებოდეს სიკვდილის მომენტის ახე ზუსტად მონიშვნა!

ჯოზეფ ბ. კენედი თვლიდა, რომ მან ცოცხ- ლად იხილა ჩრდილო კაროლინის შტატის ზაი- პოინტის საავადმყოფოს პალატაში 1974 წლის 18 ივნისს გარდაცვლილი თავისი ცამეტი წლის გოგონა, ჯოლინი. გოგონას საწოლთან მდგომა- რეს, მას ესმოდა, როგორ სუსტდებოდა თანდა-

1. შეცვლილი ციტატა ბიბლიიდან: „სადა არს ძლევა შენი, სიკვდილო?“ ოსე, 13, 14.

თანობით და ბოლოს როგორ ჩაჩუმდა მისი სუნთქვა. მას ხელთ ეპყრა მისი პატარა ხელი და გრძნობდა, როგორ უსუსტდებოდა მაჯისცემა, ხელი კი თანდათანობით უცივდებოდა, ბოლოს მან დაინახა, როგორ გაუფართოვდა გუგები და თვალები გაუშეშდა. ეს მწერა მისთვის ნაცნობი იყო, ახსოვდა შორეული დღეებიდან, როცა იგი მეთოდისტ მღვდლად მსახურობდა და ატლანტის საავადმყოფოში ზიარებას აღებინებდა მომაკვდავთ. მას მერე, რაც ჯოლინი მკვდრად იქნა აღიარებული, ჯოზეფ კენედიმ თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ მიცვალებულისაგან ამოეჭრათ და გაეყინათ ის ორგანოები, რომელთა გამოყენებაც შეიძლებოდა ტრანსპლანტაციისათვის. შემდეგ მან დატოვა საავადმყოფო და დაკრძალვის დადარიგს შეუდგა, ამასთან, მისი გოგონას გვამს კრემაციაც ელოდა.

ხაი-პოინტის საავადმყოფოს საოპერაციოში დოქტორი ჩარლზ როუ ჯოლინის თვალებისა და თირკმლების ამოხავეთად ემზადებოდა. იგი უკვე ჭრილის გაკეთებას აპირებდა ჯოლინის მარჯვენა თვალზე, რათა რქოვანა ამოეკვეთა, როდესაც მან ხელახლა დაიწყო სუნთქვა დამოუკიდებლად, თუმცა კი სუსტად.

ჯოზეფ კენედი ნათესავებისაგან სამძიმარსღებულობდა, როცა შეიტყო, რომ ჯოლინი ცოცხალია. „მინდოდა ვინმე მეცემა. მინდოდა გადამეკოცნა ექიმი, — გვიყვება ის, — იმდენად ვიყავ გრძნობებით აღვსილი, რომ ამისი გადმოცემა არ შემიძლია. მზად ვიყავი საავადმყოფოს გარშემო მერბინა“. რა გამოდის, ექიმმა, რომელმაც გადაწყვიტა ჯოლინი მოკვდაო, უბეში შეცდომა დაუშვა? მთლად ასე როდია. თვით სიკვდილის მომენტის განსაზღვრა ხელ უფრო და უფრო ძნელი ხდება.

ვინ არის თავმდები, რომ ადამიანებს მაშინ უღებენ ორგანოებს გადასანერგად, როცა ისინი ნამდვილად მკვდრები არიან? შესაძლებელია თუ არა, რომ სხეულს გარეთ მყოფი აკვირდებოდეს იმას, თუ როგორ მიანებეს თავი ექიმებმა მისი გამობრუნება-გაცოცხლების მცდელობას, როგორ აცხადებენ მას მიცვალებულად, აფარებენ ზეწარს და მიაქვთ მორგის მაცივარში? იქნებ ამ დროს ის ევედრება ექიმებს, კიდევ ერთხელ სცადონ მისთვის სიცოცხლის დაბრუნება? თვითონ ექიმები შეშფოთებულნი არიან ასეთი პერსპექტივით.

სიკვდილის ნამდვილი მომენტის განსაზღვრაში არსებული გაურკვეველობა იურიდიულ პრობლემებსაც წარმოშობს. მიუ სმითი და მისი ცოლი ლუსი საავტომობილო კატასტროფაში მოყვნენ. მიუ ადგილზე დაიღუპა. ცოლი გონდაკარგული, მიიყვანეს საავად-

ყოფოში. მათ შვილები არ ჰყავდათ და ანდერძებში ორთავეს ერთმანეთი ჰყავდათ დასახელებული. ანდერძის ძალაში შესვლისას იურისტმა მისის სმითი შემკვიდრედ ჩააწავა თუმცა იგი საავადმყოფოში ყოფნის მჭიდროდ დღეს ისე მიიცვალა, გრძნობაზე არ მოხუდა. ამრიგად, მისის სმითმა შემკვიდრებამ მძღვერ კმრის მთელი ქონება, რომელიც უმეტესწილად ნათესავების ხელში გადავიდა. მიუ სმითის მშობლებმა გააპროტესტეს ეს გადაწყვეტილება. ნათესავმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი და განაცხადა, რომ ორივენი — მიუ და ლუსი სმითები — „ერთსა და იმავე მომენტში გარდაიცვალნენ ისე, რომ დაკარგული ჰქონდათ საკუთარი ნების გამოხატვის უნარი და მათი როგორც ადამიანური არსებების, სიკვდილი დადგა ერთდროულად, საავტომობილო ავარიის შედეგად“. სასამართლომ, ემყარებოდა რა სიკვდილის 1951 წლის განსაზღვრას, დაადგინა, რომ „ადამიანი, რომელიც სუნთქავს, თუმცა ცნობიერება დაკარგულია, მაინც ცოცხალია“. ქონება ლუსი სმითის ნათესავებს დარჩათ.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ რთული არ ჩანდა საკითხი იმის შესახებ, მოკვდა თუ არა ადამიანი. საჭირო იყო მის სახესთან მშრალი, ცივი ხარკე მიგეტანა და გეცადა რეაქციისათვის, ან კიდევ უნდა მოგენახა მაჯისცემა და მოგესმინა. სიკვდილად მიჩნეული იყო გულისცემისა და ფილტვების მუშაობის შეწყვეტა. ლუსი სმითის შემთხვევამ ჩრდილო კაროლინის შტატში დეფინიციაში ჩართო თავის ტვინის აქტივობის განსაზღვრა. დაზუსტებანი დღითი დღე იზრდება. თვით აპარატურა, სიცოცხლის შესანარჩუნებლად რომ მოიშველიება, თითქმის შეუძლებელს ხდის სიკვდილის მომენტის განსაზღვრას. ხელოვნური სუნთქვის აპარატები ან გულ-ფილტვთა ხელოვნური აპარატები ხელს უწყობენ სიცოცხლის შენარჩუნებას, ენცეფალოგრაფი კი ადასტურებს რომ ადამიანს შეიძლება აღენიშნოს ტვინის ძლიერი ბიოდენები გულისა და ფილტვების გაჩერების შემდეგაც კი. მართლაც ბევრი ექიმი ამჟამად იმ აზრს იზიარებს რომ, შესაძლოა, სრულებითაც არ არსებობს ის, რაც ჩვენ „სიკვდილის მომენტს“ ვუწოდებთ“.

„არ არსებობს მაგიური მომენტი, როცა ქრება სიცოცხლე“, — ამბობს რობერტ ს. მორისონი, კორნელის უნივერსიტეტის პროფესორი, — „ამიერიდან სიკვდილი აღარ არის განცალკევებული, მკაფიოდ შემოფარგლული წუთიერი მოვლენა. ისევე როგორც ბავშვობა, ყრმობა, საშუალო ასაკი“. სიკვდილის თანდათანობითობა შესამჩნევი ხდება დღეს ისე, როგორც არახდროს, ამბობს მორისონი. „ჩვენ ვიცით, რომ სხეულის სხვადასხვა ორგანოებს

შეუძლიათ ცოცხალნი დარჩენ თვეების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც მიხმა ცენტრალურმა სისტემამ შეწყვიტა ფუნქციონირება“. ამ ფაქტს მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამედიცინო და იურიდიული, არამედ რელიგიური შედეგების თვალსაზრისითაც. თუ სიკვდილი თანდათანობითი პროცესია, მაშინ როდის ტოვებს სხეულს სული, ანუ ის, რასაც ფრანგი ფილოსოფოსი ანრი ბერგსონი უწოდებდა L'elan vital-ს, რაც განასხვავებს ადამიანს დედამიწაზე მცხოვრებ სხვა არსებობათაგან? თეოლოგებს შეუძლიათ იფიქრონ ამ საკითხზე, მაგრამ ექიმები და იურისტები დაუყოვნებლივ საჭიროებენ მასზე პასუხს.

ეს კარგად აქვს შეგნებული მაიკლ სკუედს, 1977 წელს მისი ხუთი წლის გოგონა, ლორა, უელის მძიმე სენით დაავადდა. ავადმყოფობა ისეთი სისწრაფით ვითარდებოდა, რომ, სანამ სკუედმა ბავშვი ნესოუ-კაუნტში, ლონგ-აილენდის ქუჩაზე მდებარე სამედიცინო ცენტრში ჩაიყვანა, თითქმის ერთი საათის მანძილზე ბავშვი ძლივსდა სუნთქავდა. ლორა სიკვდილის პირას იყო და მიუვანისთანავე ხელოვნური სუნთქვის აპარატში ჩართეს. ექიმები დარწმუნებული იყვნენ, რომ მისი ტვინი ძლიერადაა დაზიანებული. გავიდა კვირა და დაზიანების ზომის გამოსარკვევად გაკეთდა ენცეფალოგრამა, რომელმაც ტვინის მუშაობის სრული არარსებობა აჩვენა. ლორა სკუედი მკვდარი იყო. ან იქნებ არა? — ნიუ-იორკის შტატის კანონმდებლობით, განსაზღვრება „ტვინის სიკვდილი“ არაა მიღებული, თუმცა საავადმყოფოებში იგი ფართოდ იხმარება. მაიკლ სკუედი ამტკიცებდა, რომ სანამ მისი ქალიშვილის სხეული ცოცხალია, იგი მოითხოვს, რათა გამოყენებულ იქნას ყველა საშუალება მისთვის სიცოცხლის დასაბრუნებლად, და მან საქმე აღძრა საავადმყოფოს წინააღმდეგ, როდესაც ექიმებმა უურადღება მოაღუნეს ლორას მიმართ. ეს ამბავი დღემდე გრძელდება. მაიკლ სკუედი თვლის, რომ მის ქალიშვილში ჯერ კიდევ ბუუტავს „სიცოცხლის სითბო“. ჩემი აზრით, — ამბობს ის, — სასწაული ჯერ კიდევ შესაძლებელია. მე ყველაფერს ვიღონებ იმისათვის, რომ ლორას დაბრუნების შანსი მივცე“. ადამიანებისათვის სიცოცხლის დაბრუნების საქმეში მედიცინის წარმატებები ბევრს ალავსებს იმედებით — ზოგჯერ გამართლებულით, ზოგჯერ — არა.

1968 წ. ჰარვარდელ ექიმთა ჯგუფმა მოგვცა „ტვინის სიკვდილის“ განსაზღვრება. ფართოდ გავრცელებული განსაზღვრების თანახმად ეგ-ის (ელექტროენცეფალოგრამის) თვითჩამწერმა 24 საათის განმავლობაში უნდა უჩვენოს სწორი ხაზი, მერე, გარკვეული დროის გასვლის

შემდეგ, შემოწმების მიზნით, ერთხელ კიდევ უნდა იქნას გადაღებული ეგ და, თუ აღმოჩნდება, რომ ხაზი კვლავ სწორია, ადამიანი მკვდარია. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი იმყოფება შეუქცევადი კომას მდგომარეობაში და, თუნდაც რომ გამოყვანილ იქნას ასეთი მდგომარეობიდან, იპულებული იქნება უშეფერხებლად სხეულის თავისი მცენარეული არსებობისთვის.

ბევრმა შტატმა არ დააკანონა განსაზღვრება „ტვინის სიკვდილი“. კალიფორნიის ირვინის უნივერსიტეტის ნევროლოგს, დოქტორ არნოლდ სტარის მიერ კონსტრუირებულ ახალ ხელსაწყოს ამჟამად შეუძლია დაზუსტებანი შეიტანოს განსაზღვრებაში „ტვინის სიკვდილი“ და ზოგ შემთხვევაში კიდევაც გააუქმოს ის. სტარის ხელსაწყო ათასჯერ უფრო მგრძობიარეა ეგთან შედარებით, უჩვენებს აქტივობას ტვინის ცენტრის სიღრმეში. დოქტორმა სტარმა უკვე დაამტკიცა, რომ მან ადამიანი, რომლებიც, ეგ-ის მონაცემებით, მკვდრებად იყვნენ ჩათვლილი, სინამდვილეში ცოცხლები იყვნენ და მოხერხდა კიდევ ზოგი მათგანისათვის სიცოცხლის დაბრუნება — ტვინის დაზიანებათა გარეშე!

8. როგორ შემოქმედებს სიკვდილი სიცოცხლეზე

სივარმაგის წლებში რაბინმა ი. მ. ტუკაჩინსკიმ შექმნა იგავი, რომელიც აჯამებს ყველაფერ იმას, რაზედაც აქამდე გვექონდა მსჯელობა, და წინასწარ განკვირებს პრობლემებს, რაზედაც ამ წიგნში კიდევ გვექნება ლაპარაკი.

წარმოიდგინეთ ტყუპები, მშვიდად რომ იზრდებიან დედის თბილ წიაღში. მათი ცხოვრება უშფოთველად მიმდინარეობს. მთელი ხამყარო მათთვის — ხაშვილოსნოს შიგნეულობაა. შეიძლება კიდევ წარმოვიდგინოთ ამაზე მეტი, ამაზე უკეთესი და მოხერხებული რამ?

ისინი შეიგრძნობენ მოძრაობას და იწყებენ მსჯელობას: ჩვენ სულ უფრო და უფრო ქვემოთ ვეშვებით. ასე თუ გაგრძელდა, ადრე თუ გვიან მოგვიწევს უოველიყვე ამის დატოვება. რა იქნება მაშინ?

ერთი ჩვილთაგანი მორწმუნეა, იმ რელიგიური ტრადიციის მიმდევარი, რომელიც უქადაგებს მას, რომ დედის წიაღში თბილი და გრილი არსებობის შემდეგ დაიწყება „ახალი ცხოვრება“. უცნაური რწმენაა, ერთი შეხედვით—ხაფუძველს მოკლებული, მაგრამ მაინც ერთი იმათგანი, რომელზედაც უარს არ ამბობენ, იგი ანუგეშებს. მეორე ჩვილი დასრულებული სეპატკოსია. არავითარი შეგონება მასზე არ კრის, იმას, რაც არ არის გამოცდილებაში, არც წარქოსახვაში აქვს ადგილი.

მორწმუნე ძმა ეუბნება: „აქ „სიკვდილის“ შემდეგ ჩვენ აღმოვჩნდებით ახალ წარმოუდგენელი სილამაზის უზარმაზარ სამყაროში, სადაც არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებები მოგველის. ჩვენ ვჭამთ პირით! ჩვენ შეგვეძლება დავინახოთ ის, რაც შორსაა, ყურების საშუალებით, თავის აქეთ-იქით რომ გვაქვს განლაგებული, შეგვეძლება გავიგონოთ მუსიკა და სხვა ხმები“.

სკეპტიკოსი პასუხობს: „სისულელეა. შენ ვინდა იპოვო რაღაც ისეთი, რაც ჩაახშობდა შენში სიკვდილის შიშს. მხოლოდ ეს ქვეყანა არსებობს. სხვა ქვეყანა, სადაც ჩვენ შეიძლება აღმოვჩენილიყავით, არ არსებობს. ჩვენი სამყარო დაინგრევა, ჩვენ კი დავიწყებას მივცემით. შესაძლოა, ეს მანუგეშებელი აზრი არ იყოს, მაგრამ იგი ხავსებით ლოგიკურია“.

უეცრად საშვილოსნოს წყლები დუღდებიან. საშვილოსნო ირყევა. ფართოდ განიხმება ჭოჭოხეთის კარი. ირგვლივ მხოლოდ დარტყმები და ტკივილებია. საშინელი კრუნჩხვები. ტრიალი. ბიძგები ერთიმეორეს მოსდევენ. მორწმუნე ძმა თავპირის მტვრევით მიიჩქარის ახალი გამოცდილებისაკენ და ბნელ გვირაბში ინთქმება. მუსკლიდან თავდაღწეული, იგი უკვე გარეთაა. იგი არსებობს. მეორე ძმა ყურისწამლებად ჭყვივის და ცდილობს ადგილზე დარჩეს. იგი შეძრწუნებულია იმით, რაც ხდება. იგი მწუხარებს და დასტურის ტრაგედიას. უეცრად სიბნელიდან სულის გამყინავი კივილი ჩაესმის, შემდეგ — უამრავი შეძახილი, ბოლოს კი სიჩუმე ისადგურებს. „აი, საზარელი დასასრული! — წამოიძახებს ის. — ყველაფერი ისეა, როგორც ვვარაუდობდი“.

„სკეპტიკოსის მიერ დატირებული „მომკვდარი“ ძმა, — წერს რაბინი ტუკაჩინსკი, — ახალ სამყაროში დაიბადა. კივილი — ეს ჯანმრთელობისა და ძლიერების ნიშანია, ხმაური კი — ეს მხიარული შეძახილებია ოჯახისა, რომელიც ჯანმრთელი ჩვილის დაბადებას მიესალმება“.

ადამიანი სამყაროს ევლინება სიბნელიდან „ჭერ არ“ და მიემართება სიბნელისაკენ „მეტად აღარ“. თუმცა ძნელია „ჭერ არას“ წარმოადგინა, მაგრამ ბევრად უფრო ძნელია წარმოადგინო „მეტად აღარ“. სიკვდილზე აზრი უფრო მეტად, ვიდრე დაბადება, ღრმა შემოქმედებას ახდენს ჩვენს ცხოვრებაზე. ადამიანები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს, ამჩნევენ, რომ ამ გამოცდილებამ უზომოდ შეცვალა მათი ცხოვრება. მართლაც, როგორც უნდა იყოს სიკვდილთან შეხება, სიკვდილთან ნებისმიერი სახის შეხვედრას შეუძლია გამოიწვიოს იგივე შედეგი. ასეთია სიკვდილის მაგია.

მეცნიერები ერთხმად იზიარებენ იმ აზრს,

რომ, თუ ჩვენს ლექსიკაში არ იარსებებდა სიტყვა „სიკვდილი“, არ დაიწერებოდა არც დიდი წიგნები, არ აიგებოდა პირამიდები და მონასტრები, არ შეიქმნებოდა ხელოვნების შესანიშნავი ნიმუშები — რამდენადაც ნებასმერი ხელოვნება რელიგიაში ან მაგიაშია ფესვადგმული, სიკვდილის განუშორებელი მწუხარება სიცოცხლეს მნიშვნელოვნად უმცირესებს ანიჭებს. „სიკვდილი — ჩვენი სურვილების, მისწრაფებებისა და მიღწევების წყაროა“, — აღიარა ერთმა ფსიქოლოგმა. ფროიდისა და იუნგის აზრით, დღისით თუ ღამით, გვიძინავს თუ გვღვიძავს, არ არის წუთი, როცა ჩვენი ქვეცნობიერება თავისუფალი იქნებოდა სიკვდილზე აზრისაგან. ხშირად ეს აზრები შედაპირზე ამოიჭრებიან ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მთელი ძალით ვებრძვით მათ. ალან უოტსი ამბობს: „არაფერია იმაზე უფრო მიმზიდველი, ვიდრე სიკვდილზე ფიქრი. რაკი ადამიანმა იცის, რომ მოკვდება, ამიტომ მან შექმნა ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია და რელიგია. არაფერია ისეთი, რაც ისე გიბიძგებს სააზროვნოდ, როგორც აზრი იმის შესახებ, რომ აზრებსაც მოელის დასასრული“.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ ბავშვები სიკვდილს დაახლოებით ნ წლის ასაკიდან აცნობიერებენ. ესაა ასაკი, როდესაც ბავშვი იწყებს საკუთარი თავის ნათლად გამოყოფას გარემოსცველი სამყაროსაგან და სხვა ადამიანებისაგან; მისი ეგო განვითარების ისეთ დონეს აღწევს, რომ იგი ხედავს საკუთარი თავის განცალკევებულად არსებობას და, როგორც კი ეგო დაიმკვიდრებს თავს, იგი მაშინვე იწყებს საკუთარი დასასრულის შესაძლებლობის ხედვას. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იზრდება, ბავშვი შეიძლება სიკვდილს მიიჩნევდეს შემაშინებელ, დამაბოლოებელ, გამანადგურებელ გამოცდილებად ან კიდევ, უფრო რელიგიური მიდგომის შემთხვევაში, — პიროვნების უზენაეს გაგრძელებად.

ხუთ წლამდე ასაკში ბავშვებს ჩვეულებად აქვთ ელაპარაკონ მიცვალებულ ნათესაეებს (ან ოჯახში არმყოფ ოჯახის წევრებს) ისე, თითქოს ისინი მათ გვერდით იმყოფებოდნენ. ენდრუ გრილიმ, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ხაზოგადობრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის დირექტორმა, გაარკვია, რომ გამოკითხულ მოზარდთა 81% მათივე განცხადების თანახმად, სულ ცოტა, ერთხელ მაინც იმყოფებოდა მიცვალებულებთან კონტაქტში. „მოზარდთა შორის ასეთი მაღალი პროცენტი, — შენიშნავს გრილი, — ძნელი ასახსნელია“. სამწუხაროდ, მიცვალებულებთან კონტაქტის თვალსაზრისით, არავის ჩაუტარებია გამოკვლევები პატარა ბავშვებში. ამაზე ბევრს

პევებიან ბავშვები, მაგრამ მკაცრ გამოკვლევას შეეძლო ეჩვენებინა, რომ ბევრი მათგანი არ ფანტაზიორობს, როცა ამტკიცებს, რომ ელაპარაკნენ მიცვალებულ ნათესავებს. არა აქვთ რა გაცნობიერებული ე. წ. შუალედი სიცოცხლესა და სიკვდილს შორის, მათ შეუძლიათ იოლად გადალახონ ავი. ბავშვები ხედავენ საგანთა შორის კავშირებს, სრულებით რომ არ ჰგვანან თანანდროვე დოქტორთა მიერ აღნიშნულ „ურთიერთკავშირებს“. ჩინელი, უნგრელი, შვედი, შვეიცარიელი თუ ამერიკელი ბავშვების შესწავლამ აჩვენა, რომ ექვსი წლის ასაკამდე ბავშვები ცხოვრებას უყურებენ, როგორც ყოველივე არსებულის უწყვეტელობას. ფსიქიატრები ამას სერიოზულად არ ეკიდებიან. განვიხილოთ ეს აზრი როგორც ხულეულური, „ბავშვური“, თუ ვაღიაროთ, რომ მასში უდიდესი სიმართლეა ჩადებული?

სიკვდილის გამოკვლევები გვებმარებიან უკეთ გავიგოთ სიცოცხლე, ცხოვრება. „დოქტორმა ლიზლ მარბურგ გუდმანმა, ჰერსი-სიტის სტეიტ კოლეჯის ფსიქოლოგმა ნიუ-ჯერსში, 638 ინტერვიუ აიღო ადამიანებისაგან, რომლებიც შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევიან, და აღმოაჩინა, რომ შემოქმედება და სიკვდილის შიში ერთმანეთთან ბევრად უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული, ვიდრე მეცნიერებს ეგონათ. უფრო ნიჭიერ შემოქმედთ შექმლოთ უფრო გულდიად და თავისუფლად ელაპარაკათ თავიანთ სიკვდილზე და, ამასთან, არ ეგრძნოთ რაიმე განსაკუთრებული შეშფოთება. მაგრამ შემდგომი კვლევისას დოქტორმა გუდმანმა უამრავი წინააღმდეგობა აღმოაჩინა. ამის მშვენიერ მაგალითად გამოდგება ახალგაზრდა ფიზიკოსთან დაკავშირებული შემთხვევა.

მოწინავე მოაზროვნე კ. მ., რომელიც თავის დარგში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ამტკიცებდა, რომ „მრავალი წლის წინათ შეურიგდა აზრს გარდაცვალების შესახებ და მას მერე ამაზე აღარასოდეს უფიქრია“. როგორც მან განაცხადა, სიკვდილზე ფიქრი არ თრგუნავს მას, ისევე როგორც ამ თემაზე ლაპარაკი; და, ცხადია, სიკვდილზე ფიქრები არ იქცევიან მისი მოქმედებების ბიძგისმიმცემ მიზეზად და არ ახდენენ მასზე ზეგავლენას თვით ქვეცნობიერ დონეზეც კი. ამ მომენტში დოქტორმა გადაწყვიტა უფრო შორს წასულიყო და დაუსვა კითხვა: „თუ ეს ასე შეგნებული გაქვთ, როდის ირჩევდით სიკვდილს — დღით, დღისით, საღამოს თუ ღამით?“

„ამას არა აქვს მნიშვნელობა“, — დაუყოვნებლივ მიუგო კ. მ.-მ.

„წელიწადის რომელ დროს აირჩევდით სიკვ-

დილისათვის: გაზაფხულს, ზაფხულს, შემოდგომას თუ ზამთარს?“

„სულ ერთია“.

ცოტა არ იყო, განაწყენებული, კ. მ. დაინტერესებდა, რისთვის იყო გამიზნული ეს უაზრო შეკითხვები. როცა დოქტორმა გუდმანმა ჰკითხა, მიაჩნია თუ არა კ. მ.-ს სიკვდილზე მნიშვნელოვან მოვლენად თავის ცხოვრებაში სიკვდილი? უგო: „კი, შესაძლოა, — ყველაზე უფრო მნიშვნელოვანად“. იგი დაეთანხმა იმას, რომ თავისი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებისათვის ურჩევნია გარკვეული დრო და ადგილი, მაგრამ სიკვდილთან დაკავშირებით ამაზე არასოდეს უფიქრია. შემდგომი გამოკითხვები ნაკლებად სასიამოვნო იყო მისთვის და კითხვაზე, ისურვებდა თუ არა მთელი სისრულით სცოდნოდა თავისი სიკვდილის გარემოებანი, მან უპასუხა: „არ მინდა!“

კ. მ.-ს განწყობილება ძირფესვიანად შეიცვალა, — ამბობს დოქტორი გუდმანი, — იგი გულჩაბვეული გახდა, მისი თავდაპირველი ენთუზიაზმი სავსებით გაქრა და ის გამოტყდა, რომ განიცდის დათრგუნვილობის გრძნობას“. ბოლოს და ბოლოს, მან შეიგრძნო, რომ მისი თავდაპირველი მტკიცება, — რომ იგი შეგუებულია სიკვდილთან და მასზე მეტად აღარ ფიქრობს, — მთლად სწორი არ იყო; მან შეიგნო, რომ სინამდვილეში იგი არასოდეს შეგუებულია სიკვდილზე ფიქრს და წლობით იყო დათრგუნული მასზე ფიქრით. სიკვდილი ზშირად ესიზმრებოდა და ახლა მისვდა, რომ ქვეცნობიერ დონეზე იგი გამუდმებით ფიქრობდა მასზე. იგი გამოტყდა; რომ ყოველთვის მწვავედ განიცდიდა, როგორ სწრაფად გარბოდა დრო, მაგრამ აქამდე ამას არასოდეს უკავშირებდა პირდაპირ დათრგუნველ ფიქრებს საკუთარ სიკვდილზე“.

დოქტორი გუდმანი თამამად განაგრძობს ამ თემას: „მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი ის, რაც ჩვენ უმდაბლესი ცხოველებისაგან გვასხვავებს, — სიკვდილის გამოწვევაზე ჩვენი პასუხის უშუალო შედეგია. თვით არსი ადამიანისა საკუთარი სიკვდილის ცოდნაზეა დაფუძნებული“.

სიკვდილი არა მარტო ბიძგისმიმცემი მიზეზია შემოქმედებისათვის, სიკვდილის თემას ცენტრალური ადგილი უჭირავს მხატვრული შემოქმედების ყველა ფორმაში: დრამაში, ცეკვებში, მუსიკაში, ხანვით ხელოვნებაში. მართლაც ხელოვნების ისტორიის ყურადღებით განხილვისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ხელოვანის შემოქმედება თავის მწვერვალს საკუთარი სიკვდილისადმი მკვეთრი წინააღმდეგობის პერიოდებში აღწევს. „ეს კანონზოქიერება, — ამბობს

დოქტორი გუდმანი, — მოქმედებს იმ პერიოდებში, როცა სიკვდილის უარყოფა იქცევა უმთავრეს თავდაცვით მექანიზმად. თვით შუა საუკუნეებშიც კი არ ეწინააღმდეგება ამ პრინციპს, როცა შემოქმედებითი მისწრაფებანი ასე შორს არ მიდიოდა, რამდენადაც სიკვდილი იმდენად ძლევამოსილი რამ გახლდათ, რომ ადამიანებს არ გააჩნდათ მასზე ფიქრისათვის წინააღმდეგობის გაწევის ძალა. რაც უფრო მეტია სიკვდილიანობა, მით უფრო მეტია მოთხოვნილება მისდამი წინააღმდეგობისა“. მარტო დოქტორი გუდმანი როდი იზიარებს იმ რწმენას, რომ, თუ ჩვენ ვაიძულებთ ჩვენს თავს, გავიცნობიეროთ საკუთარი სიკვდილის გარდუვალობა, ამან შეიძლება შეგვაძლებინოს ხორცი შევასხათ ჩვენს გამოუშვლავნებელ შესაძლებლობებს და უფრო ფახეული გავხადოთ ჩვენი დარჩენილი სიცოცხლის ყოველი მომენტი.

ადამიანები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს, ბუნებრივია, უფრო ღრმად იცნობიერებენ საკუთარ სიკვდილს. გადატანილმა სიკვდილმა დიდი ზეგავლენა იქონია მათ ცხოვრებაზე და რა გასაკვირია, თუ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იმათზე დატოვა, ვინც დარწმუნებულია, რომ სხეულს გარეთ ყოფნისას თავის შემოქმედს შეხვდა. ამ მონათხრობთა ნაწილი აღხავეს ღრმა რელიგიური გრძობით. ჩვენ სამ მათგანს განვიხილავთ.

1970 წლის თებერვალში კალიფორნიელმა დიასახლისმა ქეთრინ ჰეიუარდმა ექიმებისაგან შეიტყო, რომ მოჭკინის ავადმყოფობა შეჰყრია, რომელიც, როგორც წესი, ლიმფური ჯირკვლებისა და ნაღველას გადიდებისა და ანთების შედეგად, სიკვდილს იწვევს. ხანმოკლე რემისიის შემდეგ ავადმყოფობა განახლდა 1974 წლის მარტში. ქეთრინი გრძობდა, რომ უსათუოდ მოკვდებოდა: „ვიცოდი, რომ ეს მხოლოდ დროის საქმე იყო. ბავშვები მამასთან გავაგზავნე ერთხანს იქ საცხოვრებლად. 1974 წლის 30 ივნისის საღამოს ათი საათი იყო. მე ენის, ჩემი უახლოესი მეგობრის ნომერი ავკრიფე“.

ენი მოვიდა და ქეთრინი ერთხანს უშიშრად ლაპარაკობდა მოახლოებულ სიკვდილზე. ენიმ შეამჩნია, რომ მისი მეგობარი ძალას კარგავს, და დაჟინებით მოითხოვდა მისგან დაწოლილიყო საავადმყოფოში. ქეთრინი განაგრძობს:

„უკანასკნელი, რაც მე მახსოვს მას მერე, სახლიდან რომ გამოვედით. არის ის, თუ როგორ შევდიოდით საავადმყოფოს გადაუღებელი დახმარების განყოფილების კარებში. გონზე რეანიმაციაში მოვედი. ჩემ გვერდით ენი იყო. მე ელექტროგამტარებსა და მილებში ვიყავი გახლართული. საშინლად შევშინდი. მერე ზარის

ხმა გავიგონე და დავინახე, თუ როგორ მოიქცა როდა ჩემი საწოლისაკენ შედდა“.

ქეთრინს გულისცემა გაუჩერდა, მან განიცადა ხვტ. ზოგიერთმა პაციენტმა არ იცის ზუსტად, ვისი ხმა ჩაესმის. ქეთრინმა იცოდა:

„მე დავინახე ის — ვიცოდი, რომ ეს ღმერთი იყო. მე მივუახლოვდი მას და, როგორც იქნა, თავი სრულ უსაფრთხოებაში ვიგრძენი. მე გავიგონე მისი სიტყვები: „შენ უნდა დაბრუნდე“, — თუმცა კი მისი ბავშვები არ მოძრაობდნენ. მისი მარჯვენა ხელი მაერში ირხეოდა, როგორც ტოტი ქარისაგან შერხეული. მისი მარცხენა ხელი მე მეხებოდა. სიტყვები მკაცრად ეღერდნენ.“

ამას რომ ვიგონებ, მეცინება ხოლმე იმაზე. თუ როგორ ვუპასუხე. ისე ვიქცეოდი, როგორც გამწყრალი ბავშვი: „მე არ მსურს დაბრუნება. მე აქ, შენთან დარჩენა მინდა“. მან მომიგო: „შენი სული ყოველთვის ჩემკენ იყო მოპყრობილი. ახლა შენ უნდა ისწავლო ბავშვად ყოფნა. ეს შენ ჭერ კიდევ არ გამოგიცდია. დროა მიიღო ის, რისი ღირსიც ხარ. მე გეუბნები შენ: ეს ბედნიერი ცხოვრება იქნება. — შენ იცი სიყვარული და მე შენ არ მიგატოვებ, იმიტომ, რომ შენ მე მეკუთვნი“.

ქეთრინი მტანჯველმა ტკივილმა გამოარკვია: ეს უანგზადით საკვებად ფილტვებში შეყვანილი მილები სტანჯავდა. ორი დღის შემდეგ პალატაში გადაიყვანეს, მაგრამ მეტისმეტად დათრგუნული და გაბრაზებული იყო საიმისოდ, რომ რამე ეჭამა ან ვინმესთან ელაპარაკა. მეორე დღეს, საღამოს, იგი რენიმაციულ განყოფილებაში დააბრუნეს.

„მე კვლავ აღმოვჩნდი სხეულს გარეთ. ის კვლავ აქ იყო. თვალეში რომ შევხედე, შევცბუნდი, ზუსტად არ ვიცი კი, რატომ. ყოველ შემთხვევაში, მე მივალწიე იმას, რაც მინდოდა: ვყოფილიყავი მის გვერდით. მან ნაღველიანად შემომხედა და მითხრა: „ჩემმა თანამშობამ შენდამი კვლავ ჩემთან მოგიყვანა. ვიცი, რომ ჩემ გვერდით ვინდა ყოფნა. თუ ისე მოიქცევი როგორც მე გთხოვ, შენ შემდგომში კვლავ მობნავალ ჩემთან და მე შენ არ მიგატოვებ“. მე თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე. მან გაიღიმა, შებრუნდა და წავიდა, ამის შემდეგ კვლავ დავიწყო ხუნთქვა, თავისუფლად ვსუნთქავდი, ტკივილები არ მქონდა. მე ვიცოდი, რომ ეს ახალი ცხოვრების დახაწყისი იყო. ძალღონე მიბრუნდებოდა“.

მალე ქეთრინი საავადმყოფოდან გამოვიდა და ამჟამად ესაა ჩანმრთელი, ენერგიით სავსე ქალი, რომელიც გადატანილის წყალობით კიდევ უფრო რელიგიური და მოყვასისადმი თანამგრძნობელი გახდა. მისი დაავადების ყველა სიმპ-

ტომი საიდუმლო ვითარებაში გაქრა და იგი მთელი არსებით ჩაება მომაცვდავ პაციენტებთან მუშაობაში. ექიმმა, რომელიც მას მკურნალობდა, განაცხადა: „მე ბევრი მიმუშავია ადამიანებთან, რათა დავხმარებოდი მათ სიკვდილის მიღებაში; მაგრამ პირველად მომიხდა დავხმარებოდი პაციენტს სიცოცხლის მიღებაში“.

ბევრ მეცნიერს აბნევს რელიგიური მომენტები სიკვდილთან შეხვედრაში. ზოგიერთები საერთოდ უარყოფენ მათ. სურთ მოიხმინონ მოთხოვნები გვირაბებზე, სინათლეზე, მუსიკაზე და სხვა ახეთებზე — უწყინარ, სიმბოლურ რამეებზე. მაგრამ უკმაყოფილონი არიან ან უურადღებებს არ აქცევენ მოწმობებს იმის შესახებ, რომ ადამიანმა იხილა ღმერთი ან ესაუბრა მას. ჩვენ ვესაუბრეთ ერთ-ერთ მკვლევარს სიკვდილთან მისი პაციენტის შეხვედრაზე. მან თქვა: „მისი მონაყოლი ბევრად უფრო მეტ ნდობას დაიმსახურებდა, ეს რაღაც გაუგებარი ლაპარაკი რომ არა ღმერთის და რელიგიის შესახებ“. მეორე მეცნიერმა განაცხადა: „მე მწამს სიკვდილის გამოცდილება მანამ, სანამ იქ არ გაჩნდება რელიგია“. ასეთი დამოკიდებულება მეტიმეტად კარგადაა ცნობილი. მაგრამ რელიგიური ასპექტები უუურადღებოდ არ უნდა იქნეს დატოვებული, ეს სასიცოცხლოდ და იქნებ უფრო მეტადაც კი მნიშვნელოვანი ნაწილია სიკვდილთან შეხვედრისა.

ჩვენ ვესაუბრეთ ექიმ-ფსიქიატრს, რომელსაც სიკვდილთან შეხვედრა პქონდა და იხილა თავისი შემოქმედი, და ის დარწმუნებულია, რომ ეღირსა იმკვეყნიური სამყაროს ხილვა. დოქტორი ჯორჯ რიტჩი ამჟამად ორმოცდაათი წლისაა, იგი ფსიქიატრად მუშაობს შარლოტსვილში, ვირჯინიაში. მისი მონაყოლი შთამბეჭდავია. ეს მოხდა 1943 წელს და მან მალე დაწვრილებით ჩაიწერა ყველაფერი, დაახლოებით სამი კვირით ადრე მანამდე, სანამ ტანატოლოგები ასეთ შემთხვევათა შეკრებას დაიწყებდნენ. მაგრამ დოქტორ რიტჩის მონაყოლი შეიცავს კლინიკური სიკვდილის გამოცდილების ყველა ელემენტს, რაც კი სხვადასხვა მეცნიერებს ჩაუწერიათ და სწორედ დოქტორ რიტჩის გამოცდილებამ უბიძგა რიჩმონდ მუდის დაეწყო კვლევა. დოქტორ რიტჩის კლინიკური სიკვდილი დადასტურებულია სამხედრო ჰოსპიტლის არქივებში; მისი გამოცდილება ღრმად რელიგიურ შეფერილობას ატარებს, რამაც შეგავლენა მოახდინა მისსა და იმ ადამიანთა ცხოვრებაზე, ვისაც ის ლექციებს უკითხავდა.

1943 წლის დეკემბრის დასაწყისში ტენასის ემპ-ბარკლის სამხედრო ჰოსპიტალში ჯორჯ რიტჩი უკვე იკურნებოდა ფილტვების სერიოზული დაავადებისაგან. მას ერთი სული პქონდა,

როდის გამოვიდოდა ჰოსპიტლიდან, რათა საშუალება მიეცემოდა სამხედრო-სამედიცინო სტაჟიორის რანგში დასწრებოდა ლექციებს ვირჯინიაში, რიჩმონდში სამედიცინო ფაკულტეტზე. 20 დეკემბერს ადრე დილით მას უცებ აუვარდა ტემპერატურა, დაეწყო ბოდვები და ცნობიერება დაკარგა.

„თვალი რომ გავახილე, დავინახე, რომ ვწევარ ოთახში, სადაც ადრე არასოდეს ვყოფილვარ. ნათურა სუსტად ბუუტავდა. ერთხანს ვიწექი, თან ვცდილობდი — გამეგო, სად ვიმყოფებოდი. უეცრად წამოვხტი. მატარებელი მე დავაგვიანე რიჩმონდის მატარებელზე! საწოლიდან წამოვვარდი და თვალის ცეცებით ტანსაცმელს დავუწყე ძებნა. საწოლის თავზე არაფერი იყო. შევჩერდი, ირგვლივ მიმოვიხედე. საწოლზე, რომლიდანაც ეს-ესაა წამოვდექი, ვიდაცა იწვა. მქრქალ შუქზე საწოლს მივუახლოვდი. ეს იყო მიცვალებული. ჩამოვდებულნიკაპი, შემადრწუნებლად ნაცრისფერი კანი, და აქ უეცრად ბეჭედი შევნიშნე. ფი-გამადელტას ბეჭედი, რომელსაც ორი წელია ვატარებდი“.

შეშინებული, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ მიმხვდარა, რომ საწოლზე მდებარე სხეული თვითონ მას ეკუთვნოდა, რიტჩი დერეფანში გამოვარდა სანიტარის დასაძახებლად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი ხმა არავის ესმოდა. „სანიტარმა არავითარი უურადღება არ მომაქცია. წამის შემდეგ კი ზუსტად იქ გაიარა, სადაც მე ვიდექი, თითქოს არც ვარსებობდი“. რიტჩი დაბურულ კარებში გავიდა, — „როგორც მოჩვენება“ — და აღმოაჩინა, რომ, სამედიცინო ფაკულტეტზე მოხვედრის სურვილით შეპყრობილი, რიჩმონდისაკენ მიფრინავს.

„უეცრად ჩემთვის ნათელი გახდა: რაღაც გაუგებარი მიზეზით ჩემმა სხეულმა სიმკვრივე დაკარგა. ასევე გასაგები გახდა ჩემთვის, რომ საწოლზე მდებარე სხეული, ჩემგან მიუწვდომლად დაშორებული, მე მეკუთვნის, და რომ მე ვალდებული ვარ, რაც შეიძლება სწრაფად დავბრუნდე უკან და შევუერთდე მას. ბაზისა და ჰოსპიტლის მონახვა ძნელი არ იყო. მეჩვენება, რომ ზუსტად იმ მომენტში დავბრუნდი, როგორც კი ეს გავიფიქრე“.

ნაცნობი ბეჭდის ძიებაში ოთახიდან ოთახში სირბილით, მძინარე ქარისკაცთა თვალიერებით, რიტჩი საკუთარ სხეულს ეძებდა.

„ბოლოს მივაღწიე ერთ მბუუტავი ნათურით განათებულ ოთახს. ზურგზე მწოლიარე სხეული თავიან-ფხიანად ზეწრით იყო დაფარული. მაგრამ ხელები გარეთ პქონდა დარჩენილი. მარცხენაზე ბეჭედი ეკეთა. მე შევეცადე ზეწარი გადამეგდო, მაგრამ ხელის ჩავლება ვერ შევძე-

ლი. ერთბაშად გავიფიქრე: „ეს სიკვდილია“. სწორედ მაშინ შეიგრძნო რიტჩიმ საბოლოოდ, რომ ის მკვდარია. ამან შეაძრწუნა — სურვილი სამედიცინო ფაკულტეტზე მოწყობისა და იმსხვრა. ერთბაშად მისი ყურადღება რაღაცამ მიიპყრო.

„ოთახი თანდათანობით ივსებოდა სინათლით. მე ვამბობ „სინათლით“, მაგრამ ჩემს ლექსიკაში არ არსებობს სიტყვები, ეს უმშვენიერესი ნათება რომ აღვწერო. მე უნდა შევეცადო მოვძებნო ეს სიტყვები, მაგრამ, რამდენადაც ეს იყო იგავმიუწვდომელი მოვლენა, ისევე, როგორც მთელი ეს შემთხვევა, მე მას შემდეგ მისი უსველელი ზეგავლენის ქვეშ ვიმყოფები.

სინათლე, რომელიც ოთახში გაჩნდა, ქრისტე იყო: მე მივხვდი ამას იმიტომ, რომ გამიჩნდა აზრი: „შენ ღვთაების შეილის წინაშე იმყოფები“. მე მას სინათლე ვუწოდებ იმიტომ, რომ ოთახი აღვსილი, გამსჭვალული და გასხივონებული იყო უხრულები თანაგრძნობით, როგორც კი ოდესმე შემიგრძენია. ისეთი მშვიდი და ისეთი სიხარულით აღვსილი ვიყავი, რომ მინდოდა სამუდამოდ დავრჩენილიყავი მასთან და მეცქირა მისთვის“.

რიტჩის მთელმა ბავშვობამ მის წინაშე გაიარა და ჰკითხა მას სინათლემ: „რა გაგიკეთებია შენი ქვეყნად მოვლინების შემდეგ?“ რიტჩის ენა ებმოდა და ბორძიკ-ბორძიკით ცდილობდა აეხსნა მისთვის, რომ მეტისმეტად ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რათა რაიმე მნიშვნელოვანი გაეკეთებინა, და სინათლე რბილად შეეკამათა: „მეტისმეტად ახალგაზრდად ყოფნა არ შეიძლება“. და აქ რიტჩის დანაშაულის გრძნობა თანდათან გაუქრა, დაჩრდილა რა იგი ახალმოვლენილმა ხილვამ, იმდენად არაჩვეულებრივმა, რომ მისი აღწერის წაკითხვისას არ უნდა დაგვავიწყდეს — ამას ლაპარაკობს ჰეკიანი, გამოცდილი ფსიქიატრი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება ილუზიისა და რეალობის განსხვავების ანალიზით იყო დაკავებული.

„სინათლის ახალი ტალღა დაიდვარა ოთახში და ჩვენ უცრად სხვა სამყაროში აღმოვჩნდით. ან, უფრო სწორად, მე შევიგრძენი სრულიად სხვა სამყარო, ამავე სივრცეში არსებული. მე მივყვებოდი ქრისტეს ჩვეულებრივ სოფელურ ქუჩებში, სადაც უამრავი ხალხი ირეოდა. აქ იყვნენ ყველაზე უფრო მწუხარე ხახის ადამიანები, როგორებიც კი ოდესმე მინახავს. ვხედავდი ჩინოვნიკებს, ამაოდ რომ ცდილობდნენ ვისიმე ყურადღების მიპყრობას იმ დაწესებულებათა დერეფნებში სიარულით, სადაც ისინი ადრე მუშაობდნენ. ვხედავდი, როგორ მიჰყვებოდა დედა თავისი ექვსი წლის ბიჭუნას, რო-

შელსაც ჰკუას არიგებდა და რაღაცას აფრთხილებდა. მას კი, მგონი, არაფერი ესმოდა.

უცრად გამახსენდა, რომ მთელი ღამე რიტჩიმონდისაკენ მივისწრაფოდი. იქნებ ეს სწორედ ის იყო, რაც ამ ადამიანებს სჭირდათ? იქნებ მათი გონება და გული მიწიერი პრობლემებითაა სავსე და ახლა, დატოვებ რა მიწიერი სამყარო, ველარაფრით დაუღწევიათ მათგან თავი? ვფიქრობდი, ეს ნომ არ არის-მეთქი ჯოჯობეთი? შფოთავდე, როცა სავსებით უძლეური ხარ, — ეს მართლაც შეიძლება ჯოჯობეთი იყოს.

მე უფლება მომეცა იმ ღამით კიდევ ორ სამყაროში შემეხედა. — არ შემიძლია ვთქვა „სულიერ სამყაროებში“, იმდენად რეალური და მეტისმეტად მყარნი იყვნენ ისინი. მეორე სამყარო, როგორც პირველი, იმავე სივრცეში თავსდებოდა, მაგრამ სავსებით სხვაგვარი იყო. მასში ყველა შთანთქმული იყო არა მიწიერი პრობლემებით, არამედ — არ შემიძლია უკეთესი სიტყვის შერჩევა — ჰეშმარიტებით.

მე ვხედავდი მოქანდაკეებსა და ფილოსოფოსებს, კომპოზიტორებსა და გამომგონებლებს. იქ იყო ბიბლიოთეკები და ლაბორატორიები, მეცნიერული აზრის უმრავალფეროვნეს მიღწევებს რომ ინახავდნენ.

ბოლო სამყაროს მხოლოდ გაკვრით შევავლეთ თავალი. მე დავინახე ქალაქი, ოღონდ, თუკი მსგავსი რამის წარმოდგენა შეხატლებელია, — სინათლისაგან შექმნილი ქალაქი. იმ დროისათვის მე წაკითხული არ მქონდა არც წიგნი გამოცხადებისა, არც პუბლიკაციები სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის შესახებ. სახლები, კედლები, ქალაქის ქუჩები თითქოსდა სინათლეს ასხივებდნენ, იქ მოსიარულე არხებანი კი ისევე შკაფიოდ ანათებდნენ, როგორც ის, ვინც ჩემ გვერდით იდგა“.

მომდევნო მომენტში რიტჩი კვლავ სამხედრო ჰოსპიტალში, საწოლზე, საკუთარ სხეულში აღმოჩნდა. რამდენიმე კვირამ განვლო, სანამ ჰოსპიტალში სიარულს შეძლებდა, და ვიდრე იწვა, მას არ ასვენებდა საკუთარ ავადმყოფობის ისტორიაში ჩახედვის სურვილი. როცა მან ეს მოახერხა შეუშინევლად და ისტორიას ჩახედა, ნახა ჩანაწერი: „რიგითი ჯორჯ რიტჩი, გარდაიცვალა 1918 წ. 20 დეკემბერს, ორმხრივი პნევმონია“.

დოქტორმა რიტჩიმ გვიამბო: „მოგვიანებით მე ვესაუბრე ექიმს, რომელმაც ხელი მოაწერა სიკვდილის დასკვნას. მან მითხრა, რომ, როცა მსინჯავდა, ოდნავადაც არ დაეჭვებულა იმაში, რომ მე მკვდარი ვიყავი. მაგრამ ცხრა წუთის შემდეგ ჯარისკაცმა, რომელსაც მორგში უნდა გადავეტანე, მიიჩნინა მასთან და სთხოვა შეეშაპუნებინა ჩემთვის აღ-

რენალინი. ექიმმა, რომელიც საკუთარ თვალებს არ უჭერებდა, პირდაპირ გულის კუნთში გამოკეთა ადრენალინის ნემსი. მან მიიხრა, რომ ჩემთვის სიცოცხლის დაბრუნება ტვინის მოქმედების დარღვევის ან სხვა რაიმე დაზიანების გარეშე. — ყველაზე უფრო გაუგებარი მოვლენაა მის ცხოვრებაში“.

ვიპოთერმიის, გადამეტცივების დროს ხდება ხოლმე ყველაზე უფრო დრამატული დაბრუნებები „იქიდან“. გაყინვისას სხეულის ტემპერატურა ეცემა 8-12 გრადუსით და ადამიანს შეუძლია საათობით იმყოფებოდეს კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში, მაგრამ დაუბრუნდეს სიცოცხლეს ტვინის მოქმედების დარღვევათა გარეშე. ორი რეგისტრირებული ყველაზე უფრო ხანგრძლივი სიკვდილი — ესაა ოცდაერთი წლის კანადელ ჯინა ჯობოუნთან (ეს ქალიშვილი მკვდარი იყო ოთხი საათის მანძილზე) და ასევე კანადელ, თექვსმეტი წლის ედვარდ თედ მილიგანთან (მკვდარი იყო თითქმის ორ საათს) დაკავშირებული შემთხვევები. თითოეული ამ შემთხვევათაგანი სასწაულია მედიცინისა, მაგრამ, რამდენადაც ისინი კანადაში მოხდა, მათზე ცოტა რამ თუ იციან შეერთებულ შტატებში. დასანანი კია, რადგან ისინი, შესაძლოა, შეიცავენ ყველაზე უფრო სანახაობით სგგ-ს, ყველაზე უფრო დაწვრილებით აღწერას იმქვეყნიური ცხოვრებისა. ამ მოთხრობათა აღდგენა რომ შეიძლებოდეს..

8 იანვარს, დილაუთენია, ხვარაიელ თოვაში ჯინა ჯობოუნი ვინიპეგის ქუჩებით შინ ბრუნდებოდა წვეულებიდან. ჭერაც განიცდიდა რამსუბუქ თავბრუხვევას, იგი ვიწრო ქუჩით უილაამ-ავენიუსკენ მიდიოდა. დილის შვიდ საათზე სამუშაოზე წასვლის წინ შენაგვე ნესტორ რაუნაკი ჯინას სხეულს წააწყდა. გათბობის მიზნით რაუნაკმა იგი ხალიჩაში გაახვია. არასწორი შეტყობინების შედეგად პოლიცია დაახლოებით 8 ხთ. და 15 წთ.-ზე მოვიდა. პოლიციელებმა აღმოაჩინეს, რომ ჯინა ცოცხალია, იგი კვნესოდა. მაგრამ როცა იგი ცენტრალურ საავადმყოფოში მიიყვანეს, მას გულისცემა შეუწყდა. სხეულის ტემპერატურა ჩვეულებრივზე თითქმის 11 გრადუსით დაბალი — 28,3 იყო. ჯინას აღარ ჰქონდა არც გულისცემა, არც მაჯისცემა, აღარც სუნთქავდა, გუგები კი უარამდე ჰქონდა გადიდებული. ღვინომ, რომელიც იმ დამეს მიირთვა, ხელი შეუწყო სხეულის გაცივებას, რამდენადაც ალკოჰოლმა გააგანივრა სისხლძარღვები და ამან სწრაფად გამოდევნა სითბო სხეულიდან.

შვიდი ექიმი, ათი მედლა და რამდენიმე ხანიტარი ოთხ საათს მუშაობდნენ შეუსვენებ-

ლივ, რათა ქალიშვილისათვის სიცოცხლე დაებრუნებინათ.

დამის თერთმეტ საათზე ჯინას ცნობიერება დაუბრუნდა, ხოლო როცა სისუსტემ გაუარა, ლაპარაკიც შეძლო. ბრივადის ერთ-ერთი ექიმი, რომელსაც წარმოდგენა ჰქონდა იმაზე, თუ რას ხედავენ ადამიანები სიკვდილდღეს შეხვედრისას, შეკითხვებს აძლევდა: „ჯინა, შენ რა ხარ, როგორც ჩანს, შეხსიერების რეგრესული დაკარგვა სქარდა, რომელიც მოიცავდა პერიოდს წვეულებაზე შეკრებამდე. დოქტორმა ჯერალდ ბრიუსტოუმ, რომელიც სარეანიმაციო ბრივადაში შედიოდა, გვაცნობა, რომ ჯინას ტვინი სრულიად უფანგბადოდ იმყოფებოდა ნახევარი საათის მანძილზე, მაგრამ მას ტვინის მოქმედების დაზიანება ვერ აღმოუჩინეს; სხეულის დაბალი ტემპერატურამ შეაკავა მეტაბოლიზმი და ტვინი ნაკლებ უანგბადს თხოულობდა. ჩანს, სწორედ ამან გამოიწვია ამნეზია. ექიმები, რომლებსაც ველაპარაკეთ, ვარაუდობენ, რომ სადღაც, ჯინას შეხსიერების სიღრმეში, დაფარულია წვეულებისა და შინ დაბრუნების ამბები. ისინი ფიქრობენ, რომ, თუ ამ ამბების გამოვლენა მოხერხდა, შეიძლებოდა შექმნილიყო სიკვდილთან ცნობილ შეხვედრათაგან ყველაზე უფრო ხანგრძლივი შეხვედრის სურათი. რაღაც მიზეზების გამო, ჯინამ არ გამოამჟღავნა თანამშრომლობის სურვილი, მან უარი თქვა ექიმებთან მომხდარის განსჯაზე. ექიმთა ნაწილი გვაფრთხილებს: ჰიპნოზური შემოქმედება შეიძლება საშიში გამოდგეს ჯინასათვის, რამდენადაც მისი სიკვდილი, ემოციური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ერთობ ტრავმატული იყო; სხვები კი თვლიან, რომ ექიმის ხელმძღვანელობით წარსულში მის თანდათანობით ჩაძირვას შეეძლო მნიშვნელოვანი შედეგები მოეცა. მაგრამ ჯინას არ სურდა გახსენება და ბოლოს და ბოლოს შეეგუა თავის ამნეზიას. შესაძლოა, მისი ასეთი დამოკიდებულების მიზეზი ის არის, რომ მას არ სურს რაღაცის გახსენება.

სიკვდილი გადამეტცივებისაგან — ეს მხოლოდ ერთ-ერთია იმ გამოუკვლევებელ სფეროთაგან, სადაც შესაძლებელია ლაპარაკი სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის შესახებ. მეორე სფეროა — ცივ წყალში დამხრჩვალნი. ბრაიან კანინგემმა, ოვრამეტი წლის სტუდენტმა მიჩიგანის შტატის ქ. ჯექსონიდან, გაყინული ტბორის ყინულქვეშ ოცდათვრამეტი წუთი გაატარა. მასველებმა მკვდრად მიიჩნიეს, მაგრამ იგი გააცოცხლეს და ორი კვირის შემდეგ კვლავ დაიწყო კოლეჯში სიარული. უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევანი მას არ აღენიშნება. ექიმი, რომელიც ან ორბორის ახლომდებარე ტბაში დაიხრჩო და წყალქვეშ თხუთმეტი წუ-

თი გაატარა, ასევე გამოაბრუნეს და არც მას აღენიშნებოდა უმალლესი ნერვული მოქმედების დარღვევა. ეს მხოლოდ ორია „ცივ წყალში სიკვდილის“ თხუთმეტი შემთხვევიდან, რომლებმაც დოქტორი მარტინ ჯ. ნემიროფი, მიჩიგანის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრის პროფესორის ასისტენტი, მიაყვანა დასკვნამდე, რომ წყლიდან ამოყვანილი, გალურჯებული, სუნთქვაშემწყდარი და გარეგნულად მკვდარი ყველა ადამიანი მკვდარი როდია, თუნდაც მათ წყალქვეშ ნახევარ საათზე მეტი მქონდეთ გატარებული.

დოქტორ ნემიროფის დასკვნები და წყალში დამხრჩვალთა გამოცოცხლების მის მიერ შეკრებილი შემთხვევები ეწინააღმდეგებიან ძველ რწმენას, რომ დამხრჩვალთა, რომელმაც წყალქვეშ ოთხი-ხუთი წუთი გაატარა, შეუძლებელია გამოაბრუნო. ეს მოსაზრება იმას ეფუძნება, რომ, თუ ტვინი ხუთ წუთზე მეტ ხანს მოკლებულია ჟანგბადს, იწყება მისი მოქმედების რღვევა. მაგრამ დოქტორმა ნემიროფმა გვიჩვენა, რომ მის მიერ განხილული თხუთმეტი შემთხვევიდან, როდესაც ადამიანები იბრჩობოდნენ ფარენგიტით სამოცდაათ გრადუსზე დაბალი ტემპერატურის წყალში, თერთმეტი ისე გადაურჩა სიკვდილს, რომ უმალლესი ნერვული მოქმედების უმცირესი დარღვევაც კი ან სხვა რაიმე დაზიანება არ მიუღიათ. ამ ადამიანთა გადარჩენა ხდება, ამბობს დოქტორი ნემიროფი, ძუძუმწოვართა უპირობო რეფლექსის აქტივიზაციის წყალობით, რაც „ძუძუმწოვართა ყვინთვით რეფლექსადაა“ ცნობილი. — ცხადია, ცივ წყალთან შეთავსებით, რომელიც ხელს უწყობს მეტაბოლიზმის შემცირებას და ამით კი ჟანგბადისადმი მოთხოვნილების შემცირებასაც.

დოქტორმა ნემიროფმა გვიჩვენა, რომ ფლორიდასა და სამხრეთ კალიფორნიაში, სადაც წყლის ტემპერატურა სამოცდაათ გრადუსამდეა, წყალში დამხრჩვალთათვის ხუთი წუთი წარმოადგენს ზღვარს, როცა შეიძლება მათი გამობრუნება მათი სიცოცხლისათვის, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიუყენებლად. მან აღმოაჩინა, რომ ყვინთვითი რეფლექსი ყველაზე მეტად ახალგაზრდა ადამიანებს, განსაკუთრებით კი წლინახევრიდან სამ წლამდე ასაკის ბავშვებს აქვთ განვითარებული. იგი ამას განსაზღვრავს, როგორც ემბრიონულ დამცველ რეაქციას, გამოყოფილს იმ დროიდან, როდესაც ბავშვი იძუ-

ლებული იყო თხევად გარემოში ეხუნოქა. შეერთებული შტატების ჩრდილოეთ ნახევარში, როგორც ცნობილია, მდინარეებისა და ტბების უმრავლესობას სამოცდაათ გრადუსზე ნაკლები ტემპერატურა აქვთ. შემზარავია იმაზე ფიქრიც კი, თუ რამდენი ათასი გალურჯებული, სუნთქვაშემწყდარი ადამიანია წყლიდან ამოყვანილი და მკვდრად ჩათვლილი მათში, როდესაც იოლად შეიძლებოდა მათთვის სიცოცხლის დაბრუნება.

შეეძლოთ თუ არა მათ მოეთხოვოთ რაიმე სიკვდილთან შეხვედრებზე? ცივ წყალში დახრჩობაგამოვლილი ადამიანები იმდენადვე და იმავე მიზეზებით ზარალდებიან მეხსიერების დაკარგვით, რამდენადაც და რა მიზეზებითაც გადაშეტცივების მსხვერპლნი. თუმცა ბრაიენ კინინგემს, კოლეჯის სტუდენტს, რომელიც ოცდათვრამეტი წუთის მანძილზე იყო მკვდარი, შეუძლია ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოპყვეს იმაზე, თუ რა უსწრებდა წინ მეხსიერების დაკარგვას. ელდის-ცემა, რომელიც დასაწყისში, ყინულის ხაფანგში მომწყვდევისას, შეიგრძნო, გაუქრა და იგი „სიმშვიდემ და აბსოლუტურმა სიჩუმემ“ შეცვალა. ტვინისმიერი მოქმედება „დაიბინდა“ და სწორედ ცნობიერების დაკარგვის წინ ბრაიენმა, მისივე სიტყვებით, დაინახა „ნათელი ცისფერი კვამლი“, რომელიც, ეტყობა, იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. არავინ ცდილა ბრაიენის დაპინოზებას ან ცივ წყალში სხვა დახრჩობაგამოვლილთა დაპინოზებას, რათა გაეგოთ, რა მოსაყოლი იშალება მათ ქვეცნობიერებაში. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ისიც, რომ მათ სინამდვილეში არაფერი განუცდიათ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სხვა თითქმის-სიკვდილებს, ეს ნაკლებად სარწმუნოა. ხოლო თუ განიცადეს, მაშინ ცივ წყალში დამხრჩვალთა თუ გადამშენებულთა ასტრალურ სხეულებს აქვთ დრო, რათა გამოეყონ ფიზიკურ სხეულებს, იმოგზაურონ, დააკვირდნენ, იხილონ ნათელი შუქები და სულიერი არსებანი, სცადონ კონტაქტების დამყარება ოჯახებთან და მეგობრებთან. ჩვენ გვეჩვენება, რომ კვალიფიციურმა და გამოცდილმა მკვლევარებმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშურონ საიმისოდ, რათა გამოავლინონ სიკვდილთან შეხვედრები ამ პოტენციურად მდიდარ შემთხვევებში. ეს სფერო მეტისმეტად დიდხანს რჩებოდა უუფრადლებოდ.

